114
1930

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მგზავრი

11-12

სახელმწიფო გამომცემლობა
ფოთი 1930

პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

11-12

462/87

ყოველთვიური მხატვრული ლიტერატურული
მეცნიერული პუბლიცისტური ჟურნალი

წლიური მეშვიდე

ნოემბერ-დეკემბერი

სახელმწიფო გამოცემლობა
ტფილისი 1930

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხ. ჯალიან შარვაძე

1896 – 1930

ᲛᲝᲡᲔ ᲒᲝᲒᲘᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲕᲐᲚᲘᲐ ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ვალია ბახტაძე გარდაიცვალა.

იშვიათი ამხანაგი, უერთგულესი მეგობარი, თავდადებული მებრძოლი აღარ ითვლება ცოცხლებს შორის. ეს სალი-კლდე თავისი სიმტკიცით და ამავე დროს გულჩვილი, მგრძნობიარე ადამიანი წავიდა ჩვენგან—ჩვენთან დარჩა მოგონება ვალია ბახტაძეზე. ეს ორიოდე სტრიქონიც, დეე, მოგონება იყოს...

1

სიბერით დაბურული ტრადიცია ცრემლებს მოითხოვს მეგობრის საფლავთან, მაგრამ ვალიას ცრემლები არ შეეფერება, ტირილი მის ბუნებას ეწინააღმდეგება. ტირილი შიშის უმცროსი დაა. შიში კი ყველა მიმართულებით უცნობი იყო მისთვის. ვალიას მიმართ ძალაში რჩება ანტიკური ბრძენის თქმა: თუ ადამიანია სიკვდილი არ არის და თუ სიკვდილი მოვიდა ადამიანი აღარ ინქება, ამიტომ ადამიანს საქმე სიკვდილთან არ აქვს და ცხადია, არც მის მიერ გამოწვეული შიში გახდება საგანი ადამიანის ქცევისა. ვინც თავისი თვალით ნახა, თუ როგორი გმიროზით, სიჩუმით და თითქმის უცნაური მოკრძალებით ვალია სიკვდილს ეგებებოდა, თუ როგორ სასტიკათ გადმოგვხედავდა ულმობელი სენით შეპყრობილი, როცა ჩვენ მას—მომაკვდავს—ვაიმედებდით, ის მე უსიტყვოთ დამიჯერებს. ვალიას მეგობრებმა იციან, რომ ეს კაცი ძალაზე მეტად მგრძნობიარე იყო, მაგრამ საკუთარი სიკვდილის აჩრდილთან პირისპირ გაჩერებული, იგი იყო მტკიცე რაციონალისტი, მოკლებული სენტიმენტალობის ყოველივე ნაშთს.

ვალიას მთელი ცხოვრება იყო ასეთივე მტკიცე, უდრეკი, თითქმის ყველა მიმართულებით რიგოროზული. მხოლოდ ერთხელ მის სიცოცხლეში ვითომც ულალატა მას შინაგანმა სიმტკიცემ, ერთხელ ვითომც იგიც შეეჭვდა საკუთარ თავში. მე მაგონდება ეს კოშმარული მომენტი მისი ცხოვრებისა და არ შემიძლია აქ არ გამოვთქვა. ერთი წლის წინათ ვალია სასტიკათ გამოსცადა ცხოვრების ულმობელმა კანონებმა. მას ლოგინზე მიჯაჭვულს და საავათმყოფოს ოთხ კედელში დამწყვდეულს უეცრათ მისი ერთად ერთი პატარა გოგონა მოუკვდა. საშინელი იყო მისი მდგომარეობა, მე ამაზე უფრო დიდი ტანჯვა შეიძლება არც მენახოს... და ამ შავი კოშმარების ერთ-ერთ ღამეს, ვალიამ უეცრად უცნაური ხმით მომმართა: „ნამდვილად ამ საშინელის ტანჯვის შემსუბუქება შეუძლია რწმენას, რელიგიური ადამიანი შეიძლება უფრო ადვილად ურიგდება უბედურებას“.—გაჩუმდა და მთელი საათი უხმოთ, უაზროთ იყურებოდა. სიჩუმე მანვე დაარღვია: „უბედურება ისაა, რომ ვიცი სარწმუნოების/ არარაობა, ყო-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლივე ნუგეში რომ სისულელეა, ყველაფერი რომ გათავებულა, რალაც უფრო ძლიერად ვიტანჯები ამ ცოდნის გამო"... ამ ადამიანის სულიერ ტრაგედიას ამაზე უფრო მაღალი მწვერვალისათვის ნამდვილად არას დროს მიუღწევია, მაგრამ აქაც გონებამ გაიმარჯვა გრძნობაზე, აქაც ვალია დარჩა რაციონალისტი,— მკაცრი, მიუდგომელი და ობიექტური.

ასეთი იყო მთელი მისი ცხოვრება, თავიდან ბოლომდე. მან გაიარა ცხოვრების მკაცრი სკოლა. ჯერ კიდევ ფეხშიშველა და მშიერი ახალგაზრდა შეებრძოლა ის სოციალურ უკუღმართობას. ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ ჯანმრთელობამ უღალატა, გაჭივრებული ცხოვრების თანამგზავრმა—ჭლექმა დასცა მებრძოლი. დარჩა ის საქმე, რომელსაც ვალია ემსახურებოდა,—საქმე პროლეტარიატის, რევოლიუციის, კაცობრიობის. ვალია იყო კომუნისტი ამ სიტყვის უსრულესი და უმტკიცესი მნიშვნელობით, ურყევი იყო მისი პოლიტიკური იდეალი, მაღალი იყო მისი მისწრაფება, სპეტაკი იყო თვითონ როგორც ადამიანი. ჩემი აზრით და დაკვირვებით ეს კაცი იყო განხორციელება ახალი ადამიანისა,—კომუნისტის არა მარტო პოლიტიკური მსოფლმხედველობით, არამედ თავისი პირადი ყოფა-ცხოვრებითაც; იგი იყო ნამდვილი კომუნისტი-ადამიანი.

2

არას დროს არ დამავიწყდება ჩემი და ვალიას გაცნობის პირველი საღამო. ხონში, ვარლამ შავდიას დების ბინაზე შეიკრიბა ადგილობრივ ციმერვალდელების ჯგუფი. მეტნაწილათ ახალგაზრდები ვიყავით. მეტად კონსპირატიული და მნიშვნელოვანი საკითხი გვქონდა განსახილავი. უნდა გადაგვეწყვიტა საჭირო იყო თუ არა შვებულებით სახლში დაბრუნებული ჯარისკაცებში აგიტაცია გაგვეწია ომის წინააღმდეგ. ილაპარაკა რამოდენიმე ამხანაგმა. ვთქვი მეც ჩემი აზრი, მაგრამ ეს აზრი ზედმეტად „ახალგაზრდული" აღმოჩნდა. ჩემს შემდეგ გამოსულმა ამხანაგმა ფანატიზმათ გამოაცხადა ჩემი სიტყვა.

უეცრად წარმოსდგა სტუდენტის ქუდიანი, დახეული ფეხსაცმელებიანი, მაღალი, გაბხდარი, ქერა ამხანაგი: „ამხანაგებო, ფანატიზმი ზოგჯერ აუცილებელი იარაღია—დაიწყო მან—მე სავსებით ვუეროდები ასეთს ფანატიზმს"... გამოჩნდენ სხვებიც, კრება მემარცხენე ციმერვალდის გზას გაჰყვა. მივიღეთ რეზოლიუცია, გავანაწილეთ რაიონები და გადავწყვიტეთ დაგვეწყო ომის საწინააღმდეგო აგიტაცია ჯარისკაცებში.

კრება გათავდა, გამაცნეს ქერა ამხანაგი—იგი იყო ვალია ბახტაძე. ამ დღიდან უცნაური მეგობრობა დამყარდა ჩვენს შორის. მთელი დღეები ერთად დავდიოდით. ვალია სულ იმეორებდა, რომ „ფანატიზმი აუცილებელია"; ეს აზრი მას ისე გაუჯდა ცნობიერებაში, რომ რუსეთში გამგზავრების შემდეგ თვითეულ წერილში იმეორებდა, „დიახ, ფანატიზმი ჩვენს საქმეს დასჭირდება".

მგონია, ხონის ახლო-მახლო არც კი უნდა ყოფილიყოს იმაზე უფრო ღარიბი და ღატაკი მოსახლე, ვიდრე სამსონ ბახტაძე—ვალიას მამა. ნიგვზის ხეებიან ეზოში ჩვენებური ქოხი იდგა. ამ ქოხში იზრდებოდა ვალია, აქ მტკიცდე-

ბოდა მისი ჭაბუკობა და ვაჟკაცობა. ამ ქოხიდან წამოიღო მან ბუნტარული სული, აქ შეიძულა მან ის ისტორიული უკუღმართობა, რომელსაც ერთნი ძალალ დარბაზებში დაუსახლებია და უმრავლესობა კი ნესტიან ქოხებში...

ახალგაზრდა ვალია იყო თავდადებული მუშაკი, იშვიათი ორგანიზატორი, გატაცებული თავისი საქმით, თვითგანვითარებით, იმთავითვე ლიტერატურა შეადგენდა მის სტიქიას. რამოდენიმე თვე ვიმუშავეთ ერთად, შემდეგ ის ჯარში გაიწვიეს. რუსეთში უნდა წასულიყო. ამ ხანებში მან დაამზადა ერთი ნაშრომი ნაციონალური საკითხის ირგვლივ. ეს ნაშრომი უნდა წაკითხულ ყოფილიყო „ჭაბუკ სოციალდემოკრატების“ ქუთაისის საგუბერნიო კონფერენციაზე. როგორც ვთქვი, ვალია რუსეთში მიდიოდა, მას თავასი რეფერატის წაკითხვა აღარ შეეძლო. მოვილაპარაკეთ, დავადგინეთ მის მიერ დაწერილი ნაშრომის ავტორად თავი უნდა გამომეცხადებია მე, რეფერატი წამეკითხა და თეზისები დამეცვა. ეს კონფერენცია შესდგა ქუთაისიდან ერთი თუ ორი ვერსით მოშორებით, რომელიღაც სოფლის სკოლის პატარა ოთახში. რეფერატი წავიკითხე. ატყდა დიდი აურზაური. ამხ. ჩიხლაძეს და მიქაძეს, ამ კონფერენციის მონაწილეთ, ნამდვილად ახსოვთ ეს ცხარე კამათი. მაშინ მათ არ სცოდნიათ, რომ ეს რეფერატი ეკუთვნოდა ვალია ბახტაძეს, მე მხოლოდ ვიყავი მისი დამცველი.

მსოფლიო ომი გრძელდებოდა. ვალია ჯარში იყო. ის „პრაპორშიკათ“ გახადეს. ვალია „ახალ გამომცხვარი პრაპორშიკი“ იყო, როცა რომანოვებს სამას წლოვანი ტახტი ხოხოლასავით დაენგრათ. ვალია რევოლუციის პირველ რიგებშია. ხონში რევოლიუციას ვზეიმობდით, ქუჩებში დავდიოდით. წითელი დროშები დაგვქონდა. ხმა გავრცელდა, რომ ვალია რევოლიუციის პირველ დღესვე მოჰკლეს პეტროგრადის ქუჩებშიო. სწორედ მეორე დღეს ღია წერილი მივიღე. „გაჯობე, მწერდა ვალია, წარმოიდგინე ჩემი აღტაცება. რომანოვების მთავრობა მიგვყავს დატყვევებული. მეც აქ ვარ. ქუჩაში გაგვაჩერეს. რაღაცას არკვევენ. აგერ ფოსტის ყუთი ჭკიდია და ამ ღია წერილს გიგზავნი. შეიტყვეთ ყველამ, ნიკოლოზეს მინისტრები რევოლიუციონურ ჯარს დატყვევებული ჰყავს. მე ამ ჯარებში ვმსახურობ. ხედავ საჭირო ყოფილა ფანატიზმი“.

იმავე წუთში მოვნახე ვალიას მამა. უთხარი ვალიას წერილი მაქვს, ის კარგათაა. წერილი ვაჩვენე. მოხუცი დავამშვიდე.

ფანატიზმი არა და ფანტაზიას კი ჰგავდა ხონის ციმერვალდელების პატარა ჯგუფის დადგენილება, ჯარის ნაწილებში რევოლიუციონური მუშაობის დაწყების შესახებ. იმპერიალისტური ომით გარშემორტყმული მსოფლიო, დანგრეული ინტერნაციონალით, მართლაც რომ რევოლიუციისათვის საიმედოს არაფერს ამბობდა. მაგრამ იმპერიალიზმის ჯაჭვი იქ გაწყდა, სადაც ის სუსტი რგოლებით იყო ნაქედი. რევოლიუცია ფაქტი შეიქნა რუსეთში და რაც ორიოდე თვის წინ ფანტაზიის სახით გამოიყურებოდა, ისტორიული აუცილებლობის კოსტუმში გამოეწყო. ამ ისტორიული ამბების პირველსავე დღეს ვალია რევოლიუციის ცენტრში მოექცა. მისთვის ჩვეული გატაცებით გადაეშვა იგი რევოლიუციის მორევში. და რამდენად რევოლიუცია მარცხნივ მიდიოდა, ვალიაც ამ ტალღას მიჰყვებოდა. ოქტომბერს ის უკვე მტკიცე და ურყევი ბოლშევიკის სახით შეეგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3

რუსეთის დიდი რევოლიუცია თებერვალმა დაიწყო. ოქტომბერმა ის სრულ ქმნილ ისტორიულ ფაქტად გადააქცია. რევოლიუცია რომ თებერვლის ეტაპზე გაჩერებულიყო, ცხადია, რომ ის კონტრ-რევოლიუციის მსხვერპლი გახდებოდა. ვალია იყო რევოლიუციის ჯარისკაცი. ნიკოლოზ მე-II-ს ჯარში ის იძულებით გაიყვანეს, მაგრამ, რევოლიუციის სადარაჯოზე ის იდგა საკუთარი შეგნებით, საკუთარი რწმენით. გაზაფხულის დამლევს ჯარის ნაწილები, რომელშიაც ვალია მსახურობდა ტაგანროგში გადმოიყვანეს. აქაც გრძელდებოდა წერილების წერა ჩვენს შორის.

ერთ-ერთი ტაგანროგელი ვალიას წერილი ვნახე ქალალდებში. წერილი დაწერილია 12 ივნისს, 1917 წ. „ცხოვრება ბრძოლაა—ვკითხულობთ ჩვენ აქ—და რევოლიუცია უდიდესი ბრძოლის სახით არის გადაშლილი. უპირველეს ყოვლისა, ამ ბრძოლაში გამარჯვება უნდა გისურვო“. ქვევით ვალია მწერს, რომ ის მტკიცე ციმერვალდელია, რომ ობორონცების არაფერი სწამს, რომ ამჟამათ მუშაობს ე. წ. ს. დ. გაერთიანებულ ორგანიზაციაში, ე. ი. ცნობილი, „Новая жизнь“ იდეოლოგიურ წრის გავლენის არეში.

ყველაზე უფრო მას საქართველოს ამბები აინტერესებდა. „რა ხდება მანდ, ხართ თუ არა ძველი ციმერვალდელები „ბოლშევიკები გამოყოთ?“ და სხვ. „შეიძლება თქვენთვის უმნიშვნელო ფაქტი საქართველოს ცხოვრებიდან, ჩემთვის მეტად ძვირფასია, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ არავითარი ცნობები არა მაქვს“...

მალე ვალია ფრონტზე გააგზავნეს. საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარეობისათვის მას აღარ დაუცდია. ზაფხულის დასასრულს ის ფრონტიდან გამოიქცა და სექტემბერში მე იგი ვნახე ხონში უკვე კომუნისტური პარტიის წევრი.

ამ დღიდან იწყება უდიდესი პერიოდი ვალია ბახტაძის ცხოვრებაში. პერიოდი მუდმივი ბრძოლის, თავგანწირვის, გმირობის, იშვიათი ამხანაგობის; სამოქალაქო ომის გრძელ პერიოდში ვალია იყო რევოლიუციის რჩეული დარაჯი, ეს ფიზიკურად სუსტი ადამიანი, თოფით ხელში იცავდა დიდი ოქტომბრის მონაპოვარს. ბრძოლა რევოლიუციის სრული გამარჯვებით დამთავრდა. ვალიამ თოფი ძირს დადო, წითელი ჯარისკაცის საპატიო ხალათიც გაიძრო და მთელი თავისი შესაძლებლობით გადაეშვა აღმშენებლობითი მუშაობაში. ყოველივე ის, რაც ვალიამ სამოქალაქო ომისა და აღდგენითი პერიოდში გააკეთა, არ შეიძლება იყოს ჩემი მოგონების საგანი ვალიაზე, ეს ერთ-ერთი ნაწილია კომუნისტური პარტიის ისტორიისა და მუშაობის და ჩემზე უკეთესად შეაფასებენ ისინი, ვინც ვალიასთან ერთად ბრძოლისა და შრომის მოწინავე რიგებში იდგენ. მე 1918 წლიდან 1922 წლამდე არც კი მცოდნია ვალია ბახტაძე ცოხალი იყო თუ არა, მხოლოდ 1922 წ. მოულოდნელად ვღებულობ მის წერილს ბერლინში. მოსკოვიდან მწერდა... „შევიტყვე საქართველოში ბრუნდები, მომწონს შენი გადაწყვეტილება. თუ მუშათა კლასის საკეთილდღეოთ მოდიხარ, მოდი. უდიდესი

ასპარეზი გექნება. თუ ჩვენთან სამტრო ხასიათზე ხარ, გიორგევ კიდევ უფრო შორს წახვიდე, ვიდრე ეხლა ხარ. ბოლშევიკებმა მტერის დანდობა არ იციან. ხომ გახსოვს ჩვენი ძველი მეგობრობა, მაგრამ არც ეს გიშველის. მეგობრობა მხოლოდ მუშათა კლასის მეგობრებთან ვიცით. შენი ვალია". წერილი რომ წავიკითხე პირველად ვერც კი მივხვდი თუ ვინ იყო მისი ავტორი. უეცრათ გამახსენდა, ქერა, მაღალი სტუდენტი ვარლამ შავდიას დების ბინაზე რომ პირველად გავიცანი, შემდეგ ჩემი განუყრელი მეგობარი.

1923 წლის დასაწყისში რომ ტფილისში ჩამოვედი, ვალია ქუთაისში მუშაობდა. ჩვენს შორის ურთი-ერთობა არ აღდგენილა. ორივე ვსდუმდით. ვალიას სიკვდილის მეორე დღეს სანდრო ეულმა მაჩვენა ვალიას მიერ მასზე მინაწერი წერილი. გამოირკვა, რომ ვალია ჩემს გარშემო არ სდუმდა. ს. ეულს სწერდა შეეტყობინებია, თუ რას ვაკეთებდი მე ტფილისში, რა თვალსაზრისზე ვიდექი და სხვ. ვალიას თავისი ბერლინში მონაწერი წერილის შინაარსის რეალიზაცია მოეხდინა. ჯერ უნდა შეეტყო ძველი მეგობარი მტრის ქურქში გახვეული ხომ არ იყო და მერე შეეძლო მასთან კავშირის აღდგენა.

ვალიას და ჩემი შეხვედრა იყო ძალიან მეგობრული. მაგრამ ახლა მე აღმოვაჩინე, რომ ვალიაში ამ წლების განმავლობაში ახალი ადამიანი ჩასახლებულიყო, ადამიანი, რომელიც ჩემთვის უცნობი იყო ძველი ვალიას სახით, და რომელმაც მე ზემოთმოყვანილი წერილი მომწერა მოსკოვიდან ბერლინში. ეს იყო „კომუნისტი ადამიანი", თუმცა ძველებურად მეგობრული, ძველი, ტკბილი და „გულჩვილი" ვალია, მაგრამ ამავე დროს ურყევი, რაღაც თავისებურათ რიგოროზული, რაღაც უბრალო, მტკიცე, შეუბრალებელი, მოწინააღმდეგის დაუნდობელი მგმობელი უანგარო, ცხოვრების ახალი გეგმებით და ის კი არა, ახალი მიხვრა-მოხვრით და მანერებით. მეორეს მხრივ, განათლებული, კულტურული, მოაზროვნე და ის კი არა, მეოცნებეც.

ვალია იყო ის ახალი ადამიანი, რომელიც სამხედრო კომუნიზმმა და სამოქალაქო ომებმა გამოსჭედა, ადამიანი, რომელიც თოფით ხელში რევოლიუციას იცავდა, თვეობით სისხლის მღვრელ ბრძოლებში იდგა, ხოლო დასვენებისას წიგნებით შეიარაღებული დიალექტიკის უნივერსალურ კანონებზე, გნოსეოლოგიის პრინციპებზე და ლიტერატურული შემოქმედების ფორმებზე მსჯელობდა და აზროვნებდა.

4

1924 წ. გაზაფხულზე ვალია ტფილისში გადმოვიდა. მუშაობდა პარტიული ხაზით და ამავე დროს იყო ჟურნ. „მნათობი"-ს რედაქტორი. „მნათობის" რედაქციაში ვმუშაობდი მეც. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ვალია, როგორც მარქსისტი, მხატვრული ლიტერატურის პრობლემებზე მუშაობდა. ძველი სოც. დემოკრატ. პრესაში ლიტერატურის საკითხებზე დიდ ავტორიტეტად მიჩნეული იყო სეით დევდარიანი. „თანამედროვე აზრის" ფურცლებზე სისტემატიურად იბეჭდებოდა მისი კრიტიკულ-ლიტერატურული ფელეტონები. მახსოვს, ვალიას არ აკმაყოფილებდა ს. დევდარიანის წერილები. განსაკუთრებით აღელვებული

იყო სეითის წერილებით „პუშკინზე“. „ნუ თუ მარქსისტმა პუშკინზე მეტი ვერაფერი უნდა სთქვას, რომ პუშკინი დიდი მწერალი და თავისი დროის შვილი იყოო“. —მწერდა რუსეთიდან. როცა „თანამედრ. აზრში“ დაიბეჭდა სეითის გრძელი ფელეტონი რომანზე—„Женщина стоящая посреди“ ვალიამ დასწერა პასუხი. ეს ვალიას პირველი ლიტერატურული ნაშრომი, სარკე იყო მომავალი ვალია ბახტაძის. სეით დევდარიანს მკაცრად ესხმოდა თავს და ერთგვარ ლიბერალობაში სდებდა ბრალს. წერილი ძალიან ნიჭიერად იყო დაწერილი. წარმოიდგინეთ, რომ „თანამედროვე აზრის“ რედაქტორებმაც ვერ დაიწუნეს იგი. წერილი, რასაკვირველია, არ დაბეჭდეს, სეითს ვერ აწყენინეს, მაგრამ წერილის ავტორი მორალურად მაინც დააკმაყოფილეს. 1916 წ. „თანამედროვე აზრის„ ერთ-ერთ ნომერს აქვს დაახლოებით ასეთი შენიშვნა. „ვ. ბ-ძეს. თქვენი წერილი ლიტერატურაზე საინტერესოა, ვერ ვბეჭდავთ მას უადგილობის გამო“.

ეს ძველი ისტორია მე იმიტომ მოვიგონე, რომ ვალიასთვის მხატვრული ჟურნალის რედაქციაში მუშაობა ბუნებრივი საქმე იყო. 1924 წ. მარტში ვალია რომ ტფილისში გადმოვიდა სამუშაოდ, „მნათობის“ პირველი ნომრის უკანასკნელი ფორმები პრესს ქვეშ იდო. მეორე ნომერი უკვე მისი თანარედაქტორობით გამოდის. მოკლეთ ვიტყვი: დიდი, ძალიან დიდი საქმე გააკეთა მან ჩვენი ლიტერატურისათვის. ჩვენი პირველი თათბირი უკვე სტამბაში დაიწყო. ვალია ჩამოსულიყო, შეეტყო რომ„ მნათობი“ გამოდიოდა. მოვიდა სტამბაში სანახავად. ძალიან ესიამოვნა მეც რომ იქ ვიყავი. წავედით მის ბინაზე. მითხრა:

—მეორე ნომრიდან, ნამდვილად მე ვიქნები „მნათობის“ რედაქტორი. სამი დიდი საქმეა გასაკეთებელი და უნდა გავაკეთოთ. პროლეტარული მწერლობა უნდა ჩამოყალიბდეს ნამდვილი ძლიერი და შემოქმედებითი ორგანიზაციის სახით.

მაგრამ ამაზე მეტი დახმარება სჭირდება იმ ქართულ მწერლობას, რომელიც ფაქტის სახით არსებობს. ამიტომ „მნათობის“ უდიდესი ამოცანაა თანამგზავრული ლიტერატურის შექმნა ჩვენში. თვითეული მწერალი, რომელიც ჩვენთან მოვა, რომელიც თანამგზავრობის ხაზს გაიზიარებს „მნათობში“ უნდა ვამუშაოთ. ჩვენი მწერლობა ათეულის წლის კი არა ასეული წლების მანძილზე საზრდოობდა პატრიოტული და ხშირად მხოლოდ ნაციონალისტური მოტივებით, დღეს ამ მოტივებს გასავალი არ აქვს და მწერლობამ არ იცის რა ქნას, ის კრიზისს განიცდის, მისი ნაწერი უნიჭო გამოდის, თუ მწერლობამ ახალ გზას არ დაადგა, ახალი დრო და მისი მაჯისცემა არ გაიგო, კრიზისი მისი სიკვდილით დამთავრება. მგონია, თანამგზავრობა გამოიყვანს მას უხერხულობიდან. „მნათობმა“ თანამგზავრული ლიტერატურის ტრადიცია უნდა შეჰქმნას ჩვენში.

მესამე საქმე, რომელიც „მნათობს“ აქვს გასაკეთებელი ეს ერთნაირად შეეხება როგორც პროლეტარულ, ისე თანამგზავრულ ლიტერატურას. თანამედროვე ქართულ ლიტერატურას, მის ავ-კარგიანობას რომ თავი გავანებოთ, აკლია პროზა. ნამდვილი მხატვრული პროზა უმაღლესი სახეა ლიტერატურული შემოქმედებისა, ჩვენში მწერლები მხოლოდ ლექსით სწერენ, პროზა გამონაკლისს შეადგენს. აქ უნდა მოხდეს დიდი გარდატეხა. რაც შეიძლება მეტი პროზა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლები ლექსი. „მნათობს“ ერთს წუთსაც კი არ უნდა დაავიწყდეს ეს: დებულება.

დაახლოებით ასეთი იყო ვალია ბახტაძის ლიტერატურული პოლიტიკის პროგრამა. დღეს ეს პროგრამა საკმარისი აღარ არის, მაგრამ 1924 წლისათვის ის უსათუოდ იყო ერთად-ერთი და სწორი. და თავისი პროგრამის განსახორციელებლად იგი ენერგიას და შრომას არ ზოგავდა. თითქმის სამივე ამოცანის სისრულეში მოყვანა შესძლო მან. პროლეტარულმა მწერლებმა კარგად იციან ვალიას ღვაწლი მათ მიმართ. ვალია მათ მუშაობას არა მარტო ლიტერატურული ორგანიზაციის სახით ხელმძღვანელობდა, არამედ ის თვითეული მათგანის შემოქმედებითი საქმეში ერევოდა: უსწორებდა ენას, ასწავლიდა, ამუშავებდა. ვალიას პირდაპირ სტიქიას შეადგენდა ახალგაზრდა მწერლის „გამოყვანა“. მაგრამ ულმობელი იყო, როცა მის მიერ „გამოყვანილი“ პოეტი „უსუსტებდა“ ან და ლიტერატურულ ცულლუტობას ჩაიდენდა.

სულ სხვა იყო მისი დამოკიდებულება თანამგზავრობის გზაზე დამდგარი ძველი მწერლობის მიმართ. აქ საჭირო იყო კრიტიკა, დახმარების გაწევა მარქსისტული კრიტიკის საშუალებით. სხვა იარაღი აქ არაფრად გამოდგებოდა. და ვალია ბახტაძის კრიტიკული კალამი მუდამ მზად იყო საშუშაოდ. ვალიას გეგმა იყო—თვითეული მწერლისათვის ასეთი მარქსისტული დახმარების გაწევა. რამოდენიმე მან დაბეჭდა, დანარჩენი კი ულმობელმა სენმა საფლავში ჩაიტანა ვალია ბახტაძესთან ერთად...

5

წერილი უნდა დავათაოთ. რასაკვირველია, ჩვენ ერთი მეათასედი იმისა არ გვითქვამს, რაც საჭირო იყო ვალია ბახტაძის დასახასიათებლად. ვალიას მთავარ პორტრეტს მე არც კი შეეხებივარ. ვალია მებრძოლი, კომუნისტი, სოციალისტური აღმშენებლობის ჯარისკაცი, სიკვდილის უკანასკნელ წუთამდი თავისი პარტიის ძირითადი საკითხებით დაინტერესებული, სოციალისტური რეკონსტრუქციის დიადი მიღწევებით აღტაცებული— ჩვენ არ დაგვიხასიათებია. ჩვენს წერილს ასეთი დიდი პრეტენზია არა აქვს. ეს მხოლოდ მეგობრის მოგონებაა უდროოდ დაკარგულ მეგობარზე. არც ვალია ბახტაძე—ლიტერატორი და კრიტიკოსი—ყოფილა ჩვენი თემა. ამას ვინც ჯერ არს ის უსათუოდ გააკეთებს ვალიას ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწერების კრებულის გამოცემის შემდეგ. ეს კრებული კი აუცილებლად უნდა გამოვიდეს.

დასასრულ, ორიოდე ხაზი კიდევ მინდა გაუსვა ვალიას პიროვნების ესკიზს ყველა დამიჯერებს რასაც ვიტყვი, რადგან ყველამ ჩემსავით იცის ეს. თუ რაიმე აზრი კი არსებობს სიტყვაში „მეგობრობა“, ვალია ამ სიტყვის განხორციელება იყო. მეგობრულად მოსაუბრე ის მოგაგონებდათ ანტიკურ ბრძენს, ტკბილს, კეთილს გონიერს, აზრიანს და სამართლიანს. მტრის მიმართ ეს გულქვა კაცი, ბრძოლაში უშიშარი და გადამწყვეტ მომენტში უყოყმანო და უდრეკი, მეგობართან საუბარში იყო ტკბილი და დამთმობი, არ იცოდა შენი და ჩემი, მის სახეს არ გააჩნდა იანუსის არც ერთი სხივი.

ამიტომ იყო რომ ყველას ასე გვიყვარდა ვალია, ამიტომ იყო რომ მისი სიკვდილი ისე ვიგრძენით, ვითომც უმანკო პაწია ბალღი დაკარგულიყოს...

მეგობრობა ამ კაცის შინაგან წვას და სტიქიას შეადგენდა. მე ასჯერ და შეიძლება მეტჯერაც გვიან ღამე მძიმე ავათმყოფ ვალიასთან მოვყოლივარ იმ ისტორიულ მეგობრობას, რომლის შესახებ მერინგი სწერს მარქსის ბიოგრაფიაში, რომ ეს „კავშირი და ეს მეგობრობა" უმაგალითოდ სდგას ისტორიაშიო. მეგობრობის შინაგანი სტიმული დათმობა და თავგანწირვაა. მარქსისა და ენგელსის პირადი ცხოვრების და უმაგალითო მეგობრობის ამბავი ვალიასათვის ბალზაკის რომანზე უფრო საინტერესო და სტენდალის ნოველაზე უფრო ტკბილი იყო. ათასჯერ რომ მოესმინა ეს ამბავი, არ მოსწყინდებოდა, ღიმილი არ შორდებოდა მის გამხდარ სახეს ახალგაზრდა მარქსის გმირული სიყვარულის ამბავის გაგონებაზე. პროლეტარიატის მსოფლმხედველობის შემქმნელების უმაგალითო მეგობრობაში, ვალია ხედავდა კომუნისტი-ადამიანის შინაგან სიმბოლოს. ამიტომ ლოგინზე მიჯაჭვულთან, გვიან ღამე მარტო რომ დავრჩებოდი, ვალია უცნაური ხერხით ჩვენს საუბარს მარქს-ენგელსის მეგობრობის ამბავზე გადაიტანდა და მეასეჯერ ჩემგან ისმენდა ამ ამბავს ისეთი ბედნიერი გამომეტყველებით, ვითომ ჭმუნვა და მწუხარება მის სულის სადგომს ერთხელაც არ სტუმრებოდეს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვალერიან გაფრინდაშვილი

დამკვრელი სტრიქონები

მოვიდა ტემპი—
მზე—ჭაბუკი
ცეცხლის ხელებით,
და მოიტანა
მეტი მხნეობა;
გამოიძახა მან
დამკვრელები,
ვისაც ძალა აქვს
და გამძლეობა.
ყველა ქარხნები
შემოიქროლა,
ყველგან დასჭექა
რკინის ხმაურით:
—იყოს უსაზღვრო
დამკვრელთა სრბოლა,
და მე ვიქნები
აწ მეთაური.
თვითონ ლენინი—
დიდი ბელადი—
მშრომელთა შორის
იყო პირველი.
ამხანაგებო!
მაშ ჩვენი ნადი
ყველასთვის გახდეს
გასაკვირველი!
გავაასკეცოთ
ჩვენი ძალები,
შევცვალოთ დღის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამის მსვლელობა.
ჩვენ დავიხმაროთ
ქარიშხალები —
წესრიგში არის
დღეს დამკვრელობა.
როგორც ხანძარი,
ისე ედება
დღეს დამკვრელობა
საბჭოთა მხარეს.
ყველგან შრომა და
შემოქმედება,
ვერავის ნახავ
ეხლა მდუმარეს.
და ეს ხანძარი
ალარ დაცხრება,
სჩანს უფრო მაღლა
ცეცხლის კანდელი.
მიღწევა არის
მტრის დამარცხება,
სიკვდილს უქადის
გზა დღევანდელი.
მაღლა ასწიე,
მუშავ, ჩაქუჩი,
და გამოსჭედე
მსოფლიოს ბედი!
ძველის წინაშე
იყავი ურჩი,
როგორც უმაღლეს
მწვერვალის ქედი.
ბრიგადირები
მეტი ხალისით
ახლა შრომობენ
დიად გეგმისთვის,
აქ არის თრთოლვა
უმხურვალესი
უკანასკნელი გამარჯვებისთვის.
თუ ცოტა იყო
წინად გმირები,
შრომის ვაჟკაცნი
ახლა გვყავს ბლომად.
მხარეს მოედვენ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ბრიგადირები
რომ გამძაფრებით
ასწიონ შრომა.
ჩვენი შრომისა
დღე თვითეული
უყოს ხუთწლედის
მოახლოება—
ხუთწლედი ოთხ წლად
გადაქცეული—
აღმოცენდება
ახალდროებათ.
ძალთა კადრები
უნდა ვაგროვოთ—
ამას მოითხოვს
ტემპი მაღალი,
ჩვენ მილწევები
მრავალი ვეპოვოთ,
რომ აღმობრწყინდეს
ყოფა ახალი.
ჩვენი ყოფისა
მთელი სავანე
სამარადჟამოთ
მოსასპობია,
ვიყოთ ახალის
ჩვენ ფალავანი,
ახალი სახე
ძველსა სჯობია.
ჩვენ გარღვევები
უნდა დავფაროთ,
და უნდა მოვსპოთ
ჩვენ მავნებლობა.
ტრაქტორით მიწა
მთლად გადავბაროთ—
ამას მოითხოვს
აღმშენებლობა.
მშრომელთ ლაშქრობა
გიგანტიური
აშენებს მტერს და
უთხრის სამარეს,
და ფარშავანგი
ცეცხლის—მზიური—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წითლად შეღებავს
ცას მოკამარეს.
ენტუზიაზმით
სავსე გულები
ო, არასოდეს
არ დაცხრებიან.
ჩვენსკენ მოდიან
გაზაფხულები,
ძველი ცხოვრების
წყლები დნებიან.
მაშ დავირაზმოთ
ჩვენ ბრიგადებათ,
არავინ დარჩეს
მაყურებელი.
გზაში ჩვენ ბევრი
შეგვემატება,
იყოს გრიგალი
ჩვენი მხლებელი.

მიხეილ ჯავახიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არსენა მარაგდელი *)

თავი მეხუთე

გატეხილი გალია

მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს.

—

მომსყვლელს დამხდურიც უნდა.

ქართული ანდაზები.

არსენა-ბიჭის გავარდნა ბატონს უმძიმდა, ნანობდა.
ნანობა რაღაა უშველის, ქალი ცხენს უჯდა, გარბოდა.

ხალხური.

მხლებლებს ორბელიანთა ცხენები შეუკაზმავთ და ჭანდრის ქვეშ ელოდებიან. მელიტონ ბარათაშვილის ტარანტასიც შებმულია. აფორიაქებული სტუმრები აივანზე გაფენილან და მასპინძლის დაბრუნებასღა უცდიან. კოდელ ბატონებს და ეფემიას უნდოდათ გამოუთხოვებლივ წასულიყვნენ, მაგრამ მელიტონმა დაუშალა.

— რა ამბავია ვეჟო?—ეზოშივე გაოცდა ცხენით შემოსული ზაალი, როცა შეკაზმული ცხენები და ეტლი დაინახა, და უზანგთან მივარდნილ გარსიას მიახალა:—მატრაკვეცავ, მეშთა სადღა ჯანდაბას დაიკარგა?

მატრაკვეცამ თვალები აახამხამა და ვერ გაუბედა მოეხსენებინა, რომ გაჯოხილი მეშთა უგონოდ ეგდო „ჯანდაბაში“. უცებ ზაალსაც გაახსენდა, შუბლშეკრული ჩამოხტა, ალვირი ერთ აზნაურს მიუგდო, კიბეზე ხვნეშით აალაჯა და ერთხელ კიდევ გაოცდა:

— ვეჟო, რა ამბავია მეთქი?

სტუმრები დარცხვენილი იყვნენ და პასუხი არ მისცეს. მხოლოდ მელიტონმა აკადრა:

— წასვლის დროა, ძია-ჩემო. ქალაქამდე დიდი გზა გვაქვს. ტატე დილის რვა საათზე სკოლაში უნდა იყოს და მეც უნდა სამსახურში გამოვცხადდე.

— თქვენ სადღა მიეჩქარებით?—მიუბრუნდა ზაალი ორბელიანებს.

გრიგოლი ალგეთს გადასცქეროდა და არც კი მოტრიალდა, ყველას მაგიერ ალექსანდრემ უპასუხა:

— ხვალ რიჟრაჟზე უნდა ერევნის გზას გავუდგეთ და შინაც ბევრი საქმე დაგვრჩა...

---

*) პირველი და მეორე თავი დაბეჭდილია ჟურ. „მნათობში“, 1929 წლის 5 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გამოსამშვიდობლად მიიწია, მაგრამ ზაალი ელიზბარმა მოგრძნეულა:

— ჩიტირეკიავ, შენ რალა ღმერთი გიწყრება?

„ჩიტირეკიამ“ მორცხვად გაიღიმა. დღეს და გუშინაც რამდენჯერმე განაცხადა, სამიოდე დღეს კიდევ დავრჩებიო, ეხლა კი მოახსენა.

— ეს ყმაწვილები—და ორბელიანებზე მიუთითა—ხვალინდელ ღამეს სადახლოში გაათენებენ და უნდა იქ დავუხვდე. მასპინძელი ვარ და...

ზაალი აილანძა. ცხადია, ყველანი ჭირიანსავით გაურბიან. ელიზბარმაც იცრუა. ორბელიანები შულავრის გზით მიდიან და სადახლოში რა უნდათ?

— ვეჰო! წამოიძახა გაბზარული ხმით,—განა ისეთი რა მოხდა, რომ ყველანი მაგრე რიგად ამრეზილხართ?—და პასუხი რომ არ მიიღო, დაუმატა: —ან იქნება დეკემბრელთა თუ ჯანდაბელთა სენი თქვენც გადმოგედოთ?—და რომ ისევ დუმილი მოისმინა, ბრაზით განიმეორა მაიორის ნათქვამი: — თქვე დალოცვილებო, ქალებმა რომ როზგის ნახვას ვერ გაუძლონ, აბა რა საკვირველია, მაგრამ თქვენ რალა დაგემართათ? რუსის აფიცრები ხართ, მუნდირი ჩაგიცვამთ, მეტი რა გინდათ! ულვაშიც დაგიმშვენებიათ და წკეპლის დანახვაზე კი ლამის გულთ შემოგეყაროსთ?! თქვენ უნდა დაამარცხოთ აბას მირზა? თქვენ უნდა დამიჭიროთ ალექსანდრე ბატონიშვილი? თქვენ უნდა ამიღოთ ერევნის ციხე?

გრიგოლ ორბელიანი მობრუნდა და—

— ბიძა-ჩემო,—მოახსენა ოდნავი ღელვით,—აბას მირზასაც ქუდმოშვლეპილს დავიფრენთ, ერევანსაც მივანგრევთ და თქვენს სადღეგრძელოსაც ერეკლეთაფას სერზედ გიახლებით, სწორედ იქ, სადაც ჩემი პაპა ერეკლე და თქვენი პაპა ზაალიც ერთ დროს ჩვენს სადღეგრძელოს მიირთმევდნენ. ჩვენ დეკემბრელები არ გახლავართ, მაგრამ ვფიქრობ და ვერ გამიგია, რად ინებეთ დღევანდელი როზგისა და ამ ხმლის შედარება?—და ხელი მამა-პაპურ ხანჯალზე დაიკრა.

— ვეჰო!—წამოიძახა ზაალმა, მაგრამ გაჩუმდა, რადგან თავის დედის მრისხანე თვალებს წააწყდა.

კნეინა ხორეშანი ოთახიდან გამოვიდა და ერთი წამით შესდგა. უკან ფიქრია მოსდევდა და შეკრული ბოხჩა მოჰქონდა. ამავე დროს კიბეზე მაიორი ამოდიოდა. უკან ამალა მოსდევდა. ორლოვი გაბადრული იყო და ისე მოალაჯებდა, თითქო ბოროდინოს ველზე ნაპოლეონი დაეფრინოს, და „გამოქცეულ ლაჩართა“ დასატუქსავი სიტყვებიც ენაზე ეკერა. მაგრამ ხორეშანის თვალებს რომ შეეფეთა, ერთს წამს შესდგა, მერე ლოქო-თვალები ღიმილით მოკიჟა, თავი დაჰღუნა და ოთახში შეაბიჯა. წარბ-შეკრული, ალანძული ლომოვიც თან შეჰყვა და აყლაყუდა ივანიჩაც დაედევნა, რომელიც იმ წამს მართლა ყურებამდე მოღიმარ წითურ აქლემს ჰგავდა.

ხორეშანმა რუსებს თვალი გააყოლა, მერე გატრიალდა და ნელი ნაბიჯით დაეშვა.

დავითიც რიხიანად და დეზების ჟღარუნით ამოვიდა და გრიგოლს ნაძალადევ სილალით ჰკითხა:

— ხომ არ მოიწყინე, გრიგოლ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რასა ბრძანებ, კნიაზო დავით! მოწყენა კი არა, ასეთ სიფრთხილეს სანახევად თუნდა მოსკოვშიც წავიდოდი, თქვენ კი აქვე გვაჩვენეთ. მეტი რალა გვინდა! უკბინა ორბელიანმა და ზურგი შეაქცია.

დავითმა შუბლი შეიკეცა და ენა მოიკვნიტა.

დავითს სუმბათაშვილი მოჰყვა. გრიგოლის პასუხმა და ამრეზილმა დუმილმა ორივეს ნაძალადევი ფახი ჩამორეცხა. დავითმა მაღალყელიან დრაგუნულ ჩექმაზე მათრახი აიტყაპუნა, სუმბათაშვილი კი ულვაშის გრეხით განზე გადგა და ჭანდრის ტოტებს ჩააშტერდა.

ეზოში ხიშტებით მორკალული გუნდი შემოდის. წინ არსენა მოუძღვის და ისე მოალაჯებს, თითქოს იძახოდეს. „განი, გზა მოგვეცით, თორემ“... მის გვერდით პაპა მახარა შინდის კეტს მოაბაკუნებს.

არსენას ფეხდაფეხ როსტომ ჯორჯიაშვილი, ქაეთარ ჯანიშვილი, საბა დალაქი, მეველე, მერაბი, რამდენიმე „აღსაჰკალი“ და ხუთიოდე უცხო-სოფლელი მოსდევს, რომელიც იმ დღეს შემთხვევით მარაბდაში აღმოჩნდა.

საღდათებს მეორე მწკრივი მოსდევს. ზაალის გაროზგილი შინაყმები:— კარპიჩა, სევასტი, ლაშქარა და მეშთა საკაცეებით და ნაბდებით მოაქვთ.

ზაალის პაპას ოდესღაც ასიოდე ცხენი ჰყავდა და ვეება თავლა აეშენებინა. პატიმრები ამ საჯინიბოში შეიყვანეს და გაჯოხილებიც იქ შეიტანეს. ხორეშანი და ფიქრიაც შეჰყვნენ, მალამო, წყალი და არტახები შეიტანეს და მაიორ-ზაალის ნახელავის დაბუშებას შეუდგნენ. აზნაურები კი განზე შეჯგუფილიყვნენ და ისე ჩურჩულებდნენ, თითქო პირს ჰკრავდნენო.

სტუმარ-მასპინძლები აივნიდან გადმოსცქეროდნენ. არავინ კრინტიც არ ამოიღო. მარტო ზაალი დააბაკუნებდა ფიცხად და მარცხენა ულვაშს იგრეხავდა. მისმა დედამ თითქო განგებ შეარცხვინა ხაქვეყნოდ. მარაბდაში ფეხსაც არავინ გაიკაწრავდა, რომ უფასო მკურნალის—ხორეშანის ხელში არ ჩავარდნილიყო.

— საქართველო ბაჯიაშვილებისაა, მარაბდა კი ჩემია.—ამბობდა ხოლმე ხორეშანი და თავის სამფლობელოში მუდამ ბაჯიაშვილობდა.

ზაალი შესდგა, მოტრიალდა და სისხლიანი ხელები თავის დედის სათნოებას ამოაფარა:

— ვეჟო!—წამოიძახა, —დარეჯან დედოფლის ნამეგობრალი, დედა-ჩემი ხორეშანი, ეხლა ჩვენს ყმებს ჭუჭყიან იარებს ჰბანს და უხვევს, ამაზე თავმდაბლობა გაგონილა!

მაგრამ პასუხი რომ არ მიიღო ისევ აბაკუნდა.

ფილადელფოს ბერმა წელან რომ ყური მოჰკრა ორლოვის გვარს, უგემურად შეიქნა, რადგან იმერეთის აჯანყებიდან დღევანდლამდე ყოველი სიავე ამ ახელთან ჰქონდა დაკავშირებული.

გარდა ამისა, თავის შორეულის გახსენებისაც ეშინოდა და ამიტომ ჯერ გაპარვა მოისურვა, მაგრამ მერე მოიფიქრა: ზაალს ცალკე ვნახავ, გულს მოვულოკავ და უწინდელივით საკალმასოდ კაცს გამოვაყოლებინებო.

თავადი შალვა გამწარებული იყო და არ გამოჰყვა, მაგრამ ბერმა დააჯერა, ნაკალმასარს „ჩვენ საქმეს“ მოვახმარებო და წინ გამოიძღოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაალმა რომ ესენიც თავის აივანზე დაინახა, გაუკვირდა, ადგა, ასეთ დროს მათს მოსვლას არ ელოდა, და შეფიცხდა, რადგან ამათაც საპანაშვიდო იერი ეკერათ. შესდგა, ხელები გაჰშალა, პატარა ღიპი გადმოაგდო და წამოიძახა:

— ვეჟო, საიმისო რა მოხდა მეთქი, რომ ყველა გაბუტულა?

ყმების გაროზგვის მეტი საიმისო არაფერიც არ მოხდა, მაგრამ დიდ ბატონს რაღაც კაეშანი მოაწვა და წამლად თავის ნახელავის გამართლებას ეძებდა. ეძებდა, მაგრამ ნათესავებმა არც გამართლება აღირსეს და ვერც გამტყუნება აკადრეს. მაშინ ზაალმა თავის-მართლება თვითონვე ითავა:

— ღმერთი, რჯული, მე ამ საქმეში უბრალო ვარ—და პირჯვარი გადაიწერა,—არც კი ვიცოდი მაიორი რას აპირებდა. მითხრა, ცოტაოდენს დავაშინებო, მერე კი... მერე ცოტა მეტიც მოუვიდა, არც ჯარის მოყვანა მითხოვნია. მეტი რა გინდათ, ვეჟო!—და მის შეძახილში ბზარი და მუდარა გაისმა.

ყველამ იცოდა, რომ ზაალს დღევანდელ საქმეში ხელი იღლიამდე ჰქონდა ჩაფლული. წელან ბასილამ გაჯოხვის შემდეგ სოფელს სამხედრო ბეგარა და ყველა საბატონო გადასახადი მოსთხოვა. ზაალმა სადილიც დააგვიანა და მოუთმენლად წამოიძახა: „ვეჟო, თუ მოდიან, მოვიდნენ, რაღა!“—და დასძინა, აფიცრებს ველოდებიო.

სტუმრებს აფორიაქებული მასპინძელი შეებრალაო და უნდოდათ მისთვის უმანკოების ფირმანი მიეცათ, ოღონდ სისხლიან მარაბდიდან მალე დაეღწიათ თავი. მელიტონიც ზაალის მოზიარე იყო, მაგრამ შუბლიც არ შეიკრა და ფირმანის გაცემა ყველას დაასწრო:

— ბიძა-ჩვენო,—მოახსენა ზაალს საზეიმო იერით,—თქვენი გამტყუნება არავისაც არ უფიქრია. მთელმა დუნიამ იცის, რომ ზაალ-ბატონს ფრიად სათნო ხასიათი, ფრიად ჩვილი გული და ფრიად აღმატებული სული აქვს. თქვენზე ავი სიტყვა ჯერ არვისგან არა თქმულა. ყველა ყმებს, აზნაურებსა და მეზობლებსაც მოსიყვარულე მამად ერგებით. კეთილშობილნო, მართალს ვამბობ თუ არა?—ჰკითხა უცებ მომავალმა მარშალმა დანარჩენებს.

— მართალია... სწორეა... აგრეა.—ცალი ყბით დაუდასტურა ყველამ გარდა გრიგოლისა, რომელიც კვლავ ალგეთს გადასცქეროდა.

ფილადელფოსმა იგრძნო, რომ მისი დრო მოვიდა. საჭირო იყო ავი ჭორების გაბნევა, რომელიც იმის სახელის ირგვლივ ტრიალებდა, საჭირო იყო ზაალის გულის მოგებაც და მაიორის მოლბილებაც. „თორემ—გაიფიქრა—ნარიყალაში ან ისევ ნიჟნი ნოვგოროდში გამგზავნიან“, და ზაალს წინ აესვეტა. აესვეტა და შეჩვეულ რიტორულ მჭევრობით მიართვა:

— დიდო ბატონო, სულო განათლებულო, ღვთის მიერ მადლით ცხებულო და შუქფენილო კნიაზო ზაალ! წლისა სამისა წინა მე ღირსქმნილი ვიყავი მიღებად უუპატივცემულესისა ნებართვისა თქვენისასა, რათა მოვლენილ ვყოფილიყავ ყოველთა უაზნოთა და აზნაურთა თქვენთადმი შეკრებულებათა შესაწირავთა მათდა დიდებულისა შუამთისა ტაძრისა აღსადგენად, და ეხლაცა წარმომიდგებიან ჩემნი მაშინდელნი იდიანი თქვენსა ზედა, რამეთუ პირველ ღირს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მქნა მე უფალმან ულირსი მონა თვისი ხილვად, დიდებულისა ფლეროვანისა ბავშვისა. შემდგომად ამისა ყოველსა კიდესა ქვეყანისასა და შორეულსა მოსკოვსა და ნიჟნი ნოვგორდსა შინაც მესმოდეს აღმატებულნი ქებანი თქვენზედა.—აქ ფილადელფოსმა აუწია:--ღმერთი სიყვარული არს, და რომელი ეგოს სიყვარულსა ზედა, ღმერთი მისთანა ჰგიეს, და იგი ღვთისა თანა მისთვის პირველად სათანადო არს.რათა ყოვლისა სულითა და ყოვლისა გულითა გვრწამდეს, რომელ ქართველთა შორის პირველი გვამი ზაალ ბარათოვი არს.— და ისევ ერთი საფეხურით აუწია. —ყოველმან უწყის საქმენი შენნი და წინაპართა შენთანი წარსულსა ისტორიასა შინა. ენითა არ ითქმის და კალმითა არ აღიწერების. ულირსი და უძლურ არს გონება ჩემი, რათა ვაუწყო ყოველთა სულიერთა სათნოებანი თქვენნი ულეველნი, სიყვარული მტკიცე და პატივისცემა რელიღიისა და ერთგულება უმწიკვლო სრულიად რუსეთისა იმპერატორისა ჩვენისა ხელმწიფისა ნიკოლაოზისა და ყოველთა მისთა ნათესავთა წინაშე, რომელთა სჯულნი არიან უწმინდესნი კვალნი ნეტარებისადმი კაცობრიობისა. სათანადო იყო წელან სუფრასა ზედა ჩემმიერ შესმა სადღეგრძელოსი უდიდებულესობათა მათდა, მისისა პატიოსანისა და სამაგალითო მოხელისა მაიორისა ორლოვისა და თქვენისა ბრწყინვალებისა, გარნა ვინაითგან ჟამმა არ მომცა დაყოვნებანი, აწ კადნიერ ვყოფ თავსა ჩემსა რათა მოგახსენოთ ყოველთა ჩვენთა მადლობა სამარადო და რწმენა მტკიცე წარმოვთქვათ, რამეთუ ულეველ იქნების სათნოება თქვენი ყოველსა დაერდომილზედა, ხოლო უბიწოსა და სხივფენილსა სასახლესა ამასა შინა მოგზაურსა წყალობითა თქვენითა მიეცემის შვებანი, მადლნი და მოსასვენებელნი ყოველნი. კურთხეულ იყოს სახელი თქვენი, დიდო ბატონო, ყოველსა ქვეყანასა ზედა და მადლიერთა გულთა ჩვენთა შინა აწ და მარადის უკუნითი უკუნისადმდე, ამინ!—და ლოტბარივით დაუქნია ხელი დანარჩენებს.

— ამინ!—ღიმილით გაიმეორა ყველამ.

— ვეჟო, ამაზე მეტი რა გინდათ!—შვებით წამოიძახა გულ მოლოკილმა ბატონმა და ბერს გადაეხვია, თანაც დაუმატა:—ყოველივეს ეხლავე მოვახსენებ ორლოვს.

ბერსაც ამაზე მეტი არა ენდოდა რა. თითქმის მორკალდა, ყველას უმდაბლესი სალამი მისცა და, გაბადრული, კედელს ზავი ძეგლივით მიეყუდა.

ბიძა-ჩვენო, ეხლა კი დროა გზას გაუდგეთ.—სთქვა მელიტონმა.

გზა მშვიდობისა, შვილებო.—მისცა თანხმობა გულაჩუყებულმა ბატონმა და რიგრიგად გადაეხვია. ომში მიმავალ ორბელიანებს რომ ჩაეხუტა, ცრემლი ველარ შეიმაგრა და ასე დაარიგა:

— ყოჩაღათ იყავით... ხელმწიფე იმპერატორი გვისახელეთ... ჯვარ-მენდლები ჩამოიტანეთ, ერეკლე-თავაზე მართლა ჩვენი სადღეგრძელო გადაჰკარით და ვინძლო მეფის მოღალატე ალექსანდრეც მომგვაროთ. მაგრამ... ფრთხილად იყავით, ურჯულო თათარს თავი უბრალოდ არ შეაკლათ... ის მურდალი თქვენი სიკვდილის ღირსი არ არის.

კნეინებიც გამოგოგდენ და ხვევნა-კოცნას დასასრული აღარ უჩანდა: ნამეტნავ ქალები აჩუყდნენ. ზაალმა მაიორი და ლომოვიც გამოიყვანა და მიმავლებს უსიტყვოდ შეარიგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტატე! ტატე!—ეძებდნენ ამ დროს ნიკო ბარათაშვილს, მისი დედა ეფემია და სხვებიც.

ტატე, ილიკო და გარსია საჯინიბოს ჭერში იპოვეს. ბალღებს უნდოდათ წელან კნეინა ხორეშანს შეჰყოლოდნენ, მაგრამ სალდათმა არ შეუშვა. საჯინიბოს ასავალი არა ჰქონდა და მოზრდილებს ვერ გაეგოთ, როგორ ასულიყვნენ. ბალღებმა ზევიდან არსენას ხმა მიაწვდინის, მაგრამ მან ნიშანი მისცა და გაჩუმა.

ტატე ნამტირალი იყო და ეხლაც გაუკაპასდა:

— არ მინდა... სანამ არსენას არ გაუშვებთ, არ წავალ... არ მინდა...

ზაალმა და მაიორმა პატიოსანი სიტყვა მისცეს, რომ მის ძმობილს მზის ჩასვლაზე გამოუშვებდნენ, და ოდნავ დააწყნარეს.

საჯინიბოდან ხორეშანი გამოვიდა. ეხლა მას სხვაგან მიჰქონდა თავის მალამო, მოკითხვა და გამწყრალი შუბლი. ომში მიმავლები შემოეხვივნენ და აატირეს. ძალიან ბევრი ეხახა მას ომში წასული, ჯანსაღად დაბრუნებული კი მეტად მცირე. შემწვარ ვაშლივით აღმეჯილმა კნეინამ ორბელიანებს ჯვარი გადასახა, მოკლე ლოცვა დასჩურჩულა, ყველას შუბლზე აკოცა, დანარჩენებსაც მოუალერსა და ჯოხის ბაკუნით სოფლისკენ გაემართა. ნისმა შვილმა და მაიორმა მას ნაწყენი თვალი გააყოლეს, მაგრამ ვერ დაუშალეს, სიტყვაც ვერ შეუბედეს. სანამ ხორეშანი ეზოს გასცილდებოდა, ყველას თვალი მასზე ჰქონდა მიბჯენილი და ყველა სდუმდა, მერე კი ისევ ალაპარაკდნენ.

ელიზბარ მაღალაშვილმა დარო ცარიელ ოთახში იხელთა და რამდენჯერმე აკოცა, თანაც ბუტბუტებდა:

— ომში მივდივარ... მშვიდობით. არ დამივიწყო... ჩემი ხარ, ფიცი გაქვს ვოცემული და არ გასტეხო. დავბრუნდები და ვიქორწინოთ. აბა, შენ იცი.

დაროც ეხვეოდა და ლოყებს ცრემლით უსველებდა. აქამდე ბეღურასავით ტიტინებდა, ეხლა კი პირველ მამაკაცის ტუჩებმა ისე ააღელვა, რომ სიტყვა ველარ ეპოვნა.

— არ დამივიწყო.—ერთხელ კიდევ ჩასჩურჩულა ელიზბარმა და გარეთ გამოვარდა, დარო კი შეფერხდა, რადგან ჰსურდა ცრემლი შეეშრო და ჩამოშლილი თმაც გაესწორებინა.

ეფემია, მელიტონი, ილიკო და ტატე ტარანტასზე დასხდნენ, ორბელიანები და ელიზბარი კი ცხენებს მოახტნენ და შორიახლო გაჰყვნენ. შემდეგ ეზოგალავანს მიეფარნენ და მალე ეკვენების ხმაც შესწყდა.

ერთ წამს ეზოში მკვდარი სიჩუმე ჩამოწვა. ზაალი მოტრიალდა და ბერის თვალებს შეჰხვდა, სადაც წყალობის მოლოდინი ეწერა. უცებ ბატონმა უცნაური მოდუნება იგრძნო. იქვე მოურავი იდგა.

—ფირუზ,—ბრძანების ნაცვლად თხოვნის კილოზე მიმართა ბატონმა,—ამ ბერს, ხვალვე, ქალაქში სამი თაღარი ხორბალი, ოცი ჩანახი ლობიო, ათი ჩაფი ღვინო და ის მერეშა ძროხა გაუგზავნე.

ბერი ბატონის უნდილ ხელს ორივე ხელით ეცა და ხოტბის შესხმას მოჰყვა, მაგრამ ზაალი ყურს აღარ უგდებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბატონო,—სთხოვეს აზნაურებმა,—ნება გვიბოძეთ ჩვენ-გვახლეთ
წადით, შვილებო, კიდევ უფრო დაუმდაბლა ხმას ზაალმა,—თქვენც
წადით და თქვენს ყმებს ჩემი სათხოვარი გადაეცით: ამ ჯარს ნუ აუხირდებიან,
თორემ...—უნდოდა ეთქვა: თორემ მარაბდელის დღე დაადგებათო, მაგრამ სიტ-
ყვა შეაბრუნა: თორემ ძალიან ნეწყინება. ხელმწიფესაც თავის ბეგარა მისცენ
და მეც ჩემი მომართვან... მომიკითხეთ თქვენიანები... მშვიდობით იყავით...

აზნაურებმა ცხენები ეზოდან სადავით გაიყვანეს და იქ შესხდნენ.

ზაალმა იქაურობას თვალი მოავლო. ზალვა ადრევე წასულა, სამაგიეროდ
აქვე არიან მისი შვილი დავითი, მაიორი ორლოვი, სუმბათაშვილი, ლომოვი და
ხუთიოდე ახალმოსული აფიცერი. წინაყმებიც აქვე ტრიალებენ. აქვე ორასზე
მეტი სალდათი აზლარბებულა. ყველაფერი რიგზეა. ყველგან წესი და უმიშროე-
ბა სუფევს. მაგრამ ვეება ეზო და მარაბდაც თითქო მაინც დაცალიერებულიყო
და დიდი ბატონი მარტოდ-მარტო დარჩენილიყო—უმწეო, უპატრონო, ყველა-
საგან მოძულებული, დაწყეველილი და დევნილი.

და მრისხანე ბატონს გული შეეკუმშა, შიში ჩაუსახლდა, წუხლები აუკან-
კალდა.

— მამა, ავად ხომ არ გახდი?—ჰკითხა დავითმა და იღლიაში შეუჯდა.

— ჰო, შვილო, უქეიფოდ გავხდი... წამიყვანე.

და შიშმორეულმა შვილმა ფეხარეული მამა ძლივს აიყვანა აივანზე.

* * *

კნეინა ხორეშანი თავის მედროშესთან მიეშურებოდა. ქუჩა სალდათებით
იყო გაჭედილი, რომელნიც მარაბდის ქალბატონს გზას არ აძლევდნენ და მის
მოახლე ფიქრიაზე უშვერ ოხუნჯობას რობავდნენ. უნცროსი აფიცერი გიგოლას
დახმარებით შედგენილ სიაში იხედებოდა და დროგამოშვებით ფელდფებელს
განკარგულებას აძლევდა:

— აქ ხუთი კაცი ჩააყენე... იქ ოთხი... აქ ექვსი.

სალდათებიც მშიერ მგლებივით შედიოდნენ შიშით თვალდაჭყეტილ სახ-
ლებში. აქაიქ ბავშვების ღნავილი ისმოდა. იქვე სადმე გლეხები დაშინებულ უც-
ხოელებივით იდგნენ და ჩუმი ბოლმით ცახცახებდნენ. დედაკაცები ბნელ კუთხე-
ებში მიკუნჭულიყვნენ და თვითონაც არ იცოდნენ როდემდის დაიმალებოდნენ და
როგორ გადაარჩენდნენ თავიანთ ქალიშვილებს, ლეჩაქს, საკვებს, საქონელსა და
წვრილმანს.

ერთ სახლში სალდათები ჯერჯერობით დერეფანში დალაგებულიყვნენ.
ფარდაგი გამოეტანათ, ჩექმები დაეხადნათ, „პორტიანკები“ გაეფინათ და თვა-
ლებით სჭამდნენ დიასახლისს, რომელიც იქვე გასაშრობად გაფენილ ხორბალს
ჰკრეფავდა.

ბეორეგან ბოჩოლა დაეჭირათ და ხარბად სინჯავდნენ თითებით, ალბათ
დასაკლავად ამზადებდნენ.

ბესამეგან ხნიერი გლეხი მოემწყვდიათ და სიცილით თხოულობდნენ:

— გვინო დავაი, კაცო, გვინო, პანიმაეშ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვაგან უკვე მიეგნოთ ჭურისთვის, სარქველი მოეხადნათ და ტოლჩით სვამდნენ, თანაც იფურთხებოდნენ და პატრონს დედ-მამის საფლავს უთხრიდნენ.

— დაიჭი, არ გაუშვა!—მოისმა სალდათების ხარხარი მარცხნივ, და ლობეს ნასყიდას გასათხოვარი მართა გადმოევლო.

— ქალბატონო, მიშველეთ!—შესძახა და კნეინა ხორეშანს ეცა.

ხორეშანი შესდგა და მდევარიც თვალის ელვით შეაყენა. სალდათებმა უმალვე ჩაყლაპეს სიცილი.

— გიგოლი, მიჰმართა კნეინამ თავის „შვილის-შვილს", რომელსაც სხვა დროს ხმის გაცემასაც არ აკადრებდა ხოლმე,—გიგოლი, მგონი რუსული იცი და მაგ ვაჟბატონს ჰკითხე, ეს ჯარი სპარსეთშია თუ საქართველოში?

აფიცერმა თარგმანი მოისმინა, გაიღიმა და გიგოლას პირითვე უპასუხა:

— ჩვენთვის სპარსეთიც და საქართველოც სულ ერთია, ქალბატონო.

— ოღონდაც!—უმალვე დაეთანხმა ხორეშანი თავის-ქნევით და გზა განაგრძო. მართაც გაჰყვა, მაგრამ ალაგი იხელთა, გასხლტა და ერთ მიწურში თხუნელასავით ჩაცურდა.

ოთხ კაცს ნაბადზე პირქვე გაწოლილი დათუნა მოაქვთ. მაგდანა შავი ალქაჯივით მოალაჯებს. ხშირი თმა ჩამოსწეწია და თვალები ნაკვერცხლებივით ეწვის. შინ შეიტანეს და ტახტზე დააწვინეს. ხორეშანიც შეჰყვა და მაგდანას მოკლედ მოუჭრა:

— წყალი გამითბე.

ზედადგარზე წყალი იდგა, წელან ფლავის მოსახარშად შეედგა. მაგდანამ ბადიაში გადმოასხა და ძმას გვერდით მიუდგა. დათუნამ უნდილად გააბილა თვალები და ფიქრიას მორცხვად გაუღიმა და შალვარი შეისწორა. ფიქრიამ თვალები დახარა, ბოლჩა გახსნა და დაიმკლავა.

— ქალბატონო, ნუ სწუხდებით... საჭირო არ არის.—ამოიკვნესა დათუნამ და ფიქრიას მუდარით შეხედა.

— ფიქრიავ, ცოტა ხანს დერეფანში მოგვიცადე.—უთხრა მაგდანამ, რადგან ძმას მორცხვობა შეატყო.

არსენას დაჰ გახარებული გამოვარდა და დერეფანში ჩამოჯდა. მცირე ხნის შემდეგ მაგდანას ეზოს სალდათების გუნდი მოადგა.

— აქ შვიდი კაცი ჩააყენე.—უთხრა აფიცერმა ფელდფებელს.—მლვდელია, მსუქნად იქნება, გაუძლებს.

სალდათებმა რომ ფიქრია დაინახეს, ღრეჭა მორთეს და თვალები ააცეცეს.

— ამ სახლში მე ჩავდგები... მეც... მეც მინდა.

ხორეშანი გამოვიდა. მაგდანაც გამოჰყვა, მაგრამ სალდათები რომ დაინახა, ფერი ეცვალა და კარშიეე შესდგა. ხორეშანი შიშის მიზეზს მიუხვდა. მოუბრუნდა და ჩუმი ხმით უთხრა:

— ნუ ენდობი. ღამ-ღამობით ჩემთან გადმოდი ხოლმე.

ამ დროს ზურამ დერეფანში პაპა აბრამი შემოიყვანა.

— ქალბატონო, რა დროს მოვესწარით!—შესძახა თავის ტოლს კნეინას კარის მოძღვარმა.

— დაგავიწყდა, მამაო აბრამ,—უპასუხა ხორეშანმა,—ურესიც გვინახავს.

— ურჯულოსგან გვინახავს, დიდო ქალბატონო, გარნა ქრისტიანთაგან განა ამას მოველოდით?

— მე ველოდი და უარესსაც ველოდები.—უპასუხა ხორეშანმა და დაუმატა:—ღმერთმა მოთმინება მოგცესთ.

და უნდოდა წამოსულიყო, მაგრამ ზურას გადახედა და შესდგა. ჭაბუკს ორივე ხელი ისე მოეჭიდა ხანჯლისთვის და ისე სჭამდა ღველფიანი თვალებით სალდათებს, თითქოს ის-არის მახვილი უნდა ეშიშვლა და დასტაკებოდაო.

— აქ მო.—დაუქნია თითი ხორეშანმა, და როცა ჭაბუკი წინ აეშოტა, ყური მოუწია და რბილი ხმით უთხრა:—ცუდი ფერი გადევს. ფათერაკს არ წაეკიდო. რა გაცახცახებს, ბიჭო?

— ბიძა შემირცხვინეს... ერეკლეც... ეხლა აქაც ჩაგვისახლდნენ... თავი ცოცხალი რაღად მინდა, ქალბატონო?—მკრეოლავი ხმით ამოიძახა მაგდანას ერთამ.

— ნუ მიჰქარავ!—შეუტია კნეინამ.—რა ქვეყნის მხსნელი ჰგდიხარ, რომ აგრე ამრეზილხარ?! კრინტიც არ დასძრა, თითიც არ გააქნიო, თორემ...—და მაგდანას მიუბრუნდა:—ამაღამ რომ წამოხვალ, ეს ტუტუციც თან წამოიყვანე.

და ასაკლებად შემზადებულ სოფელში წავიდა.

* * *

გრილი მზე ალგეთის ხევზე გადაგორდა, დურნუკის სერზე დაჯდა, მცირე ხანს შეყოყმანდა და უცებ ჩაგორდა. მანგლის-ბირთვისის მხრიდან ცივი სიო წამოვიდა, ხოლო ჭალებიდან თხელი ბინდი ამოცოცდა და თან შემზარავი შიში ამოიტანა.

შორს, ხრამის წყლის გაღმა, ბორჩალოს და ლორის საზღვარზე, ლელვარის თოვლიანი მწვერვალი წითლად იწოდა, ხოლო გამოღმა, მარაბდის ზემოთ, თრიალეთის თეთრი ქედი ბზინავდა. ღოუბანის თავზე, კოჯრის მხარეს, აზეულას ციხე ცამდე აწეულიყო და მზის უკანასკნელ სხივებში ოქროს ვეება ბოძივით ლივლივებდა.

მარაბდელთა ნახირი სოფელში შემკრთალ ბღავილით შემოვიდა. მენახირენი გაოცებას იყვნენ: ნახირი ფორხილით მოდიოდა, წამდაუწუმ სდგებოდა, ჰაერს ჰყნოსავდა და ისე იწევდა უკან, თითქო წინ, მარაბდაში, მგლების ხროვა ელოდებოდაო.

ნახირს ალღომ არ უმუხთლა. ეკლესიის ქვემოთ, მაგდანას სახლთან, რამდენიმე სალდათი, ინტენდანტი და ნაბუშარი გიგოლა გადაელობა. ნაბიჭვარმა ნახირს თვალი მოავლო და სალდათებს მიუთითა:

— აგერ ის ჭრელი ძროხა... აი ეს დეკეულიც... აგერ ისიც... დღეს და ხვალ გვეყოფა?

— გვეყოფა.—დაეთანხმა ინტენდანტი.

სალდათებმა სამი საკლავი მოიმწყვდიეს, დანარჩენი კი ბღავილით გაიფანტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგდანა დერეფანში იდგა და თავის ერთად-ერთ „თანგრეკამას“ ელოდა, რომელიც თავაწეული მოაბიჯებდა შინისკენ; და უცებ ვიღაც უცხომ კისერზე ქამანდი მოსდო და ქვეით დაითრია.

ქვრივი კარებს ეცა, გამოიხურა, რაზა მაგრა დაიჭირა და გაშეშდა, თანაც ეშინოდა, სიმწარისგან არ დაეკივლა, ან შინიდან ზურა არ გამოსულიყო და მინათრევი ძროხა და გიგოლას დუჟიანი ღიმილი არ დაენახა, თორემ... ეშინოდა, რადგან ერთად-ერთი ვაჟი ჰყავდა და ისიც იცოდა, რომ დღეს ან ხვალ, ამ უბადრუკ ნაბუშარს, „ჯიშიან ჯორისა და დედალ ვირის ჩამომავალს“, ერთ-ერთი მიახჩობდა: ან ერეკლე ან კარპიჩა, ან სევასტი, ან მეშთა, ან ლაშქარა, ან მისი ზურა. და როცა საკლავი ღობეს მიაფარეს, რაზაც მაშინღა დაუშვა და კარებსაც მოშორდა. და ზურაც სწორედ ამ დროს გამოვიდა.

— გამოვიდა და—ჩვენი ძროხა? — იკითხა.

მაგდანა სდუმდა.

— დედი, ძროხა არ მოვიდა?

— არა შვილო...—ველარ გასძლო და კვნესით დაუმატა: — არც მოვა.

— რატომ არ მოვა?—გაიკვირვა შვილმა.

— იმიტომ რომ... ამათ ჭამა უნდათ. და სალდათებზე მიუთითა, რომელთაც ის-იყო იარაღის წმენდა დაასრულეს და შინ შევიდნენ.

მაგდანაც შეჰყვა, ზურა კი გზაზე გავარდა და ქვეით დაეშვა. უნდოდა ხანჯალიც წაეღო, მაგრამ დედამ წელან ყველაფერი გადამალა—შვილისაც, მამისეულიც, არსენასიც და ქმრისეულიც: ხანჯლებიც. დამბაჩებიც და თოფებიც.

მაგდანა სალდათების მოსვლისთვის დაემზადა, მაგრამ ის კი აღარ მოიფიქრა, რომ „ყოველივე გლეხისა ეკზეკუტანტებისა იყო“. ოთახში შესული სალდათები უმალვე დაეპატრონენ ქვრივის სკივრს, ლოგინს, ტახტებს, ჭურჭელსა და კაბა-კუბასაც.

პორტიანკებისთვის გამოგვადგება.—განაცხადა ერთმა და კაბა ჰაერში ააფრიალა. მერე სიცილით დაუმატა:—შენც გამოგვადგები, ბაბა... მათუშკა.

და მაგდანას მიეტანა. დედაკაცი ცეცხლმოდებულივით გავარდა მეორე ოთახში, სადაც დათუნა იწვა და მღვდელი აბრამი სთვლემდა. გავარდა და უსიტყვოდ დაეშვა ტახტზე. ბოლმა ყელში ჰქონდა გახირული და თვალებზე ცრემლი აწვებოდა. ქვრივი არასოდეს ესოდენ უმწეო და უძალო არ ყოფილიყო: პაპა—თითქმის დავარდნილი, მამა—გარდახვეწილი, ქმარი—მოტაცებული, ძმა—ლოგინად ჩავარდნილი და შვილიც... თუმცა არა, არასოდეს! ყველას გაიმეტებს მაგდანა, ყველას გადაჰკიდებს ხიფათს და შვილს კი ვერ დასთმობს, ფათერაკს ვერ მიაკარებს!

მამა აბრამმა ჩაახველა, გოგირდის წუმწუმით ქონის სანთელი აანთო, ბურანში წასულ დათუნას დაანათა, ოხვრის ნაცვლად ღრმად ამოიხრიალა, იქვე ჩამოჯდა და თვითონაც ბურანში შევიდა, მაგდანა ვერც კი დაინახა.

მეორე ოთახში სალდათები ოხუნჯობდნენ, განჯინაში ჭურჭელს აჩხაკუნებდნენ და ჭრელი თუნუქებით შეკედილ სკივრს აწვალებდნენ. ქვრივს ესმოდა, რომ იქაურობას აქოთებდნენ და სძარცვავდნენ, მაგრამ ნაჭარბი განცდებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმდენად იყო დაქანცული, რომ ხალისი აღარ ეყო რაიმე ღონისძიებისა. საკუთარი მონაგარი გადაერჩინა. კედელს მიეყუდა და მოღლილი თავი ავ ხისს მისცა. ერთი წამით ზურა გაახსენდა და შეირხა, მაგრამ გაიფიქრა: „ალბათ ერეკლესთან გადავიდოდა“, და კვლავ მოდუნდა.

ზურა კი ზაალის ეზოში შეიჭრა, საცა ორი სალახი სალდათი მის ძროხას ორი მხრიდან მისდგომოდა და ატყაკებდა. სხვებიც იქვე ტრიალებდნენ, ლაზღანდარობდნენ, თამბაქოს აბოლებდნენ და „კაშას“ ელოდებოდნენ, რომელიც თვალებზე შემდგარ ვეება ქვაბში იხარშებოდა.

ჭაბუკი ჯერ შესდგა, რადგან არ იცოდა ვისზე ამოეყარა მოწოლილი ბოღნა, მერე მომაყალ გიგოლას მოჰკრა თვალი, გზა გადაუღობა და უმალვე ისე მძლავრად გაჰკრა სილა, რომ დარეტიანებული ნაბუშარი ბღავილით გაერთხო მიწაზე. და იმავე წამს აივნიდან ზაალის ხმაც მოისმა:

— დაიჭით. „დერეკი ემუ, დერეკი!“

ზურა არც აპირებდა გაქცევას. გიგოლას თავზე ედგა და მის ადგომას ელოდებოდა, რათა ერთხელ კიდევ ეკრა, ან ყელში სცემოდა და ჭირიანივით მიეხრჩო, ხოლო წაქცეულის ცემას არ კადრულობდა, რადგან წესი არ იყო და სახელს გაიტეხავდა.

— ვეჰო, ასეთი ამბავი გაგონილა!? — ყვიროდა ზაალი და კიბეზე მოგორავდა. — ბატონს ყმა წინ მოუვარდეს და ერთგული კაცი გაულახოს?! დერეკი ემუ!

ბატონის ყვირილით წაქეზებული „ერთგული კაცი“ ზეზე წამოდგა და ხელები გაასავსავა, მაგრამ, ერთხელ კიდევ ნაკრავმა, კვლავ დაიბღავლა და ისევ ერთგულად გაიშლართა.

დერეკი, გოგორიშ ტებე! — მიუბრუნდა ზაალი სალდათებს, რომელნიც მოჩხუბართ გარშემო მოხვეოდნენ და სანახაობის დასასრულს ელოდებოდნენ. — დერეკი ი ნა კანუშნა ბალაკი, ჩქარა! — უკვე უბრძანა ზაალმა.

მოურავებიც მოცვივდნენ, ზურა წინ გაიგდეს და საჯინიბოში შეაგდეს.

გიგოლა ნაგვიანევად იმუქრებოდა და იბილწებოდა, ხოლო ზაალი კიდევ კარგა ხანს იხერხებოდა:

— ვეჰო, ამაზე მეტი რა გინდათ! ბუნტია მეთქი, მაშ რა ჯანდაბაა! არსენა ყმებს ამხედრებს ჩვენზედა, ეს ციხგლიანი კი ეზოში მომივარდა და ერთგული ბიჭი გამილახა! ბუნტია მეთქი, მაშ რა ოხრობაა!

მოურავებიც თავს უქანქარებდნენ და უდასტურებდნენ:

— ბუნტია, შენი კვნესა მე, ბუნტი.

* * *

კნეინა ხორეშანი რომ საჯინიბოდან გავიდა, პირქვე მწოლარე კარპიჩამ თავი ასწია და დაიძახა:

— აბა, ბიჭებო, აქ მოგროვდით!

მეჯინიბეთა „ოთახი“ დაბალი დარაბებით იყო მოვლებული და გაჯობილები ქეჩით დაგებულ ფიცრებზე ეყარნენ, ხოლო პატიმრები აქა-იქ აყუდებუ-

ლიყვნენ, ან ბნელ საჯინიბოში დაბორიალებდნენ. ბოძზე ძველ-ჩაქოდული ქონის ჭრაქი მოლობილ ალაგს ოდნავ ანათებდა და მთელ საჯინიბოს აყროლებდა.

არსენა ბუხრის თავზე იყო დაბჯენილი და იქვე, ბუხრის მარჯვნივ და მარცხნივ მწოლარე კარპიჩას, სევასტის, მეშთას და ლაშქარას დასცქეროდა.

მან ეს-არის ეხლა გასინჯა და ფიქრიასთან ერთად გაჰბანა მეგობართა წყლულები, გაბერილი კოპები, შედედებული სისხლი და დაფლეთილი, ჩაშავებულ-ჩალურჯებული ხორცი, რომელსაც თითქოს ალმური ასდიოდა, და გულში უხაროდა, რომ არც ერთმა გაჯოხილმა გმინვა არ ამოიღო. მხოლოდ ჩუმი კვნესა და კბილების კრაჭუნილა ისმოდა.

გაჯოხილ მეგობრებს დასცქეროდა ოძელაშვილი და უცნაურად იღიმებოდა. იღიმებოდა და ამ ოდნავ ღიმილში მრავალი რამ ჩაექსოვა: თავის დანაშაულიც და ღრმა სიბრალულიც, უძირო ზიზღიც და მრისხანე მუქარაც. ეხლაც ცხადლივ ხედავდა წელანდელ სურათებს—საჯარო გაშიშვლებას, საქვეყნო შერცხვენას, დამსკდარ ხორცს, სისხლსაც და კოპებსაც, და ეჩვენებოდა, თითქო თვითონ არსენაც გაეჯოხათ, თითქოს ისიც აშკარად შეერცხვინათ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აი ამ ვაჟკაცებს ზურგები, გავები და ბარძაყები დაუფლითეს, ოძელაშვილს კი „ეს ოხერი“ გული დაუფხრიწეს, ცეცხლზე შეუწვეს და ისევ საგულეში ჩაუდეს.

ეეჰ, ნეტა არსენაც ამათთან ერთად გაეწვინათ და მისთვისაც დაეკრათ! ხორცი ეტკინებოდა, მაგრამ ჯანდაბას ხორციც და მისი კვნესაც! ხორცი ისევ ხორცია და მეტი არაფერი, გული კი... გულიც ხორცია და კიდევ „რაღაც ტიელი“, და სწორედ ეს ტიელია, რომ დაბალ ჭერს ასე უხმოდ შეჰბღავის და შეჰღრიალებს.

მწოლარეთა ფეხებთან პაპა მახარა, ქავთარა, მეველე, დალაქი, მერაბი და ჯლსაჰკალები ჩამომსხდარან. როსტომი ჭრაქის ქვეშ ბოძს მიჰყუდებია და ჯეჯილ-წვერს იწიწვნის, თანაც უცნაურად იღიმება. კედლებსა და ფიცრებზე მათი ჩრდილები თრთის, რადგან ჭრაქის ცეცხლიანი ენაც ცახცახებს, ხან ძაღლის ენასავით ლაქლაქებს და ხანაც ვერხვის ფოთოლივით კანკალებს.

— ბიჩებო, ნუ დაღონებულხართ!—დაიწყო ხელახლა კარპიჩამ.—როზგი ტკვენთვის არის ახალი ხილი, ტორემ მე მეშვიდეჯერ დამკრეს.

შპიცრუტენი გინახავთ? არ გინახავთ? მაშ მე გეტკვით: ერთ როტა სალდატს ორპირად დააკენებენ. კველას რკინის თითო ზუმბას მისცემენ. ვინც გასაროზგია, გაატიტვლებენ და შუაში შეუგდებენ. ბოლოში უნდა გავარდეს. კველამ ის ზუმბა მაგრა უნდა დაჰკრას, და ვინც ნელა დაჰკრავს, იმასაც გააშიშვლებენ და შუაში შეაგდებენ. გაიგეთ?

— კარპიჩ, შენც მოგხვედრია ეგ რუტენი თუ რაღაც ჯანდაბა?—ჰკითხა. მეველემ.

— სამჯერ მომხვდა. ტანი ეხლაც დასერილი მაქვს. მაგრამ დრო მოვა და იმ გენერალ-აფიცრებს მე თვითონ გავაშიშვლებ, ჩემისთანა გაროზგილებს მივუგდებ და კველას გახურებულ ზუმბებს დავურიგებ. უკურეთ მაშინ სეირსა, ახა-ხა! ოხო-ხო! იხი-ხი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თითქოს ამ სურათის სანახავად წამოიწია, მაგრამ ტკივილ[illegible] ხელი-მიჯა, დაიკვნესა და ისევ პირქვე დაეცა, თანაც ბოლმით იხრჩობოდა.

— დედას გიტირებთ მაშინა, დედასა! პუგაჩოვიც კი მოგვენატრებატ, მაგრამ გვიანგა იქნება, გვიანა!

საჯინიბოში სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ცხენები ახრაბუნებდნენ და დროგამოშვებით ფრუტუნებდნენ.

ბოლოს არსენას ხმაც გაისმა. თავი ჩაიქნია და თავისთვის ჩაიჩურჩულა:

— ჩემი ბრალია. მე აგაფორიაქეთ.

ყველამ არსენას შეხედა და გაჯოსილებმაც წამოიაედეს.

— რა შენი ბრალია!—იკითხა როსტომმა.—ის ულმერთონი რომ მოგვესივნენ, არც კი იცოდნენ, სამტროდ შეეიკრიბენით თუ სამშვიდობოდ.

— არც გავძალიანებულვართ, არც ხმა ამოგვიღია.—დაუმატა ქავთარამ.

არც კი გკითხეს, ჩვენ რა გინდოდათ.—ჩაურთო მეზთამ. მაშინვე მოგესივნენ და გირტყეს და გირტყეს.

საჯინიბოში ჩუმმა სიცილმა ჩაირბინა და უმალვე შესწყდა. პირქვე მწოლარე სევასტიმ ფიცრებს ჩაულაპარაკა:

— პურ-მარილიც რომ მიგვეტანა, ქე მაინც გვირტყამდენ. ის მაინც შეგვრჩება, რომე პაწია ვიყვირეთ. აწი დრო მოტრიალდება და იგინი იყვირებენ. არსენ, შენ აფერი ბრალი არა გაქვს და ტყვილა ნუ ლაპარაკობ.

— მართალია! /აგრეა! დაუდასტურეს აქეთ-იქიდან.

არსენას გულს მოეშვა. იყუჩა და მერე ხაბაზს ჰკითხა:

— კარპიჩ, ერთი მითხარი, რა უფრო გეტკინა, ჯოხი თუ გაშიშვლება?

ხაბაზს ეს კითხვა ეუცხოვა:

— რა ტკმა უნდა, ჯოხი. ხვალ შენც გაგაცვენენ და მაშინ ნახავ.

არსენა შეკრთა და უარესად გაფითრდა. მკლავები ბუხრის თავიდან ჩამოიღო, ოდნავ წინ წამოიწია, ბინდ-ბუნდში თვალები ორი ჭრაქივით გაანათა და ჩაიხრიალა:

ხვალ... მეც გამაწვენენ? თუ ხვალამდე დავაცდევინე, მირჩევნია ორმოცის ნაცვლად ასი დამკრან, თუნდაც ორასი, ოღონდ... ოღონდ ნუ გამაშიშვლებენ, ორემ...—და გაჩუმდა.

— შე კაი კაცო, გაშიშვლებამ მაგრე როგორ შეგაშინა?—გაოცდა კარპიჩა.

— შემაშინა, რუსო, ძალიან შემაშინა. ვაჟკაცისთვის გაშიშვლებას თავის მოჭრა სჯობია. სირცხვილია, ჩემო კოჭლო, სირცხვილი. სირცხვილი კი ჯოხზე უფრო მწვავეა. გაიგე?

— აგრეა!—მართალია!—დაუბეჭდეს აქეთ-იქიდან და სხვანაირ ხნეობაზე აღზრდილი კარპიჩა გაოცებული დატოვეს.

არსენა ისევ ბუხარს მიეყუდა, იყუჩა და—

— პაპა-ჩემო, გვითხარი რამე.—უთხრა მახარას.

— რა გითხრათ, შვილო?—წაიჩიფჩიფა ას-წლოვანმა, რომელიც ორივე ხელით ჯოხზე დაბჯენილიყო და თეთრი თავიც ზედ დაედო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გვითხარი, ასეთი ამბები შენს დროსაც იყო?

— იყო შვილო, ბევრი რამ იყო, მაგრამ როზგი და კაცის გატიტვლება არ ყოფილა.

— მერე, რამ მოიტანა ეს როზგი?

— დროებამ, შვილო, დროებამ მოიტანა.

— მერე, პაპა-ჩემო, ჩვენ რაღა ექნათ? — არ ისვენებდა არსენა.

— ამყოლს აჰყე და დამყოლს დაჰყეო.—ურჩია ასწლოვანმა.

— მაშ ყველაფერი მოვითმინოთ? — ჰკითხა შვილის-შვილმა. — ჩავიხადოთ და გავუწვეთ?

— თუ კი ჩვენ ვითმენდით, თქვენ რაღა წითელი კოჭები ხართ? ურჯულოები კალოზე გვლეწავდნენ, ათასობით მტკვარში გვყრიდნენ, გვასაჭურისებდნენ, სათათრეთში გვყიდდნენ და ჩვენს ორსულ ქალებს მუცლებს უღადრავდნენ, თქვენ კი განებივრდით და ხუშტურები შეგეყარათ.

— ესეც ღვთისავარის კვალზე დადის.—სთქვა როსტომმა.

პაპა-ჩემო, ბრძოლაში რომ დროშას მიაფრიალებდი, შენს მომდევნო ჯარსაც აგეო ჭკუას ასწავლიდი?—ღიმილით ჰკითხა არსენამ.

პაპას თითქოს უჩხვლიტესო: წამოდგა, გასწორდა, სიმაღლით არსენას ასცდა და მოუჭრა:

— ჩემ დროშას სხვანაირი ხალხი მოსდევდა. ჩვენ საკინკლაოდ არ გვეცალა. ყმა და ბატონი თქვენსავით ერთმანეთს არა სჭამდა. იარაღს ხელიდან არ ვუშვებდით და გაუხდელად გვეძინა. ათი კარი გვქონდა ჩასაკეტი და ერთს რომ ვეცემოდით, ამ დროს ცხრას გვიმტვრევდნენ. ყმამ თავისი იცოდა და ბატონმა კიდევ ბატონისა. ოძელაანთ მარტო წყლის ზიდვა და ცოტაოდენი ლალა ევალებოდათ. ერთი გოგოც ასდიოდა. ბატონსაც ათასი საქვეყნო საქმე ეკისრებოდა. ეხლა კი ბატონს საქმე გამოელია. ქალაქში ცხოვრებას შეეჩვია, აზეულას კოშკივით დაგვაწვა და...

— კაცო, ჩვენც მაგას ვჩივით.—წამოიწია კარპიჩამ.—უნდა დზირს გადმოვაგდოტ ეგ ოხერი კოშკი, უნდა დავანგრიოთ მეთქი.

მახარას თითი გაშვერილი შერჩა. უკბილო პირი კარგა ხანს აცმაცუნა, ყველას თვალი მოავლო და გაოცებით ჩაიჩიფჩიფა:

— თქვენ უნდა გადმოაგდოთ?

— ჰო, პაპილო, ჩვენ უნდა გადმოვაგდოთ.—უმალვე უპასუხა არსენამ.

— ჩვენ, აი ჩვენა.—აიბაგუნა მკერდზე მუშტი კარპიჩამ.

— თქვენა?—უნდობლად და ოდნავი დაცინვით იკითხა ბებერმა მუხამ.

— ჰო, ჩვენ, ჩვენა მეთქი!—შესძახა წამოწეულმა კარპიჩამ.

— ჩვენა, მაშა!—შეჰყვირა მეშთამაც.

— არ გვენდობი თუ?—გაულიმა სევასტიმ.

მახარამ გაშლილი ხელი კვინიხზე მიიდო, გაჯოხილებს დააშტერდა და გაოცებით ჰკითხა:

— ვითომ თქვენ კიდევ გამოდგებთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე?—გამწარდა კარპიჩა და პერანგის ამარა მიწაზე ... მე? მე აგარ გამოვდგები?—წელში გასწორდა, გამხდარი და ძარღვებისგან შეკრული მკლავი ვილაცას მოუღერა და კბილების კრაჭუნით ამოიხრიალა:—პაპა-ჩვენო, ურჯულოს სისხლი მე შენზე მეტი დამიგვრია და ათ იმოდენას კიდევ დავგვრი, მაგრამ სხვისას... იმათ სისხლს... დგეს რომ ჩემი სისხლი დაგვარეს...— და წაბარბაცდა.

არსენამ მკლავები მიაშველა, ბალღივით აიყვანა და ისევ პირქვე დააწვინა, თანაც არიგებდა:

— დაწექი, რუსო, სიფიცხე გაწყენს. იწექი და იყუჩე.

— დავლვრით!—ყვიროდნენ ამავე დროს ნიდაყვებზე აზიდული გაჯოხილები.—გამოვდგებით!.. არ შევარჩენთ!

გაოცებული პაპა ხან ერთს დასცქეროდა, ხან მეორეს და ბუტბუტებდა:

— ბიჭოს, თქვენ თურმე არა ხუმრობთ... მართლა ვაჟკაცები ყოფილხართ...

— ვართ, რატომ არა ვართ!

—რა დროს ხუმრობაა, პაპილო?

მაშ იქნება გაიმარჯვოთ კიდევაც?—გაულიმა პაპამ.

— გავიმარჯვებთ! უეჭველად გავიმარჯვებთ!

— მაშ ღმერთმა ხელი მოგიმართოსთ,—დალოცა პაპამ და დაუმატა:—კიდევაც მოგიმართავსთ, თუ სიმართლისთვის იბრძოლებთ, და თუ სიმრუდისთვის, ყველას ხელები დაგიხმეთ, ამინ!

— ამინ! ამინ! —დაუდასტურეს აქეთ-იქიდან.

ამ დროს არსენას მახვილ ყურს რაღაც ფხაჭუნი მოესმა. დარაბებს გადაალაჯა და სიბნელეში შეერია. წელან, რომ გარსია და ტატე ელაპარაკებოდნენ, ერთ ალაგს ჭერში ჭურჭუტანა აღმოაჩინა.

ეხლაც იქით გასწია და ზევით რაღაც თეთრ ნაჭერს მოჰკრა თვალი.

— აქა ვარ. —ასძახა მარაბდელმა.

— დაიჭი.—ჩამოსძახა გარსიამ და არსენას ხელებში წნორის გრძელი წკეპლა ჩაუვარდა.

ნეტა ვინ გამოუგზავნიდა ოძელაშვილს ამ წკეპლას? ან რა ორხრად უნდა პატიმარს წნორი? უკვირდა და ვერ გაეგო, თუმცა მაინც იმედნეულად იყო: ამ წკეპლას მისთვის რაღაც უნდა მოეტანა.

ჭრაქის შუქზე გაიტანა და ქაღალდის ნაფლეთი იპოვა, რომელიც წკეპლის გახლეჩილ ბოლოში იყო ჩაჭედილი. გაშალა და მაშინვე ფიქრიას ბატიფეხური იცნო. სწერდა: „მზათ იყავით. კარებს გაგიღებთ“.

დაფხრიწა და გადაჰყარა. მეგობრები ხელებში შესცქეროდენ და ამბავს ელოდებოდნენ, ლაცაბიძე კი არსენას თვალებით სჭამდა და თითქოს ეუბნებოდა: „ნუ გვაწვალებ, სთქვი და გაათავე“.

არსენამ ოთხსავე გაჯოხილს ისე გადახედა, თითქო ერთ მათგანს ირჩევდაო, და სევასტი ლაცაბიძე აირჩია: გვერდით მოუჯდა, ზედ დაეყუდა და ჩუმი ხმით უთხრა:

— სევასტი, ჩემი დარჩენა არ შეიძლების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიცი, — დაუდასტურა იმერელმა, — არ შეიძლება.

— უნდა წავიდე, თორემ მეც გამჯოხავენ... საქვეყნოდ თავგ-მოჭრიან და... სისხლი დაიღვრება. უნდა წავიდე, მაგრამ ერთი რამ ფიქრი მერევა: ვაი თუ ამ ურჯულოებმა თქვენზე ამოიყარონ ჯავრი და კიდევ დაგიშავონ რამე.

— შენ მაგიზა ნუ იდარდებ. წადი.—მტკიცედ მიუგო სევასტიმ.

კარპიჩამ ყური მოჰკრა, გადმოიხარა და—ცადით კაცო, ცადით!—ურჩია.

— ციხეში რომ ჩაგყარონ?—იკითხა არსენამ.

— ა, მაგი არ იქნება.—მიუგო სევასტიმ.

— ჩვენ ტავს ზაალი არ დაანებებს.—იანგარიშა რუსმა.—ხელს არ მისცემს. ისედაც უსამართლოდ გაგვროზგეს. შინა-კმები ვარტ და არაპერი არ დაგვიშავებია.

— აფერი არ დოუშავებია! — ჩაიცინა სევასტიმ. — ქვეყანა ამოაგდო და აფერი არ დამიშავებიაო.

— მაშ საყვედურს ხომ არ მეტყვით?—იკითხა ოძელაშვილმა.

— არა, შე კაცო, არა.

— კაცო, ცადი მეთქი, ცადი.

გარედან კარის რაზამ დაიჩახუნა. საჯინიბოში სუფთა ჰაერის ნაკადი შემოიჭრა, ჭრაქი ააშფოთა და უმალვე შესწყდა. კარი ისევ გაიხურეს და გადარაზეს, ხოლო სიბნელიდან შუქზე ახალმოსულის ლანდი გამოცურდა.

— არაფერო, შენა ხარ, ბიჭო?—მიეგება არსენა.

— რა ამბავია?..

ოძელაშვილმა ოდესლაც ზურას „არაფერი“ დაარქვა და მაგდანას ბიჭს ეს სახელი შერჩა. ქვეყანა რომ დაენგრია და ეკითხათ, რა ჩაიდინეო, ზურა ჯერ უპასუხებდა: „არაფერი“, და ჩანადენს შემდეგ დიდი გაჭირვებით უამბობდა ხოლმე. ამიტომ მიეკერა მას „არაფერის“ სახელი.

რა ამბავია?.. გარეთ რა ხდება? — ისე მიაყარეს აქეთ-იქიდან, თითქო ჭაბუკი მეორე ქვეყნიდან მოსულიყო, რომელიც პატიმრებს ერთი წლის უნახავი ჰქონოდათ.

— არაფერი.—მუღამივით მიუგო ზურამ და მოკლედ უამბო, ვის მოუხსნეს ქვევრი, ვის დაუკლეს საქონელი, ვისა სცემეს და ვინ გაცარცვეს.

— რაღა არაფერი, ბიჭო, სოფელი აუკლიათ! — წამოიძახა საბა დალაქმა.

— შენ რაღად დაგიჭირეს? ჰკითხა არსენამ.

— არაფრისთვინ. გიგოლას ორიოდე გავკარი და ამისთვინ.

— მაშ წეხან მაგიტომ ბღაოდა?—იკითხა კარპიჩამ.

— უნდილ დათუნას არა ჰგავს. მაგდანას ბიჭია, მაგდანასი. — გაამხნევა არსენამ და მკლავი მოხვია. — მართლა, დათუნა როგორ არის?

— გონს მოვიდა, მაგრამ გული ცუდად უცემს.

— მამა-ჩემი? ერეკლე?

— კარგად არიან.

და საუბარი უცებ მოსხიპეს, რადგან შორიდან ქალის კივილი, ბავშვის წივილი და მთვრალი სალდათების ხარხარი მოისმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სოფელი აიკლეს.—სთქვა ერთმა და ისევ მიყუჩდა. არავინ არ უპასუხა.

Три деревни, два села,

Восемь девок, один я,

Разгова-а-аривают-ისმოდა გუგუნი და სტვენა მეორე ალაგიდან, ხოლო მესამე კუთხეში „გარმოშკა“ იფხრიწებოდა და ვიღაც მოცეკვავე გაიძახოდა: Валяй! Жарь! გეი, გეი! გეი გეი!

პატიმრები თავჩაქინდრული ისხდნენ, არსენა კი აშოტილი იდგა, ორივე ცერა თითი სარტყელში ჰქონდა ჩარჭობილი, ნათალი თავი სოფლისკენ მიეგრიხნა, შუბლზე ნაოჭები მოეგროვებინა, თხელ ნესტოებს თავის ლურჯასავით აცახცახებდა და სოფლის გმინვას ისე უგდებდა ყურს, თითქოს ის ვაება და ვალალი მარტო მის ოჯახიდან მოდენილიყო.

მის სახეზე ჭრაქის შუქი თრთოდა და მარაბდელის შინაგან თრთოლვას ამჟღავნებდა.

მოუსვენრად და ბოლმით სტოკავდა არსენა ოძელაშვილი.

* * *

ვახშმობა მოახლოვდა და ზაალმაც ბუზღუნს უმატა:

— ვეჟო,—ეხლაღა გაუკვირდა მარაბდის ბატონს.—იმ ლაცაბიძემ რაღა დააშავა, რომ ისიც გაროზგეს?

— ვინ ლაცაბიძემ?—ჰკითხა ქვიშხეთის ბატონმა სუმბათაშვილმა.

— ჩემმა მზარეულმა.—უპასუხა ზაალმა.

სუმბათაშვილი ჩაფიქრდა, მერე ჰკითხა:

— სადაურია ეგ ლაცაბიძე?

— იმერელია, მერე რა იყო?—და ზაალი ოდნავ დაეჭვიანდა.

— ვინ მოგცა იმერელი ყმა?

— ვინა და... შემომეხიზნა... თორმეტი წლის წინათ შემომეხიზნა.—იტყუა ბარათაშვილმა.

— მეცა მყავს ერთი ლაცაბიძე.—სთქვა ქვიშხეთის ბატონმა.—ორი ძმა გამოიქცა მერეთიდან, მაგრამ ერთი სადღაც დაიკარგა.

— როდის მოხდა ეგ ამბავი, ვეჟო?

— შვიდი წელიწადია.

— ჩემი ლაცაბიძე კი ხუთი წლით ადრე გამოიქცა. მითხრა, იმერეთში ლაცაბიძე ორას კომლზე მეტიაო. და ეზოში გადაიძახა:—ბიჭო გარსი, სად დაიკარგე, შე ცინგლიანო, შენა?

გარსია ჯერ არ დაბრუნებულიყო. ოდნავ რომ შებინდდა, ფიქრიამ ბეღლის უკან გაიყვანა, სადაც მოფარებით ლურჯა ჰყავდა დაბმული, და ჯერ ტკბილეული და სპილენძის ღილი აჩუქა, მოუალერსა და მერე ჰკითხა:

— არსენა ხომ გიყვარს, გარსი?

— ძაან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არსენასაც ძაან უყვარხარ. როცა გამოვა, სამ ღილს [illegible] ბანგესაც გაჩუქებს, ოღონდ ერთი პატარა საქმე უნდა შეუსრულო. აი ეს ცხენი ალგეთზე ჩაიყვანე, წყალი დაალევინე და ზაალის საყარაულოში დააბი, გაიგე?

— მაგაზე ადვილი რაღა იქნება! —წამოიძახა გარსიამ და საბელი აწსნა.

— დაიცა, იცოდე, არავინ არ უნდა დაგინახოს. გარდა ამისა, საყარაულოს კარი გადმორაზე, თორემ ლურჯას მგლები შესჭამენ. მერე ჩვენსა აირბინე, უნაგირი გამოართვი და ისიც იქ ჩაიტანე. დაიცა, ჯერ არ გამითავებია. აი ეს ბარათიც, როგორმე არსენას მიაწოდე. მოახერხებ?

— ეგეც ადვილია. აქ მოიტა.

და ცხენი ნაცადი ქურდივით გააპარა.

ნახევარი საათის შემდეგ ფიქრიამ სასადილო დარბაზი გაანათა: თორმეტსანთლიანი ჭაღი და ორი ხუთსანთლიანი შანდალი აანთო და გავიდა. შემდეგ ცეცხლის ფარეშმა მუხის შეზა შემოიტანა, ორივე ბუხარი ააპრიალა და ისიც გავიდა. მერე სხვა ფარეშები შემოვიდნენ, განჯინებიდან ქაშანისა და ფაიფურის ჭურჭელი გამოალაგეს და სუფრის გაშლას შეუდგნენ.

ზაალი შემოვიდა, იქაურობას თვალი მოავლო და ფარეშებს შესჩივლა:

— ვეჟო! აღარც მზარეული მყავს, აღარც ხაბაზი, აღარც მეჯინიბე და აღარც მელვინე. ყველანი ერთი თვით მაინც წამიხდინეს.

— ჩვენც მოვერევით, ბატონო, ნუ იდარდებთ. —დაამშვიდა ერთმა ფარეშმა.

— აბა ვნახოთ, რა მხნედ იქნებით. — მიუგდო იმედი ზაალმა და უცებ კარებში გარსია დაინახა. ვეჟო. სად დაეთრევი, შე ცინგლიანო, შენა?!

და გახურებული ჩიბუხი ღია პირით დაკჭრა თავში და ცეცხლი თმაზე დაუფრქვია.

— ვაი მე! —აღმოხდა ჩუმი კვნესა მეჩიბუხეს და ათივე თითი თმებში იტაცა. —ვაი მე, დედა! —და ისე დაიხარა, თითქო ყირამალა დადგომას ლამობდაო. ზაალმა კი ორივე ხელი ღიპზე იტაცა და რახრახი ამოუშვა:

— ახ-ხა! ვეჟო, ერთი ამ მასხარას უყურეთ! ოხო-ხო! ვეჟო, ამაზე მეტი სანახაობა გინდათ? იხი-ხი! ვეჟო, ასეთი ამბავი გაგონილა!?

ფარეშებს არ ეცინებოდათ, მაგრამ ბატონს აჰყვნენ და მიყუჩებული სასახლე ნაძალადევი ხითხითით გაალვიძეს.

გარსია დარბაზიდან გამოვარდა, ფიქრიასთან შევარდა და ბატონის ხუმრობა ტირილით უამბო. ფიქრიამ თავი გაუსინჯა და ცეცხლით ამოჭმული ალაგზე მალამო წაუსვა, თანაც ბურტყუნებდა:

— ვინც ცეცხლით ხუმრობს, ცეცხლშივე ჩავარდება. ჩვენი წვალება ზეცაში იწერება და ერთ დროს მწვალებელს ყველაფერი მოეთხოვება. შენ კი, ჩემო გარსი, ობოლი ხარ და ხომ იცი, ამიტომ გჩაგრავენ. მაგრამ ობლის მჩაგვრელს იქ სამუდამო კუპრი და გახურებული მარწუხები არ ასცდება, თვითონ ობლები კი ქრისტეს კალთის ქვეშ იცხოვრებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარსიამ ნამტირალი თვალები შეანათა და ჰკითხა:

— როდისღა, როდის?

— მალე, გენაცვალოს ფიქრია, მალე. აქაც და საიქიოშიც.—ანუგეშა არსენას დამ და ვადის დადებაა მოერიდა. შემდეგ უბეში ხმელი ხილი, ნულა და ყანდის შაქარი ჩაუყარა, რომელიც განჯინაში უხვად ჰქონდა შენახული, რადგან კნეინები ყოველ დღე მიირთმევდენ.

მერე ჰკითხა:

— წერილი მიაწოდე?

— წერილიც მივაწოდე, ლურჯაც ჩავიყვანე და უნაგირიც ჩავიტანე.

— ყოჩაღ, გარსი, გაიზარდე პაპა-ჩემის ხნისა! სამადლობელო ჩემზე და არსენაზე იყოს. ეხლა კი გაიქეცი, და მღვდელს დაუძახე: მობრძანდით, სუფრა აკურთხეთქო.

მღვდელი საცაა თვითონაც მოვა.—მიუგო გარსიამ.

ვიცი, მაგრამ დღეს ადრე ვახშმობენთქო.—და ნამდვილი მიზეზიც გამოაჩინა: ჭრელ ხელსახოცში შეკრული ტკბილეული და მცირე ნუზლი გადასცა და დაუმატა;—ესეც მაგდანას გადაეცი (დათუნას სახელი აღარ ახსენა) და უთხარი: დიდმა ქალბატონმა დაგიბარა, ამალამ ჩვენსა უნდა დაიძინო და მალე მობრძანდითქო. დაიცა, არსენას იარაღი მაგდანას აქვს შენახული. გამოართვი, შეახვეინე, ბილიკებით მოუარე და ისიც საყარაულოში ჩაიტანე. აბა, გაძვერ-გამოძვერი და მშვიდობით დაბრუნდი.

გარსია გაძვრა-გამოძვრა და მღვდელი აბრამი მოიყვანა, თვითონ კი ალგეთის ხევში ჩაცურდა და იარაღიც ჩაათრია.

ჯერ ადრე იყო და ბარნაველი დიდ ხანს იჯდა და თბებოდა ბუხრის წინ. შემდეგ ზაალიც შემოცურდა, სტუმრებს თავის-კანკურით და „პაჟალუსტას“ განმეორებით შემოუძღვა.

სამთავ კნეინამ თავი აიტკივა და არ გამოვიდა. ზაალი სადაფით მოხარატებულ სითაკანში ჩაბრძანდა, მარჯვნივ მაიორი მოისვა და მარცხნივ ლომოვი. ათიოდე აფიცერი, დავითი და სუმბათაშვილიც დალაგდნენ.

დიდი ბატონი ნაწყენი იყო:

შალვა ბარათაშვილმა და ბერმა ვახშმად მოსვლა არ იკადრეს. წელან ზაალმა ბერის სადღეგრძელო მაიორს უამბო და გული მოულბო, მათ კი ასე უმადურად გადაუხადეს: არ ეახლნენ, არ გაართეს, ამალასავით არ დაამშვენეს და მისი ფორიაქი არ შეანელეს.

მღვდელმა ზაალის დარიგება შეასრულა: „მამაო ჩვენო“ ჩიქორთული რუსულით წაიბურტყუნა და სკამზე ჩაიკეცა.

ლომოვმა ქალაქიდან ახალი ამბავი მოიტანა: ერმოლოვის გადაყენება და პასკევიჩის დანიშვნა ყოვლად აუცილებელიაო. კაპიტანს პეტერბურგში წარჩინებული ნათესავ-მეგობრები ჰყავდა და მათ მიერ მოწერილმა ამბავმა ყველა დააჯერა.

ზაალს გაუხარდა: მისი „მეგობარი—მოი პასკევიჩ“—მეფის ძალას ჰპოულობდა, ხოლო მისი „მტერი ანტიქრისტე ერმოლოვი—პატრონს ჩაბაოდა“. მაგრამ არავინ არ იცოდა, რად უწყრებოდა მარაბდის ბატონი თავისივე ჭკუის მთავარსარდალს. ერთ დროს პირზე მუდამ მისი ქება-დიდება ეკერა და სადღაც გაგონილს პუშკინის შენაძახსაც კი იმეორებდა ხოლმე: „ტრეპეჩი კავკაზ, ერმოლოვ იდოტ!“

ზაალი და მისი მეგობრები მანამდე გალობდნენ ამ ჰანგს, სანამ იმედი ჰქონდათ, რომ მრისხანე და თავნება სარდალი მათს სალამურს დაუკრავდა და ახალ „პენციებს“ მიუძღვნიდა. მაგრამ ერმოლოვს საკუთარი, მოუდრეკელი სალამური აღმოაჩნდა და სახაზინო სკივრიც ცხრაკლიტურით ჰქონდა ჩაკეტილი. მაშინ ყველა რუსაპეტა „უმადურ“ ერმოლოვს გაებუტა და ახალ იმედს, იმის შტაბის გამგეს პასკევიჩს მოეჭიდა.

ერმოლოვი მართლა უმადური გამოდგა: ბარათაანთ და მრავალთა დაუფასებელი მადლი მიჩქმალა. ამ თაობამ „ძალით გადმოათრია“ რუსეთი კავკასიონის ქედზე, ძალით ჩასჩარა მას ბაგრატიონთა გვირგვინი, ძალითვე დააპყრობინა ორი ზღვის შუა მდებარე ქვეყნები, მუდამ მასთან ერთად იბრძოდა და ეხლაც უკანასკნელ ციხეს ერევანს უმორჩილებდა, „ერმალა“ კი ესოდენ ამაგს სულაც არ აფასებდა: იმის-მაგიერ, რომ მათი ურჩი ნათესავების, მათივე დახმარებით გაციმბირებულთა და სპარსეთში გადახვეწილთა მამული მათთვის დაერიგებინა, ერმოლოვმა ეს მამულებიც რუსეთის ხაზინას მიაწერა, ზოგიერთს „პენციაც“ დაუკლო, ზოგს სულაც არ მისცა და ჩინ-ორდენებზედაც მეტად ძუნწობდა, ერთი სიტყვით, ქართულ-რუსულ სალამურს რუსულის სალამური ერჩივნა.

საუბარი უნდილად მიჩოჩავდა და ისევ პასკევიჩის, აბას-მირზასა და ერევნის გარშემო ტრიალებდა. ეჭვიც კი აღარა ჰქონდათ, რომ ეხლა კი ერევნის აღსასრულის დღე მოდიოდა. საუბრის დროს მადა მატულობდა და ოცნება არეზს, ხუდავერდის ფონს, მარაღას, ქოისტანსა და თავრიზსაც კი ეპოტინებოდა.

— ნეტა მალე გათავდეს ეს უკადრისი საქმე,—ჩაილაპარაკა ლომოვმა.— რა ჯარის საქმეა ხალხის დარბევა.

მაიორმა ჩალურ წვერში ჩაიბღვირა, რადგან, „უკადრისი საქმე“ ეჩოთირა, მაგრამ არაფერი არა სთქვა, გულში კი თვითონაც ნატრულობდა, რომ აღგეთიდან ურემების გაყვანა და ბარათაშვილისთვის ღალების აკრეფა მალე დასრულებულიყო და თვითონაც ერევნის სახანოში გადასულიყო. „ეს დიდი წარჩინება იქნება, — ჰფიქრობდა. — გარდა ამისა, ახალი ქვეყანაა, მდიდარია და“... და ლომოვი გაამხნევა:

— მარაბდის მაგალითი ხვალვე ნაყოფს მოიტანს. იმდენ ურემს მოგვიყვანებენ, რომ ვერც კი დავთვლით.—და ზაალს მიუბრუნდა:—თქვენ კი ბელლები და ქისა დაიმზადეთ, კნიაზო. მეც ერთ პატარა საქმეს გავათავებ და შულავერში გადავალ.

და აღარ განმარტა, რომ ასიოდე თათრისა და ქართველის დაპატიმრებას პატარა საქმედ სთვლიდა, ზაალს კი შიში მოემატა: ეს მუქთი შეიარაღებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშაგები ზეგ-მაზეგ წავლენ და მარაბდის ბატონს თავის ყმებს — გალახულ-გაფცვნილ გლეხებს—პირისპირ დაუტოვებენ. რა მოხდება მაშინ? რას ეტყვიან ალგეთელები და რა პასუხს მისცემს ბარათაშვილი? ან იქნება ხმაც არ გასცენ და პირდაპირ „საქმეზე" გადავიდნენ?

შინა ყმები აქამდისაც ამრეზილები იყვნენ, მაგრამ ბატონს ვერას უბედავ-დნენ, ეხლა კი იმ კოჭლი რუსისა და გრძელწვერა იმერლის მეთაურობით, ვინ იცის რა არ აკადრონ? სოფელი ჩუმად ბუზღუნებდა, არსენა ოდნავ თამამობდა, ეხლა კი „ის ბიჭი" და მისი ცალთვალა მამა გლეხებს აამხედრებენ და ზაალს გაანიავებენ. მერე ვიღა უშველის ბარათაშვილს? ფირუზა მოურავი და მისი ხელ-ქვეითები? ან ის „უდღეური ჯორაცხენა" გიგოლა? რამდენიმე იასაული, გზირი და ჩაფარი, რომელნიც მუდამ კოდის გზაზე ჰყრიან და მარაბდაში ცალი თვა-ლითაც ძლივს შემოიხედავენ ხოლმე? არა, ამ ძალას მარაბდის ბატონი ვერ ენ-დობა, ჭაობზე არხეინად ვერ დაიძინებს.

ნეტა მაიორმა სამიოდე აფიცერი და ასიოდე სალდათი მაინც დაუტოვოს. ეს დრაგუნები ძალიან ყოჩაღები არიან და ორმოციოდეც, რომ დარჩებოდეს, ზაალს ძილი აღარ დაუფრთხება. თუ ორმოცს არ გაიმეტებენ, ოცი მაინც აჩუ-ქონ, ორიოდე თვით მაინც მოახმარონ. თვითონ ბატონი შეინახავს და ჯამა-გირსაც მოუმატებს.

„ვეჰო, ისე როგორ წამახდენენ, —აჯერებს თავის თავს ბარათაშვილი,— რომ ათიოდე ქართველი მილიციელი მაინც არ დამიტოვონ!" ეჰ, ნეტა მაიორს ამოდენა ხალხი არ გაეჯოხა, ან ისეთ დროს გაეროზგა, როცა ზაალი მარაბდა-ში არ იყო, ან ბატონს დღეს ხმა მაინც ამოეღო და ეს რუსი და იმერელი მათ-თვის პირში არ მიეცა, ან ღალის აკრეფა არ ეთხოვნა! ზაალი ქვას თავს ახლი-და და თვითონვე აკრეფდა!

მაგრამ—რაც მოხდა, მოხდა! ეს აბეზარი არსენა კი ჯერჯერობით იჯდეს, მისი პაპაც იჯდეს, „წიტიანი" ზურაც, ხეობიდან მოთრეული ჯორჯიაშვილიც, ქავთარაც და ალსაჰკალებიც ისხდნენ. ზაალი ფახს მისცემს, დააშინებს. მაგრამ ხვალ მაიორმა ესენიც რომ გაროზგოს?

არა, არ შეიძლება. მაიორი გაროზგავს და წავა, ზაალი კი აქვე დარჩება, ამიტომ ხვალ დილით ბარათაშვილმა ორლოვს ცალი ყბით მათი პატიება უნდა სთხოვოს. თუ იპატივა, გამოვა და ყმებს განუცხადებს:

„ვეჰო, თქვენი თავი ჩემმა სტუმარმა მე მაჩუქა. ეს ერთი მიპატივებია და მეტი აღარ მიჭქარონ. და თუ მაიორმა არ შეიწყნარა, ბატონი მაინც გამოაც-ხადებს: „ვეჰო, ბევრი ვთხოვე მაიორს, მაგრამ არა გამივიდარა. ეხლა თქვენ იცით და ამანა". —და პილატესავით ხელს დაიბანს და განზე გადგება.

მაშ ესე: ხვალ დილით ზაალი ორ რამეს სთხოვს მაიორს: გიორგი კუჭატ-ნელის მეთაურობით ათიოდე მილიციელი დაუტოვოს და არსენა არ გაუჯოხოს. სამაგიეროდ ბატონი ფიქრიას და მარინეს თავს დაუთმობს, ორ მწევარსაც და-უმატებს და „ჩემ მეგობარ" პასკევიჩთანაც ყოველგვარ დახმარებას შეჰპირდება. და რადგან ბარათაშვილს ეს საქმე გათავებულად ეჩვენა, ბროლის კულა ასწია და კოჭლი რუსულით „მოი ხაროში" მაიორის სადღეგრძელო დალია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხრამულს ჩურჩიანი ხოხობი დააყოლეს და ფრინველს შეაჯდეს.

თავჩალუნული ზაალი დიდხანს სჭამდა ხლაპუნით და სდუმდა. მერე თავი ასწია, ჭრელი ხელსახოცით მოიწმინდა პირი, ულვაში აიგრიხა და ისე შეხედა მთვლემარე მლვდელს, თითქოს ეხლაღა შენიშნაო, ცივი ხმით გამოაფხიზლა:

— მამაო აბრამ, გამოიღვიძეთ და მოისმინეთ. თქვენი წიტიანი ბალღი, ზურა ჰქვიან თუ ჯანდაბა, ძაან ავად გაგიზდიათ. ქართული წესია, ერთი შეგირდს მისცხე და ხუთი გამზრდელსაო.—და გაჩუმდა.

— რა დააშავა, ბატონო?—დამჯღრეული ხმით იკითხა აბრამმა.

ის დააშავა, რომ ეზოში შემომივარდა და გიგოლას გაარტყა. ეხლა გომურში ზის. ხვალ გამოვიყვანთ და რაც დღევანდელებს დავაკელით, იმას შევუსრულებთ. ოღონდ ვნანობ, რომ ძაან ხნიერი ბრძანდებით, თორემ თქვენც თქვენი წილი გერგებოდათ.

მერე მლვდელს შეხედა და ოდნავ შეეშინდა. აბრამს სანთლის ფერი ედო. საგულეზე ხელი მიედო და პირს ძლივსღა აღებდა. მლვდელმა მცირე ხნის შემდეგ წამოიწია, ნაძალადევად გაიღიმა, სალამის ნიშნად თავი ჩაქინდრა. ძილი ნებისა უსურვა და ლასლასით გამოჩანჩალდა.

ოდნავ ღია კარებში ფიქრიამ შემოიხედა და უმალვე გაბრუნდა. პატარა ოთახში მარინე ელოდებოდა. არსენას საბედო ფერწასული იყო და თვალებში შიში ჰქონდა ჩასახლებული. ფიქრიამ გადახედა, კრთომა შეამჩნია, მოეხვია და ოდნავ შეანჯღრია, თანაც ჩასჩურჩულა:

— აბა, დრო მოვიდა. წავიდეთ, თორემ ყარაულს გამოსცვლიან და დავიღუპებით. ჰა, რას მოდუნდი მოხარშულ ლოქოსავით! რისა გეშინიან! გამაგრდი, გასწორდი!

და ერთხელ კიდევ შებერტყა. მარინემ გაიღიმა, ძალა მოიკრიფა და უპასუხა:

— მე... მე მზათა ვარ... მე არ მეშინიან... წავიდეთ.

ოთახს თვალი მოავლო და ფეხაკრეფით გასულ ფიქრიას თვითონაც ფეხაკრეფია. ... ჰყვა.

* * *

კახელ როსტიას, მილიციელს, არსენას დოსტის უნცროს ძმას, ბავშობიდანვე სჯერა არსებობა ქაჯის, სირინოზის, ეშმაკის და ყოველგვარ მავნე სულისა. ისიც კი იცის, რომ ალი ნამდვილი მზეთუნახავია, რომ ოქროს თმა მუხლამდე სწვდება და ვაჟკაცს ადვილად მოხიბლავს და გაიტყუებს ხოლმე.

მაგრამ მას ჯერ არც ალი უნახავს, არც ქაჯი და არც სირინოზი. ეხლა კი მთვარის შუქზე ცხადლივ დაინახა: ოქროსთმიანმა ალმა სულ ახლოს გაუარა, გაულიმა და საჯინიბოს კუთხეს მიეფარა. როსტიას გული აუტოკდა. უკვე ოცდაორისა შესრულდა და ჯერ ქალს არც კი გაჰკარებია, მისი ტუჩების სიცხე არ უგრძვნია. თოფი მოიმაოჯვა, ჩაახველა და საჯინიბოს კარს გასცდა, რომელსაც კუპატნელმა სადარაჯოდ მიუყენა, თანაც უკან მოიხედა და გაიფიქრა: „ამ ტიელ კარისთვის კლიტე მაინც დაედოთ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთხემდე მივიდა და გაიხედა. ალი თუ ქალი მეორე ბანაკიდან ქედელს მიჰყუდებოდა და ცას ათვალიერებდა.

— რომელი ხარ მანდა?—სუსხით ჰკითხა როსტიამ.

— შენ რა გეკითხება?—მოდუნებული ხმით უპასუხა ქალმა და მოვარეს არაკი მოაშორა თვალი.

— როგორ თუ რა მეკითხება!—იწყინა მილიციელმა.—სთქვი, ვინა ხარ მეთქი, თორე...—და ჩახნახი შეაყენა.

— აქ მოდი და გეტყვი.—მოესმა პასუხად.

როსტიამ სამი ნაბიჯი გადადგა და—

— სთქვი მეთქი.—გაფფრთხილა.

— გეტყვი. ჯერ ეს მითხარი, შენ როსტია არა ხარ?— უცებ ჰკითხა ქალმა.

მილიციელი გაოცდა:

— შენ საიდან მიცნობ?

— ალავერდობას გნახეთ შენც და შენი ძმა სულხანიც.

როსტიას გაახსენდა, ალმა ყველაფერი იცისო, და მთრთოლვარე ხმით ჰკითხა:

— შენ თვითონ ვინა ხარ მეთქი?

— მე? მე... მართას მეძახიან...

— რას აკეთებდი ალავერდში?

ქალმა ჩაიცინა და—

— განა არ იცი დღეობაში რას აკეთებენ? შენ გეძებდი და კიდეეაც გიპოვე.

— რა ეშმაკი ხარ!—მიუხვდა როსტია და თანაც დაუჯერა, რადგან დაჯერება სწყუროდა. მერე გაუბედავად მიუახლოვდა, გულდასმით შეათვალიერა და ჰკითხა:

— აქ რას აკეთებ ეხლა?

ფიქრია ჯერ შეყოყმანდა, შემდეგ კი გამოტყდა:

— შენ სანახავად მოვედი.

— ეჰ!—უნდობლად შესძახა როსტიამ და მკლავში ხელი წაატანა.—მართალს ამბობ?

გაგონილი ჰქონდა, ალს ცივი ხორცი აქვს და ამით იცნობენო, ქალის სითბომ კი ჭაბუკს ელვასავით ჩაურბინა და შეაკრთოლა.

— მართალს ვამბობ, მაშა!—მიუგო ქალმა.

— მას აქეთ როგორ დაგახსოვდი?—ჰკითხა როსტიამ შემთბარი ხმით.

ქალმა მკლავი არ მოაშორა და უპასუხა:

— იმიტომ დამახსოვდი, რომ... რომა... გულში ჩამივარდი და დამახსოვდი.

— მაშ...—დაიწყო როსტიამ, მაგრამ ველარ დაასრულა. თოფი კედელზე მიაყუდა და ქალს ორივე ხელით მოეხვია. მოეხვია და მხურვალე ტუჩებით მიეტანა. მაგრამ ქალმა გაუცინა, გაუსხლტა და—

— რა სულწასული ყოფილხარ.—უსაყვედურა.

როსტიას შერცხვა და შორიდან დაუწყო საუბარი.

შემდეგ სასიყვარულო კეკემალულობას შეუდგნენ. როსტომ მიჩუქვლა, ემუდარებოდა, ემუქრებოდა, სწყევლიდა, ქალი კი უსხლტებოდა, — ობიდაუდა და ჰპირდებოდა, მაგრამ აცდევინებდა, ხელებსა და ტუჩებს უშვერდა, მაგრამ ატყუებდა და ისევ ალოდინებდა.

— დასწყევლოს უფალმა, ალი ყოფილხარ!—იძახდა ჭაბუკი.

— მაშ ვინ გეგონე? — იცინოდა ქალი.—მიხვდი?

და რათა როსტია არ შეშინებულიყო და არ გაქცეულიყო, თვითონაც ეხვეოდა, თითებით ქოჩორს უვარცხნიდა და ისევ აყოვნებდა.

და იქამდე ალოდინა, სანამ არ დაიჭექა. და როცა დაიჭექა, ფიქრია ლანდივით გასხლტა, შინ შევარდა და თავი ოთიმძინარა.

* * *

ზურას მალე დრაგუნები და ზაალის ყმები შემოჰყვნენ, ცხენები ალგეთზე ჩაიყვანეს, წყალი დაალევინეს, დაბრუნდნენ, ქერი მისცეს და გავიდნენ.

არსენამ კუპატნელს მოჰკრა თვალი. მან გუშაგი გამოსცვალა, როსტია დააყენა და წავიდა. მას შემდეგ კარგა ჩამოგნელდა და დიდი ხანი გავიდა. სოფელში კიდევ დიდი ხანი ისმოდა „გარმოშკას“ ჭყიტინი, „გეი გეს“ შეძახილი, სტვენა და სალდათური—

Девки в лес, я за ними.
Девки садут, я меж ними.
Разгова-а-аривают.

ხოლო მეორე მხარეს მეორე გუნდი სევდიანად დუდუნებდა:

Ой между гор Ахалних стоит...

ბოლოს სიმღერაც შესწყდა და საჯინიბოში მწვავე ბოლოდინი ჩამოწვა.

არსენამ თოკი მოიტანა და წვრილ ბაწრებად დააშლეინა. შემდეგ ქეჩა აიღო და თექვსმეტ ნაჭრად დასჭრა. მერე ჭრაქი ჩამოიღო, ქავთარა, როსტომი და ზურა გაიყოლა და ცხენებში შეერია. ოთხი საუკეთესო ცხენი აირჩია— დავითის შავი კვიცი, მაიორის თაფლა, ზაალის ფაშატი და მისივე ჯინიბი—და თითო მეგობარს თითო ცხენი მიუჩინა. გლეხებმა ცხენებს ფეხებზე ქეჩის ნაჭრები შემოახვიეს და წინდებივით შეუკრეს. მერე ოთხივე შეჰკაზმეს, თავიანთ ალაგას დასტოვეს და დაბრუნდნენ. არსენამ მოსართავები გაუსინჯა, ზოგს მოუფონა, ზოგს მოუჭირა, კარებთან აიტუზა და სმენა გაიმახვილა.

ზურა ჩაფიქრებული იდგა. შემდეგ არსენასთან მივიდა და გაუბედავად შეეხვეწა:

— ძია, მეც წამიყვანე.

არსენამ ქოჩორი მოუჩეჩა, მიიზიდა და უთხრა:

— ბიჭო ზურა, არა გცხვენია? ჩვენ იმიტომ მივდიეართ, რომ ხვალ უნდა გაგვჯოხონ და შეიძლება ციხეშიც დაგვალპონ. შენ კი ჯერ ბარტყი ხარ და უნდა აქ დარჩე, უნდა დედას, პაპას და დათუნას უპატრონო.

— დათუნას რა პატრონობა უნდა? — ჰკითხა ჭაბუკმა.

— როგორ არ უნდა! ლოგინად ჩავარდა და იქნება ერთ თვეზე ადრე ვერც კი წამოდგეს. ჭკვიანი ბიჭი ხარ და დამიჯერე.

ზურა უხმოდ გატრიალდა. არსენამ გუშაგის ფეხის ხმას მოჰკრა ყური. მერე მისი ხმაც მოესმა: „რომელი ხარ მანდა?“ და რაღაც საპასუხო ჩურჩულიც გაისმა.

ერთი წუთის შემდეგ რაზამ ოდნავ გაიჩხარუნა, კარი აჭრაჭუნდა და მარაბდელს მკლავებში მარინე ჩაუვარდა. ერთი მიიხუტა, მაგრამ უმალვე გაუშვა და მეგობრებს დაადგა თავზე:

— აბა ძმებო, დასჩურჩულა.—მშვიდობით... ნალე გნახავთ... მხნედ იყავით, არ შემიშინდეთ.

ოთხსავე გაჯოხილს ჩაეხვია და ისე მოუბლუჯა ხელები, რომ ძვლებმა ტკაცუნი დაუწყეს.

სევასტიმ ისედაც შავი სახე სულ მოიღრუბლა და ზედ მაზარა წაიხურა.

კარპიჩამ ჩუმი სლუკუნი ამოუშვა და ალუღლუღდა:

— ჩვენ ვიგა გვიპატრონებს?.. ვიგა იქნება ჩვენი წინამძღოლი?..

— რუსო, იყუჩე!—შეუტია არსენამ და ერთხელ კიდევ მოეხვია.—მალე გნახავთ მეთქი და იცოდეთ, შორიდან ისე შევაფიცხებ თქვენს ბტონს, რომ სულ ქადებს გაჭმევდესთ და „მობრძანდი-მიირთვით“ გელაპარაკებოდესთ.

პაპა მახარა ეხლაღა მიხვდა და შიშით აშოიხრიალა.

— შვილო, მიდიხარ?

— მივდივარ, პაპილო.

— სადა, შვილო?

— სადაც სამართალია.

— სამართალი არსად არ არი, შვილო, ცრემლნარევი ხმით შესძახა ბებერმა.

— არ არის და მე გავაჩენ.

— შვილო, ყური მიგდე...

— მშვიდობით, პაპილო!

მოეხვია, გადაჰკოცნა, ჭრაქი ჩააქრო, ცხენი აუშვა და მოპარულივით გაიყვანა, ხოლო მეორე ცხენის სადაგე მარინეს მიაჩეჩა და ისიც გაიყოლია. მათ როსტომი და ქავთარიც მიყვნენ.

ქეჩის ნაჭრები ორ-სამ პირად იყო დაკეცილი და ფაჩუნიც არ ისმოდა.

ზურა ცხენსა და ცხენს შუა ჩადგა და, გარეთ რომ გავიდა, ფეხაკრეფით გასხლტა, ფიცრულ ღობეს ლანდივით გადაევლო და შინისკენ გაუტია.

როსტომმა კარი უხმოდ გადარაზა და თავისი ცხენით ბოლოში მოექცა.

ჭიშკარში გაელა სახიფათო იყო, ამიტომ ცხენები სასახლეს შემოატარეს, რომელიც უკვე ჩაბნელებული იყო და ჩატეხილი ღობით შალვა ბარათაშვილის ღია ეზოში გავიდნენ.

არსენამ ქვეით გაიხედა და ხევის პირზე, საცა დიდი გზა უცებ ეშვებოდა ალგეთისკენ, რაღაც ჩრდილს მოჰკრა თვალი. გამოტრიალდა და როსტომს ჩასჩურჩულა:

აგერ იმ გზაზე დარაჯი სდგას. იქით არ წახვიდეთ, აი იმ ბილიკით გაბაანთ სათიბში ჩადით. იქიდან გაღმა გახვალთ და ქოტისის წისქვილთან მომიცდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენა?—ჰკითხა მარინემ და მკლავზე ჩამოეკიდა.

— მე ლურჯას წამოვიყვან.

— ლურჯა საყარაულოშია, —უცებ მაღალი ხმით დაილაპარაკა მარინემ.

— ჩუ!—მიახალა როსტომმა და პირზე ხელი დაადო, ხოლო გაოცებულმა არსენამ ჰკითხა:

— იქ ვინ ჩაიყვანა, გოგო?

მარინე თითის წვერებზე შესდგა, არსენა კი დაიხარა და ძლივს გაიგო.

— ფიქრიამ გაატანა გარსიას.

— ქალია, ქალი!—მაღალი ჩურჩულით დაიძახა მარაბდელმა.—ვენაცვალე თვალებში.

— მაგდანამ კი გარსიას შენი იარაღიც ჩაატანინა. დაუმატა მარინემ.

— ვენაცვალე მაგდანასაც!

და უცებ გულმა დაუკვნესა. ფიქრიამ ყველა გაანთავისუფლა, თითონ კი აქა რჩებოდა. გაუგებენ და...

და არსენას გულს ხმა რომ ჰქონოდა, მთელ სოფელს გააღვიძებდა. ოძელაშვილი მიხვედრილი იყო, მაგრამ ნამდვილად ჯერ არა იცოდარა, და მარინეს ჩაუნიავა:

— კარი როგორ გაგვიღე? როსტია რა იქნა?

— როსტია ფიქრიამ გაიტყუა.

— მაშ გასწით მეც ეხლავე დაგეწევით,—სთქვა და ზევით გაუხვია.

დიდ დალმართზე ცხენები შეიკუმშნენ, უკანა ფეხებზე ჩაიკეცნენ და გორაკის ჩრდილში შთაინთქნენ. არსენა კი გამობრუნდა და განიერი ნაბიჯით ღობეებს გამოჰყვა.

ყოველ სახლში რამდენიმე სალდათია ჩაბინავებული და აქა-იქ გზებზედაც დარაჯებია დაყენებული, მაგრამ არსენას შიში სხვა რამემ დასძლია: თუ ფიქრიას გაუგეს, ავი დღე მოელის, და თუ არ გაუგეს, მაინც შავი დღე მოელის. ზაალი არსენას ჯავრს მის ნათესავებზე ამოიყრის და ფიქრიას აქლემ ივანიჩას და არჯალ მაიორს მიუგდებს. ამიტომ არსენამ დას უნდა უშველოს: თუ ვინიცობაა შინ დაუხვდა, ხელს დაავლებს და წამოიყვანს. გარდა ამისა, ქურდულად ვერ გაიპარება. დედ-მამას ერთხელ მაინც გადაეხვევა, ანუგეშებს და მერე გადიკარგება.

ყურშა ყეფით გამოექანა, მაგრამ მაშინვე დადუმდა და წკმუტუნით ფეხებში გაეხლართა.

არსენა დერეფანში შესდგა და გაიფიქრა: „ყურშას ყეფაზე მიხვდებიან და გამოვლენ". ერთი წუთას შემდეგ მართლა გამოვიდა მელანო და შვილს კისერზე მოეხვია.

— ფიქრია შინ არის?—მაშინვე ჰკითხა არსენამ.

— არა, ბატონთან იქნება. ათი სალდათი ჩაგვისახლეს.—შესჩივლა დედამ.

— ათი სახარება გაუწყრეს ზაალს და მაიორს. ერეკლე და მამა როგორ არიან?

— აბა როგორ იქნებიან ? სიცხე აქვთ და შფოთავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედი, იცი რას გეტყვი? იქნება ხვალ დილით ფიქრიც

— ვაი მე!—ამოიკვნესა მელანომ.

— სუ, კრინტი! გათენდება თუ არა, დაიბარე .და მაშინვე გააპარე. ხურას, ბაჯიაშვილს ან სხვა ვისმეს გააყოლე. მუხათ'ში ან ლოუბანში აიყვანონ და იქიდან ფარცხისში, ბირთვისში ან ბოგვში გადმოიყვანონ. იქ კი მე თვითონვე მოვძებნი და ვუშველი. აქ მოიცა.

და ვეება ქართულ დარბაზში შეიპარა. დედაბოძზე ჭრაქი ძლივს ბჟუტავდა. ოთხივ კედელს თითო ბუხარი ჰქონდა და შიგ ნაელწაყრილი ცეცხლი ღვიოდა. ბუხრების წინ სალდათები ხვრინავდნენ. არსენა განიერ და გრძელ ტახტთან მიიპარა. და ღვთისავარის ცალ თვალს შეეფეთა. გვერდით მოუჯდა, მოეხვია და ჩასჩურჩულა:

— მამავ, ჩემი ბრალია... ნუ დამემდურები.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, შვილო.—ჩურჩულითვე უპასუხა ცალთვალამ.—ოღონდ შენ მყავდე კარგად, თორე მე არა მიშავსრა. მალე ავდგები და ისევ ის ღვთისავარი ვიქნები.

— მე მივდივარ, მამა-ჩემო...

— გზა დამილოცნია, შვილო... იქაც სიმართლით ივლიდე... ღარიბსა და ბეჩავს გამოესარჩლებოდე... ამ ასპიტებს ხელში არ ჩაუვარდებოდე... ტყუილუბრალოდ არავის არ გააფუჭებდე და სახელს არ გაიტეხავდე... დრო და-დრო ახლო სადმე ჩამოივლიდე, მოგვიკითხავდე... უშენობა ძალიან გაგვიძნელდება, მაგრამ... ეჰ, რაც არის, არის! შესრულდეს ნება ღვთისა... წადი, შვილო, თავს უშველე.

ხმა აუკრეოლდა და მიყუჩდა. არსენა ერთხელ კიდევ ჩაეხვია, ტუჩებზე მლაშე რამ იგრძნო და ძალიან გაუკვირდა, რომ ღვთისავარსაც ცრემლი ალმოაჩნდა. თვითონაც გული აუჩუყდა და გაიფიქრა: „ეჰ, ავი რამ ყოფილა ეტიელი სიბერე“.

მერე ძმას ჩაეხუტა და უთხრა:

— ერეკლე, ისევ შენი იმედით ვიქნები, რასაც დილაზე დედა გეტყვის, მაშინათვე შეასრულე, თორემ ერთი დაჰ გვყავს და მაგის ცოდო საიქიოსაც თან ჩაგვყვება. აბა, მშვიდობით, მარჯვედ იყავით... მტერი არ გამიხაროთ და მოყვარე არ დამილონოთ.

და როცა გამოდიოდა, თვალები ნაცნობ სახეს მოჰკრა, რომელმაც ბუხართან წამოიწია და გამოჰყვა. დერეფანში რომ გავიდა, მიიხედა და მთვარის შუქზე კახელი დოსტი სულხანი იცნო. „ჩემი დოსტია, მაგრამ ეხლა სამსახურშია და, ვინ იცის, იქნება გული გამოუცვალეს“—გაიფიქრა და შესდგა. შესდგა და სულხანის ხელში დაშბაჩა დაინახა. „ისე მივახრჩობ, რომ დაძახებაც ვერ მოასწროსო“—გადასწყვიტა და ხედ მიადგა.

— ძმაო არსენ, გეტყობა გამოპარულხარ და გაქცევას აპირებ.—ჩუმად დაიწყო როსტიას ძმამ.

— მერე, შენ რა?—მკვახედ მიახალა მარაბდელმა.

ეროვნული

— ისა რომ... მშვიდობით იარე და აი ეს... გამოგაყოლებ-[illegible] ბებია გაუწოდა.

არსენა გაიბადრა. „როგორ გამიავდა გული! ყველგან სიმუხთლე მელანდება“—გაიფიქრა და სულხანს მოეხვია, თანაც გულმა ჩქმეტა დაუწყო, რადგან გაახსენდა, რომ სულხანის ძმა როსტია შესაძლებელი იყო არსენას მეოხებით სასტიკად დასჯილიყო.

— ჩემი იმედი გქონდეს, ძმაო სულხან.

— მეც გაგიტან, ძმაო არსენ,—მიუგო კახელმა,—გული მეთანაღრება, რომ ეხლავე ვერ მოგდევ. აბა, გზა მშვიდობისა!

ურთერთს გადაეხვივნენ და დაშორდნენ. სულხანი ისევ შინ შევიდა, არსენამ კი მკერდიდან დედა ძლივს მოიგლიჯა და ისე წამოვიდა ბანებზე და ორღობეებში, რომ მისი სიარული სხვათა სირბილს უდრიდა.

* *
*

მაგდანამ რომ პაპა აბრამი გაისტუმრა, გარსია გომში შეიყვანა, ჭერის ჯურღმულიდან არსენას იარაღი გამოიღო, შავ მანდილში შეუხვია და დაარიგა:

— აბა, გარსი, ისე უნდა წახვიდე, რომ ძე ღვთისამაც არ დაგინახოს.

— არხეინად იყავი, ძალო.

— დაიცა. აქედან ოძელაანთ ჩაურბინე. ჩემი ზურა იქ იქნება და გამოგზავნე.

ბალღი შეყოყმანდა.

— რა იყო, ბიჭო, რას მერიდები?

— ისა რომა... ზურა იქ არ არის.

— მაშ სად არის?

— ზურა იქ არის... არსენასთან... ისიც დაიჭირეს.

— დაიჭირეს? —და სიბნელეში ოდნავ შეტორტმანდა.—რად, როდის?

— იმად, რომ ნაბუშარ გიგოლას სცემა.

— გიგოლას?

და უცაბედი ელდა დედის სიამაყემ შეანელა: მისმა შვილმა მაიორისა და ბატონის „თვალ-ყურს“, ნაბუშარ გიგოლას შეჰკადრა, ჩვიდმეტი წლის ჭაბუკმა მოზრდილი კაცი გალახა.

— მაგრა სცემა? —იკითხა გულის მოსაოხებლად.

— ორჯელ გაარტყა და ორჯელვე წააქცია. სიამით მიუგო ბალღმა და დაუმატა: —ისე სთხლიშა, რომ მეც კი მეტკინა.

— აქ მოიცა. ეხლავე გამოვალ.

ქვრივი ოთახში შევიდა, თითო წყვილი ჭრელი წინდა და შავი პაჭიჭები გამოიტანა, გარსიას უბეში ჩაუდო და უთხრა:

— მშვიდობაში ატარებდე. ეს ერთი და სხვა ათასი. აბა, ყოჩაღად იარე.

ბალის მეჩიბუხე თითქო მიწაში ჩაეარდა, მაგდანა კი შინ შებრუნდა და დათუნას მოუჯდა, რომელიც სიცხისაგან უკვე უგონოდ იყო და შფოთავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვრივს კაეშანი მოაწვა. დიდი ხანია ჭირს შეეჩვია, მაგრამ ეს-ეს ისეთი ამბავი ქმარი დაეკარგა, ერთბაშად ესოდენი სიავე არ განეცადა წელანვე ჰგრძნობდა, რომ დათუნას გაჯოხვა და სალდათების ჩასახლება ახალი და დიდი ჭირის დასაწყისი იყო, მხოლოდ დასაწყისი, მაგრამ არ ეგონა, რომ ეს უკმური დღესვე გაგრძელდებოდა. ეხლა კი ზურაც დაუპატიმრეს და, ვინ იცის, იქნება ხვალ ისიც არსენასთან ერთად საქვეყნოდ გააწვინონ და...

და შავი ქვრივი დაფეთებულივით წამოიჭრა; წამოიჭრა და ისე მოავლო იქაურობას შემკრთალი თვალები, თითქო მშველელს ეძებდაო, მაგრამ ირგვლივ სიჩუმე იდგა და დამხმარეც არსად არ ეგულვებოდა; მარტო არსენას იმედი ჰქონდა ხოლმე, მაგრამ ეხლა ოვითონ ოძელაშვილიც ბედის ანაბარად იყო მიგდებული.

დათუნა პირქვე ეგდო და ხშირად სუნთქავდა. კუთხეში ქონის სანთელი ფართხალებდა. მაგდანა დიდხანს იდგა გახევებული, მერე ისევ ტახტზე ჩამოჯდა და თავი მწვავე ფიქრებს მისცა.

უცებ უკანა კარმა ოდნავ დაიჭრიალა. მაგდანა შეკრთა და—

— პაპილო, შენა ხარ?—წამოიძახა.

მღვდლის მაგიერ მოღიმარე სალდათმა შემოაბიჯა, ქვრივს პირდაპირ დაუდგა და რაღაც უთხრა. მაგდანამ ვერ გაიგო და ჰკითხა:

— არ მესმის... რა გინდა?

სალდათმა მაჯაში სტაცა ხელი და გასწია, თანაც იმეორებდა:

— იდი კნამ, იდი.

კარებში მეორე სალდათი იღიმებოდა. ქვრივი მიხვდა, ხელი გამოსტაცა და კუთხეში გასხლტა. ორი სალდათი კიდევ შემოვიდა. ერთმანეთს გადახედეს და სამნივე ქვრივს შემოეხვივნენ. მესამეს ხიშტიანი თოფი ეპირა. უცებ ხიშტი ყელში მიაბჯინა ქვრივს და ჩაუსისინა:

— მოლჩი, სტერვა!

მაგდანამ ხიშტს ხელი აჰკრა, გადახტა და შეჰკივლა:

— მიშველეო!

მაგრამ უმალვე თავში რაღაც მოხვდა. თვალთ დაუბნელდა, გონება დაჰკარგა და ტახტზე გადავარდა.

სალდათები რიგში ჩადგნენ.

. . . . . .

კარმა ხელახლა დაიჭრიალა. არავინ არ მიიხედა. ყოველივე დანარჩენი ერთ წუთში გათავდა. ვილაცამ კარებიდან ისკუპა, ტახტზე მიყუდებული თოფი აიტაცა და იმავე წამს სანთელიც ჩაქრა. ჩაქრა, მაგრამ ოთახი ერთი წამით ხელახლა განათდა: ცეცხლის ელვამ სიბნელე გაარღვია და თოფის ქუხილმა სახლი შეაზანზარა. სანთლისა და ელვის მაგიერ მთვარის შუქი შემოიჭრა და ამ შუქზე ხიშტი ალაპლაპდა. ოთახში ვილაც ლანდი ვეფხვივით დახტოდა და სწრაფი ხელით სიკვდილს სთესავდა. გმინვა, ხრიალი, მოკლე შეძახილი და ჩახუნი ისმოდა. შემდეგ ის ლანდი ისევე სწრაფად გავარდა, როგორც შემოიჭრა, ხოლო ოთახში სისხლის გუბე, შებილწული ქვრივი და სამი გვამი დასტოვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

არსენამ რომ თოფის გრიალი გაიგო, გეზი შეიცვალა და ნაბიჯს მოუხშირა. უცებ ორღობის ბოლოში აჩრდილი შეეფეთა. ოძელაშვილმა დამბაჩა მოიმარჯვა და—

— რომელი ხარ?—დაბალი ხმით მიაძახა.

— ძია არსენ,—მოესმა მდუღარე ხმა,—მე ვარ, ზურა ვარ.

და ჭაბუკი არსენას მკლავზე მოეჭიდა.

— რა დაგემართა, ბიჭო? აქ საიდან გაჩნდი? ეგ რუსული თოფი სად იშოვე?

— იქ... შინ.—წაილუღლუღა მაგდანას ბიჭმა და ხიზტიანი თოფი გადასაგდებად მოიქნია. არსენა ხელში მიწვდა და არ დაანება.

— დაიცა, ნუ გაგიჟდი. სთქვი, რა დაგემართა მეთქი?

— სალდათი... ორი თუ სამი სალდათი შემომაკვდა... მივასწარი... ვაი დედავ!—და არსენას მკერდზე აქვითინდა.

ოძელაშვილი უმალვე მიუხვდა და ისიც გაიგო, რომ ეს ცრემლი და ცახცახი შიშისა კი არ იყო, არამედ სირცხვილისა, მაგრამ ხიფათი ახლოვდებოდა, რადგან იქვე სალდათების ყაყანი და სირბილი ატყდა, და ამიტომ ჭაბუკს ალარ აცალა და შეუტია:

— სუ, იყუჩე! მოდეგ!

ზურას ხელი სტაცა მკლავში და თითქმის მოიტაცა. სოფელი სიგანეზე გადირბინეს, თავქვე დაეშვნენ და საყარაულოსთან მიირბინეს. ლურჯამ შორიდანვე იცნო პატრონის ნაბიჯი და გაბმული ჭიხვინით მიეგება.

არსენამ თხელი კარი გამოაღო, ცხენი გამოიყვანა, იქვე კუთხეში გარსიას მიერ მოტანილი იარაღიც იპოვა, უმალვე აისხა, უნაგირზე აისვეტა, ზურაც შემოისვა, ცხენი ადიდებულ ალგეთში შეაგდო და ხუთიოდე წუთის შემდეგ მეგობრები ზაალის წისქვილთან იპოვა.

— ამ ქალს რაღაც ღმერთი უწყრება.—უთხრა ოძელაშვილს მარინეს ძმამ როსტომმა.—ცხენზე მარტო ვეღარა ჯდება. თავბრუ ესხმის და არ ჩამოვარდეს.

— აქ მოიყვა.—უპასუხა გახარებულმა არსენამ და ზურას მოუბრუნდა:— შენ იმ ცხენზე შეჯექი. როსტომ, ფაშატი სადავით წამოიყვა. გამოგვადგება.

მერე მობრუნდა და გაღმა გაიხედა. ბაღლა, ხევის ნაპირას, გორის თავზე, ზაალის სახლი ციხესავით აღმართულიყო და ორთავ სართულში შუქი მოსჩანდა. არსენამ ორივე ხელი ლოყებზე მიიდო და საბრძოლველ საყვირივით დაიქუხა:

— ბა-რა-თა-შვილო-ო-ო!

ერთ სარკმელში მკრთალი ლანდი გადმოეყუდა. არსენამ რომ დაინახა, ისეთივე ხმით გასჭექა:

— ეხლა კი მიფრთხილდიიი, ბარათაშვილოოო! დედას გიტირებ, დედასაااა!

მერე მარინეს დასწვდა, ბოხჩასავით აიტაცა, მუხლებზე დაისვა და ჩასჩურჩულა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გოგონი, მაგრა მომეხვიე, არ შეგეშინდეს.—და მეგობარს შესძახა:

— აბა, მომყეთ! ლურჯავ, მიდი! გასწი! ჰერი!

მთვარის შუქზე ხუთი ცხენი გიშრის ასხმულ მძიმებივით გაიქიმა, ხოლო ღამის დუმილი ოცი ფეხის თქარუნმა შეარხია.

ზაალ ბარათაშვილმა არსენას მუქარა დამბაჩის გრიალივით გაიგონა. თავზე ყალბუხის წოწოლა ქუდი ეხურა, პერანგზე ქურქი ესხა და შიშველი ფეხები სპარსულ ქოშებში ედგა. არსენას ხმა რომ მოესმა, გარეთ გამოვარდა და მაიორს შეეფეთა:

— მაიორ, დერეკი ნემუ! დერეკი არსენუ! — მიახალა და თითი აღგეთისკენ გაიშვირა.—ონ ტამ... იქ ირის, იქა!

მაიორმა აღგომაც დაასწრო და საქმეც გააკეთა: ცხენების გარეკვაც შეიტყო, როსტიაც შეაკვრევინა და ფიქრიაც დააპატიმრებინა. ზაალს რომ შეხედა, უდიერად გაუცინა და მიუგო:

— მინდორში ქარს ვინ გიჟი დაედევნება? ან ვისა ჰყავს ისეთი ცხენი, რომ ჩვენს ცხენებს დაეწიოს? სჯობია, კნიაზ, დაიძინოთ და არსენას სიზმარში დაედევნოთ. უეჭველად დაიჭერთ. ღამე მშვიდობისა!

ზაალმა ცოტა ხანს იყუჩა, მერე ხელები გაშალა და უიმედოდ დაიძახა:

— ვეჟო, ასეთი ამბავი გაგონილა?! არსენა გამექცეს, სხვებიც გააბრიყვოს, მოახლეც მომტაცოს, ცხენებიც გამირეკოს და კიდევაც დამემუქროს? ბუნტია, მაშ რა ჯანდაბაა!

დემნა შენგელაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გათა ქექია

გაგრძელება [1])

3

კურთხეულ იყო დედაჩემის საშო, მე რომ ცხრა თვეს მატარა, და ასე მწიფე და მოსრულებული გადმომაგორა ამ დალოცვილ მიწაზე, სადაც ყველაფერი ჩემი იყო და, სადაც მე ქათმებთან ერთად ვიძინებდი, მამლის ყივილზე ვდგებოდი და, რასაც ვნახავდი, ხელებგაწვდილი ხარბად გავიძახოდი:

— ჩემია! ჩემია! ჩემია!

მადლობელი ვარ იმ მიწის, მშობელ დედასავით რომ ძუძუ მაწოვა, იმ წყლების, იმ ტყეების, იმ ყანების, ჩემი სიკეთისათვის რომ ზრუნავდენ. იმ ცის, თავზე რომ გოდორივით მეხურა, ჩემი კუჭის, ქვას რომ ინელებდა, ჩემი ჯანის, ყურების, თვალებისა და მადის, ერთგულ ყმებივით რომ მემსახურებოდენ, ყველაფერი ეს ტკბილად შევირგე და ზოგიერთებივით არ ვმიზეზიანობდი, მადლობელი ვარ იმ დედაკაცების, მე რომ დარდს მიქარვებდენ და სიცოცხლეს მიხალისებდენ. ყველაფრის, ყველაფრის მადლობელი ვარ!

მე ერთი ღარიბი გლეხის შვილი ვიყავი, დედით ობოლი, უპატრონო.

მამაჩემი დღედაღამე ყანაში იყო ცილორში, ანდა ანჯელში ტყის საჭრელად. ყანაც და ტყეც შორს იყო, ამიტომ მამაჩემი მთელი კვირით მიდიოდა საგზლით, ორშაბათიდან შაბათ საღამომდე და მე, რვა წლის ბიჭი, დედით ობოლი და უპატრონო მარტო ვრჩებოდი სახლში. უფროსი ძმა ბატონს გაეექცა, ქალაქში იყო გადავარდნილი და იქ მებაღედ მუშაობდა, საშუალო ძმა ძოკოია მის მაგიერ ემსახურებოდა ბატონს და მე მთელი დღეები ვწყემსავდი ხარებს, ძროხებს, თხებს და ღამით, დაქექილ საბანში გახვეული, ვკავკავებდი გაფხეკილ ჭილოფზე სიცივით მარტოდმარტო. გარეთ ზამთარი იყო, სიცივე და მე მთელი ღამე ყურს უგდებდი როგორ ზმუოდენ ლაფაროს ჯარჯულიან მაღალ ღობესთან მომდგარი მგლები, როგორ ფშვინავდენ ჩვენი ხარები ქეჩო აყრილნი, თვალსისხლიანნი და როგორ ებრძოდენ მათ ჩვენი ყუბაქები. ეზოში იყო მთელი ღამე მათი წეწა-გლეჯა, ბდღვნა, ყეფა, ღმუილი, ტორების ცემა. წვიმა იჟინჟლებოდა, კერია იბეუტებოდა და ეზოზე მოწოლილი რიონი ლოკავდა ფლატეს და მე გულგახეთქილი, შიშით აკანკალებული ყურს ვუგდებდი ფაცხიდან რო-

[1]) იხ. „მნათობი“ № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორი ჭექა-ქუხილით სკდებოდა ყამირი მიწა და ნახევარი ქვეყნიდან მარ-ჩენილი კაპანი შავდებოდა წყალში. მუხლებ მოსხლეტილი ვიჩოქებდი ლოგინში და პირჯვრის წერით ვეველრებოდი ილორის წმინდა გიორგის, ყულის კარს, ქიაჩის ხატსა და ნოქალაქევის ორმოც მოწამეს ადრე და მალე გათენებას.

— ბათაია, ბიჭო, გძინავს?—მეძახდა მეზობელ ფაცხიდან ბიძაჩემი და მე გულმოცემული, მოცოცხლებული გავძახოდი:

— არა, ბიძია!

— არ შეგეშინდეს ბიჭო! დეიძინე, ბიძია, დეიძინე! ნუ გეშინია, აგერ ვარ!—მაიმედებდა ბიძაჩემი და მე, დამშვიდებული, რომ ამ უკუნეთ ღამეში მარტო არა ვარ, ვიძინებდი მაგრა, ბავშური ღრმა ძილით.

ტანთ კონკები მეცვა, ფეხზე ღორის ქალამანი (დამხრჩვალი ღორი გავატყავე და ის შევიკერე). ჩემი ბავშობა მწყემსობაში გავატარე, წერა-კითხვა ჩვენმა სოფლის დიაკვანმა ზოსიმემ მასწავლა. მღვდლის შვილი საბასტრატილატე დედაჩემის გაზრდილი იყო და მათ ოჯახში უთვალავი წიგნები ეყარა. ზოგი ხელნაწერი, ზოგი ნაბეჭდი და მე, როცა სამწყემსურში მივდიოდი, თან იღლიაში ამოდებული წიგნი და მუჰადის ნაფრეხი მიმქონდა, სანამ საქონელი სძოვდა, ვკითხულობდი და, ღმერთო, რამდენი ამბები წამიკითხავს! მე ხან ამირან დარეჯანისძე ვიყავი და ვებრძოდი ჩალის ღერებს, ხან მეჯნუნი, ხან ყაჩაღი არსენა და ვბრუვდებოდი, ვთვრებოდი... ბევრი რამ არ მესმოდა წიგნის, ქართული კარგად არ ვიცოდი, მაგრამ ეს კიდევ უფრო მიტაცებდა, იმიტომ რომ გაუგებარი ადგილები რაღაც იდუმალ ელფერს იღებდა ჩემს გონებაში.

მე მახსოვს, კარგა მახსოვს, როცა ბატონ-ყმობა გადავარდა, როგორ ვიდექით ჩვენ, მთელი სოფელი, რიონის პირას, სწორედ იქ, სადაც ახლა ჩემი ბორანი მუშაობს, გიორგობისთვის სუსხიან დღეში გულგადალეულნი და ველოდით ბატონისაგან განთავისუფლებულ ჩვენ დაჩიავებულს, ჯაფისაგან და უჭმელობისაგან დაბეჩავებულსა და გაბახებულ დებს, ძმებსა და მამებს.

ყინვა უჭერდა და ახალგაზდებს აქა-იქ ცეცხლი დაეწოთ. პატარები ფეხშიშველნი და უნიფხოები დავტანტალობდით, ნაყანევებში ვაგროვებდით ხმელ ჩაჩიებს, ფიჩხს, ვაყრიდით ზედ და გათოშილსა და დალურჯებულ ფეხებს ვითბობდით.

ხნიერი მამაკაცები ცალკე ისხდენ, ყალიონს დინჯად უპლაკუნებდენ, ცეცხლში აპურჭყებდენ და დარბაისლად ბაასობდენ ქვეყნის საქმეებზე, მსჯელობდენ ახალ წესებზე.

— მეგონა
— რა გეგონა?
— თუ ხემწიფე ტყულს იტყოდა
ესეც აღარ მეგონა.

გაისმა ახალი სიმღერა. ეს ურწმუნო გლეხების სიმღერა იყო. ისინი ისხდენ აქ, რიონის პირას, ცეცხლთან მიფიცხებულნი, განთავისუფლებულ თავისიანების მოლოდინში და მაინც არ სჯეროდათ ყმების დაპირებული განთავისუფლება. მათ ილაჯი გაუწყდათ ამდენი მოლოდინით და სასოება დაეკარგათ. იმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ რომ ხმა გლეხთა განთავისუფლებისა ერთი წელიწადიც—რაც [illegible] ოდა სოფლიდან სოფელში, თემიდან თემში და ჩვენ განთავისუფლებას საშველი მაინც არ დაადგა, სანამ უტუს ჯარი არ ადგა ფეხზე და არ მოარბიეს ეს თავადები და აზნაურები, არ მოსპეს ძირბუდიანად მხეცი ბატონები და ახლა, როცა ჩვენ ვთავისუფლდებოდით, ისინი ცივ ციმბირში ლაფავდენ სულს.

იქვე, მეორე ადგილას, ატკაცუნებულ ცეცხლთან ახალგაზდა საცოლედ შეღერებული ბიჭები მოზვრებივით ერთად მიყრილიყვნენ, იცინოდენ, ოხუნჯობდენ, იმიტომ რომ ახალგაზდობა, რაც უნდა გასაჭირში იყოს, მაინც ხალისიანია, და მხიარულად გაჰკიოდენ;

წუკალე, ჩაირამა,
ჩაირამა, წუკალე,
ბატონი კოჩი-მიდეიქვნი,
თინა ბოში მწუხარე,
ჩაირამა, ჩაირამა! [1])

და მერე, რადგან იმ წელს აბრეშუმის მოსავალი არ ვარგოდა შემოუკიკინეს:

ბებია, ჩაირამა,
ჩაირამა, ბებია,
აბრეშუმმა გეილალატა,
ბაბა მაინც ბევრია,
ჩაირამა, ჩაირამა...[2],

მოხუცებულები ისხდენ დალვრემილები, თავს მწარედ იქნევდენ და სჩიოდენ, რომ ქვეყანა წახდებოდა უბატონოდ. ვინ უნდა ყოფილიყო ახლა მათი მფარველი და ქომაგი? მათ არ იცოდენ, რომ გლეხს საკუთარი მჯიღი ჰქონდა თავის დასაცავად და არა ზურგი ბატონის მათრახით საშოლტავად. ახალგაზდებს უკმაყოფილოდ უცქეროდენ, ლანძღავდენ, ათრევდენ და ეძახდენ მათ ბრიყვებს, უჭკუოებსა და ციტებს.

— დაიქცევა, ბატონო, ქვეყანა უბატონოდ. თუ არ დაიქცევა, ქე ნახავთ! აა, ბატონო, აღდგომა და ხვალეო!

ზოგს არ სჯეროდა ეს ბედნიერება, მათ ჯერ კიდევ კარგა ახსოვდათ კოლუბაკინის პანჩური, როცა ისინი მეტედელ უტუ მიქავას აყვნენ, და უკმაყოფილოდ იცქირებოდენ, რომ ეს ამდროული კაცები აიყოლიეს ამ უჭკუო ბალნებმა, გააბრიყვეს და ამ სუსხიან ზამთრის დღეში დგანან ლენჩებივით აქ, წყლის პირას, და უცდიან რალაცას, ალბათ, ისევ პანჩურებსა და ციმბირ-ნაობახებს. აბა რა დასაჯერებელი იყო რომ გალალებული ბატონი ყმას ასე იოლად შეელეოდა? ეეხ, ბაბა, ჩვენ მაშინ ბევრი რომ არ ვიცოდით.

---

[1]) წუკალე, ჩაირამა,
ჩაირამა, წუკალე!
ბატონმა ბავში წაიყვანა,
და ბავში მწუხარეა,
ჩაირამა, ჩაირამა!

[2]) ეს სიმღერები ბატონყმობის დროინდელი სიმღერებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსებს კიდევ ეცვათ რაღაც კონკები და ჩვენ, ბავშები, შიშველ-ტიტველნი ტყირპით მუცელ გაბიზინებულნი, ციებითა და სიმშილით დაყვითლებულნი და სიცივით გალურჯებულნი დავტანტალებდით ფეხშიშველნი და გაწყალებული თვალებით გავცქეროდით ეკლის გაძარცულ ხსტეებითა და ტირიფებით დაბურდულ გალმა ნაპირს, თუ როდის გამოჩნდებოდენ ისინი,—ჩვენები.

სამოცდაათი წლის ბებია ჯუფანას სახლიდან ერთი იღლია თივა შოეტანა, წინ დაეყარა, თივა ცოტა იყო, ორივე ფეხებით ვერ ეტეოდა და დამზრალი ცალი ფეხით იდგა ხედ ყანჩასავით მოძუძგული. როცა დაიღლებოდა, ახლა მეორე ფეხით შედგებოდა და ძიგძიგებდა სიცივით ატანილი, ბღაოდა და მოსთქვამდა თავისი უბედური დღის გაჩენას.

მას სამი ვაჟკაცი და ერთი გასათხოვარი შვილიშვილი ჰყავდა ბატონის კარზე ბეგარაში. ავი იყო მისი ბატონი, გულქვა და მოისხანე. უტუს ჯარში მონაწილეობისათვის შვილი ციმბირში დაუკარგა, რძალი ჯავრს გადაყვა, ოთხივე შვილიშვილი დოხორეში ბეგარაზე წაიყვანა. სახლი დაუწვა, ეზო გაუპარტახა, ძროხა და საქონელი წაართვა და ასე დასტოვა ეს სამოცდაათი წლის დედაბერი უპატრონოდ.

მთლად გალურჯებული, წელში ოთხად მოღუნულიყო. სახედაღარულსა და გაუბედურებულს ჩამოძონძილი ხელები სივრცეში გაეშვირა, ჩამქრალი თვალებით რიონის გალმა ნაპირს ცახცახით გასცქეროდა და ბღაოდა გულის დამთუთქავად:

— შვილებო, ჩემო შავი დღეზე დაბადებულო შვილიშვილებო, სად ხართ, ნანა ამდენ ხანს? რატომ არ მოხვალთ და თქვენი ადრე და მალე დასამიწებელ ბებიას არ მოხედავთ? ვის უცდით ამდენ ხანს, ვის უშენებთ ოჯახს, როცა თქვენი კერია გაცივდა და კაცი არაა ფაცხაში ცეცხლი დაანთოს? რას უპირობთ თქვენ გაციებულ კერიას? თუ ცოდვა-მადლი არ იცით, თქვე უღმერთოებო?—მოსთქვამდა იგი შავი ცრემლებით და ჩვენ, ბავშები, გულდათუთქული შევცქეროდით ამ გაუბედურებულსა და ასე განუკითხავად აოხრებულ ბერიქალს.

ხანდახან ვინმე დედაკაცი თუ მივიდოდა მასთან და თანაგრძობით შეუტევდა:

— სო, აწი, შექალო, სო, არ ვარგა! ცოცხლის მოთქმა და ტირილი ვინ გეიგონა?...

ჯუფანა ერთხანს ჩუმდებოდა, კვნესოდა, ოხრავდა, თავს კისერზე ვერ იმაგრებდა, ახანხალებდა მოხუცურად, უმწეოდ და მერე ისევ ისე, თითქოს გულს რაღაც შემოახდაო, შეჰკივლებდა და ისევ დაიწყებდა ხმამაღლა მოთქმასა და ბატონის წყევლას:

— ვაი ჩემ მოსწრებას, ვაი ჩემი შავი დღეზე გაჩენას! რატომ სულს არ გამაცხებიებ, შე დალოცვილო ღმერთო! რატომ სულს არ გამაგდებიებ, შე ოხერო სიკვდილო!..—და როცა ის ასე მოსთქვამდა, უეცრად წატორტმანდა, თავი ვერ შეიკავა და წაიქცა. დაცემულმა თავს გაყინულ მიწაზე ცემა დაუწყო და თან თავში ხელები წაიშინა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვაი ჩემ მოსწრებას! ვაი ჩემი შავი დღის გაჩენას! ვაა-ვაა-ვაა-ვაა-ვაა!..

ხალხი მისცვივდა, წამოაყენეს, თან ანუგეშებდენ, თან უტევდენ რომ გაჩუმებულიყო. მერე ცეცხლთან გაუპირეს მიყვანა, მაგრამ, როცა არ ჰქნა, მაშინ ჩვენ, ბავშვებს, მის მახლობლად ახალი ცეცხლი დაგვანთებინეს, რომ მთლად არ გაყინულიყო და სული არ გავარდნოდა. ის კი ისევ ისე იდგა ცალი ფეხით მოფუყულ ყანჩასავით თივაზე და არ ვიცი, ევედრებოდა, თუ ემუქრებოდა იმ ღმერთს:

— ღმერთო, შენ ნუ გაახარებ ჩემი ბატონის ოჯახს! ღმერთო, შენ ამოაგდე მისი ძირი და ნელი ჩემი ოჯახის გატრამალებიზა. ღმერთო, ღმერთო, თუ, ხარ, შე დალოცვილო, სადმე და თუ რამე ბადლი გაქვს, შეისმინე ჩემი ვედრება და მიწასთან გაასწორე ჩემი ბატონის მოდგმა და მომავალი! იმ დღეს მომასწარი, კარიდან კარზე მჭადის ნატეხის სამათხოვროდ დადიოდეს, ძაღლებს უსისიანებდენ და გულს ცეცხლი ედებოდეს! ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, შეისმინე ეს ჩემი ლოცვა-ვედრება. წმინდა გიორგი, შენ სახელს შემოვევლე, შენ დაშუბე და მოაოხრე მისი ოჯახი!..

და ჩვენ ასე რომ ვიყავით მოლოდინად გადაქცეულნი, და გულდათუთქულნი ყურს უგდებდით ბებია ჯუფანას ვედრებას, უეცრად გალმა ნაპირიდან მოისმა ყიჟინა, სიმღერა და დაბურდულ ხსტეებში და ტირიფებში გამოჩნდენ ჩვენები. მათ ურმები ჩააშველეს, ყველა ფონზე გადმოიყვანეს და, ვინ ასწერს, რა ვაება, რა სიხარული, რა ცრემლები და მოთქმა-სიცილი გაჩნდა, როცა ჩვენი გამოთიშული ოჯახის წევრები შემოგვიერთდენ, და მე მიკვირდა, ახლაც მიკვირს, რათ იყო ეს ცა ისევ ისეთი, ეს დღე ისევ ისე უბრალო? რატომ არ მოდიდდა მაშინ ეს რიონი, არ გადმოვიდა ნაპირებზე და არ მოლეკა ყველაფერი, როცა გული ასე იყო სავსე და გრძნობას ვერ ვიტევდით?

მე სიხარულით გადარეული, ვეხვეოდი ჩემს ძმას ძოკოიას, მამაჩემი ბერი ხარივით აზმუვდა და ორივე ძმებს გვლოშნიდა, გვეხვეოდა, სტიროდა და ბღაოდა რაღაცას, ზლუქუნებდა და კაცი ვერ გაარჩევდა რას ამბობდა, ან რის თქმა უნდოდა. ძაღლები გადირივნენ, ყმუოდენ, ყეფდენ, და ადგა ერთი ვახარამაცი. ჩემი ძაღლი კანჩურია წკმუტუნით, ყეფით ზედ გვახტებოდა, მე მეტი ველარ შევძელ, მამაჩემს ხელში კალმახივით გაუსხლტი, გავიქეცი, დავჯექი რიონის პირას, თავი იდაყვებზე ჩამოვაყრდენ და თან ვტიროდი, ვიცინოდი და თან უცქეროდი როგორ ჟრიამულობდენ ჩემი ტოლ-ამხანაგები.

დედაკაცები მოსთქვამდენ სიხარულით, დედა შვილს ეძებდა, შვილი მამას, ძმა დას და დანიშნული საქმროს, იყო ყვირილი, ძახილი, კოცნა, ხვევნა. მოხუცები ზმუოდენ, დედაკაცები ჰკიოდენ, ბავშვები ვბღაობდით, ძაღლები ყეფდენ და ეს ყველის ფერი ნისლიანი ცა გვედგა თავზე გობივით და მე გაოცებული შევცქეროდი, მიკვირდა რათ არ იწმინდებოდა.

ყველა თავისიანებს ეძებდა დაბრუნებულებში, რომ ვერ პოულობდენ, ხასიათი ეშლებოდათ, საქციელი უფუჭდებოდათ და ასე მხრებჩამოყრილნი, წელმოწყვეტილნი შურით შესცქეროდენ მოსულთა ალერსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი შვილიშვილები თუ ნახეთ, ნანა? სადაა ჩემი ბებერი ბებია? თქვენით, სად ჩამიტოვეთ იმ ქრისტეს ხორცის მჭამელთან? რატომ არ მომიყვანეთ? შვილებო, შვილებო, სად ხართ ახლა, სად, თქვენ გაგიცივდათ თქვენი დასამიწებელი ბებია!..—მოსთქვამდა შემზარავი ხმით ბებია ჯუფანა. გამწარებულმა ფეხქვეშ დაფენილი თივა იქით გადაყარა, შიშველ ფეხებს მოყინულ მიწაზე სცემდა და ასე მოძუძგული, სიცივისაგან ფეხებ დაკრუნჩხული და წელში კიდევ უფრო მოღუნული ბღაოდა გულის შემაღონებლად:

— შვილებო, ჩემო დამმარხველო, შვილიშვილებო, სად ხართ ახლა, სად ხართ? მე თუ არ გებრალებით, ღმერთს მაინც შეხედეთ!.. ღმერთს!.. ღმერთს!..—უტევდა იგი გაბრაზებული შვილიშვილებს კი არა, თვითონ მამაღმერთს.

მოსულები ანუგეშებდენ ბებიას, რომ ზოგი მებატონე არ დაემორჩილა რუსხემწიფის სიტყვას. ყმები ხულებში და ნალიებში ჩაკეტეს და სახლში არ უშვებენ. სხვებთან ერთად მისი შვილიშვილებიც ჩაკეტილი არიან, მაგრამ, ისინი რომ სახლში მოდიოდენ, მარჯვე ბიჭები დარჩენ და ლეწენ ხულებსა და ნაობახებს, ანთავისუფლებენ გამომწყვდეულებს და სულ მალე მოვლენ.

მართლაც, არ გასულა ბევრი ხანი, რომ წყალ გალმა ისევ მოისმა ხსტეებში სიმღერა და გამოჩნდენ დანარჩენებიც. ისევ კოცნა, ისევ ხვევნა, ცრემლები, სიხარული.

ბებია ჯუფანა მოწყდა სიხარულით. ენა ჩაუვარდა და გაგოროზებული, თვალებ გამშრალი უტევდა შვილიშვილებს და მე მაშინ ვიცან მეამბოხე შვილის დედა, მაშინ დავიჯერე რომ ის არც თუ ისე უბრალო იყო უტუ მიქავას, კოჩა და მართალი თოდუების საქმეში.

— ჰაიტ, თქვე ბალაგარებო, თქვე ბალაგარებო! სად ხართ, ბიჭებო, სად ხარ, ძღაბო, ჰა? ჰაიტ, სიბრალული არ გცოდნიათ, ნანა, ურჯულოები ყოფილხართ თქვენ, ურჯულოები...—მაგრამ უფროსმა შვილიშვილმა ლაპარაკი არ აცალა, ხელში ბავშვით აიტაცა, განიერ მკერდში მიიკრა და ასე ბავშვით ხელში აყვანილს გულში იხუტებდა და ჰკოცნიდა დამჭკნარ თვალებში. მეორე შვილიშვილმა თავზე დახეული ყაბალახი მოიგლიჯა დამზრალი ფეხები შეუხვია, რომ არ შესციებოდა, კარგა შეფუთნა და სამი ვაჟკაცი და ერთი გასათხოვარი შვილიშვილი ეხვეოდენ ბებიას, ეფერებოდენ. ისინი ახალგაზდები იყვნენ. გამოუცდელი და არ იცოდენ როგორ მოალერსებოდენ გაუბედურებულ ბებიას, იდგენ ერთ ადგილას სასაცილოდ გაშტერებულნი, საქციელ წამხდარნი და ჩვენ, ყველა, მათი შემხედვარენი, ვტიროდით, ცრემლებს ვერ ვიკავებდით.

— შემხედე, ბიჭო, თვალებში, შემხედე, ჰაიტ, შე თათარო, წვერი ამოგსულია. ბიჭო, დავაჟკაცებულხარ! ნანა, შენ გენაცვალე, ჩემო შვილო, ჩემო ხვითოს კაკალო შვილიშვილებო, თქვენ შემოგევლოთ თქვენი დასამიწებელი ბებია. ნანა, თქვენი ჭირი შეეყარა, თქვენი თვალდასავსებ ბებიას. ფუი, თქვენს კაცობას, ასე რავა გადაგარჯულა იმ რჯულძალმა ბატონმა, რომ სახლი ერთი მაინც არ გაგახსენდათ, ფუი თქვენი კაციშვილობას...—ტიტინებდა ბებია ჯუფანა ბედნიერი და მერე ისევ აყვირდა, აბრძოლდა შვილიშვილის ღონიერ მკლავებში:

— გამიშვი.ახლა, შე თათარო, გამიშვი, ფეხზე დამაყენე,— ...ებდა, დაღლილმა მეორე ძმას ხელში ჩვილი ბავშვივით გადასცა და ...ალურსებოდა დამჭკნარ მოხუცს და ბებია ჯუფანა ისევ ტიტინებდა რაღაც სისულელეს, გულამომჯდარი ხან იცინოდა, ხან სტიროდა და ჩვენ ვიწვოდით სიბრალულით, სიხარულით და რა ვიცი კიდევ რით.

— აბა სახლში წავიდეთ. ახლა, შვილებო, სახლში!—დასძახა ვიღაცამ და ჩვენ, როცა ყველა მოვგროვდით, წინ ბებია ჯუფანა გავიძღოლეთ. ის შვილიშვილებს მიჰყავდა რიგრიგად ხელში აყვანილი და ყიჟინით, სტვენით, დელიათი და „რამაშით" გავემართეთ ჩვენ გალატაკებულ სოფელში ფილთა თოფების სროლით, დაუბრუნდით ჩვენ თვალებამოწირპლულ გაჭვარტლულ ბურულიან ფაცხებს, და ჩვენ რომ მაშინ ქეიფი გავწიეთ,— ცა ძირს ჩამოვიტანეთ და ჩვენ ცად აველით.

4

რამდენიმე ხნის შემდეგ მამაჩემმა ჩემი უფროსი ძმისაგან, ქალაქში, რომ იყო გადავარდნილი, წერილი და მოსაკითხი მიიღო. ის მებალედ იყო ქალაქში და მეც იქ მიბარებდა.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როცა მე ძმის გამოგზავნილი ქალაქური ახალი წუღა და ყარამანდული შალვარი ჩამაცვეს და თავზე მამაჩემის გამონაცვალი უზარმაზარი ბუხრის ქუდი ჩამომაფხატეს.

მე კერიასთან ვიჯექ და ცეცხლზე მიფიცხებულ ცივ მჭადს უყურებდი არ დამწვარიყო, მაგრამ ბიძაჩემი საშველს არ მაძლევდა და ეს მეასედ მეკითხებოდა:

— ბიჭო, ბათურია, რას იზამ მერე, ქალაქს რომ ჩახვალ?

მე ვიცოდი, რომ ბიძა ჩემს რატომღაც ახარებდა ჩემი პასუხი და მეასეჯერ ვიმეორებდი დაზეპირებულივით:

— რას ვიზამ და ფარას ვიშონი.

ბიძაჩემმა ჩემს პასუხზე ქირქილით ყალიონი კერიაზე გამობერტყა, ქამარში გაიყარა და სთქვა:

— დიდი მამაძაღლი ბიჭი ხარ შენ, ბათურია, დიდი! თუ ცოტა ჭკუით იქენი, ცხოვრებაში არ დაიკარგები.

მე ბიძაჩემის სიტყვებს ყურადღება არ მივაქციე და იქვე, ჩემს გვერდით, რომ ძაღლი კანჩურია იწვა და ცეცხლზე მიფიცრებულ მჭადს მსუნაგი თვალებით შესცქეროდა, ყურებში წავეტანე და რაც ძალი და ღონე მქონდა ვეწეოდი. ძაღლი სიმწრით კნაოდა, წკმუტუნებდა, ყურებს არ მანებებდა, მაგრამ მაინც არ მშორდებოდა.

— ბიჭო, რავა ტყლაპივით მოუქციე მაგ ძაღლს ყურები, ცოდვა-მადლი არ იცი?—მიტევს ბიძაჩემი. ერთხანს ოხრავს, მერე კერიასთან უფრო საბუთიანად ეწყობა და ისე მეკითხება:

— რათ გინდა, ბიჭო, მერე ფარა?

— რათ მინდა და ჩვენი ბატონის პარონი რომაა, ცენიწყალზე, იმას ვიყიდი, რიონში ჩაუშვებ და ვამუშავეფ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰე! ჰე! ჰე! — ქირქილებს ბიძაჩემი ხრინწიანი ხმით. [illegible], მერე ხველა ერევა, ახველებს დიდხანს. ბოლოს, ნახველი, როგორც იქნა, ამოიღო და გადააფურთხა: — მომკლა, მომკლა კაციშვილი ამ ნავარი ხველამ! — თავის ქნევით სჩივის იგი და მერე განაგრძობს: — შენ ბატონს მიაკვდა მაგ ძალლი სფლავში, მერე და პოროში რათ გინდა, შეკაცო? — არ მეშვება იგი.

მე გული ნომდის: ამხელა კაცმა რავა არ იცის რათ უნდა უნდოდეს კაცს პოროში? — და დიდგულად ვეუბნები:

— რათ მინდა და დავაჯდები ზედ! ჰეეეჰე, დავყობი მერე ამ რიონის წყალს! ფოთს ჩავალ, ქვეყანას ვნახავ!

— ჰე! ჰე! ჰე! კი მარა კაციის ფონზე არ გარჩე, ბიჭო, შენი პოროშიანათ, კაციის ფონზე! ხომ გახსოვს, ამ წინებზე, რომ ზედ პარახოთი გარჩა? ჰე! ჰე! ჰე!.. — იცინის იგი და მერე განაგრძობს: — მაგ ჭკუით თუ იარე, ჩემო ბიძია, შენ სტამბოლშიც ჩახვალ ხვანთქართან.

— სტამბოლში თუ ჩავალი, ხვანთქარსაც ვნახავ, აბა რას ვიზამ? — ვეუბნები მე წახალისებული და ეს აზრი მართლაც ძიჯდება ჭკუაში. მე წარმოვიდგინე და სიხარულით ტაში ტაშს შემოვკარი. ძალიან არ იქნებოდა იმ სულძალლ ხვანთქარს ჩემი პაროშით ზედ ჭიშკარზე, რომ მივდგომოდი? უფროსი ბიძასაც ვინახულებდი, ბატონი რომ შემოაკვდა და თათარში გადავარდა.

— ჰაიტ, შე თათარო, შენ! — მიტევს ბიძაჩემი და თან თავზე ხელს ალერსიანად მისვამს. — იმ ხვანთქარს, რომ მიხვიდე, ძღვნად მაგ შენი ძალლის ხორცი მიართვი. უთხარი: ჩვენებური ჯიხვის ხორცია-თქვა, ხე! ხე! ხე! — იცინის ბიძაჩემი, მერე ჩუმდება და ჩაფიქრებული სარტყელში გარჭობილ ყალიონს ისევ ილებს, თუთუნით სტენის და მე ცეცხლს ვაწოდებ. როცა ყალიონს ცეცხლი კარგა მოეკიდა, დაიწყო: — აბა შენ იცი, ჩემო ბიძია, რავა ჭკუით იქნები. ზესტაფონში იმ ვირჭამია ჟინოსქუებმა არ დაგიჭირონ! ქალაქშიც ჭკუით იყავი. ათასი ძალლი და მანაძალლი დაიარება, ვაგლახათ არავის აყვე.

იმ დროს ვირიჭამია ჟინოსქუებს ზესტაფონელ კიკნაძეებს ეძახდენ. მაშინ, როცა ბატონ-ყმობა ყველგან მოხსნილი იყო, ოდიშში მაინც ძველებურად იყო ყველაფერი. ამიტომ ოდიშიდან გაქცეული ყმები ქალაქს აფარებდენ თავს. დადიანმა კიკნაძეებს ჯამაგირი გაუჩინა, თუ ისინი გაქცეულ ყმებს გზაში დააკავებდენ. მათი ჯამაგირი დადიანმა ოდიშის თავად-აზნაურობას გააწერა. თავადი მიქელაძეები ავარდენ, დავარდენ, ქვა ცაში ააგდეს და თავი შეუშვირეს: ჩვენი ყმები არსად მირბიან და არც ბეგარას გადავიხდითო. ამის გამო ერთი ჩხუბი და აყალმაყალი ჩამოვარდა მიქელაძეებსა და კიკნაძეებს შორის. ერთ დღეს გაგულისებულმა მიქელაძეებმა მკვდარი ვირი გაატყავეს, მისი აქნილი ხორცი კიკნაძეებს ძღვნად გაუგზავნეს და შეუთვალეს:

— „რაც ჩვენ შორის შური და მტრობა იყო დავივიწყოთ და ძღვნად ეს ჩვენებური ირმის ხორცი მიირთვითო“.

კიკნაძეებმა გვიან შეიტყეს მიქელაძეების ეშმაკობა. სამაგიეროდ ტყვია გაატყავეს და მოციქულის პირით შეუთვალეს:

— „თქვენი მოსაკითხით დიდათ დავალებული ვართ და სამაგიეროდ ეს ჩვენებური შველის ხორცი ინებეთო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას მერე დაერქვათ კიკნაძეებს ვირიჭამია აზნაურიშვილები და ქალაქელაძეებს ტურაჭამიები. ასე იქცეოდენ მაშინ თავს ჩვენი ზატონები და ჩვენ, საწყალ გლეხებს, იმ საცოდავი ვირივით გვაძრობდენ ტყავს.

ახლა ბატონყმობა სულ რამოდენიმე დღის წინად იყო გადავარდნილი და ამიტომ ეშინოდა ასე ბიძაჩემს, რომ იმ წუნკლებს გზაში არ დავეკავებინე.

მე ყურს უგდებდი, ვიჯექი ჯორკოზე კერიასთან მორჩილად და თან მიფიცხებულ მჭადს ხმელად ვიხურხნებოდი. მერე, როცა ბიძაჩემმა ამბავი გაათავა და წელის ნელი ათრევით წამოდგა, მე თავაშვებულ ხბოსავით კუნტრუშით წამოვვარდი და გარეთ გავიჭერი.

— ჰაუუ ქიშია, იზდორია, ჯამუია, სიდულია, ჰაუუ!..—გავძახე ტოლ-ამხანაგებს და ისინი ჩემი ხმის გაგონებაზე ბელურებივით გადმოდიოდენ ლობეებზე ხამის პერანგის ამარანი, შიშველ-ტიტველნი, ჩამოკონკილნი, უჭმელობით დაყვიციანებულნი და სილარიბით დაბეჩავებულნი.

მერე ჩვენ მთელი დღე ბჟოლასა და ხურმას შუა საქანელასავით გაკიდულ ვენახის ცანდზე ვისხედით, ვქანაობდით და გავკიოდით წკრიალა ხმით „რამაშას“.

— რა ამბავში ხარ, ბიჭო ბათურია? გიხარია ნანა, გიხარია, რომ გვცილდები?—მომაძახა ფაცხის წიკარზე გადმომდგარმა ბიცოლაჩემმა ალერსით.

— მიხარია, აბა რა! სულ რომ მიწყრებოდით, აბა რავა გეგონათ, თუ იცით?—უპასუხებ მე ვენახის ცანდიდან ჭინკასავით გადმოკიდებული.

— სო, ბიჭო, არ თქვა მეორეჯერ! ვინცხას მართალი ეგონება! თვალში, რომ ჩაგვარდნოდი, ხელს არ ამოვისვამდი და ახლა მაგას მემართლები, შე მართლა ყურბანა შენ?

მე ყურადღებას არ ვაქცევ ბიცოლაჩემს და ისევ ვქანაობთ აჟრიამულებულნი.

როცა თამაში მოგვწყინდა, იქვე, ცაცხვის ძირას, ჩეროში დავსხედით და ყოველ მათგანს ჯერ კაცის ყურით გაუგონარსა და უნახავ საჩუქრებს ვპირდებოდი ქალაქიდან.

— მე, ბათურია, რაში მინდა, მარა იცოდე, გაუხედნავი უნდა იყოს. მე თვითონ გავხედნი ჩემ ჭკუაზე. მეხვეწება დიაკვნის ბიჭი ქიშია მოლუშული სახით და შეკრულ წარბებში შუბლქვემოდან იცქირება.

— რათ გინდა, ქიშია, გაუხედნავი? გადმოგაგდებს.—ურჩევ მე.

— მე ასე მინდა და შენ რა გინდა!—მიპასუხებს ის გაჯიუტებული.

— კაი, ქიშია, კაი, გაუხედნავს გამოგიგზავნი, მარა, იცოდე, თუ გადმოგაგდო, ჩემი ბრალი არ იყოს! მე შენთვის ვამბობ, თვარა გახედნილი უფრო გლახა საშოვარია.

— მეც რაში მინდა, ბათურია, მეც.—ჩამოერია ლაპარაკში ჯამუ.

— შენც რაშს მოგიყვან, ჯამულია. რაშების მეტი რაა იმ დასაქცევ ქალაქში. ამ წინებზე მთელი ჯოგი ჩამოვარდნილა მთიდან და ქალაქი მთლად გადუჯირგალებია, მოუჯეკნია ქალაქი.—ვეუბნები და მე თვითონ მჯერა ჩემი ნათქვამი. რა ვიცოდი მე მაშინ თუ რა დიდი განსხვავება იყო ჩემ ნატვრა-

სურვილებსა და ცხოვრებას შორის. მეც ვპირდებოდი მათ, ვასრულებდი. რა მენაღვლებოდა, ან რა მქონდა დასანანი? ზოგს ოქროს სარტყელი უნდოდა ჯავარიან წყალში მოელვილი, ზოგს ბოსირმული ყაიში, ზოგს ყანაოზის წითელი ახალოხი და თივთიკის ჩოხა. ზოგს ოქროს ზარნიშიანი დამბაჩა და ვერცხლის ქამარ-ხანჯალი. ვისაც ნატვრა არ ეზარებოდა, ყველა მთხოვდა. ყველას უნდოდა რამე საიასაღო. მარტო სიდუ დანელიხე იჯდა ჩუმად და ხმას არ იღებდა. ის ბანძიდან იყო ჩვენ სოფელში ჩამოძიძავებული და ჩვენთან ერთად შეზრდილი. დედით ობოლი და სოფელში ყველასათვის საყვარელი. მამამისი უსაშველო ცხენის ქურდი იყო და როცა ქალიშვილის სანახავად ჩამოვიდოდა, ჩვენთვის, ბაღნებისათვის, მოჰქონდა ათასნაირი საჩუქრები და სასუსნავი. მაგრამ ჩვენი გული მაინც ვერაფრით მოიგო. ჩვენ გვაშინებდა მისი ცალი ღიად დარჩენილი დავსებული თვალი. ამბობდენ, ცხენის ქურდობის დროს ღამით ტყეში წაჭრილ ტოტს შეახიაო. წვერები გრძელი ჰქონდა და ინით შეღებილი, თავი სამართებლით გადაპარსული,

— შენ რა გამოგიგზავნო, სიდულია?—ვეკითხები მე მას და, რომ შევხედე, ისე გაწითლდა რომ გულმა უჩვეულო ტოკვა დამიწყო. თვალებში რატომღაც ცრემლი მომადგა და უცქეროდი ასე მის შესაქცევად აბურცულ ტუჩებს. ხშირი წარბები მერცხლის ფრთებივით გადაეწურა და ცალი ლოყა სირსვილით ასკრეცოდა.

— მე არაფერი არ მინდა, ბათურია!—მეუბნება იგი, თავს დაბლა ხრის და ცოტახნის ყოყმანის შემდეგ ამბობს:—რაც შენ გინდოდეს ის გამომიგზავნე.

— აბა შენ სამოთხის ჩიტს გამოგიგზავნი ოქროს გალიით. რომ დაწვე, სასთუნალთან ჩამოიკიდე და ტკბილად დაგეძინება.—ვეუბნები მე მას, მხარზე ხელს ვადებ და მიხარია, მიხარია და ეს სიხარული ტანში ტკბილ ჟრუანტელივით წავიდა შაქარივით.

სიდუმ ჩემი ხელი წყნარად ჩამოიშორა. თავი მაღლა აიღო, ჯიუტად გაიქნია და წაბლის ფერი თმები უკან გადიყარა. ალის ფერი, ოდნავ გაცრეცილი ტუჩები კიდევ უფრო აებურცა და მე უცნაური, ჯერ განუცდელი ძალით ვიგრძენ როგორ მიზიდავდენ ეს ტუჩები. ერთი პირობა წავიწიე, მინდოდა მეკოცნა, მაგრამ თავი შევიკავე. მე განუსაზღვრელად მინდოდა მის კალთაში თავი ჩამედო და მეთხოვა რაღაც დიდი. არა, მე არც თხოვნა მინდოდა, ბე თვითონ არ ვიცოდი რა მინდოდა მისგან.

სიდუ შემობრუნდა. გონიერი თვალები რაღაც ლამაზი ნადირივით შემომანათა, მე ვერ გაუძელ ამ თვალებს. ის მდულარესავით შემომევლო ტანზე, რატომღაც სახეზე ავილეწე და ალმური მოდებულმა თავი დავხარე.

ამხანაგები გვიცქერიან ჩუმად, ხმის ამოუღებლად და მათ არ უკვირთ, მე რომ ასე ავილეწე. თითქოს ეს ასეც უნდა მოხდეს. მაგრამ რათ უნდა მოხდეს ასე? ეს არც იმათ, არც მე და არც სიდუმ არ ვიცით. უხერხული მდგომარეობიდან რომ თავი დამეღწია, წამოვხტი, სიდუს ხელი დავსტაცე და უკანა ეზოსკენ, რიონი რომ ჩახეთქილ ფლატეს ეტლაშუნებოდა, სირბილით გავიქეცი.

— აბა, ბაღნებო, ალუჩა ვის გინდათ, ახლად გამოკვირტული ალუჩა!—დავძახე მე. მინდა გავიქცე და სიდუც თან გავიტაცო, მაგრამ ის არ მნებდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელა მოდის და მეც დავყევ ნებას. მიედავართ ნელა და გული ეტკივება, რომ ყველამ თავს გადაგვასწრო, და, როცა ჩვენ ალუჩასთან მივალთ, სილით დაყურსული ყველა შტოები დაკავებული დაგვხვდება. მივდიოდი და გულდაწყვეტილი უცქერდი, როგორ გადადიოდენ ჩემი ტოლები შქერის მაღალ ღობეზე მალაყს და ქრიამულით, წიკვინით მირბოდენ ალუჩისაკენ. ეჯიბრებოდენ ერთი მეორეს, ვინ უფრო ადრე მიირბენდა ამომიზნებულ ხესთან.

სიდუ ღობეზე ნელა ავიდა და მე უცდიდი, არ მინდოდა მისთვის გადამესწრო. ის ხმას არ იღებდა და მეც ჩუმად ვიყავი. მაგრამ როცა ის ღობეს თავში მოექცა და მისი ღრმად გამოჩენილი მზისგან დამწვარი ლორთქო წვივები დავინახე, ეს ღობე ქარით მოქნეულ ლასტივით ატრიალდა ზემოთ, ზედ შემდგარი სიდუ სივრცეში აიქნია და ეს მათრახის ტარივით მოქნილი შიშველი ფეხები ისე ახლოს იყო ჩემგან, რომ არ ვიცი როგორ მოხდა,—ფეხებზე დავეკონე. სიდუმ ფეხი გველნაკბენივით მოიქნია და ღობის იქით გადავარდა. მე მოხიდულ შვილდივით მოვსწყდი ადგილს, ღობეს ქორივით გადავევლე და დარცხვენილი, ყელში ბოლმა მობჯენილი ალუჩისაკენ გავექანე. ერთბახს ასე მივრბოდი გულამოვარდნილი, მერე შევჩერდი, მოვიხედე, — სიდუს თავი დაუხრია და უკან ბრუნდება. მე გული დამეთუთქა, რალაც ჩამწყდა შიგნით, გულს უსაზღვრო სიბრალული და დანაშაულის გრძნობა შემომაწვა და. ჩემი კი არა, ვიღაც სხვისი ხმით დაუძახე:

— საით, სიდულია?..

სიდუმ არც მომხედა. მიდის ნელა თავდახრილი. მე გავცქერი მას და არ მესმის, გულმოსულია ჩემზე, სტირის, თუ ფიქრობს რამეს თავისთვის. ვერ მოვითმინე, გამოვედევნე და, ფაცხის იქით რომ ჩალის ზვინი იდგა, იქ წამოვეწიე. ირგვლივ არავინ იყო. არც ბალღები სჩანდნენ. ისინი ალუჩას შესეოდენ და ეღიოდენ ჩიტებივით. მხოლოდ წიწილებიანი კრუხი აკრუხუნდა გაკაპასებული და აფოფრილმა ოხვრით, წუხილითა და ერთი ვაივაგლახით აჭუჭუნებული წიწილები ფრთებქვეშ შეითავსა.

მე ნელა მიველ სიდუსთან. მის წინ დამნაშავესათვით გავჩერდი და ვთქვი:

— წამო, სიდულია, ალუჩაზე.. თუ მენდური?

— არ გრცხვენია? მე შენ ძმაში არ გამომერჩევი...—სთქვა მან საყვედურით და თაფლისფერი ტკბილი თვალები მუგუზლებივით შემომანათა.

— სიდუ! —ვთქვი მე რეტდასხმულმა, ბეჭებში ხელი შემოვხვიე და ჩემკენ ნელა მოვწიე. ის დამყვა ნებას, მეც დრო არ დავკარგე და ტუჩებში ვაკოცე. რომ ვაკოცე, ვიგრძენ როგორ მორიდებულად მიპასუხა მან მალული კოცნით, მერე შეკრთა, დამფრთხალ თიკანივით აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და გაიქცა.

მე ისე დავითვერ რომ ფეხზე დგომა აღარ შემეძლო, მუხლთ მომისავდა და იქვე ზვინთან დაყრილ ჩალაში მოსხლეტილი დავეცი.

5

საღამოს, როცა ჩვენ ფაცხის წინ წიკარში ვიჯექით, მე მათ უამბობდი თუ როგორ ვიცხოვრებდი ქალაქში. დედაჩემის გაზრდილი, ხუცის შვილი საბალიაც

იქ იყო, სემელარიაში სწავლობდა და ჩვენ მთელი დღეები ერთმანეთს ბურთაობუდეს თამაშში ვიქნებოდით და საჭამადად სულ რუსულ ფურნეში გამოვცხვარ თეთრ პურს ვჭამდით.

სიდუ ჩემგან ცოტა მოშორებით იჯდა და თვალს მარიდებდა. მე შეგონა გულმოსული იყო და გულის მოსაგებად უთხარი:

— იცი, რა გითხრა, სიდუ? რათ გინდა სამოთხის ჩიტი? არ ისმევა და არ იკმევა? მე შენ ერთ გოდორ კენდილს გამოგიგზავნი, ორპირში რომ ყიდიენ იმისანას, დაჯექი მერე და ხურხნე და ხურხნე, სანამ მე ჩამოვიდოდე.

— რაც შენ გინდოდეს, იგი გამომიგზავნე, ბათურია.—მიპასუხა მან მორჩილი ხმით.

კარგახანს ვისხედით ჩვენ ასე და ვლაპარაკობდით წყნარად, წიწილებივით ერთიმეორეზე მიჭუჭკნულნი, ამ მთისას, იმ მთისას. მერე მე უამბობდი მათ, თუ როგორ გავმდიდრდებოდი ქალაქში, გავხდებოდი დიდი სოვდაგარი, შეყოლებოდა საკუთარი აქლემების ჯოგი, სასახლეები, პალატები, როგორ ვიყიდდი ჩვენი ბატონის ბორანს და უყურეთ მერე თქვენ ბათურიას, სტამბოლის გზას რომ დაადგებოდა ასე. ჰააჰ, ამ წყალდაწყალ!

ყველა გაყუჩებული მიგდებდა ყურს და მეც ვლაპარაკობდი სულის მოუთქმელად, მთლად ენად გადაქცეული. ეს დალოცვილი ენა ბავშობისასაც ასე გატლეკილი მქონდა და ეს ოხერი თავიც ისევე სავსე ზღაპრებითა და უჭკუობით, როგორც ახლა. და მე ისე წაველ ლაპარაკად რომ არაფერი გაგვიგია, როგორ წამოგვადგა თავს ყანიდან დაბრუნებული მამაჩემი.

— რას ზობით, ბაღნებო?—შეგვეკითხა იგი და მთელი დღის ნანუშევარმა სამოყიანი ოთხი ღრმა ამოოხვრით კედელს მიაყუდა.

ჩვენ შევკრთით, ყველამ ერთად დავაპირეთ წამოშლა, მაგრამ მან დაგვიყვავა:

— იჯექით, ბაღნებო, ითამაშეთ!—და ამ სიტყვებზე ჩვენ ისევ მივლაგდით ჩვენ-ჩვენ ადგილას.

— დღეს, ბაბა, ქარავანი ჩამოსულა ყულევიდან და ხვალე, უთენია, გზას უნდა დაადგე და აბა შენ იცი რავა ადრე ადგები!—სთქვა მამაჩემმა ცოტა ხანს შემდეგ დალვრემით.

მე შეშეშინდა ამ სიტყვებზე და გული ისე შემეკუმშა რომ თხილის ოდენად მოიქცა. სანამ მე არ ვიცოდი ჩემი წასვლის დღე და საათი, მიხაროდა, მაგრამ ახლა, როცა მითხრეს, რომ მე ხვალ დილით გზას უნდა გაუდგე, რაღაც ცხელი შემომეჭირა გულზე სალტესავით და მეტკინა.

ყველამ მე შემომხედა ერთად, ისე თითქოს პირი შეეკრათო. მიცქეროდენ ხმის ამოუღებლად და მიხვდენ რომ მე აქამდე არ ვიყავი ცოდვა, აქამდე ეს თამაშობა იყო და ახლა, ამ სიტყვების შემდეგ, მე ცოდვა ვარ, რომ დღეიდან მე აღარ ვიტრიალებ მათ შორის.

მე გული დამეთუთქა, თვალები ცრემლებით ამევსო და თავი ჩავკიდე. კარგა ხანს ვიყავ მე ასე თავჩალუნული და ვგრძნობდი როგორი თანაგრძნობით შემომცქეროდენ ჩემი ტოლ-ამხანაგები და ხმას ვერ იღებდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მინდა მე იგი ნავარი პაროხი, არც ქალაქი მინდა. — ამბობდა მე და იდაყვი ჯიუტად გავიქნიე.

დიაკვნის შვილმა ქიშიამ მხარში ხელი დამკრა და თვალებში მზრუნველობით შემომხედა.

— რა უყოთ მერე, ბათურია... წადი... ბაბამ თქვა კაცი გამოვაო... მარა, იცოდე, არ დაგვივიწყო, თვარა ხმას არ გაგცემთ...

მე ისედაც არ ვიყავი დიდი ჭკუის და ახლა მთლად გამოვლენჩდი. ვიჯექი გაშტერებული და ქვეყანაზე არაფერი მესმოდა, გული რეკდა მხოლოდ ზარასავით და მახეში გაბმულ ღალღასავით მელეოდა. და მე ასე გაშტერებული რომ ვიჯექი, ვიგრძენ, რომ ვილაცა სულ ახლოს მოჩოჩდა ჩემთან და მკლავში ხელი ერთხელად შემახო.

— მიხვალ, ბათურია?..—შემეკითხა იგი. ეს სიდუ იყო. მე მთლად წავხდი კაცი-ნვილი, გული ამიჩუყდა, თან ვიცინოდი, არ ვიცი რატომ, თან ვტიროდი, არც ის ვიცოდი რისთვის, მერე გავყუჩდი და ჩოხის კალთით ცრემლები მოვიწმინდე.

— რა გატირებს, ბიჭო არ გცხვენია.—შემომიტია მამამ და გულში ალერსიანად მიმიკრა. მე თავი გავინთავისუფლე და ეზოში კვიცივით გავვარდი, ფაცხის უკან შარშანდელი ჩალის ზვინი რომ იდგა, შიგ ჩემი ძაღლის კანჩურიას საწოლი ბუნაგი გამოვქექე, თავზე ჩალა წავიყარე და გულამდულრეგული შიგ დავიმალე.

— ბათურია, უუ!..

— ბათურა, ჰაუუ!..

— ბათაია, ბიჭო, სად ხარ?—მეძებდენ ჩემი ტოლები, მაგრამ მე ხმას არ ვაძლევდი. ბოლოს ისე გამიტაცა მათი ძებნამ, რომ ჩემი დარდი სულ დამავიწყდა და განაბული უცქეროდი თუ მიპოვიდენ. როცა ისინი ჩემ სამალავს მოუახლოვდენ, მე ბუნაგიდან უეცრად სიცილით გამოვიჭერ და ყველა ავტკრციალდით. ვიცინოდით, ვხტოდით, იმიტომ რომ ბალღები ვიყავით და სხვანაირად ჩვენ მაშინ არ გვეხერხებოდა, ხანგრძლივი დარდი და გლოვა არ შეგვეძლო. როცა ჩვენ ასე სიცილ-კისკისში ვიყავით გართული, ჭიშკარს ჩემი ძმა ძოკოია მოადგა ტილურა ხარებითა და ჩემი სისვი კვიცით.

— რას შობი, ბათურია?—შემეკითხა ის ალერსიანად, როცა მე ჩემ კვიცს შევეგებე.

მე პასუხი არ გავეცი და თვალებს უკოცნიდი, ველამუნებოდი ჩემს მერანს, მაგრამ ის თავს არ მანებებდა, აქეთ-იქით იწევდა და ფრუტუნებდა, როცა კისერში ჩაბმული ბაწარი ავხსენი, ის ერთი შეფრთხა და მერე გაქანდა ეზოში კუნტრუშით.

შებინდების ხანს, როცა ბალნები თავთავის სახლში გალაგდენ, მე სიდუს მისი ეზოს ჭიშკრამდე მივყევი და ჩვენ ორივე ხმის ამოუღებლად ვიდექით ოლაგესთან.

საღამოს ბინდებში რიონიდან ახოხდა წამოსული ნისლი და კვიმი, კვიმს ფაცხიდან გამოსული კვამლი შეუერთდა და, კოლინდარით ჩალურჯებულ ეზოს რომ გახედავდი, ყველაფერი ბინდებში იყო გახვეული და თითქოს ეს ბჟოლები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ხურმები და ეს ტირიფები, მიწაზე კი არ იდგენ, ჰაერში ფაცხა-ბულნი და გეგონებოდა: ეს თვალებამობლეტილი ფაცხაც ადგებოდა და წამოვიდოდა ნისლებში აწეული.

— მიხვალ ხომ, ბათურია?—შემეკითხა სიდუ კიდევ ერთხელ ყრუდ, გულჩახურულად.

— მივალ, სიდულია, მივალ!—უპასუხე მე და ჩემი სიტყვების გაგონებაზე მე თვითონ დამეწვა გული.

— წადი, ბათურია, წადი და ივარგე.—სთქვა მან და ოლაგეზე ნელა გადავიდა, მერე მობრუნდა, მესერს გადმოეყრდნო და ჩურჩულით მითხრა:—აბა შენ იცი...

მე პასუხის გაცემაც ვერ მოვასწარი, რომ ის უკვე სახლისაკენ მიდიოდა.

მე ვიდექი და გავცქეროდი თუ როგორ აცურდა ისიც ამ ნისლში, სანამ ბინდებში მთლად არ შთაინთქა.

6

ამ საღამოს მე ბიცოლაჩემმა ლაფაროში ტანი დამბანა. ადრე ვიკახმეთ და დავწექით. მე არ მეძინებოდა. ან რა დამაძინებდა, როცა ეს უკანასკნელი ღამე იყო, ჩემ ფაცხაში რომ ვათევდი? მე გახევებული თვალებით უცქეროდი როგორ იბეჭუტებოდა ღადარმიყრილი ცეცხლი კერიაში და როგორ ეძინა იქვე მუშტის ოდენად მოკუნტულ კატას ტკბილად და შემხარბდა მისი ბედი. მე წავალ და ის ხვალ, ზეგ და სულ მუდამ აქ იქნება, ამ ფაცხაში, ამ ეზოში.

გარეთ დუმილი იყო, რიონის დუდუნი ჩანგურივით ტკბილად ისმოდა და ამ დუდუნს თხმელის შვიარების ლურლუნციან სიხშოებიდან წამოსული წრომის ძახილი უერთდებოდა.

— ნახე? ნახე? ნახე?

— ვერა! ვერა! ვერა!—ეს მოსიყვარულე დები ეძებდენ ამ მუალამით თავის დაკარგულ ძმას და ვერ პოულობდენ. ახლა მე ვიკარგებოდი და ვინ იცის მიპოვნიდა ვინმე თუ არა. დები მე არ მყავდა, რომ ვეძებნე და ძმა რას მომძებნიდა?

— მივდივარ, მივდივარ, მივდივარ...—რეკდა სისხლი თავში და მე გული ამიჩუყდა.

„რა სიჩუმეა?!!—გავიფიქრე მე.—„აგი მამალი მგელის შესაჭმელი, კანჩურიაც რომ არ ჰყეფს“!—და მე, თერთმეტი წლის ბავშვმა, ისეთი სიმარტოვე ვიგრძენ ამ საერთო დუმილში და ძილში, რომ დედა მომინდა, დედა, ამ ფაცხიდან რომ მოთქმა - კივილით გაიტანეს და მე ძლივს მახსოვდა. მამაჩემი შუბლში ხელს იცემდა და შავი ცრემლით მოსთქვამდა. მე მაშინ სულ პატარა ვიყავი და არ ვიცოდი რა ხდებოდა, ვიცოდი რომ დედა სადღაც შორს მიდიოდა და, როცა ველაპარაკებოდი, ხმას არ მცემდა, ეძინა თავისთვის. მე გული მომივიდა, მას მერე ნაწყენი ვიყავ დედაჩემზე.

ასე წაება ფიქრი ფიქრს და ჩემი საშველი არ იქნა, არ მეძინებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნიხვალ ხომ ბათურია?—მომესმა ტვინის სიღრმეში ... საყ-ვედური და მე გული ისე ამიწრიალდა რომ მზად ვიყავ მეტირა.

— მივდივარ... მივდივარ... მივდივარ...—ოეკდა სისხლი კი არა, არც გულ-ლი, ეს მე ვრეკდი მთელი ჩემის არსებით და გულზე სისხლი მდულარესავით მევლებოდა.

რა დამატოვებინებდა მე ახლა ამ ჩემ ფაცხას, სადაც მე ჭიპი მოვიწყვიტე, თვალი გავახილე და პირველად ეს ქვეყანა დავინახე. ამ ეზოს, ამ მერეს, ამ მინდვრებს, ზედ რომ ჩემი კვიცით ჭიხვინითა და კისკისით მინავარდია. ამ რი-ონის პირებს, სადაც მე მთელი დღეები თხები მიწყემსია და მიკითხავს ჩვენი ხუცესის ხელნაწერი წიგნები. სადაც მე უკრავდი სალამურს, ქაშქვილითა და ქასაგანით ზაშვებსა და მალალურებს დავდევდი, ღომის ყანებსა და საისლეებ-ში მწყრებს, ღალღებსა და ხოხბებს მახეებს უგებდი, ამ რიონის ფუნჩულა წყალს, შიგ რომ ბაყაყივით ვცურავდი და მერე რიონის ჩქონებში შიშველი და სველი ამხანაგებთან ერთად ქვიშაში ამოსვრილნი ჭინკებივით ვხტოდით, ანდა კვატაცის მოქნილ ჯოხებს ვეძებდით მოსაჭრელად, ანკესით მსუქან კობრებსა და ღლაევებს ვიჭერდით, ამ ცას, მე რომ პირაღმა დაწოლილი შევცქეროდი და მის დასალიერში ახგელოზებს ვეძებდი, ამ ლორთქო ბალახს, ჩემი თხები, რომ ხარბად სძოვდენ და ჯიქნებს რძით იტენიდენ, ამ ხეებს, ამ ტოლ-ამხანაგებს და ამ... სიდუს?

ასე ვფიქრობდი მე და გულს ისე შემოვეჭირა რაღაც სალტესავით, რომ მზად ვიყავ მეტირა, მაგრამ არ ვიცი ვიტირე თუ არა, იმიტომ რომ მე და-მეძინა.

— ადექი, ბაბა, აწი ადექი, დავგვიანდით!..—ჩამესმა ძილში და მე შემე-შინდა ამ სიტყვების.

— საცაა მზეც ამოვა და მზის ამოსვლამდე ორპირში უნდა ვიყოთ!—არ მეშვება მამაჩემი, და მე გული მეკუმშება ამ სატყვებზე. ახლა ისე ტკბილია სა-კუთარი სხეულით გამთბარი ლოგინი, ეს ნავარი ძილიც სისუსტესავით მომეკი-და და განძრევის თავი არა მაქვს! ერთი შევიშმუშნე, გავიზმორე და გვერდზე გადავბრუნდი. მინდოდა ძილში მაინც დავმალეოდი ამ შორეულ გზას, მაგრამ მამაჩემმაც, რომ გამწირა და საშველს არ მაძლევს, ერთი რჯულზე გამოვიძინო!

გადმოვბრუნდი, თვალები გავახილე, ფაცხაში მივიხედ-მოვიხედე. ჯერ კი-დევ კირგა არც გათენებულა. ფაცხაში აპრილის სისხამი დილის სიგრილეა და ცოტა ცივა კიდეც. ირგვლივ ბინდებია, ცეცხლის სინათლეზე ბრწყინავს გაზინ-ქული სხვენი და ზედ მიკიდებული ოჯინჯალა. ირგვლივ საფუარის, ახალი ყვე-ლისა და მჟადის სუნი დგას. კერიაში ცეცხლი ტკბილად ღუღუნებს და ტკაცუ-ნობს ზევით აყრილი ნაპერწკლები. კანჩურია ცეცხლის პირას უკანა ფეხებზე ალაზე დამჯდარა, თვალებ მილეული პირი სხვენში აუშვერია და თავს აქეთ-იქით წკმუტუნით აკანჩურებს. ცეცხლი და ბოლი მისძალებია, თვალებს სწვავს და იმდენად ზარმაცია, რჯულძალლი, რომ უკან დაწევა ეზარება და აზმორებუ-ლი კნავილით კაცივით ამთქნარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძოკოია ქართაში ხარებს სარქავს, უტევს ხვადაგს და ...ად ემზადება, ბაგაში დაბმული კეიცი ჭიხვინობს, ბაკუნობს მოუსვენრად და მე მეზარება ადგომა, მეზარება, რომ ახლა, როცა ფაცხა ასე მშობელ დედასავით ტკბილია, უნდა ავდგე და გზას დავადგე. და როცა კარებთან მიგდებულ ხორაგით სავსე ხურჯინს მოვკარი თვალი, შემეცოდა ეს ოხერი ჩემი თავი, გული ამომთუთქა ჩემმა საცოდაობამ, ობლობამ, სისაწყლემ, (ყველაფერი ახლა გამახსენდა!) და გულამომჯდარმა ტირილი დავიწყე.

— რა გატირებს, ბაბა, არ გრცხვენია? ამხელა კაცი ხარ და პირდაფჩენილი ტირი! ფუი, სირცხვილო!—ნამუსში მაგდებს მამაჩემი და თან დაყვავებით თავზე ხელს ნისვამს, მეფერება:—იმ ხალხს ციმბირში ასახლებენ და არ ტირიან, შენ რა გატირებს? საცოდავ ბიძაშენს უტუიას ბუნტობიზა ციმბირში უკრეს თავი, მარა კი არ უტირია! სო, აწი, სო!...

— რა მინდა მე ქალაქში!..—ვზმუი მე და თან ტანთ ვიცვამ. — მე აქანა მინდა... რათ მინდა მე ი შუბარძამი ქალაქი...

ჩემი ძმაც შემოვიდა, მტირალი რომ დამინახა, შემომიტია:

— რა გატირებს, ბიჭო, არ გრცხვენია? ცოლი ხომ არ მოგკვდომია? შე საწყალო, ბედი კარზე მოგდგომია და შენ პირდაფჩენილი ბღავი? ფუი შენ ვაჟკაცობას! კაცი ამხელა გზას ადგახარ და ტირილი ვინ გაიგონა! სუ, აწი, არ ვარგა!

მე მაინც ვზმუი და ჩაცმული ლოგინიდან ძირს ჩამოვდივარ.

— მომიძულეთ ხომ?.. არ გიყვარვართ, ხომ?.. ხომ მიცილებთ, ხომ?..— ვხლუქუნებ მე გულამოსკვნილი, ვესაყვედურები მათ და მამაჩემი გულში მიკრავს, მეალერსება:

— არა, ბათურია!.. არა, ბაბა!.. რავა მოგიძულე, ბეჩი?.. არ თქვა მეტი! სუ, არ თქვა!.. მოსაძულებელი შვილი მე ვინ მომცა?

— კი ვიცი მე, კარგათ ვიცი... კარგად ვიცი... ხომ ასე?.. ხომ? კაი, აბა, კაი! ვნახოთ, ენახოთ!.. —ვიმუქრები მე.

ბიცოლაჩემიც გადმოვარდა სამეზობლო ღობეზე კრუხივით გაფოფრილი, ბიძაჩემიც, მეზობლებიც მოგროვდენ. ტოლ-ამხანაგები ირგვლივ შემომეხვივნენ, ყველა თანაგრძნობით მიცქერის და ეს კიდევ უფრო მიდუღებს გულს, ვზმუი და თან სიდუს ვეძებ ტოლ-სწორებში და რომ ვერ დავინახე თვალებზე ცრემლი უეცრად შემაშრა, გავჩუმდი, გადაწყვეტით ფაცხიდან გამოველი და ვთქვი:

— წავიდეთ!

მამაჩემმა ერთი გაოცებით შემომხედა ჩემი ასეთ უეცარ გადაწყვეტილებაზე, მერე ხელი ჩაიქნია, ზურგზე ხურჯინი მოიკიდა და გამომყვა.

ეზოდან ნაბალავად სიდუს სახლს გავხედე და გულში გავიელე:

— კარგი, სიდუ, კარგი! ხომ ასე? წავალ მე ქალაქში, კი წავალ და ვნახოთ ვინ წააგებს! მზეთუნახავს რომ ვითხოვ, მაშინ უყურე შენ ბათურიას! დამაცადე, დამაცადე!..

— კი ვითხოვ მე მზეთუნახავს, კი!..—წამომცდა უეცრად ხმამაღლა ჩემი ფიქრები და ჩემი სიტყვების მევე შემეშინდა.

— ვის ითხოვ, ბიჭო? რა თქვი?—ჩამსდია ბიძაჩემმა [illegible] ყველამ სიცილი დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე შემცხვა, თვალებზე ხელები ავიფარე და ის იყო ხელახლა უნდა ავზლუქუნებულიყავ, რომ ამ დროს ჭიშკარი შემოიღო და სიდუ და მისი ძიძა ეზოში ჩამოვიდენ. მე პისკენ გავექანე, მაგრამ შუა გზაზე შეეჩერდი, შემრცხვა და თავჩაღუნული უკანვე გამოვბრუნდი აძურწული.

— ჰაიტ, შე ყურბანა, შენ!—მიტევს ბიძაჩემი სიცილით და გულში მიკრავს, მეალერსება, მკოცნის, მლოცავს. ბიცოლაჩემი გულზე შანას მკიდებს და სამჯერ წაღმა მაბრუნებს და მე დავტრიალობ ამდენ ალერსში ჩერიასავით, ყველას კისერზე ვეხვევი, მინდა რომ ყველას ვებრალებოდე, ყველას გულს სწვავდეს ჩემი მოშორება. ქალებს კოცნაზე პირს უშვერ, კაცებს ლოყას, იმიტომ რომ მეზარება, აბურძგვნილი წვერები სახეს მაკაწრავს.

— აბა შენ იცი, ჯამუია, რავა მოუარ ჩემ თხებს! უბარებ ჯამუს.

— ქიშია, კაცო, ძაღლი არ მომიკლა, ან არ გაგიხელდეს!

— რას ამბობ, ბათურია, ძაღლს რავა მოვკლავ!—მაიმედებს ქიშია და მე ვეთხოვები ყველას. როცა კაცები, ხელში აყვანილს, მაღლა მწევენ, მე ჩვარივით ვეკიდები მათ მკლავებზე. ყველას სათითაოდ ვემშვიდობები, ვერ ვათავებ, ვერ ვძღები მათი ალერსით და თან სულ მგონია რომ რალაც მავიწყდება დიდი, განუზომელი, რალაცა მრჩება მნიშვნელოვანი და ვლაპარაკობ, ვლაპარაკობ, არა აქვს საშველი ჩემი ქაქანის გათავებას და თან ვფიქრობ რა მრჩება და ვერაფრით ვერ ვიგონებ. რა ვიცოდი მე მაშინ, რომ ეს ჩემი გული იყო, აქ რომ რჩებოდა, ჩემი სიყვარული, ჩემი ბავშობა! ეჰ, მე მაშინ ბალანა ვიყავ და ბევრი რამ არ ვიცოდი.

მერე მე ჩემ სათამაშოებს უტოვებ ამხანაგებს: ქიშიას,—ქაშქვილსა და ქასაგანს, ძიკომ რომ გამიკეთა ამ ზამთარს ჩხართვებზე სანადიროდ, ჯამუს მწყერის მახეებს და დიდი ამბით ვასწავლი თუ რა ადგილას იცის ბევრი მწყერი და სად უნდა დააგოს ისინი. სიდუს, შუაში ბუნებრივად გახვრეტილ თეთრი რიყის ქვას, ცენიწყლისპირას რომ ვიპოვნე, მერე მე უეცრად მახსენდება, ფაცხის გვერდით მზვარეზე გავიქეცი, იქვე კედელთან მიდგმულ საწნახელზე შევდექი და ბურულში გაყრილი შვიდი ლერწამის ჯოხზე გაწყობილი ანკესი გამოვქვალე და ისიც ჩამოვარიგე, მერე ჩემ კვიცს მარჭიხოლას ვეთხოვები, თვალებს უკოცნი, ის არ მნებდება, თავს ფრუტუნით იქნევს და ჩემი ძაღლი ირევა ჭკუაზე, იჭვიანობს, მას არ უყვარს, ჭირივით სძულს, როცა მე სხვას ვეალერსები, ჰყეფს, დარბის აქეთ-იქეთ, წაწკანობს, ზედ მახტება და მთხოვს, მასაც მივეალერსო. ძოკოსაც ვეხვევი, ხარებსაც, არაფერს არ ვივიწყებ.

მეზობლები სიბრალულით სავსე ღიმილით მიკქერიან და როცა დროს მიშოვიან, მარიგებენ. ჭკუას მასწავლიან, ზოგი სულგუნს მაძლევს საგზლად, ზოგი მარილწყალში ბრგვლად მოხარშულ ქათამს, ზოგი შალის წინდას და სიდუ მისი ხელით გამომცხვარ ჯერ კიდევ ცხელ ხაჭაპურს და მე მხოლოდ ეხლა მოვიაზრე რომ, ალბათ, ამიტომ დაგვიანდა მას ასე და ცხელ ხაჭაპურს გულში ვიკრავ და მკერდი საამოდ მითბება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, ბათურია, შენ იცი რავა ჭკუით იქნები!

— ბიჭო, ვაგლახათ არავის მიენდო!

— ზესტაფონში ფრთხილად იყავი. იმ ვირიჭამია ჟინოსქუებმა არ გაგაწვალონ!

— ქალაქი რომ დეინახო, ბაბა, კენჭი გადაყლაპე, არ დაგავიწყდეს, თვარა დაცდა იცის.—მაბარებს ბიძაჩემი, მერე გრძნობა ერევა და აცრემლებული მკოცნის ისევ შუბლში, თვალებში და ხელში ჩუმად ვერცხლის მანეთიანს მიდებს.

ჩვენი სოფლის დიაკვანი ზოსიმე, ქიშიას მამა, მთლად გადირია. დაიბნა, არ იცის რა ქნას, მერე რაღაც მხეცივით აბურდღუნებული მომვარდა, ხელში ამიტაცა, ცად ამწია და ბღავის, ბურდღუნებს რაღაცას დათვივით, კაცი ვერ გაიგებს რას. მღელვარებისაგან ენა ჩაუვარდა, მკოცნის, მლოშნის, მერე ძირს მსვამს და ასე ბურდღუნით აცახცახებული ხელით ვერცხლის პატარა ხატს მკიდებს გულზე, ისევ მეალერსება, მლოშნის, მლოცავს, ჯვარს მსახავს და ქადაგად დაცემულივით სულ ერთსა და იმავეს გაიძახის:

— ღმერთს შეხედე, ბათურია, ღმერთს შეხედე!.. ღმერთს შეხედე, შე ულმერთო, შე თათარო, ღმერთს!—და მე არაფერი მესმის რა სჭირს მას. ან რათ უნდა შევხედო ღმერთს. გული ამიჩუყდა, მინდა ვაკოცო, მარგამ ვერ შევწვდი, ავხტი, მხრებს მოვეკიდე, ძირს დავწიე და თმა-წვერით გაბურძგნილ ტუჩებში ვაკოცე. ამაზე ის კიდევ უარესად აბღავლდა, მეც მას ავყევი და ვინც გვიყურებს, ყველას გული ეთუთქება ჩვენი სიბრალულით. და, მე რომ ასე ვიყავი, უეცრად თვალი მოვკარი როგორ ზის ჩვენგან მოშორებით ჭიშკართან მამაჩემი ხურჯინზე და ისიც იცრემლება ჩუმად, უხმოდ, თავჩაღუნული.

მე მისკენ გავექანე და კისერზე მოვეხვიე.

— არ მინდა, ბაბა, არ მინდა მე ის დასაქცევი ქალაქი! მე აქანა მინდა! ნუ წამიყვან, ბაბა, ნუ წამიყვან!..—ვემუდარები მე გულადღეებული, მაგრამ მამაჩემი ხმას არ იღებს, თვალთაგან ცრემლს ჩოხის კალთით იწმენდს. უნდა თავდაჭერილი იყოს, წყნარად მიშორებს და დაყვავებით, მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით, მეუბნება:

— სო, ბაბა, აწი, სო!.. მერე ადგა, ხელი მოწყვეტით ჩაიქნია, ხურჯინი მხარზე გადიკიდა და გზას დაადგა. ცოტა რომ გაიარა, ბრუნდა და ძოკოს დაუძახა:

— რას უყურებ შენ, ბაბა? წადი ყანაში!.. მე შემაგვიანდება და აბა, შენ იცი, რამდენს მოხნავ...—შებრუნდა და წავიდა.

მე ვიდექი შუა ეზოში დაბნეული, უმწეო, წინ მამა მიდიოდა ჩემი საგზლით, უკან ისინი იყვნენ,—ჩემიანები, ჩემები და მე არ ვიცოდი საით გავქცეულიყავ, ვისთვის შემეჩივლა ჩემი უბედურება.

დიაკვანი ზოსიმე ისევ გამოექანა.

— ბათა, ბიჭო, ბათაია... იქნება ვერ გნახო მეტი... ფუი, შენი ბალნობას, ფუი!..—რატომღაც მიტევს იგი და მერე:—ღმერთმა იცის, ბათურია, შვიდობით, შვილივით მიყვარდი!.. ჩემ ღვიძლ შვილში არ გამომერჩეოდი!.. არაფერია, ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა!.. მაღალი ღმერთი იყოს შენი შემწე, ბათურია, მაღალი ღმერთი! — ამ ბობს იგი, ხმუის, ხელებს ცაში შტოებივით იქნევს და მე არ მესმის, ემუქრება იგი ღმერთს ცაში, თუ მე მავედრებს.

მე ხელში უსხლტები მას, მივდივარ ნელა და ისინი ყველა მომყვებიან ერთად, მაცილებენ და მე ვიცი, კარგად ვიცი რომ ყველას ენანება ჩემი წასვლა.

— ხომ მოგვწყინდა, ბიჭო, უშენოდ, რა გაგვაძლებიებს?

— აბა, აბა!—ემოწმებიან სხვებიც და თავს სინანულით იქნევენ.

— დიდი ეშმაკის ფეხი კი იყავი, ბიჭო, დიდი კვიმატი!..—ამბობს ბიძაჩემი ეშმაკური ღიმილით და თან მოსიყვარულე თვალებით მიცქერის.

— ბიჭო, ჩემ ვაშლატამას რა ეშველება აწი, ვინ მომპარავს?—მეხუმრება ბიცოლაჩემი და თვალები ცრემლებით აქვს სავსე.

ჭიშკართან ისევ გამოთხოვება. მამაჩემმა დაჭკარგა მოთმინება, უკმაყოფილოდ შეხედა აწვერილ მზეს და წინ წავიდა.

— მოიცადე, ბათა!—დამიძახა უეცრად სიდუმ. მე შევჩერდი, თავი ჩავღუნე. ის მომიახლოვდა ნელი, მტკიცე ნაბიჯით, მერე კისერზე ავგაროზი წაიძრო და გულზე სასოებით დამკიდა.

— ბაბას ნაჩუქარია... ძიძას რომ გამომატანა, მაშინ დაგკიდა... — ამბობს სიდუ ხმაჩაწყვეტილი და არ სტირის, მხოლოდ ცრემლები სცვივა თაფლისფერ ტკბილი თვალებიდან.

მე თავი ვერ შევიკავე და, როცა ის კისერზე ავგაროზს მკიდებდა, საფეთქლებში ხელი მოვკიდე, მოვწიე ნელა და სანამ ვინმე გამოერკვეოდა, ვაკოცე ტუჩებში და გავიქეცი.

— შეხედე, შეხედე ამ მამაძაღლს, რავა გადაგვიკოცნა ეს ქალი და გაგვექცა! ხომ გითხარით ეშმაკის ფეხია-თქვა! ჰაიტ, შე ყურბანავ, შენ!—მიტევს ბიძაჩემი და ყველა იცინის.

— მომიცადე, მომიცადე, მე შენ გაყურებიებ შენ თვალისეირს!—მომძახის ჩემი ძმაც სიცილით.

მე ერთი მოვიხედე და ვხედავ როგორ იცინის ყველა და სიდუ დგას თავდახრილი, დარცხვენილი და სახე ალეწილი. მერე გავბრუნდი და ისევ გავიქეცი, მივრბივარ, მივრბივარ და მე მეტი არ შემიძლია, აგი ბალაგარი გული ყელში ამომაწვა და, თუ საგულე არ შევიხსენი, დამახრჩობს. საკინძე მოვიგლიჯე და მივრბივარ ისევ ისე გულამოვარდნილი. მეტი ველარ შევძელ, მუხლებში მომისავდა, სუნთქვა მიმძიმს და მზად ვარ დავწვე ამ შარაზე და მოვკვდე, მაგრამ რაღაც მეწევა და მაინც მივრბივარ. აჰაა, ჯამუიას ეზოც, რამდენი გვინავარდია ჩვენ ერთად, რამდენი გვიმწყერავია, თევზები გვიჭერია! ერთხელ უზარმაზარმა ღლავმა წყალში გადამითრია, ვიხრჩობოდი და იმან გადამარჩინა.

— ბათურია, ბათა!..—მომესმა მე და ვხედავ, ღობეს ჯამუ გადმოევლო და გზა გადამიჭრა. გაჩერდა ჩემ წინ, ხელში ციცრის კვერცხს მაჩერებს და მეუბნება:

— აჰა, ბათურია, გქონდეს.

მე კვერცხს ვართმევ და ერთმანეთს გამოლენჩებული თვალებით უცქერით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შვიდობით, ჯამუ!—მოვახერხე, როგორც იქნა.

— შვიდობით, ბათა!—მეუბნება იგი და მეტი არაფერი, ინიტომ რომ საოქმელი ბევრი გვქონდა და თქმას უთქმელობა ვარჩიეთ. მე ისევ სირბილით გავიქეცი და, მოსახვევში რომ ასი წლის მუხაა, იქ შევჩერდი, უკან მოვიხედე, ხალხი ისევ იდგა ჭიშკართან და მიცქეროდა. სიდუ ისევ ისე იდგა თავდახრილი. მე თავი ვერ შევიკავე და ქუდი დაუქნიე, მერე ისევ თავზე ჩამოვიფხატე და მხოლოდ ეხლა შევამჩნიე რომ ჩემი კანჩურიას ენა გადმოეგდო და ძუნძულით მომდევდა.

— დაილუპე, ძაღლო, აქედან!—შეუტიე მე მას. ძაღლი შეჩერდა, კუდი ამოიძუა და თვალმინაბული მოდის ნელა და თან ისეთი მორჩილი და შეშინებული თვალებით მიცქერის ირიბულად, რომ შემეცოდა, მიველ და მიუალერსე:

— არა, კანჩურია, არა! რა ვქნა, აბა კანჩურია, ა?—ვემუდარები მე მას კაცივით და მივდივართ ორივე ამ შარაგზაზე და, ვინ იცის, სად თავდება ეს გზა, სად უნდა გავჩერდე მე? რა მოლევს ამ გზას, ასე მარტოდმარტო, გამოუცდელი ბალანა რომ დამაყენეს ზედ და გამისტუმრეს ამ ცხოვრებაში.

— აბა შენ იცი, ბაბა, რავა ჭკუით იქნები!—დაიწყო მამაჩემმა, როცა წამოვეწია.—სახლი არ დაგავიწყდეს, წერილი მოგვწერე. მართალია, ბალანა ხარ, მარა ჭკუა მაინც უნდა გეკითხებოდეს. იმ შენი უფროსი ძმას უთხარი, რომ გულნატკენი ვარ, წერილი მაინც მოიწეროს, ოჯო! ჩვენი გაზრდილიც ნახე, საბალია. მომწეროს რას აკეთებს, ან როდის ეკურთხება ღვდლათ! ასეა, ბაბა, ობოლი ბალანას ბედი და რას იზამ. დედა შენ არ გყავს და უფროსი და, რომ მოგიაროს. შენ გზას შენით უნდა ეწიო. დედაშენი რომ ცოცხალი ყოფილიყო რავა გაგიშობდი იმ დასაქცევ ქალაქში. მარა ახლა რა ვქნათ? უქალო ოჯახს ოჯახი არ ქვია. მოთმინებით და ჭკუით იყავი, ბაბა! ხომ გაგიგონია, ობლის კვერი ცხვა, ცხვა, გვიან გამოცხვა, მარა კარგა გამოცხვაო. კერია არ დაგავიწყდეს, ბაბა, იმ შენ ძამიასავით არ დაგემართოს. ხელს არ გადაყვე! კერიას დავიწყება დიდი ცოდვაა, ბაბა! შენ ბალანა ხარ და არ იცი. რომ ჩახვიდე, იმ ბიჭს უთხარი, უძიროთ რომ გადადიხარ, რას ფიქრობთქვა. ახლა მაინც არ გერჩის ბატონი და ჩამოდითქვა.—მელაპარაკებოდა მამაჩემი და მე დილის საგაზაფხულო სუსხით აძიგძიგებული ყურს უგდებდი მის რჩევა-დარიგებას და გულში ღრმად ვიბეჭდავდი.

ამ ლაპარაკში ორპირსაც მიუახლოვდით.

დაიწყო მოსახლეობა, ჯერ ოდები, ფაცხები, მოგდულები, მერე, ოკამინეს რომ გავცდით, კირით შეფეთქილი სკაპის რუსული ქოხები ბალებით, სკებით. ცენიწყალზე გემები, ბაიდები, ნავები. ნაპირებზე ხახადაბჩენილი ბელლები, საწყობები და ბელლებიდან, საწყობებიდან გლეხები ეზიდებოდენ ზურგით ტომრებს, ბამბას, სიმინდს, დემებათ დაგრეხილ და დასტობით დაწყობილ თუთუნს. თეთრსა და ყვითელ ყაჭს გოდრებით და გემებსა და ბაიდებს ტვირთავდენ. ისმოდა ათასნაირი ლაპარაკი: ქართული, ლაზური, მეგრული, თათრული, ბერძნული და რუსული. ქოშინობდენ გემები, ჩქაფუნობდენ წყალზე დარტყმული ნიჩბები. იქვე, ბოლაზში, იწვენ აქლემები, კამეჩები, ხარები დაყუდებულ ურმებთან და თვალმილულულნი იცოხნებოდენ. მე დავიბენი, გავფოცდი ამდენი ხალხის

ლრიანცელში და ჯერ უნახავ აქლემების დანახვაზე ენა მუცელში ჩამოვარდა. ყველაფერს გაფაციცებით ვადევნებდი თვალ-ყურს, ეცდილობდი ყველაფერი დამემახსოვრებინა, არაფერი გამომრჩენოდა და ჩემი დარდი წავიდა სადღაც შიგნით მიყუჩებულ კბილის ტკივილივით. მე გაოცებული უცქეროდი ამ აყუდებულ სკაპცებს, სახე რომ დედაბრებივით ქონდათ დაპრანჭული და თვალები მიეუტული. მე ყურს უგდებდი მათ დედაკაცური ხმით წრიპინს და არ მჯეროდა, რომ ეს ხმა ამ აყუდებულ კაცებს ამოსდიოდათ ყრონტში. მამაჩემს ჩოხის კალთაში ჩავაფრინდი და არ ვეშვებოდი, მეშინოდა არ გავბნეულიყავ და არ დავკარგულიყავ ამ არეულ მილეთის ხალხში.

მამაჩემმა კითხვა-კითხვით თავისი ნაცნობი მექარავნე გაბრუა მონახა, მოსაკითხი მიართვა და ხელში ვაი-ვაგლახით ნაგროვები სამმანეთიანი ჩაუდო.

— ა, ჩემო გაბრო, აგი ბაღანა მყავს ქალაქს ჩასაყვანი და აბა შენ იცი, რავა უპატრონებ და შვილივით ჩაიყვან.

— რატომა, რატომა! წავიყვანთ, რატომაც არ წავიყვანთ! ე სატიალე აქლემები სხვას რას მიკეთებენ, რომ ერთი ბალღი ვერ წავიყვანო! ისე ჩავიყვანო რომ, მგონი, ნიავიც არ მივაკარო!—სთქვა გაბრუამ და მე იმედი მომეცა, თან გაოცებული უგდებდი ყურს მის ქართულს. უცქეროდი მის ფართო ლურჯ შარვალს და უცნაურად მოკლე ახალოხს. ის დაბალი იყო, მაგარი, ჩასკვნილი და მთლად გათეთრებული. თვალის ქუთუთოები წითლად ჰქონდა ამოჭმულ-ამოწირპლული, მაგრამ მე როგორღაც იმედი მომეცა ამ კაცის და მივენდე.

გაბრომ ერთი ამხედ-დამხედა, მერე შებრუნდა და ვიღაც ახალგაზდას, დატვირთულ ჯორს რომ მოსართავებს უჭერდა, გასძახა:

— ჰაი, ბიჭო, შაქრო! ერთი ე ბალღი იმ ბეხია აქლემზე შესვი, ქალაქს უნდა ჩავიყვანოთ! და თან თვალით მამაჩემს ანიშნა, რომ იქეთ წავეყვანე. მამაჩემმა მე მთლად გულგადალეული და უმწეო შაქროსკენ წამიყვანა და, სანამ დაწოლილ აქლემზე შემსვამდენ, მე ვეფერებოდი მამას, ვკოცნიდი, ცრემლებს უხმოდ ვღვრიდი და ვემუდარებოდი რომ ისევ სახლში წავეყვანე. რა ჯანდაბა მინდოდა ქალაქში, რა დამრჩენია იმ დასაქცევში? მე ჩემი სახლი მინდოდა, ჩემი კერია, ჩემი თხები და მინდორ-ველები, მაგრამ მამაჩემის გულს არ ეკარებოდა ჩემი მუდარა და მეც მოვეშვი, მკლავები მოწყვეტით დავყარე და უცდიდი მორჩილად, უცდიდი და დასაკლავად რომ წამოვექციე ვინმეს, მე მორჩილად გაუშვერდი კისერს.

— ნუ გეშინია, ბაბა, ნუ გეშინია!... სახლში დაბრუნება ვინ გეიგონა? კაცი გზაზე დამდგარხარ, სირცხვილია! აბა შენ იცი, ბაბა... შენ იცი!...—და მამაჩემს თვალები ცრემლებით ევსება, მლოცავს, ოლორის წმინდა გიორგის მაველრებს და რატომღაც ბატონსა და მის გამჩენს სულ დედმამის სულს აგინებს.

მე მოვწყდი და ისეთი ძიგძიგმა ამიტანა, რომ მექარავნე გაბრუას შევეცოდე და სიბრალულით შემომიტია:

— რის გეშინია!. რა, თათარში ხომ არ მიგვყევხარ?

მე უმწეო თვალებით ნაცემ ძაღლივით შევხედე ამ ბერიკაცს და ის ისე სათნო იყო, რომ გული მდუღარებით ამევსო. მამაჩემმა დრო იხელთა, იქვე ფურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეში შეირბინა, ერთი გოგორა თეთრი პური იყიდა, მერე იქვე ფურნის ბაერ-
დით, დუქანში სამკაპიკიანი ტყვიის საპიპინო მამალი გამოართვა და მომიტანა.

— ა, ბაბა, გზაში არ მოგშივდეს, ა, კიდო შენ მამალი, გზაში აპიპინე და
თავი შეიქციე! — მითხრა მან და კიდევ ერთხელ გადამკოცნა. შაქრომ და გაბრუ-
ამ დაწოლილ აქლემზე შემსვეს, ზედ გადაკიდებულ უზარმაზარ ხურჯინში ცა-
რიელი ტომრები მისწი-მოსწიეს და შიგ ჩამტენეს.

კანჩურია, ალბათ, მიხვდა რომ ვტოვებდი, რომ მეტს ველარ მნახავდა, ხურ-
ჯინზე წკმუტუნით მახტებოდა და მე უსასოობისაგან ცხელი ფურნის პური მკერ-
დში დედასავით მივიკარი და ტომრებში თავჩაყოფილი ვტიროდი უხმოდ.

— ჰოო-ჰო—ჰაა!..—გაჩნდა ძახილი და კანჩურია მთლად გადირია, აწკმუ-
ტუნებული კუდის ქიცინით ზედ მახტებოდა და მამაჩემი [იდგა თავდახრილი,
დაფიქრებული. როცა აქლემმა წამოდგომა იწყო, ჩემი ხურჯინი დაირწა და მე
შიშით გულგადალეული, კი არ უცქეროდი, ყურს უგდებდი, როგორ დავიწყე
ნელნელად ცად ასვლა. გულგახეთქილი გულში მჯიღს ვიცემ, ცხელი პური ოფლ-
ში მაგდებს და ეჩურჩულებ:

— წმინდაო გიორგი, შენ მომეხმარე!.. წმინდაო გიორგი!..

მამაჩემი მლოცავს, პირჯვარს მსახავს და მისი ლოცვით ცას გადმოვეკიდე
და ასე დავრჩი მე მას მერე ამ ცხოვრებაში გადმოკიდებული. ძირს, მიწაზე, მა-
მაჩემი იდგა და მიცქეროდა. ძაღლი მთლად გადირია, ერთ ადგილას დამდულრუ-
ლივით ტრიალებს, ხან აქლემს შეჰყეფს წინიდან, ხან მე მახტება ყეფით, მაგრამ
ვერ მწვდება. უკანა თათებით მიწაზე შედგება და ასე ცად ამოშვერილ სახითა
და თვალებით მიცქერის აწაწკანებული.

— აბა შენ იცი, ბაბა, რავა ჭკუით იქნები! მამაზეციერი და ილორის წმინ-
და გიორგი იყოს შენი შემწე და მფარველი. ზესტაფონში მარჯვედ იყავი, ბაბა,
იმ ვირჭამიებმა არ დაგაკავონ! — კი არ მეუბნება, მევედრება მამაჩემი. თვალები
ცრემლებით ევსება და რომ არ შევამჩნიო და გული არ გამიტყდეს, თავს დაბლა
ხრის, თვალს მარიდებს. მე ზემოდან დავცქერი მის სიბერით კი არა, ჯავრით
გათეთრებულ თმას და გული გამიქვავდა. წვეთი ცრემლი არა მაქვს თვალებში,
მთლად გავხევდი კაციშვილი..

— ჰოო-ჰო-ჰაა! დავიძრათ! — გაისმა კიდევ ერთხელ და ქარავანი დაიძრა ად-
გილიდან, აწკარუნდა ეჟვნები, აჟღარუნდა ზარები, აჭრიალდა ურმები. წინ ურმები
მიდის, ურმებს ჩალვადრები მიჰყვებიან, მერე აქლემები. მივდივართ, მივდივართ და
ეს ჩიტივით პატარა გული, აღსავსე ერთი ბათმანი სიყვარულითა და დარდით,
აქ რჩება. ეს ჩემი გულია, აგერ იქ ალვის ხეები რომ მოსჩანს, ეს რიონიც, ეს
ჭალები, ეს მიდამოები და ეს ცა, ყველაფერი მე ვარ. ეს ჩემი ბავშობაა, ჩემი სი-
ყვარული და ჩემი ხალისი. იქ ქიშიაა, იქ ჯამუა, იქ ჩემი კვიცი ჭიხვინობს, იქ
სიდუა და მე მივდივარ, მივდივარ და ყველაფერი ეს აქ მრჩება, თან მიმაქვს ეს
ხატი ზოსიმე დიაკვანმა რომ მაჩუქა, მიმაქვს სიდუს ავგაროზი და ვინ იცის,
ვინ იცის შემეწევიან ისინი მე თუ არა.

მამაჩემი ერთი პირობა გამომყვა, ფეხდაფეხ მოსდევს აქლემს და მე, ამ
ცაში გადმოკიდებულს და შორეულ გზაზე გამდგარ ბაღანას, მაბარებს რაღაცას,

მგონი, ისევ იმას, რაც ათასჯერ დაუბარებია, მაგრამ არაფერი მესმის. მე გარეტებული ვარ და ამ ხურჯინში მუშტის ოდენათ მოკუმული [illegible] ყარანასავით ვარ გაწამებული და ყურს უგდებ ჩემს გულს, კანჩურია წაწკანით მომდევს და ზედ მახტება, მემუდარება, რომ ჩამოვხტე. მას არ ესმის თუ რა მატანს მე ძალას რომ წავიდე და გადავიკარგო აქედან. რა იცის ძაღლმა, რა იცის პირუტყვმა, როცა ეს მე თვითონაც არ მესმის კარგათ.

— აბა, შვილო, შვიდობით. ბედნიერი მგზავრობა მოგცეს წმინდა გიორგიმ.—მეთხოვება ის უკანასკნელად, როცა ორპირის ბოლოში ნალბანდის დუქნებს მივაღწიეთ. ძაღლს ყურებში ჩაფრენილი აკავებს, რომ არ გამომყვეს და მიცქერის, მიცქერის და მე მივდივარ ამ ქვეყნის თემშარაზე დამდგარი. მივდივარ ამ ზოზინა აქლემზე აკიდებული მარტოდ მარტო, ობოლი, გადახვეწილი. ვირწევი ხურჯინში და გავცქერი ჯერ მამაჩემსა და კანჩურიას, მერე ნალბანდებს, სამფეხზე წამოქცეულ კამეჩსა და ხარებს რომ თავი მიანებეს და ხელს გვიქნევენ, გვეთხოვებიან. მერე ჩვენი სოფლის ალვის ხეებს, ეკლესიის ცაცხვებს და მერე ისევ მამაჩემს. აქლემი ნავივით მარწევს. მე თავბრუ მეხვევა, გულს მეყრება, ამ აპრილის მზემაც ულმერთოდ დამაჭირა, ამ თბილმა პურმაც შემაწუხა და ამდენი მღელვარებით დაღლილი და მისუსტებული კიდევ ერთხანს უცქერი ამ ცას, მერე თავი ტომრებში ჩავრგე, ავტირდი უხმოდ და როგორ მიმეძინა ამ ტირილში, არ გამიგია.

7

ზესტაფონში გადურჩი მე იმ ვირჭამია აზნაურებს. როცა ხარაგოულს გავცდი, თავისუფლად ამოვისუნთქე,—უკვე სამშვიდობოს ვიყავ გასული. შვიდი დღედაღამე დავყავ გზაში, შვიდი დღედაღამე ვეკიდე აქლემის ზურგზე და მერვე დღეს, ასე აკიდებული, ჩავედ, როგორც იქნა, ქალაქში.

იქ ჩემმა ძმამ ერთ ტვინდამთხვეულ სემელარიის მასწავლებელთან დამაყენა ხელზე მოსამსახურედ. ის უცოლოდ იყო დაბერებული. ლათინური ენის სწავლებით ტვინი მთლად გათხელებოდა და, დალოცვილს, რამდენი ხანი ემატებოდა, იმდენი უფრო და უფრო ჩერჩეტდებოდა.

მე როგორღაც გული მოუგე და ბოლოს ისე შეუყვარდი, რომ ჩემი ფასი ქვეყანაზედ არავინ ყავდა.

რვა წელიწადი ვემსახურე მას. რვა წელიწადი ვითმინე მე ეს სიბერით, ძველი ბერძნულითა და ლათინურით გამოჩერჩეტებული ბატონი. საქმე არაფერი მქონდა და ამ რვა წლის განმავლობაში ვისწავლე და წავიკითხე ის ქვეყნის ამბები, ახლა რომ ვიცი.

კვირა-უქმე დღეებში საბალია ჩემ სანახავად მოდიოდა და ჩვენ ორივე ქალაქ გარედ გავიდოდით ჯარიანობაში, ვკრივობდით, ქალაქელ გოგოებს ვეარშიყებოდით, მალაკნის დედაკაცებს ვჩქმეტდით, ვკოცნიდით და ყოჩებისა და მამლების ჭიდაობას უცქეროდით, მაგრამ ჩემ გართობას საშველი მაინც არ ადგებოდა. მე მაინც სოფელში მიწევდა გული. მე მაინც ჩემი ფაცხა მერჩია და ყოველ ქალში სიდუ დანელიხეს, მის ხმას, მის უდარდელ კისკისს ვეძებდი. რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა მარტო ვიყავ, კისერზე მის ნაჩუქარ ავგაროზს ვიხსნიდი ფაფალოცალობდი მის სახელს, ველოლიავებოდი, ვკოცნიდი.

ეს ოხერი სიყვარული, რამდენიც ვიზრდებოდი, იმდენი უფრო და უფრო მეძალებოდა და მე მაშინ მივხვდი, რომ ახალგაზდობის სიყვარული ძველი ღვინოსავითაა. დაგათრობს, გაგაბრუებს, ჭკუას დაგიკარგავს და ჭკუასთან ერთად გულის საყვარელიც ხელში კალმახივით გაგეპარება. შენ რომ მისთვის დნები, მორცხვობ, შიშობ, რომ ზედმეტი არ შეჭკადრო, ლოცულობ მის სახელს და ასე გაბრუებული და გამოტვინებული ხარ, ამ დროს ვინმე თავაღებული, უხეში და პირდაპირი ქორივით წამოუქროლებს და, სანამ შენ გამოერკვეოდე, დედალ ხოხობს თვალწინ აგაცლის, გაიტაცებს და წადი და სდიე მერე.

მე ეს გვიან ვისწავლე და მინდა ეს გამოცდილება თქვენც გაგიზიაროთ, რომ თქვენ მაინც არ მოსტყუვდეთ ანგარიშში. მე არ მინდა ეს ცოდნა მიწაში უსარგებლოდ ჩავიტანო და ამიტომ გირჩევთ, ბაბა, ქალთან უფრო გაბედული იყოთ. გაბედულობით თუ გაკეთდება რამე, თორემ დაშავებით არაფერი დაშავდება. ქალი, ბაბა, ციდან ჩამოვარდნილი ანგელოზიც რომ იყოს, მაინც ქალია და არასოდეს არ უნდა მოერიდო. ხელი გაბედულად მოკიდე, აკოცე, თუ დროს ხელი შეგიწყოს, წააქციე კიდეც, ნუ გეშინია, ქალი ყველაფერს გაპატიებს, გარდა მორიდებისა, იმიტომ რომ მორიდება სიგლახეა და გლახაკი ქალს კი არა ღმერთსაც არ უყვარს. თუ მოერიდე, თუ ამორცხვე, ჭირივით შესძულდები. თუ შებედე, ცოტას შემოგწყრება, ცოტას დაგემდურება, ერთ-ორ დღეს ხმასაც არ გაგცემს, მაგრამ ეს ისე, გულის ჭიის მოსაკლავად. მაშ რა ჭქნას საწყალმა? პირში უსიტყოდ ხომ არ ჩაგივარდება? თუ უცადე სხვა წაიწყმედს სულსა და ხომ გაგიგონია: წმინდა ბერი წმინდად წაწყდაო? ამიტომ თუ წაწყმედაა, წაწყმედა იყოს! იმიტომ რომ ცოდვა ტკბილია და ტკბილი კაცს უხდება. ქალი, ბაბა, ყოველთვის შეყვარებულია. ის ბაღნობიდანვე შეყვარებულია და თუ გულს გერჩის და მარჯვედ იქნები, ეს შეყვარებული შენ გახდები. თუ არა და ის არაფერს დაკარგავს, სხვას შეიყვარებს და შენ დარჩები რიყეზე დარჩენილ თევზივით.

მე ეს მერე ვისწავლე, როცა გვიან იყო. მაგრამ არ მინდა რომ თქვენც ეს ჩემსავით გვიან გაიგოთ და ჭკუა წააგოთ.

ქალს, ბაბა, თაგვივით უნდა უდარაჯო. მაგრამ არ შეგეშალოს! ხანდახან კაცს თავი კატა ჰგონია და მსხვერპლს რომ დაიჭერს, მაშინ გამოჩნდება რომ ის თაგვი ყოფილა და კატა დაიჭირა. მაშინ სიმღერა სულ სხვანაირია და ასეთ სიმღერას, სულ რომ არ იმღერო ის სჯობია. ამიტომ კაცი ჭკუით უნდა იყო და თვალი მარჯვედ გეჭიროს, იმიტომ რომ ქალი ტკბილია, მაგრამ მწარეცაა აგი ნავარი!

ასე ვანგარიშობ მე ახლა, მაგრამ რაღა დროის ანგარიშია, როცა მე ჩემ ცოლს ბრუტიან ბუზივით ჩაუვარდი თვალში და ისიც მომდგა რჯულზე, ცხონებული, და იმდენი მიქნა, სანამ ცხრა შვილი და უთვალავი შვილიშვილები არ გამომტყუა.

ცინცხალი რვა წელიწადი ვიცხოვრე მე ქალაქში და ამ რვა წელიწადში სიდუ თვრამეტი წლის გახდა, მამა მომიკვდა, მის ტირილს ვერ დავესწარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახი და ქონება ძმებმა გაიყვეს. საბალიამაც სწავლა დაასრულა და ჩვენსავე სოფელში მლედლად ეკურთხა და ასე დავრჩი მე მარტო ქალაქში ამ ჩემ გამოტვინებულ ბატონის ხელში.

რვა წელიწადში მე 21 წლის გავხდი. გავიზარდე, და დავვაჟკაცდი და ეს ოცდაერთი წელიწადი ამ ისედაც სულელ თავში ოცდაერთი სისულელესავით შემეპარა და მაჭარივით ადუღებულმა ახალგაზდულმა სისხლმა ჭკუა და მოსაზრება მთლად ამირია.

რვა წელიწადი მოვასრულე თუ არა, ბატონთან ანგარიში გავასწორე, ვიყიდე ცხენი, ახალი ჩოხა-ახალოხი, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, ჯიბეში ნაშოვარი ფარა ჩავიჩხრიალე და ასე, სასიძოთ შეღერებული, დავადექი კორტოხის გზას. ამ გზას ჩემ სახლში მივყავდი და მე მიხაროდა. სიხარულით გზაში ხან მივიმღეროდი, ხან ვისვენებდი, ღამეებს დუქნებში ვათენებდი და ეს ოცდაერთი წლის გული მკერდ ქვეშ ავარდნილ მოზვერივით მიცემდა, იმიტომ რომ მე სიდუ მიყვარდა და სახლში მელოდა. ასე ვანგარიშობდი და რატომაც არ ვიქნებოდი კარგ გუნებაზე.

8

სოფელში ჩამოველ თუ არა, ჩემ მიწა-წყალს დავეპატრონე. ძმებისა და მეზობლების დახმარებით ფაცხა და ნალია დავდგი, კერიაში ცეცხლი დავანთე.

ეზო მოვწმინდე, ნამყენები მოვაშენე და ლორთქო კოლინდარში ცხენი გაუშვი.

მამა ცოცხალი აღარ იყო. არც ხოსიმე დიაკვანი იყო ამ ქვეყნად. ჩემი ტოლ-ამხანაგები დავაჟკაცებულიყვნენ. ზოგი ოჯახს მოკიდებოდა, ზოგი ჯერ კიდევ უცოლო იყო და მე მაშინვე მოვნახე მათთან საერთო ენა. რატომაც არ მოვნახავდი, ნანახი ბევრი მქონდა და უნახავი კიდევ მეტი ვიცოდი. ჩემ სოფელში ჩემზე და ჩემ ძმაზე უფრო შორს ქვეყანაში კაცი არ იყო ნამყოფი. ერთად-ერთი ბიძაჩემი იყო დუშეთს ნაცხოვრები. ეს ძირში მოსაჭრელი ენაც იმსიგრძე მქონდა რომ სამ სოფელს ეყოფოდა სამოციქულოდ. ტირილი, ქორწილი, ნათლობა და ნადი უჩემოდ არ იქნებოდა. ქალები მწყალობდენ და ეს ვაჟკაცები და მხიარული ქალიშვილები, ახლა ჩვენ სოფელში ასეთი ხალისით რომ ტკრიალობენ, ვინ იცის ვინ არიან ისინი, ქექიები თუ სხვა ვინმე? მე ყველას გული მოვიგე. ყველას უყვარდი და მიხაროდა: მეზობლებს თვალში რომ ჩავვარდნოდი ხელს არ მოისვამდენ.

როცა მიწაზე საფუძვლიანად დავმკვიდრდი, ბავშობის ნატვრა ავისრულე, ბატონის ბორანი იჯარით ავიღე და მერე წავიდა ეს გზასავით გაქნეული ცხოვრება, იმიტომ რომ ცხოვრება გზაა და მე მიყვარს ეს გზები. სად არ მიდის ის? წყლებზე, ღრეებზე, ტრამალებზე, უდაბნოებზე, მინდორ-ველებზე, სერავს უსიერ ტყეებს, ლახავს მთებსა და ღარდებს, ყინულებს, ხლვებს და ვინ იცის კიდევ სად არ მიდის. ეს ცხოვრება სიარულია, მოძრაობაა, და თუ მოძრაობა არის, მაშინ გზაც არის და შენც მიდიხარ ამ გზაზე, მიდიხარ ცხენით, ურმით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქლემით, მატარებლით, გემით და მიიმღერი შენთვის, იმიტომ, რომ როგორც ხორცს უნდა საჭმელი, ისევე სულსაც უნდა საზრდო. სიმღერა სულის საჭმელია და ამიტომ მიყვარს მე სიმღერა, სიცილი, ოხუნჯობა და მძულს უშნოდ მოღნაშული ხალხი. და აი მიდიხარ შენ ამ გზებზე დამდგარი და რადგან ეს გზა გზაა და ჩვენც ადამიანები ვართ, სულ ხომ არ ვიმღერებთ? ჩვენც ვწუხვართ ხანდახან, ძლიერ ვწუხვართ. ეს ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ცოტას ვიმღერით და ბევრს ვტირით. ამიტომ ვარ მე თქვენთან, ბაბა, ამიტომ მინდა მე თქვენი გამარჯვება, იმიტომ რომ თქვენ გინდათ ეს ცხოვრება ისე მოაწყოთ, რომ ბევრი ვიცინოთ და ცოტა ვიტიროთ. ეს გზები ჩვენი ფესვებია და ჩვენი გარჯილობა. ზოგი მიწას ხნავს, ზოგი სამჭედლოში მუშაობს, ზოგი ფიქრობს და ვინ იცის რას არ აკეთებს. ეს გზები ჩვენი სიცოცხლეა და ამიტომ არის ასე ტკბილი. მაგრამ ერთ რამეზე მაინც მწყდება გული: ის არც ისე გრძელია, რომ ჩვენ დაგვღალოს. მე ყველა გზები მიყვარს, თუნდაც გაუვალი და ეკლიანი იყოს ის, მაშ რათ მაბია ეს ფეხები, თუ გზა არ იქნება, მაშინ ძირში მომჭერით ეს ფეხები, ამომაცალეთ თავში ეს ფიქრები და დამთხარეთ ეს თვალები, დასწვით ჩემი ყავარჯენი და ქალამნები, ტყვია ესროლეთ და მოჰკალით ის მამალი მგლის შესაჭმელი ჩემი ცხენი, ნავთი გადაასხით და დასწვით ჩემი ურემი, ჩემი ბორანი, უბსკრულში გადაჰყარეთ ეს მატარებლები, ეს აეროპლანები და ქვეყანა მაშინ ნამდვილ სასაფლაოს დაემსგავსება. ჩააქრეთ ცაში ეს მზე, მთვარე და ვარსკვლავები. რას ვაქნევ მათ სინათლეს, თუ ისინი გზას არ გაგვინათებენ? და რადგან ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ, თვალები მაქვს, ტვინი, ენა და ფეხები, ამიტომ გამიშვით ამ გზაზე, ბაბა, ნუ მაკავებთ. მე მახარებს ეს შარები, შუკები, ქუჩები, შესახვევები, გზაჯვარედინები, ბილიკები, გზატკეცილები, საცალფეხოები, ლიანდაგები. ყველა ისინი ერთ ადგილას იყრიან თავს და ერთი ადგილიდანვე გამოდიან. მიდიხარ, მიდიხარ, აგი ნავარი, ამ გზაზე, გგონია სადღაც და საკარგავში მიხვალ და ხედავ: შენ თავს მიადგები და ამ შენ ოხერ თავს რომ შეხედავ, ნახავ, რომ სხვა ხარ. ახლა სხვა გზას დაადგები, ივლი, ივლი და ხედავ ისევ შენ თავთან მიხვალ და ახლა კიდევ უფრო სხვანაირი ხარ და განა ამის გულისათვის მაინც არ ღირს რომ ეს გზები არსებობდენ და ამ გზებზე მგზავრი მიდიოდეს?

და როგორც ეს გზებია მრავალგვარი, ისე ეს ცხოვრებაც არის ათასნაირი. ყოველ ადამიანს თავისი სიცოცხლე აქვს, თავისი ცხოვრება და თავისი ქვეყანა და არავის დაუჯეროთ, ბაბა, სულელია ის, ვინც ამბობს, რომ ქვეყანა ერთია. რამდენი კაცია, იმდენი თვალია და რამდენი თვალი, იმდენი ქვეყანა. და მე ყველა ქვეყანა მიყვარს, თუ იქ კაცს ფეხი მოეკიდება. ქვეყნები კი არ არიან ერთნაირი, ქვეყნები, ბაბა, საერთოა. ეს ჩვენ ვართ მხოლოდ სხვადასხვანაირი და ამიტომ გვიხარია ჩვენ ერთად ცხოვრება. ეხ, რა მიყვარს, რა მიყვარს მე ეს გზები!

გზა გზაა, შვილებო, მაგრამ სულელებივით ნუ იართ ამ გზაზე. როცა გზაზე ხარ, ათასი თვალი, ათასი ყური და ათასი ჭკუა იქონიე, თორემ მხოლოდ სიარული რა ბედენაა? სიარულით ჭიაც დახოხავს მიწაზე, მაგრამ რა

ჭკუა აქვს მის ცოცვას? განა ცოტაა ისეთი კაცი, რომლის ცხოვრებაც ერთ ადგილას გდება სჯობია? შეიძლება, ბაბა, კაცი სულ მუდამ ერთ ადგილას ეგდოს და ქვეყანა მოიაროს, შეიძლება ქვეყანა მოლლიტო და მაინც ერთ ადგილას ეგდო. და მეც მივდიოდი ამ გზებით. მე მაშინ ახალგაზდა ვიყავ, გაუხედნავი კვიცივით ბრიყვი და გამოუცდელი. მე მაშინ სისხლი და სისულელე ერთნაირად მერჩოდა და აბა, ერთი თქვენ თვითონ მითხარით, რას გამოეპარებოდა ეს ამბავი სოფლის მაჭანკლებს? ხომ გაგიგონიათ, თაფლი იყოს, თორემ ბუზი აზრუმიდან მოფრინდებაო? ეს თაფლი მე ვიყავ და, დასწყევლა ეშმაკმა, სად იყო ეს ამდენი უსაქმო ხალხი, ყველამ ჩემ გასაბრიყვებლად რომ მოიცალა, ყველას ჩემი ბედნიერება რომ უნდოდა? მეც ჩოჩორივით სულელი ვიყავი და მიხაროდა პირველი კურტანი, მაგრამ სისულელესთან ერთად ამპარტავანიც ვიყავი ეს ოხერი, თავქეიფა ყეინივით ყველა ქალებს ვწუნობდი. არცერთი ქალი ამ ქვეყანაზე ჩემი ღირსი არ შეიქნა, გარდა ერთისა, და ისიც ისევე მიუწდომელი იყო, როგორც დილის ცისკარი.

— იმისთანა მეოჯახეა, იმისთანა, რომ ცივ ქვაზე დაასახლებს კაცს...— მიქებს მაჭანკალი თარსულად ვიღაც ქალს. სულძაღლს, უნდა მომატყუოს, მაგრამ მე არც ისე სულელი ვარ, რომ ასე იოლად მოვტყუვდე.

— ქვაზე კი არა, ხელის გულზე რომ დამასახლოს, არ მინდა!— ვფიქრობ ჩემთვის და თან ვანგარიშობ:—ჯოჯოხეთში შესვლა არასოდეს არ უნდა გეჩქარებოდეს, კაცი ცოლის თხოვას მუდამ მოასწრებ.

— არ მინდა!..—ვამბობ მე გადაწყვეტით. მაჭანკალი ერთ ადგილას აცმუტდა და ახლა ახალი წილადობილა დამიწყო:

— აბა მეორეა კიდო, მართალია, თვალად ნაკლებია, მარა აზნაურიშვილის ქალია, კაი შეძლებული, მის ეზოში ღომი მისდღემჩი არ გაცეხვილა!*)

— არ მინდა!..—ვამბობ მე კიდევ უფრო გადაწყვეტილად.

— რა იქნა, ოჯო, სულ რომ დამიწრიტე აგი წყალი! თუ ქალის თხოვა არ გინდა, შეკაცო, გვითხარი და ჩამოგეხსნებით. აბა, მესამეა კიდო...—ამბობს საყვედურით მაჭანკალი, მაგრამ მე მას სიტყვას ვაწყვეტინებ და ისევ ისე ვიმეორებ გაჯიუტებული:

— არ, მინდა!.. არც ეგ მინდა!..

— ყვეი, რა იქნა, შეკაცო, ამისთანა უსაშვალო, შენი ღირსი ქალი რომ არ მოინახა ამ ბარობაზე?—მეუბნება უკვე მოთმინება დაკარგული მაჭანკალი და მე მთლად გაკერპებული მაინც ჩემსას ვადგავარ:

— არ მინდა და იმიტომ!

მაშინ მოთმინებიდან გამოსული მაჭანკალი ადგება და ღრმა ამოხვრით მეუბნება:

— აბა ღმერთმა ნუ მოგცეს, ჩემო ბათა, ის, რაც შენ არ გინდა!—და მიდის აძურწული ალაგესაკენ. მე ვზივარ ჩემთვის და მელიმება.

---

*) ღომის გაცეხვა „კეთილშობილ“ და შეძლებულ ოჯახში დიდ სირცხვილად ითვლებოდა.
ავტორი.

სადაურ ქალს არ მირიგებდენ მე ისინი? ვილაც ფრანგუჰის ქალიც კი მეძლეოდუ ხუგდიდის პარკის „ფაფრიკიდან“, მაგრამ მე მაინც [illegible] და გულში სულ მუდამ სიდუს სახელს ვალოლიავებდი და, ალბათ, ამ ოცნებამ გამომათაყვანა ასე. ჩემს გონებას სიდუ დაეუფლა მაგრამ შიშით ვერ ვამყლავნებდი. მამამისი, თაშმუღ ღანელია, — მას გველაშაპივით სდარაჯობდა და არცერთ მაჭანკალს მასთან ხელი არ მიუწვდებოდა.

მე რიონის პირად ვეგდე უნუგეშოდ და ის მამამისთან იყო ბანძაში ცხრაკლიტულში ჩამწყვდეული.

მთელი დღეები გამოშტერებული ვეგდე ბორანზე და ვანგარიშობდი, რით მომეგო მამამისის გული. ის უსაშველო ცხენის ქურდი იყო და სიძეც მასავით უსაშველო ქურდი უნდოდა და ვიცოდი, ამ გათათრებულ ყუბაქთან ლაპარაკს, ქვასთან ლაპარაკი სჯობდა.

ამ მაჭანკლებმაც ისე მომაძულეს თავი, რომ შორიდან მოვკრავდი თუ არა თვალს, რიონის ხაბოზე დამდეულრულ ძალლივით დავეშვებოდი, სულს ბორანზე ვაივაგლახით ავაგდებდი და, როცა შუაწყალში გავიდოდი და თავს სამშვიდობოზე დავინადარებდი, უცქეროდი მათ კუდის ქიცინით და თან გულში ვიცინოდი.

— ბათაია, ბიჭო, მოდი ერთი, მაგი პარონი აქით მოაყენე, საქმე მაქვს შენთან სანამუსო! — მეძახდა ხაბოზე გადმომდგარი მაჭანკალი.

— არაფერი სანამუსო მე შენთან არა მაქვს! — გავძახოდი მე უკმეხად, — რა ვქნა, ყარამან, ძაან მიყვარხარ, თავს მირჩევნიხარ, მარა ნამეტანი ბრიყვი ვარ, აგი ნავარი, და რა უნდა გქონდეს ჩემთან სანამუსო, როცა მე ერთი დანგის ოდენა ნამუსიც არ გამაჩნია? — ვემუდარებოდი მე მას საცოდავი ხმით, მაგრამ, როცა არც მუდარა და არც უარი არ გამდიოდა, მაშინ, მოთმინებიდან გამოსული, ხელებს ცაში ვშლიდი და ვყვიროდი განწირული ხმით:

— არ მინდა, არ მინდა!.. მომეშვით, თქვე სულძაღლებო, ჩამომეხსენით, ნუ გამიძაღლეთ ეს ორი დღის სიცოცხლე!.. არ მინდა მე თქვენი გარიგებული ცოლი და არ ჩამომეხსნებით? გაიგეთ, შეუშვით მაგ თავში, რომ ცვედანი ვარ, კაცობა არა მაქვს!.. მომცილდით, დამაყენეთ მე, ეს ერთი საწყალი გულუბრყვილო ბიჭი! ნუ მაბრიყვებთ, ნუ მლუპავთ, თორემ ანგარიშს, მე თუ არა, მამაზეციერი მაინც მოგთხოვთ!.. ღმერთო, ღმერთო, შენ მიაგე მათ სამაგიერო ჩემი სიცოცხლის ასე გამწარებისთვის! — ვევედრებოდი ღმერთს ხელებაპყრობილი და როცა არც ეს სჭრიდა, მაშინ დავრბოდი ბორანზე აქეთ-იქით შეშლილივით თმაგაწეწილი, ხელებს ვასავსავებდი, ვოხრავდი, ვკვნესოდი და ბოლოს გულის დამთუთქავი სიტყვებით მივმართავდი ამ მთებს, ამ წყლებს, ამ საყანეებსა და მინდორველებს, ვემუდარებოდი და ვეძახდი განწირული ხმით სოფელსა და კუთხე-მეზობლებს:

— მეზობლებო, კეთილებო, ნათესავებო! მიშველეთ, მომხედეთ, თორემ ‘ულს მაძრობენ, სიცოცხლეს მიმწარებენ! უპატრონო ვარ და მიპატრონეთ! საწყალი ვარ და გამიკითხეთ! ობოლი ვარ, გაჭირვებული, ბრიყვი და მომიარეთ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ გამწარებულ ყვირილზე მორბოდენ გულგახეთქილნ მეზობლები, ფაცხებიდან, ყანებიდან, ტყეებიდან, გადმოდიოდენ ლობეებზე წალდებით, სარებით, თოხებით და, ხაბოსთან უსულოდ მოვარდნილნი, იდგენ გაშტერებულ მაჭანკლის გვერდით და მეკითხებოდენ:

— რა დაგემართა, ბათა, რა გაყვირებს? გვეგონა მოგკლესო!

მე სასოებით ვიჩოქებდი და ხელებ აპყრობილი ვემუდარებოდი ისეთი გამგმირავი სიტყვებით, რომ ქვას გახეთქდა ჩემი საცოდაობა და მე თვითონ. საქმეში შესულს, თვალები ცრემლებით მევსებოდა.

— ჩემო საყვარელო მეზობლებო, ჩემო კეთილებო! ძმებო, მამებო, თუ ღმერთი არ გწამთ, ჩემი გაჭირვება და სისაწყლე მაინც იწამეთ, ეს ოხერი! ხომ იცით რა ობლობაში და გაჭირვებაში ამოვიზარდე? როგორც იქნა- თავს მოვესწარი, თვალი გამომიჩნდა! ხომ არასოდეს არ შემიწუხებიხართ?—ახლა გაწუხებთ. ხომ არაფერი მითხოვია თქვენთვის? —ახლა გთხოვთ: მომხედეთ ამ ობოლ ბაღანას, მიპატრონეთ და მადლია, თქვე ულმერთოებო, და ეს მადლი საიქიოს საქმედ წაგადგებათ! ცოდვა კაცი ვარ, საწყალი ვარ! რა უყოთ რომ ქალაქში ვარ ნამყოფი, ჭკუა არა მაქვს და ნუ წაახდენიებთ ამ ჩემ თავს მაგ სულძალლ მაჭანკლებს, ნუ დაანებებთ, რომ ეს ტკბილი სული ასე ულვთოდ ამომახდინონ ამ პირში! უთხარით, ჩემი ბაბა, უთხარით, ჩემი პატონი, ჩქიმ ჯამალეფი, რომ მე გლახაკი ვარ, კაცობა არა მაქვს და ცოლს ვერ მოუარ! რათ მინდა მე აგი ბალაგარი ცოლი, თუ ვერ მოვიხმარ, ა? უთხარით, რომ ლენჩი ვარ, ჩერჩეტი ვარ! რაც გინდათ ის უთხარით, ოღონდ რამენაირად მომაცილეთ, თვარა ამ წყალს ხომ ხედავთ, ავიღებ და გადავარდები, თავს დავიხრჩობ, და მერე ჩემი ცოდვა თქვენ მოგეკითხოთ. რა იქნა, შეკაცო, მაცოცხლეთ ერთ ხანს! ძაღლი ცოცხლობს, ჩიტი დაფრინავს, ჭია დაფორთხავს მიწაზე და მეც მაფორთხეთ ერთხანს ამ ქვეყანაზე. რა იქნება ამით, ვის რა დაუშავდება, ან რა წახდება?—ვკვნესი, ვოხრავ თავმოკატუნებული, ვხოხავ მუხლის თავებზე ამ ბორნის იატაკზე განართხული, მაგრამ ვხოხავ ისე, რომ შარვალი არ დამეხეს, თან ცალი თვალით საქციელ წამხდარ მაჭანკალს უთვალთვალებ და მეღიმება, მიხარია რომ საშინელ დღეში ჩავაგდე.

— რა იქნა, შეკაცო, მართლა და მართლა, თავი გაანებე! თუ არ უნდა, ძალით ხომ ვერ შერთავ? ხომ ხედავ, რაც შვილია, ეშმაკს პირში რაზე უძვრები?—არიგებენ მეზობლები გაფითრებულ მაჭანკალს.

— დასწეველა მაგისი რჯული და მასაფი ილორის წმინდა გიორგიმ! სუჯუნის წმინდა გიორგიმ დაშუბოს მაგისი მაჭანკალი და კეთილის მსურველი! რა ვიცოდი, რა ვიცოდი, თუ ამისთანა ძვალის მტკვერელი იყო მაგ წყეული!— ოხრავს შუამავალი, კვნესის, იწყევლება, მერე გვერდზე გაგულისებული აფურთხებს და მირბის სახლისკენ ძუნძულით. როცა ის ასე მირბოდა, მე ვიცინოდი და ჩემ ტოლ-ამხანაგებთან ერთად, მკლავგადაჭდობილი, ვმღეროდი:

ბეიე დიდო კუჩბო დო ბედინერა!

და რიონში წინდაწინვე ჩაციებულ ღვინოს შევექცეოდით.

რა შაეი ჭირად მინდოდა შუამავლები, როცა ეს გული ჭურივით იყო სავსე სიყვარულით? დაეხუჭავდი თვალებს,—სიდუს ვხედავდი, გაეხედავდი ცას,—

ისევ სიდუ მელანდებოდა, წყალზე შემხტარ კალმახის დანახვაზე სიდუს ირხევა მახსენდებოდა და ეს რიონიც, ეს დალოცვილი რიონიც, სიდუს ტანივით იყო გაშხვართული.

სიყვარული, ბაბა, კამბეჩს აცეკვებს და მე ხომ კაცი ვიყავი, ჯანღონით სავსე, ოცდაერთი წლის ვაჟკაცი! ცხრა გაშლილ ნაბადს ქორივით გადავევლებოდი, ცეკვაში ჩემი დამღალავი ქალი არ იყო, ცხენოსნობაში და დანელიობაში ერთი ვაჟკაცი ტოლს ვერ დამიდებდა. ცხენს, თუ გინდა, ხელმწიფის კარიდან გამოვაპარებდი და ეს ძირში მოსაჭრელი ენაც ასევე გატლეკილი მქონდა, როგორც ახლა.

მაგრამ მაინც რომ არ იქნა ჩემი საშველი და მის ნახვას ვერ ვეღირსე! ვინ იქნებოდა ისე თავაღებული რომ მის ნაგაზ მამას ვაგლახად ეზოში ჩაუვიდოდა? მის ეზოს იმ სიმაღლე ეკლის ხის მესერი ქონდა შემოვლებული, რომ ჩიტი ვერ ჩაფრინდებოდა და ეზოში სამი ისეთი ყუბაქი ყავდა აშვებული, რომ ნიავის ბაიბურს თაკილობდენ. ღამე ვარსკვლავებს ვერ ითვლენდენ და ცაში ვარდებოდენ ავად აღრენილნი.

ის ყველგან იყო: ამ წყალში, ამ მიწაში, ამ ცაში. ჩიტი რომ გალობდა, მისი ხმა მელანდებოდა. ლერწამი რომ ირხეოდა წყლის პირას, მისი შხვართალა ტანი მეგონა და გადავირიე კაციშვილი, არ ვიცოდი რას მოვცხებოდი, ხეს, მიწას თუ ცას!

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ა ლ ა ა კ ტ ი ო ნ ტ ა ბ ი ძ ე

ჩვენ არ გვინდა სხვისი რბევა, ჩვენ არ გვინდა ომი,
მაგრამ კაპიტალისტების არ ისვენებს ტომი.
რადგან მტერი არ ისვენებს ჩვენი სისხლის მდომი
ყველა წითელ-არმიელი იდგეს, როგორც ლომი.
ჩვენი დროშა ნიშანია არა ჩაგვრა—ომის,
მშვიდობიან მშენებლობის, მშვიდობიან შრომის.
ევროპაში კი ბევრია მიწა-მიწა მძრომი,
პროლეტარი ყველა ქვეყნის უმძიმს ქვეშევრდომი.
ჩვენ წითელი არმია გვყავს სადარაჯოს მდგომი
იმ მხრითა სდგას ფაშისტების ვარშავა და რომი
მზად ვართ! როგორც კი გვიბრძანებს შტაბი, პოლიტკომი
ვაგრძნობინოთ პუანკარეს—როგორც უნდა ომი!

27

ქვეყნად ბევრი არმიაა
სულ სხვადასხვა ფერია:
ზოგან ლურჯი ზოგან თეთრი
ზოგან ყორნის ფერია.
ნისლში მიდის, გზას ვერ იკვლევს
ხეობებს ვერ ეგნება
რისთვის იბრძვის, რისთვის ომობს
არ აქვს ამის შეგნება.
შეუგნებელ კაცის ბრძოლას
მადლი როდი ექნება,
თუმც სამარის ბევრი სველი
მიწა გადიბეკნება.
ნამდვილად კი მათ დროშაზე
მასის ჩაგვრა სწერია
თავიდანვე ამ არმიას
ბედი არ უწერია.
ჩვენი ჯარი ძლიერია
მაგრამ სხვა სიძლიერით
შეგნებული დისციპლინით
შეგნებული იერით.
იცის რომელ მხარეს იცავს
იცავს სისხლით, იარით.
მტკიცედ ესმის დავალება
მხარის შრომისმიერით!
ჩვენი ჯარი ძლიერია
და ბრძოლებში მაგარი,
რომ დაიცოს პროლეტარულ
შრომის ნაამაგარი!

28

განა მისთვის აშვენებს
მას წითელი ორდენი
დაჰყვეს მედიდურება
თუნდაც მცირეოდენი?
ან და განა იძლევა
ეს ორდენი რაიმეს
რომ იწვევდეს ვისსამეს
ჰოიმეს და ვაიმეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა! მისი ორდენი
სხვანაირად ჭიატებს,
ძველი ჯვარმენდლების გზა
მას არ ახასიათებს
ის აგონებს: გახსოვდეს
მუდამ ძველი მხნეობა
წამით არ დაივიწყო,
შენი მოვალეობა.
თუ მტერს თვალი უჭირავს
ტფილისზე და ბაქოზე—
მხნედ და შეურყეველად
იდექ საგუშაგოზე"!
განა მისთვის აშენებს
მას წითელი ორდენი
დაჰყვეს მედიდურება
თუნდაც მცირეოდენი?

29

არა გადაზვირთება
არა სიტყვა ლიტონი—
ჩვენს ქვეყანას სჭირდება
უამრავი ლითონი.
ნიავქარს არ აჩუქოთ
ერთი წამი ან წუთი,
ჩვენს ქვეყანას სჭირდება
მანქანა და მაზუთი.
შრომა არ შეანელო—
ტემპები დაახშირე,
რადგან მხარეს სჭირდება
შავი ოქრო, ნახშირი.
ვაუმკლავდი ამ შრომას
როგორც წინად უძლებდი:
მოვრჩეთ ოთხ წელიწადში
დასახული ხუთწლედი!

30

მოდის მშენებელი
მოაქვს აგურები
შეუნელებელი
მოაქვს მშენებლობა.
მოდის და ციფრების
ალით ნახურები
ტემპებს ეჯიბრება
შეუსვენებლობა.
მაგრამ აგურია
ზოგი მშენებელის,
ავაზაკურია,
მჩატე, ბორძიკული;
აგებს საპყრობილეს
ვინმე მავნებელი
თვალებ-აპყრობილი
როგორც მოციქული.
მისით აგებული
ციხე-ეკლესია
დროა წაგებული...
კმარა ბრჭყვიალება!
მასაც გაისტუმრებს
როგორც ეს წესია
სოციალისტური
შემოტრიალება.
მოდის მშენებელი
ამბობს: სიდან-სადით
გაჩნდა მავნებელი?
ვიწვი ნაყურები.
ჰა გზა, ჰა ქურები
ხუთი წელიწადით.
აი აგურები,
მართლა აგურები!
სოფლებს და ქალაქებს
აგებს მშენებლობა
ტემპებს ეჯიბრება
შეუსვენებლობა!

31

ნათქვამია—ხელი ხელს
ორივე კი პირსა ჰბანსო,
გეგმა უნდა შევასრულოთ ეს
საწარმოო-საფინანსო
დაკვრით ვნახოთ რასაც იქმს
დღე ღამით და ღამე დღისით
რიგი რიგებს, რიგი რიგს
რომ შეივსოს დანაკლისი.

ჩამორჩენილობა—ძირს!
ყოველ მანქანაზე მდეგმა
უნდა სძლიოს ყველა ჭირს,
უნდა შეასრულოს გეგმა!

32

აი გეგმაც: აბა მიდი,
სუფთა ხელთათმანით!
წყნარზე წყნარი, მშვიდზე მშვიდი
თეთრი პირის კანით.
ციფრი—სვეტი, ციფრი—ფერი
ციფრი, ციფრი ქარის
ამ ციფრებში ყველაფერი
თავის რიგზე არის.
მოდიოდა სუფთა, თეთრი
და უეცრად შემდეგ
გზაზე შეხვდა მას შემხვედრი
მქუხარე ხმით: შესდეგ!
აბა დადექ და მიჩვენე
ეგ შენი და ეგ მე.
შევადაროთ ეხლა ჩვენი
საწარმოო გეგმა.
შეადარეს, შეასწორეს
იქვე სიახლოვეს
პირველსა და შემდეგს შორის
განსხვავება ჰპოვეს.
არ ვარგაო, ამბობს მხვედრი,
ეს სიგრძე და განი
არ მომწონსო ასე თეთრი
შენი ხელთათმანი.
მეტი თუჯი, მეტი სისქე,
არის უმჯობესი.
საწარმოო თათბირისკენ,
აბა ვნახოთ გეზი.
და შემხვედრმა შეცვლილ ნირით
შესძრა გეგმა-რიგი.
შემოიბა და ბუქსირით
წაიყვანა იგი.

33

ატესტატის წყალობით,
თვალთმაქცური
სიტყვებით და გალოზებ
სათავეში უდგა დაზგებ
ერთხელ ღამით
ის სალაროს ქურდავს,
და კედელზე
ცინიკურად, ცარცით სწერს:
„ალარა მაქვს
საგულეში გული,
მომაშველე
ო, ევროპა, ფული“!
რამდენია
მისი მსგავსი ტიპი,
ევროპაზე
რომ ამყარებს იმედებს,
მავნებლობას
მიჭრილი აქვს ჭიპი.
ნუ იფიქრებ რომ ის
არ გაგიმეტებს.
ჰქონდათ კლუბი
და ნამდვილად სურდათ
გადამთიელ
გმირთან ძაფის გაბმა.
მაგრამ ბევრჯერ,
მისცა მასსამ ხურდა,
არ იძაფა
მავნებლობის ძაფმა.
მაგრამ იგი
არ უდრკება სიცხეს,
მისი გული
ისევ ღელვას
იწყებს
როს ევროპა
ეხმარება ფულით.
ის მზად არის
სულითა და გულით
შემდეგშიაც
გამოგზავნოს თანხა.
აღმოსავლეთს
გადააქცევს ჯანყად,
მავნებელს სხვაც
შეცდომაში შეჰყავს,
ლაპარაკობს მედგრად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენა მჭევრი:
ევროპიდან
მივიღეთ ცნობა,
აქ გვესმისო
თქვენი დიდი ძმობა,
იმუშავეთ
ნუ დაზოგავთ თავსო.
დააკვირდით
ხალხის კარგს და ავსო
და ისე კი,
ხელუხლებელ ფონდათ
ჩვენგან დიდი
იმედები გქონდეთ.
რა მოგვცაო
ხვალემა და ზეგმა
დღესვე შევქმნათ
სამოქმედო გეგმა
დიამეტრად სხვანაირი,
ვინემ
გაგვიშალა აქაურმა
ვინმემ.
რა თქმა უნდა,
ჩვენ ვიქნებით მშვიდი,
ეს იქნება
საიდუმლო დიდი.
ჭერქვეშ
თუ დღის სინათლეზე, მარად;
ერთსულოვნად
მედგრათა და ჯარად
აქაც, იქაც,
ყველგან ვიყოთ, რომა
სასურველად
დაგვირგვინდეს შრომა".
და დაიწყო.
აგერ მიდის გლეხი
გლეხური აქვს
ხელიცა და ფეხიც.
უეცრად,
წინ გადაუდგა ვილაც
და არწმუნებს:
ყური მიგდე, მიხა.
რისთვის გინდა
ეს ტრაქტორი შენა,
გეხერხება,
ისეც თავის რჩენა,
ეს ახალი ინვენტარი კიდევ
არ ყოფილა
რომ მშვენივრად მკიდენ.
ეს ტეხნიკაც
ტეხნიკაა მშრალი.
ევროპისკენ
დაიჭირე თვალი.
კოლექტივში
მეურნეს რა უნდა?
მიქარვაა
მისცხეთ ქვა და გუნდა.
ყური უგდეთ
რასაც იტყვის მღვდელი
იგი არის
ქრისტეს სიტყვის მთქმელი.
ბობოლასაც
დაუჯერე შენა
ჭკვიან რამეს
გეტყვის მისი ენა.
არ ერწმუნო
არც ეხლანდელ გაზეთს,
ჰაეროპლანს,
ავტოს და სხვა ასეთს.
მამა-პაპა,
არა ცაში ცურვით,
ხომ იოლად
მიდიოდენ ურმით?
ვინმემ მითხრას
ყმამა ანუ ბეგმა,
ვისთვის უნდათ
ხუთწლიანი გეგმა?
ხუთწელიწადს
მთავრობა ვერ გასტანს.
კაცი კაცთან,
ძმა ვერ ცხოვრობს ძმასთან".
და, გრძელდება.
აგერ მიდის მუშა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგადაა,
საქმე არრა უშავს.
უეცრად წინ
გადუდგება კაცი.
ეუბნება:
წასულია აწი
თქვენი საქმე, ამხანაგო მუშა!
მთავრობა გთვლისთ
გერადა და ბუშად.
აი რას სწერს
პანაიტი (კაცი
პოეტია, არც თუ ისე
მკაცრი):
კავშირშიო
დაჩაგრული არის
მხოლოდ მუშა,
მსგავსი მომთაბარის.
და მხოლოდ ის,
ის ყველაზე მეტით,
გაპარტახდა,
ამდენ ჭაპან-წყვეტით.
და, გრძელდება.
გზა მიეცით ენებს,
მიაჭენებს,
მოაჭენებს ფენებს.
ბევრი კიდეც
წამოეგო ანკესს:
შემპარავს და
მაძინებელ ჰანგებს.
და, გრძელდება.
გულს ამბებით ნატკენს
აყოლებს რა,
დიაგრამებს ადგენს,
ან და კიდევ
კაბინეტში დინჯად
ფართო რუქას
ევროპისას შინჯავს.
ქინძისთავებს
ნიშნავს ცენტრებს, თავში
სადაც თითქო
ამყარებენ კავშირს.

და, გრძელდება
ხევენ კედლის გაზეთს
შეუმჩნეველ
და იდუმალ ბრაზით
სწორედ იმ სვეტს,
სად ეცემა მუქად,
ხუთწლიანი
გეგმის მკვეთრი შუქი.
სპობენ წიგნებს,
ყველგან, სადაც რომა
იმ ხუთწლიან
გეგმაზეა თხრობა.
აგერ მიდის
მოხსენება. ტემა:
რა უნდა ჰქნას
ხუთწლიანმა გემმა.
უცებ ჩნდება
ხულიგანი ღამით—
მოხსენებაც
ჩაიშლება წამით.
დაერევა
არტისტებს და მხატვრებს.
ტეროორის ქვეშ
დაყენებს კადრებს.
მოიმარჯვებს
ბუტაფორულ დაშნას,
ხელს შეუშლის
შეჯიბრების გაშლას.
ხელს შეუწყობს.
რომ გაცდენილ დღეებს
ადარებდენ
გამოუვალ ტყეებს,
ჩამობნელდა,
ელექტრონის ქარტა,
კინო-დადგმა,
კოცენტრები,
ფარდა.
განადგურდა
უცებ პოლიტ-ლოტო.
(მოსყიდულო ხულიგანო,
ლოთო!)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მხარეს
და ფაბრიკის ცეხებს,
სამრეწველო რაიონებს
გლეხებს,
ვერ აფერხებს
საოცრება რთული.
„მოგვაშველე, ო,
ევროპა, ფული!“
და გრძელდება.
ანარხიის მთოველს
გაუმარჯოს
უგეგმობას ყოველს.
ძირს ხუთი წლის
გეგმიანი შრომა,
განადგურდეს
მეურნეთა ნდომა,
დიაგრამებს
წააწერეთ—0
უწდომელი
ფანტასტიკა—0
კოლექტივის საქმეებსაც—0
ერთის სიტყვით
სულ ნოლი და ნოლი.
აპოლონის სამსხვერპლოსთან სტირის
ეხლა „წმინდა ხელოვნების“ გმირი.
მათი გეგმის
დევიზია რთული
მოგვაშველე, ო, ევროპა, ფული!
ლვინოს არ ვსვამდი,
ეხლა დავიწყე,
ვარ სევდიანი
და გულმავიწყი.
მინდა ჩავფუშო
ხუთი წლის გეგმა,
გამომიგზავნე
ევროპა, ფული!
თვალი იცრება,
პრესა ხმაურობს,
რომ იგი მუშებს
აწინაურებს;
აწინაუროს
დღე მოვა კრული,
გამოგვიგზავნე,
ევროპა, ფული!!!
და მრწამს ერთი
ღმერთი ჩვენის მსგავსი—
შეისწავლეთ
ამნაირი მრწამსი:
მწამს ყოვლის შემძლე,
ყოველგან მყოფი,
რომლის სახელი
არის ევროპა.
მრწამს მისი დროშა,
ხმალი და თოფი
მრწამს მისი ლიგის
ენა მუეერობა.
მრწამს იმისი გზა
ომის და ძლევის,
მრწამს მისი ოქრო
შვენებით სრული.
არ ვუღალატებ
არასდროს დევიზს:
გამომიგზავნე,
ევროპა, ფული.
მრწამს მე ევროპის
ბრწყინვალე ღერბი,
მრწამს მშვენიერი
იმისი ჩანგი
მრწამს მისი სული
ჯიუტი, კერპი.
მრწამს მისი გაზი,
ტყვიები, ტანკი.
მრწამს ის, მათრახად
სახელდებული
მრწამს ის, მუშებზე
გამარჯვებული
მრწამს მარადის მრწამს
თქმა დიდებული,
ო, მოგვაშველე,
ევროპა, ფული!
მრწამს კოლონიის
აწიოკება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრწამს ინდოეთის
სიმდიდრე-განძი.
მრწამს სამუდამოდ
მოითოკება
ეგვიპტეს ხლართი
აფრიკის კვანძი.
მრწამს ლოურენსის
წანწალი, თრევა
მრწამს ფაშისტების
ჰანგი ქებული
მრწამს რომის პაპის
ლოცვა კურთხევა
გამომიგზავნე,
ევროპა, ფული!
მრწამს, მრწამს გავლენა
ევროპის კრეზის
მისი ამაგი
დიადი ღვაწლი.
მრწამს სასამართლო
და მისი-ციხე
პატიმარს სუნთქვას
ხომ არ დააცლის.
მრწამს საოცარი
ელექტრო-სკამი
მრწამს ეშაფოტი
ცხედრებზე რგული
მრწამს ევროპის დღის
ყოველი წამი
გამომიგზავნე,
ევროპა, ფული!
ო, მოგვაშველე
ევროპა, ფული.
მრწამს საბოლოოდ
რომ შეიქნება
შეერთებული
ევროპის შტატი
მრწამს: მომავალი
ომების ცეცხლში
გამარჯვების გზა
იქნება მათი,
ვის ხერხემალი
ექნეს მოქნილი
იმას საგულეს
ექნება გული
სხვა ხერხემალი
ფუჭია, ტყვილი,
ხერხემალია
ევროპის ფული...
გამომიგზავნე
ევროპა, ფული.
ო, მოგვაშველე,
ევროპა, ფული"!!

. . . . . .

წავიდეთ ქარხნებში, ავტეხოთ განგაში
მუშებო, შეხედეთ რამდენი—
ევროპის ტყვიებში, გაზებში, ტანკში
ხსნას ელის სიყალბის ჩამდენი.
სურს დახრწნას სიმაგრე აგურთა
აგვიკლო, ქვეყანა გაქურდა!
გაქურდა და კიდევ, და კიდევ მნიშვნელი
იდუმალ სიტყვების მჭერვობა:
„ევროპა, ფულები! ევროპა, მიშველე,
საერთო საქმისთვის, ევროპა".
მუშებო, მივუნთოთ მათ ცეცხლი თავარი:
დაჰკარი მავნებელს, დაჰკარი!

34

მცხეთის ახლო, სადაც მტკვარის
მორევია დიდი
ძველისძველი დაჰყურებს წყალს
ხავსიანი ხიდი.
ხიდი დაბერებულია
აღარ უჭრის თვალი.
ნატახტარზე აწ აიღეს
სხვა გეზი და კვალი.
გააუქმეს ძველი ხიდი,
ღიმი არ სდევს ბაგეს.
ახალ ხიდის ძლიერება
უერთდება ზაგესს.
ბებერ ხიდეს ძველებურად
სახე უჩანს მშვიდი
ხედავს, მაგრამ ვერა ხედავს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სდგას ახალი ხიდი.
ხედავს მარა არა სჯერა რომ
გაჰყავთ ახლათ შროშა,
და ფრიალებს თავისუფალ
შრომის მტკიცე დროშა.
ხედავს, ხედავს ეს მოხუცი,
არ სჯერა კი, რომა,
კიდევ მრავალ გზას და ხიდეს
შეჰქმნის მძაფრი შრომა.
მაგრამ როცა ზაჰესს ანთებს
ელვარება დიდი,
წყალში თან-თან იყურება
ვენეციის ხიდი.
ჩემს პატარა ბიჭობაში
მივლია, ამ ხიდით.
ამხანაგო! ჩვენ ყველანი
წიგნებით აქ ვვლიდით.
ჩვენ ყველანი ალებს ვკვესდით.
ვკვესდეთ, როცა ბნელა.
კომუნისტურ მანიფესტით
ვიზრდებოდეთ ყველა.
მოვიტანეთ ისე მრთელი
მოგონება კარგზე:
ყრმობის დღეთა დროინდელი
ენგელსი და მარქსი.
თან გამოგვყვეს სიხალისე,
გამჭრიახი თვალი
ჩვენთვის წიგნათ ისევ ისე
დარჩება „კაპიტალი“.
ვისაც უნდა ისე ხარჯოს,
გაჰყვეს თავის ტყეებს.
მაგრამ იმ დროს გაუმარჯოს,
იმ გაფრენილ დღეებს!.
მე არ ვიცი როგორ შეზრდის,
ვინმე დღეებს რიგით—
კომუნისტურ მანიფესტის
მღელვარების იქით.
ეს სხვა იყო, ეს ალური
იყო ანათემა
ჩვენი არალეგალური
ყოფნის განათება.

ამ წიგნიდან—კლასის ფრული
ელვარებდა ბასრი
წრფელი იყო ჩვენი გული
და ნათელი—აზრი.
აქ არ იყო შეცოდება
მოკამათე ტოლის
იყო მხოლოდ მოწოდება
დაუნდობელ ბრძოლის.
და ამ მტკიცე ბრძოლის ხმამდე
ასე მძაფრად, კმარა,
კლასი კლასის წინააღმდეგ
არასდროს არ მდგარა.
ვინ არის რომ გზას არ შესცდეს,
როს წვიმაა, ქარი—
კომუნისტურ მანიფესტის
იხსნის თითო ბწკარი.
სხვა რომელი, საბჭოს გარდა,
როცა ცეცხლი ჰლვივის,
ყველა ქვეყნის პროლეტართა
შეერთებას ჰყივის?
სხვა იტაცებს მუშის სარჩოს,
არ გრძნობს შიშს და ძრწოლას,
მედგარ ბრძოლას გაუმარჯოს,
კომუნისტურ ბრძოლას!

35

რევოლიუციონურ
საქართველოში
თუ გააკეთებ—
საქმე ბევრია.
თუნდაც ბავშები, ჩვენს ზრუნვის დროში
მათი ამბავიც ასაწერია:
მოდის ზამთარი.
მოიბურა მთა.
აქ მარტო სიტყვა
თუმცა არ კმარა.
გადუწყვეტელი
რჩება ბევრი რამ,
და ჩვენ გავჩუმდეთ?
არა და არა!
მისდევს ტრამვაის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ობობა.
მატარებლებში
რბის, როგორც ტურა,
სოციალური
ავადმყოფობა,
რომელსაც ვერ სდევს
პროკურატურა.
მსოფლიო ომის
დაწყებისას როს
მოდგა, მომრავლდა
დღეები შავში
ძნელ ცხოვრებასთან
დაჯახების დროს
ვერ გაერკვია,
დაიბნა ბავში.
ჰოსპიტალები,
მამა დაჭრილი,
შიმშილი, ყინვა,
შარა საზარი:
ეს გზა უმწეო
გზად გადაჭრილი
სიმწრის წიგნია
უზარმაზარი.
დაჰკარგა სახლი,
დაჰკარგა მდელო,
ქუჩებს მოედო
როგორც მუწუკი.
გებრალებოდესთ
ყველას, მკითხველო,
ეს პაწაწინა
ბაში-ბუზუკი.
ათ წელს არ გასცდა
მისი ასაკი
ცხოვრების იცის
სიგრძე-სიგანე.
ყველაფერს სჩადის
ეს ავაზაკი,
ყველაფერს იცნობს
ეს ხულიგანი!
ხულიგნად ის არ
დაბადებულა
არამედ გახდა
ძნელი პირობით.
სად არ ყოფილა,
სად არ გდებულა
მდევთა—მდევობით,
გმირთა გმირობით.
სასამართლოში
თუ არ ირჩევა—
ისე ფოთოლი
სცვივა ხისაგან—
სთქვი—ეს პატარა
რით განირჩევა
დავაჟკაცებულ
ხულიგნისაგან?
მაქვს დაკვირვება:
ორივ დროზეა!
ერთი მეორის
თანაბარია
ეს პატარაა,
ის უფროსია—
არც ერთს ნიღაბი
არ აფარია.
შკოლა და ბაღი,
შარა—მიდამო,
აკლებული აქვთ
ამ შავ ბარაკებს.
მცირეწლოვანი
„გმირობის“ გამო
არვის წინ არსად
პასუხს არ აგებს.
ბავში, რომელსაც
ადარებ ხოჯას,
რომელსაც სახე
სრულად არ უჩანს,
დიდი ხანია
დაშორდა ოჯახს
და საშინელ გზას
დაადგა—ქუჩას.
თუმცა მრავალი
ემუდარება
მაგრამ სადაც კი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

კარებს შეალებს,
შეაქვს შფოთი
და არევ-დარევა
ქაოსად აქცევს
საბავშო ბაღებს.
დრო თავის ახალ
შალაშინებით
ჰქმნის ახალ კარებს
და ახალ საკიდს.
დრო სიძლიერით
და დაჟინებით
ჩვენს წინ აყენებს
ბავშების საკითხს.
მოდის ზამთარი
ცივი და მძაფრი,
მოაქვს სიაფთრე
ყინვის და თოვლის,
ბინად არ ვარგა
ასფალტის ქვაბი
სურვილად—ნატვრა
მსოფლიოს მოვლის.
საზრდოდ არავის
რგებს კოკაინი
არც ეროტიკა
სჯობს ნაადრევი.
უნდა ვიპოვოთ
გზა სხვანაირი
და არა ძველის
ძველი, ნათრევი.
ყველა ამ ქვეყნად
ვართ მიწიერი—
ჩვენ გუმანისტებს
ვინ შეგვადარებს
თუ გვექნა შკოლა,
სად გონიერი
ბავში მხიარულ
დღეს გაატარებს?
თორემ ახალი
კიდევ აგერ რბის
ეჩვევა ქუჩას,
გორავს ტალახში,
რადგან დედ-მამა
თითქმის მთელი დღის
განმავლობაში
არაა სახლში.
პირველი ხატავს,
მეორე მღერის
მესამეს—სხვებზე
უფრო პატარას,
მე ვიცნობ
როგორც უნიჭიერესს
მაგრამ საშინელ
ორგანიზატორს.
მეოთხე—როცა
ბრუნდება ყუდარს—
თავისებურად
უკრავს ჭიანურს,
და იცნობს ენებს—
როგორც საკუთარს,
უცხო ფრანგულს და
იტალიანურს.
ამ ოთხისათვის
ბინა, სარჩენი,
აღმოაჩინა
მიმართვამ ჩემმა,
მაგრამ ათასი
სხვა დანარჩენი?
აი ამბავი,
აი პრობლემა!

36

სხვა ბავში კი რომ
აღტაცებით
აწყდება შკოლას.
საფეხურიდან
რომ აჰყვება
ახალ საფეხურს.
ის კარგად იცნობს
თავისუფალს
შრომას და ბრძოლას.
ის იცნობს
ახალ საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის წინსვლას მეხურს.
ის 9 წლისაა,
მისი წიგნი,
მისი გრიფელი,
მისი რვეული
მისი წერა
აპოკრიფული,
როგორ დაშორდა
ჩვენს წინანდელს,
სუსხიან წარსულს,
ეხლა ვიგონებ
ყოველივეს
როგორც დასასრულს...
გულშემზარავი,
საშინელი
შკოლის ნამტვრევი
გაგახსენდება
და სიკვდილი
მოგენატრება.
მწარე დრო იყო,
ბავშვებს ჰქონდათ
დავა და ჩხუბი:
მათ დააარსეს
„ხალხის მტერთა
მმუსრავი
ჯგუფი"
მასწავლებელი საზიზღარი
მტარვალი, კრული
მათ წინ დაეცა
ცხელი ტყვიით
გულგანგმირული—
ის, ვისიც ხელში იზრდებოდა
მთელი თაობა.
ჩამოვიდოდა რომელიმე
არარაობა
მოჰქონდა თავის სამღვთო სჯული,
ძველი კოდექსი—
დიდმპყრობელური
გაცვეთილი
პროზა და ლექსი.
შუღლი, დაცინვა
კარცერები და ეკლესიაზლიოთეკა
და მათ შესაფერ
პატივს სცემდენ
როგორც წესია.
პიონერებო!
თქვენ არ გახსოვთ,
ო, ეს ველური
დაბრმავება და
შოვინიზმი
დიდმპყრობელური...

. . . . . .

. . . . . .

პიონერო, იყავ ღირსი
ახალ ყოფა-ცხოვრების
შენ ხანა არ გაგივლია
ძველი გამათხოვრების.
მასამ აბობოქრებულმა
ის ბორკილი დალეწა
რომ ნისლებს არ დაებურა
შენი გამჭვირვალე ცა.
ბრძოლამ ძველი ზამთრის სუსხი
დაუნდობლად შელახა,
რომ ნამდვილი გაზაფხული
შენთვის გადაენახა.
თოვლიც გადნა. ველად გაჩნდა.
ცისფერ იის ღერები
გაზაფხულის ეს მზადმყოფი
ნორჩი პიონერები.
მშენებლობა მოდის ქვეყნად
ჯერ რომ არსად ნახულა
პიონერო, ეს დღეები
შენთვის გამოსახულა.
ხუთწლედი ოთხ წელიწადში!
საქმეს—თავის ალაგი!
მოდის სოციალისტური
სოფელი და ქალაქი.

37

საქართველოში მძლავრზე მძლავრი
არის ხმაური
ისმის ეპოქის უსწრაფესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტლის გრიალი.
ამ ეტლში ბრმაც კი ჩაჭედილა
ვით მოგზაური.
ხელილიც ნახვას ყველაფრისას
ვერ ასწრებს თვალი.
მეტალურგია, მალშტრემები!
სულ აირია—
რალა აკლია, წაიშლება
მალე გარჩევა!
სოციალიზმის სისადავე
რანაირია
და რა ძვირფასი—დაინახავს
ვინც გადარჩება.
სამოცდაათი წლის პოეტი
ქუჩაში მიდის
ამ იანვარში მას აცვია
თხელი სატინა.
არც მზე მიდიის, არც ბალები
სემირამიდის—
საქართველოა, არა რომი
ანუ ათინა.
ხან მუშკოპთან, სასახლესთან,
ხან სახელგამთან
ის შეჩერდება, გაისწორებს
ლორნიონს უწინ...
გახედავს პროსპეკტს, მაგრამ ეხლა
ერთგულ და გამტან
ტოლებს და სწორებს ველარ ხედავს
ვერსად მოხუცი.
აი ამ ადგილს იყო კლუბი
და რედაქცია
რამდენი ძველი მოგონება
გულში სწერია
რეკონსტრუქციამ იფეთქა და
ფერფლად აქცია
იგი „ცისკარი“, ის „მოამბე“
და „ივერია“.
სამოცდაათი წლის პოეტი
ქუჩაში მიდის
ქუჩა ელექტროს და რადიოს
მოუთოკია
„თუმცა პოეტი ეხლანდელი
არ ჰგავს ოვიდის,
მაგრამ ყოველდროს ხომ თავისი
ჰყავს ბოდოკია“!
მიდის პოეტი. ეს პროსპეკტი
არ არის მისი,
ის კარგადა გრძნობს ამ დღეების
სხვანაირ ელვებს.
მაგრამ ტფილისი, ეხლანდელი
მძაფრი ტფილისი
მის გულს მედგარი მშენებლობის
გრძნობით აღელვებს.
მიდის წყნარი და მხიარული.
ახალი ძალით
უყვარს სიცოცხლე (დე. იცოცხლოს
მრავალჟამიერ)!
ჩვენთვის ის უდამ ძვირფასია,
ვით მაგალითი
ბევრის ატანის, შემომქმედი
შრომის დღე-ღამე.
რევოლიუციონურ საქართველომ
ასე შეტოპა—
ვინ არ შეხედავს სიხარულით
ამნაირ გარჯას
იმედიანი გახდება თვით
უიმედობა
შენება მოდის? თუ მოვიდა—
მას გაუმარჯოს!
რას ამბობ, კაცო? უშრომლად ხომ
არა მოდის-რა
ის რომელია რომ უმღერის
ნირუცვლელ ყოფას.
იშრომე რალა! ვინც ასეთი
შრომა იკისრა,
ის კიდეც დასძლევს კარჩაკეტილ
უნაყოფობას.
იანვარია. თოვლი ფარავს
ქუჩებს და ბინებს
მაგრამ ვინაა რომ ჯინაზე
ასეთ ამიდის
„მაისის ვარდნი გაფურჩქვნილნი“-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმით მიღიღინებს?
სამოცდაათი წლის პოეტი
ქუჩაზე მიდის!
იქით კი ისევ მძლავრზე მძლავრი
არის ხმაური
ისმის ეპოქის უსწრაფესი
ეტლის გრიალი
ამ ეტლში ისიც ჩაჯედილა
ვით მოგზაური —
მაგრამ დანახვას ყველაფრისას,
ვერ ასწრებს თვალი!

38

უნდა შეავსოს
ხვალემ და ზეგმა
ოთხ წელიწადში
ხუთი წლის გეგმა
ინდუსტრიალური
იგრძნოს ეს წელი
რუსმა, ქართველმა
ყირგიზმა, ლეკმა.
თუ რომელიმე
წინააღმდეგმა
სთქვას: აგვიკლოთ ბიბლიოთეკა
ჭუჭყმა და ლექმა
ჩვენ მივუთითოთ: —
აი, საპონი!
ამისთვის უნდა
შესრულდეს გეგმა.
გაშალოთ ბრძოლის
მთლიანი ფრონტი
ჩამოიჭილოთ
თვალიდან ბლონდი
კოლმეურნეებს,
სოფელს და მასებს
მიყვეთ შრომაში!
მივყვეთ ბოლომდი.
ყველას, ვინც მასსის
გულისთქმას ისმენს,
ვინაც მებრძოლად
მიაჩნის ვისმეს
მუშათა კლასთან,
ნეომარ კლასთან
ასწიოს დროშა
სოციალიზმის!

შემდეგი იქნება.

პავლე საყვარელიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეკლიან გზაზე

გაგრძელება *)

IV

იმ ღამეს აღარ დამძინებია.

რა დამაძინებდა?

ამ დაკითხვას მე სულ სხვანაირად მოველოდი.

მეგონა, რომ უფრო იოლად, უფრო ადვილად გადავრჩებოდი და მოვიშორებდი თავიდან ამ ჩემი ზედმიწევნით გაცნობის მსურველებს.

სულ სხვა დამხვდა.

ალბად, ჯერ არ დამანებებენ თავს. ჯერ კიდევ კარგა ხანს დამჭირდება საკომენდატოში ჯდომა.

მოსვლის სურვილი ვინ მკითხა, რომ წასვლის შესახებ მკითხოს ვინმემ!?

ეთერი, სურათი?

საიდან გაჩნდა ის ჟანდარმების ხელში?

იქნებ დაჭერილია ეთერი?

თუ დაჭერილია, მაშინ, რა მოელის მას? ან საიდან მიაკვლიეს ჟანდარმებმა, რომ ვიცნობ ეთერს?

რატომ მკითხავენ მის შესახებ? ეთერი... ეს კიდევ ზედმეტი და სრულებით მოულოდნელი გაუთვალისწინებელი სიმწარეა ჩემს გზაზე.

ჩემი ცხოვრება უკვე მიადგა თავის საბედისწერო რკალს.

გამოსავალი აქედან ან არ არის, ან და, თუ არის—მხოლოდ ის, რომ მე შემდეგ... ვინ იცის, რამდენი წლის ციხეში გდების შემდეგ... იქნებ მელირსოს იქ, სადღაც ციმბირში, ტყეობიდან თავის დაღწევა.

რამდენი დრო გაივლის მანამდე? არა ერთი და ორი წელი, წლები უნდა ამას, დიდი დრო...

შესაძლებელია, რომ მოვესწრო ამ დროს?

შესაძლებელია იმდენათ, რამდენათაც კოკისპირულ წვიმის დროს რამოდენიმე საათი გარედ იდგე და ერთი წვეთი არ დაგეცეს, სრულებით არ დასველდე.

მაგრამ, ეს რომ შეუძლებელია?

*) იხ. „მნათობი" № 9 8

აგრეთვე შეუძლებელია იმის იმედით დარჩენა, რომ ამდენ ხანს ციხეში გაძლებ და უვნებლად გამოხვალ გარედ.

ბიბლიოთეკა

მოესწრო იქნებ გამოსვლას, მაგრამ რაღათ ელირება გარედ გამოსელა, თუ კი ციხეში ჩასტოვებ ახალგაზრდობას, ჯანმრთელობას, სიცოცხლის ხალისს.

გაქცევა?

„კარგად ვიყავ, ავათ გავხდი, ავადა ვარ—რა მომარჩენს!“ გამიგონია ხოლმე ასეთი თქმულება ჩვენში. მართლაც, გარედ ვიყავ და ციხეში მოვხვდი და ეხლა ციხიდან გარედ გასვლა-გაქცევა, ვერც ისე ადვილად მოსახერხებელი საქმეა.

ან კი რატომ ვაწვები მე ამ უთავბოლო კითხვების ხვეულებს?

ჩემს გულის სიღრმეში ეხლა სულ სხვა რამეა დაბუდებული:—არ მცილდება ეთერის სახე. ვერ ვიტყვი, რომ ჩემთვის ადვილი იყოს ჩემი გრძნობის სიღრმის, მისი მთელი შინაარსის გამოჩენა-გამომქღავნება, ერთის თქმა შემიძლია:—ეთერის გაცნობის შემდეგ ყოველთვის, ყოველ წუთს, მაშინაც, როდესაც მე მის შესახებ არც კი ვფიქრობ გარკვეულად, ჩემ გულში უტეხი სიხარული ფეთქავს, დაუშრეტელი, იმედის წყარო მღერის.

ბევრი რამაა მწარე და მძიმე ჩემს ცხოვრებაში.

ციხეში ვარ და ჩემს გარშემო სხვასაც ბევრს ვხედავ გაჭირვებულსა და გამწარებულს, მაგრამ როდესაც მე სხვას ვუკვირდები თითქოს ვგრძნობ, რომ მათთან შედარებით, მე დიდი დაუფასებელი უპირატესობა მაქვს.

მე მყავს ეთერი, იმათ კი ამის თანატოლი, ამის ბადალი, ამის მზგავსი რა გააჩნიათ?

არც კი მიფიქრია ამ სიხარულის შესახებ და გამოჩენა, ჩემს თავსაც კი ეუმალავდი ამას.

იყო, ცხოვრობდა და მღეროდა გულში სიყვარულის ჰანგი.

არ მინდოდა შევხებოდი, იმიტომ, რომ გული გრძნობდა, რაღაც მარცხს.

— ეთერს დაიჭერენ.

— ეთერს რაიმე უბედურება შეემთხვევა!

ცივად მიჩხვლეტდა ხოლმე სადღაც ცივად, მაგრამ მე ამ ტკივილს ჩქარა ვიქარვებდი, ვაიმედებდი და ვარწმუნებდი თავს, რომ ეთერი საიმედო ალაგასაა, რომ ილიკო და ქეთო მას მზრუნველობას არ მოაკლებენ, რომ ბაქოში მუშათა მოძრაობა მტკიცეა, რომ იქ რეაქცია ასე ადვილად ვერ მოშლის რევოლიუციონურ მოძრაობის ფუძეს და სხვადასხვა.

მაგრამ წუხანდელმა ამბავმა სრულებით გადმოაბრუნა და გადმოაფორიაქა ყველაფერი!

პირდაპირი სატანჯველი ისაა, რომ არ ვიცი, დაჭერილია, თუ არა ეთერი!

არ ვიცი, რატომ აინტერესებს ჯანდარმებს მისი ამბავი?

დაჭერილი რომ იყოს, მაშინ ხომ ეცოდინებათ, სადაც იმყოფება ეთერი?

რაკი მკითხავენ, მაშასადამე, არ იციან.

მაგრამ მ ე რ ა ტ ო მ მკითხავენ? ნუ თუ, მართლაც, ყველაფერი იციან ჯანდარმებმა? არაფერიც არ იციან მათ ადამიანის წვალების მეტი!!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გარდა ამისა, მკითხავენ ალექსის თუ იცნობდიო? როგორ ავხსნა ეს?

იციან მათ, რომ ალექსი მე ვარ, თუ არა?

იქნებ მათამაშებენ, უნდათ თავი მოიბრიყვიანონ და შემდეგ ყველაფერი გადამიშალონ.

ვნახოთ!

ჩემი თავი ჯანდაბის ორღობემდე, ოღონდ... ოღონდ ეთერს არაფერი გაუჭირდებოდეს.

— დაგიბარეს დასაკითხავად?—გამომეხმაურა მეორე დღეს დილით ცალთვალა.

— ერთი ნეტავი შენს ტყავში დაეტეოდე, რა შენი საქმეა?

— რას წყრები შე კაი კაცო?

— მე შეიძლება კაი კაცი ვიყო, მაგრამ შენ კი არ ხარ კაი კაცი და ამიტომ შენთან ლაპარაკი არაფრად მეხალისება, ჩამომეხსენი. არ ვარ შენთან ლაპარაკის გუნებაზე.

ხმა აღარ ამოუღია, მომშორდა. მიხვდა, ალბათ, რომ მეც გაგებული მაქვს მისი „კაი-კაცობა". არაფერია, აიტანს უეჭველია, პირველი არაა მისთვის ასეთი პასუხი.

*
* *

ეს დღე ისე გავატარე, რომ ის ნელთბილი წყალი და პური, რომელსაც იქ იძლევიან ხელმოუკიდებლად დამრჩა. არ მაქვს ჭამის მადა.

ბორკილიანი დღეს კიდევ გაატარეს სადღაც და მხოლოდ საღამოს მოიყვანეს უკან. ვინ არის ნეტავი?

კვლავ მეძახიან.

დღეს ადრე მოუგუნებებიათ, საღამოს რვა საათი იქნება. საათის ანგარიში მე ეხლა ბეჯითად ვიცი, სადღაც მახლობლად ყოველი საათის შემდეგ რეკავენ ხოლმე.

გამყოლი მხოლოდ ერთი მოვიდა. ან კი რა საჭიროა, ამ ეზოს იმხელა და იმ სიმაღლეზე გალავანი არტყია, რომ ჩიტს გაუჭირდება გადაფრენა, თვით საკომენდატო ხომ შიგნიდან და გარედან სამხედრო ყარაულითაა დაცული.

იმავე ოთახში შემიყვანეს, სადაც წუხელი ვიჯექით, მაგრამ დამკითხავი: ჟანდარმი და სასამართლოს მოხელე არსად სჩანან.

შემიყვანეს ოთახში და მიმატოვეს.

ვუცდი.

კედელზე რამოდენიმე სურათია, ვიღაც გენერალის, ვიღაც სამხედრო პირების. არის ხელმწიფის სურათი, ხელში ქუდი უჭერია, ტანი შებრუნებული აქვს, სახე სანახევროთ აქეთ იყურება, თითქოს უკან უნდა მიიხედოსო.

კარგია ამ ოთახში ყოფნა, ჩემს საკანს სჯობს, მაგრამ როდემდე უნდა ვიყო აქ, ამ მდგომარეობაში, რომ არ ვიცი?

ეს რაღაც გასავლელი ოთახი უნდა იყოს, წარამარა დაიარებიან, იქეთ-აქეთ, ზოგი სამხედრო პირები, ზოგი სრულებით უბრალოთ გამოწყობილი ხალხი.

გამოვიდა ვიღაც სამხედრო პირი, მაღალი ტანის, განიერი მხარ-ბეჭიანი, ჭაღარა. ალბათ, დიდი ვინმე პიროვნებაა.

პირდაპირ ჩემსკენ მოასწორა.

— თქვენ რისთვის გარჯილხართ? —მეკითხება მე.

— მე გამოძახებული ვარ დასაკითხავად.

ითქოს კიდევაც შერცხვა ჩემგან ასეთი პასუხი რომ გაიგონა.

— უკაცრავად, უკაცრავად, მეუბნება ის. ალბათ, დააგვიანდათ.

გაბრუნდა, მაგრამ, თითქოს რაღაც გაახსენდა, კვლავ შემობრუნდა.

— დაბრძანდით, მაგრე ფეხზე გაჩერება როგორ იქნება? და გამიშვირა ხელი ერთად ერთ სავარძელისაკენ.

ერთ ხანს კიდევ დავუცადე და შემდეგ მართლაც ჩამოვჯექი:—გამიგონია, „ტყულა დგომას ტყულა სიარული სჯობიაო!“, მაგრამ ტყულა ჯდომას ბევრი რამ უნდა სჯობდეს. მე არ მომწონს ეს ტყვილად ჯდომა.

მე რომ მკითხოთ ამ დიდ ოთახში ასე ჯდომას, ისევ ჩემს ბნელ საკანში ყოფნა მირჩევნია.

ჩემს პირდაპირ კარებია, კარებს ფარდები აქვს ჩამოფარებული.

იმ ოთახიდან რაღაც ხმაურობა ისმის, მაგრამ ისე გარკვეით არა, რომ ცალ-ცალკე სიტყვები გავიგონო.

გამოვიდა ვიღაც მსახური სალდათი, ის დიდი ლამფა, რომელიც მაგიდაზე იდვა სადღაც გაიტანა. მე ერთ გაყოლა დროს სრულებით სიბნელეში დამტოვეს.

ნეტავი გამოვიდოდეს მაინც ვინმე! ასე უთავბოლო დგომაც მოსაბეზრებელია და ჯდომაც. მით უმეტეს ამ უსინათლო ოთახში ყოფნა, რომ არაფერი სახალისოა!

ქუჩიდან მხოლოდ ხანდახან გაისმის ტრამვაის ხმაური, ქუჩისკენ ფანჯრებზე სქელი ფარდებია ჩამოფარებული. საზოგადოთ ამ ოთახში ფარდები ბლომადაა, როდი ჰგავს ვაგლახათ მოწყობილს კანცელარიის ოთახს.

ამ დროს უეცრად იღება ჩემს პირდაპირ კარები, იგივე მაღალ ტანიანი მოხუცი სამხედრო პირი მოდის.

ფართოდ გააღო კარები, ფარდა მისწია და მოულოდნელად სიბნელე რომ დაინახა შეჩერდა. ის ოთახი სინათლითაა გალაპლაპებული და აქედან ყველაფერი მოსჩანს, მაგრამ რას ვხედავ?

ოთახის შუაგულში კარების გასწვრივ მაგიდა დგას, მაგიდასთან ჩემსკენ პირმობრუნებული ზის... ეთერი.

თვალებში ხელი ამოვისვი, მოჩვენება მეგონა.

ზეზე წამოვდექი.

სამხედრო პირმა კარები გაიხურა, უკან დაბრუნდა. შემდეგ კვლავ გამოჩნდა კარებში, მაგრამ იმ მაგიდასთან აღარავინ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სტეპან, გულმოსულად უბძანა მან ვილაცას, გამოიტანე ეს ლამფა, რატომ დაგიბნელებია აქაურობა?

მსახურმა ისევ გამოიტანა ლამფა.

არ ვიცი, შეიძლება გული წამივიდა. ღონე მიხდილი დავეშვი საეარძელში და რომ მთლად არ დამეკარგა გრძნობა თავს ხელი შევაშველე.

გუშინ სურათი მაჩვენეს. დღეს თვითონ დამანახვეს, მაგრამ რა უნდოდა ეთერს აქ? ვინ მოიყვანა? თუ თავისით მოვიდა, რატომ, რა საქმისათვის, რა მიზნით, სიზმარია ყოველივე ეს, თუ ცხადია?

— დღეს დაკითხვა არ იქნება, წაიყვანეთ,— ხმა-ბაღლა გასცა განკარგულება იმავე სამხედრო პირმა წეხანდელი ზრდილობა მას სადღაც გადაავიწყდა, ამ ხელად ჩემსკენ არც კი მოუხედია.

როცა უკან წამომიყვანეს, ქუჩის კარებისაკენ დერეფანის ბოლოს კვლავ მოვკარი თვალი მიმავალი ქალის ზურგს.

შეიძლება ესეც ეთერი იყო. აღარაფერი მესმის, ვერაფერი გამიგია. ცოცხალ-მკვდარი მივაბიჯებ. აი აგერ ჩემი საკანიც, მაგრამ მე ეხლა იმ საკანში როდილა მიმაბრუნეს დერეფანის მეორე კუნჭულში გამიღეს კარები. ესეც იმგვარივე სოროა და მეტი არაფერი, მაგრამ მე თითქოს გული დამწყდა, იქ რამოდენიმე დღე გავათიე და თითქოს უკვე მივეჩვიე.

ვინ იყო ეს ქალი?

ნუ თუ ესეც ეთერი იყო, მაგრამ ვინ იყო, რომ მიჰყვებოდა?

რა უნდა ეთერს ამ სახლში?

დაჭერილია ის, თუ ისეა მოსული?..

რა გაიგებს ამას, ვინ გაიგებს და ვინ შემატყობინებს?

ასეთ სულიერ აფორიაქებაში კიდევ გაიარა რამოდენიმე დღემ.

ჩემს გვერდით ის ბორკილებიანი პატიმარი ზის. დაბალია, ტანი პატარა აქვს, თავი დიდი და ამ თავზე ძლიერ ცოტა ღა შერჩენია თმა.

ძილი აღარ მეკიდება.

საკმელს თითქმის ხელს აღარ ვკიდებ.

დამშეული ვირთხები ღამ-ღამობით პირდაპირ დოლს მართავენ ხოლმე ამ ჩემს საკანში, პური ძირს იატაკზე სძევს, დაესევიან მიათრევენ, მაგრამ სოროში რომ მთლიანად ვერ ჩაიტანებენ და ალბად, აი სწორედ ამიტომ აქვთ ამდენი დავიდარაბა.

ღამე არ ძინავს, მაგრამ არც ჩემ მეზობელს სძინავს.

მთელი ღამე ის დადის, ბორკილის რაჩხარუჩხი მთელ ღამეს არ შეწყნარდება ხოლმე.

ვაგდივარ ფიცრულ საწოლზე. როდემდი უნდა ვიყო აქ?

არ ვიცი!

არაფერი არ ვიცი, ყველაფერი სათუო და საეჭვო შეიქნა ჩემთვის.

* * *

„— ეს აღმართი ავიაროთ, და მერე გაგვიადვილდება!“ ასე იცოდა ხოლმე შეძახება ჩვენმა მეზობელმა.

მას ხარები ყავდა და ღღიურ საქირაოზე დადიოდა ხარმარა [illegible].

ხარები მოუვლელობითა და ზედმეტი მუშაობით დალეული [illegible] ძვალი და ტყავი, საპალნეს მაინც დიდს უდებდა მისი პატრონი და, როცა ხარებს ურმის წათრევა გაუჭირდებოდა ხოლმე—აი სწორედ მაშინ შეუძახებდა ხოლმე მეხრე ამ გასამხნევებელ სიტყვებს.

მართალიცაა, თუ „ეს ალმართი ავიარეთ", შემდეგ, მართლაც კი, იქნებ, ეშველოს რამე ჩემს მდგომარეობას, მაგრამ ალმართი დიდია და საფრთხეებით სავსე.

არ ვიცი რა ვიფიქრო, არ ვიცი, რა ამბავია ჩემს თავზე.

არ ვიცი, რას მაბრალებენ. ხ-ის ამბავი ჟანდარმებმა, როგორც ჰგავს იციან, მაგრამ არ ვიცი ვისი წყალობით... ალბად, გამოტყდა ვინმე, მაგრამ ჩვენი ორგანიზაციიდან, მგონი არავინ დაუჭერიათ.

გადმოვაბრუნე ჩემი მეხსიერების ყველა კუნჭულები, ვერავინ გავიხსენე. იქნებ გერასიმ პეტროვიჩისაგან მჭირს ეს „ბედნიერება", მაგრამ ის სულ სხვა საქმეზე იყო დაჭერილი და მას, რა ძალა ადგა რომ ჩემს ამბავს მოყოლოდა?

მაშ, ვინ, ვინ არის მთქმელი, გამცემი??

უეცრად და მოულოდნელად გამახსენდა ფედია—მატროსი.

ყველაფერი ცხადი და ნათელი შეიქნა ჩემთვის. ფედია არის მქნელი!

მან იცოდა ჩემი სახელი, მეტი არაფერი და ამიტომ, რაც კი იცოდა ეს პირნათლად გადაუცია!

მაგრამ, სად არის თვით ფედია? ალბად, ის აღარ არის აქ, თორემ მოიყვანდენ პირში წასაყენებლად.

ეს კიდევ არაფერი! რის ბრალია, რომ რაღაც მაცდურ ჯოჯოხეთის ქსელში მიპირობენ გახლართვას? რამ მოიყვანა ეთერი საკომენდანტოში, რატომ მეკითხებიან მე მის შესახებ, როდესაც თვითონ ის აქ ყოფილა?

დაჭერილია ეთერი, თუ...

ამის წარმოდგენაც კი ძნელია, მაგრამ ეჭვის საწამლავი მიტომ არის ჩაწვეთებული ჩემს აზროვნებაში, რომ თვითეული დებულება ათასნაირად შევატრიალო წალმა-უკუღმა.

თვალს ძილი არ ეკარება. ამ სიბნელეში ისე გამახვილდა ჩემი მხედველობა, რომ ჩინებულად ვამჩნევ ყველაფერს, თვითეულ ვირთხას, ასე თავისუფლად რომ დანავარდობენ ჩემს საკანში.

თვალი ხედავს, ყური ისმენს, თავი აზროვნებს, აზრი აზრს მიჰყვება.

რა მძიმე ყოფილა ამ ალმართის ათავება!!!

რათ მინდა ვაკე, თუ რომ ამ ალმართში ამომძვრება სული?

იყო აჯანყება, იყო სროლა, არის მოკლული რამოდენიმე სამხედრო პირი.

ჩვენ რამოდენიმე ხნის განმავლობაში სრულებით და სავსებით გავაუქმეთ მთავრობა.

ჩვენ აშკარათა და ღიათ გამოვდიოდით.

ხელს ვაწერდით სხვადასხვა განკარგულებებს.

უკან დახევისა და დამარცხების წინ ეს საბუთები ჩვენ არ მოგვისპია, ან კი რა აზრი ჰქონდა ქალალდების მოსპობას?

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ხალხი განა იქ არ არის?

აი, ერთი და მთავარი ბრალდება ჩემს წინააღმდეგ არის ამ შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობის მიღება.

მეორე, ალბად, ის, რომ მე ხ-ში ვმუშაობდი.

მაგრამ ხ-ში რომ არაფერი მომხდარა იმის ფასი?

მთავარი ბრალდება აჯანყებაში მონაწილეობაა, სხვა დანარჩენი ამასთან შედარებით წვრილმანია.

ჰო, რა შორსაა ეს ალმართი, ჯერ არც კი შევდგომივარ მას, ჯერ მხოლოდ პირველი გუნებიერი ლაპარაკი მქონდა ჩემს კეთილსმყოფელებთან.

რაც იქნება—აწი იქნება!

ამას გაძლება არ უნდა??!!

რატომ, რატომ დახლართეს ამ ურჯულოებმა ეს ყველაფერი, რატომ გაურიეს ამ საქმეში ეთერი?

ეთერის სახე არ მშორდება.

რომ იჯდა, ხომ ის იყო?

უსათუოდ და უეჭველად!!

ჩემს სხეულს ყოველივე გრძნობიერება დაეკარგა, მხოლოდ თავი მუშაობს.

არ ისვენებს აზრები!

ძილ-ღვინძრათ ვარ. თითქოს ყველაფერს ვაჩჩნევ, მცირეოდენი გაფაჩუნება მესმის, მაგრამ დაკარგული მაქვს დროის შეცნობის უნარი.

საათის ზარები ხშირად რეკავენ, მე ასე მგონია...

ჩემს გვერდში, რომ ტუსაღია წალმა-უკულმა ტრიალებს თავის პატარა საკანში.

ვინ იცის, იმის გულშიაც რა ცეცხლია დანთებული!?

ისიც შესდგომია თავის ალმართს, ემძიმება და არც უნდა, იქნებ, ალმართისათვის თავის ძალისა და ღონის გაფლანგვა.

ლობიო ძნელი მოსახარშავია, წყალს რამოდენჯერმე დაიშრობს, უნდა დაასხა წყალი, არ უნდა ამოგიშრეს ქოთანი—დედა-ჩემი იტყოდა ხოლმე:

„—თითო ქოთანი ყველგან დულსო“ ესე იგი ყველას თავის ქოთანი აქვს მოსავლელი, ყველას თავისი გაჭირვება აწუხებსო.

დიალაც, რომ დულს აქ თითო ქოთანი, შეიძლება ორიც, შეიძლება სამიც, შეიძლება მეტიც, მაგრამ ერთი უსათუოდ!!!

სარკმელიდან ელალი სინათლე ანათებს.

სადღაც მახსოვს კიდევ ასეთი სინათლე, სად იყო, ნეტავი გამახსენა.

მგონი იქ... ჰო, იქ—თედოს სანახშირე სარდაფში. გამახსენდა და ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

არ მინდა იმ ღამის განმეორება. მაშინ გარეთ ვიყავი, მომვლელი მყავდა. ცაცა გვერდით მიდგა, გეურქაც იქ იყო, ეხლა აღარც ცაცაა ამ ქვეყნად, აღარც გეურქა. წავიდენ და ამოშლილია ეს ორთავე ცოცხლების სიიდან.

ასეთია სიკვდილ-სიცოცხლის ფანდები და ოინები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, მართალი იყო, მგონი, ელოს მამა, როდესაც მეუბნებოდა, საუკეთესოები იხოცებიან ილუპებიან და არამზადები ყოველ გასაჭირიდან გადარჩენილი უვნებლად ცხოვრობენო, ასეთი რაღაც მითხრა მან იმ ღამეს.

„— მე მინდა" — ელაპარაკება ჩემი მეზობელი ვიღაცას... რა უნდა არ გამიგონია.

მინდა ავდგე კარებთან მივიპარო, გავიგონო, დავაყურო, რატომ მინდა არც კი ვიცი, მაგრამ მინდა. ადგომა კი მეზარება, მხოლოდ თავი მუშაობს, ტანი კი უძრავად სძევს ამ ფიცრულ საწოლზე.

საკანში ვირთხები დარიხინობენ.

გარედან ჟღალი სინათლე ანათებს.

დერეფანში სალდათი დაიარება!

მეტეხი მთლად გადამავიწყდა ეხლა, როცა გამახსენდა მეტეხი, ისე მომენატრა იქაურობა, თითქოს იმაზე უკეთესი და ბედნიერი ადგილი დედამიწის ზურგზე არც კი ყოფილიყოს.

მაგრამ არც იქ ვიყავი მოსვენებული. იქაც სულ ასეთი ეჭვებით ვიყავი მოშლილი და შებოჭილი.

იქ არ იყო, რომ მომესმა რაღაც ლაპარაკი მეზობელ საკანიდან.

ვინ იყო იმ საკანში? ივლიანე და იაგორა!

ორი მახინჯი, ორი რაღაც ახირებული არსება, რომელიც, ვინ იცის, რა გაუგებარს, რა შემოხვევას მოუყვანია ციხის კარებამდე.

რატომ არ მოდის ის ჟანდარმი, რათ მაწვალებს? ბარემლა დამკითხოს! მას მეტი რა საქმე აქვს, რას აჭიანურებს, მოვრჩები და გავაოავებ.

კი, გინდა შენ, რასაკვირველია!

შ ე ნ გინდა, მაგრამ მ ა ს არ უნდა!

ასე აწვალებს ხოლმე კატა თაგვს...

რა კარგია, დასტურ, აქ რომ ერთი დიდი კატა მაინც იყოს, ამ ვირთხებს დააფრთხობდა. ან კი დააფრთხობდა კი? აქ ვირთხები ბლომათაა...

იმ დღეს ჟანდარმი რომ მკითხავდა, ვიღაც სამხედრო პირი მოვიდა, შავი სათვალეები ჰქონდა აფარებული; თითქოს შევიცვნე...

აი, ერთი კიდევ ნიშანი ჩემი გაზვიდებული ეჭვიანობის, მაგრამ არა, არა! იმ სამხედრო პირს ცალ ხელში ქაღალდი ეჭირა და ამ ხელის თითები მე კარგათ შევამჩნიე, რატომ ჩამრჩა მე ეს თითები მეხსიერებაში, არ ვიცი, არ ვიცი.

მე ის კი არა, ალბათ ეს თითები ვიცანი და ყველა თითები კი არა, ე რ თ ი თითი სწორედ ერთი თითი, ნეკი, რომელსაც უკანასკნელი საღსარი მოჭრილი ჰქონდა.

სადღაც მინახავს მე ასეთი საღსარ მოჭრილი თითი--ნეკი, მაგრამ, სად მინახავს რომ აღარ მახსოვს... მინახავს კი!

სად? სად? სად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ისევ მეტეხის ციხე მიდგას თვალ წინ!

ოთურმას თამაშობენ.

ივლიანე დასეირნობს. მე კედლის გასწვრივ რომ გაყოლებული გრძელი ხის საჯდომია, იქ ვზივარ და გაზეთს ვკითხულობ.

არ მომწონს მე ეს ოთურმის მოთამაშე ხალხი. მეტის მეტს ყვირიან, ხელს მიწლიან გაზეთის კითხვაში.

აგერ ჩემს წინ იაგორა სდგას წაკუზული, ცალი ხელი მუხლისათვის დაუბჯენია!

თავს ვანებებ გაზეთის კითხვას, სულ ერთია მაინც ვერ დაუდევი გული, ამ ხრიალსა და ხმაურობაში წაკითხულის შესმენა შეუძლებელია.

იაგორას მივჩერებივარ, ნეტავი, რა სიამოვნებას გრძნობს ეს დაუდეგარი ადამიანი ამ მდგომარეობაში. ხელი მუხლისთავისათვის მიუბჯენია...

აი მოჭრილი ნეკი!..

ი ა გ ო რ ა ს ჰქონდა მოჭრილი ნეკი. იაგორა და ეს სამხედრო ვილაც პირი?!..

საიდან სადაო?!.

მაგრამ ეს მოჭრილი ნეკი იაგორას ჰქონდა ხელზე.

მახსოვს, რაღაც უაზროთ მივაშტერე პირველად ამ თითს თვალი, თ ვ ა ლ მ ა დაიმახსოვრა ამ თითის ნოყვანილობა—განზე იყო გაწეული, თვალმა დაიმახსოვრა, გონების დაუკითხავად და შემოინახა სადღაც!..

იაგორა მე მეტეხის ციხეში დავტოვე.

შემდეგ, იაგორას არ ჰქონია სათვალები, ამახ კი სათვალები აქვს აფარებული...

ჰმ, რა ვუყოთ მერე, სათვალების აფარება, რა ძნელი საქმეა სათვალების აფარება?

იქნებ, პირიქით, საჭიროცაა!

სათვალები სცვლის ადამიანის სახის გამომეტყველებას...

არ მესმის, არ ვიცი...

ისმის დეზების რაჩა-რუჩი.

ვილაც ნოვიდა, ჩემი მეზობლის საკანთან გაჩერდა, მესმის ბორკილიანის ხმა, მესმის მეორე ხმაც.

ეს ისაა, მაღალი და ჭალარა, მე რომ საავარძელში დასაჯდომად მიმიპატიჟა.

ჩუ, კარებს აღებენ, დეზებიანი შევიდა სარკმელში!

დაბალი ხმით ლაპარაკობენ. ზოგი სიტყვები არც კი მესმის, მაგრამ ჩემი სმენა გამახვილებულია. ვეცდები გავიგო, რას იტყვიან?

— რა საჭირო შეიქნა ამ უდროო დროს ჩემი ნახვა?

— მაპატიეთ, სხვა უკეთესი დრო მე ვერ შევარჩიე.

— ხვალ?!

— ხვალ უკვე გვიანი იქნებოდა. გარდა ამისა, ხვალ თქვენ ...ება აქ არ იქნეთ, მე კი მინდა, რომ თქვენ, უსათუოდ თქვენ და არა სხვას ვინმეს გავანდო ყველაფერი.

— სთქვით!

— გეტყვით ყველაფერს! მე მზათა ვარ, როცა თქვენ მოისურვებთ, ყოველივე ის რასაც ეხლა ჩემგან გაიგონებთ, დაგიდასტუროთ, ოფიციალურათ ჩვენების ჩამორთმევის წესით, ხელიც მოვაწერო ყველაფერს. სათქმელი კი მე ბევრი მაქვს, და საინტერესო რამეები, მაგრამ ერთი პირობით.

— ყოველივე პირობის გარეშე, თქვენ ვალდებული ხართ გვითხრათ ყოველივე. თქვენი დანაშაული იმდენად მძიმეა, რომ თქვენი ხვედრის შემსუბუქება მხოლოდ გულახდილსა და დაუმალავს ჩვენებასა და აღსარებას შეუძლია, მეტს არაფერს!

— მესმის და ვიცი, მაგრამ მე ჩემს ხვედრს უკვე შერიგებული ვარ. ეხლა, თუ მე გადავწყვიტე თქვენთვის ყველაფერის თქმა, არა იმიტომ, რომ მე ჩემი ხვედრის მეშინოდეს, არამედ სულ სხვა რამე, მერწმუნეთ, სულ სხვა რამეა ჩემი განზრახვა.

პირდაპირ გადადით საგანზე.

— გადავდივარ! მე დიდი ხანია ვმუშაობ რევოლიუციონურ ორგანიზაციებში. იქ მე დიდი ნდობა და სახელი მაქვს მოხვეჭილი. მენდობიან და იმედიცა აქვთ, რომ მე შევძლებ იმისთანა რამეების მოწყობას, რასაც სხვები ვერ შესძლებენ. რევოლიუციონერებში ნდობის დამსახურება ადვილი საქმე არ არის. მე ეს ნდობა დავიმსახურე. რითი და როგორ, ამას ეხლა ნუ გამოვუდგებით. თუ საჭირო იქნება, სხვა დროს გეტყვით, ეხლა მთავარი ისაა, რომ მე მინდა თქვენ გაგაგებინოთ, რომ თქვენ წარმოდგენილიც არა გაქვთ, რა გავლენის პატრონი ადამიანი ზის ამ ჯამად თქვენს წინაშე.

სამხედრო პირმა ჩაახველა, რისი ნიშანი იყო ეს ჩახველება არ მესმის.

— მე შემიძლია ერთბაშად და ერთი რამოდენიმე დღის განმავლობაში ჩაგაბაროთ მთელი საქართველოს და ამიერ-კავკასიის მთავარი სამხედრო რევოლიუციონური სამზადისის მთელი მისაგნები ძაფები.

— დაასახელეთ.

— მე მინდა დავასახელო, მაგრამ არც ასე ადვილია დასახელება, საქმე ისაა, რომ ამისათვის საჭიროა ჩემი განთავისუფლება.

— ეგ შეუძლებელია!

— აბა, შეუძლებელია იმის წესრულება, რასაც მე თქვენ გპირდებით.

— რატომ?

— ამას თავისი მიზეზები აქვს.

— მაინც?

— საჭიროა ერთბაშათ ყველაფერის ხელში ჩაგდება. ისე, დღეს ერთს ადგილას თავ-დასხმა, ხვალ მეორე ადგილას, არ ივარგებს! ეს მხოლოდ სიგნალი იქნება იმათთვის, ისინი ყველაფერს ადგილს მოუნაცვლებენ, უფრო მაგრად მოუჭერენ კონსპირატიულ ჭახრაკს და მაშინ იმათი ხელში ჩაგდება შეუძლებელი იქნება.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— მაშ, როგორ?

— როგორ და აი ასე. თქვენ გამანთავისუფლებთ მე. მე მივდივარ ამხანაგებთან და ამ რამოდენიმე კვირის განმავლობაში მე ვაწყობ ამიერ-კავკასიის სამხედრო ორგანიზაციების ყრილობას. სად და რა დროს, ამას თქვენ გაცნობებთ და თქვენც ყველას ერთბაშად დაიჭერთ.

— თქვენი ასეთი მოულოდნელი განთავისუფლება არ აღუძრავს ეჭვს თქვენ ამხანაგებს?

— არა! ეს ასე მოხდება. თქვენ დამიბარებთ დასაკითხავად საღამოს ხანს. მე იქედან თავისუფალი მივდივარ! ამხანაგებს მე შემიძლია მოვუყვე რაიმე შეთხზული ამბავი გამოქცევის შესახებ. ვინც მე მიცნობს, მათ ეს არ გაუკვირდებათ... მე მართლაც მოვახერხებდი აქედან გაქცევას, მაგრამ, თუ ამას არ ვშვრები, ეს იმიტომ, რომ მე თვითონ მივედი ამ დასკვნამდე, რომ რევოლიუციონური მოძრაობა დამღუპველია, რომ ძირიან ფესვიანად უნდა ამოვარდეს ის.

— ვიფიქროთ!

— აქ დიდი ფიქრი რა საჭიროა, პირადი თქვენი დაწინაურება და ქვეყნისათვის საისტორიო სამსახურის გაწევა თქვენს ხელშია.

— ვნახოთ, ვნახოთ!..

ლაპარაკი შეწყდა.

დეზებიანი ადამიანი დერეფანში მიარაჩხუნებს, ბორკილიანი კი იქვე რჩება და მის პატარა საკანს ხან ერთ კუთხეს ეხეთქება, ხან მეორეს.

* * *

გათენების ხანს წაბძანებოდა.

სალდათს გარედ გასვლა ვთხოვე, უკან რომ დავბრუნდი იმ ჩემი მეზობლის სარკმელთან ერთი ზედმეტი ყარაული დავინახე, რომელიც ფეხმოუცვლელად მის საკანთან სდგას და სარკმელიდან თვალს არ აშორებს.

გამახსენდა წუხანდელი ლაპარაკი, დეზებიანის შეპირება, ვიფიქროთო, რომ დაუბარა.

რა გამოიფიქრა საბოლოოდ მან, ეს ჯერ არ სჩანს, მაგრამ აშკარაა, რომ ჯერ-ჯეროობით ეს ზედმეტი ყარაულის დაყენება პირდაპირი შედეგია წუხანდელი ლაპარაკის.

რამოდენიმე დღემ ისე გაიარა, რომ ამ ჩვენ დერეფანს არც არავინ გამოკლებია, არც არავინ მომატებია.

ბორკილიანი რამოდენ-ჯერმე გაატარეს, მას მგონია კიდევ ერთი ბედნიერებაც შესძღვნეს—ფეხების ბორკილებს ხელების სამაჯურებიც მოუმატეს.

ერთს დღეს ვილაც სამხედრო პირმა ჩამოიარა, თვითეული საკანი გააღებია.

ჩემთანაც შეშოვიდა, მკითხა.

— რატომ ხარ დაჭერილი?

— დაჭერილიც ვიყავი და კიდეც ვიჯექი მეტეხის ციხეში, მაგრამ აგერ ორ კვირეზე მეტი იქნება, რაც იქედან აქ გადმომიყვანეს, ალბათ დასაკითხავად, მაგრამ არც დაკითხვაა, არც არაფერი. ვგდივარ აქ, არც ქვეშაგები, არც სასმელ-საჭმელი. როცა მეტეხიდან წამომიყვანეს ყველაფერი იქ დამატოვებინეს, მითხრეს, ხვალვე უკან დაგაბრუნებთო.

მოსულმა რაღაც ჩაინიშნა, გვარიც ჩაიწერა ჩემი, ესე იგი ის გვარი, რომელიც ჩემს პასპორტში სწერია.

კიდევ გავიდა რამოდენიმე დღე. ბოლოს, როგორც იქნა, კელავ გამიხმეს. ამ გზობას ლოდინი და ცდა ალარ დამჭირვებია. ოროთავე იქ დამხვდა.

— დაგვიგვიანდა თქვენი ხელმეორეთ ნახვა--ღიმილით დაიწყო ჟანდარმმა. ყოველ შემთხვევაში, ეს თქვენი ბრალია, ჩვენ ნურაფერს დაგვაბრალებთ. ჩვენ შეგვეძლო მაშინათვე მოგვეგვარებია ეს საქმე, არ ინებეთ და ეხლა თქვენს თავს დააბრალეთ.

— კი, მაგრამ მე აქ არც საცვლები მაქვს, არც ქვეშსაგები, საჭმელს აქ არ იძლევიან. თუ მე რაიმე დანაშაული მიმიძღვის, მაკუთვნეთ რაც სასჯელი მერგება და ამ სასჯელს მოვიხდი ისე, როგორც სხვები და დანარჩენები იხდიან...

— ჯერ სასჯელზე ლაპარაკი ადრეა, ჯერ თქვენ გვიბრძანეთ თქვენი ვინაობა.

— მე მოგახსენეთ, რომ ჩემი ვინაობა პასპორტშია აღნიშნული.

— მეც მოგახსენეთ თქვენ, რომ თქვენი პასპორტი ყალბია, სხვათა შორის, ვინ მოგცათ, ან საიდან იშოვეთ თქვენ ეს პასპორტი?

— პასპორტი ჩემია, მივიღე ის მე ჩვეულებრივი წესით.

— თქვენ, როგორც გატყობთ, ისევ ძველ გზას ადგიხართ, დაუფიქრდით! ხომ ატყობთ, რომ ჩვენთვის უფრო ადვილია თქვენი ყინის მოტეხის მოცდა, ვიდრე თვით თქვენთვის. პასპორტი ყალბია, თქვენი გვარი არ არის ბარბაქაძე.

— კეთილი, არ არის, თანახმა ვარ.

— აგრე გეთქვათ, აქნამდე მოვრჩებოდით. მაშასადამე, მე ვწერ ოქმში, რომ პასპორტში აღნიშნული გვარი თქვენი გვარი არ არის.

— ყაბულსა ვარ, ჩასწერეთ.

—ერთი კითხვა კიდევ: ეხლა თქვენი ნამდვილი გვარი გვიბრძანეთ!

— ეს თქვენი საქმეა. თქვენ მე დამიჭირეთ დამოუკიდებლად იმისა, რა გვარისა და სახელის პატრონი ვიყავი. ეხლა თქვენთვის განა სულ ერთი არაა, ვინ ვარ მე, რომელი ქვეყნისა და რა ტომის ადამიანი?

— სრულებითაც არა. ჩვენ ხომ უნდა ვიცოდეთ, ვინ არის ის ადამიანი, რომელიც არის დატუსაღებული?

ღირს, თუ არა გაჟინება, გამიელვა თავში;—ვეტყვი ბარემ. სულ ერთია, ადრე იქნება თუ გვიან მაინც გაიგებენ ამ ჩემს გვარს. საქართველო ერთი მუჭა ქვეყანაა, მიაკვლევენ, მანამდე კი აქ მაყურყუტებენ. რა სარგებლობას მომიტანს, რას გამომადგება აქ გდება? ვეტყვი, ჯანი გავარდეს— მეტეხში მაინც გადამიყვანებენ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ინებეთ, რალაი მაგ რიგ გაინტერესებთ მოგახსენებთ ჩემი გვარი გახლავთ...

ვუთხარი ჩემი ნამდვილი გვარი.

— აგრე სჯობს. აქნამდე გეთხრობიათ, თქვენთვისავე უკეთესი იქნებოდა. ეხლა სახელი?

— სახელი — ალექსი.

— ალექსი, განიმეორა მან. მაშასადამე თქვენ იცნობთ იმ ალექსის, რომელიც ხ-ში მუშაობდა.

მე მოგახსენეთ, რომ მე თვითონ ხ-ში არც მიცხოვრია, გზათ თუ გამიელია მატარებლით. მეტი არაფერი. შეიძლება იყო იქ, დასტურ ვინმე ალექსი, მაგრამ მე იმის ცნობა არა მაქვს.

— კეთილი, კეთილი, დამიტკბა ჟანდარმი. შეიძლება მაგრეც იყოს. ჩვენი მოვალეობაა გკითხოთ.

— ეხლა ის მიბძანეთ, რა დანაშაული მედება მე ბრალათ?

— თქვენ გბრალდებათ, რომ თქვენ იყავით წევრი რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის გ—ის კომიტეტის, რომელსაც აქვს თავის მიზნათ დასახული არსებული წესწყობილების ჩამოგდება. ეს დანაშაული არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის დებულების 102 მუხლის ძალით და ამ დანაშაულისათვის თქვენ მოგელით სასჯელი...

ამის შემდეგ დაკითხვა უფრო ჩქარა წავიდა წინ.

ჟანდარმებს არავითარი საბუთი ბრალდების დასამტიცებლად არ მოეძებნებათ, გარდა იმისა, რომ მე იმ საბედისწერო ღამეს იმ ბინაზე მნახეს გ-ში, სადაც ჩვენ: არც მე მათს ნახვას და არც ისინი ჩემს იქ შეხვედრას არ მოველოდით.

გამომკითხეს დაბადების თვე და რიცხვი, მშობლებისა და დებისა და ძმების სახელები და წლოვანება. ერთი სიტყვით, ათასგვარი წვრილმანები.

ამითი გათავდა ჩვენი საუბარი. დაკითხვის გათავებისას მე ერთხელ კიდევ გავიმეორე ჩემი საყვედური ამ უალაგო ალაგზე ჩემი ჩამოგდების შესახებ. ჟანდარმი შემპირდა, ხვალვე გადაგიყვან მეტეხშიო. ეს „ხვალეც“ გათენდა და მე, მართლაც, მეტეხისაკენ გამაბრუნეს.

თურმე, არის ასეთი შემთხვევები, როდესაც ჯანდარმებიც ასრულებენ შეპირებას. სიხარულით მივატოვე ეს ჯოჯოხეთის დერეფანი და მეტეხისაკენ გამოვეშურე. რასაკვირველია მხლებლებითურთ.

V

უცნაური რამ ცხოველია ადამიანი, განა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მე მეტეხის სახელიც კი მძულდა, ეხლა კი აქეთ ისეთი სიხარულით მოვდივარ.

აქ მეგულება ამხანაგები... აქ ჩვენ თითქმის ყველაფერს მოწყვეტილი ვართ, მაგრამ ერთმანეთთან მაინცა გვაქვს კავშირი. აქ ჩვენ თითქმის ერთგვარი თავისუფლებითაც კი ვსარგებლობთ. რასაკვირველია, გარეთ არავინ გამოგვიშვებს, მაგრამ თვით მეტეხის მიდამო ხომ ჩვენთვის ღიაა და თავისუფალი!

ისევ ჩემს ძველს საკანს დავეპატრონე. იგივე სურათი დამხვდა, იგივე ხალხი, არავინ შოგვმატებია. ისევ ისე დაუსრულებლად დადის ივლიანე, ეზოს ერთი კუთხიდან მეორემდე, მოწაფეებიც იქვე არიან. იაგორას ვერსად ვხედავ.

— რა იქნა იაგორა? ვკითხე ივლიანეს.

— არ ვიცი, მეუბნება ის.

— გაანთავისუფლეს?

— არ ვიცი, დაუძახეს, წაიყვანეს, მასუკან უკან აღარ დაბრუნებულა.

მეტის გამოკითხვა ზედმეტია, ივლიანე ისეთი უქმური ადამიანია, მისგან— სულ ერთია, უფრო გარკვეულად ვერაფერს გაიგებ. სხვებს გამოვკითხე.

— იაგორა თითქმის იმის მეორე, თუ მესამე დღეს გაანთავისუფლეს, როდესაც შენ დაგიბარეს საკომენდატოშიო, მეუბნება ერთი იმ მოწაფეთაგანი, რომლებიც თურმე, მოსალოდნელი აჯანყების მოწყობის ტეხნიკას სწავლობდენ.

— ვაიმე, შენ არც კი გაგიგია. ივლიანე და იაგორა ერთად არ იჯდენ. სწორედ შენი წასვლის შემდეგ იყო ეს ამბავი, ერთს საღამოს იაგორასა და ივლიანეს შენი მოწონებული ჩხუბი მოუვიდათ ერთმანეთში. ხელით მიიწიენ ერთმანეთზე. ამის შემდეგ იაგორა და ივლიანე დააშორეს ერთმანეთს და იაგორა შენს ცარიელ საკანში გადმოაჯინეს. მაგრამ დიდხანს არც იქ დარჩენილა, ერთი დღის, თუ ორი დღის შემდეგ, ერთს საღამოს ხანს დაიბარეს და, ალბათ, გაანთავისუფლეს—უკან, აღარ დაბრუნებულა.

— რაზე მოუვიდათ ჩხუბი, თუ იცი? ვეკითხები მე.

— არც მე ვიცი, არც სხვას ეცოდინება. იაგორა მასხარა და ოხუნჯი იყო, იმისაგან სწორსა და მართალის გაგება ძნელი იყო, ივლიანე კი ეხლაც აქ არის, მაგრამ სიტყვას ვერ გამოტყუებ.

მიდის დრო, დღე დღეს მიჰყვება, კვირა კვირას, აგერ თვეც გავიდა, მას მეორე დაედევნა, უკვე მესამე თვეში გადავდგი ფეხი.

ჩამი-ჩუმი არ ისმის ჩემი საქმის...

არ ვიცი, როდემდე დარჩება ეს მდგომარეობა ასე.

მე იჭვებით ვარ შეპყრობილი. არ ვიცი, რამდენი ხანი უნდა გავიდეს, რომ წაიშალოს და ამოირეცხოს ჩემი მეხსიერებიდან ყოველივე ის, რაც მე იმ დაწყევლილ დერეფანში ვნახე და გამოვცადე.

ამ რამოდენიმე დღის წინად მოიყვანეს მეტეხში ის, ბორკილებს რომ არაჩხუნებდა საკომენდანტოში.

ისიც აქვე, ახალ-შენობაში დააბინავეს, მაგრამ რატომღაც არა ჩვენთან, არამედ სადღაც ქვეშ—სარდაფში.

იქ საზოგადოთ ისეთს ტუსაღებს ათავსებენ ხოლმე, რომლებსაც დანარჩენებს არ აკარებენ.

არის ერთი წყება ტუსაღები, მაგალითად ყოფილი პოლიციელები, ჯაშუშები და სხვა ასეთი „პატიოსანი ხელობის“ ხალხი. მარცხათ, შემთხვევით ხანდახან მათაც შემოაბრძანებენ ხოლმე ციხეში. აქ მათ, რასაკვირველია, კარგი დღე არ დაადგებათ თუ ტუსაღებს ხელში ჩაუვარდათ, ამიტომ მათ ცალკე აჯენენ და განსაკუთრებულად უვლიან.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეს ბორკილებიანიც სწორეთ ისეთს ადგილს მოათავსეს, ალბად, უკვე გაგონილი აქვთ ტუსაღებს მისი კაცობა.

შეიძლება ჯერ-ჯეროობით არც კი იცოდეს ვინმემ, მაგრამ ის მაინც—თვითონ ტუსაღი,—თავდარიგს ეწევა და მოუთხოვია ცალკე დაბინავება. სწორი ანგარიშია, ვინაიდან ადრე იქნება, თუ გვიან ნისი მოღალატეობა გამომჟღავნდება და მაშინ მას ტუსაღების რისხვა არ ასცდება.

ციხეს თავისი კანონი აქვს.

ტუსაღებში არის წესი და ადათი, რომელიც ყველასათვის სავალდებულოა.

გამცემი, ჯაშუში, ისეთი ტუსაღი, რომელმაც დაკითხვის დროს თავისი ამხანაგი გასცა,—აქ ასე იტყვიან: „ხელი დაადვაო"—ასეთები ციხეში ყველას ათვალისწუნებული და განაპირებული ჰყავს.

თვითეული ტუსაღი თავის ვალდებულებათ სთვლის ასეთს, არამც თუ ხმა არ გასცეს, ხელი არ გაუწიოს, არამედ მოსპოს, გააქროს.

სარდაფის ტუსაღებს მხოლოდ იმ დროს უშვებენ ეზოში, როდესაც ჩვენ ვსადილობთ და ჩვენ ჩვენს ალაგას ვზივართ.

განახლდა მეხსიერებაში ამ ბორკილიანის საუბარი საკომენდანტოს დერეფანში რომ გავიგონე.

ვერ მორიგებულან.

ვერ დააჯერა, როგორც ჰგავს, მან ჟანდარმები რომ ის მათთვის სასარგებლო თანამშრომელი გამოდგებოდა.

ჩვენში იტყვიან, „თუ ურემი შეშას ვერ მოიტანს, თვითონ შეშის მაგიერობას მაინც გასწევსო"—ასე გადაუწყვეტიათ, როგორც ჰგავს ჟანდარმებს.

* * *

ჩვენ ციხის ეზოს ხან აკლდება, ხან ემატება, მაგრამ არის ერთი წყება ხალხი, რომელნიც „მაგრათ" ზის და როგორც ვატყობ, მეც ამ წყება ტუსაღებში მიდგია ფეხი.

გულს ღრღნის სევდა და ეჭვები.

ღამე სიზმარი არ ვიცოდი, მაგრამ ეხლა დაძინების მეშინია, ყოველთვის რაღაც საზარელსა და საშინელს ვხედავ ძილში.

ვგრძნობ, რომ რაღაც საბედისწერო მარცხის მეხი უნდა გავარდეს ჩემს თავზე, რატომ ვგრძნობ ამას, არ ვიცი.

უქმია ახსნისა და მიზეზების ძებნა.

პირადად ჩემი ბედის შესახებ მე არც კი ვფიქრობ ვიცი რომ, რაც დრო იქნება, მომაკითხავენ იქედან, სადაც მე ერთს დროს აჯანყებაში მონაწილეობას ვღებულობდი, დამკითხავენ და სხვებთან ერთად მეც მიმცემენ პასუხისგებაში.

ეს უეჭველია, ეს აუცილებელია! მე ეს არ მაწუხებს. მაწუხებს სულ სხვა.

ვერ გამირკვევია, და ვერ მიმიგნია იმ ხლართისათვის, სადაც ასე გამოუცნობლად არის ერთმანეთში გადასკვნილი ეთერისა და ჩემი შეხვედრის ამბავი საკომენდანტოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამც თუ ეგრძობ, ვიცი დაბეჯითებით, რომ ამ საქმეში, ალბათ, მონაწილეობა იმ ახირებულ ადამიანსაც უძევს, რომელიც აქ ჩვენთან იჯდა და მას აქ ჩვენ იაგორას ვეძახდით.

გარედან ჩემთან არაფერი კაცი მნახველი არ დაიარება. დადიან ზოგ-ზოგიერთებთან, მაგრამ იმათი შემწეობით რაიმეს გაგება მეტად ძნელია.

რაც დრო მიდის, მე მით უფრო და უფრო აშკარად ვგრძნობ, რომ ჩემთვის საჭიროა ადგილის გამოცვლა.

მომბეზრდა სულ ამ ერთი და იგივე კედლების ყურება, ერთი და იგივე ხალხი. ნერვებს მიშლის ქუჩისაკენ გადახედვა. იქ ხალხი მიდი-მოდის, იქ თავისუფლებაა, აქ კი...

აი, აგერ ეს მათხოვარი, რომელიც ყოველ საღამოს შემოუდგება ხოლმე მეტეხის აღმართს, ყოველთვის ერთსა და იმავე დროს, ისიც თავისუფალი ადამიანია, თუმცა, მას ცალი ფეხი აღარ აქვს: მოტეხილი აქვს, ან მოჭრილი.

ხომ შეუძლია, მას ამ აღმართის მაგივრად იქეთ, სხვა ქუჩებით გაიაროს გავიდეს მტკვარის გაღმა და გამოღმა.

შეუძლია მას მივიდეს, როგორმე, ავათ-თუ კარგათ, მიჩოჩდეს იმ ალაგას, სადაც ბარძიმი—წიგნის მაღაზიის პატრონი ცხოვრობს—მივიდეს და გაიგოს, ეთერის ამბავი.

ეთერი თბილისშია, მაშასადამე, ბარძიმს ეცოდინება მისი ამბავი.

ეს შეუძლია, ამის საშვალება აქვს თვითეულს, ვინც ამ ქუჩაზე, იმ ქუჩაზე, სხვა ქუჩებზე დაიარება. ყველას, ვინც გარეთ იმყოფება—ყველას შეუძლია! ყველას აქვს ამის საშვალება, მაგრამ ამის საშვალება არა მაქვს მე.

აგერ მოდის ვილაც ყმაწვილი ჩოხაში გამოწყობილი. კოხტა და ფრთხილად მოაბიჯებს.

საღამო ხანია. ქუდი მოუხდია და ხელში დაუკავებია, მიდის და აქნევს ქუდს. არ ეჩქარება, მეტეხისაკენ არც კი შემოუხედავს.

მან იცის, ეტყობა, საითკენაც მიდის, იცის, რაც ესაჭიროება.

ვინ გაიგებს, იქნებ აქეთ, ამ უბანში, მას სადმე მიჯნური მიელის.

მიელის და წუთებს ითვლის.

იქნებ ის ჩ ვ ე ნ ი ს ა ქ მ ი ს კაცია, იქნება განგებაა გამოწყობილი ამგვარად, რომ მტრებს თვალები აუხვიოს.

იქნებ, ის ჩვენ გასანთავისუფლებლად რაიმე გეგმებს აწყობს და ამ საღამო ხანს, განგებ ჩვენსკენ რომ სრულებითაც არ იყურება, ამ ადგილებს ზვერავს.

აგერ, მთელი რაზმი პატარა ცხოველებისა, რომლებსაც თავის თავზე უფრო დიდი საპალნე ჰკიდიათ.

დილაზე ჩაიარეს შუა ბაზრისაკენ..

მათ პატრონებს ხელი დაუცლიათ, რაც გასაყიდელი ჰქონიათ—გაუყიდიათ, უკან ბრუნდებიან. ცარიელი გოდრები უფრო ადვილი სათრევია, მაგრამ მთელი დღის უსმელებსა და უჭმელათ დარჩენილებს ეს აღმართი მაინც უმძიმთ, ნელა მიაბიჯებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრონებიც ჯგუფად მოდიან, განზე მოჰყვებიან „ტროტუარზე“.

თავისუფალია არამც თუ ადამიანი, ამ საბედისწერო კედელს გადალმა ვინც დაიარება, თავისუფალია ის ვირებიც. ვირი და თავისუფლება!

ვაგლახ, რა მწარე დაცინვაა ბედისა ადამიანის თავზე? მაგრამ ის თავისუფლებაც ხომ ისეთია, რომ მარტო ვირების საკადრისია.

მართლაც რომ საპალნის მთრეველი ვირებია ყველა, ვინც ამ კედელს გადალმა დაიარება. ყველა და თვითეული დაათრევს თავის საპალნეს, თავის ჰვირთს, თავის ბედსა და უბედურებას.

ღამე ძილი არ მეკარება.

თუ ძალის ძალათი მოვინდომებ დაძინებას, ძილ-ღვიძლად თვალს მოვატყუებ, რაღაც ისეთ საშინელსა და საზარელს მომალანდებს ჩემი დაჭიმული ნერვები, რომ ეს კიდევ უარესად მღლისა და მასუსტებს.

მე მაინც ძალიან პატარა საკანში გადამიყვანეს, რაც რომ ჩემი ნებით ბინა გაუცვალე ერთს ამხანაგს.

აქ ორი საწოლის ჩადგმა შეუძლებელია.

ხმის გამომცემი რომ ვინმე მყავდეს, იქნებ, უკეთესი იყოს ჩემთვის.

მაგრამ, არა, არ მგონია, რომ მე ახლა მუსაიფმა მომარჩინოს!

ვატყობ, დღითი დღე მწვავდება ჩემი სულიერი განწყობილება.

მე ეხლა თითქმის აღარც კი დავიარები სასეირნოდ.

არ მინდა გარედ გასვლა! არ მინდა გადავიხედო ქუჩაზე, მაგრამ სული წამძლევს ხოლმე, მივადგები, ვიყურები და გაბოროტებული, ვასაოთებული ისევ ლოგინზე დავეგდები ხოლმე.

გუშინ დიდხანს ვუყურე ამ ქუჩას, დავინახე ის შავ ჩოხაში გამოწყობილი ყმაწვილიც, ის მათხოვარიც, ვირებმაც ამოიარა, ერთი სიტყვით, ყველა ნაცნობი და უცნობი, ყველამ გაიარა ჩემი თვალის წინ.

— აი, თუ კენტი გამოვიდა გადადგმული ლაჯის რიცხვი, სანამ მე იმ ყმაწვილს თვალს მივაწვდენდე, მაშინ მე უსათუოდ წრეულს გავალ ციხიდან, თუ არა და არა. ის აგერ ჩემ წინ—ჩემს პირდაპირ მიდის. ვითვლი: ერთი, ორი, სამი, ოთხი.... თექვსმეტი, თითქმის მიიმალა, მაგრამ არა, მე კიდევ შემიძლია ოვალი გავაყოლო, ცოტა ამ მხარესაკენ უნდა დავდგე... ჩვიდმეტი, თვრამეტი, ცხრამეტი, აი კიდევ შეიძლება დანახვა, თუ გარედ გავყობ თავს... ცხრამეტი, ოცი, ოცდაერთი, ოცდა... დარაჯი სალდათი გამიგულისებია, ყვირის რაღაცას, თოფს მიმიზნებს, იგინება. ჩამოვეხსენი... აღარ მინდა თვლა. მაინც რამდენი გამოვიდა, ოცდა ორი. აგიხდა კეთილად ყოველი სიზმარი. კენტი კი არა ლუწი გამოსულა, მაშასადამე, იჯექი ჩემო ალექსი აქ მეორეთ მოსვლის წელიწადის მობრუნებამდე.

პირობა მივეცი გუშინდელს აქეთ ჩემს თავს, რომ ფანჯარას აღარ მივადგები. არც გარედ მინდა გავიდე. დავწვები, იქნებ დღე დამეძინოს. ეხლა ესაა—ლოგინზე ვკოტრიალობ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

რამდენი ხანია აღარ გამივლია ამ ქუჩაში, კი როგორ არა, გუშინ არ იყო რომ გამოვიარე ამ ალაგას. აი აქ გუშინ მე პაპიროსი ვიყიდე, მაგრამ ხურდა არ მქონდა და ეხლა ნისია უნდა გავისტუმრო. რა კარგია რომ გამახსენდა.

აქ მედუქნე... ჰო, მთლად არ გადამავიწყდა, აქ ეთერი უნდა ვნახო. ამ დუქნის უკანა კარებიდან უნდა გავიდე. მაგრამ კარები რომ არა აქვს. რას იკრიჭება, ნეტავი, ეს მედუქნე, ან კი რომელი მედუქნე, ეს ჩვენი იაგორა ყოფილა. მოჭრილი ნეკი წინ დაუდევს და ზედ დასჩერებია. არა, იაგორა კი არა, ვიღაც სამხედრო პირია. ალბათ, გაიგო, რომ მე ციხიდან გამოვქცეულვარ, მე ხომ ციხეში ვზივარ.

შემატყო, მიცნო, არ უნდა ლაპარაკი. მაგრამ აგერ ეთერიც შემოვიდა, ღმერთო ჩემო, ეს რა ჭრელი კაბა ჩაუცვამს. იღიმება, მე... მე ყურადღებას არ მაქცევს, ჩემსკენ არც კი იყურება.

იაგორა ოთურმის თამაშს აპირობს, უნდა თავზე გადამახტეს. მე ოთურმა არ მიყვარს, მე ოთურმა კი არა, ეთერის გამოლაპარაკება მინდა. იაგორა წყრება, მოჭრილი ნეკის მაგივრად მას მთელი თითები გადაჭრილი ჰქონია, მაგრამ რა მარჯვეთ იღებს ის რევოლვერს და—

... ამ დროს იჭექა.

თითქოს ცივი წყალი გადაესხას ვისმეს ჩემთვის თავზე—წამოვარდი. კარები ღია იყო, დერეფანში გამოველ და უაზროთ გავექანე იქეთკენ, სადაც ეზოში გასასვლელი მეგულება.

მოსხლეტით დაეცა ზედ იატაკზე ვიღაც. მე ჯერ კიდევ არც კი გამოვრკვეულვარ, მაგრამ უაზროთ, მოუფიქრებლად შევუხვიე.

ხელში ივლიანე შემრჩა.

დერეფანში ერთი კაცის ჰაჰანება არაა, ზედამხედველიც ტუსაღებთანაა ზევით სასეირნო ეზოში.

— მოგხვდა?—ვეკითხები, თუმცა მე თვითონ ვგრძნობ, რომ ივლიანეს ეხლა პასუხის გაცემა აღარ შეუძლია და რომ მოხვედრია ტყვია, ამას მეც კარგად ვხედავ, რაღა საკითხავია: არ მინდა, რომ პირდაპირ იატაკზე ეგდოს. არც ის შემიძლია, რომ საწოლზე დავაწვინო. ისევ ვარჩიე, რომ საწოლიდან თივის ლები გადმომეთრია ძირს და იმაზე მიმესვენებია გრძნობა დაკარგული ივლიანე. ლებს რაღაც საგანი გადმოყვა, დავხედე, რაღაც მოზრდილი რვეული იყო. ალბათ, ეხლავე მოვლენ, ამ რვეულს აქ ნახავენ. სჯობს შევუნახო, მორჩება, გადავცემ, ვიფიქრე მე, იქვე მეორე ღია საკანის კარებში შევაგდე ეს რვეული და მე ზევით გავეშურე ამბავის შესატყობინებლად.

ეზო მაღლობზეა. გვარიანა მაღალი კიბეა გასავლელი. �ელი როგორც იქნა, შევატყობინე მომხდარი ამბავი ზედამხედველს.

ივლიანე საავათმყოფოში წაიღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ ამ რვეულში ვნახო იმ ჩემი ეჭვების კვანძის ერთი-ორი ფაფის ბოლო. მაგრამ ვერაფერს აქ ვერ წავადექი. რვეულში არც ერთი ფურცელი არაა დაწერილი, მხოლოდ სულ უკანა გვერდზე არის რამოდენიმე სტრიქონი:

— „გადავწყვიტე თავის სიკვდილი. ჩემი ხელით თავის მოკვლა არ მინდა. იქნებ სალდათმა მომკლას. ეეცდები, რომ მესროლოს. არ ღირს... ასე სჯობია“.

ბოლოში ერთი დიდი გაკვირების ნიშანი აქვს დასმული მთელი რვეულის სიმაღლეზე სოლივით ჩამოწვეტილი. ესაა და ეს, ამის მეტი არაფერი არაა...

ივლიანეს საკანი დაცალიერდა. ივლიანე სავათმყოფოშია. ტყვია მარჯვენა მხარის ძვალს მოხვედრია. რა საშინელებაა მაინც, რაც არ უნდა იყოს, ეს ციხე! აგერ ამდენი ხანია ჩვენს გვერდში კაცი იყო, ყოველ დღე, ყოველ წამს ვხვდებოდით, ვხედავდით გაქირდვით, დაცინვით გულს ვუწვრილებდით, ის კი, მართალია, ხმას არ იღებდა, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ყველაფერს გულში იხვევდა. შეიძლება არც კი აქცევდა ამას ყურადღებას, ვინაიდან მის გულში იქნებ, სხვა უფრო დიდი და მოუნელებელი ბოლმა იწვა. ჩვენ კი ამას ვერც მივხვდით, ვერც შევნიშნეთ.

ჩვენს დერეფანში ერთი ამხანაგი ზის, მე ის აქ გავიცანი, ის მე აქ დამხვდა, მას უკან თითქმის ყოველ დღე რომ ვხედავ, ყველაზე უფრო მას დავუახლოვდი. ხელობით ის დალაქია, მისთვის ბინაზე გაჩხრეკის დროს ფურცლები ენახავთ. მისი საქმის გამოძიება უკვე გათავებულია. მოელის გასამართლებას. გამართლების იმედი არა აქვს, მაგრამ დიდ სასჯელს მაინც არ მისცემენ, შეიძლება ციხე გადაუწყვიტონ ვადით და ისიც წინასწარი ჯდომის ჩათვლით. მე იმასთან უფრო ვარ დაახლოებული. წყნარი კაცია, გულღია და გულწრფელი.

— ალექსი, შენ ავად ხომ არა ხარ?—მეკითხება ის—ჩქარა შენ ივლიანესაეით არ დაგემართოს. ეკალივით მოხვდა გულს ეს ივლიანეს სახელის გახსენება და მასთან შედარება.

— არა, ისე, ჰო, რაღაც მოქანცული ვარ სოსო. ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვეუბნები მე.

— მერე რას უყურებ, რატომ არ გადახვალ საავათმყოფოში?

— საავათმყოფოში რა გავაკეთო, საიმისო რომ არაფერი მტკივა?

განა ტკივილია საჭირო? მე კარგად ვიცი შენი ამბავი. შენ ეხლა ერთი ჰაერის გამოცვლა გესაჭიროება, თვალს გადააყოლებ, გაერთობი.

შენ პირს შაქარი, მაგრამ სააგარაკოთ მე თავისუფალი რომ ვიყავი, მაშინაც არ დავიარებოდი; როდი ვარ შეჩვეული. აქ კი, ძალიანაც რომ მოვინდომო, ვინ გამიშვებს?

— ნუ კი ხუმრობ, მეც აკი ამიტომ გეუბნები საავათმყოფოს, იქ შენ ჯერ არ ყოფილხარ, გადადი, ორი-სამი კვირა იქ დარჩი, იქაურობა დაათვალიერე, იქაურ ხალხს ნახავ, თვალს გაახელ. ჩვენთვის—პატიმარისათვის ესეც კარგი და დიდი ღვთის-წყალობაა!!

— შენ არ ამბობ ურიგოს, მაგრამ შეიძლება კი აგრე ადვილად საავათმყოფოში გადასვლა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არც ისე ძნელია. ექიმმა რომ ჩამოიაროს, უთხარიო, ბებერი კაცია, უარს არ გეტყვის.

ჩვენთან ციხეში სამხედრო ექიმი დაიარება. არ ჰგავს ურიგო კაცს, ბაგრამ მე იმასთან არავითარი საქმე არ მქონია. ვცდი, იქნებ მართლაც გამიჭრას ბედმა.

ეს საქმე, მართლაც, არც ისე ძნელი გამოდგა, როგორც მე მეგონა. ექიმს ბევრი თხოვა არ დასჭირვებია, შემპირდა ხვალისათვის გაგწერო. ეს ხვალეც ხომ ხვალ იქნება, წავალ ერთი, იქნებ, მართლაც უკეთესი გამოდგეს ჩემი მოშლილი ნერვებისათვის საავათმყოფოში გადასვლა...

* * *

ორი დღეა უკვე საავათმყოფოში ვარ. მე იმ საკანში მომათავსეს, სადაც მწოლიარე ავათმყოფები არიან დაბინავებული. ივლიანე ცალკე არის - ერთ პატარა საკანში. დღე მე შემიძლია მისი ნახვა და აკი ვნახე კიდევაც, იმას ჭრილობაც განიზეზებული აქვს და სიცხესაც არ დაუკლია.

დღეს სწორედ იმის საკანში ვიყავი, როცა ექიმი შემოვიდა. დაათვალიერა ავათმყოფი, უნდოდა რაღაც ეკითხა, მაგრამ ივლიანემ ხმა არ გასცა. კარგად მყოფობაშიაც არ უყვარდა ივლიანეს ლაპარაკი, აქ კი სრულებით დაუნებებია ლაპარაკისათვის თავი. ერთავად თვალებ დახუჭული წევს, რამოდენიმეჯერ რომ ჩასძახებენ, ცოტაოდენს თვალს გამოახელს და მეტი არაფერი, არც სიტყვა, არც პასუხი. საჭმელის მიღებას მთელი ერთი ამბავი სჭირდება, თუ ძალიან არ მიეძალენ და თავზე არ დაადგენ, ისე საჭმელს ხელს არ ჰკიდებს.

როცა ექიმი გამოვიდა იმის საკანიდან, მეც უკან გამოვყევი.

— თქვენ იცნობთ მაგ ყმაწვილს? - მკითხავს ექიმი.

— არც იმდენათ, აქ ციხეში გავიცანი.

— გაკვირებასა ვარ. იშვიათად შემხვედრია მაგისთანა ადამიანი. არ უნდა, მორჩეს და ის არის, არავითარი სურვილი, არავითარი ინტერესი სიცოცხლისადმი მაგ ადამიანს არა აქვს.

— ციხემ იცის, ვეუბნები მე. აქ მყოფ ადამიანს რომ სიცოცხლე არაფრად უყვარდეს, ნუ გაგიკვირდებათ.

— არ მესმის, არ მესმის, რაღაც სხვა ამბავია. ციხეში კიდევ, პირიქით, უფრო გაცხოველებულია სიცოცხლის მოწყურება.

ივლიანეს უკეთესობა არ ეტყობა, პირიქით, უფრო და უფრო უარესად არის ყოველ დღე. ეს რამოდენიმე დღე მაინც რაღაც ახირებული დასჩემდა. ბორგავს, ვერ ისვენებს, ღამე მისი კამერიდან ისმის ხრიალი, ყვირილი, ხმაურობა. ეტყობა, მომველელები ყურადღებას არ აქცევენ, წუხელი რამოდენიმეჯერ გავიგონე, რომ ივლიანე წყალს თხოულობდა, ყვიროდა წყალი მომეციოთ, მაგრამ, ალბად, არავინ მიაწოდა და ამიტომ ყვიროდა, როგორც ჰგავს.

დღეს ექიმს ვთხოვე.

— ნება დამრთეთ, რომ რამოდენიმე ღამე ავათმყოფთან გავათიო-მეთქი. უარი არ უთქვამს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოზე ივლიანემ თვალი გაახილა, შემიცნო, ეუცხოვა, ... რაღაცას თქმა უნდოდა, მაგრამ კვლავ თვალები მოხუჭა. ღამე ავათმყოფმა ზეოთევას უმატა. დააწყებინა ბოდვა.

— მოვკვდები, უნდა მოვკვდე, ასე სჯობია!!! მრთელი ხელი საბნიდან გამოიძრო და ჰაერში რაღაც ფოთარი დაიწყო.

— „რა არის სიკვდილი? მე შენ გკითხავ, რა არის სიკვდილი?—იცი, არ იცი!! მე უკვე ვიცი, იმიტომ რომ მკვდარი ვარ!!!

ვახ? ვახ, რომ არავინ იცის ცოცხალი ვარ, თუ მკვდარი. მე კი რამოდენი ხანია რომ მკვდარი ვარ. გინახავთ თქვენ მკვდარი ცოცხლებში მოსიარულე? გინახავთ მეთქი მოსიარულე მკვდარი? არ გინახავთ, რასაკვირველია, არ გინახავთ! გინახავთ, მაგრამ ვერ გიცვნიათ.

„— მე რომ მოვკვდი, მასუკან რამდენმა ხანმა გაიარა, მაგრამ ჯერ ეს არავის გაუგია. მეც არ ვიცოდი, მაგრამ გამაგებია, მოვიდა კაცი და გამაგებია. ოჰ, მე იმ კაცის ჯავრი როგორ მიმყვება?! რა ვაგლახად დამძვრა ხელიდან. აქ იყო, ხელში მყავდა, მაგრამ ვერ გავბედე, ვერ მოვახერხე და სწორედ მაშინ გავიგე მე, რომ მართლაც მკვდარი ვიყავ. მინდოდა თან გამეყოლებია, მაგრამ მკვდარი ცოცხალს, აბა როგორ მოვერევოდი??

ივლიანემ თვალი გაახილა, დამინახა, შემომაჩერდა.

— შენ აქ რა გინდა? რას დამდევ მე?

— ხომ არაფერი გინდა შენ თვითონ, წყალი ხომ არ გინდა?

— ვინ ხარ შენ? ჰა, გიცანი, გიცანი. რა დედამ გშობა აგეთი დაწყევლილი, რაო, დედა რუსი გყავს, მამა ქართველი, თუ პირიქით. ჯანდაბას, მაგას არ დავეძებ! შენ ჩემთან რა გინდა? პასუხისგებაში მიშცემ და მიმეცი! რატომ გესროლე? გესროლე და ის იყო, რაღას მკითხავ? მიმეცი პასუხისგებაში და ის იქნება.

„— დამხვრეტავენ?!—დამხვრიტონ, შენ რა გაჯავრებს?

„— რა გინდა, შე ურჯულო, იმ ადამიანთან? რატომ უნდა დაიჭირო, ის რა შუაშია? მართალია საცოლეა ის ჩემი. მიყვარს?! მიყვარს რომელია—მიყვარს და მაგრე.

„— მიჰქარავ, არაფერი საბუთიც არ მოგეძევება, ტყუილია მაგ ყოველივე.

„— ოჰ, წყალი, წყალი, წყალი! წამოიძახა კვნესითა და ოხვრით ავათმყოფმა.

წყალი დავალევინე.

კიდევ გამოახილა თვალი.

— ივლიანე, დაწყნარდი დაიძინე, მოგიხდება.

— რას ამბობ, დავისვენო, ოჰ კარგი, კარგი—სუსტი ხმით წაილულლულა მან და თითქოს კიდეც დაწყნარდა. რამოდენიმე წუთის შემდეგ, თითქოს, ვიღაცამ ხელისძალათი გამოაღვიძა, ერთბაშათ წამოიწია ზეზე, ვერ ადგა და ისევ უმწეოდ დაეშვა ძირს.

„— ყველაფერს დავთმობ, ყველაფერზე ხელს ავიღებ, ოღონდ ჩემს მათის ნურაფერს შეახვედრებ. მე ვარ, რაც ვარ...

„— აქ რაღამ მოგიყვანა, ამ ციხეში მაინც რატომ [illegible] რა გინდა ჩემგან?? ვალის ამოსაგებად მოხვედი?! მე არაფერი არ მმართებს შენი. რას მემუქრები? დაიჭერ იმასაც. ჰა, გადაგიწყდა—დაიჭირე, მოჰკლავ, გააქრობ?

— ჰქენი რაც გინდოდეს. რატომ არაფერს გეუბნები? რაღა უნდა გითხრა? რა მინდა?! სიკვდილი მინდა, სიკვდილის მეტი აღარაფერი არ მინდა.

„— ხალხო სიკვდილს სად ყიდიან აქ? სიკვდილი მოგყიდეთ, ეი, შენ, სალდათო, კარგად დამიმიზნე, ისე ნუ კი როგორც მე, კაცის მოკვლა მინდოდა და მხოლოდ თითი სახსარში წავაგდებინე. გულში, სწორა—აბა, ისროლე მარჯვეთ, არ დაგიცდეს...

ამის შემდეგ კიდევ იყო ხმა გაკმენდილი კარგა ხანს. თითქოს მთლად დაწყნარდა. თვალი გამოახილა და ეხლა მიცნო პირველად.

— ამხანაგო ალექსი, შენა ხარ?

— მე ვარ ივლიანე მე.

— კარგია შენ რომ აქ ხარ. მე ვკვდები—ესაა... ალექსი, იაგორა საფრთხეს გიმზადებს. იაგორა მოვა კიდევ ციხეში. იცოდე და ერიდე...

ტანში ჟრუანტელმა დამიარა. რაღაც საშინელებაა ჩემს თავზე და ვაი, რომ ჩემთვისაც ისევე საბედისწერო შეიქნეს, როგორც ივლიანესათვის.

— რომელი ქალი, ვინ ქალი? ვეკითხები ივლიანეს, მაგრამ ის დასუსტებული, თვალდახუჭული მძიმეთ სუნთქავს. ან კი რათ მინდა კითხვა? ვიცი, ვიზედაც ლაპარაკობს ივლიანე.

რა საშინლად იხლართება ეს კვანძი ჩემს გარშემო! აი აგერ ერთი უკვე იმსხვერპლა ამ კვანძმა. როგორ ჩავარდა ეს საწყალი ამ უბედურებაში მე არ ვიცი, მაგრამ აი აგერ ჩემი თვალით უყურებ მის უკანასკნელ გაფართხალებას.

ბედნიერია, თითქმის შემეხარბა მისი მდგომარეობა. უნდოდა და უნდა სიკვდილი და დიდი ხნის ლოდინი აღარ დასჭირდება. მოკვდება და მოისვენებს.

ის ღამე დიდის ვაი-ვაგლახით გამოვათენე. მეორე დღეს ივლიანემ სავსებით დაკარგა გრძნობა, საღამოზე მოშვებული ეგდო ლოგინზე. მე ვეღარ გავუძელ ამ საშინელი ამბავის ყურებას, ღამის სათევად მასთან აღარ დავრჩენილვარ. დილაზე მისი საკანის სარკმელისათვის შიგნიდან ზეწარი ჩამოეფარებინათ, გარედ კარებს ბოქლომი ედო.

მიაღწია ივლიანემ თავის საწადელს. მორჩა და გაათავა ყოველივე ანგარიშები ამა ქვეყნისანი! ვერც იაგორა და ვერც სხვა მას ვეღარაფერს დააკლებს.

* * *

საავათმყოფოს ეზოში ბლომათაა ხალხი. ეს ავათმყოფი ტუსაღებია.

აგერ დარბის ერთი, შუა ტანის და ხანშიშესული ტუსაღი ლევანა, საავათყოფო ხალათი აცვია, გძელი მოშვებული წვერი აქვს— მთლად გაჭალარავებული. სისხლის სამართლის საქმეზეა გასამართლებული. მისი ვინაობის გამოცნობა ძნელია. არ იცის კაცმა რუსია, ქართველია, თუ სხვა რომელიმე ეროვნების. მას კატორღა აქვს გადაწყვეტილი, მაგრამ მუდამ აქ საავათმყოფოში ჰგდია. ბორკილის თრევას რას გამორჩება, თავს იგიჟიანებს და ამით იოლად მიდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოკვდა?—მკითხა დამინახა თუ არა ლევანამ.

— გარდაიცვალა წუხელის.

— რა კარგი უქნია, რომ მომკვდარა, რა კარგი უქნია, შენ ვერ წარმოიდგენ!

— რატომ ლევანა, რატომ? უკეთესი არ იყო, ეცოცხლა ადამიანს, ციხიდან გავიდოდა, სასარგებლო რამე საქმეს გააკეთებდა.

შენ გგონია, გააკეთებდა?

— რატომაც არა!

— მე კი მგონია ვერ გააკეთებდა!!

— რატომ ვერ გააკეთებდა?

— მე ვიცი და მიტომ. შენ ამ ჩემს წვერებს ხომ უყურებ?

— ვუყურებ, კი!

— ეს წვერი რისი მაქნისია, ხომ იცი?

— არაფრის მაინცა და მაინც.

— მე სულელს მიძახიან და შენ ჭკვიანს, ხომ? მაგრამ რაც შენ თქვი, იმას სულელის მეტი არავინ იტყვის.

— ხომ არაფერი გეწყინა ლევანა, ჩემო. მე ისე გეხუმრე!

— ჰე, შე მამაცხონებულო, მეხუმრე კი არა, ვერ გაიგე, რას ვამბობ. მე წვერს რომ გაჩვენებ, რატომ, თუ იცი?

— არ ვიცი.

— არ იცი და მე გეტყვი! ამ წვერის პატრონს, გინდა სულელი იყოს, მაინც დაეჯერება. ის კაცი სასიცოცხლოთ აღარ ვარგოდა, სასიცოცხლო კლიტე გაფუჭებული ჰქონდა. მე კაცის შეტყობა ვიცი, განა! ადამიანი გინდა ღარიბი იყავი, გინდა მდიდარი, გინდა ახალგაზრდა, გინდა ბებერი, გინდა მთავარმართებელი და გინდა კატორღელი—სულ ერთია, ცხოვრება მანამდეა კარგი, სანამ სასიცოცხლო კლიტე არ გაგიფუჭდება, ის რომ გაფუჭდება, მერე მშვიდობითა და გამარჯვებით! ის სჯობია შენი ხელით რომ მოიკლა თავი.

— რამ იცის ამ კლიტის გაფუჭება?

— სხვადასხვა აქვს მიზეზი, სულ სხვადასხვა. ზოგს სიყვარული აფუჭებს, ზოგს ღვინო, ზოგს კარტის თამაში. რა ვიცი, რომელი ერთი ოხერი შეუჩდება ადამიანს.

— შენი კლიტე როგორ არის, ხომ არ გაგფუჭებია ჯერ?

— შენც არ მომიკვდე, როგორ გეკადრება.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ჩემო ლევანა!!

ღმერთი მე კარგი ხანია რომ არ მწამს. ჩემი ხელობა სწორედ საყდრების გატეხაა, ღმერთის ყადრი და მორიდება მე არაფრადა მაქვს, შენ სხვა რამე მითხარი თორემ.

— ეჰ, ლევანა ჩემო, ერთი ეს მითხარი, შენ რამდენი წელიწადი გაქვს გადაწყვეტილი?

— ბლომადა მაქვს, ოცი წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასე რომ გათავების ხანს, შენ გვარიანა მოხუცებული ბრძანდები.

— ოც წელიწადს რომ მე გავათავებ, მაგ საზღაპრო ამბავი იქნება, მაგრამ დღევანდელ დღეს დავალამებ, ხვალ გათენდება, თუ რომ ღამე სული არ ამომძვრა, თუ რომ დილას მოვესწარი, საღამოსაც მოვესწრები.

— ღამე სიკვდილის გეშინია.

— შიშით როგორ არ მეშინია, მაგრამ მე იმას ვამბობ, რომ, თუ ვინიცობაა, დღეს გათენებას მოვესწარი, საღამომდე აღარაფერი მიჭირს.

— გიყვარს ცხოვრება?

— მიყვარს, აბა არ მიყვარს, ცას შევხედავ, ჩიტებს დავინახავ, ჰაერი შემომკრავს, ხალხში გავერევი, როგორ არ მიყვარს? აბა სხვა რაღა მიყვარს?!!

ლევანა ფეხაჩქარებით გაეშურა ეზოს მეორე მხარეს, სადაც ჯგუფად იდგენ ავათმყოფი ტუსაღები. იქ ვიღაცას რაღაც ჩხუბი აუტეხა, მოწყდა იქედან და სამზარეულოსაკენ გაჰქანდა.

ასეა მთელი დღე: დადის, დაფარფატობს ეს ლევანა, ერთი საათი ვერ მოისვენებს, ერთს ადგილზე ვერ გაჩერდება, დარბის, დარბის, ხმაურობს, აი ასეთებზე იტყვიან: „ცა ქუდათ არ მიაჩნია, დედა-მიწა ქალამნათო!“ ასეთია ლევანა. სიცოცხლის კლიტე მაგარი აქვს ლევანას, მიუხედავათ იმისა, რომ ის სამუდამოთ უნდა დარჩეს ციხეში, აქ უნდა დალიოს სული. ამაში ის დარწმუნებულია, მაგრამ სულის კლიტე მაინც მაგრათ აქვს.

შეიძინა ლევანამ, თუ გამოჰყვა მას ასეთი სულიერი სიმტკიცე? მგონია გამოყოლილი უნდა ჰქონდეს. მე ამისი დარწმუნებით თქმა არ შემიძლია, წუხელის წინა ღამეს ივლიანეს შევნატროდი, დღეს ამ ლევანას შევნატრი, მართლაც-და, თუ მოშლილია ეს სიცოცხლის კლიტე, ბარემლა მოშლილი იყოს და რაც ამ მოშლილობას ეკუთვნის იმ გზას დაადექი, თუ მრთელი გაქვს ეს კლიტე, ისე როგორც ლევანას, მაშინ იყავი მხნეთა და მარჯვეთ. ოღონ ასე ორთა-შუა — არც აქეთ — არც იქეთ, როგორც მე ვარ — არ ვარგა.

VI

თარი-თური-მეო.
შენი ჭირიმეო.
შენ რომ ჩემი ძმობა გქონდეს,
ფულს მომცემდი მეო. ჩამოიარა, ჩამოიღიღინა სოფრომამ.

საავათმყოფო მთელი დღე გაღებულია, ვისაც, სად უნდა, იქ დაიარება. სოფრომაც აქ — საავათმყოფოშია-გამომწესებული, ვითარცა ავათმყოფი. რა სტკივა მას, ამის გაგება ძნელია. საუცხოვო ფერ-ხორცზეა, დილიდან საღამომდე დადის მთელ საავათმყოფოს ეზოსა და შენობაში, მუდამ რაღაც ახირებულს, თავის გამოგონებულ ლექსებს იმღერის. რა საქმის თაობაზეა დაჭერილი სოფრომა მე კარგად არ ვიცი. ამბობენ, ჩხუბში კაცი შემოკვდომიაო, შეიძლება, მართლაც ასეა. დილ-დილობით უსათუოდ მნახავს ხოლმე. თქვენობით არავის ელაპარაკება, გარჩევა და გამონაკლისი ამ საკითხში მისთვის არ არსებობს.

— ალექსი, რომ იცოდე რა საუცხოვო დარია გარედ. ადექი შე კაი-კაცო, ფას აკეთებ ამ ლოგინში, რომ კოტრიალობ ამდენ ხანს?

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ვერ ვარ კარგად, ჩემო სოფრომ.

— კარგად უნდა იყო, ავათ ჩემი მტერი და ორგული იყოს. ავათმყოფობას თავი არ უნდა დააჯაბნებიო, თორემ მთლად მოგერევა. სოფრომი ახალგაზრდაა, სულ ბევრი ოცი-ოცდაორი წლის იყოს.

— წუხელი ლექსი დავწერე, ერთი ყური დამიგდე, მეუბნება სოფრომა.

— კარგი, მოჰყევი, მაგრამ სიმღერა არ მინდა, ვაფრთხილებ მე.

— როდი მემარჯვება, მაგრამ კარგი, მოვყვები:

ერთი კაცის ჯინი მჭირდა
და მინდოდა მისი მოკვლა
გამექცა და დაიმალა,
არ მეღირსა მისი მოკვლა.

— სოფრომ მაგ როგორი ლექსია, შე კაცო?

— რატომაც არ არის?

— არ არის და მიტომ.

— ჩინებული ლექსია, შენ არ მოგწონს, თორემ ეხლა გარედ რომ ვიყო, უსათუოდ დავაბეჭდვიებდი.

— ვინ დაგიბეჭდავდა?

— ის მე ვიცი, მაგისი დარდი ნუ გაქვს. აქ ამასწინაზე ერთი გძელწვერა კაცი იჯდა, გვარი ქე მაქვს მისი სადღაც ჩაწერილი, დამავიწყდა, ის შემპირდა, რამდენიც არ უნდა დასწერო მაგისთანა ლექსები, ყველას დაგიბეჭდავო. ის კაცი ეხლა გარედაა, გაანთავისუფლეს. აბა ეხლა მეორეს გეტყვი კიდევ, ყური დამიგდე:

საყვარლის საფლავს ვეძებდი
ვერ ვნახე დაკარგულიყო,
გულ ამოსკვნილი ვტიროდი,
სადა ხარ ჩემო სულიკო!!

ეს ლექსი ხომ კარგია?

— კარგია, მაგრამ შენი რომ არ არის?

— შენც ერთი! შენ ხილი სჭამე, მებაღეს რას კითხულობ?

— კი არ ვკითხულობ, ვიცი, რომ მაგ ლექსი, შენი ლექსი არ არის.

— არ არის და ნუ არის, არც მაგის დარდი მომკლავს. კატორღა მომცეს, ის არ მიჯავრია, ამას ვიჯავრებ!?

ასე იცის სოფრომამ, უდარდელი კაცია. დაფიქრებული და დაღონებული ის არ მინახავს, ყოველთვის კარგს გუნებაზეა. საავათმყოფოში კერძი უკეთესია, მოპყრობაც უფრო ლმობიერია, სოფრომაც მიტომ შემოჰკედლებია ამ საავათმყოფოს. სოფრომას კატორღა აქვს გადაწყვეტილი, მაგრამ ის ამას სრულებითაც არ დარდობს, ან კი რა აქვს სადარდებელი. ბორკილი მას არა აქვს, თუმცა ის ბორკილში უნდა იყვეს. შემწუხებელი არავინა ჰყავს, არხეინად ატარებს დროს, მთელი დღე დადის, იმღერის ღლაბუცობს. საღამოზე დაწვება და სძინავს, რომელ გვერდზედაც დაწვება იმავე გვერდზე გამოიღვიძებს, ფეხსაც არ გაარყევს გათენებამდე.

მაგრამ სოფრომას ერთი გლახა თვისება აქვს, თუ საქმე რომ ნებახელა, უსათუოდ მოიპარავს. არ დაინდობს არავის. აქ ნას მაინც საშოვარი ბევრი აქვს, ვიდრე ციხის დანარჩენ ნაწილებში მისივე ხელობის ხალხს. შეიძლება ციხეში ქურდობა, მაგრამ ციხეს თავისი წესი და ადათი აქვს. შეიძლება მოპპარო არიოს, ახალ გამოუცდელ ვინმე ტუსაღს. ძველი ტუსაღი ერთი მეორეს ვერაფერს მოპპარავს. ეს დასაძრახისი საქმეა!

ასეთი წესია ციხეში, ასეთი კანონი აქვთ მიღებული სისხლის სამართლის ტუსაღებს, მათ აქ რუსული სახელი შერჩენიათ—უგოლოვნებს ვეძახით.

აქ საავათმყოფოში ეს კანონი დაცული არ არის. აქ ნაირ-ნაირი ხალხი მოჰყავთ, აქ არ აროიან „ძველი ტუსაღები". აქ ტუსაღები გავლით თუ შემოადგამენ ფეხს. სოფრომას საშოვარი ბლომათ აქვს. შეისწრებენ ქურდობაში, არც კი შერცხვება, ნაქურდალს, სულერთია— უკან მაინც არ დააბრუნებს. სოფრომა იმითაც არის შესანიშნავი ადამიანი, რომ მან არ იცის, რა არის სირცხვილი, ისე როგორც არ იცის, რა არის დარდი.

— ალექსი შენთან საქმე მაქვს, მეუბნება სოფრომა.

— რა საქმე?

— რა და ის, რომ ერთი დიდი ამბავი მაქვს დაწერილი, მინდა ერთი შენ რომ წაგიკითხო, მითხარი, გამოდგება, თუ არა დასაბეჭდავად.

— სოფრომ შენ მწერალი უნდა გაბოსულიყავი, შენ კი კაცი მოგიკლავს და აქ კი მეორე ხელობა გისწავლია.

— რომელი ხელობა,— კვირობს სოფრომა.

—რომელი და ქურდობა. არ იცი, თუ?

— ქურდობა, შე კაცო, რა ხელობაა, ქურდობას მწერლობა არ ჯობია?

— ქურდობა მწერლობაშიაც შეიძლება, ვეუბნები მე და მეც თვითონ არ ვიცი, რატომ მომადგა ენაზე ეს სიტყვა. არ მოეწონა ეს ჩემი სიტყვები, ერთ ხანს გაჩერებული იყო, ხმა არ ამოუღია, შემდეგ ისევ წამოიწყო.

— რა გითხრა იცი? ქურდობა ციხეში კარგი ხელობაა, მაგრამ გარეთ არ ვარგა, მე ახლა ქურდობის გულისათვის რომ ვიჯდე ციხეში, ჩემს გულს შემოვასკდები, მაგრამ რაღაი ციხეში ვარ, აქ ქურდობაც კარგი ხელობაა, რა უჭირს, თუ გარეთ შეიძლება აქ რატომ არ შეიძლება, აქ ქემაინც არავინ დაგიჭირავს ქურდობისათვის.

ახირებულია სოფრომას ფილოსოფია. მე არც კი მესმის, ეს ადამიანი სრული ჭკუის პატრონია, თუ ცოტაოდნათ შექანებულია.

— როდის დასწერე, რა დასწერე? ვეკითხები სოფრომას.

— რა დავწერე და ის დავწერე, რაც ენაზე მომადგა, წეიკითხე და გეიგებ, მე რატომ უნდა მოგიყვე. შენ ვერ იცნობ სოფრომა ბიჭს. მე ბავშობიდან სულ მწერლობისაკენ მაქვს გულისყური, მაგრამ არ შემიწყო გარემოებამ ხელი. მიყვარს ძალიან, როდესაც ჩემს დაწერილს დაბეჭდავენ. წარმოგიდგენია. კაცმა რაღაც დასწერე უბრალოთ ქაღალდზე, მაგალითად ლექსი გამოთქვი რამე, მერე ამ შენ ლექსს დაბეჭდავენ და ყველა წაიკითხავს და გაიგებს, რომ ასეთი და ასეთი სოფრომ კურდღელაშვილი აოის ამ ლექსის დამწერი.

— შენ მერე, რა ხეირი გექნება, შენ რა მოგეცხუნება ამ ლექსების წერით?

— არაფერი მაინცა და მაინც, მაგრამ სახელია ძმაო, სახელი! სახელისათვის ცხოვრობს ყოველი კაცი.

მე არ მწამს, რომ ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს, ასეთი ნაკუწ-ნაკუწად დაჭრილი ჭრელი ნაჭრებისაგან შესდგებოდეს. ეს სხვასა და გარეშეს ეჩვენება ადამიანი ამ გვარად. ადამიანის ბუნება, ასე თუ ისე მთლიანია, მაგრამ ამას გაგება და მიხვედრა უნდა. საჭიროა მიგნება და გამოხლართვა ამ წინააღმდეგობაში დაბურდულ ძაფის კვანძის.

მე ხანდახან მომიხერხებია ასეთი მისაგნები ძაფის წვერის მონახვა, მაგრამ ამ სოფრომას თავი და ბოლო ვერ გაუგე. რა მოხელე და რისი გამკეთებელი იყო სოფრომა გარედ მე არ ვიცი, თვითონ არ უყვარს ამის შესახებ ლაპარაკი, საგულდაგულოდ მე ეს არ გამომიკითხავს, ისე კი მისი გარეთა ცხოვრების მცოდნე ამ ციხეში არავინაა.

რას აკეთებს სოფრომა საავადმყოფოში, არაფერს, ჭამის, ძილის და ქურდობის მეტს. ერთს რომელიღაც საკანში მას აქვს საწოლი დადგმული, იქაა მისი ბუნაგი. ღამე იქ წევს, დღე იქით-აქეთ დაქეთერობს. უყვარს თავის მოვლა და იცის პირის გემო.

სოფრომა ხან გამოჩნდება, ხან მოეფარება. ხანდახან დღეში რამდენჯერმე შემომეფეთება ხოლმე წინ, ხან რამოდენიმე დღე ისე გაივლის, რომ მისი ასავალ-დასავალი არ სჩანს.

* * *

ჩვენს გვერდით ერთი ტუსაღი მოათავსეს.

ახალი მოყვანილია. დაპატიმრების დროს პოლიციასთან სროლა აუტეხია. დაუჭრია რამოდენიმე პოლიციელი, თვითონაც დაუჭრიათ, ფეხის ძვალი აქვს გაბზარეტილი ტყვიით და ტყვიაც სადღაც გაჩერებულა. მოტეხილი ფეხი საშინლად სტკივა, მაგრამ ტკივილს იმდენად არ იმჩნევს.

ახალგაზრდაა, სუსტი აგებულობის, მაგრამ, ეტყობა, სულის სიმტკიცე არაჩვეულებრივი უნდა ჰქონდეს ამ ადამიანს. უეჭველია სამხედრო სასამართლოს ვერ ასცდება. ვინ იცის, იქნებ სიკვდილით დასჯაც მოელის, მაგრამ ის არა ჰგავს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილს. მხნეთა და მარჯვეთ უკავია თავი.

დასაკითხავად აქ მოვიდენ მასთან, მისი აქედან განძრევა შეუძლებელია.

მე მწოლიარე ავადმყოფად მოვაჩვინე თავი. არ ვიცი, რატომ მოვინდომე, რომ გამეგო მისი დაკითხვის ამბავი. სამხედრო გამომძიებელი იძიებს საქმეს. გამოჰკითხეს, როგორც წესი და რიგი მოითხოვს: სახელი, გვარი, მამის სახელი, დედ-მამის შვილების სახელები, წლოვანება და ათასი სხვადასხვა წვრილმანი. ამეებზე დაპატიმრებულმა ყველაფერი ბეჯითად და გარკვევით მისცა პასუხი.

— თქვენი ხელობა?

— ესე იგი თქვენ გნებავთ გაიგოთ, თუ რა საქმის კაცი გახლავართ, არა?

— დიაღ, მაგ, მეტი არაფერი!

— გეტყოდით, მაგრამ, მე რომ არავითარი გარკვეული საქმე არ მქონია!

— როგორ თუ არა გქონიათ? მაშ რითი ირჩენდით თავს?

— მაგ სხვა საკითხია, რამდენია ისეთი ადამიანი, რომ უსაქმურად არის, მაგრამ სიმშილით არ მომკვდარა.

— როგორც გენებოთ, ყაბულობს გამომძიებელი. მაშ, ასე ჩავწერთ, რომ თქვენ არავითარი გარკვეული საქმე და ხელობა არა გაქვთ.

— როგორც გენებოთ! სამხედრო გამომძიებელი ახალგაზრდა კაცი არ უნდა იყოს. თვალებზე შავი სათვალეები აქვს ჩამოფარებული, ხმა რაღაც ისეთი აქვს, თითქოს მალამოს აცხებს მტკივან სხეულზეო. ტუსაღს თქვენობით იხსენიებს, თავი ზრდილობიანად უკავია.

— რას იტყვით ამ საქმისას?

— რომელი საქმისას?

— აი, რომლის შესახებაც თქვენ ხართ დაპატიჟრებული?

— ვერაფერს ვერ გეტყვით.

— ესე იგი, როგორ გავიგო თქვენი პასუხი?

— როგორც გენებოთ!

— ესე იგი, რომ თქვენ არ გინდათ, რომ თქვენი ბრალდების შესახებ ჩვენება მომცეთ?

— არა, მე მაგ არ მითქვამს.

— მაშ, მე ვერ გამიგია, გამაგებინეთ.

— გასაგები არც ისე ძნელია, მე არ ვიცი, რაში და რა საქმეში მედება ბრალი...

— კეთილი, მე მაგას ეხლავე გეტყვით, თუმცა თქვენ თვითონაც კარგად იცით.

— მე მაინც მირჩევნია, რომ თქვენგან გავიგონო.

— გეტყვით. თქვენ გბრალდებათ ის, რომ ამა თვის პირველს წინასწარი განზრახვით მოჰკალით ყოფილი პოლუჩიკი თედორე გულოვი.

— განვიზრახე და კიდევაც შევასრულე.

— თქვენ მაშასადამე, აღიარებთ, არ უარყოფთ, რომ ყოფილი პოლუჩიკი თედორე გულოვი თქვენ მოჰკალით წინასწარი განზრახვით?

— მოკვლით კი მოვკალი, მაგრამ დანაშაულად მე ამას ჩემს თავს არ ვუთვლი.

— შეგიძლიათ, თქვენი მოსაზრებები ამის თაობაზე მითხრათ?

— ინებეთ. მე არ მომიკლავს ფედია გულოვი რაიმე პოლიტიკური მოსაზრებით. თუმცა, უნდა გითხრათ აშკარად, რომ აფიცერი, რომელიც სამხედრო სამსახურს ჯაშუშის ხელობაზე გაცვლის, მოსაკლავია და მეტი არაფერი, მაგრამ მე ფედიასთან პირადი ანგარიშები მქონდა გასასწორებელი და ის გავასწორე.

— რაში მდგომარეობდა ეს ანგარიშები, თუ შეიძლება ამის თქმა?

— სასამართლოში, თუ სასამართლომდე მივაღწიე ყველაფერს ვიტყვი, მაგრამ ეხლა გძელი ამბავი გამომივა, არ ღირს ამის მოყოლა. მოკლედ გეტყვით

შემდეგს, მე და ფედია სკოლის ამხანაგები ვიყავით, ერთად ვმეგობრობდით, ერთად დავანებეთ სწავლას თავი, ერთად შევედით სამხედრო სამსახურში. ძმაკაცები ვიყავით.

— რა დანაშაული მიუძღოდა მას თქვენს წინაშე?

— ბატონო პოლკოვნიკო, მე თქვენ, როგორც თანამდებობის პირს, ვერ გეტყვით. გეტყოდით, როგორც ოფიცერს, როგორც სამხედრო მუნდირის პატრონს, როგორც კერძო პირს, მაგრამ გამომძიებელს ამ საიდუმლოებას ვერ გავანდობ, იმიტომ, რომ აქ ჩემს გარდა სხვებიც არიან გარეული.

— თქვენი ნებაა, მე არ მაქვს უფლება დაგაძალოთ იმისი თქმა, რისი თქმა თქვენ არ მიგაჩნიათ საჭიროდ.

— დიდათ გმადლობთ!

— არის ცნობები იმის შესახებ, რომ ამ მკვლელობაში თქვენს გარდა სხვებიც ღებულობდენ მონაწილეობას. შეგიძლიათ, თუ არა დაასახელოთ ამ მკვლელობის მონაწილეები? თქვენ კარგად იცით, რომ მე ვალდებული ვარ მოგცეთ ასეთი კითხვა.

— გიპასუხებთ, ნუ სწუხდები, ფედია მოვკალ მე და არავინ ამ საქმეში ჩემს მეტი არავინ, მე გარწმუნებთ, არავინ, ჩემს მეტი ამ საქმეში მონაწილეობას არ ღებულობდა. ეს ერთი, მეორეც ის, რომ მე ამხანაგების გაცემა და დასახელება წესად არ მაქვს მიღებული. მე სამხედრო სამსახურის კაცი ვიყავი და დავრჩი კიდევაც. გაცემა და ღალატი იქ ჩვენთვის არ უსწავლებიათ.

— ჰმ, მაგრამ, განა რევოლიუციონური საქმიანობისათვის ხელის მოკიდება? რალაც არ ჰგავს იმას, რომ თქვენ...

— ბატონო პოლკოვნიკო, ნუ ირჯებით. მე არ მჭირდება თქვენი გულახდილობა, არც თქვენი აზრის გამოკითხვა. თქვენ გწამთ ის, რასაც ემსახურებით, მეც მწამდა მაგ საქმე და სანამ მწამდა ვმსახურობდი ერთგულად და პატიოსნად, მაგრამ რწმენა გამომეცვალა. გთხოვთ გამიგოთ, მე რწმენა გამომეცვალა და არა სინდისი. მე ვემსახურები იმ საქმეს, რომელიც ჩემს რწმენას შეეფარდება.

— კეთილი, ჩვენს საქმეს ამ საგნებზე ლაპარაკი არ ეხება.

— მეც ასე ვფიქრობ, ამიტომ დავუბრუნდეთ ისევ revenns à nos mvntons—ჩვენ ცხვრებს დავუბრუნდეთ, როგორც ფრანგები იტყვიან.

— თქვენი დაპატიმრების დროს დაჭრილია ორი ჯარის კაცი და ერთი პოლიციელი.

— ძალიან ვწუხარ, მაგრამ ჩემს მიზანს სრულებით არ შეადგენდა მათი ან დაჭრა, ან და, მით უმეტეს, სიკვდილი. ეს მოხდა თავ-დაცვის პირობებში, იმედია, თქვენ ამას მიიღებთ მხედველობაში.

დაკითხვა კიდევ გაგრძელდა რამოდენიმე ხანს. პატიმარი აშკარად აღიარებს თავის დანაშაულს, მაგრამ თავს დანაშაულად არ სცნობს. გამომძიებელი წავიდა. წასვლისას გამომძიებელი შეპირდა, რომ თუ ვინიცობაა, მოითხოვეს თქვენი ნახვის უფლება, უსათუოდ ნებას დავრთავო. რამოდენიმე დღის შემდეგ

მასთან, მართლაც, მოვიდენ მნახველები, რომლებიც პირდაპირ სოფანში შემოუშვეს, ვინაიდან ავათმყოფს ადგომა და გარეთ გამოსვლის ნებადართვა არ ჰქონდა.

*
* *

მე და ჩემი მეზობელი ამ რამოდენინე ხნის განმავლობაში საკმარისად დავმეგობრდით. მე უკვე დაახლოებით ვიცი მისი ვინაობა. სახელი მას ნიკიფორე ჰქვია, ესერების სამხედრო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ყოფილა, მოუკლავს ოხრანკის ერთი ფრიად დიდი გამოქნილი და გამოცვეთილი მოხელე. ამ მკვლელობაზე ის უარს არ ამბობს. არ ამბობს უარს არც იმაზე, რომ ის რევოლიუციონერია თავისი რწმენით, მაგრამ უარყოფს თავის მონაწილეობას ესერების ორგანიზაციაში. მოელის სამხედრო სასამართლოს. უეჭველია, სასტიკი იქნება სასამართლოს განაჩენი.

ამის თაობაზე ნიკიფორე ასე ლაპარაკობს:

— მე ყოფილი სამხედრო პირი ვარ და იმედი მაქვს იმდენ პატივს მაინც დამდებენ, რომ ბაწრით არ დამაღრჩობენ, დახვრეტით შემიცვლიან. ტყვიით სიკვდილი კი სულ სხვაა, ჯანი გავარდნია—ტყვიამ მომკლას, ოღონ ბაწარს ნუ მომაბამენო...

ამას ისე ლაპარაკობს, თითქოს განყენებული მეცნიერული რაიმე საგანი იყოს მისთვის.

ექიმი ყოველ დღე დაიარება ნიკიფორესთან. ხანდახან წერილებიც კი მოაქვს მასთან ჩუმად.

— რომელი გირჩევნიათ, ფეხის მოჭრა, თუ ისე მორჩენა და დაკოჭლება.

— მე არც ერთი არ მინდა—ეუბნება ნიკიფორე.

— კი, მაგრამ ეს „არც ერთი", ჩემო კარგო, შეუძლებელია. ან უნდა მოვჭრათ, ან და ისე მოვარჩინოთ, მაგრამ დაკოჭლება აუცილებელია, ამბობს ექიმი.

— სიკოჭლეს არა უშავს რა. სამხედრო სამსახურში ხელმეორედ შესვლა მე აღარ მომიწევს, ხუმრობაში აპირობს ჩაატაროს ნიკიფორემ ექიმის სიტყვები.

სოფრომა ეხლა დღე ერთია და ერთი ათჯერ რომ მაინც არ შემოვიდეს ჩვენს საკანში არ იქნება. საშოვარი იგრძნო, სულ წასულია, უნდა რაიმე მოჰპაროს ნიკიფორეს.

— სოფრომა, ჩვენი მეზობლის შვილია, მაგ ბიჭს მე კარგა ვიცნობ, მეუბნება ნიკიფორე, ბავშობისას რამდენჯერ გვითამაშნია ერთად, სამწყემსურში რამდენჯერ ერთად ვყოფილვართ. ეხლა ველარ მცნობს. ერთი უნდა შევაცნო თავი. ბავშობისას ურიგო ბიჭი არ იყო, შემდეგ რა შეხვედრია არ ვიცი.

სოფრომა ამ დილაზე ადრიანად დაგვეცა თავზე. ის თითქოს ჩემთან მოვიდა და კვლავ გამიბა გძელი მუსაიფი თავის ლექსებისა და მოთხრობის შესახებ. ვატყობ, რომ მას ცალი თვალი იქითკენ აქვს, სადაც ნიკიფორეს ნივთები ეგულება, მით უმეტეს, რაც რომ მნახველებმა ნიკიფორეს სულ ნაირ-ნაირი სასმელ-საჭმელები მოუტანეს. ამასობაში ნიკიფორესაც გამოელვიძა.

— ბიჭო, „ყუნტალა“ არა ხარ შენ, მიუბრუნდა ის სოფრომას.— სოფრომასთვის სილა რომ ვისმეს გაეწნა, ასე არ დაიბნეოდა. მიტრიალდა, დააკვირდა. ვერ იცნო.

— აღარ გახსოვს მე და შენ ბიჭო, რამდენი გვითამაშია ქვასალია, მალულობია, სოფრომა თვალებ გაშტერებული შესჩერებია.

— აღარ გახსოვს „კოდარას“, ვის უძახოდით თქვენ?

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს, მახსოვს, ან კი აქნამდი, რატომ ვერ გიცანი მე უბედურმა. აქ რამ მოგიყვანათ, აქ რა თქვენი სამყოფი ალაგია?

— არის ჩემო ყუნტალა არის. პატიოსანი ხალხი ეხლა ციხეშია... შენ რაზე მოგიყვანეს?

— ჩემი საქმე რა საკითხავია, კაცს რომ გზა დაებნევა ისაა, მორცხვათ ჩაილაპარაკა სოფრომამ. გამიკვირდა, სოფრომამ მორცხვობა და დარცხვენა არ იცოდა, ეხლა რაღაც არაჩვეულებრივი ამბავია მის თავზე. ნიკიფორეს ფეხი ჩქარა ურჩება. მგონი კოჭლობაც არ დაეტყოს. მაგრამ ის მაინც ლოგინს არ შორდება.

არა მგონია, რომ ჩვენი ექიმი რომელიმე რევოლიუციონური პარტიის წევრი იყოს, მაგრამ—შეიძლება პირადი ნაცნობობით, შეიძლება სხვა რაიმე გარემოების გავლენით, ბევრ რამეში ხელს უწყობს ნიკიფორეს. ნიკიფორეს კი რაღაც აქვს გადაწყვეტილი. ჩემთვის არაფრად საჭიროა სხვისი საიდუმლოების გაგება.

ერთი კია, სოფრომა სრულებით გამოიცვალა. ხშირად დაიარება ხოლმე ჩვენთან კამერაში და ისიც იმ დროს, როდესაც მე გარედ ვეგულები სასეირნოთ გამოსული.

ნიკიფორე არ არის გულჩახვეული კაცი. საღამოობით მე და იმას ხშირად კამათი გვაქვს ხოლმე ერთმანეთში. მას არ მოსწონს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა, მეტადრე სძულს მას მენშევიკები. არც თავისი და, მეტადრე, არც სხვისი პროგრამის მეცნიერული დასაბუთება მას არ აქვს გარკვეული. ის ჩინებული მცოდნეა თავისი საქმის. ემარჯვება და ეხალისება სამხედრო ფარული ორგანიზაციების მოწყობა. მენშევიკებიც მას მიტომ უფრო სძულს, რომ ისინი არავითარ სახიფათო და საშიშარ საქმეს აღარ ეკარებიან.

ნიკიფორეს ფეხი თითქმის სრულებით გაუმთელდა.

გამოძიებაც დასრულდა და მოკლე ხანში, ალბად, საბრალმდებლო ოქმს ჩააბარებენ.

აქნამდე ნიკიფორე დაწყნარებული იყო, ბოლო დროს რაღაც ნერვიულობა და აღელვება ეტყობა. ნიკიფორე ძლიერი ნებისყოფის პატრონი ადამიანია, მაგრამ მაინც ადამიანია, ცოცხალი არსება, ჯან-ღონით სავსე, უყვარს სიცოცხლე, არ უნდა სიკვდილი, მტრის ხელში ხელისძალათი...

— ამხანაგო ალექსი, თუ შეიძლებოდეს, დღეს ექიმის მოსვლის დროს რამენაირად ისე უმარჯვეთ, რომ მარტო დავრჩე კამერაში. საჭიროა ერთი საქმისათვის.

— დიდი სიამოვნებით. უკაცრაობა და ბოდიშები რა საჭიროა! აქნამდისაც გეთქვათ, იქნებ მე ვერ მივხვდი და ხელი შეგიშალეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, არა, იმდენიც არაფერი. მერე გეტყვით ყველაფერს.

— სრულებითაც არ არის საჭირო თქმა და მოყოლა. ჩემთვის ისიც საკმარისია, რაც სთქვით. აღარც კი დამიცდია ექიმის შემოვლისათვის.

გარეთ კარგი ამინდია, ეზოსაკენ გამოვეშურე.

ექიმი შენობიდან ეზოსაკენ გამოსასვლელ კარებში შემეფეთა. გზა დაუცალე და, თითქოს სრულებითაც არ მიმიქცევია იმისათვის ყურადღება, ტუსაღებში გავერეე. სოფრომას მოვკარი თვალი; ნიკიფორესთან გამოცნაურების შემდეგ სოფრომა თითქოს სრულებით გამოიცვალა, მგონი ქურდობასაც კი დაანება თავი. არ ვიცი ვერ ამიხსნია, რითი იმოქმედა ნიკიფორეს მოსვლამ სოფრომაზე ასე ძლიერად.

— სოფრომ, რა ჭკვნი მოთხრობას წაგაკითხებო, რომ შემპირდი? ვეკითხები მას.

— დამანებე, შენ გენაცვალე თავი, რა მემოთხრობება?

— რა დაგემართა, რა მოხდა ამის ფასი?

— რა უნდა მომხდარიყო? მოთხობა ქე ნაქვს, მაგრამ...

— მაგრამ, რა? თქვი ბარემლა?

— რა და ის, რომ ის მოთხრობა სწორედ ისეთია, როგორც შენ მითხარი...

— აღარ მახსოვს რა გითხარი.

— როგორ არ გახსოვს, აკი მეუბნებოდი...

— არ მახსოვს, სრულებით ვერ მომიგონებია, რა გითხარი

— რა და ის, რომ შეიძლება ის მოთხრობა შენ მოპარული გაქვსო?

— ეს მე ისე გითხარი, ხუმრობით, მოთხრობის მოპარვა გაგონილა!

— გაგონილა, თუ არა, შენ ასე მითხარი.

— გეწყინა, თუ?

— კი არ მეწყინა, მენიშნა.

— გამაგებინე ხეირიანად. შენ ეს ერთი ხანია, მოლად მოგექცა მხარი, კაცი ველარ გიცნობს, ვუსაყვედურე მე.

— მხარი კი არ მომექცა, ახლა მგონია, რომ სწორ გზას დავადექი...

— მაგის მსაჯულად მე ნუ დამაყენებ, შენ ის მითხარი, სხვისია, თუ შენი, რაღაც მოთხრობაა—მაჩვენებ? თუ ვერ მაჩვენებ?

— როგორ არა, მაგრამ პატარა დამაცალე, ეხლა მაგისათვის არ მცალია.

— აბა, როდესაც მოიცალო, მაშინ მაინც ნუ დაგავიწყდება.

— ბატონი ბრძანდებოდე.

დავცილდი სოფრომას. ლევანა აგერ დაფარფატობს ჩვეულებრივად, სამზარეულოდან მოექანება. იცის ხოლმე ლევანამ სამზარეულოში შესვლა. ჭამა უყვარს, იქ შეუძლებელია, რომ რაიმეს არ წაადგეს თავზე, მაგრამ ლევანა უეცრად შემოტრიალდა, გზაზე შემომეფეთა.

— რა მშვენიერი ამინდია! წამოდი ერთი აი იმ კონცხზე ავიდეთ, იქედან გადავხედოთ ქალაქს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— სადა მაქვს მაგ კლდეზე პოტინის თავი, ვეუბნები ლევანს, მეოთხეულაც არაფრად მეხალისება ამ ალმართზე ასვლა, საავათმყოფოს ეზოში აქლემის კურტანივით რომ არის ამოზურგულებული.

— ვაი, შენი ხნის ვიყო და ამ სიმაღლეზე კი არა, ყოველ დღე იალბუზის მთაზე ავალ ფეხით და ჩამოვალ.

— კაცია და გუნება, ლევანა ჩემო.

— შენ ბიჭო სიცოცხლის კლიტე არ გაგიფუჭდეს, თორემ ვერც ერთი მჭედელი იმას ვეღარ გამოგიკეთებავს.

გული მომდის ამ ამჩატებულ მოხუცზე. ნეტავი, რას დამჩხავის თავზე, რა უნდა ჩემგან? ლევანას ჩემთან ალარ მოუცდია, ტუსაღების ერთ მოზრდილა ჯგუფს შეერია, რაღაც ალიაქოთი ასტეხა და იმათაც მოშორდა, კვლავ სადღაც გაექანა. არა, მართლაც რომ საიმედოთაა გამოკეთილი მისი სიცოცხლის კლიტე. ალბად, ამიტომაა, რომ ხანდახან პირდაპირ ძძულს მე ეს მოხუცი. ეს შეხარბების სიძულვილია. სალამოზე ნიკიფორე თითქოს შედარებით უფრო დაწყნარებული დამხვდა.

— ალექსი, ხომ არ გეწყინა, ჩემი სიტყვები? მეუბნება ის, როცა სალამოს ჩამოთვლა, „პროვერკას“ რომ ეტყვიან ციხეში, როცა ჩამოთავდა, და ყველა თავ-თავის ალაგას დაბინავდა.

— ის, რაც მითხარი ის არ მწყენია, მაგრამ ეს ამდენი ბოდიშის მოხდა, მართალი გითხრა, მწყენს. რისი მაქნისია, ეს ამდენი ლაპარაკი ამ უმნიშვნელო რამის შესახებ?

— არა, არა, მე ვალდებული ვარ გითხრა. გეტყვი კიდევაც

— ნურაფერს ნუ მეტყვით იმის მეტს, რაც საჭირო იყოს.

— აი სწორედ იმიტომ, რომ საჭიროა. დიალ საჭიროა. მე დღეს ცნობა მომივიდა გარედან. ჩემ საქმეს ამ ერთ კვირაში—კვირა ნახევარში, თურმე დანიშნავენ გასარჩევად. მე ოფიციალურად, როგორც ჰგავს, ამას ერთი ან ორი დღის წინად გამოაცხადებენ. ვიცი, რისთვისაც შვრებიან ასე ის სულ წაწყმედილი... მე რომ ჩავაძალლე, დიდათ მიღებული და მოწონებული კაცი ჰყავდათ ოხრანკასა და ჟანდარმებს. გუბერნატორი, თურმე, მთლად ცოფებს ჰყრის. სასამართლოს განაჩენი იქნება... ვიცი, რაც იქნება.

— რატომ, ვექილს დაიქირავებთ, მომზადებული წახვალთ, შეიძლება, თუ არ გაგამართლეს, ცოტაოდენი რამ სასჯელი მოგცენ.

— ჯერ ერთი, რომ ვექილი ჩემს საქმეს ვერაფერს უშველის. საქმე აშკარადაა გაკეთებული. მეც უარს არ ვამბობ. მეორეც ის, რომ, ვექილს კიდევაც შეეძლოს რაიმეს დახმარება, ვექილი ჩემ მიერ არჩეული გუბერნატორს შეუძლია სრულებით არ დაუშვას სასამართლოში, გუბერნატორს აქვს ამის უფლება. მესამეც ის, რომ, შენი „ცოტაოდენი რამ“ იქნება სულ უკანასკნელი საუკუნო, ან და კიდევ უკეთესი რომ წარმოვიდგინოთ ოცი წლის კატორღა. მე კატორღაში მჯდომი არ ვარ. მე წლობით ციხეში ჯდომა არ შემიძლია. ნელ-ნელა სიკვდილს ერთბაშად სიკვდილი სჯობია. მუდამ წვალებას, ერთბაშად ერთი მოკლე ხნის ტკივილი მირჩევნია. აი სწორედ იმას ვამბობ, ასეა, თუ ისე, მე სულ აქ ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირის, კვირა-ნახევრის მეტის ამ ალაგას ბომცდელი არა ვარ. როგორ შეტრიალდება ჩემი ბედის ჩარხი არ ვიცი.

— მარტო ბედზე მინდობა არ ივარგებს, რასაკვირველია, ბედს მაგრად უნდა ჩასჭიდო ორთავე ხელი!

— ოლონდაც, და აკი კიდეც ვეჭიდები! ვლებულობ! ვლებულობ ზომებს, რაც გამეწყობა. კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს შენთან. ხვალ შენთან მოვა ერთი ქალიშვილი, როგორც შენი ნათესავი, ვთქვათ ბიძაშვილი და მოგიტანს წაღებს. ჩემთვის ასეთი რამის გადმოცემა არ შეიძლება, ხომ იცი რატომ?

— კეთილი და პატიოსანი, მესმის. ახსნა საჭირო არ არის.

— კიდევ მექნება ერთი სათხოვარი, მაგრამ ის სახვალიო საქმე არ არის, როცა დრო მოვა, მაშინ გეტყვი.

— მესმის.

— ეხლა დაიძინებდა ადამიანი, მაგრამ მაქვს შენთვის ერთი რამ სათქმელი. ჩემი დაკითხვის დროს შენც აქ დაესწარი. მე მაშინ გამომძიებელს უთხარი, რომ ფედია გულოვი მე პირადი ინტერესებით მოვკალითქო. ეს თითქმის მართალია. ესე იგი, მართალია, რომ მე პირადათ მასთან მქონდა სხვადასხვა ანგარიშები გასასწორებელი, თუმცა, რასაკვირველია, მე ის მოვკალი ჩვენი ორგანიზაციის დავალებითა და დასტურით. აქ პირადი და საზოგადო, პარტიული დადგენილება და ჩემი პირადი განწყობილება ერთიმეორეს შეხვდა. აი, თუ ყურს დამიგდებ მინდა ეს ამბავი გაგაგებინო. ვინ იცის, იქნებ ხვალინდელმა წაღებმა ვერც კი მიშველოს და ეს ამბავი არ მინდა საიქიოს წავიყოლო, მით უმეტეს, რომ ის დაწვრილებით არავინ არ იცის, თვითონ ჩემს მეტმა. თუ კი, ჩემმა ნავმა, არ მიღალატა და ნაპირამდე გამიყვანა, სრულებით არაფერი დაშავდება იმით, თუ ეს ამბავი შენც გეცოდინება.

— ხომ არ აჯობებს, რომ ამბავი ხვალისათვის გადავდვათ?

— როგორც გენებოს. მაგრამ არა ხვალისათვის— დღისით, არამედ ხვალ ღამისათვის.

— თუნდაც მაგრე იყოს. დაყაბულდა.

მეორე დღეს მე პირველად, რაც რომ ციხეში ვზივარ პირველად, დამიძახეს მნახველთან გასასვლელად. საავათმყოფოში მყოფ ტუსაღებს მნახველები ზედ-ეზოში, ეზოსთან გასასვლელ ჭიშკართან ნახულობენ. ჭიშკარი ცალფა რკინითაა დახლართული. მნახველები ერთი მხრიდან მოადგებიან ხოლმე ჭიშკარს, ტუსაღები მეორედან.

ასეთი ნახვის დროს ადვილად შეიძლება წერილის გადაცემაცა და მიღებაც. შეიძლება საიდუმლოდ თქმა და ნათქვამის გაგონება. ზედამხედველი გვერდზე სდგას და არც ისე ძნელია ყოველივე ამის მოხერხება.

დღეს ნახვის დღე არ არის. ალბათ მარტო მე ვიქნები. ახირებული საქმეა. ვიღაც უცხო და უცნობი ადამიანი უნდა ვნახო და ისე მოვიქცე, თითქოს ის დიდი ჩემი ნაცნობი იყოს. ჭიშკართან ვიღაც ახალგაზრდა ხმელი სახისა და მაღალი ტანის ქალიშვილი დამხვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის უფრო მოხერხებული და გამოცდილი ყოფილა ასეთ საქმეებში, ისე შემომეგება, თითქოს დიდი ხნის უნახავი ნათესავი ვყოლებოდე. ხმა-მაღალ ლაპარაკში უფრო დაბალი ხმით გამოურია რამოდენიმე სიტყვა.

— ზედამხედველმა ქართული იცის, თუ არა?

— არა, ვანიშნე მე თავის გაქნევით. მართლაც, ჩვენ ვილაც ახლად დაყენებული რუსი-ზედამხედველი შეგეხვდა.

— მე მარუსია მქვია, ეს დაიმახსოვრეთ. მე დიდი ხანია მინდოდა თქვენი ნახვა. მოგიტანეთ წაღები. მოვალ შემდეგშიაც და ერთი ადამიანის წერილსაც მოგიტანთ.

— ვისას? გულმა თითქოს იგრძნო, რომ ამ ქალიშვილს რაღაც ჩემთვის მეტის-მეტად საჭირო ამბები უნდა მოეტანა.

— რომ მოვალ მაშინ გეტყვით. მე ბარძიმის ქალიშვილი ვარ. მე ვიცი, რომ თქვენ კარგად იცნობთ, როგორ გითხრათ... ერთ ქალს.

— ეთ...?

— არ არის საჭირო სახელი.

— მითხარით, სად არის ე... სად არის, ხომ კარგადაა?

— ყველაფერს გაიგებთ, იქონიეთ ცოტაოდენი მოთმინება.

— აგერ ნახევარი წელიწადია, რაც აქა ვარ და ერთი სიტყვა არავის უთქვამს ჩემთვის იმის შესახებ.

— მითხარით ერთი რამ მაინც, ცოცხალია, ხომ???

პასუხი არც კი უთქვამს, მხოლოდ თავი დამიქნია. ამ დროს ზედამხედველმა გამოგვიცხადა, რომ ნახვის დრო გათავდაო. დავშორდი, მოტანილი ამანათი გამოვართვი. ზედამხედველმა გუნებიერად გაჩხრიკა, ხელი გამოუსვა შიგნი და გარედან თითქმის თვითეული ლურსმანი დაათვალიერა, შემდეგ გადმომცა, მაგრამ, შევატყვე, თვალი ზედ შერჩა. თვითონ მას ძველი, საკერველებით დალასტული ჩექმები ეცვა.

— ეჰ, შე უბედურო, რას შეჩერებიხარ ამ წაღებს, ამ წაღებმა კაცი ტყვიასა და საღრჩობელას უნდა გადაარჩინოს. მერე როგორი კაცი? მოსისხლე მტერი იმ მთავრობის, რომელსაც შენ ემსახურები...

მაგრამ ან კი რას დავეძებ ან ამ წაღებს, ან იმას, ვინაც ეს უნდა ჩაიცვას. ეთერის კვალს მივაგენი, რამოდენიმე დღის შემდეგ მის ამბავს გავიგებ... რა ადვილი საოქმელია ეს „რამოდენიმე". რამოდენიმეა ორიც, ხუთიც, ათიც. არა, ნახვის დღე არის ოთხშაბათი და პარასკევი, დღეს კი ორშაბათია, მაშასადამე ხვალ სამშაბათი და ზეგ ოთხშაბათი. ოთხშაბათს ვნახავ, ოთხშაბათს გავიგებ. მანამდე კი, წავიღო ეს ბედნიერი ხელით მოტანილი წაღები ჩავაბარო მის პატრონს.

გაგრძელება იქნება.

რაულენ გვეტაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯიაპოპონა*)

XIX

ნაშუალამევი იყო. ნაწვიმარი ცა დაცხრილულ ნაბადს ჰგავდა, რომლის ჭურჭუტანებიდან მთვარის ნათელი წვრილ ბურბუშელებივით ცვიოდა ქვეყვით. ხან, მთვარის კვარცხლბეკს გადაუვლიდა აქარავანებული შავი ღრუბლები და უკუნი დგებოდა.

წელამდე ლაფიან ორლობეების გასწვრივ, პატარა ეზოებიან ჯუჯა ქოხებში სიჩუმე იდგა. ზოგიერთ ქოხის მტკაველა სარკმელიდან, დაწეული ლამფა ციცნათელასავით აწუქებდა და მისი კიაფი მაროს თვალებს უბრჭყვიალებდა, მაგრამ თან მუხლებში სიმაგრეს მატებდა.

გული ანკესზე წამოგებული თევზივით უფართქალებდა, თუმცა შიშს არ გრძნობდა, რადგან ის გულს აღარას ეკითხებოდა, გონებაც დახშული ჰქონდა და მხოლოდ უხილავი ძალა აიძულებდა წინ სვლას.

ფერდებ გამომწყლეულ ძაღლებს, რომელნიც ორჩაფეხა ქოხების აივანების ქვეშ ჩვრებზე იწვენ, ადგომა ეზარებოდათ და ბუნაგიდან უღიმღაოთ უყეფდენ დაგვიანებულ მგზავრს.

ამ ქოხებში ცხოვრობდენ მხერხავები, ქვრივი მრეცხავი ქალები, მეკურტნე რაჭველები, მეჯღანეები და უმთავრესად ისეთები, რომელთაც ყოველდღიურად უხდებოდათ ლუკმის ძებნა. მათი ბავშები ძაღლებზე უფრო გრძნობდენ სიმშილისაგან გულის წვას, მაგრამ ცელქობით დაღლილებს მაინც ტკბილად ეძინათ.

მარო ხანდახან ქვიდან-ქვაზე ხტოდა, რის დროსაც ნაწნავები შოლტებივით ხვდებოდენ ნამიან ბეჭებზე. ორლობის ახალ მოსახვევთან მას უეცრათ მოესმა ძუძუმწოვარას ტირილი და უნებლიეთ შესდგა. წაფერდებულ და დაჩხარულ ალაგ მესრის, ალაგ ფიცრულ ღობის პირათ, გოჯიელას მსგავს ქოხში, ცარიელ ძუძუს ძოლნით გაბეზრებული ბავში უცნაურად სხიოდა, რის გამო აკვანზე გადაკიდებული ნახევრათ შძინარე დედა ბავშთან ერთად ტუქსავდა თავის თავსაც.

ბავშის ტირილმა მაროს ძუძუები აუქავა და დედობის მონატრულს პირველად შეეხარბა სხვისი ბედი, მაგრამ თანვე მოაგონდა გაცუდებული სიყვარული და საშინელი მოდუნება იგრძნო.

ეგონა ჯურღმულში ინთქებოდა და ღობეში ბოძათ დატანებულ ჭკვიტას მიეყრდნო. ეზოში დარჩენილ იმავ ხის ტოტიდან ფრთათა ფართქუნით მამალმა გძლათ

*) დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიყივლა, მას კანტი-კუნტად სხვა მამლებიც აყვენ და მალე [illegible] შესძრეს განთიადის მახარობლებმა. მაგრამ მაროსათვის ეხლა ერთი იყო გათენდებოდა თუ ეს ღამე საუკუნეთ იქცეოდა. უფრო ნატრობდა მზე სულ აღარ ეხილა, რადგან მისთვის ყველაფერს დაკარგული ჰქონდა მიმზიდველობა. არ ყოფნა ერჩია უხალისოთ არსებობას, ძალ-უმადურ ცხოვრებას. რაღას უნდა გაეხარებია აწი! რა შესძლებდა მისი გულის კვლავ იმ ყვავილათ ქცევას, რომელიც ჯერ კიდევ კოკობი მოუსრეს, მერე ვინ, ვინ შეეხო ასე მზაკვრულად!

— ახ, თადეოზ, თადეოზ!

გულის სიღრმიდან ამოხეთქა თანშეზრდილის სახელმა და საკუთარმა ხმამ შეაკრთო, გამოაფხიზლა.

ბავშის ტირილი უკვე აღარ ისმოდა. აღარც მამლები ყიოდენ. ცა ოდნავ მოწმენდილიყო და აქა-იქ მოსჩანდენ მბჟუტავი ვარსკვლავები. რიდე ახდილ მთვარეს ბაკმი ისევ გაუხვეწავი ჰქონდა და მის მლვრია შუქზე ორღობეებში დამდგარი მომცრო გუბეები მიცვალებულის ღიათ დარჩენილ თვალებს ჰგვანდენ.

მაროს შესცივდა.

როცა ძალა მოიკრიბა და წასვლა დააპირა, ეიღაცას ყვირილმა სივრცე გააპო და მუხლები კვლავ მოუსავდა. მაროს ვერ გაარკვია თუ რომელ მხრიდან მოდიოდა ხმა. უცნობი ხანგამოშვებით იქადნებოდა და თან უწმაწურ სიტყვებს საფანტივით აყრიდა ქოხებს. მისმა ღრიალმა ძაღლები აყარა და ააწრიალა. მაგრამ მალე ხმაური მისწყდა და აცახცახებულმა მაროს შეამჩნია ქვევიდან ფანდალით მომავალი მგზავრი, რომელიც, მისგან კარგა მოშორებით, ტალახში კოჭებამდე ჩაეფლო. დიდხანს ბორძიკის შემდეგ მწდალზე გამოსულმა მთვარეს შეხედა და აღიღინდა:

„ახ მთვარეე, მთვარეე
დამწვართ იმედო!..

უცნობს კურტანი ეკიდა და აკვალთულ ფეშტემალში ეყარა კიტრა ვაშლი, გოგორა აგურისფერი პური და სამწვადე ღვიძლი. ჩეჩმასთან გარღვეულ ღობიდან, ის იმ ქოხის ეზოში შეეიდა, საიდანაც წელან გაგონილმა ბავშის ტირილმა მარო დააყოვნა.

მეკურტნემ ქოხს უკანა კარებიდან მოუარა და მაროს სული მოითქვა, მაგრამ ნაბიჯის წადგმაც ვერ მოასწრო, რომ მეხიეით მოხვდა:

— ვინ ხარ!

ქალი გაქვავდა.

მეხის მსროლელი კი მოსახვევიდან სწრაფად გამოვიდა. მან მაშინვე შეიცნო მარო და სიხარულმა შეიპყრო. ის თითქმის სირბილით მივიდა ქალთან და გაოცებით ჰკითხა:

— მარო, რა გინდა აქ, ვის ელოდები?

— არავის!

ამოიკნავლა მაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხი არ ეამა მოსიას. მას თანდათან ბრაზი ერეოდა, ეგონა, ალბათ ეიგრძნო, რომ ქალი სიმართლეს არ გაუმხელდა, არაფერს ეტყოდა იმის შესახებ, თუ სად იყო აქამდე, ან რათ იდგა ამ შუალამისას უცხო ალაგას. მას უნდოდა თმებით დაეთრია ამდენი შფოთის ამტეხი და შემრცხვენი, მაგრამ გაახსენდა, რომ მის წინ უკვე ოქროპირის ცოლი იდგა და ნაძალადევ დაყვავებით მიმართა:

— წამოდი... შენმა ძებნამ მომკლა კაკი. მთელი ქუთაისი გადავაბრუნეთ... სად იყავი?

მარო უხმოთ, წელმოწყვეტილი გაჰყვა ბიძას.

ბევრი ეცადა მოსია გაეგო რამე, მაგრამ ქალს ერთი სიტყვა ვერ დააცდინა.

— ჯანდაბას მაგის თავი. რაღაი ცოცხალი ვნახე აღარ ეჩივი. მისმა პატრონმა იძიოს სად იყო. მე ჩემი ცოლის მწყემსვა მიჭირს.

გაიფიქრა მოსიამ და ქალი დააწინაურა.

ისინი მალე გაცდენ შმორიან ორლობეებს.

მთვარე ხან წინ უძღოდათ, ხან თანამგზავრივით გვერდი-გვერდ მიყვებოდათ.

მარო თანდათან სუსტდებოდა. სახსრები სტკიოდა. თავი დამძიმებული ჰქონდა. კაზაკოვის ქუჩის ყელში ის ერთბაშად დაბარბაცდა და რომ არ წაქცეულიყო ფარნის სვეტს ხელი წაატანა.

მოსიას შეეცოდა და მოშვებული ქალი თითქმის ატატებული წაიყვანა. გაოგნებულმა ვერცკი შეამჩნია, თუ როგორ ძიაყენა ბიძამ ნათელ ქვით ნაგებ ორ სართულიან სახლის სადარბაზო კარებს. მხოლოდ მაშინ გაახილა თვალები, როცა მოსიამ მაეთულზე მობმულ ჯოხს ხელი წაავლო და სადღაც, შიგნით ზარი აწკრიალდა.

მან აგრეთვე გარკვევით გაიონა კიბეზე სირბილით ჩამომავლის ფეხის ხმა და კარის გაღებისთანავე ბიძის მაგიერ კესომ ჩაავლო ხელი.

— სად იყავი ადამიანო ა, შიშით გადავირიეთ! უი, უი, რავარი სოველი ხარ, ხო გაცივდებოდი შე საწყალო! შრაფი რა უყავი?.. მითხარი ბეჩა რამე, ასე რამ შეგიკრა კრიჭა!

სხაპანით ეკითხებოდა კესო და თან კიბეზე ასვლას შველოდა.

— ვერ ხედავ რა დღეშია! დაანებე თავი.

წყრომით უთხრა ცოლს უკან ჩამორჩენილმა მოსიამ.

მეორე სართულის შუშაბანდში ოქროპირის დედა, ჯანშენახული მელანია შეეგება მოსულებს სანათით. ის უხმოთ შეუძღვა მათ ოთახში და დაწინაურებულმა ლამფა მაღლა ასწია, თან მარცხენა ხელით თვალები დაიჩრდილა, რომ კარგათ დაენახა შემომაეალი რძალი.

— ღმერთმა კეთილი ჰქნას ჩემს ოჯახში შენი ფეხის შემოდგმა!

რაღაც უგემურათ და წესათ წაილაპარაკა მან და მაგიდაზე ლამფის დადგმისას მოსიას ჩუმათ ჰკითხა:

— სად იყო, როგორ ნახე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედაჩემის ნათლულთან. აი საფირჩხიაზე რომ რკინისგზელი ბოჭორიშვილი სცხოვრობს, იმასთან, აპა! ადრე მომგონებოდა კაი იყო, ამდენი სირბილი არ დამჭირდებოდა.

ითაღლითა მოსიამ და ჩოხაზე მოცმულ პალტოს ფოლაქები შეიხსნა, თან დაუმატა:

— კამეჩებს გაუჭირდებათ გავლა, ისეთი ტალახებია იმ დასაქცევში. რაღმე დავიხვრჩვით პატიოსნებას გეფიცები!.. მართლა, ოქროპირი ხომ შინ ბრძანდება?

— თავის კაბინეტშია ჩაკეტილი. ახლოს არ მიკარებს. რას მერჩის არ ვიცი... მე ასე არ მინდოდა მისი დაცოლშვილება მარა, ვინლა მიჯერის რამეს. რა ვუყო!

კესომ მათ საუბარში მაროს პალტო მოხადა, თმა გაუსწორა და გაჩაღებულ ბუხართან სავარძელში ჩასვა. მელანიამ რძალს ალმაცერად გაჰხედა და წაიდუდუნა:

— რავა მკვდრის ფერი აძევს, რა დეემართა ნეტაი!

— რაც ჩვენ ვიარეთ, კიდო ასე როა მიკვირს. არაფერია, ხვალ მერცხალივით იქნება!

გაამხნევა მელანია მოსიამ და ცოლს მიუბრუნდა:

— კესარია, რაღას დატრიალდებ თავზე, მოასვენე ბარემ. მეც აღარ შემიძლია, საცაა წავიქცევი!

კესომ მელანიას დასტურს აღარ დაუცადა, მარო წამოაყენა და მასთან ერთად საწოლ ოთახისაკენ გაეშურა. მელანიას უნდოდა ეთქვა რამე რძლისათვის, მაგრამ ვერ მოახერხა. მხოლოდ თვალი გააყოლა ტუჩების კვნეტით და შემდეგ მოსიას უსაყვედურა:

— რაფერ მოხდა გაოცებას ვარ, შენ მაინც რავა დაგემართა ეს საქმე, გამოცდილი კაცი ხარ!

— მართალი გითხრა მეც მიკვირს. მე და კესარია წამოსვლას არ ვაპირებდით. პირველად მარო შევსვით ვაგონში, ოქროპირმა ცოტა შეიგვიანა და მატარებელმა გამოასწრო. მაიც იმ ოხერში ერთ წუთსაც არ ჩერდება. ეჰ, რაც იყო, იყო, ცოტა კი გავწვალდით, მარა სამაგიეროთ აწი ვიმხიარულოთ.

— შავ ორშაბათს ჯვარისწერა ვის მოსწრია. რას გავს ეს? თუ ასე სულწასასვლელი საქმე იყო, მოწამეთს რა უნდოდა, ქუთაისში ეკლესიები ცოტაა! არა, იმ არქიმანდრიტს მაინც რა ეშმაკმა მოუქცია მხარი, ა!?

— ქალბატონო მელანო სოციალისტებს ჯვარისწერა აკრძალული აქვთ, აკრძალული. აქ რომ მოგვეხდინა საქმე მთელი ქუთაისი გაიგებდა.

— ჯვარისწერა რა დასამალია, გეეგოთ მერე.

— სწორია მარა, ახლა სხვანაირი დროა. ბაირაღებზე რომ ქრისტეს მაგიერ ვილაც მარქსს ხატავენ, ვერ ხედავ! ან რას დავეძებთ, რაც უნდათ ის ქნან, ოღონდ ჩვენ ამაზე მეტს ნუ შეგვაწუხებენ და...

მოხუცის შესაქცევათ მოსია ნახევრად მხიარული კილოთი ლაპარაკობდა თან გულში კესოზე ჯავრობდა დაგვიანებისათვის. უნდოდა ისე წასულიყო, ოქროპირს არ შეხვედროდა.

— ქე რავა ლაპარაკობ. ერთი საწყალი კიმოთე მყავდა ... ბალი, შენ გაყურებიებდა სეირს.

ამ დროს კესო გამოვიდა ფერმკრთალი და შეშფოთებული. მოსიას არ ეჯაშნიკა მისი გამოცვლილი იერი, რის გამო დანახვისთანავე განგებ ააჩქარა:

— აბა, წავიდეთ ქალო, მამიდაშენსაც ეჭირვება მოსვენება.

— კი, ჰო, ნუ დამახრჩვე.

— წასვლას აპირებთ თუ!

— წავალთ მამიდა, წელიწადში ერთხელ მაინც მოვეჩვენებით მდგურებს, თვარა სულ ხელს აგვაღებინებენ საკუთარ სახლზე. ხვალ ქე მოვალთ ისევ.

წაილაპარაკა კესომ და საჩქაროთ დაიწყო მორთვა.

— რავაც გერჩიოთ... ფარანს მაინც გაგატანთ.

მელანია სამზარეულოში გავიდა.

— კაცო ვისთან იყო, რატო არ ანბობ, სხვისი ნათრევი ქალი ეკადრება მამიდაჩემს რძლათ?

— ხმა ჩაიკმინდე, შენი საქმე არაა!

შეუტია ცოლს მოსიამ და თვალები დაკაკლა. შემდეგ ისევ თვინიერი სახე მიიღო და დაბრუნებულ მელანიამ ფარანი თავაზით ჩამოართვა.

მელანია მათ თან გაყვა, სადარბაზო კარები ჩაკეტა და კიბის საფეხურები ძლივ ამოათავა. ოთახში ოქროპირი დახვდა, რომელიც კედლიდან-კედლამდე თავაუღებლად მიმოდიოდა. ბეჭებში ისე იყო წახრილი თითქო ნაწიხლარი მკერდი მართლა ჩანგრეული ჰქონოდა, მიტკალივით თეთრი სახე უცნაურათ დაგრძელებოდა. შეჭმუხვნილ შუბლზე თმა უწესრიგოთ ეყარა და საგნების ნათლათ დანახვის შიშით თვალები სანახევროთ მოეხუჭა. დალეული და ქონდრის კაცათ ქცეული, სრულებით აღარ ჰგავდა იმ ოქროპირს, რომელიც გუშინ და გუშინწინ ეკლესიების ზარების გუგუნთან ერთად ხალხს მოუწოდებდა საქართველოს ისტორიულ მტრის—ოსმალეთის წინააღმდეგ. იგივე ოქროპირი ცეცხლს აფრქვევდა, როცა ყველასაგან მოითხოვდა სომხეთთან ომში წასვლას. აგრეთვე ნამდვილ სარდალივით სცემდა ბრძანებებს რაჭა-ლეჩხუმში გლეხთა აჯანყების ჩასაქრობათ. მაგრამ ეხლა, ეხლა რა მოუვიდა?

შვილის გამომეტყველებამ მელანია შეაკრთო.

— დაწყნარდი, ისეთი არაფერი მომხდარა, ქალი უვნებლათაა... მოსეს დედის ნათლულთან ყოფილა თურმე.

ამ სიტყვებით მელანიამ ბუხარში ჯირკს ნაკვერცხლები გააცვინა და შეშა შეუმატა.

— ქალი მოსვენებულია, შენც დაწექი შვილო, უკვე ინათა. საჯავრო რა გაქ. ლამაზათ არ მოგვივიდოდა მარა, არც რამე დაშავებულა...

ოქროპირი ცალი ყურით უსმენდა დედას, მაგრამ ნათქვამის გაგების უნარი აღარ ჰქონდა. მის თავში კორიანტელი იდგა და საფეთქლები ეპობოდა.

შვილზე არა ნაკლებ შეწუხებული მელანია დიდხანს იჯდა ბუხრის წინუხმოთ. ის დაჟინებით უცქეროდა ნაკვერცხლებს და ნანობდა, რომ მისმა საქვეყნოდ ქებულმა შვილმა ულირსი ქალი შეირთო. მერე როგორ, ნამალავათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მოსატაცებელი ის იყო! განსაკუთრებით მელანიას მოსვენებას ... ეძლევდა მაროს დაკარგვის ამბავი და ვერ გაეგო თუ რას მოასწავებდა ოქროპირის ერთ დღეს ასე შეცვლა. ამ ფიქრებით შებოჭილი უეცრათ კარის ჭრიალმა გამოაფხიზლა და ძლივ მოასწრო სანთიობოში ფეხაკრეფით შემოვალ ოქროპირის დანახვა.

— იკურთხა ღმერთო შენი სახელი, რაფერ გააგიჟა ამ დაფსებულ ცნობილაძის გოგომ!

წაიდუდუნა მელანიამ და უხალისოთ წამოდგა.

—

ჭიაკოკონობა დღეს, დაღამებისას, მოსია და კესო ხრესილში მატარებლიდან გადმოვიდენ. კესომ სადგურში, მოფარებით, ქუსლებიან ფეხსაცმელების მაგიერ ჩუსტები სწრაფად ჩაიცვა და ორთავე დაადგენ ძმუისისაკენ გზას. ისინი რატომლაც უხმოთ და ჩქარა მიდიოდენ, მაგრამ როგორც კი იმ გორაკზე შესდგენ ფეხი, სადაც გუშინ წინ მარო უბრათ გაშორდა გულჩავარდნილ, მწუხარებით დალეულ ანუსის, მათ თვალები მოჭკვეთა უჩვეულოთ გაღადღადებულმა სოფელმა და გაშეშდენ.

სოფლის შუაგულში, მაღლობზე გიზგიზებდა დიდი ცეცხლი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა და რომლის ელვარებასთან შედარებით აქა-იქ ეზოებში დანთებული ჭიაკოკონები ჭრაქებივით ბეჟუტავდენ.

მალე ხანძარი ვეებერთელა გავარვარებულ ზვინათ აიმართა და ვეშაპთა ენებათ ქცეულმა ცეცხლის ალმა ნისლიან ცის კაბადონს დაუწყო ლოკვა.

დღესავით განათებულ სოფელში უცნაური გუგუნი იდგა და დაფეთებული ხალხი ყვირილით დარბოდა.

— ჩვენი სახლი იწვის... ჩვენი...

ერთი იკივლა კესომ და თავდალმართზე დაეშვა. მას მაშინვე დაედევნა გონება აფორიაქებული მოსია, მაგრამ ამ დროს იჭექა თოფმა და უკან შიშით მობრუნებულ ცოლის ფეხებთან უსულოთ ჩაეცა.

XX

ოქროპირი გამოიცვალა. გულღია და შუბლგახსნილი წინათაც არ იყო, მაგრამ ბოლო ხანებში კიდევ უფრო უკარება შეიქნა. შინ და გარეთაც უბრალო რამე სწყინდა. ხშირათ უმიზეზოთ თოფის წამალივით იცოდა აფეთქება და სიცოცხლეს ანანებდა ყველას, ვინც ამ დროს მას თვალის გასწორებას გაუბედავდა.

ყოველთვის ამრეზილი და ნერვიული, თავჩაღუნული და საკუთარ ნაჭუჭში გამომწყვდეული მელანიასაც კი შიშს ჰგვრიდა, ხოლო მარო მასთან ახლო ყოფნისას იმ ჩიტათ გრძნობდა თავს, რომელსაც გველის ცქერისაგან გაფრენა აღარ შეეძლო.

ამიტომ მარო გაურბოდა ქმართან პირდაპირ შეყრას. სახლიდან მისი წასვლას მოუთმენლად ელოდა და მარტო დარჩენილს უსაზღვრო შვებით ევსებოდა დამწუხრებული გული. მაგრამ ეს იყო წუთით. მალე მას იპყრობდა უსასოო ფიქრები და აგონდებოდა ბავშობა, ძალდალეული საყვარელი ბებია, ცალფეხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა და ის კაცი, რომლის სახე მის წამწამებს განუშორებლივ ეკიდა, ეკიდა, ეკიდა, წარმოიდგენდა თავის მდგომარეობას, მუდამ მოღუშულ ოქროპირს და დედამთილის ნამალევათ მწარეთ აქვითინდებოდა.

ოქროპირიც თითქო ერიდებოდა ცოლს, არას ეუბნებოდა და თავის კაბინეტიდან ი'შვიათად გამოდიოდა. მაგრამ ხანდახან უხილავი ძალა ეზიდებოდა მას მაროსაკენ. ოქროპირს აწვალებდა იმ ქალის სავსებით დაუფლების სურვილი, რომელმაც უარყო მისი სიყვარული, არათ ჩააგდო მისი ცოლობა და პირველ ღამესვე შეუბღალა სარეცელი.

ასეთ ფიქრის დროს ოქროპირს ავიწყდებოდა „დედაკაცის საკითხები".

ის მხოლოდ სადღაც, გულის კუნჭულში გრძნობდა, რომ ქალი არაა მარტო ლოგინისათვის გაჩენილი, რომ ქალის გული წარმოადგენს იმ ზღაპრულ უკვდავების წყაროს, რომელსაც სიყვარული ჰქვია. ოქროპირმა მიაგნო ამ წყაროს, მაგრამ წყურვილი ვერ დაიოკა, რადგან ქალის გული სხვისი აღმოჩნდა.

მან საკუთარ თავზე გამოსცადა, თუ რა ძნელია უგულო ქალთან ცხოვრება მაშინაც კი, როცა სიყვარულისაგან თვითონ კვარიევით იწვი. სიყვარული არ ყოფილა მარტო უბრალო ამბავი. ოქროპირი ამაში დიდიხანია დარწმუნდა და ამიტომაა უჭირს ხვედრის ატანა.

მერე ვინ უწევს მეტოქეობას, ვინ ფლობს უკვე მისი ცოლის გულს?

ან კი როგორ აიტანოს ვიღაც ყაჩაღის მეტოქეობა, როგორ დაუთმოს მას უკვე საკუთარი ცოლი, ან თვით მაროს როგორ აპატიოს ღალატი?

ოქროპირს მოეჩვენებოდა, რომ მარო მისთვის სრულებით უცხო იყო, რომ მას ნება აღარ ჰქონდა კვლავ შეხებოდა მის ბავშურ მუხლებს, ფიქალივით ტანს და მთელი ქუთაისის ბატონ-პატრონი დამამცირებელ უმწეობას განიცდიდა. მაგრამ მალე შეუცნობი შური აღეძვროდა, შემდეგ თანდათან ცოფი მოერეოდა და ზეზე შეშლილივით წამოვარდებოდა. ის ამ დროს საცოდავი შესახედი იყო. მისი განმეტყველება ქონდრის კაცის ტრაღედიას გამოხატავდა. დიდხანს იტანჯებოდა ასე. ბოლოს ერთბაშათ შეიჭრებოდა მაროს ოთახში და ლოგინში ი'შისაგან განაბულ ქალს სუნთქვა შეკრული ჩაუწვებოდა. ქალი ხედავდა მარტო მის დაკუსულ თვალებს და ეგონა, რომ მკერდზე დიდი, ცივი გომბეშო ეტმასნებოდა რომელიც შეუბრალებლად სჯიჯგნიდა მის სხეულს, მაგრამ ოქროპირის შეხება ტკივილის მაგიერ მხოლოდ ხიზლს იწვევდა მასში.

ასე გრძელდებოდა კარგახანი.

შემდეგ, როცა თადეოზის კვალიც არსად გამოჩნდა, ოქროპირი დამშვიდდა, თუმცა ცოლთან ღამეს გათევა მისთვის კვლავ წამებას წარმოადგენდა, რადგან ქალის დამორჩილება ვერც ფიზიკურად შესძლო.

მარო კი ისევ ხიზანივით გრძნობდა თავს. მაგრამ ერთ დილას მელანიას რაღაც გამოცვლილი ეჩვენა რძალი, რომელიც ოთახიდან გამოსვლისთანავე წელში წახრილს ღიმილით მიუახლოვდა და ცოცხი გამოართვა. მარომ დედამთილის გასაკვირათ თვალისწამში დაგავა ყველა ოთახები, ნივთებს მდებარეობა შეუცვალა და უფრო ლაზათიანად დაალაგა. შემდეგ სამზარეულოში გავიდა და იმ დღეს სადილი მარტო მან დაამზადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელანია ხედავდა ჯარასავით მოტრიალე რძალს და ბუტ-ბუტებდა:

— მადლობა ღმერთს! მადლობა ღმერთს!

სუფრაც მარომ გაწყო, მაგრამ ოქროპირი ღამე, გვიანობამდე არ მოვიდა.

ოქროპირი ჩვეულებრივ პირდაპირ თავის კაბინეტში შევიდა და გაოცდა: ლამფა ანთებული დახვდა, რომლის შუქზე ყველაფერს საზეიმო ელფერი ჰქონდა: სურათები ცოცხლად გამოიყურებოდენ; ფანჯრებზე სუფთა ფარდები ეკიდა; საკარძლები სხვანაირად ეწყო; ძველ ადგილას მაგიდაც კი აღარ იდგა, რომელზედაც თვეობით უწესრიგოთ დაყრილი წიგნები ეხლი კოხტად ელაგა.

ის რამდენს მეტს აკვირდებოდა იქაურობას, იმდენ ახალ-ახალ ცვლილებებს ნახულობდა, რაც უცნაურ ცნობისმოყვარეობით მსჭვალავდა მის გონებას.

ოქროპირს გამოუთქმელ ნეტარებით ეღვენთებოდა ტანი და მზათ იყო ეყვირა, რომ ყველას გაეგო მისი ბედნიერება და თვითონაც დარწმუნებულიყო მომხდარ ცვლილების სიცხადეში.

— რავა ვახშმათ გვიქციე სადილი შე კაცო, რაა ერთხელ არ მოხვალ დროზე შინ...

დიდიხანია დედისაგან ასეთი ტკბილი ხმა არ გაუგონია ოქროპირს. არც ასეთი სახე გაშლილი უნახავს ჯერ. რა მოხდა?

საიდუმლოების ჩქარა გაგების სურვილით შეპყრობილმა ოქროპირმა კიდევ ერთხელ მოავლო კაბინეტს თვალი და დედას მსუბუქი ნიბიჯით გაჰყვა. მარო სუფრასთან იდგა. სიწითლე მორეული ხან ერთ საინს ჰკიდებდა ხელს, ხან მეორეს და ცდილობდა მოძრაობით დაეფარა შინაგანი მღელვარება. ოქროპირს თვალი მოსტაცა მისმა ნატიფობამ.

მარო ოქროპირს გვერდით დაუჯდა.

— ძალიან მოგშივდა?

დაარღვია სიჩუმე ოქროპირმა და ცოლის ნაცვლად, სუფრის პირდაპირ ჯაჭვით დაკიდებულ ლამფას შეხედა.

— არა!

პირდაპირ, თავაწევით უპასუხა მარომ და გაიღიმა.

ოქროპირს ცა გაეხსნა. ასე ამაყი და იმავე დროს ნაზი მარო მოწაფეობაშიაც არ უნახავს.

მელანიამ განგებ შვილს მუსაიფი დაუწყო, შემდეგ ლაპარაკში მაროც ჩაიყოლია და უკვე შუაღამე იქნებოდა, სუფრიდან რომ ადგნენ.

იმ ღამეს ოქროპირმა შესძლო შელახულ თავმოყვარეობის აღდგენა და ცოლთან ლოგინში დილამდე დარჩა.

მაროს ჯერ კიდევ ეძინა, როცა ოქროპირი ადგა. ქალი გულაღმა იწვა და შიშველ მკერდიდან ნებიერათ ფშვინავდა. პირამიდების მსგავს ძუძუებს თავები ალუბლის ტოლა და მისივე ფერის გახდომოდა. ღაწვები ჩათეთქვოდა, მაგრამ ოდნავ გაპობილი ბაგე კვლავ ბროწეულის ყვავილს უგავდა, საიდანაც მარგალიტის მომცრო სოლთა მოაჯირი ელვარებას ისროდა. სუნთქვის დროს

სწორ და თხელ, ცოტა წამწვეტილ ცხვირის ნესტოები პეპელას ფრთებივით უთრთოდა, თან გრძელ გიშრის ისროვან წამწამებს ისე ახამხამებდა, როგორც მზის ჭიატით თვალებ დახუჭული ბავში.

ცალი ფეხი მოეხარა და მუხლით აქლემის კუზივით აზიდულ საბნიდან მკვრივი თეძო მოუჩანდა. კუპროვანი თმის ტეერით დაფარულ ბალიშზე ერთი ხელი თავქვეშ ედვა და ოქროპირი ეხლა გარკვევით ხედავდა სათუთ ბალნიან ლლიავს, რომლის ამ რამდენიმე წლის წინათ ქურდულათ ხილვამ, მას დაავიწყა მასწავლებლის ზნე და უჩვეულო გრძნობებით აღუვსო გული.

— რომელ თავადის ქალს არ შეეხარბება ამ „შავ სისხლიანის" სიტურფე!

კმაყოფილებით გაიფიქრა ოქროპირმა და ქალის გადამტკიცულ შუბლზე საკოცნელად დაიხარა, მაგრამ ვერ გაბედა. მან ერთხელ კიდევ გადახედა მძინარეს და ფეხის ცერებზე შემდგარი გავიდა.

დიდიხანია ასე ტკბილად და განცხრომით არ უძინია მაროს. მერე რამ დააშუშა მისი წყლულები? რამ გაუქრო ნაღველი?! მან თვალის გახელისთანავე მუცელზე მოისვა ხელი და როცა კვლავ იგრძნო ჩასახულის მოძრაობა, სახეზე უსაზღვრო ნეტარება აღებეჭდა.

— პატარა თადეოზი!

სასოებით და ჩუმათ წარმოსთქვა მაროს, მაგრამ თადეოზის ხსენებამ ერთბაშათ შეუცვალა გუნება.

— სადაა ნეტავი? შეიძლება ცოცხალიც არაა?..

თავისივე თავს შიშით ჰკითხა და თვალები ცრემლებით აევსო.

— რათ მოვშორდი, რატომ მაიხც და მაინც ცუდათ ავხსენი მისი ნათქვამი, რატომ არ გადავიხვეწე მასთან ერთად შორს, შორს, სადაც თავისუფლად შეგვეძლებოდა ცხოვრება. ეხლა რალაი, მისმა შვალმა სხვას უნდა უძახოს მამა, მერე ვის...

მაროს ქვითინი წასკდა.

— იქნებ მართლა ოქროპირის შვილია?!

გაუელვა უეცრათ და ცრემლი შეაშრა.

— ხომ ერთ ღამეს მოხდა ყველაფერი... რომელია მამა? ვაიმე, ვაიმე...

მწარეთ ამოიკვნესა და თავი ბალიშში ჩარგო.

— სადაა მარო?

ფიცხლავ ჰკითხა დედას სადილობისას დაბრუნებულმა ოქროპირმა.

— თავის ოთახშია. მიზეზობს თურმე...

ოქროპირს სახე გაუნათდა.

— მაშ, შვილიც მეყოლება, მამა ვიქნები!

გახარებულს უნდოდა დედას გადახვევოდა, მაგრამ მისმა ცივმა გამომეტყველებამ შეაკავა. რა მოხდა? რატომ მას არ ახარებს შვილიშვილის ყოლა?

— მგონია სხვა ამბავია დედაჩემო, რალაცას მიმალავ!

— კიმოთეს სულს ვფიცავ, ფეხმძიმეთაა... მარა...

მელანიამ ენაზე იკბინა.

— მარი რა, სთქვი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რა უნდა ვთქვა ადამიანო.

— სთქვი მეთქი!

წამოიყვირა ოქროპირმა, თან დედას მკლავებში ჩააფრინდა, ღონივრათ შეანჯღრია და თვალებში ჩააშტერდა. შვილის საქციელით შეურაცყოფილმა და ისედაც გაბოროტებულმა დარეჯანმა მკაცრათ შესძახა:

— ხელი გამიშვი. შენი კახპა ცოლის ამბავს მე მეკითხები? დღესვე სადაც გინდა იქ წაიყვანე. არც ბოზის დედამოილი მინდა ვიყო და არც მისი ბუშის ბებია, გესმის!!

ოქროპირი იქვე მოწყვეტით დაეცა სკამზე. დიდხანს იყო დამეხილივით. შემდეგ, ბარბაცით შევიდა თავის კაბინეტში და კარები ჩაიკეტა.

მელანიამ დილას, შემთხვევით მოჰკრა ყური რძალის მიერ ნწუხარებით წამოსროლილ სიტყვებს და ელდა ეცა. ის მხოლოდ ეხლა მიხვდა, თუ რატომ გაუგარეულდა შვილი, ან რა იყო რძლის მუდამ უხალისოთ ყოფნის მიზეზი და ბრაზმა ლამის დაახრჩო. მალანია გააფთრებული შეუვარდა მაროს და ყველაფერი თავის პირით ათქმევინა.

მელანია როცა გონს მოვიდა, არჩია შვილისათვის არაფერი გაემხილა, მაგრამ აგერ, ერთბაშათ მიახალა.

— იმ ჩემმა ძმისწულმა და მისმა სულწაწყმენდილმა ქმარმა დანლუპეს, დამლუპეს, მარა ჩემი და ჩემი შვილის ცოდვამ უკვე უწიათ, ვენაცვალე ღმერთს!

გამწარებით წარმოსთქვა მან და გულზე ხელის ცემით სამზარეულოსკენ წაფოფხდა.

ამ დროს თავის ოთახიდან გამოიპარა ნარო, იქაურობას დააყურა და ელვის სისწრაფით აივანზე გაჩნდა. კიბეც ისე სწრაფად ჩაირბინა, რომ არავის შეუმჩნევია.

ვიდრე არ გაცდა მთავარ ქუჩას და მოსახვევში არ მიიმალა, სირბილი არ შეუწყვეტია. ხანდახან შესდგებოდა კიდეც და უკან მოიხედავდა, მაგრამ მდევარი არ სჩანდა.

ცხელი ქარი ქროდა და ჰაერში ბუღი ტრიალებდა. მაროს უძნელდებოდა სუნთქვა და თავსაბურში სახე დამალულს ალმური ედებოდა.

უკვე ბინდდებოდა, როცა ნანაბრებს გადაადგა. ნანაბრების გორის ძირას, განდაგან წყალწითელა ზანტად მიიკლაკნებოდა. ხიდიდან კიდევ ხტებოდენ მცურავი ბიჭები. გალმა იწლებოდა ვრცელი ტაფობი, რომელიც დაფარული იყო საღამოს სიოსაგან მონანავე თაფნაყარ სიმინდის ყანებით. ყანებს იქით მოსჩანდა თვალჭრელიძის ბაღები და დიდი, ლურჯათ შეღებილი, კრამიტიანი სახლი, ხოლო მის მარცხნივ კორტოხზე იდგა ვილაც პრინცის შვილის საფლავზე აგებული პატარა საყდარი, რომლის გუმბათი ხვატიან მზის უკანასკნელ შუქზე მკვეთრად ბრჭყვიალებდა. მთელ შარაზე ხიდამდე და მის აქეთ მოზოზინობდა ალერდით და ჩხეიძის წყაროს წყლით ფერდებ ამოვსებული ნახირი. ნახირში ერია ეკრალის ქვით დატვირთული ურმები, რომელთა ჭრიალი ნანაბრების თავშიაც კი ისმოდა.

დაღმართზე მაროს მუხლები წინ უსწრებდა, მაგრამ უჩვეულო სიმჩატეს გრძნობდა და ამიტომ სიარული არ უჭირდა. ჩაათავა თუ არა ნანაბრები, კი-

დეც დაბნელდა, შარა თანდათან იცლებოდა. ძროხების კისერზე [illegible] ზარების წკარუნისა და მოცურავეთა ყიჟინის ნაცვლად, ირგვლივ სრული [illegible] ბოდა.

მარო ეხლა წყნარათ მიდიოდა იმ გვირაბში, სადაც უკანასკნელად შეხვდა თადეოზს და სადაც დასტოვა ბავშობის ვული, ქალწულობა და სიხარული. გვირაბში შესვლისას მას მუხლები მოეკვეთა და ჩაიკეცა. დიდხანს იყო ის გარინდებული. მდინარის დუდუნი კიდევ უფრო ასევდიანებდა მის გულს და ერუანტელს ჰგვრიდა. უცებ პირსავსე მთვარის სხივები გვირაბში ქარვის წიწილებივით შეიცეცქინდენ და მაროს ვარს შემოეხვიენ. ქალი მაშინვე შეიშმუშნა და დაჟეჟილი ადგა. მას ყოველი ნაკვთი სტკიოდა, გული ელეოდა, ყურებში რაღაც საოცრათ უწიოდა და სხეული უცახცახებდა. ბოლოს, როგორც იქნა დასძლია სისუსტეს და გვირაბიდან ლასლასით გამოვიდა.

მთვარის შუქით ალაპლაპებულ მდინარის მკერდზე, მარცხენა ნაპირიდან გადმოტყორცნილ ხეთა ჩრდილები ადამიანებს ჰგვანდენ. ერთი მათგანი თითქო თადეოზი იყო მაროსაკენ ხელებგამოწვდილი.

— მოვდივარ, მოვდივარ!

გასძახა გულგამაგრებულმა მარომ თადეოზის აჩრდილს და გაღმა დაჟინებით მაცქერალი მშვიდათ შევიდა მდინარეში. ის როგორც მოლზე, ისე განაგრძობდა მდინარეში სვლას, მაგრამ რაც უფრო სცილდებოდა ნაპირს, ორი იმდენი მანძილით ლანდი უკან იხევდა. წყალი უკვე წელზე შემოწვდა, შემდეგ ტალღები მკერდთან იგრძნო და ლანდი ისევ შორს იყო, როცა ჩაიძირა.

ლანდების ნაპირიდან, უეცრათ მდინარეს რაღაცა ნამორევით დაეცა და თადეოზის აჩრდილიც ჩანთქა მოულოდნელათ აზავთებულმა ტალღებმა. ამ დროს ხიდზე გამვლელებმა ასტეხეს საშინელი ყვირილი:

— ვილაცა იხრჩობა... უშველეთ... უშველეთ...

რამდენიმე კაცმა ტანზე სწრაფად გაიძრო და ხიდიდანვე გადაეშვა მდინარეში. ნამორი ხან სარკესავით ამსხვრევდა მდინარის ზედაპირს, ხან გაუჩინარდებოდა. ნამორი უკანასკნელად გაორებული გამოჩნდა და მშველელნი გამამხნევებელი შეძახილით მის კვალს დაედევნენ. მალე ხიდს ქვევით, წისქვილთან, მდინარიდან თანდათანობით ამოიჭრა საჭნიანი კაცი, რომელსაც ხელებში გონდაკარგული მარო ეჭირა.

XXI

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ვანვლილი საკმაოდ დიდი დრო, არაფერ'ში დასტყობია ქუთაისს.

ქალაქის შუაგულში და მის სალხინო მიდამოებში იხსნებოდა მხოლოდ ძვირფასი რესტორანები, რომელთა მეპატრონეებს ახალი დანებებული ჰქონდათ თავი რუსეთში სპირტის ზიდვისათვის. ზოგი მათგანი კონდრაბანტისტობას მაინც არ იშლიდა და ფეხისმწმენდელი ბიჭები მუშტრების შესაყოლიებლად ბაიათივით მღეროდენ:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„გაუმარჯოს ამბაკოსა
„გააცოცებს თამბაქოსა
„გან ერევანს, ხან ბაქოსა...

ალებ-მიცემობა უკვე მტაცებლობათ იყო ქცეული და ვაჭრები მამასისხლათ ჰყიდიდენ ყველაფერს. მათ ბონები ტომრებით ეწყოთ და კლუბში ხშირათ თამამათ თამაშობდენ ბაქარს, ხოლო უფრო ძუნწები მოცლილ ღროს თავიანთივე დუქნების უკანა ოთახებში სიკინჭილას ბურღვის მაგვარ პატარა მილში გულის ფანცქალით აგდებდენ ფერად კენჭებს.

ეს ხალხი პირველად რევოლიუციამ მხოლოდ შეაშინა, მაგრამ როცა გვრგვინამ გადაიარა, კვლავ გაიმართენ წელში. ისინი მარტო საყვედურს გამოსთქვამდენ იმის გამო, რომ გზები დაიკეტა და საქონლის შოვნა გაძნელებული იყო.

თავადები ისევ ერკემლებივით დადიოდენ და ლაპარაკობდენ იმაზე, თუ ვინ როგორი მსმელი იყო, ან რომელს უფრო კარგი ქამარ-ხანჯალი ერტყა. მამულ-დედულის ადრე გამნიავებელნი და უიღბლონი კი, შენატროდენ გვარდიელებს, რომელთაც მათზე ნაკლებ არ უყვარდათ ჩაცმა-დახურვა და ყანწების ხელში დაჭერა.

ბევრი გადასახლდა თბილისში, მაგრამ ქუთაისში მაინც ბლომათ დარჩა პარტიულ და საზოგადო საქმეებით დატვირთულნი ინტელიგენტები, რომელნიც მეტწილად, საქართველოს „დე-იურე"-თ და „დე-ფაქტო"-თ ცხობის საკითხს რესტორნებში იხილავდენ.

განაპირა უბნებში კი თანდათან ფეხს იკიდებდა სიღატაკე და ერთი ინჯრა ჭადის ფქვილის სასესხებლად ძონძებიანი დედაკაცები კარიდან-კარზე მათხოვრებივით დაეხეტებოდენ.

დამშეულ ბავშვების საცოდაობით გამწარებული მამები ფეხით მიდიოდენ გურია-სამეგრელოში და თან მიჰქონდათ უკანასკნელი ნივთი ორ ბათმან სიმინდზე გადასაცვლელად. კიდევ უფრო გაძაღლებული ცხოვრება ჰქონდათ სოფლელ ღარიბებს.

ეკლესიებში წირვა-ლოცვა კვლავ თავის დროზე სწარმოებდა. მღვდლები ვერასგზით ვერ გადაეჩვიენ წირვის დროს რუსეთის მეფის ხსენებას, თუმცა ახალი მთავრობის ბრძანებით ეს აკრძალული იყო.

ბოლოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ოქროპირის მეთაურობით, როგორც იყო შესძლო ეკლესიებში ამ კონტრევოლიუციონურ წესის აღკვეთა და პირველად მოწამეთას არქიმანდიტრმა ესტატემ შეწოილო „საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის" წირვაში მოხსენების ცერემონია.

ასევე სხვა დირექტივების ცხოვრებაში მტკიცეთ გასატარებლად, ოქროპირი სრული 24 საათი იჯდა პარტიის კომიტეტში, ან გვარდიის შტაბში.

განსაკუთრებით ის ცდილობდა ბოლშევიზმი ისე მოესპო, რომ მისი ნატამალიც არ დარჩენილიყო ქუთაისის არე-მარეზე, მაგრამ ეს უფრო ძნელი შეიქნა, ვიდრე ღვდლების ქკუაზე მოყვანის საქმე.

მას ბოლშევიკები ჭირივით სძულდა. ამიტომ როცა სპეკულიანტებმა ჯიბეში მოიმწყვდიეს მთელი ქუთაისი და მათ წინააღმდეგ ერთმა დაუდევარმა პოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტმა ყუმბარასავით ისროლა—„Бей спекулянтов"! ის ოქროპირმა ბევრი, დღეს ალაგმა, როგორც ბოლშევიკი.

ოქროპირმა მალე მოახდინა ოჯახურ ტრაგედიის ლიკვიდაციაც. ის ათასში ერთხელ თუ მოიგონებდა მაროს და მაშინაც უგულოთ. უკვირდა კიდეც რომ გიმნაზიელივით მოიქცა და სიყვარულისათვის მოიცალა.

მიუხედავათ ამგვარი დასკვნისა, ხანდახან მაინც გრძნობდა სინანულს და მაროს დანაკლისს. ასეთ დროს ის უფრო ვერ ინელებდა იმ აზრს, რომ ქალმა უყოყმანოთ გასცვალა სხვაში. მერე ვინ შეუარცყო მისი თავმოყვარეობა?

ქუთაისში დიდხანს ლაპარაკობდენ ნაყაჩალარ ზაუტაშვილზე და მაროს შესახებ. მაგრამ ოქროპირს ყურებში ბამბა ჰქონდა დაცობილი და არაფერს იმჩნევდა. ნამდვილად კი ჯოჯოხეთურ გეგმებს იგონებდა შურის საძიებლად.

უკანასკნელ წლის მიწურულში ქუთაისი მთლიანად გაევრანდა. მდიდრები, ფხიანი თავადები და ღირსებიანი ხალხი სულ თბილისში გადაბარგდა. დარჩენ მარტო წელმოუმაგრებელი ვაჭრები, მეწერილმანეები, პატარა გაქანების ინტელიგენტები და ხელოსნები. ბრწყინვალე რესტორანები საპნის ბუშტებივით ქრებოდენ. დიდი სავაჭროები იკეტებოდა და თეატრში მხოლოდ სცენის მოყვარეები თამაშობდენ გრიგოლ ჩარკვიანის რეჟისორობით. მაგრამ მალე თეატრიც დაიხურა სცენის მოყვარეთა შორის ჩამოვარდნილ უკმაყოფილების გამო. უკმაყოფილება კი გამოიწვია იმან, რომ უკანასკნელ წარმოდგენიდან ძველი ვარაუდით 20 მანეთის მეტი არ შემოვიდა და რადგან გრ. ჩარიკვიანი იმ დროს მეტად ქესატად იყო, ეს თანხა მან ასე გაანაწილა:

— 3 მანეთი გრიგოლს, როგორც რეჟისორს.
— 3 მანეთი გრიგოლს, როგორც პიესის ავტორს.
— 3 მანეთი გრიგოლს, როგორც ინიციატორს და დასის ხელმძღვანელს.
— 3 მანეთი გრიგოლს, როგორც მთავარ როლის შემსრულებელს.
— და 3 მანეთი გრიგოლს... როგორც გრიგოლს.

უკანასკნელი სიტყვები გრიგოლმა ტრაღიკოსის ხმით წარმოსთქვა და თეასკენ გადმოთელილი წილი, რომელიც უამარ ბონებს წარმოადგენდა, ჭრელ ცხვირსახოცში გამოჰკრა.

ამ რიგად სცენისმოყვარეებს ფული მხოლოდ 5 მანეთის კვალობაზე დარჩათ გასაყოფად და დიდი ჩხუბის შემდეგ გაიფანტენ.

დილაობით და შუადღის შემდეგ ქუთაის აღვიძებდა მარტო მოწაფეთა ჟრიამული. ერთი გამოძინების შემდეგ ლაღიძის ელექტრო-სადგურიც სწყვეტდა მუშაობას, რის გამო ასენიზატორები ჩირაღდნებით ინათებდენ გზას.

ოქროპირზედაც იმოქმედა საერთო მოწყენამ. ის მხოლოდ, პირდაპირ ლომათ იქცა მაშინ, როცა ერთ დღეს თბილისიდან მიიღო ცნობა ბოლშევიკური საფრთხის შესახებ. მაგრამ ჩქარა ამ ცნობას თვით მთავრობა ჩამოყვა და ოქროპირის მიერ გაგზავნილ გვარდიელთა რაზმებიც კვლავ უკან დაბრუნდენ.

ქუთაისში ყოველთვის მარტი ჭინჭყლი და უნიხო იცის, მაგრამ იმ წელს იშვიათი მზიანი ამინდი იდგა და სოხანესავით მშრალი ვიწრო ქუჩები ერთბაშათ აივსო ჯარის ნაწილებით, გვარდიელებით და გამოქცეულებით.

მთავრობის კაცები, თბილისიდან თან ჩამოტანილ ავტომობილებიდან ყოველ მხრივ გამალებით დაჰქროდენ. ხანდახან ზღარბებივით გამოჩნდებოდენ ეკიპაჟნოსანი ავტომობილებიც და გლეხებს თვალები უფართოვდებოდათ.

დაძაბუნებული და გატიალებული ქუთაისი, ეხლა არაჩვეულებრივ იყო გამოცოხლებული.

ღამითაც კი არ სწყდებოდა ხმაური და სირბილი.

დამფრთხალი მკვიდრნი, თბილისიდან გადმოხვეწილებს მშობლიური მზრუნველობით იკედლებდენ და თან „ველურ“ ბოლშევიკებზე ლაპარაკში ერთად თეთრად ათენებდენ ღამეებს.

მათ გასამხნევებლად გამართულ მიტინგებზე მინისტრები და დამფუძნებელ კრების გამოჩენილი წევრები ცეცხლს აფრქვევდენ და იქადებოდენ. მაგრამ, როცა ახლო-მახლო თოვლიან მთებიდან ბოლშევიკები მგლებივით გადმოდგენ, მთავრობა ქუთაისიდანაც გაიქცა.

ყველაზე ბოლოს ოქროპირმა დასტოვა იქაურობა.

XXII

ადრე გაზაფხულდა.

წისქვილის წინ მაღალი და ორტანა ტყემალი დიდმარხვაში აყვავდა. მთელი ხე ბამბის სპეტაკ ქულას წარმოადგენდა. ალიონისას მდინარიდან აფრენილ ჯერ ისევ სუსხიან სიოს შეხებით,—მის კიბორჩხალა ტოტებს ნელი-ნელ სცვიოდა მსუბუქი, ფრჩხილისტოლა ყვავილთა ფურცლები, რომელთა მიერ ტყემლის ალაგი ისე იყო თეთრად გადაფიფქული, რომ ხე თითქო დიდ საინზე იდგა.

დაცვენილ ყვავილთა ყოველმხრივ კი მიწა ლურჯი ქათიბით იმოსებოდა. ახლად ამოხეთქილ ბალახებში უხვათ ერია რძია-რძია და იები.

ყანებში და თვალჭრელიძის ბალებში სამუშაოდ, გლეხები სახე გაცისკროვნებული მიეშურებოდენ. ზოგს კავი მხარზე კომბალივით გაედო და მარტო ულელში შებმულ ხარებს იფნის სახრით აჩქარებდენ. ზოგი ურემს ეტლივით მიაქროლებდა, ხოლო ბავშები ნახირს საძოვრისაკენ ყიჟინით ერეკებოდენ.

მდინარის სანაპირო ყანებში აქა-იქ უკვე ჩამდგარიყვენ გლეხები და ლონე მომატებულნი სახნის ზიგ მიწის გულში ატარებდენ. თან ხამთარში უკმელობით გალახულ ხარებს სიმღერის კილოზე შესძახოდენ:

— აპა, ჰა, ჰა!

— მოიშ, მოიშ!

ამ ძახილში ხარები გრძნობდენ მხვნელთა უჩვეულო სიხარულს და გამარდებულთ სვრელი სვრელზე აქონდათ. გიორგელა და მოლოქა ფხალით მოჩითული მიწა თანდათან ლბილ ბელტებით იფარებოდა.

წისქვილის ღია კარიდან კი ისმოდა წისქვილის თვლების ჩვეულებრივი ხმაური, რომელიც ცერალმა ღარებიდან დაქანებულ და მათ ღერძების ფრთებზე შხეფებათ ქცეულ წყლის შხეილს ენასკვებოდა.

იმავე კარიდან გამოდიოდა მემინდე ბოჩი გვეტაძის ომახიანი ხმა და საფქვავზე მოსულნიც ჰყვიროდენ, რომ შეუწყვეტელ ხმაურში ერთმანეთის ნათქვამი გაეგოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმაღლე საკნიანი და ბეჭებ ადლიანი ბოჩი ხანდახან ბესიკ-ბესიკობდა წისქვილის თვლების პირს-პირ დაკიდებულ ძაბრების მსგავს ყურებში, რომ ფეხის ცერებზე არ შესდგებოდა. ეხლა საფქვავის სიმცირის გამო მარტო ორი თვალი ბრუნავდა, მათზედაც თითო-ოროლა ბათმანი სიმინდი ეყარა და საფქვავის ჩამოთავებას ბოჩი მოუთმენლად ელოდა.

როფებში ქვის ბორბლებიდან ნაცვენ თბილ ფქვილს ბოჩი თითებით სრესდა და რომ ფქვილი ძლიერ წმინდა, ან ხოროში არ გამოსულიყო, სარეკელებს მალი-მალ ასწორებდა, იმავე დროს მოსულებს კვლავ ხმამაღლა ელაპარაკებოდა საბჭოთა ხელისუფლების დაწყარების და ბოლშევიკების შესახებ.

ბეჭინდე ბოჩი გვეტაძე ძველ ეკლესიებში დახატულ რაინდ წმინდანებს ჰგვანდა.—მოკლე და ერთი ზომის, მაყვალივით შავი წვერი თმიდანვე, ყურებთან ვიწრო ბილიკით და გაუსხვავებლად ეწყებოდა. ულვაშები წვერიდან არ ერჩეოდა და კორტოხოვანი, ჟანგისფერი ღაწვები სავსებით უბუსუსო, გახვეწილი ჰქონდა.

ასე თითქო განგებ დაყენებული, გრიმისებური წვერი მხოლოდ ლავიწებს უფარავდა, რის გამო მის ოდნავ მოგრძო სახეს ერთბაშად უცხო იერი ეძლეოდა. ცხვირი მტაცებელ ფრინველის ნისკარტს მიუგავდა, მაგრამ, სამაგიეროთ თვალებში ვარსკვლავები ეწყო, რომელთა ელვარება ირგვლივ სათნოებას და ბავშურ სიხარულს აპნევდა. ზედა წამწამები ბუჩქოვან, გაერთიანებულ და საფეთქლებს იქით ბოლოებ წახანჯლულ წარბებს ებჯინებოდა, ხოლო ქვეითური—ღაწვებამდე ეფინა.

მისი გაშლილი შუბლი, რომლის ზევით, შუა ალაგას თმაში ერთი მუჭა თეთრი ერია, იშვიათად უნახავს ვინმეს შეჭმუხვნილი. ხალისიანს და მცინარეს ალურ მოსქო ტუჩებიდან ხშირად უჩანდა თეთრი სიმინდის მარცვალთა ოდენა კბილები.

ბოჩი სიცილის გუნებაზე ყოველთვის არ იყო. მაგრამ ბედისადმი მდურება და ჩივილი მისგან არავის გაუგონია.

რაგინდ დამწუხარებული არ ყოფილიყო, სახეზე მაინც ნათელი ეფინა. მწუხარება კი ბევრი უნახავს ბოჩის. ლატაკი და ობოლი სხვათა მოჯამაგირეობაში დავაკაცებულა. ეხლაც 33 წლის ბოჩი კვლავ სხვისი ხიზანია.

ბავშობაში ბოჩი თვითონ იყო სიხარული. ტოლებში ყველას უყვარდა, მაგრამ თანვე ყველას ეშინოდა მისი, რადგან გაბრაზებისას ბოჩის თვალთაგან ნაპერწკლები სცვიოდა და რიყის ქვასავით მაგარ კუნთებიან მის მკლავებს შეეძლო ხე მოეთხარა ფესვებიანათ.

ვაგლახათ ვერც პატრონები უბედავდენ ხმის გაცემას, მაგრამ გამრჯელსა და ჯანიან ბოჩის მაინც არავინ ელეოდა.

ბოჩის უყვარდა ტოლების გახალისება. ამიტომ საწყესურში უცნაურ რამეებს იგონებდა. ხან მოიჯენდა გვერდით პატარა მწყემსებს, ერთ მათგანს ხელის გულზე დაუყრიდა ტუტას, ან სილას და სალოკ თითით „კვალია-კვალიას“ გაუკეთებდა. შემდეგ თითებს შიშველ მკლავზე ააყოლებდა და თან იძახოდა:

— მოვიდა ბოჩი, მოვიდა ბოჩი!

ბოლოს ღლიავებში შეუხიჩინებდა და სიცილით გადაფეთქილ ავში დიდხანს გორავდა მიწაზე. ამის გამო ტოლებნა მას ბოჩი შეარქვეს და ბოლო-ბის ხახელი თვითონაც დაავიწყდა.

ბოჩი ულონოთა თავდადებული ქომაგი იყო. ხშირად დაბეჩავებულ მოზრ-დილებსაც ესარჩლებოდა და მისი გაბედულება, სიმარდე და მუშტის ძალა ყველას აკვირვებდა.

დევივით ბიჭს საწყალი გული ჰქონდა. სხვის მწუხარებას ხშირათ აუტი-რებია ის, მაგრამ ცრემლთა ფრქვევის დროსაც სახეზე ღიმი არ შორდებოდა.

ულვაშებ ახლად აჯეჯილებული ბოჩი უკანასკნელად მოჯამაგირეთ დაუდგა ბალდადში ერთ მდიდარ აზნაურს გენერალათ ნამყოფ ოტიას, რომლის უნაროსი ასულის ხილვამ მისვლისთანავე მოაჯადოვა და მისი გული პირველად შეატოკა ქალმა.

ბოჩი დიდხანს ეტრფოდა მალულ, აზნაურის ქალს ხათუნას. მის ყოველ დანახვაზე ბოჩი რაღაც სხვათ გრძნობდა თავს, თან ამჩნევდა, რომ ხათუნა მის ფარულ წადილს მიმხვდარი იყო. მაგრამ მოჯამაგირის მიჯნურობას რატომღაც არ თაკილობდა. პირიქით თავის თამამი ქცევით და მრავალმეტყველურ ღიმი-ლით ქალი კიდევ უფრო აღვივებდა ბოჩის გულში დანთებულ ცეცხლს.

ერთხელ პაპანაქებაში, თელის ქვეშ ჭილოფზე მძინარე ხათუნას ანაგებ თავს წააადგა ბოჩი და იქვე გახევდა. ქალს გაღეღილ მკერდიდან უჩანდა მსხლის ტოლა და მზგავსი ცალი ძუძუ. გვერდზე მწოლარეს მუხლები გაშიშვლებოდა და დაბნეული ბოჩი ცხადად ხედავდა წელისაკენ წახვეტილ თხელ დარაიას კაბაში გამოსუსხულ მის მაღალ თეძოებსაც.

ბოჩი დაბარბაცდა და უეცრად ჩაიჩოქა, ქალს ყურის ძირში მხურვალედ აკოცა და ამ ქცევით თვითონვე გაოცებული მოჩვენებასავით გაჰქრა.

შემკრთალმა ქალმა მხოლოდ მის ზურგს მოატანა თვალი და ჭილოფზე წამომჯდარმა სწრაფად მოისვა ხელი ყურის ძირთან,—ბოჩის ნატუჩარი ხათუ-ნას ეწვოდა, მაგრამ წყრომის მაგიერ სახეზე შვება ეხატებოდა.

იმავ სალამოს დარცხვენილი ბოჩი, ქალურობა გაღვიძებულმა ხათუნამ, ბოსლის უკან დაიჭირა და უხმოთ კისერზე ჩამოეკიდა.

მაგრამ უსაზღვროდ ბედნიერი ბოჩი, მალე ყველაზე უბედური შეიქნა.

ეს მოხდა ასე:

ოტიას ჰყავდა რჩოლია ბუღა-ხარი. ბუღას სიმსუქნისაგან კანი ასკდებოდა და ალუბლის ფერი მისი ბალანი, ჭიქაში საფერის ღვინოსავით კრიალებდა. თვალებში ბუღას ხანძარი ენთო და რქები შუბებივით სწორი და წვეტიანი ჰქონდა. კუდი ჩლიქებამდე სწვდებოდა. როგორც ჩლიქებზე, ისე კუდის ბოლო-ზე და რქების შუა, გრძელ ბეწვიანი ბალანი ფოჩებათ ეკიდა.

ხათუნას სიყვარულით ღონე მოჭარბებული ბოჩი ხშირად ეჭიდებოდა ბუ-ღას, რაც მეტად მოსწონდა აზნაურ ოტიას.

მაჭრობაზე ოტიამ დიდი წვეულება გადიხადა. შეზარხოშებულ სტუმრების სასეიროთ, ოტიამ განიზრახა რომაულ ცირკის სახელდახელოდ მოწყობა, მაგ-რამ ბოჩიმ მტკიცე უარი განაცხადა.

ბოლოს მამის დავალებით, ხათუნა შეეხვეწა და მოთვინიერებულმა ბოჩიმ ბოსელიდან მოზვერი გამოიყვანა. ბუღა ბრდღვინავდა და რაშივით სცემდა ტორებს, მაგრამ ბოჩის ხელებში კისერსაც ვერ აქანებდა ნებაზე.

გრძელი აივანი ცნობისმოყვარე სტუმრებით აივსო. ყველაზე მოხერხებულ ალაგას ოტია დაჯდა ნერონივით. მალე ლობეებს მოაწყდა უამარი ხალხი და ათასი თვალი გაფაციცებით უცქეროდა ბოჩის, რომელმაც ვეშაპისდარი ხარი ხბოსავით მიაბა სახლის წინ ხეზე.

ბოჩი პალატში შევიდა. დაბრუნებულს მარტო პერანგი ეცვა ღლიავებამდე დაკაპიწებული. მან თან გამოიტანა წითელი თავსაფარი და ხათუნას გამონაცვალი შავი კაბა.

ბოჩი მძიმე ნაბიჯით მიუახლოვდა ბუღას, მსხვილ კისრიდან საბმული მოხსნა და თვალებთან წითელი თავსაფარი აუფრიალა. ბუღამ ჯერ უკან დაიხია, მაგრამ შემდეგ უეცრათ გაექანა ბოჩისაკენ და... მაცქერალთ გულები დასცვინდათ.

განზე გამხტარმა ბოჩიმ კიდევ ერთხელ აუფრიალა თავსაფარი და გაგიჟებულ ხარს თავზე შავი კაბა ჩამოაცო. ხარი შესდგა და როცა ბოჩიმ ბნელი მოხადა, ხარი სარქენად კვლავ გაიჭრა ბოჩისაკენ, მაგრამ მოღერებულ რქებზე ბოჩიმ სწრაფად ჩაატანა ხელები და ქედი მოუდრიკა. ბუღას დაბერილ ნესტოებიდან ბოლქვად ნადენი სუნთქვა ბიწიდან მტვერს აყენებდა.

კარგა ხანს იდგენ ასე ერთ ადგილზე. ხარიც და კაციც ნიადაგს სინჯავდენ, ერთმანეთის ძალას სწონიდენ.

ვილაცას გული შეუწუხდა. აქა-იქ შეიქნა ქალების კივილი. ბავშები ატირდენ. მამაკაცები ულვაშებს იგლეჯდენ. ხოლო ოტია კვლავ დინჯად იჯდა და სახე გაფითრებული მღელვარებას არ იტყობდა.

კიბის თავში მდგარ ხათუნას გული ხელით ეჭირა. ის თვალს არ აშორებდა ბოჩის, რომელსაც კისრის ძარღვები დახეთქაზე ჰქონდა.

— ღმერთო, ეს რა ვქენი, რათ წავაქეზე, რატომ ჩავაგდე საფრთხეში. თუ უენებლად გადარჩა...

ფიქრობდა ხათუნა და გულთან ერთად ბოჩის ნაკოცნი ყურმალი ისევ აეწვა.

ბუღამ უკან ერთი დახევით რქები გაინთავისუფლა, მაგრამ ბოჩის მაგიერ ნიგვზის ხეს დაეტაკა, რის დროსაც ხის ტანს გაალმასებული რქები გოჯამდე შეესო. ბუღამ ხესაც მალე დააძრო რქები და უფრო გახელებული გაეშურა განზე მყოფ მეტოქისაკენ, რომელიც კაბის აღებას აპირებდა მაგრამ ვერ მოასწრო.

ბოჩი ხელცარიელი იყო. კაბა მოშორებით ეგდო და მისი სიცოცხლე ეხლა კი მართლა ბეწვზე ეკიდა. ბევრი ეცადა, მაგრამ ბუღა საშუალებას არ აძლევდა რომ კაბა აეღო და მისთვის თვალები აეხვია.

ბოჩის გულში შიშმა გაჰკრა.

სხვებმაც იგრძნეს, რომ გაცოფებულ ხარს შეიძლებოდა ყოველ წამს ადამიანი რქებით გაეფატრა, მაგრამ შველას ვერავინ ბედავდა.

საშინელების მოლოდინში ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისმოდა მარტო ბულას და ბოჩის ქშენა.

მეომრებს შემოდგომის მზე უკანასკნელად აფრქვევდა ბანელებულ ქალაქ ხაფრანის სხივებს.

ბოჩის უკვე ნახტომი ეშლებოდა.

უეცრათ, ყველას გასაოცათ, ხათუნამ იქვე გაიძრო თავისი ახალი შავი კაბა და კიბე ისარივით ჩაიქროლა. მაგრამ ვიდრე მას ბოჩი დაინახავდა, ბულამ ხათუნასაკენ იბრუნა პირი და საცვლების ამარა ქალი თვალის დახამხამებაში ძუძუებით რქებზე წამოიგო.

რქებზე ძუძუებით დაკიდებული ხათუნა შემზარავი ხმით ჰკიოდა. ჩქარა ხარმა ერთი თავი გაიქნია და როგორც კი მკერდ დაგლეჯილი ქალი ძნასავით ისროლა, ვეფხათ ქცეული ბოჩი მაშინვე ბულას კისერზე დაახტა და სისხლით შელებილ მის რქებს გარკინებული ხელები მარწუხებივით ჩასჭიდა.

ბოჩიმ პირველად რამდენჯერმე ბულას ცხვირი მიწაზე დაარტყმევია, შემდეგ ისე ღონიერათ მოუგრიხა კისერი, რომ ჩაჩოქილმა ხარმა თავი ველარ შეიმაგრა და წაიქცა, რის დროსაც დაცლილ ყანწებივით ბოჩის ხელებში შერჩა მისი ორივე რქა.

ეს იყო დიდიხნის წინად.

მას შემდეგ ბოჩიმ მთელი ქვეყანა მოიარა. მსახურებდა მეფის ჯარში. ჯარიდან დაბრუნებული ჯერ ქვებს სტეხდა. ერთხანს კურტანიც ეკიდა. ხან რიონზე სვანეთიდან ტივებს აცურებდა. ომის გამოცხადებისას, როგორც სათადარიგო, კვლავ ჯარში გაიწვიეს. ფრონტზე ტყვიამ მარჯვენა ხელის ორი თითი მოსწყვიტა და თებერვლის რევოლიუციას საქართველოში ერთი კვირით ჩამოასწრო.

იმავ ხანებში, მარტვილად ყოფნის მოსურნე, მემინდედ დადგა.

ბოჩი საფქვავზე მოსულ გლეხებს უყვებოდა ომის და ნახულ ქვეყნების ამბებს. ხან იტყოდა უცნაურ არაკებსა და ზღაპრებს, რისგანაც მოჯადოებულ მსმენელებს მასთან ერთად ხშირად გაუოცნებიათ ღამე.

დრო და დრო კი, მთვარიან ღამეებში, თევზაობდა და ნაპირიდან მისი ნასროლი ბადე მდინარის შუა გულზე მარაოსავით იშლებოდა.

იმ ღამესაც, როცა მარო დახრჩობას გადაარჩინა, სათავის ზევით იყო სათევზაოთ.

ბოჩი ამ საოცარმა შემთხვევამ სრულებით გამოსცვალა და უწვერულვაშო ბოჩათ აქცია.

ეხლაც, ამ დილით, ახალ წულებით გახარებულ ბავშვივით უცემს ბოჩის გული.

როცა წისქვილიდან ორ უკანასკნელ გლეხთან ერთად გამოვიდა გარეთ, მზე უკვე კარგა მაღლა იყო ამოწეული. მან წისქვილის კარები თან გამოიხურა, შემდეგ ორ ღარსაც თავებთან მოკლე ტარიანი ნიჩბები ჩაულაგა და წისქვილის ხმაური შესწყდა.

ბოჩიმ გაფქვილული წვერი იქვე, წისქვილის არხში დაიბანა და სახე უბრალოთ მოცმულ შავი ახალუხის კალთით შეიმშრალა. გამობრუნებისას მან შენიშნა გალმიდან მომავალი უცხო კაცი, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია.

ბოჩიმ ღიმილით შეაღო წისქვილზე მოდგმულ ფიცრულის კარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესულს ღიმილითვე შეეგება მარო, რომელიც პატარა [illegible] ფარდას ჰკიდებდა.

მარო გამხდარი იყო და ფერმკრთალი. თვალები ორ პატარა ორმოთ ქცეოდა, მაგრამ ეშხი და მიმზიდველობა კვლავ შერჩენოდა მის სახეს.

მის ღიმილში არ კრთოდა სიხარული.

არც სიყვარულით უძგერდა გული.

ეს იცოდა ბოჩიმ, მაგრამ საყვედური ერთხელაც არ უთქვამს.

თვითონაც არ გრძნობდა მაროსადმი იმ სიყვარულს, რომელიც მან ბულასთან ბრძოლაში დაჰკარგა.

ისინი მხოლოდ კარგი მეგობრები იყვნენ.

მაგრამ დღეს, ბოჩის განსაკუთრებით მოეწყურა მაროს ალერსი და ფიცრულში შესვლისთანავე ლოგინზე ჩამომჯდარმა, ქალი მუხლებზე დაისვა.

ბოჩიმ მაროს როგოც ბავშს თავზე ხელი გადაუსვა, შემდეგ მკერდზე მიიხუტა და მის გაცრეცილ ტუჩებს დაეკონა.

ერთბაშათ, თვალებზე ბინდგადაკრულები გამოაფხიზლა ფიცრულში ვიღაცის გაბედულმა შემოჭრამ. უცნობს ალმური მოეკიდა, როცა მაროს ბოჩის მკლავებში მიუსწრო.

მის დანახვისთანავე მარო ბოჩის ხელიდან გაუსხლტა და კედელს შეშლილივით აეკრა.

ბოჩიც ფიცხლავ წამოდგა და უცნობს ესროლა:

— რა გნებავთ!

უცნობმა მას ალმაცერად შეხედა, შემდეგ აკვანში მძინარე ბავშს მოავლო თვალი და მაროს მიაშტერდა.

ერთ წუთს ქვესკნელმა ჩანთქა ყველაფერი.

ბოლოს უცნობი ცივათ გატრიალდა და კარები ისე მაგრათ გაიჯახუნა, რომ მთელი ფიცრული შეირყა.

მარო კარგახანს მიხურულ კარებს უსიცოცხლოდ მისჩერებოდა, შემდეგ თვალებში თანდათან ჭიაკოკონები აუგიზგიზდა და განწირულის ხმით იკივლა:

— თადეოზ, თადეოზ!!!

გარეთ გასაქცევათ ფრთებ გამოსხმულს წინ ბოჩი გადაუდგა.

ეპილოგის მაგიერ

გავიდა საუკუნე
და კვლავ გავა.—
ქვეყანა მუდამ იმღერებს იმაზე,
ვისაც ქალწული უყვარდა.
ძველია ეს სიმღერა, მაგრამ ნაზი.
ვიმღეროთ ის უშიშრად:
„იყო ერთი ჭაბუკი
და ქალწული უყვარდა“.

კენნეტ ბანნინგ.

კარგი ლექსია, თუმცა „ჭიაკოკონა“-ს ეპილოგის ეპიგრაფად მაინც და მაინც არაა მოხდენილი, რადგან ის ჭაბუკი, რომელსაც ქალწული უყვარდა, თვითონ აღარ მღერის სიყვარულზე.

ეხლა სხვა საუკუნეა და სხვა გული.

ᲭᲐᲑᲣᲙᲘᲪ სხვა სიყვარულითაა გამსჭვალული და ეს სიყვარულია ბრძოლა უკეთესი მერმისისათვის, ბრძოლა იმისათვის, რომ ყველა გული სიხარულით ფეთქდეს.

და როცა ცრემლი აღარ იქნება სიყვარულის სიმბოლო, როცა ადამიანებს აღარ დაჰყოფენ ჯიშებად, როცა მაშვარაღნი და ტვირთმძიმენი საააქოს აქცევენ სავანეთ, მაშინ მოიგონებენ მეორე პოეტს ტ ო დ ა ლ ი ს და ნაზათ იტყვიან:

„როდის იყო აპრილი
ასეთი როგორიც ეხლაა.?
ვარდები... მერცხლები,
ღია კარები...

ᲯᲔᲠ კი ბრძოლა ისევ გრძელდება და თადეოზს არწივის ფრთები ასხია მისი სიმღერა ყიჟინაა, ხან რომ ნადურის გუგუნათ ისმის და ცალ ხელში თუ ხმალი უჭირავს, მეორეთი ურის სცემს: გავარვარებულ რკინას ნაპერწკლები სცვივა და მალე დაინთება უმძაფრესი ᲭᲘᲐᲙᲝᲙᲝᲜᲐ—„რიონჰესი“, რომლის კოცონი ლიხის აქეთაც გადმოაშუქებს.—

ნაყაჩაღარი რიონჰესის დირექტორია.

სხვები! სხვები როგორღა არიან?

როცა თადეოზმა მოწამეთას წმინდანთა ნეშტები შარაზე დაჰყარა, არქიმანდიტრმა ესტატემ ანაფორას კალთები ზემოსჭრა, თან თმა და წვერიც დაიოკლა. იმავ კვირაში მოსიას ქვრივი „ზაქსში“ წაიყვანა და ახალ ცხოვრებას შეუდგა, მაგრამ გული ძველი შერჩა, რის გამო ფეხი ვერსად მოიკიდა. ბოლოს, როგორც იქნა ფოსტალიონათ დადგა და მთელი დღე, ოფლში გაწუწული კარიდან-კარზე წანწალებდა.

ესტატეს განსაკუთრებით ეძნელებოდა ბოჩისათვის გაზ. „კომუნისტი“-ს მიტანა.

— ამ სიშორეს და ისიც მეწისქვილეს, რა შავქვათ უნდა გაზეთი!

იტყოდა ბრაზით და წყალწითელიდან დაბრუნებულს მუხლები ეკეცებოდა.

ყმაწვილობაში მოსიას მიერ რკინისგზის სადგურის ახლო აგებულ სახლიდან, კესო მშობლებთან ერთად ახალ ქმრიანათ გამოაძევეს და ესტატემ კათოლიკეთა ძველ პარტახ სასაფლაოზე გაიკეთა ბინა.

ახალ სახლის კედლები საფლავის დაპობილ ქვებისაგან ყორესავით იყო ნაგები. პირველ ხანებში კესოს ეშინოდა მარტო შინ ყოფნა. მას ელანდებოდა სხვადასხვა ჰასაკის და იერის მიცვალებულნი, რომელთა გვარები კედლებში დატანებულ ლოდებზე ზოგან სრულად და გარკვევით იკითხებოდა. მაგრამ შემდეგ ისე შეეჩვია იქაურობას, რომ ყველა ეპიტაფია ზეპირად ისწავლა.

თვით ესტატესათვის ერთხელაც არ შეუცვლია გუნება იმ გარემოებას, რომ მისი სახლი საფლავებზე იდგა. მას აწუხებდა მხოლოდ ფიქრი იმაზე, რომ ვარაუდში შეცდა და ასე იოლათ დასთმო არქიმანდიტრის ხარისხი. მაინც იმ წყეულმა კომუნისტებმა რაღა მოწამეთა ამოიჩემეს, როცა საფიჩხის ეკლესიაშიაც კი ისევ ჩვეულებრივათ სწარმოებს წირვა-ლოცვა! ისინი რომ არა, ვინ იცის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება ესტატე ეხლა ქუთაისის ეპარქიის ეპისკოპოსიც ყოფილიყოს, რა ეჩქარებოდა ანაფორის გახდა, რატომ არ იცოდა, რომ ბოლშევიკები არქიმანდიტრობის საბადლოთ ფოსტალიონობასაც დაამადლიდენ!?

ესტატე მზად იყო წხამიან გველივით დაეკბინა ბრალიანი და უბრალო და ისინიც, რომელთაც წარსული ნასავით სანატრელი გახდომოდათ. მას ეზარებოდა ყველა, სძულდა თავისთავიც, კესოც, მაგრამ სიცოცხლე მაინც უნდოდა. რაღაცას ელოდა, რაღაცის იმედის ნაპერწკალი კვლავ უღვიოდა გესლით სავსე გულში და ამიტომ ქვეყანას განგებ უცინოდა, რომ ფოსტალიონობა მაინც შერჩენოდა.

მორჩებოდა თუ არა წერილების დარიგებას, ესტატე ქორივით დატრიალებდა თავზე ახალ კარმიდამოს.

მან სახლის ახლო-ნახლო ლოდებ აცლილი სამარეები გადაბარა და პირველ წელსვე ზოგან სიმინდი დასთესა, ნაწილზე მზის უმზირა, ხოლო უფრო მოხერხებულ ალაგას კესომ ბოსტანი გააწენა. როგორც სიმინდი, ისე მზისუმზირა იმ სიმაღლე გაიზარდა, რომ შიგ ცხენიანი კაცი დაიმალებოდა. აგრეთვე არაჩვეულებრივათ გაიხარა ნაირმა ბოსტანეულმა და თუმცა შრომას მიუჩვეველი ხელისგულები ცოლქმარს დიდხანს ეწვოდათ, სამაგიეროდ კმაყოფილი იყვნენ მოსავლის ბარაქიანობით.

ცოლქმარს ძველი ქონი არ დაკლებიათ, რადგან სასაფლაოზე მოწეული ჭირნახული წლიდან-წლამდე ყოფნიდათ სარჩოთ და რაც გაეწყობოდათ პირის გემოს არ იკლებდენ. ბევრი სიარულის გამო ცოტა ესტატე იყო გალახული, მაგრამ არც იმდენათ. სებისკვერის მსგავსი ლოყები ისევ უღაჟღაჟებდა და შეკრეჭილი წვერი ძლივ უფარავდა ყაპოს.

ბოსტანში გარჯის შემდეგ და საოჯახო საქმიდან მოცლილი კესო, ესტატეს დაბრუნებამდე ხშირათ ირთობდა თავს ეპიტაფიების კითხვით. ყველაზე მეტად ის ერთ წარწერას კითხულობდა. ეს წარწერა ამოკვეთილი იყო შავ მარმარილოს ქვაზე, რომელიც უკანა კედელს, შუა ალაგას, თითქო განგებ, ცერადმა ჰქონდა დატანებული და უფრო მკაფიოდ სჩანდა.

ასოებს აქა-იქ შერჩენოდა ვარაყი, რაც ლამფის შუქზე, თვით შავ მარმარილოსთან ერთად, უცნაურად ბრჭყვიალებდა.

მარტოობით მოწყენილს რომ არ დასძინებოდა, კესო ხანდახან ამ წარწერას ხმამაღლა კითხულობდა:

„ამა ლოდის ქვეშ განისვენებს თამარ იაკობის ასული ფეიქაროვი. უფალო მიიღე შენი მხევალი სასუფეველსა შინა, რაზე თუ იგი იყო უცოდველი და უბიწო. დაიბადა ჩყნთ წელსა... მიიცვალა ჩყპბ წელსა“.

შემდეგ იწყებოდა ქართულის რუსული თარგმანი, რომლის ერთი პწკარი შერჩენოდა მხოლოდ მარმარილოს ამ ნატეხს.

ამასობაში ესტატე შემოაღებდა კარს და კესო იმავ მარმარილოიან კედელთან მომცრო უბრალო მაგიდაზე ვახშამს გააწყობდა. როცა კარგათ დანაყრდებოდენ, ცნობის მოყვარე ესტატე ტყავის ჩანთიდან ამოალაგებდა მეორე დღეს დასარიგებელ ბარათებს და ცოლს წაუკითხავდა ყოველ კუთხიდან მოსულ ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს. ბევრ საინტერესოს რამეს გებულობდენ ისინი. ზეპირად ეცოდენ, ვის ვინ უყვარდა, ან შორს წასული ქმარი რა საალერსო სიტყვებით იგონებდა ცოლს. ზოგი წერილი მწუხარებით იყო სავსე და ესტატე მათი წაკითხვით უფრო მეტ სიამეს გრძნობდა. ის ისე იყო გაბოროტებული, რომ გასახარელ წერილებში მიმსგავსებულ ხელით უსათუოთ უნდა ჩაემატებია საწყენი სიტყვები. კომუნისტების სახელზე გამოგზავნილი წერილი ესტატეს ხშირად ხელ-ახლა დაუწერია და მისი შინაარსი სრულებით შეუცვლია იმგვარათ, რომ წამკითხველი ცუდ გუნებაზე დამდგარიყო. ბოლოს გახსნილ კონვერტებს ოსტატურათ დაწებავდა, ზოგიერთს მარკასაც ააცლიდა და უკვე დაწოლილ კესოს ჯერ დიდხანს ბურჯგნიდა, შემდეგ გადიდგინებულ ძუძუებში თავს ჩაუყოფდა და ყელში დანა გაყრილ მოზვერივით ახრიალდებოდა.

ესტატემ ბევრი გადაკიდა ერთმანეთს, მრავალ შეყვარებულის გული დააწუხრა უმიზეზოთ და ალბათ მთელ ქუთაისს გააგიჟებდა თავის მზაკვრობით, რომ წერილებით გამოგზავნილ ფულის მითვისებაც არ გადაქცეოდა ნირათ, რაც მალე გამოამჟღავნა და რისთვისაც უკვე 2 წელია ის ქუთაისის ციხეში ზის.

ესტატეს დაპატიმრების შემდეგ, ხმის გამცემათ კესომ შეიხიზნა გასაწყლებული და ჯავრით დაპატარავებული მელანია, რომელსაც დღემდეც თვალი გზისაკენ უჭირავს, მაგრამ არც ოქროპირი სჩანს და არც მისი მნახველი კაცი.

ქალიშვილთან ხშირად იწყო სიარული ქიონიამაც.

ზაფხულობით მთელი კვირაობით რჩებოდა მასთან, რადგან კათოლიკეთა ნასაფლავარზე უფრო გრილოდა და იმავე დროს იქაურობა სოფელს აგონებდა.

მირიანი კი არ შორდებოდა კუბოს ტოლა თავის დუქანს, რომლის უკანა ნახევარში ბინა ჰქონდა მოწყობილი. წინ, ქუჩისაკენ, უბრალო ღია დახლზე ეწყო წურბელებით სავსე რამდენიმე წყლიანი შუშის ქილა, რომლებსაც თავზე მოკრულ ნარმის ნაფლეთებს მირიანი ხშირად უსველებდა.

მირიანი წურბელების გარდა ყიდიდა გუნდა-ლახუსტაკს, ხვარასანს, ბურნუთს და საექიმბაშო წამლეულობას, რომელნიც ზოგი ხის, ზოგიც ჟესტის პატარა ყუთებით ელაგა შიგნით, დახლის მეორე ნაწილზე და თაროებზე.

ერთ ციცქნა დახლში, სადაც ხეირიანად განძრევაც სჭირდა, მირიანი იჯდა მუმიასავით და ელოდა მუშტრებს, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მისი ისედაც მცირე შემოსავალი თანდათან კლებულობდა. როცა გამსჭვირვალე ქილებში გველის წიწილებივით მოსრიალე წურბელების ცქერა მოსწყინდებოდა, ბურნუთს ბოლქვათ იყნოსავდა და რამდენჯერმე კატასავით დაცხინკვების შემდეგ, კარებში აიტუზებოდა. მას ამ დროს თვალები აცრემლებული და ცხვირთან თეთრი ულვაშები ბურნუთისგან გაყვითლებული ჰქონდა.

წურბელების ძველი ვაჭრები მირიანს ალმაცერად შესცქეროდენ და ერთმანეთს ეფუჩუნებოდენ:

— ეროი შეხე აზნაურს, რას დაემგვანა... არა, ჩვენ რაღა დიდი ხეირი გვაქ, რომა მაგ სულმკვდარიც შუაში გამოგვეჩხირა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგონა წურბელები ოქროს თევზებათ იქცეოდენ, მარა აგერ ყოფილით მგონია სულიც ძვრება.

— ანასუნ მაგის საქმეს. ჩვენ კიდო მეტოქე გვეჭივრებოდა!?

ბოლოს ყველანი შეურიგდა მის ვაჭრად გახდომას და მეგობრობაც კი დაუწყეს. მასთან ერთად ლაპარაკობდენ ბოლშევიკების აუგს და ფინინსპექტორებზე, რომელნიც შეუბრალებლად აძრობდენ ტყავს ვაჭრებს.

მათ თვალისწინ ყოველდღე იკეტებოდა სხვადასხვა დიდი სავაჭროები რომელთა ნაცვლად ჩნდებოდა კოოპერატივები ახალი, ბრდღიალა აბარებით. მეწვრილმანეები კვლავ იდგნენ გამოცარიელებულ დუქნების წინ და შიშით ელოდენ ფინინსპექტორს.

ასე დამწუხრებულებს, ხანდახან თუ მოგვრიდათ ღიმილს კუდზე ჟესტმობმული ძაღლი, რომელიც თავპირის მტვრევით გამორბოდა ზევიდან და დაფეთებულ ძაღლის წკმუტუნთან ერთად ისმოდა არტელების გარეთ დარჩენილ და ჯერ კიდევ ხუმრობის გუნებაზე მყოფ თერძების და ხარაზების ხარხარი. აგრეთვე გულიანად იცინოდენ სამართლებით ხელში სადალაქოებიდან გამოცვენილი დალაქები და კარებზე მომდგარი ლოყებ გასაპნული მუშტრები.

დაწყნარების შემდეგ, მირიანის მეზობლები იგონებდენ ძველ დროს, როცა ასეთი სეირი ხშირი იყო და ფულთან ერთად გულიც უდარდელი ჰქონდათ.

მირიანი სწუხდა, რომ სოფელში ყველაფერი გაყიდა და ქალაქში გაძაღლებულ ცხოვრებაში ჩავარდა, მაგრამ როცა კოლექტივიზაცია მოარულ სენივით მოედო მთელ საქართველოს, მაშინ თავი დიდი ჭკუის პატრონათ ჩასთვალა და დამშვიდდა.

ქიონია ხშირად ეტყოდა ქმარს:

— რას იხრჩობი კაცო აქ, წამოდი იმ გოგოსთან, ცოტა სულს მოითქვამ!

მაგრამ მირიანი გულაყრილი იყო შვილზე იმისათვის რომ მან დაუჯერა ესტატეს და მოსიასეულ სახლის ჩამორთმევის შემდეგ, ცალკე ცხოვრება ისურვეს. ამიტომ მირიანი დაფიცული იყო სიძე-ქალიშვილის ახალ სამყოფში არაოდეს დაედგა ფეხი და მიუხედავათ მრავალჯერ თვით კესოს ხვეწნისა, ფიცს მტკიცედ იხახავდა.

რაიცა შეეხება ბოჩის და მაროს, ისინი დიდხანს დარჩენ წისქვილში, თუმცა ბოჩის იქ გული აღარ უდგებოდა და დამბულ ხარივით გრძნობდა თავს. მას უნდოდა გასულიყო ახალ ქვეყანაში და მის შენებაში მონაწილეობა მიეღო, მაგრამ მაროს კვლავ ეძნელებოდა ყველას დასანახი ცხოვრება და ბოჩიც ითმენდა. ბოჩის საათნოებით იარებ მოშუშებული მარო დღეღამ თავს ეკლებოდა ქმარს და 3 ვაჟს. ბოჩის სიხარულიც უსაზღვრო იყო, როცა ბიჭებში ჩაერეოდა და როგორც დათვი თავის ბელებს, ისე დაუწყებდა მათ თამაშს.

ის ღვიძლი შვილებიდან არ არჩევდა გერს, რომელიც თანდათან ემზგავსებოდა თადეოზს. ეს ბოჩისათვის შეუმჩნეველი იყო, მაგრამ უფროსი შვილის სახით მაროს ყოველთვის თვალწინ ედგა ჭიაკოკონას ირგვლივ მარბენალი პატარა თადეოზი.

მაროს გულს უკლავდა ის გარემოება, რომ ბავშმა არ იცოდა თუ ვინ იყო მისი ნამდვილი მამა. არც დადეოზმა იცოდა თუ შვილი ყავდა. ხოლო ბოჩის კი

ეგონა, რომ გერი ოქროპირს ეკუთვნოდა. თვით დედა უკვე ეჭვობდა, პირველ შვილის მამათ თადეოზს სთვლიდა, მაგრამ ამის გამხელა მის ძალაში ალარ ეტყობოდა.

ერთ დღეს, მოულოდნელად, ბოჩის და მაროს წისქვილში თადეოზი ესტუმრათ თავის ახლათ ნათხოვ ცოლით. მათ დანახვას მაროს ერჩია მიწა გასკდომოდა და გამქრალიყო, მაგრამ თადეოზის მეგობრულმა ბაასმა და აუღელვებულმა ქცევამ მალე დაუბრუნა ცნობიერება.

ამის შემდეგ ბოჩიმ როგორც იყო დაიყოლია ცოლი და სოფ. ძმუისში, სიმამრთან გადასახლდა. თეოფილეს ცა გაეხსნა და სიხარულის ცრემლები დიდხანს არ შეშრობია თვალზე.

მამასთან ერთად მაროც ბავშვივით ქვითინებდა და იგონებდა მის უნახავად გარდაცვლილ ანუსის.

ბოჩის ხელი მაშინვე დაეტყო თეოფილეს ქოხს, ერთი ნაბდისხელა ეზოს და მთელ სოფელსაც. არც ერთი სასოფლო საქმე არ გაკეთდებოდა უმისოდ. ბოჩი იყო ყველაფრის სულის ჩამდგმელი და თაოსანი. მისი მეოხებით გაყვანილი იქნა ახალი საურმე შარები, აიგო სკოლის ახალი შენობა, რომელთანაც გაიხსნა საექიმო პუნქტი და სამკითხველო.

— სად იყო ეს ოჯახქორი ამდენხანს!

— ცხონდა მაგის მშობელი, კაცი მაგისანა უნდა!

— ბევრი სიმწარე ნახა თეოფილემ, მარა სიბერე თავლათ ექცა და ესაა!

ამბობდენ ბოჩის გარჯით გახარებული გლეხები.

აგრეთვე ოკრიბაში ბოჩი იყო კოლმეურნეობის პირველი მერცხალი. ყველაზე წინ მან ამოყარა ყორლნები, მან მოშალა სამნები და მოარღვია ღობეები. მან ჩააყენა ლატაკები შეძლებულ აზნაურებისა და მოსიასანების მიწებში.

სოფ. ძმუისი უკვე მთლიან კოლექტივს წარმოადგენს და სადაც ადრე დიდი ჯაფით ღომი და ჭადი ვერ მოყავდათ წლის საყოფ სარჩოთ, ეხლა აშენებენ ტეხნიკურ კულტურებს, ხეხილის ბაღებს და მალე ძმუისის კოლექტივები თავიანთ ნაწარმოებს ბაზარზედაც გაიტანენ.

გადახალისებულმა მარომაც მიბაძა ქმარს და ღარიბი გლეხი ქალების სათაყვანოთ იქცა.

ეხლა ბოჩი ოკრიბის რაიონულ აღმასკომის თავმჯდომარეა და გაორკეცებულ ენერგიით მთელ ოკრიბას უპირებს გარდაქმნას.

დასასრულ აღვნიშნავ შემდეგს:

მე დიდად ვაფასებ ს ტ ე ნ დ ა ლ ს, მაგრამ „პარმის მონასტერში“ მისი ნათქვამი იმ აზრით, თითქო ლიტერატურულ ნაწარმოებში პოლიტიკაზე ლაპარაკი ისეთი იყოს, როგორც კონცერტში თოფის სროლა, არ მიმაჩნია მართებულად. მიუხედავად ამისა, „ჭიაკოკონაში“ არაა სათანადოთ პოლიტიკური მოვლენები გაშუქებული. არც თუ ახალი ქუთაისი და სოფლად მომხდარი ძვრები დამიხატავს მკვეთრი ფერებით. ეს იმიტომ მოხდა, რომ მე თითქმის უცვლელათ დავსწერე თადეოზ ზაუტაშვილის, ჩემი სახლი-კაცის ბოჩი გვეტაძის და აწ მისი მეუღლის—მაროს მიერ სხვადასხვა დროს და ცალ-ცალკე ნაამბობი.

აქვე უნდა ვაღიარო, რომ ნამდვილი გვარებით ხსენებულ პირთა ცხოვრების ასე საქვეყნოდ გამომხეურება, ჩემი მხრით უთუოდ კადნიერებაა, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე.

ალექსანდრე ჟუთათელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განთიადის წინ *)

XII

შამქორი

აფხაზავას ჯავშნიანი მატარებელი იდგა შამქორში.

განჯის ეროვნულ საბჭოს ჯარმა ლიანდაგი აჰყარა და საომრად მოემზადა. ახლოვდებოდა შამქორის საშინელება.

ზამთრის სუსხით გაცივებული მზე იდგა დასავლეთით თოხის ტარის სიმაღლეზე.

გოლიათი და გაფითრებული რგოლი იცქირებოდა მიცვალებულის გახელილი თვალის გუგასავით.

უსაზღვრო სივრცეში გუგუნით მბრუნავი დედამიწა ეხლა უფრო ახლოს იყო მზესთან, მაგრამ ირიბი სხივები ეცემოდენ განდაგან და ვეღარ აოპობდენ გაყინულ დედამიწის ზურგს.

მზემ სამუდამოთ დახუჭა თვალი და ჩაესვენა...

დაღამდა! იძინებდა ბუნება; მდუმარე ლანდები ეფინებოდენ არემარეს; ყველგან სიჩუმე და მყუდროება გაბეფდა, მაგრამ ღამის წყვდიადს არღვევდა გოლიათი ქალაქების ათასი ჩირაღდანი და ბრძოლის ველზე ატეხილი თოფზარბაზნების გრიალი; არ ისვენებდენ ადამიანები, არ ცხრებოდა ადამიანთა ინტერესების შეხლა-შემოხლა და შფოთი!

დაღამდა: სადგურის პატარა დარაჯმა ბაქანზე ლამფა დაუშვა. მას ჰქონდა ადამიანისმაგვარი მაიმუნის სახე; მაზუთით გაზეთილ ტყავის ქურთუკს პირვანდელი იერი და სისუფთავე შეუნარჩუნებია მხოლოდ კუზიანი დარაჯის ზურგზე; პატარა ტანთან შედარებით მაღალ და მინგრეულ ფეხზე ეცვა რუსული ჩექმა; თავზედ დიდბეწვიანი ბუხრის ქუდი დაეხურა.

დარაჯმა ლამფას ტუნბო მიამაგრა და ჰაერით ააკსო...

ირგვლივ იდგენ ბეგების მიერ შეიარაღებული გლეხები: ჰასან, ქიაზიმ, ჯავათ, მეჯით, რაჰმათულა.

ბევრი მათგანი პირველად იყო მოსული სოფლიდან სადგურზე და პირდაღებული უცქერდენ კულტურის მონაპოვარს: აირის ლამფას!

---

[1]) გაგრძელება იხ. „მნათობი" № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა კაცი უცნაურ რასმეს აკეთებდა: ჰაერის საქაჩავი ამოსდოდა და ლამფაში მოთავსებულ შავ სანთლებს ცეცხლი წაუკიდა; ცისფერი ალი აინთო და ზიზინი დაიწყო, სანთლები ნაღვერდალივით გაწითლდენ. ჯავათს მოაგონდა სამეჯედლოს ქურაში გახურებული და გადამდნარი რკინა, რომელსაც მეჯედელი გრდემლზე ჩაქუჩსა სცემს და ისეთნაირად გამოკვერავს როგორადაც სურს. ცოტა ხნის შემდეგ ზიზინი შესწყდა, თითქოს სანთლებს ცივი წყალი გადაასხესო; ლამფამ თეთრი, თვალისმჭრელი და მძაფრი სინათლე ისროლა.

— ასე ჩვენი სოფლის ათასი ჭრაქიც ვერ გაანათებს!—სთქვა ჯავათმა.

კუზიანმა პატარა კაცმა ასწია რგოლზე მავთულით გადმოკიდული ლამფა და სადგურის ბაქანის ჭერს მიამაგრა. ასევე აანთო მეორეც...

— რა ყოფილა ეს კაცი?

— ნასწავლი კაცი უცნაურია!

ჰასანმა პირიდან ყალიონი გამოიღო და თავისებურად აუხსნა ამხანაგებს ყოველივე რაც კი ამ „უცნაურმა კაცმა" გააკეთა... სადგურის წინ, შპალებით დაგებულ ლიანდაგზე ზიზინებდა ჯავზნიან მატარებელზე მიბმული ორთქლმავალი. იგი შიშინებდა მაზუთით გაშავებულ და გაჟღენთილ მიწაყრილზედ და ანთხევდა გვერდის მილიდან ადუღებულ წყალსა და ორთქლს. ორთქლმავალის ხახა მაღლა ისროდა კვამლსა და ცეცხლს...

ჰასან, ქიაზიმ, მეჯით, ჯავათ და რაჰმათულამ აიარეს რაზმელებით სავსე ბაქანი და რკინისგზის ხაზს დაადგნენ... იანვრის ცივ ღამეში ნათლად მოსჩანდა შამქორის ველზედ მუსულმანთა დაბანაკება და აქა-იქ გაჩაღებული კოცონი.

ჯერ კიდევ არ დალამებულა სავსებით.

ყვითლად აკამკამებული ცის დასავალი იღიმებოდა ღონემიხდილ მომაკვდავივით.

მდინარის გაღმა მოსჩანდა ვარდისფერ ცის ტატნობზე ასუდრული ალვის ხის ჩოხჩხი და შორეული სოფლის მინარეთი... ზარივით გადასძახა მოლამ თოვლით გასუდრულ შამქორის ველებს ყურანის სიტყვები: „ლა იალაჰ იჰლალაჰ მაჰამედინ რასულილაჰ." შემდეგ ისევ სიჩუმე და მყუდროება დამკვიდრდა.

სიჩუმე დაარღვია ცხენების თქარათქურმა. ბანაკისაკენ მიდიოდენ ჭენებით: თავადი მაღალოვი, აფხაზავა, ექიმი რაფიბეგოვი და ოსმალეთიდან ჩამოსული მაიორი; მთავარ შტაბს მისდევდა ამალა: ბრბოების ხელმძღვანელი აბას აქბერზადე, ჯაფარ მამედზადე, იდრის ახმედოღლი, ხალილ კარახმაზლი, ნასრადინ ყულიევი, არტილერისტები და ცხენოსანი ჯარის ოფიცრები.

შავგვრემანი და ჩასუქებული ბეგები აღარ ი'შორებდენ ხის ბუდეში ჩაგებულ მაუზერს. ტანზედ ემოსათ მხეცის ქურქი. ირხეოდა კრაველის ქუდით დახურული ცხენოსანთა თავები და მიჰქროდენ თავგამოდებით გავაჩასქელებული, კუდგამოსკვნილი იორღა ცხენები.

ცხენები მიუახლოვდენ რკინისგზის ლიანდაგს. შეიარაღებულმა გლეხებმა იცვნეს თავისი წინამძღოლი ექიმი რაფიბეგოვი და მისი ამალა, წამოსცვივდნენ და ყვირილი მორთეს; რაფიბეგოვი მიესალმა მათ; აუხსნა შექმნილი მდგომარეობა და მუსულმანთა ბრბო გაამხნევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ურუსლარ მაჰ ოლურლარ... (დაიღუპება რუსები).

— იაშასუნ! (ვაშა) — შესძახა ბრბომ ისევ რაფიბეგოვს.

რაფიბეგოვისა და მისი ამხანაგების წასვლის შემდეგ შეიარაღებული რაზმელები მოუსხდნენ აქა-იქ გაჩაღებულ კოცონს; თავზედ ბუხრის ქუდი ეხურათ; ზოგს ჩოხა და ქურქი ეცვა; ზევიდან ნაბადი, ქეჩა და მაზარა წამოესხათ. ტანზე ფალასკები შამოეკრათ და ასკერთა კარაბინა, რუსების შაშხანა-თოფი საყვარელ შვილივით მიუხუტებიათ მკერდზე. ასე ელოდენ ეშელონებს... სადღაც ისმოდა დაფის ხმა, თარი და კრინით თქმული ბაიათი... შემდეგ ესეც შესწყდა და ბანაკმა ჩაიძინა.

არ სძინავდათ მარჯვენა ფრთის გუშაგებს: ჰუსეინს და მაჰამედს. ჰუსეინის გაჭვარტლული სახე ძალიან ჰგავს სხვენზედ ატანილ და ქარით დაბზარულ ხაპს. წვრილი თვალებით დასჩერებია ცეცხლს და ვინ იცის რეებს ჰფიქრობდა და ჰკითხულობდა შამქორის ველზედ გაჩაღებულ კოცონის ღადარში? იქნებ თავის წინაპართა ყოფნას შაჰ-აბაზის და შაჰ-თამაზის ლაშქრობაში?! მაჰამედის სახეზედ თავგატეხილ ბაყაყივით განართხულა ფართო ცხვირი... ვარსკვლავთმრიცხველივით შეჰყურებდა ცის ტატნობს და დიდი რვილის საშუალებით ეძებდა ჩრდილოეთს... შემდეგ წყვდიადით მოცულ დასავლეთიდან წამოსულ ღრუბლებს გაჰხედა და ცუდი ამიდი იწინასწარმეტყველა...

— გათენდეს მაინც!—უპასუხა ჰუსეინმა და მანაც ცის ტატნობისკენ აღაპყრო თვალი.

ცითგან მოწყვეტილი ვარსკვლავი გადაშორდა ალვის წვერს; ეთერში ცეცხლის ხაზი აენთო; მეტეორი ისარივით დაეცა მაჰამედის თვალს და აუწვა. ცრუმორწმუნე გლეხმა ბევრი რამ ინატრა, მაგრამ მეტეორები ჰქრებიან და დღემდე არავითარი სასწაული არ მომხდარა...

— ახლოს დავარდა!—სთქვა მაჰამედმა.

— ალაჰ!—დაიძახა ჰუსეინმა და დააცქერდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, რომელიც მალე დაჰფარა ღრუბლებმა.

— ვინა ხარ? — დაიძახა მაჰამედმა და თოფი მოიმარჯვა, მაგრამ იმავ წამს იცნო ჰასანი, მისი ამხანაგები და გაიცინა:

— რა ამბავია სადგურში?

— დარბაზი საესეა ბეგებით და ქართველი კომანდირებით. რაფიბეგოვი, თურქი კომანდირი, მალალოვი და აფხაზავა რუსულად ლაპარაკობენ, ალბათ ხვალინდელი დღის შესახებ.—სთქვა ჰასანმა...

ჯავათ და რაჰმათულა ცეცხლს მიუსხდნენ. შუაში მელიასავით ჩაცუცქდა პატარა ტანის ჰასან. მას ეცვა ნაცრისფერი დაბამბული ქურთუკი, წუღა და ფერადი ძაფით მოქსოვილი წინდა; წინდის ყელში ჩატანებული ჰქონდა შალვარი. თავზედ დიდბეწვიანი ბუხრის ქუდი ეხურა, რომელსაც სავსებით დაუჩრდილავს ზანგივით შავი და მუქში ჩასატევი პატარა სახე. გაპარსული ნიკაპი და გამოლადრული ცხვირის ნესტო შეუჭამია ყვავილ-ბატონებს. კვერნასავით პატარა თვალებზე ანთებიანი და აქა-იქ დაგლეჯილი ქუთუთო ირხეოდა. ულვაშის ორიოდე გძელი ღერო თაგვის კუდივით გადმოჰკიდნია ბაგეთა კიდეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერ გამიგია, ქართველები როგორ გაჩნდნენ ჩვენს მხარეზეო — ასეთ ქვა ჰასანმა.

— რატომ?—შეეკითხა მაჰამედ.

— რუსი და ქართველი ხომ ორივე ქრისტიანია?—იკითხა ჰასანმა, ცეცხლს დააცქერდა და ფიქრებს მიეცა; მაგრამ ოთხკუთხედ თავის ქალაში მოთავსებულ პატარა ტვინს უჭირდა ფიქრი, აზროვნება და უტვინო თვალებს პირუტყვივით ნაბავდა. ყალიონის ბოლო ღრმად ჩაისუნთქა, გადაყლაპა და თავბრუ დაესხა. თვალები სულ მთლად უაზროდ გაუშტერდა და ქვედა ბაგე ბებერი ცხენის დამბლადაცემულ ქვიქვირივით ჩამოეკიდა; ხახის ღრუში თუთუნით დაგროვილი ნერწყვი და ლეზვი გადმოდინდა, ბაგეზე ჩამოეკიდა და ღადარში გაპურჭყა...

— როდესაც თურქები მოვა, სომხები უნდა ამოვწყვიტოთ... მაგრამ ქართველიც ხომ ქრისტიანია?—დაიწყო ისევ ჰასანმა.

— გურჯილარ ბიზიმ ყარდაშლარუმმუზ დურლარ. (ქართველები ჩვენი ძმებია).—უპასუხა რაფიმეგოვის სიტყვებით მაჰამედმა.

— ქართველები წინად მუსულმანები ყოფილან. თურქების ხელქვეითი იყვნენ და როდესაც გურჯისტანი რუსებმა დაიპყრეს, ამათ გაუქრისტიანებიათ.—ჩაერია ლაპარაკში ჰუსეინ.

— კარგი ვაჟკაცებია!—სთქვა ჯავათმა, მაღალოვი და აფხაზავა ახსენა; ჯიბიდან ბადი-ბუდი ამოიღო და ხახისაკენ გადაუძახა.

— შეითან კომანდირ!—უპასუხა ჰასანმა. კვერნას თვალებივით პატარა თვალი შეათამაშა, ტუჩები მელიასავით ააცმაცურა...

— ქართველებს ისე სძულთ სომხები და რუსები როგორც ჩვენ!—დააიმედა ჰასანი მაჰამედმა.

— მსუქანი და თეთრი ქალები ჰყავთ იმ ოხერ რუსებს, გავაჩასქელებული!—ჩაიხითხითა რაჰმათულამ და ხონჯრიანი შალვარის უბე გამოიქექა.

ჰასანს ღადარზე შეჩერებული თვალები გამხმარ ჭანჭურივით მიეჭყუტა, თვალი აეცრემლა და რაჰმათულას სიტყვებზე ბავშვივით გაიღიმა... იამა...

ქუდი მოიხადა. თავი დუთმასავით გაგრძელებული ჰქონია; აზრი შიგ არ მოიცდიდა, მაგრამ მით უფრო გასაკვირი იყო ამ თავში დაბადებული აზრი: ჰასანის გამოგონება—„ჩანგალი“. ამ გამოგონების „პატენტი“ მხოლოდ მას ეკუთვნის.

ანკესივით მოღუნულ და ორკავიან ჩანგალს პირველად მან გამოაბა თოკი; ალვის ხეს შემოახვია და საღამოჟამს შამქორის ახლოს ხრამში ჩაცუცქული უცდიდა ეშელონს; რონოდის სახურავზე მჯდარ უიარაღო ჯარისკაცებს ესროლა; ჩანგალის კავი ანკესივით მოედო ჯარისკაცის მაზარას; ალვის ხე შეირყა, თოკი დაიჭიმა, ანკესმა მძლავრად მოიქნია ჯარისკაცი და საბრალო რუსი რონოდის სახურავიდან მიწაზე გადმოაგდო. ძვალგატეხილი და თეძოამოვარდნილი ჯარისკაცი ხაფანგში გაბმულ ნადირივით ყვიროდა და ფაფხურობდა; ჩანგალი მოიძრო და ადგომა სცადა, მაგრამ გადატეხილი ფეხი აღარ ემორჩილებოდა. მატარებელს არავინ აჩერებდა და მეშველიც არსად სჩანდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტოკა ერთი ადამიანის მარცხი ფრონტსა და ომის ჯარიანებში მყოფ ჯარისკაცებს უმნიშვნელო ამბავად მიაჩნდათ...

იგი წვეთია ზღვაში!

— Сорвался! (მოწყდა)—სთქვა ერთმა დამშვიდებით.

— არა, გადმოაგდეს, ურწმუნოებმა, მე დავინახე!—უპასუხა მეორემ.

— Глянь, как барактается?! (შეხედე, როგორ ფართხალობს?!)

— Поймали! Арканом его..! (დაიჭირეს... საგდებელით!)

— რას უზამენ?

— თავს მოსჭრიან...

— ტანსაცმელს გახდიან და შიშველს დააგდებენ...

— Бедненький! (საცოდავი.)— ჩაილაპარაკა ჩუმად მისმა ამხანაგმა და თვალზე ცრემლი მოადგა.

მატარებელი მიდიოდა...

— Ох, проклятые! (ოხ, წყეულები!)—ჩაიქნია ხელი ჯარისკაკმა და ამის შემდეგ ჩანგალით გადმოგდებული ამხანაგი არავის გახსენებია.

ეშელონი განაგრძობდა ბაქოსკენ სვლას...

დედამიწაზე წამომჯდარი, დასახირჩებული ჯარისკაცი ამაოდ ყვიროდა და ითხოვდა შველას.

ჰასანი მივარდა და ფართო ხანჯალით გაუპო კეფა. სისხლი შადრევანივით წამოვიდა, გადმოიღვარა, თვალის უპეებში ჩაუდგა და დაიკვეთა. ჰასანმა ტალახიანი ქუსლი მუცელზე მაიბჯინა და იუხტის ჩექმები გახადა. შემდეგ ტანსაცმელი: ხალათი, შალვარი და საცვლებიც გააძრო. მახორკის სუნით განოყილ სალდათის მაზარაში შეჰხვია, ფუთა იღლიაში ამოიდო და ნადირობის შემდეგ როგორც მგელი ძუნძულით ხრამისაკენ დაეშვა; ღელე-ღელე იარა და თავის სოფელს მიაწურა.

ლინდაგთან დარჩა თავგაპობილი ახალგაზრდა რუსი...

მეორე დღეს, დილიდანვე მის მკვრივსა და თეთრ ტანს შამქორის შავი ყორნები კორტნიდენ...

არავის დაუტირებია...

ეშელონის რონოდის სახურავზე მხოლოდ ერთი სიტყვა იყო თქმული ამხანაგის მიერ, სიტყვა რუსული სინაზით სავსე: „Бедненький!“ (საცოდავი).

ჰასანის გამოგონება—ჩანგალი მალე მოედო რკინისგზის ახლო მდებარე სოფლებს... ბრბოები ნადირობდენ რუს ჯარისკაცებზე ჯერ ჰასანის ჩანგლებით, შემდეგ ხაფანგებით და ხანჯლით, ხოლო როდესაც ეს ხალხი ბეგების მიერ შედგენილ რაზმელებს შეუერთდა და თოფებით შეიარაღდა,—განიარაღების ნაცვლად რუს ჯარისკაცთა მასიური ხოცვა-ჟლეტა და სამხედრო ქონების ცარცვა-გლეჯა დაიწყო.

ამ ხნობით ჩადენილი სიმხეცე ადამიანს თავზარსა სცემს: ჭა და ხრამები სავსე იყო ჯარისკაცთა დასახიჩრებული გვამებით, ზოგიერთ გვამს პირში მისივე მოჭრილი ასოს აჩრიდენ... ამიტომ ეხლა უკვე ეშელონები შინ იარაღით მიდიოდენ და იარაღს არავის დაანებებდენ...

ღამე იყო ბნელი და ცაზე ანათებდა გარღვეულ ღრუბელს შორის გამოჩენილი ერთად-ერთი ვარსკვლავი... ბოლოს ისიც ჩაქრა... აქა-იქ ანთებული კოცონიც მიიჩუეა და შამქორის ველი მოიცო წყვიადმა და სიჩუმემ... სძინავდა მუსულმანთა ბანაკს, მაგრამ ამ ღამით არ ეძინათ ეშელონებს...

XIII

ამ ჟამად სადგურ ალსტაფაში იდგა სამი ეშელონი, ხოლო დალიარში — შვიდი, რიცხვით — ათი ათასი ჯარისკაცი.

ბოლშევიკების კომიტეტები დაუღალავად მუშაობდენ: ავრცელებდენ გასახვევ ქაღალდზე დაბეჭდილ „პრავდას", ნაცრისფერ გაზეთებს, ბროშიურებს და სათანადო ლიტერატურას; მარტივი და გასაგები ენით უქადაგებდენ ჯარისკაცებს იმპერიალისტური ომისა, ზავისა და რევოლიუციის შესახებ... ეშელონების დიდი უმრავლესობა სავსებით გაბოლშევიკებული იყო და რევოლუციის მხარეზე იდგა. ისინი ერკვევოდენ ლენინის ლოზუნგების მნიშვნელობაში... თანდათან იკიდებდა ფეხს ბოლშევიკური შეგნება და გვარიანი წესრიგიც სუფევდა.

ისინი ისწრაფოდენ ბაქოსკენ, უარს აცხადებდენ განიარაღებაზე, ვინაიდან შეგნებული ჰქონდათ ამიერკავკასიის მთავრობის მიერ განზრახული განიარაღების მიზანი, აქედან გამომდინარე დაბრკოლებანი, როგორც საერთო საქმისათვის, რევოლუციისათვის, აგრეთვე პირადათ მათთვის. ეშელონებს უნდა გაეარა ოზხაზავას ჯავშნიანი მატარებელის და რაფიბეგოვ-მალალოვის ბრბოების წინაშე. მოწინავე ეშელონებს სასტიკი ბედი ეწვიათ... ყოველ დღე მოდიოდა ალმაშფოთებელი და ვერაგული თავდასხმის ამბავი. ბაქოს გზის გადაჭრის გამო ჯარისკაცები ნერვიულობდენ და ადგილობრივი მუსულმანების მიმართ ზიზღითა და ბრაზით იმსჭვალებოდენ... ასეთი დაჭიმული მდგომარეობის დროს ფეხს იკიდებდა ეროვნული შუღლიც, რომელსაც კიდევ უფრო აღვივებდენ მედროვენი და პრავაკატორები.

ჯარისკაცები მოუთმენლად ელოდენ შამქორში მოსალაპარაკებლად გაგზავნილ დეპუტატების პასუხს, ვინაიდან ამასთან მჭიდროთ იყო დაკავშირებული მათი ფიზიკური არსებობის შენარჩუნების საკითხი...

სურსათ-სანოვაგე დაილია. ჯარისკაცები მარტოკა გამხმარ „სუხარს" ახრამუნებდენ და ქერისა და თივის უქონლობის გამო ცხენები ყოველ დღე იხოცებოდენ...

ეშელონების წარმომადგენელნი: ბორის ბელაგორსკი, სერგო პაპოვი, სტეფანე კრუგლოვი, პეტრე ლაპატინი, ვანო მახათაძე, მემანქანე ლეჟავა და გედეონ არუთინოვი მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩასცვივდნენ. ზემოდ აღნიშნული დეპუტატების უმრავლესობა იყო კომუნისტური პარტიის წევრები. დეპუტატებმა აშკარად დაინახეს მოწინააღმდეგე ბანაკის რაოდენობა და საომარი განწყობილება. მშვიდობიანის გზით ბაქოსკენ გამგზავრება აღარ ხერხდებოდა. ჯარისკაცთა დეპუტატების წინადადება, რომლის მიხედვით ჯავშნიან მატარებელს უნდა ჩაეარა სადგურ ალი-ბაშლი და შამქორს შორის თავშეყრილ ეშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონების წინაშე აფხაზავამ უარყო. მოწინააღმდეგე ბანაკს ამრიგად რჩებოდა უპირატესობა—ჯავშნიანი მატარებელი, რომელიც ჯიუტობდა და ამით ხელს უწყობდა ნაციონალურ ანტაგონიზმს.

— ნაციონალური ჯარები ეხლა იწყებენ ომს, ჩვენ კი სისხლის ღვრა ნოგვწყინდა!—ამბობდა შამქორიდან დალიარისაკენ მომავალ მატარებელში მსხდომი ბელაგორსკი ნალვლიანის ხმით.

— ჩვენ ვერ ვენდობით მათ... თუ ხვალ აფხაზავამ პირობა დაარღვია და ორ ეშელონზე მეტი გაანიარაღა,—საკითხს იარაღი გადასჭრის.—უპასუხა პაპოვმა. ორთქლმავალზე მიბმული იყო ერთი რონოდი რომელშიაც ისხდნენ ბელაგორსკი და მისი ამხანაგები. ორთქლმავალი მიჰყავდა კომუნისტ მემანქანეს ლეჟავას. რკინისგზის ხაზზე გაშლილ ბრბოებმა თოფები მაღლა ასწიეს და ყიჟინით გააცილეს მატარებელი. ბელაგორსკიმ გაიხედა ფანჯარაში, მის თვალში ტრიალებდა ათასი ფიქრი შამქორის ველივით. მზე ჩავიდა. შორს მოსჩანდა ვარდისფერი ცა. „რა პასუხი უნდა ჩაუტანოთ დალიარში მყოფ აღელვებულ ჯარისკაცებს? ავაშორებთ თუ არა ეშელონებს აფხაზავასთან და მუსულმანურ ბრბოებთან კონფლიკტს? მშვიდობიანობის გარდა ჩვენ არაფერი არ გვინდა, მაგრამ თუ თავს დაგვესხენ და გვიღალატეს...“—არ დაუმთავრებია ფიქრი ბელაგორსკის და მემანქანემ ასტეხა ორთქლმავალის კივილი... ბელაგორსკის შერცხვა მუსულმანურ ბრბოების წინაშე შიშისა და ფანჯარში მოწყენილი ცქერის... თვალწინ მიჰქროდა ისევ შამქორის ველი, ტელეგრაფის სვეტები და მავთულები, რომელიც გადაჭიმულა ტფილისიდან ბაქომდე, ბაქოდან მოსკოვამდე, ოქტომბრის რევოლიუციის დედაქალაქამდე. ბელაგორსკიმ ზედიზედ მოსწია თუთუნი, გლარჯის ანთებული მილი მარცხენა ხელისგულზე დააკრო, კისრის ძარღვები ტკივილით დაეზიდენ, გლარჯა გრძელი თითებით დაჰკუჭა, მაგრათ დაბაგუნდავა და იატაკს შემოჰკრა...

— უსინდისო, თავხედი შტაბ-როტმისტრი... პირწავარდნილი კონტრრევოლუციონერია! რა დათმობაზე არ წავედით, მაგრამ სჩანს მთლიანად ჩვენი განიარაღება განუზრახავთ... საშველი არ არის... ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ თავდაცვა. უნდა გავსწინდოთ ბაქომდე რკინისგზის ხაზი... ჩვენს შემდეგ აქ ასიათასი ჯარისკაცი გაივლის... ფრონტიდან მომავალი არმია უვნებლად უნდა ჩავიდეს თავისუფალ სამშობლოში... ამხანაგებო, ვილაპარაკოთ მოსალოდნელ შეტაკების შესახებ... რა გზას დავადგეთ? როგორ მოვიმოქმედოთ?—სთქვა ბელაგორსკიმ და ქუდი მოიხადა. მისი ღუნღლივით რბილი თმა იყო მწიფე პურის ყანის ფერი; თვალები ცისფერი და ფანჯრის მოაჯირზე დარჭობილ სანთლის შუქით ელვარე; სანთელი ანათებდა პირისახის ამომორცვილ ნაწილებს: თეთრსა და მაღალ შუბლს, თვალის უპეთა ქვეშ წინგამოწვდილ ძვლის ხრიოკებს, ხოლო ოქროსფერი წვერ-ულვაში კიდევ უფრო ჩრდილავდა დაღლილ და დაქანცულ ბელაგორსკის ჩაცვენილ ლოყებს. ყოფილი სტუდენტი, რევოლუციონერი, და ციხეში ნამყოფი ბელაგორსკი ოცდაათი წლის ან ცოტა მეტი ხნის კაცი თუ იქნებოდა...

— მე ვფიქრობ, ჩვენ ვიჩენთ სიმუხთლეს და გადაჭარბებულად ეგვმინია ჯავშნიანი მატარებლის.—სთქვა პაპოვმა. ეს მაღალი და გამხდარი კაცი იყო ცნობილი ტეროორისტი და ოვითპყრობელობის დაუძინებელი მტერი. იგი ყოფილი ზეინკალია. მის წითურ, დანაოჭებულ სახეს, შვრიასავით პატარა, ირიბსა და ფოლადისფერ თვალებს ბევრი რამ აუტანია და უნახავს. პაპოვს უყვარს ძლიერი განცდები. ფიცხია, სასტიკი და დაუნდობელი; როდესაც არაყს გადაჭრავს და მაღლა აზიდული დიდი ცხვირი ლურჯად შეუსივდება, მაშინ ტყვია და ცეცხლიც ვეღარ დააკავებს; მაგრამ თუ საჭიროებამ მოიტანა, ძალზედ თავშეკავებული და აუღელვებელია; პატარა, ირიბ თვალებს კიდევ უფრო დახუჭავს, ნემსის ყუნწივით დააწვრილებს, სახეზე ორჭოფი ღიმილი აღარ შორდება და, რა გინდ ცუდ მდგომარეობაში არ უნდა იყოს, მისი გოხება ჯოჯოხეთურად მუშაობს.

ბურთივით მგვრალი, შავგვრემანი და ჩასუქებული კრუგლოვი მარტივი, სადა და მშვიდობიანი ადამიანია. მას არ აქვს პაპოვისა და ბელაგორსკის ხასიათის სიმტკიცე და დათმობაზეც უფრო ადვილად მიდის.

— ჯავშნიანი მატარებელი მუსულმანთა უპირატესობაა... მას შეუძლია დიდი ზიანი მოგვაყენოს... ჩვენი ბარბაზნები რონოდებზე დგას და არსებითად უმოქმედოა... თოფითა და ტყვიაფრქვეველით კი ვერაფერს დავაკლებთ.— უპასუხა პაპოვს კრუგლოვმა.

— თუ თავიანად ვიქნებით რონოდიდან ზარბაზნების ჩამოღება ძნელი საქმე არ არის. რას იტყვი, პეტია?—შეეკითხა პაპოვი ლაპატინს, არტილერიის ახალგაზრდა პოდპორუჩიკს.

— რა თქმა უნდა, საჭიროა მხოლოდ ლიანდაგის დროზედ აყრა, რომ ჯავშნიან მატარებელს არ მიეცეს ჩვენთან მოახლოვებისა და რკინისგზის ხაზზე მიმოსვლის საშუალება.—უპასუხა პეტიამ.

— ზარბაზნები მუსულმანურ ბრბოებს არ უნდა ჰქონდეს!..—სთქვა ვანო მახათაძემ. იგი ძნელად თუ გამოირჩეოდა რუსისგან: მოკლე ცხვირი, ცისფერი თვალები, თეთრი და ჭორფლიანი გამხდარი სახე. ჯარისკაცის მაზარა ხომ ყველას თითქმის ერთნაირ იერს აძლევს! ვანო მახათაძე იყო გამოგზავნილი ტფილისის კომიტეტის მიერ ეშელონებში სამუშაოდ.

— მგონი ტფილისიდან რამოდენიმე არტილერისტი გაუგზავნიათ მაღალოვისათვის.—უპასუხა ვანოს ლაპატინმა.

— რა იცი?

— შამქორში თვალი მოვკარი არტილერიის ოფიცერს და ორ ნაცნობ ჯარისკაცს. შენ კარგად უნდა იცნობდე იმ ჯარისკაცებს.

— ვინ არიან?

— სანდრო ხოტივარი და კორნელი.

— შეუძლებელია.

— ცხენებით ჩაიქროლეს ჩვენ წინ.

— არამზადები!—დაიძახა ბრაზით მახათაძემ, ვინაიდან მართლაც კარგად იცნობდა ტფილისში ყოფნის დროს ორთავეს, მაგრამ ბელაგორსკის, პაპოვს, კრუგლოვს და არუთინოვს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ სანდრო და კორნელის შესახებ და ამიტომ პაპოვი დაუბრუნდა საუბარის მთავარ საგანს.

— წინ გაუშვათ ფეხოსანი ჯარის ნაწილები.. საარტილერიო ეშელონი სადგურიდან მოშორებით უნდა იდგეს.. თუ ორი ეშელონის განიარაღებას არ დასჯერდენ, კონფლიქტი უთუოდ მოხდება... შეტაკების დროს ჩვენ უნდა მოვასწროთ რონოდიდან ზარბაზნების გადმოზიდვა.. ეს საქმე შენ უნდა დაიკისრო, პეტია.

— მესმის!—უპასუხა ლაპატინმა პაპოვს.

პეტრე ლაპატინი იყო მრეცხავი ქალის ევდოკიას შვილი. პეტრეს ჰქონდა წვრილი ნიკაპი და პატარა ტუჩები, პირისახის ზედა ნაწილი კი ფართო და განიერი, იგი იყო დედასავით გულკეთილი, სუფთა და საქმის ერთგულად შემსრულებელი. ევდოკია სცხოვრობდა ესტატე მაჩაბელის ბინის ქვეშ, პირველ სართულზე—სარდაფში. იგი ადრე დაქვრივდა. მისი ქმარი იყო მემანქანე. უკანასკნელის დაკარგვის შემდეგ ევდოკია თავისი შრომით და ოფლით ზრდიდა ერთად ერთ შვილს, რომელიც გიმნაზიაში მიაღებინა მასწავლებელმა სტეფანე შიმანსკიმ. მეექვსე კლასამდე კორნელი და პეტია ერთად იყვნენ. შემდეგ კი პეტია შევიდა სამხედრო სასწავლებელში, რომელიც დაასრულა 1915 წელს; ოფიცერი გახდა და აი, ეხლა სადგურ დალიარის ახლოს რევოლუციის მხარეზე მდგომ ეშელონების დაცვას კისრულობს.

პაპოვის გეგმა მოიწონეს. დეპუტატების მოთავარ საზრუნავ საგანს შეადგენდა აღელვებულ ჯარისკაცთა დაწყნარება და მათგან თანხმობის მიღება ორი ეშელონის განიარაღებაზე. იმ შემთხვევაში თუ ეშელონები ამ წინადადებას უარყოფდენ, მაშინ სისხლის ღვრა და ომი აუცილებლად დაიწყებოდა.

მეტად რთული და საპასუხისმგებლო საკითხი უნდა გადაეჭრათ დეპუტატებს.

მატარებელი უახლოვდებოდა დალიარს და ხათქანით მიარღვევდა წინააზიის გზაზე მდებარე აზერბეიჯანის ჩალამებულ ველებს.

რკინისგზის ხაზთან ახლოს მდგომი მუსულმანები თვალს ადევნებდენ ღამის წყვდიადში დიდის სიჩქარით მოძრავ ნათელ წერტილს.

იგი არ ქრებოდა.

იგი იჩქაროდა დალიარისკენ, რათა მიეტანა ათიათას ჯარისკაცთათვის ერთად-ერთ რონოდაში მსხდომ დეპუტატების უკანასკნელი სიტყვა და გადაწყვეტილება.

შეიარაღებული ყაჩაღები ვერ ხედავდენ სანთლისა და ნათელ წერტილის ირგვლივ თავშეყრილ კრებას.

ისეთის სიჩქარით მიჰქროდა რონოდის განათებული ფანჯარა და მის მოაჯირზე დარჭობილი სახთელი, რომ შეუძლებელი ხდებოდა მისი მიზანზე აღება.

პატარა სანთელი განუწყვეტლივ პარპალებდა რონოდის ფანჯარაზედ და არ ქრებოდა.

იგი ისწრაფვოდა ოქტომბრის აბობოქრებულ ზღვიდან მოწყვეტილ ტალღისაკენ, რომ აქ გამხდარიყო ფრონტიდან უკუქცეულ ჯარისკაცთათვის გზისმაჩვენებელ და ძლევამოსილ ჩირაღდნათ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატარებელი უახლოვდებოდა დალიარს.

ისმოდა პაპოვისა და კრუგლოვის ხმადაბალი ლაპარაკი.

არუთინოვი უსმენდა მათ.

ბელაგორსკი ისევ ზედიზედ სწევდა თუთუნს და ჰღელავდა.

ლაპატინი უძრავი თვალებით მისჩერებოდა სანთელს და ჰფიქრობდა პაპოვის მიერ დაკისრებულ ამოცანის შესახებ.

სუსტი აგებულობისა და უძილო ღამეებით დაქანცულ ვანო მახათაძეს თავი ღრმად ჩაუკიდნია. მაზარის საყელო მიბჯენია გამხდარსა და გრძელ კისერს; ზედ გაწოლილა კომშის ხის წნელივით დაგრეხილი, წვრილი და სისხლით გაბერილი ძარღვი.

— შეხედე ამ ხულიგნებს!? სანდრო ხოტივარი რომ წყალწაღებული იყო ეს კარგად ვიცოდი, მაგრამ კორნელის რაღა დაემართა? თუმცაღა აზნაურის, მდიდარი ექიმის და მემამულის შვილი რომ რევოლუციის მტერი აღმოჩნდეს ეს რა გასაკვირია?—ჰფიქრობდა ვანო მახათაძე და შემდეგ პეტია ლაპატინს მიმართა:— „პეტია, მართლა ნახე კორნელი და სანდრო?“

— ნამდვილად. ისინი იყო.. იმათ ვერ მიცნეს! საინტერესო შეხვედრა იქნება... იქნებ ტყვიაც კი ვესროლოთ ერთმანეთს.. სკოლის ამხანაგი ამხანაგის წინააღმდეგ! რა გაეწყობა? ასე იცის რევოლუციამ!—სთქვა პეტიამ და მოაგონდა ტფილისი, გრიბოედოვის ქუჩა, დედა ევდოკია, ესტატე მაჩაბელი, ვარდო, ნინო, კორნელი და მისი ამხანაგები.

მოაგონდა სარდაფი, სადაც დედა მისი დღე-ღამე რეცხავდა და აუთოვებდა თეთრეულს. ოთახში: ლოგინზე, სკამზე და იატაკზე ჰყრია გარეცხილი და გაურეცხელი თეთრეული; ტაშტზე—გაწურული და თოკზე გადასაკიდი. ოთახი ეიწროა და შიგ ოხშივარი და შეხუთული ჰაერია. რკინის გახურებულ ფეჩზედ დგას წყალით სავსე ვედრო. ყველგან ტაშტები და კუთხეში—ლახანი. პეტია ზის მაგიდასთან და გაკვეთილს სწავლობს. კუთხეში: ისევ მოსჩანს ლახანზე დახრილი დედის ჭაღარა თავი, რომელიც განუწყვეტლივ ირხევა, გამხმარის ხელებით ჩიჩქნის და რეცხავს ევდოკია თეთრეულს. საკვირველია საიდან აქვს ამ ჩია და სუსტ მოხუცს ამდენი ძალა?! მისი ხელები მუდამ გაქაფულია და ცხელი წყალით მოხარშული, გამხმარ ხელებზე და დაკოჟრილ თითებზე ლილისფრად დაბორცვილა ძარღვები.. გველთა მურგვივით იხლართებიან ორთავ ხელის ტყავის ქვეშ გასივებული ძარღვები. „საბრალო დედა!“—გაიფიქრა პეტია ლაპატინმა, მაგრამ დედაზე ფიქრი დიდხანს ადარ დასჭირებია. გამოჩნდა სადგური დალიარიც.

გული ტოკავდა დიდი ამბების მოლოდინით.

დეპუტატებს გარს შემოეხვივნენ ჯარისკაცნი.

თითოეულ მათგანს სურდა გაეგო შტაბ-როტმისტრ აფხაზავასთან, პოლკოვნიკ მაღალოვთან და ექიმ რაფიბეგოვთან გამართული მოლაპარაკების შედეგი.

ეშელონებმა გადასწყვიტეს დიდი მიტინგის მოწყობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XIV

ზამთრის ბნელი ღამე იყო.

დალიარის სადგურთან შორს მდგომი ეშელონები ფეხდაფეხ გამოეშურნენ დ. ნიშნულ მიტინგზე.

აქა-იქ ენთო გრძელ ჯოხზე მიმაგრებული ჭრაქი.. ეს არტილერისტების ღამით სავლელი ჩირაღდნებია.. რამდენი ღამე უვლიათ ასე სპარსეთ-ოსმალეთის მთასა და ღრეში?

გაშლილ მინდორზე მოდიოდა რამოდენიმე ათასი ჯარისკაცი რევოლუციონური სიმღერებითა და ლოზუნგების ძახილით.

ჩირაღდნებს უბერავდა და აღვივებდა აზერბეიჯანის ველებზე მოთარეშე და სუსხიანი ქარი. ჯარისკაცთა სვლა ჰგავდა „ფაკელცუგს".

მაგრამ ეს იყო არა საზეიმოთ გამოსული ხალხის სვლა, არამედ დიდი რუსეთიდან მოწყვეტილი ტალღის უკუქცევა ოქტომბრის რევოლუციისაკენ. შესძლებს თუ არა კავკასიონის ქედების მიღმა გადასროლილი და აზერბეიჯანის ტრამალზე გაბნეული ეს ტალღა პირუკუქცევას და შეერთებას მშობელ სტიქიასთან? თუ მას შესრუტავს გაუმაძღარი დედამიწა?

მეტად შორს არის რუსეთი! ვინ იცის, იქნებ: აღქაფებითა და ამხედრებით წამოსულმა ჯარისკაცებმა ვერც კი გაირკვიონ ჩირაღდნებით ეს ბნელი ღამე? მაშინ ყარაია-აღსტაფა-შამქორის ტრამალზე სამუდამოთ დარჩება მათი უსულო სხეული. ზაფხულზე ჯარისკაცთა ჩონჩხსა და ძვლებს დამარხავს ალხიანი სილა და ხრეშით აზერბეიჯანის ქარი, ხოლო ზამთრობით პირმოკუმულ და დამუნჯებულ ცის ქვეშ დაჰხრავს მგელთა ჯოგი და ხროვა!

ზამთრის ბნელი ღამე იყო..

ცა მოღრუბლული..

ეშელონები მოდიოდენ ფეხდაფეხ..

ჩირაღდნებს აღვივებდა ქარი. ალი ანათებდა ჯარისკაცების სახეს. ირხეოდა ათასი ბუხრის ქუდი და ათას ჭივ-ჭავთა ფრთებივით კალთებგაშლილი მაზარა.. ხრიოგიან ყბის ძვლების ზემო ელავდენ ნაცრისფერი, ვიწრო და მონღოლივით ირიბი თვალები.

ჯარისკაცები სწევდენ თუთუნს: ფართო ნესტოებით და ხახით აბოლებდენ; ბოლს ემატებოდა ვაჟკაცთა ჯანსაღ ფილტვიდან საბერველივით ამოსუნთქული ჰაერი, ორთქლი; ცხელი კამარა შადრევანივით აპობდა ზამთრის ცივ ჰაერს.

მოდიოდენ ათასები.

ეს მხოლოდ მცირე ნაწილია! ოსმალეთის ფრონტიდან ჩრდილო კავკასია და რუსეთისაკენ მიეშურება ასი ათასი ჯარისკაცი; მიდიან დაქადნებით და ბრძოლის სურვილით მასთან, ვინც გამოგზავნა ისინი სასაკლაოზე... რა დაიმაგრებს ამ გოლიათ და აზვირთებულ ტალღას?

იდგა ჩექმების ბრახუნი და სველი თოვლით დაფარული ტალახიანი დედამიწა შრიალებდა ათასი ფეხის ნაბიჯის ქვეშ.

დალიარისაკენ მიდიოდნენ ჯარისკაცები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სადგურის წინ ეშელონია და ერთერთ რონოდის ბაქანზე ტრიბუნა აღუმართავთ. მარჯვნივ და მარცხნივ ჩირაღდნები დაურჭვიათ.

ჯარი გროვდება ტრიბუნის წინ.

დეე, კიდევ უფრო ჩამოიღამოს აზერბეიჯანის მოდრუბლული ცა!

ეს მიდამო მოწამე გახდება უცნაურ ხალხთა ყიჟინის, მქუხარე სიტყვებისა და მისწრაფების!

ჩირაღდნებით განათებულ რონოდის ბაქანზედ იდგა ბელაგორსკი; მის ამობორცვილ სახის კუნთებისათვის და ცისფერ თვალისათვის ჩირაღდნებს ცეცხლი წაუკიდნია და რუსული ქუდის ქვეშ შუბლზედ დაცვენილი თმაც ისე ლივლივობს, როგორც პურის თავთავი მზის სხივზე. ბელაგორსკის გვერდით დგას მაღალი ახოვანი პაპოვი; მისი სახე მოღუშულია და კუშტი. მისი სიტყვა ჯარისკაცთათვის კანონია. აგერ, პაპოვთან მივიდა ახალგაზრდა პოდპორუჩიკი, პირტიტველა პეტრე ლაპატინი, რომელიც პაპოვს უყვარს უმცროს ძმასავით. აქვეა: კრუგლოვი, მახათაძე, არუთინოვი და სხვა.

მიტინგი გახსნა ჯარისკაცმა. მას ჰქონდა მორგვივით სქელი კისერი, მოღუშული და ბრაზით შეკრული შუბლი. თავმჯდომარეთ კრუგლოვი აირჩიეს. კრუგლოვმა მისცა სიტყვა ბელაგორსკის.

ბელაგორსკი ბაქანზე შეტორტმანდა და თვალი ჯარისკაცთა მასას ესროლა; ჩირაღდნებით მოსულ ჯარისკაცთა უკან აღმართულა უსაზღვრო ღამის შავი კედელი, მაგრამ ეს ბნელი ღამე და ჩაღამებული მიდამო გააპო საყვირივით ძლიერმა ხმამ:

— ამხანაგებო... — დაიწყო ბელაგორსკიმ და გააცნო ჯარისკაცებს აფხაზავა, მაღალოვთან და რაფიბეგოვთან წარმოებული მოლაპარაკება, მოწინააღმდეგეთა წინადადება და ჯარისკაცთა დეპუტატების პასუხი. დიდ უთანხმოებას იწვევდა ჯარისკაცთ შორის ორი ეშელონის განიარაღება.

ტრიბუნაზე წვერულვაშიანი ჯარისკაცი ავიდა; ის იყო თანამედროვე ბროშურებზე და გაზეთებზე აღზრდილი, საკმაოდ შეგნებული ბოლშევიკი და ჯარისკაცთა მასაში ავტორიტეტით სარგებლობდა:

— ამხანაგებო — მიჰმართა მან ჯარისკაცებს — ვინ გადაგვიჭრა ჩვენ ბაქოსკენ გზა? რა ხალხი გვებრძვის ჩვენ ფრონტიდან შინ მიმავალ ჯარისკაცებს?

— კონტრრევოლუციონერები! — შესძახეს ორატორს ჯარისკაცებმა.

— სწორედ რომ ისინი! — განაგრძობდა ორატორი, — მენშევიკები და მათი კარნახით მომქმედნი რაფიბეგოვი, თავადი მაღალოვი, შტაბ-როტმისტრი აფხაზავა, თავადები, ხანები და მონარქისტი ოფიცრები... რათ უნდათ მათ ჩვენი ეშელონების იარაღი და ტყვია-წამალი? მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციის ჩასახჩობათ.

— არც ერთი თოფი რევოლუციის მტრებს! — ყვიროდენ ჯარისკაცები.

— ამხანაგებო — დაიწყო მეორე ორატორმა — მე ძლიერ მიკვირს, როდესაც აქ ზოგიერთი ამხანაგი დათმობაზე მიდის და თანხმობას აცხადებს თუნდაც

ერთი ეშელონის განიარაღებაზე. ამხანაგებო, ეს იქნება ღალატი ჩვენ მომავალ ეშელონების წინაშე! ეს იქნება ღალატი წითელ არმიის წინაშე, რომელიც თავგამოდებით ებრძვის მუშათა კლასის და ღარიბ გლეხობის მტრებს, რომელთაც სურთ დაიბრუნონ წართმეული მიწები, ფაბრიკა-ქარხნები...

— ეს არასოდეს არ იქნება...— დაიძახეს ჯარისკაცებმა.

— ამხანაგებო,—მიჰმართა ჯარისკაცებს ორატორმა, —წითელი არმიის გამარჯვება მთელი ქვეყნის მშრომელთა და ღარიბ-ღატაკთა გამარჯვებაა. რაც უფრო ძლიერია წითელი არმია, მით უფრო ახლოა ომის დასასრული... ყველა ჩვენთაგანი სამშობლოში დაბრუნებისთანავე უნდა გახდეს წითელი არმიელი... გაუმარჯოს წითელ არმიას! გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციის ბელადს ვლადიმირ ლენინს... გაუმარჯოს საბჭოებს! გაუმარჯოს კაცობრიობის მხსნელ ჩირაღდანს—კომუნიზმს.

— გაუმარჯოს...—შესძახა ჯარმა. ჯარისკაცები აღტაცებით შეეგებენ ორატორის სიტყვებს და მზად იყვნენ იარაღით და საკუთარის მკერდით დაეცვათ რევოლუცია... აფხაზავა-მაღალოვისათვის და რაფიბეგოვის ბრბოებისათვის თუნდაც ერთი თოფის ჩაბარებაც კი არ სურდათ... ასეთი მდგომარეობის დროს ძალიან ძნელი იყო ჯარისკაცთა დათანხმება ორი ეშელონის განიარაღებაზე. დიდი კამათისა და შეხლა-შემოხლის შემდეგ ჯარისკაცები დასთანხმდენ მხოლოდ ორი ეშელონის განიარაღებას, მეტის კი—არავითარ შემთხვევაში... ეს გადაწყვეტილება და თანხმობა შეატყობინა ბელაგორსკიმ შამქორს... მაგრამ ეს თანხმობა შამქორმა გაიგო, როგორც ეშელონების სისუსტე, შიში და სიმუხთლე, რამაც კიდევ უფრო გააორკეცა შამქორის საომარი განწყობილება.

დალიარში ღამით გამართულ მიტინგზე საბოლოო სიტყვას ამბობდა სერგო პაპოვი. ჯარისკაცები სულგანაბული უსმენდენ თავის საყვარელ ამხანაგს, თავის „სერიოჟა პაპოვს".

— ამხანაგებო,—მიჰმართა ჯარისკაცებს პაპოვმა.— ჩვენთვის უკან დასახევი გზა აღარ არსებობს... ეს გზა დამღუპველია როგორც პირადათ ჩვენთვის—ეშელონებისათვის, აგრეთვე მთლიანად მთელი რევოლუციისათვის და მის მხარეზე მდგომ ხალხისათვის. უკან—კაპიტალის მონობაა, წინ—გამარჯვება და კომუნიზმი.

დღეს მუშურ-გლეხურ ქვეყანას აშენებენ საბჭოები... საბჭოები ეს ჩვენა ვართ—მუშები და გლეხები... ამიერიდან მიწა და ფაბრიკა-ქარხნები გვეკუთვნის ჩვენ, ყველა მშრომელთ. პაპოვი მარტივი და გასაგები ენით უნმარტავდა ჯარისკაცებს კლასთა ბრძოლის შინაარსს და თავის სიტყვა ასეთის მოწოდებით დაამთავრა:

— გაუმარჯოს საბჭოებს! გაუმარჯოს კომუნიზმის მსოფლიო ბელადებს: კარლ მარქსს, ფრიდრიხ ენგელსს, ვლადიმირ ლენინს!..

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას!

— გაუმარჯოს!—შესძახა ერთხმად ათასმა ჯარისკაცმა და აზერბეიჯანის მოღრუბლული ცა და ჩაღამებული მიდამო ისევ გაარღვია „რევოლუცია" და „ლენინი"-ს ყიჟინამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი სულიერი განწყობილებით დაიძრა ეშელონები შამქორიდან ბაქოსკენ... ჯარისკაცები განიცდიდენ შიმშილს და წყურვილს, სიცივეს და ყოველგვარ გაჭირვებას; სურსათ-სანოვაგის მარაგი დაილია, მეტის ატანა და ყინვიან ზამთრით ყარაია-აღსტაფა-დალიარის გაშლილ ველებზე ცდა ეშელონებს აღარ შეეძლოთ.

9 იანვარს, გარიჟრაჟისთანავე ეშელონები დაიძრენ ბაქოსკენ.

XV

როდესაც მაღალოვმა დალიარიდან ეშელონების გამოსვლა გაიგო, განკარგულება გასცა და მუსულმან რაზმელებმა აყრილი ლიანდაგი დააგეს. მაღალოვი, რაფიბეგოვი და მათი შტაბი იდგა შამქორთან ახლოს. სანგრებში და ხრამებში ჩასაფრებული მუსულმანთა ჯარი და ბრბო უცდიდა ეშელონების მოსვლას.

შამქორის სადგურიდან დასავლეთით იდგა მაღალოვის ცხენოსანი ლეგიონი, რომელსაც მეთაურებად ჰყავდა ქართველი თავადები. ნიჟეგოროდის, ტვერის, ულანთა პოლკის და „დიკი დივიზიის“ ყოფილმა ოფიცრებმა საქმე გაიჩინეს!

ჩრდილოეთით, საფარში დაუყენებიათ ოთხი სამთო ზარბაზანი, რომელიც ძალზე ამხნევებდა და აქეზებდა საომრად თათრებს. ამ ბატარეას შამქორში დაბადება და გაჩენა მეტად საინტერესოა.

მაღალოვის მოთხოვნის თანახმად ტფილისში მყოფ მეორე საარტილერიო ბრიგადიდან გაგზავნილ იქმნა განჯაში კაპიტანი ალექსიძე და ოცდაოთხი არტილერისტი, მათ შორის პეტრე ცხომელიძე, სანდრო ხოტივარი, გრიგოლ მეგრელიშვილი, კორნელი და სხვა. აი, სწორედ ამ არტილერისტებს მოჰკრა თვალი შამქორში ყოფნის დროს პეტრე ლაპატინმა. არტილერისტებმა ლაპატინი ვერ იცვნეს. კაპიტანი ალექსიძე და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი არტილერისტები გამოჰყვენ ტფილისიდან სამგზავრო მატარებელს, რომელიც აფხაზავამ გაატარა ბაქომდე.

ალექსიძე და მისი არტილერისტები იდგნენ ზარბაზნებთან უკვე ჯარისკაცის მაზარაში გახვეულნი. სანდრო, კორნელი, ზემდეგი ფერაძე და ყოფილი იუნკერი ერისთავი იყო მემიზნე. ცხომელიძე: ფეიერვერკერი, ხოლო მეგრელიშვილი ისევ მეტელეფონე.

ამრიგად, სამხედრო ოპერაციის წარმოებისათვის მიღებული იყო ყოველგვარი ზომები.

შამქორი წარმოადგენდა ეშელონებისათვის უდიდეს და საშიშ ხაფანგს; ეს ხაფანგი სრულიადაც არ ჰგავდა თითო-ოროლა და მცირერიცხოვან მუსულმან ბრბოების თავდასხმას. არც ჰასანისა და მისი მეგობრების: ჯავათ, მეჯით, რაჰმათულა და სხვათა „ჩანგალს“, არამედ ამიერკავკასიის მესვეურთა, ეროვნულ საბჭოების სამხედრო შტაბისა, გენერლებისა, პოლკოვნიკებისა და ხან-ბეგების მიერ მოწყობილ ბრძოლის უბანს.

რკინისგზის ხაზი გადაჭრილი იყო აფხაზავას ჯავშნიანი მატარებელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანგრებში და თხრილებში ისხდნენ ჯარისკაცები: რაფიბეგოვის და ხანების მიერ შეგროვილი ბრბოები.

თავადი მაღალოვის ცხენოსანი ლეგიონი მზად იყო იერიშისათვის.

საფარში იდგა კაპიტანი ალექსიძის სამთო ბატარეა.

ეშელონებს უნდა გაეარა ეს ბრძოლის უბანი.

მაღლობზედ იყო მოთავსებული მაღალოვი და მისი შტაბი. გვერდით ამოსდგომოდა ექიმი რაფიბეგოვი, ოსმალეთიდან ჩამოსული მაიორი, ბეგები და ხანები. რაფიბეგოვს სტამბოლში ჰქონდა დამთავრებული ფრანგული ლიცეი, შემდეგ პარიზშიც იცხოვრა და ეხლა ფრანგულ ენაზე გაემართა საუბარი თურქ მაიორთან... უკანასკნელის გაპარსული სახე ჰგავდა ევროპიელისას: ისეთივე ცივი, ანგარიშიანი, აუღელვებელი და მშვიდი სისხლისღვრისა და ჯოჯოხეთურ ამბების მიმართ; სახე ამხელს: დარწმუნებას საკუთარ ძალღონეში, ხასიათის სიმტკიცეს და ძლიერ ნებას. ასეთი არ იყო რაფიბეგოვის სახე, თუმცა მასაც ევროპიელივით გაუპარსავს მოგრძო ღიღაბიანი სახე და ბადრიჯანივით დიდსა და მოლუბულ ცხვირზე პენსნე წამოუსკუპებია.

ჭახალივით წითელი და ომებით სახე-გარუჯული პოლკოვნიკი თავადი მაღალოვი წინასწარმეტყველებდა ეშელონებზე უეჭვო გამარჯვებას, რაც რაფიბეგოვს მალამოსავით უამებდა გულს; თაფლივით დაშაქრულ ცისფერ თვალებს ნაბავდა, მელიასავით იკატუნებდა თავს და არწმუნებდა მაღალოვს მუსულმანების მიერ „გურჯებისადმი“ სიყვარულში და ძმობაში; ორჭოფი და მლიქვნელი ღიმილით ეგებებოდა ფეხქვეშ. ზოგიერთ ხანებს და ბეგებს არ ესმოდათ რუსული და რაფიბეგოვი ამხნევებდა მათ:

— ურუსლარ მაჰ ოლურლარ... თურქლარ დაბან ბასმა გალურ... ბურდან ბიზ ბურაქმაიაჯაქ... მაჰასარაიაქ დუშუბ! (დაიღუპება რუსები. თურქები კვალდაკვალ მოსდევენ... აქედან ჩვენ არ გაუშვებთ... ხაფანგში მოემწყვდნენ!)

მაღალოვმა თვალებზე მიიდო დურბინდი და რკინისგზას გაჰხედა. ორთქლმავალის მილიდან ამოსული კვამლი დაინახა და დაიძახა:

— „ეშელონი მოდის!“

ტელეგრაფისტები ამუშავდნენ.

შეიქნა ფუსფუსი.

აფხაზავა მოემზადა შესახვედრად.

დილის ხრულ 8 საათზე შამქორის სადგურზე მოვიდა პირველი ეშელონი. აფხაზავამ, როგორც ეს მან ყარაიაში ჩაიდინა, წინადადება მისცა ჯარისკაცებს დაეტოვებიათ რონოდები.

იარაღი გადმოზიდეს და ეშელონი წავიდა ბაქოსკენ.

ერთი საათის შემდეგ მოვიდა მეორე ეშელონი. აფხაზავამ იგივე გაიმეორა... განიარაღების დროს რუს ჯარისკაცთა შორის დამკვიდრდა სამარისებური სიჩუმე. ჯარისკაცებს ახჩობდა ბოღმა: მათ წინაშე იდგა ჯავშნიანი მატარებლების უფროსი, რომელმაც გადაჭრა ბაქოს გზა, შიმშილი, წყურვილი და ამდენი გაჭირვება მიაყენა ჯარისკაცებს.

მეორე ეშელონი ჯერ კიდევ არ იყო წასული, როდესაც შამქორში ჩამოვიდა მესამე ფეხოსანი, ხოლო მეოთხე და მეხუთე საარტილერიო ეშელონი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზავამ საარტილერიო ეშელონის განიარაღება მოინდომა. ამ ეშელონს ახლდა ბელაგორსკი... ბელაგორსკიმ ველარ მოითმინა:

— როგორ, ჩვენ აკი შევთანხმდით ორი ეშელონის განიარაღებაზე?

— ეგ არაფერს არ ნიშნავს.. გუშინსაქედ მდგომარეობა შეიცვალა....

იქვე მდგომმა ჯარისკაცმა, რომელმაც გახსნა მიტინგი დალიარში, დაგუბებული ბოლმა ველარ შეიკავა და გადმოანთხია.

— არა, ამხანაგო, თქვენ შტაბ-როტმისტრი კი არა ყაჩაღი ყოფილხართ!

— ვის უბედავ, შენ არამზადა!?—იყვირა აფხაზავამ და თვალები გადმოკაჟა.

— რა გაყვირებთ, ამხანაგო?

— მე თქვენი ამხანაგი არა ვარ! მე თქვენთვის ვარ: ბატონი შტაბ-როტმისტრი!.. გესმით?

— უკაცრავად ბრძანდებით... ჩვენ უკვე ბატონები აღარ გვყავს... გათავდა!.. ჩვენ იმიტომ კი არ დავამსხვრიეთ მონობის ბორკილები, რომ თქვენ ისევ ბატონი გიწოდოთ...

— ვინა ხარ შე უნიფხვო, საქმეში რომ ერევი?.. დაიკარგე აქედან! —იწევდა ჯარისკაცისაკენ შამოსაკრავად აფხაზავა, მაგრამ ბელაგორსკიმ შეაჩერა:

— მოქალაქე, შტაბ-როტმისტრო, რას ერჩით ამ ჯარისკაცს? მისი გულის წყრომა გასაგებია... ჩვენ უაღრესად დავიღალეთ, დავიტანჯეთ; ამდენი გაჭივრების და დამცირების ატანა აღარ ძალგვიძს... პირდაპირ გვიპასუხეთ: რა გაქვთ განზრახული?—ბელაგორსკისთან იდგა მესაყვირე.

— ოხ, —წამოიყვირა აფხაზავამ—რომ იცოდეთ როგორ მომბეზრდა მე ეს ცერემონია! რა განვიზრახეთ და საარტილერიო ეშელონის განიარაღება... მორჩა და გათავდა!

— არავითარ შემთხვევაში!—მიახალა ცივი უარი ბელაგორსკიმ და თავის ჯარისკაცებს გადახედა. ანიშნა—ყველა თავთავიანთ ადგილას წასულიყო.

— მაშ, კარგი... მოემზადე! —დაიძახა აფხაზავამ და მაკარაშვილი გაიქცა ჯავშნიან მატარებლისაკენ...

— შტაბ-როტმისტრო, ნუ გვაშინებთ!.. არ დაივიწყოთ რომ ჩვენ მოვდივართ ფრონტიდან! საშინლად მოგვბეზრდა და ვერიდებით სისხლის ღვრას... თქვენ მხოლოდ ეხლა იწყებთ ომს, ჩვენ კი...

— ეხლა ვიწყებ მე ომს, შტაბ-როტმისტრი აფხაზავა? ევროპის ომის განთქმული გმირი?—იყვირა აფხაზავამ.

— მით უარესი თქვენთვის... არა... მე არ მჯერა, რომ თქვენ გქონდეთ ნებადართული ორ ეშელონზე მეტის განიარაღება?! ასეთი ნებართვა იქნებოდა გუშინდელი შეთანხმების სამარცხვინო დარღვევა! თქვენ ალბათ არა გაქვთ განკარგულება! მაჩვენეთ თქვენი მთავრობის ბრძანება!

— ეხლა ბრძანებებს არავითარი ფასი არა აქვთ! ეხლა საკითხს სწყვეტს ძალა!..

— ძალა აღმართს ჰხნავს?!—ჰკითხა დაცინვით ბელაგორსკიმ.

— დიაღ, ჩვენი ძალა მეტად დიდია!.. თქვენ ალყაშემორტყმული ხართ ყოველი მხრიდან და, თუ ჯიუტობა დაიწყეთ, ვერც ერთი თქვენთაგანი აქედან ცოცხალი ვერ წავა!—მუსულმანთა რაზმელები შესცვივდნენ ეშელონის რონოდებში და კონდახის ცემით ჰყრიდენ იქედან ჯარისკაცებს... ბელაგორსკიმ წონასწორობა დაჰკარგა.

— მაშ, რას ერჩოდით ამ ჯარისკაცს, როდესაც მან გიწოდათ თქვენ ყაჩაღი და მტაცებელი?!—არც კი დაუმთავრებია ბელაგორსკის სიტყვა და აფხაზავამ წამსავე სილა გააწნა...

აქვე მდგომმა ჯარისკაცმა შაშხანა გადმოიღო და შტაბ-როტმისტრს აფხაზავას ესროლა.

ეს იყო საშინელი გასროლა.

აფხაზავა შეტორტმანდა, ბარბაცით წამოვიდა. ბაქანის სვეტს ხელი წაავლო და ჩაიჩოქა. შემდეგ ერთბაშად წამოიჭრა, მაგრამ მუხლის ქვეშ მოჰყვა ჩოხის კალთა, ბაქანზედ დაეცა და ასე იდაყვზე დაყრდნობილი ხელით უმიზნებდა ჯარისკაცს თავის პარაბელუმს.

ჯარისკაცი იდგა დამბლა-დაცემულივით; თოფი დაბლა დაეშვა და ადგილიდანაც არ იძროდა. ჯარისკაცი, ბელაგორსკი და განსაიარაღებლად მოსული მუსულმანთა რაზმელები, მაყაშვილი და ყველა ერთის წამით თავზარდაცემული და გიჟის თვალებით უცქერდენ გულში ტყვიანაკრავ და ბაქანის სვეტთან დაცემულ შტაბ-როტმისტრს აფხაზავას.

აფხაზავამ ისარგებლა ამ წამით და ჯარისკაცს რევოლვერი გაშტერებულ თვალებ შორის დაუკავა..

პარაბელუმმა დაიჭექა და ჯარისკაცი შეტრიალდა რონოდთან... ბელაგორსკიმ იშიშვლა ნაგანი და თავის ჯარისკაცებთან ერთად დააყარა ტყვიები აფხაზავას. ამ ნიშანზედ პაპოვმა გასცა ბრძანება. მესაყვირემ დაჰკრა ნალარა. ჯარისკაცებმა მიატოვეს ეშელონები და თოფებით მიწაზე გაიშალნენ.

აფხაზავას ძალა გამოელია; თვალში ჩინი დაეკარგა; საგნები ბურუსში გაეხვივნენ და ერთი ათად ქცეულთ როკვა დაიწყეს. ყველა დანარჩენი ტყვიები აფხაზავამ უმიზნოდ დასცალა, ხახიდან სისხლი თუხთუხით გადმოდინდა და ტყვიებით განგმირული ბაქანზე გაიშოლტა.

ამ შეტაკების დროს მოჰკლეს ბელაგორსკიც.

აფხაზავასთან იდგა მაყაშვილი, რაზმელები, მუსულმანები და ისინიც მაუზერიდან ესროდენ რუს ჯარისკაცებს... ეშელონი უპასუხებდა და მალე აფხაზავას გვერდით წაიქცა მაყაშვილი, რამოდენიმე რაზმელი... მაგრამ ჯავშნიან მატარებელზე მყოფმა მაკარაშვილმა დაიწყო აფხაზავას სისხლის აღება...

*
* *

ტყვიაფრქვეველი კაკანებდა.

სროლის დროს რუსი ჯარისკაცები არ დაიბნენ: რონოდები მიატოვეს და თოფებით მიწაზე დაწვნენ... მაო ამხნევებდა პაპოვი...

პეტრე ლაპატინის ბრძანების თანახმად შორს მდგომ ეშელონის არტილერისტებმა ფაცრები მოიტანეს, რონოდს მიაყენეს და ზარბაზნები ჩამოაგორეს;

შემდეგ მინდორში გაიტანეს და ჯავშნიან მატარებელს დაუმიზნეს. ჯავშნიანი მატარებელი უმოწყალოთ სცხრილავდა ახლო მდგომ ეშელონს.

ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ხელჩართული ბრძოლა და სროლა ბაქანზე, როდესაც იგრიალა ზარბაზანმა... ერთი, ორი და სამი... ყუმბარა დაეარდა ჯავშნიანი მატარებლის ბორბლებთან და მიწა მიაყარა... ორთქლმავალი დაიძრა, მაგრამ შემდეგი ყუმბარა მოხვდა ქვაბს; ორთქლმავალი დაზიანდა, შეჩერდა და ახლა ჯავშნიანმა მატარებელმა ადგილიდან დაიწყო სროლა.

აფხაზავას სიკვდილი ძვირად დაუჯდათ ეშელონებს!

მალალოვმა გასცა ბრძანება: შამქორიდან განჯასა და დალიარისკენ მიმავალი რკინისგზის ლიანდაგი აჭყარეს; ხუთი ეშელონი შუაში გამოიმწყვდიეს და მუსულმანი ჯარის ნაწილები და ბრბოები იერიშზედ გადავიდნენ.

მუსლმანების მოწინავე ხაზი უახლოვდებოდა ეშელონებს და უწესრიგოდ უშენდა ტყვიებს, ხოლო ფრონტზედ ნამყოფი რუსი ჯარისკაცები უპასუხებდნენ მწყობრად.

პეტრე ლაპატინი ეხლა თითონ მუშაობდა მემიზნეთ ერთერთ ზარბაზანზე, რადგან ჯავშნიანი მატარებლის ფანჯრებიდან გამოშვერილი ტყვიაფრქვეველები დიდ ზიანს აყენებდენ ეშელონებს.

ზარბაზნებმა კვლავ იგრიალა. ყუმბარა მოხვდა ორთქლმავალის ბოლის მილს. შემდეგი ყუმბარები ეხეთქებოდენ რონოდებს და მატარებელი განადგურდა; შიგ მსხდომი რაზმი დაიხოცა, დაიჭრა და ცოცხლები კი გაიქცნენ.

ეხლა ლაპატინმა ზარბაზნის ლულა შეატრიალა მუსულმანთა სანგრებისკენ.. მინდორზე ეცემოდენ ყუმბარები.. აქა-იქ თეთრი კვამლი გამოჩნდა და ცისაკენ მძიმედ აიზიდა.. მუსულმანებმა მიატოვეს თხრილები და გაიქცნენ, მაგრამ წამსავე დაიჭექა ალექსიძის ბატარეამ და ყუმბარა გასკდა ლაპატინის ზარბაზნების ახლოს.. გაქცეული მუსულმანები ისევ ჩასცვივდნენ თხრილში.

ალექსიძისა და ლაპატინის ბატარეას შორის გამართული ბრძოლა დასრულდა ალექსიძის სასარგებლოდ: პეტრე ლაპატინის ბატარეა სდუმდა.. (ალბათ ადგილს იცვლიდა?!) მუსულმანებმა გადირბინეს მინდორი, რუსების მარჯვენა ფრთას შემოუარეს და სადგურიდან გარეკეს..

რუს ჯარისკაცთა შორის არევდარევა დაიწყო.. პაპოვმა შეაჩერა გამოქცეული ხალხი და თავისი ოცი ჯარისკაცით მიირბინა ლიანდაგთან. სამი ტყვიაფრქვეველი საშინელის სიჩქარით ამუშავდა.. მუსულმანები უკუიქცნენ და კვლავ შამქორის სადგურს ამოესაფრნენ..

პაპოვს არ მოეწონა პეტრე ლაპატინის ბატარეას დუმილი.. ეშელონს შემოუარა; ბატარეასთან ახლოს მიირბინა და დაიძახა: „Петя!“ პეტრე ლაპატინი იწვა ზარბაზნის ახლოს.

პაპოვი მივარდა და ისევ დაუძახა: „Петя“!

ლაპატინი არ განძრეულა. პაპოვმა დაიჩოქა, ხელი წაავლო, გააქანა და ჩასძახა: „სად მოგარტყეს“?

პეტრე ლაპატინი ხმას არ იღებდა.

პაპოვი გაფითრდა და მიცვალებულის გაშლილი ხელი მძიმეთ დაეცა დედამიწაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „Убили“!—სთქვა პაპოვმა და ხანგრძლივ დააჩერდა საკუთარ უბაწველილის სახეს; შემდეგ იქვე მდგომ არტილერისტებს გადახედა.

ფოლადივით მჭრელი და ირიბი თვალები დაახამხამა.

ბოლმა და ცრემლი შემოაწვა; თვალი და ცხვირის მილი სიმწრის ცხელი და მარილიანი წვენით აეწვა.. ისედაც ლურჯი ცხვირი კიდევ უფრო გაულურჯდა, ცხვირზე წვინტლი ჩამოეკიდა და ტალახიანსა და სისხლში შესვრილ ხელისგულს შეახოცა, ვით დედამიწას ნისკარტი მსხვერპლზედ გამაძლარმა არწივმა. მის ფეხებთან სცვივოდა ტყვიები..

პაპოვის სახე სისხლით დაიბურა და ყელი ჩიყვიან ინდაურივით გაუსივდა. წამოდგა, მაღალი მხრები მჭლე და წყალში ამოწუმპულ არწივივით აიჩეჩა, შამქორის სადგურს გაჰხედა, სასტიკად დაემუქრა რევოლუციის მტრებს და დასჭყივლა: „ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, არამზადებო“! „Федя, замени Петю“!—უბრძანა მან არტილერისტს..

პეტრე ლაპატინის ბატარეა ისევ ამუშავდა. ისროდენ ორ ზარბაზნიდან. პაპოვმა წაავლო ხელი ტყვიაფრქვეველს, ლიანდაგთან მიაგორა, მიწაზე დაწვა და ტყვიები მიუშვა სადგურისკენ. ჯარისკაცები იბრძოდენ უფროსის გვერდით მხარდამხარ..

მაგრამ მუსულმანებმა მარჯვენა ფრთაზე დაამარცხეს რუსები, ლიანდაგი აიღეს, ეშელონს ცეცხლი წაუკიდეს და მალე რონოდები ცეცხლის ალში გაეხვია. ამან ცუდი გავლენა იქონია.

სროლა ისმოდა ყოველი მხრიდან.. ტყვიაფრქვეველები კაკანებდენ...

მარჯვენა ფრთისკენ გაეშურა მუსულმანთა ცხენოსანი ლეგიონის ესკადრონი.

ცხენებმა ყურები დაცქვიტეს და ნავარდით გაიჭრენ ტრამალზე. მიჰქროდნენ შუბებით ცხენოსნები, მათ მიუძღოდა ხმალამოწვდილი როტმისტრი. ესკადრონის წინ ყუმბარა დავარდა; როტმისტრის ცხენი ყალყზე დადგა და მხედარი გადმოაგდო; დაფეთებულმა ცხენმა კუდაწვდილი ჭენებით დატორა ველი..

ეს იყო ნამდვილი ომი: ტყვია, ყუმბარა, კვამლი და ცეცხლი!

ალექსიძის ბატარეა განუწყვეტლივ გრიალებდა.. კორნელი, სანდრო, ერისთავი და ფერაძე მუშაობდნენ მემიზნეთ.

მაღლობზედ იდგა პოლკოვნიკი, თავადი მალალოვი და მისი თანაშემწე, იქვე იდგნენ ოფიცრები, ოსმალეთიდან ჩამოსული მაიორი, რაფიბეგოვი, ხანები და ბეგები.

პოლკოვნიკს ხელში ეპყრა დურბინდი და ბრძოლის ველს გასცქეროდა; რკინისგზის ხაზზე მოსჩანდა კვამლი და ცეცხლმოდებული ეშელონის ხანძარი.. ეშელონები აგებდენ ომს.

რუს ჯარისკაცებს რკალი შემოავლეს და ზარბაზნებიც ჩააჩუმეს. მუსულმანები მისცვივდნენ რკინისგზის ხაზზე გაწოლილ ჯარისკაცებს და ხანჯლით ათავებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ომი დასრულდა.

თოვლით დაფარულს ველზედ იდგა ზარბაზნებით დალეწილი და კუთხე-ჩამონგრეული შამქორის სადგური.

მარჯვენა ლიანდაგზე სჩანდა ხუთი დამსხვრეული ეშელონი და ცეცხლით განადგურებული რონოდები: რკინის ნაწილები და დაზგები! იდგა რონოდები როგორც ყვავ-ყორნებისგან შეჭმული, უხორცო და ჟამთა-ვითარების გამო გამოქარული ჩონჩხი, სადაც ამ რამოდენიმე დღის წინად იყო სიცოცხლე, შინმიმავალ რუს ჯარისკაცთა სიმღერა, სტვენა და გარმონი...

მარცხენა ლიანდაგზე ეგდო ყუმბარებით განგმირული რუხი გველეშაპი: დამსხვრეული ჯავშნიანი მატარებელი! მატარებლისა და ეშელონების ახლოს, სადგურთან და ყველგან რუს, მუსულმან და ქართველ ჯარისკაცთა დამწვარი და დასახიჩრებული გვამები ეყარა. თავს დასტრიალებდენ ყვავ-ყორნები.

სადგურის ბაქანის სვეტთან პირქვე დაბობილა შტაბ-როტმისტრი აფხაზავა. სიკვდილის წინ მოკრუნჩხულა, შუბლით სვეტს მიბჯენია და ჩოხის კალთები მოკლული ქორის ფრთებივით გაშლილა ბაქანზე. ბუხრის ქუდი ჩავარდნილა სისხლის ტბორში. შტაბ-როტმისტრს ცალი წარბი ყაჩაღივით მაღლა აუზიდავს და ღიათ დარჩენილ თვალის გუგიდან შამქორის საშინელება იცქირებოდა...

იქვე ეგდო აფხაზავას მიერ მოკლული ჯარისკაცი, რომელმაც გახსნა მიტინგი დალიარში. მორგვივით სქელი კისერი და სახე გაშავებია, შუბლი და წარბები ისევ მოღუშული და ბრაზით შეკრული დარჩენია.. აქვეა ბელაგორსკიც. ჰასან, მეჯით, ჯავათ, რაჰმათულა და მისი ამხანაგი უკვე ჩვეულებისამებრ მუშაობდნენ: დაჭრილ-დახოცილთ ჰხდიდნენ ტანსაცმელს.

მეორე დღეს ლიანდაგის გასწვრივ ეყარნენ ჩექმაგახდილი მოკლული ჯარისკაცები. თვთრი გულმკერდი და შიშველი ფეხები სისხლით და ტალახით ჰქონდათ შესვრილი. ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და გაგიჟებულის თვალებით ითხოვდენ შველას, მაგრამ მათ ჰასან და მისი ამხანაგები ხიდიდან მდინარეში ჰყრიდნენ.

შიშველი, გაძარცული ტანები ავსებდენ ახლო-მახლო მიდამოს და ჯარისკაცთა გვამებს ჰბანდა სამუდამო განსვენებისათვის შამქორის მდინარის ტალღა.

XVI

მუსულმანთა ბრბოები აწარმოებდენ ეშელონებზე თავდასხმას აღსტაფა-შამქორსა და განჯის რაიონში..

ბრძოლა სწარმოებდა 9 და 10 იანვარსაც, მაგრამ ფრონტიდან მოხლეავებულმა ეშელონებმა გაარღვიეს მუსულმანთა რკალი, გაანადგურეს ყაჩაღთა ბრბოები და მათი ბუნაგები ზარბაზნებით და გასწმინდეს რკინისგზის ხაზი.. ამიერკავკასიის მთავრობა და განჯის ხელისუფლება შეშინდა, დათმობაზე წავიდა და შესწყვიტა თავდასხმა. 11 იანვრისათვის რკინისგზის ხაზზე ოდნავი

წესრიგი დამყარდა და სამგზავრო მატარებლების მიმოსვლაც აღდგენილ იქმნა. ვინაიდან კორნელის და სანდროს კაპიტანთან კარგი განწყობილება ჰქონდათ, ამიტომ მან დააკმაყოფილა არტილერისტების თხოვნა და მისცა მათ ხანმოკლე შვებულება. საქმე ის არის, რომ 14 იანვარი ნინოობაა და კორნელიმ გადასწყვიტა ამ დღეს ტფილისში ჩასვლა. კორნელი და სანდრო შესცვალეს განჯაში მყოფმა არტილერისტებმა.

14 იანვარი ნინოს სახელობის დღეა. ერთი ან ორი თვით ადრე იწყებდა კორნელი ამ დღეზე ფიქრსა და სამზადისს; გასაგებია კორნელის სწრაფვა ტფილისისკენ, რადგან ნინო იყო მისი სატრფო და გულის ხატი. გასაკვირია მხოლოდ, რომ ომის დროს არც ერთჯერ არ მოაგონდა მას იგი, არცა დედა, ძმა და მეგობრები. თუმცა ომში ამაზე ფიქრი არავის ცხელა! ომის დაწყებამდე კორნელი აიტანა შიშმა და თრთოლვამ. როდესაც თოფები და ტყვიაფრქვეველები აკაკანდენ, უმალვე ყველაფერი დაავიწყდა; მის მხედველობის არეში რჩებოდა მხოლოდ შამქორთან გაშლილი ბრძოლის ასპარეზი. აქეთკენ იყო მიმართული გამძაფრებული ხედვა. ერთადერთ მის საფიქრალ საგანს შეადგენდა უფროსის განკარგულების შესრულება და ზარბაზანზე ჩქარი და ზუსტე მუშაობა; თავდაპირველად მისი ხელები ძალზე ჰკანკალებდენ, კბილებს გაჰქონდათ კაკუნი და მთელი ტანი ციებიანივით უძაგძაგებდა; მაგრამ რამდენიმე ყუმბარის გასროლის შემდეგ გახურდა და დამშვიდებით განაგრძობდა მიზნებას. გასროლის დროს დედამიწის ნიადაგი იძროდა, ჰაერის შერყევის გამო კბილები კბილებს ეხეთქებოდენ, ყუმბარის ბოლი თვალს უწვავდა, ზარბაზანთა გრიალმა დაყრუა და ყურებს ჟივილი გაუდიოდათ. ეგ არაფერია! ეხლა სხვა საგნები და მოვლენებიც შეიჭრა მის ცნობიერებაში. ახლოს მდგომ სანდროს ოხუნჯობა დაუწყო და რამდენიმე სიტყვა გადასძახა· ყველაზედ უფრო საყვარელი ამ ქვეყნად იყო მისთვის სანდრო და ამხანაგები, რომლებიც მასავით მექანიკურად მუშაობდნენ და უგზავნიდნენ ეშელონებს გამანადგურებელ ყუმბარებს. რატომ ან რისთვის?—ეს კითხვა მათთვის არ არსებობდა ამჟამად. მთელი მათი არსება იყო გამსჭვალული იმ სურვილით, რომ რაც შეიძლება უფრო სასტიკათ გაენადგურებიათ მოპირდაპირე განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ბრძოლა გაიმართა ბატარეათა შორის. ვინ იყო მართალი ორ მოწინააღმდეგე ბანაკთა შორის. პეტრე ლაპატინი, მისი ბიჭები თუ კაპიტანი ალექსიძე და მისი არტილერისტები? ეშელონები თუ მუსულმანთა ბრბოები? ეს ომში შეჭრილ კორნელის რა ესაქმებოდა! ომში ის არის მართალი, ვინც უფრო მეტის სისასტიკით ანადგურებს მტერს და მით აწარმოებს თავდაცვას ომში—სადაც შიშვლდება პირველყოფილი, ცხოველური ინსტინქტი. ამიტომ არის ომი საშინელი!

ომის შემდეგ თითქოს სხვაგვარად აეხილა თვალი კორნელის სამყაროს მიმართ; უფრო ფართოდ, მაგრამ მეტის სასოწარკვეთილებითაც. სიკეთე და ბოროტება, შური და მეგობრობა, ზიზღი და სიყვარული უფრო საცნაური გახდა და ხელსახები. როდესაც გონების დამბნელებელი ომი დასრულდა და კორნელიმ იხილა დახოცილი, დაჭრილი და დასახიჩრებული ჯარისკაცები, მოიწყინა, ფიქრს მიეცა და მის წინაშე პირველად წამოიჭრა ასეთის სიმძაფრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგი კითხვა: რისთვის ვანადგურებთ ჩვენ ადამიანები ერთმანეთს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა კი უკვე ბევრ რამეს გადაფასებას მოითხოვდა კორნელისაგან და ამ გადაფასებას გავეცნობით ჩვენ შემდეგში...

კორნელიმ თითქოს დაჰკარგა ხალისი და პირვანდელი სიხარული, მაგრამ რჩებოდა ერთი არსება, რომლის გახსენებაც კი მუდამ სიხარულსა და იმედებს ჰგვრიდა ყველგან—ომში და ლხინშიაც...

ეს არსება იყო ესტატე მაჩაბელის ქალი— ნინო...

კორნელი და სანდრო გამოვიდნენ განჯიდან 12 იანვარს. საკითხავია— ჩავლენ თუ არა ისინი ტფილისში დროზედ, ვინაიდან შამქორის ამბებითა და ეშელონების სვლის გამო ბაქოს რკინისგზის ხაზზე მიმოსვლა შეფერხდა და სამგზავრო მატარებლები საათობით და მთელი დღეობითაც კი ჩერდებოდენ სადგურებზე.

შამქორის ამბების გამო დაშინებული ხალხი ველარ ჰბედავდა მგზავრობას და რონოდები თითქმის ცარიელი იყო. კორნელი და სანდრო მოთავსდნენ ერთ-ერთ რონოდში. ჩანთები მოიხსნეს, სკამზედ დააწყეს და საუზმე ამოიღეს; დანაყრდნენ; პურსა და ძეხვს არაყი დააყოლეს და გაზეთის ქაღალდში გახვეულ თუთუნით შეიარაღდნენ. ბაქოდან მოდიოდა ვიღაც ინჟენერი გველესიანი, მისი ცოლი და რამდენიმე თათარი... ინჟენერსა და მის ცოლს არ ესიამოვნათ არტილერისტებთან მეზობლობა და აღრენილი უცქერდნენ კორნელისა და სანდროს, რომელთაც ბუხრის ქუდი, ჩექმა და მაზარა ნამდვილ ჯარისკაცის იერს აძლევდა.

სადგურ ალი-ბაშლისთან არტილერისტების წინ გაიარა ვიღაც გამხდარმა ჯარისკაცმა. ინჟენერის ცოლმა სახედაღრეჯით და საშინელის ზიზღით შეხედა მას. კორნელიმ დაიძახა:

— ვანო!—არტილერისტებმა იცნეს ვანო მახათაძე.

— საიდან?—ჰკითხა ვანოს სანდრომ.

— ბაქოდან.—ისეთი ცივი და მრისხანე სახით მიეგება მახათაძე სანდროს და კორნელის, რომ უკანასკნელნი გაოცდნენ...

— აკი ტფილისში გნახე ამ ერთი თვის წინად—უთხრა კორნელიმ.

— მართალია... მაგრამ...

— ბაქოში რა გინდოდა?

— საქმე მქონდა... ეხლა ტფილისში მივდივარ...

— ჩვენი მგზავრი ყოფილხარ!—უთხრეს ყმაწვილებმა და ადგილი შესთავაზეს; გაეხარდათ მახათაძესთან შეხვედრა, მაგრამ ის ძალზედ მოწყენილი იყო და ერთხელაც არ გაიღიმა.

სად ზიხარ? ჩვენთან გადმოებარგე...

— გადმოვებარგო, თორემ მე რომ ბარგი მაქვს?! ასე მოვდივარ როგორც მიყურებთ. თქვენ აქ რა გინდოდათ?—შეეკითხა კორნელის და სანდროს ვანო მახათაძე და მისი ჭროლა თვალები ავადმყოფურად აენთენ.

— ჩვენ განჯაში ვიყავით, მაღალოვისა და ათხაზავას განკარგულებაში.

ალბათ შამქორის ომში მონაწილეობა მიიღეთ? —ვანო ... ...ალმალა აღელვება. არ იყო საჭირო სცოდნოდათ ბევრი რამ მის შესახებ — ... ...ტებს; თუმც კორნელი და სანდრო მისი ამხანაგებია, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და ეხლა საჭირო იყო „ამხანაგების“ დარწმუნება იმაში, რომ ის—ვანო მახათაძე მიდიოდა ტფილისში როგორც პოდპორუჩიკი და არა როგორც ბოლშევიკთა საოლქო კომიტეტის წევრი...

— ეს იყო პირველი ჩვენი ნათლისღება ბრძოლაში!—უპასუხა ვანო მახათაძეს კორნელიმ.

— ჩვენი ბატარეა თავის სიმაღლეზე იდგა... ჩვენ იძულებული გავხადეთ ეშელონების ბატარეა გაჩუმებულიყო და ზარბაზანზე მომუშავენი გავანადგურეთ ყუმბარებით.—დაიტრაბახა სანდრომ; დისციპლინის ერთგულ და მონა არტილერისტს ეგონა, რომ პოდპორუჩიკი მახათაძეც მოუწონებდა მას ასეთ ერთგულებას, მაგრამ მახათაძის გამხდარსა და ფოლადივით ცივ თვალებში წამიერი რისხვა წაიკითხა. მახათაძეს მოაგონდა შამქორთან მოკლული ამხანაგები: ბელაგორსკი, პეტია ლაპატინი, ჯარისკაცი, რომელმაც გახსნა მიტინგი დალიარში და სხვა. თავი ჩაჰკიდა. მაზარის საყელო მიებჯინა გამხდარსა და გრძელ კისერს; ძარღვი სისხლით გაიბერა და კომშის ხის შავი წნელივით დაიგრიხა.

— შამქორი მუდამ დარჩება როგორც შავი ლაქა! მიკვირს შენ რატომ მიიღე მონაწილეობა ამ საზიზღროებაში.—უთხრა მან კორნელის აკანკალებულის ხმით. კატასავით თეთრი და შინაგანი ბრაზით ანთებული თვალები მიაპყრო არტილერისტებს..

—ყველაფერი ეშელონების ბრალია...

— რატომ?

— ამ მამაცხონებულთ არც ფრონტზე ყოფნა და ომი სურთ და არც იარაღის ჩაბარება...—უსაყვედურა მახათაძეს სანდრომ.

— ვის ან რათ გამოადგება ეს იარაღი?

— როგორ თუ ვის? ვისა და ჩვენ... განა არ იცი, რომ ოსმალეთმა საზღვარი გადმოლახა და წინ მოიწევს?— შეეკითხა სანდრო.

— მერე და ურუსეთოდ ჩვენ შევძლებთ ოსმალეთის შეჩერებას?

— რუსეთი აღარ არსებობს, რუსეთში ყველაფერი დაირღვა და განადგურდა..—ჩაერია ლაპარაკში ინჟენერი და უიმედოთ ჩაიქნია ხელი. სათვალეები გაისწორა და მხრები ნერვიულად შეათამაშა...

— ბოლშევიკებმა მოუთავა!—გაიცინა მისმა მეუღლემ.

— თქვენ ასე ჰფიქრობთ? რუსეთის ხალხი ასე იოლად როდი მოისპობა?— შენიშნა მახათაძემ და გადახედა წვერმოშობილ ინჟენერს, მის შავ დრაპის პალტოს, ოქროსფერ ღილებს, კრაველიან საყელოს და კოკარდიან ქუდს.

— ყოველ შემთხვევაში, ეხლა მას თავდაცვის უნარი არ გააჩნია!—სთქვა ინჟენერმა.

„თეთრგვარდიელი!“—გაიფიქრა მახათაძემ და ამოიოხრა. მოწინააღმდეგეთა ბანაკში მყოფ ინჟენერს და არტილერისტებს კამათი აღარ დაუწყო, „წყალწაღებულთ რაღა უშველის? ვიცი: ოდესმე პასუხს აგებთ ბოლშევიკებზე ასეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხანათურ თავდასხმისათვის!“ გაიფიქრა მან და ლაპარაკის საგანი განზრახ შესცვალა.

— ასე მალე რად მიდიხარ ტფილისში?

— ჩვენ დროებით ვართ განჯაში!

— გასტრალიორები!—შენიშნა გესლიანად მახათაძემ არტილერისტებს.

— ასე გამოდის!—უპასუხა სანდრომ...

— ხე-ხე!—ამოიხრა ისევ მახათაძემ; ყოფილი ამხანაგები აათვალიერა და კორნელის მიმართა:

— შენ კიდევ ესტატე მაჩაბელთან ცხოვრობ?

— კი...

— შენი ოთახი რას შვრება? ხშირად ვიკრიბებოდით ოდესღაც შენთან... გახსოვს?

— როგორ არა?..—ათქვა კორნელიმ და ესტატე მაჩაბელის ხსენებაზედ ხინო მოაგონდა... ბავშვურის გულუბრყვილობით შეტეხილი მისი მსუქანი ტუჩები, ორად გაყოფილი ნიკაპის ფოსო, თვალი და ფიქალ შუბლზედ გაფრენილ მერცხალივით გაწოლილი წარბი.. რა დაავიწყებს? გულმა ზარივით შემოჰკრა... საყელო აიწია და მაზარაში ფიქრებით ჩაეშვა, ჩაიძირა... სიჩუმე დაარღვია სანდრომ:

— ვანო, შენ რა ჩინში ხარ ეხლა?

— ჩინი კი არა, ის არ გინდა?!—ეკალივით მოხვდა გულზედ მახათაძეს და გაიფიქრა: „შეხე რაზედ ფიქრობს ეს ტუტუცი?“

— რატომ? საინტერესოა!—უპასუხა სანდრომ...

— რა ეშმაკად გინდა?

— როგორ თუ რათ მინდა? სამხედრო პირისათვის ჩინი და ჯილდო დიდი რამეა...

— ჩემი ფეხებია...—მოუჭრა უხეშად მახათაძემ... სანდრო არ ცხრებოდა:

— მართლა, ჩვენ ჯარში რატომ არა ხარ?

— ჯარში რა მინდა? ითქოს არ მიცნობდე? ხომ იცი რომ შემთხვევითა ვარ სამხედრო პირი?!

— ეხლა ყოველი ქართველი მხედარი ძვირფასია და საჭირო ჩვენთვის!

— ვინ იცის რა არის საჭირო?.. ტყვილა გავათავეთ გიმნაზია!.. რატომ?..

— უნივერსიტეტში მეცადინეობა აღარ დაგვცალდა...—უპასუხა მახათაძემ და ყმაწვილებმა მოიგონეს სკოლა, სასაცილო მასწავლებლები, ეშმაკობა და გაკვეთილზე ჩადენილი ოინები... ეხლა კორნელიც ჩაერია ლაპარაკში.

— ნეტავ სად არის ჩვენი რეპეტიტორი?—იკითხა მან და არ უწყიდა, რომ შესაძლოა მის მიერ გასროლილ ყუმბარას განეგმიროს იგი.

— ვინ?—ჰკითხა კორნელის სანდრომ.

— პეტრე, პეტია ლაპატინი...

— საბრალო ლაპატინი!—ამოიოხრა მახათაძემ.

— საბრალო რად არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისე... ვინ იცის? ეს სოფელი ჭრელია! „სადაურსა სად ფეიტანს“.

პეტრე ლაპატინის ხსენებაზე მახათაძეს შემოაწვა ნაღველი, კორნელის და სანდროს მრისხანეთ ზეხედა. არტილერისტების სახე იყო ომში და ჰაერზე ღღეღამ ყოფნის გამო ქარით აქერწლილი; ტუჩები ზარბაზნის ბოლით და ქარით დახეთქილი; ზარბაზნის ბოლით გარუჯულ სახეს კიდევ უფრო აბნელებდა გაუპარსავი წვერი, წვირე და მური... „მტარვალები“ —გაიფიქრა მახათაძემ და კიდევ უფრო ჩაჰკიდა თავი. მაზარის საყელო კიდევ უფრო მჭიდროდ მიებჯინა ეხლა გრძელსა და გამხდარ ყელზედ. წვრილ კისერზე კომშის ხის წნელივით დაგრეხილი ძარღვი კვლავ აღივსო სისხლით და სულმთლად გალურჯდა.

მატარებელმა გაიარა სადგური... შამქორს უახლოვდებოდა. ფანჯრიდან მოსჩანდა ნაცნობი ადგილები. სანდრო უჩვენებდა კორნელის ბრძოლის ველს და ალექსიძის ბატარეიის პოზიციას...

ვანო მახათაძე აღელვებული გავიდა რონოდიდან.

მატარებელი შეჩერდა შამქორში.

იგვიანებდა: გზა დაკავებული იყო.

სადგური უნდა ჩაეარა აღსტაფიდან მომავალ ეშელონებს.

კორნელი და სანდრო გამოვიდნენ ბაქანზე. პატარა და კუზიანი კაცი ისევ ანთებდა ლამფებს. ვინაიდან მატარებელი, სადგურის უმფროსის თქმით, დიდხანს არ გავიდოდა შამქორიდან, იმათ გადასწყვიტეს სადგურთან მახლობელ ადგილების დათვალიერება.

საღამო ჟამი იყო.

დასავლეთი ისევ ვარდისფერი. ძოწეულ ცის ზეწარზე კვლავ ასუდრულან ფოთლებდაცვენილი ალვის ხეები...

ქარვისფერი დასავლეთი ცხრებოდა.

რამოდენიმე ნაბიჯის შემდეგ კორნელი შეკრთა, უკან დაიხია და სახეზე გაფითრდა: გზის პირად ეგდო ჯარისკაცის გვამი. ჯარისკაცი იყო შიშველი და ტალახში შესვრილი...

— გასტრალიორებო, აი, თქვენი ნამოქმედარი! —დაიძახა ბრაზით მახათაძემ...

— ეს ჩვენი ნამოქმედარი არ არის! — უპასუხა სანდრომ მახათაძეს—მუსულმანებს გაუძვრიათ ჩექმა.

ჯარისკაცს შერჩენია მხოლოდ სისხლში შესვრილი პერანგის ამხანაგი... ტანსაცმელი ალბათ ჰასან, ჯავათ, მეჯით და რაჰმათულამ გაიტაცა! კორნელის გაფითრებულ სახეზედ იყო დაწერილი შიში და ზიზღი. სანდრო მივიდა გვამთან, დაიჩოქა, დაათვალიერა და დაიძახა:

— თავში მოხვედრია! —მკვდარი ჯარისკაცის თავის ქალა იყო გატეხილი, სისხლში შესვრილი თმა იარაზე დაწებილა. კორნელი მიცვალებულს დააცქერდა. ჯარისკაცის სახე იყო რუმბივით გასივებული და ღიათ-დარჩენილ თვალიდან იცქირებოდა საშინელება. მსუქანი ტუჩები შეტეხილან ტანჯვით...

აქა-იქ კიდევ დაბორიალობდნენ შეიარადებული თათრები. ერთმა ხელი ასწია და დაიძახა:

— მოშორდით,—ის იყო დარაჯი. არტილერისტები მოშორდნენ—გვამს, ველზე კიდევ რამდენიმე გვამს წააწყდნენ, მაგრამ ხევის პირად საშინელი სურათი გადაიშალა: პატარა ხევი სავსე იყო დახოცილ ჯარისკაცებით; ასე ჰყრიან საბაკლაოზე დაკლულ პირუტყვებს და შობა-საახალწლოდ დახახულ ღორებს...

— საშინელი სურათია!—ჩაილაპარაკა ჩუმად თავზარდაცემულმა კორნელიმ...

— კარგია, რომ საკუთარის თვალით რწმუნდებით თქვენ მიერ ჩადენილ უმსგავსოებაში!—შენიშნა მახათაძემ... ჯიბეში რევოლვერის კონდახს ხელი მოუჭირა და არტილერისტების უკან მდგომს მათი თავის ქალა ახელებდა...

არტილერისტები ისევ გააფრთხილა დარაჯმა და ისინი ამოვიდნენ გზაზე. კორნელი შეჩერდა სადგურთან, მიიხედ-მოიხედა და ტრაღიულად წარმოსთქვა:

— შამქორი!—თითქოს ეხლა მიხვდა სათანადოთ შამქორის ამბებსო...

ქარვისფერი დაისი ახამხამებდა სიტყვა „ხანაანივით" მდუმარე ლანდებს.

აბედივით დაიწვა მახათაძის გული, როდესაც გაჰხედა სისხლისღვრის მოწამე და თოვლით დაფარულ შამქორის ველს, მუსულმანთა სოფლის მინარეთზე შეწყდა მუეზინის ყივილი: „ლა ილაჰ მაჰამედინ რასულილაჰ!"

იდგა სიჩუმე.

განჯისკენ გადაფრინდა ორი შორეული ღერღეტი.

ნისლში გახვეულ მდინარის დუდუნი აღარ ისმოდა.

ღამესავით შავი ჩრდილი ნელა იზრდებოდა; დაჰფარა მიდამო.

ქარვისფერი დასავლეთი ილიმებოდა ღონემიხდილ მომაკვდავივით.

ყვითელისფერით ოდნავ მოლიმარ ცის ბაგისკენ უცნაური გრძელი და ჩონჩხიანი ხელი გაიზმორა; გაიზმორა რათა შეეპყრა მომაკვდავი ცის უკანასკნელი სიტყვა.

კორნელის გული სევდამ და მწუხარებამ დაისადგურა.

„უცნაურია დაისი და ღამის მოახლოვება! თითქოს შორდები ყველაფერს და რჩები ობლად დედამიწაზე!"—ჰფიქრობდა ის.

მახლობელ სოფელში ბღაოდენ უმოწყალოთ დასავლეთისკენ კისერგაწვდილი, საწელკავე ძროხები და ხარები: აწუხებდათ გარდაცვლილი მზე.

ცხოველნიც კი დასტირიან მზის განშორებას, და ღონემიხდილ მომაკვდავივით მოლიმარ დასავლეთს.

მაგრამ ვანო მახათაძე დასტიროდა სულ სხვას: დაკარგულ ამხანაგებს. გაათკეცებულ ენერგიით და ბრძოლის სურვილით ბრუნდებოდა ტფილისში. „უკანასკნელ სისხლის წვეთამდე შეებრძოლები და ვეკვეთები რევოლუციის მოღალატე და მუხანათურ ამიერკავკასიის მრავრობას!"—ჰფიქრობდა ის.

ცის დასავალმა სამუდამოთ მოკუმა ბაგე და გაშავდა.

იდგა სიჩუმე და წყვდიადი.

— რა სიჩუმეა?! თითქოს ამ რამოდენიმე დღის წინად აქ არაფერი მომხდარიყოს!? ეს მიდამო სავსეა გვამებით!

„კორნელი ისე იქცევა, თითქოს არც კი იცოდეს და ჰქონდეს შეგნებული მის მიერ ჩადენილი ვერაგობა და ჯალათობა!“ — გაიფიქრა მახათაძემ.

ცოტა ხნის შემდეგ ცა მოიჭედა ვარსკვლავებით. კორნელიმ აღაპყრო ცისკენ თვალი და განაცხადა:

— იცით, მეგობრებო, უნდა გამოგიტყდეთ?! ბავშობიდანვე მაშინებდა და განვიცდიდი შორეულ ვარსკვლავთა ამ იდუმალ ციმციმის, ჩამდგარ ქარსა და ვულკანივით მოზღვავებულ სიჩუმეს...

— მაინც რას განიცდი? ჰკითხა სანდრომ.

— რა ვიცი... ეს ჩემი წინათგრძნობაა .. თითქოს უნდა მოხდეს უბედურება!

— ამაზედ მეტი უბედურება და სისაძაგლე? — შეეკითხა მახათაძე გესლიანათ და შამქორის ველს თვალი გადაავლო.

მაღლა იდგა მთავარე და თოვლით დაფარულ მიდამოს დასცქეროდა.

მდინარის გაღმა გზატკეცილი მიდიოდა სოფლისკენ...

ხესთან ატუზული ძაღლი კორნელივით უცქერდა გაცივებულ მთვარის გუგას, ვარსკვლავებს და განუწყვეტლივ უყეფდა. შემდეგ გაყუჩდა, მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეხლა შესჩშნა თავის მარტოობაო! კუდი ამოიძუა, მოიკუტა, ქეჩოზედ ბალანი ჯაგარივით აებუძგა, სიპა შაეკრა, გაგუდულის ხმით მიჰმართა მთვარეს და ყმუოდა...

ყმუოდა ძაღლი თოვლით დაფარულ შამქორის ველის ხევ-ხუვთა შორის, თითქოს ველზედ დახოცილ მკვდარ ჯარისკაცებს არავინ ჰყავდა მის მეტი დამტირებელი...

ყმუოდა ძაღლი...

— დასწყევლოს ღმერმთა! — სთქვა კორნელიმ, ჯიბიდან ნაგანი ამოიღო და ძაღლს დაუმიზნა. სანდრომ ხელი სტაცა:

— რას შვრები? სადგურთან სროლა აკრძალულია!

— მოვკლავ ამ საძაგელს!

— შენ, ჩემო ძმაო, ძაღლების კვლა ხელობად აგიღია!

— როგორ? — იკითხა მახათაძემ. გაუკვირდა.

— ერთი უკვე გააცივა ტფილისში ბრიგადის საწყობთან გუშაგობის დროს.

— მაშინაც ასე ყმუოდა ის ვერანი!

— მერე შენ რა გენაღვლება? — შეეკითხა მახათაძე.

— საშინელია... ასე მგონია მოხდება უბედურება... — სთქვა ისევ კორნელიმ.

— ცრუმორწმუნე ყოფილხარ! — შენიშნა მახათაძემ.

— ამ კუდამოძუებულ, მუნიან და პატარა ძაღლში ცნაურდება კოსმიური ნება.

— ეს უკვე მეტისმეტია! რა ნება უნდა იყოს ძაღლში? — გაუკვირდა მახათაძეს.

— ისინი წინასწარ გრძნობენ მიწის ძვრას, მაშინ როდესაც ადამიანის გონება და მეცნიერება უძლურია სთქვას აქ რაიმე წინასწარ.

— ბევრი ზღაპარი გააბათილა გონებამ... ბევრი რამ შეუმცნობი ახსნა და მომავალშიც ახსნის...—დააიმედა კორნელი მახათაძემ, მაგრამ ამაოდ.

— განსაზღვრულ წერტილამდე... ხოლო ამ წერტილის შემდეგ იწყება დოქტორი ფაუსტის მსგავსი სასოწარკვეთა, უიმედობა და თვითმკვლელობა... სხვათაშორის ყოვლის უარმყოფელი სული, ფაუსტსაც პატარა ძაღლის, „პუდელის“ სახით მოევლინა... ფაუსტის სახლის კარებთან გაჩერდა და ყმუილი მორთო.

— ნუთუ შენ ავსულთა არსებობა გწამს?—გაუკვირდა მახათაძეს.

— იგი არ არსებობს ჩემს გარეშე იმდენად, რამდენადაც მე მის გარეშე...

— იგი არსებობს შენში შენივე ავადმყოფი ფსიქიკის გამო...

— ეგ სულერთია... შესაძლოა იგი არც არსებოდეს რეალურად...—უპასუხა კორნელიმ.

ხესთან ატუზულმა ძაღლმა ისევ დაიწყო ყმუილი.

— ამ ვერანას ყმუილი სიმბოლოა მხოლოდ... „Alles fergängliche ist nur ein Gleichnis!“—მოიყვანა კორნელიმ, „ფაუსტიდან“ ციტატა, რომლის მნიშვნელობა გერმანული ენის უცოდინარობის გამო ვერ გაიგო მახათაძემ და სანდრომ... კორნელიმ ისარგებლა შემთხვევით და გადმოალაგა თავისი სიბრძნე და შეხედულება:

— „ყოველივე წარმავალი ხატია მხოლოდ წარუვალისა“—ამბობს გიოტე მაგრამ განა არსებობს ამ ქვეყნად წარუვალობა? ჩემის აზრით ყველაფერი ისპობა, ქრება და აღარასფერი აღარ დარჩება ამ ქვეყნად.—კორნელიმ ღრმად ჩაჰხედა თვალებში მახათაძეს და განაგრძო—აი, ეს ჩვენი თვალები, ესოდენ შუქთა მფენელნი და სავსე იმედებითა დაიხუჭებიან სამუდამოთ... მათ დაღრღნის სამარის ჭია და ორად აღებულს თხრილებში ქვეწარმავალნი გაიკეთებენ სოროს; ჩაცოცდებიან და ამოიწელებიან თვისი სველი მუცელით... არავითარი შუქი აღდგომისა არ არსებობს ამ ქვეყნად გარდა შვენიერი ტყუილისა ქრისტეს აღდგომის სახით. კვდება სხეული და მასთან სულიც! ველარ შეხვდებიან ისინი ერთმანეთს მარადის... მატერიალურ სამყაროში სიკვდილის შემდეგ არის მხოლოდ ერთადერთი შეხვედრა...

— მაინც?—ჰკითხა მას მახათაძემ აღრენით.

— ხომ გაგივლია ღამით ტყეში ან მინდვრად?

— კი... ბერვჯერ... მერე რა?

— გინახავს გადაჭრილი, დამპალი მუხის ან სხვა რომელიმე ხის ძირი, ნაფოტი ან და ძვლის გამოქარული, დასვრეტილი ქერქი?

— მინახავს...

— ჰო და თუ ეს გინახავს, ალბათ იმასაც შეამჩნევდი, რომ ღამით მუხის ძირი და ძვლის ქერქი ანათებს ფოსფორივით.

— მერე რა? ეს არის ნივთების ქიმიური შემადგენლობა და სხვა არაფერი...

— არა... ეს არის უკანასკნელი და ერთადერთი შეხვედრა ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო შეიარაღებული და საომრად გამზადილი. მოდიოდა ათასი-და ათასობასი ჯარისკაცი სიმღერით, სტვენით, გარმონით, ჩირაღდნებით და არამც თუ აზერბეიჯანის ხანების ბრბოები, მაღალოვი და აფხაზავა, არამედ ვერავითარი ძალა ველარ შეაჩერებდა ამ ტალღათა დენას ამიერიდან ოქტომბრის რევოლუციის ზღვისკენ.

ეშელონის ორთქლმავალი მიარღვევდა ღამეს ანთებულ თვალით... კიაფობდა წითელი ფარანი და წინ გაკრული ხუთქიმიანი დიდი ვარსკვლავი... ორთქლმავალზე ფრიალებდა წითელი არშია და ზედ დიდის ასოებით გაკეთებული წარწერა:

„რევოლუცია!"

მიჰქროდა მანქანა ქარტეხილით; მას მართავდა კომუნისტი მემანქანე და სურდა გარდალახვა უსაზღვრო სივრცეების...

დილით ადრიან ჯარისკაცები აღტაცებით ეგებებოდენ ახალ სოფელს და ქალაქებს...

ელავდენ მზისგან ანთებული რონოდის ფანჯარათა მინები; ორთქლმავალის თუჯის ხახიდან ამოდიოდა ქშენით ბოლი და ცეცხლი...

ტრიალებდენ ბორბლები უდიდესი სიჩქარით ლიანდაგზე და ლიანდაგი გუგუნებდა, იმღეროდა ქარტეხილივით შმაგსა და აბორგებულ ჰანგებს...

ორთქლმავალი მიარღვევდა გარდულახავ სივრცეებს; კიდით-კიდემდე გაისმოდა მისი საყვირი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული მეცნიერებანი
ეუბნიცისტიკა

გრ. ფუფიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მონოპოლისტური კაპიტალიზმის ლენინური თეორიის დასაცავად

Для распутывания и популярного раз'яснения нужны около десяти печатных страниц против десяти строк путаницы.

Ленин.

I

„მნათობი"-ს გასული წლის მე-5-6 და მე-7 №№-ში მოვათავსე საკმაოთ ვრცელი წერილი: „მონოპოლისტური კაპიტალიზმი". წერილი დაიწერა „მშვიდობიან" პირობებში—ლაპარაკიც არ იყო „ორგანიზაციულად მოწყობილ კაპიტალიზმის" ბუხარინულ თეორიაზე, ასე გარკვევით არ გაისმოდა ამხ. ბუხარინის შეცდომებზე, მის ანტილენინურ თეორიულ შეხედულებებზე იმპერიალიზმისა და საერთოდ, ფილოსოფიურ-ეკონომიურ საკითხებში „არსით ხმა არსით ძახილი", მაგალითად ნ. ლენინის გენიალური შენიშვნებიც კი ამხ. ბუხარინის წიგნზე—Экономика переходного периода—ბოლო ხანებში გამოქვეყნდა.

მას შემდეგ დიდძალმა წყალმა ჩაიარა. ამხ. ბუხარინის პოლიტიკურმა ოპორტუნიზმმა ლოლიკური აუცილებლობით წამოაყენა მემარჯვენეობის თეორიული ფესვების გამოაშკარავების საჭიროება. უდაოა, ამხ. ბუხარინის პოლიტიკური ქანაობის ამპლიტუდა, მისი ოპორტუნისტული პოლიტიკური ხაზი ყალბ თეორიულ შემეცნებიდან გამომდინარეობს. ეს საკითხი საკმაოთ აშკარაა ყველასთვის და ამით მოვსჭრი ამაზე ლაპარაკს.

მონოპოლისტური კაპიტალიზმის, იმპერიალიზმის, საერთოდ—თეორიული ეკონომიის პრობლემების სწორი, მარქსისტულ-ლენინური გარკვევა გაცილებით გაადვილდა ამხ. ბუხარინის „დამუშავების" შემდეგ. პარტიამ ჩაატარა—და ატარებს—უდიდესი თეორიული ლაშქრობა ანტილენინურ და არალენინურ შეხედულებათა წინააღმდეგ. პოლიტიკურად მემარჯვენე ოპორტუნიზმი გაკოტრდა სრულებით, მაგრამ ბრძოლა არ ამოწურულა, ის გრძელდება კიდეც ორივე მიმართულებით: ბრძოლა ოპორტუნისტულ პრაქტიკასთან, ბრძოლა ოპორტუნიზმთან თეორიაში. აქ ბრძოლაა ორ ფრონტზე, განსაკუთრებით მეორე ფრონტია „გამაგრებული": ამხ. ბუხარინმა, ასე ვსთქვათ, „უარყო" პოლიტიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოპორტუნიზმი, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ უარუყვია მეტად ძნიშვნელოვანი თეორიული შეცდომები...

უდაო ფაქტზე ვლაპარაკობ: ამხ. ბუხარინის თეორიულად არა სწორ შეხედულებებთან ამკარა ბრძოლამ ლენინის ორტოდოქსალური გაგება გაგვიადვილა. ვინც ბევრს გაიძახის „მონოპოლისტური კაპიტალიზმის სწორი გაგებისათვის“ დღეს, ვინ იცის, რა „ედო გულში“ გუშინ. და ვამბობ ყოველგვარი ყოყოჩობის გარეშე: მაშინ, როცა მონოპოლისტური კაპიტალიზმის პრობლემებში გარკვევა შედარებით უფრო ძნელი იყო, არ მოიპოვებოდა ამდენად მდიდარი ლიტერატურა—მდიდარი ლენინური თეორიის დაცვის თვალსაზრისით—დიდი იყო ამხ. ბუხარინის თეორიული გავლენა,—მაშინაც კი შესძლო ჩემმა „მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა“ ლენინური კონცეფციის სწორათ შენარჩუნება. რასაკვირველია, მთელი წლის წინეთ დაწერილ შრომაში დღეს შეიძლება ზოგიერთი ასო, ზოგიერთი სიტყვა უადგილოთ მოგვეჩვენოს. ამასაც ვნახავთ, რა თქმა უნდა. საზოგადოთ, საქმე ასოებში კი არაა,—აზრშია, ძირითად ხაზში, მიმართულებაში. სწორია თუ არა ეს ხაზი, ეს მიმართულება—ესაა მთავარი. გამოთქმულია თუ არა პრობლემის დედა-აზრი სწორათ, ამაშია საქმე.

სამწუხაროთ, სინამდვილეში დამაფიქრებელ მოვლენასთან გვაქვს საქმე. მონოპოლისტური კაპიტალიზმის ლენინური გაგება შედარებით გაგვიადვილდა, ამ საკითხზე დიდძალი ახალი ლიტერატურა წარმოიშვა. ამ საკითხს ვარკვევთ და ვარჩევთ უდიდესი ყურადღებით, ინტერესით. მიუხედავათ ამისა, მაინც მოიპოვებიან „იშვიათი ეკზემპლიარები“, რომლებიც ლენინურ თეორიის სწორათ გაგების „იარლიკით“ ძირს უთხრიან ამ თეორიას. ლენინიზმის საფარით ლენინიზმის წინააღმდეგ გამოდიან. არ ვიტყვი, შეგნებული მოქმედების შედეგი იყოს ეს. სრულებითაც არა. ამის მიზეზი „ობიექტიურია“: თეორიული აზროვნების უსუსურობა, მომზადების საცარი სისუსტე და ხშირათ ამასთან ერთად—„თეორიულ შესაძლებლობასთან“ პირუკუ პროპორციული გამბედაობა.

ვსთქვი და ვიმეორებ, არც ისე ბევრია ასეთი „იშვიათი ეკზემპლიარები“ თეორიულ აზროვნების ოჯახში. მაგრამ არის მაინც, და ამაზე ფაქტი ღაღადებს.

* * *

„მნათობში“ დაბეჭდილ ჩემს წერილებს „საქართველოს ეკონომისტი“ გამოეხმაურა. ამ ჟურნალში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „მონოპოლისტური კაპიტალიზმის სწორი გაგებისათვის“, რომელსაც ხელს აწერს ამხ. დ. დოლიძე.

სანამ მთავარ კითხვებს შეეუდგებოდე, კამათის ასპარეზი უნდა გავსწმინდო დამაბრკოლებელ „წვრილმანებისაგან“. ვლაპარაკობ ამხ. ნ. ბუხარინსა და რ. ჰილფერდინგზე. ჩემი კრიტიკოსი ვერ ნახულობს (თუ არ ნახულობს—სულ ერთია) განსხვავებას ჩემი წერილების აზრსა და ამხ. ბუხარინის იმ-

პერიალიზმის თეორიას შორის. ასევე რ. ჰილფერდინგის შესახებაც: მისი-ქმით, ვითომც მე „ვაფუჩეჩებ და ვჩქმალავ ყოველგვარ განსხვავებას ჰილფერდინგს, ბუხარინს და ვ. ლენინს შორის მონოპოლისტური კაპიტალიზმის საკითხებში". ეს აიხსნება, სხვათა შორის, იმ გარემოებითაც, რომ

ამბ. გრ. მუშიშვილი დიდის მორიდებით, თავაზიანობით ეპყრობა ამბ ნ. ბუხარინის არა ლენინურ შეხედულებებსაც. როგორც რ. ჰილფერდინგის წინაშე, ისე ბუხარინის მიმართაც გრ მუშიშვილი ზედმიწევნით იჩენს გიმნაზიელის შიშს მასწავლებლისადმი და სცდილობს არ აწყენინოს და უპმოთ დაეთანხმოს ამბ. ბუხარინს მთელ რიგ საკითხებში.

როგორც ხედავთ, ჩემმა მოკამათემ ამბ. ბუხარინთან დამიჭირა და მასთან ერთად ჩამომახრჩო კიდეც. ჭეშმარიტად: mitgefangen, mitgehangen! მე არ ვმალავ ჩემს „ადამიანურ სისუსტეს"—არ მაქვს ამბ. დოლიძის გამბედაობა. ამბ. ბუხარინს ვებრძვით პოლიტიკაში, ვებრძვით თეორიაში. ამ ბრძოლაში არ გვაქვს არავითარი შიში და თავაზიანობა. აქ ორი აზრი შეუძლებელია. ლენინიზმიდან გადახვევა ბოლშევიკური სიმტკიცით და სისასტიკით უნდა გასწორდეს. აქ ბრძოლა სწარმოებს პიროვნების მიუხედავათ.

მაგრამ უხმოთ ვეთანხმები ამბ. ბუხარინს „მთელ რიგ საკითხებში" თუ არა, ქვევით დავინახავთ.

გადაჭრით ვუარვყოფ ჩემი ოპონენტის „მტკიცებას", ვითომც რ. ჰილფერდინგის წინაშე ვგრძნობდე „გიმნაზიელის შიშს მასწავლებლისადმი" და გავიძახოდე: რ. ჰილფერდინგის შეხედულება საფინანსო კაპიტალზე ასი პროცენტით სწორიაო". რბილათ ვიტყვი ძალიან: ეს მოჩმახული ლედაბრული ჭორია და მეტი არაფერი. ლენინი ხაზს უსვამს რუდოლფ ჰილფერდინგის „მოდრეკილებას მარქსიზმის ოპორტუნიზმთან შერიგებისადმი", ჰილფერდინგის შეცდომას „ფულის საკითხის თეორიაში". მაგრამ ამავე დროს ლენინი აღნიშნავს, რომ „ფინანსიური კაპიტალი" „წარმოადგენს უაღრესად ძვირფას თეორიულ ანალიზს" თანამედროვე კაპიტალიზმისო (ინტერესისათვის: ლენინის სიტყვებს: „в высшей степени ценный" დოლიძე მოკლეთ სთარგმნის: „ძვირფასი". ასე სცდილობს ჩემი კრიტიკოსი ლენინის აზრის „სწორათ" გადმოცემას. ეს სხვათა შორის). ასეთია ლენინის შეხედულება „ფინანსიურ კაპიტალსა" და მის ავტორზე. ამბ. დოლიძე სცდილობს ლენინთან წინააღმდეგობაში დამიჭიროს. მას მოჰყავს ციტატა ჩემი წერილიდან: „რ. ჰილფერდინგი სააქციო კაპიტალის საკმაო მარქსისტულ ანალიზს იძლევა". შემდეგ აქვე ასკვნის: „ნუ თუ ეს სწორია? ნუ თუ რ. ჰილფერდინგი თავის „საფინანსო კაპიტალში" სააქციო კაპიტალის და საერთოდ მონოპოლისტური კაპიტალიზმის საკმაო მარქსისტულ ანალიზს იძლევა? არა, ეს მტკიცება არ არის სწორი. ეს მტკიცება მოჩმახულია ვისიმე მოსატყუებლად. ეს მტკიცება ნაკარნახევია ლენინის რევიზიის თვალსაზრისით" (ხაზი ჩემია, გ. მ.).

ვეკითხები მკითხველს, ვეკითხები ავტორსაც: განა არის ამ მსჯელობაში „ჭკუათმყოფელობის" ნატამალი? რა არის აქ „ლენინის რევიზია?" მე ვამბობ კონკრეტულ საკითხზე—სააქციო კაპიტალზე და ვასკვნი, რ. ჰილფერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინგი ამ საკითხში საკმაო მარქსისტულ ანალიზს იძლევა. ჩემ მსჯელობის საგანი ერთი საკითხია—სააქციო კაპიტალი და არა ფულის თეორია, მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნიზმი. ჩემი მოკამათის მსგავსად „დომხალისტი“ ვიყო, ერთმანეთში ავურევდი ყველაფერს: ფულის პრობლემას, იმპერიალიზმს, სააქციო კაპიტალს. ვარკვევ სააქციო კაპიტალის ბუნებას და ამ საკითხში ვახასიათებ რ. ჰილფერდინგს. ცხადია, ამის გაგება შეეძლო ამხ. დოლიძეს, რომ ქონდეს მონოპოლისტურ კაპიტალიზმზე ოდნავ საფუძვლიანი წარმოდგენა. მაშინ ის არ იტყოდა „საერთოდ მონოპოლისტური კაპიტალიზმი“-ო. ის ვერ არჩევს უბრალო ეკონომიურ კათეგორიებს. ყოველგვარი სააქციო კაპიტალი მონოპოლისტური კაპიტალი რომ იყოს, მაშინ მონოპოლისტური კაპიტალიზმის სამშობლო XX კი არა, XIX საუკუნე იქნებოდა. ჩემი წერილები რომ გულმოდგინეთ წაეკითხა, ისწავლიდა, თუ რა არის კაპიტალისტური მონოპოლია. მაგრამ, როგორც სჩანს, დოლიძე არ იწუხებს თავს თეორიულ ანალიზისათვის. თეორიული კვლევა-ძიება მას არ აინტერესებს. მისთვის საინტერესოა მხოლოდ დასწეროს: გრ. მუშიშვილის „ეს მტკიცება ნაკარნახევია ლენინიზმის რევიზიის თვალსაზრისით“. მან არ იცის, ნათქვამს დამტკიცება უნდა, ხოლო უმეცრებით ალგებრული კი არა, უბრალო არითმეტიკული ამოცანაც არ გადაიჭრება.

ახლა კი უნდა მივსცე ერთი ამოცანა ჩემს მოკამათეს: რა აქვს მხედველობაში ლენინს, როცა სწერს, რ. ჰილფერდინგის „ფინანსიური კაპიტალი“ უაღრესად ძვირფას თეორიულ ანალიზს წარმოადგენს თანამედროვე კაპიტალიზმისო? ლენინი ამბობს, „თანამედროვე კაპიტალიზმის უახლეს ფაზის“ უაღრესად ძვირფასი თეორიული, ე. ი. მარქსისტული ანალიზია „ფინანსიური კაპიტალიო“. ხოლო ეს „ფაზა“ ხომ მონოპოლისტური კაპიტალიზმია? ჩემი კრიტიკოსი მე მიკიჟინებს „ლენინიზმის რევიზიას“, თვითონ კი ვერ ამჩნევს, ორივე ფეხითაა ამ რევიზიის მახეში გაბმული[1]).

ქვევით.

სად ვამბობ ამხ. დოლიძის მიერ მოგონილ სისულელეს: „რ. ჰილფერდინგის შეხედულება საფინანსო კაპიტალზე ასი პროცენტით სწორია“-ო. საიდან გამოიყვანა ასეთი გაბედული დასკვნა ჩემმა მოკამათემ? საინტერესოა, რათ

[1]) კარგათ მესმის ჩემი „კრიტიკოსის“ გულის წუხილი და იერემიადა: რ. ჰილფერდინგი I ინტერნაციონალის თეორეტიკოსია, მენშევიზმის მედროშე. მაგრამ განა დღეგანდელ სოციალ-ფაშისტ ჰილფერდინგზეა ლაპარაკი? ლაპარაკია „ფინანსიური კაპიტალის“ ავტორზე, კაპიტალიზმის „უახლეს ფაზის“ პირველ მარქსისტ მკვლევარზე, ადამიანზე, რომელმაც მოგვცა ფინანსიური კაპიტალის „უაღრესად ძვირფასი თეორიული ანალიზი“. რ. ჰილფერდინგმა იცვალა ფერი, იცვალა ხნე. მან საკუთარი ხელით დასწვა თავისი ცნობილი გამოკვლევა, გაანაღდა „მიდრეკილება მარქსიზმის ოპორტუნიზმთან შერიგებისადმი“. ვიმეორებ, განა ამ რ. ჰილფერდინგზეა ლაპარაკი? ვამბობ „ფინანსიურ კაპიტალზე“, ლაპარაკია ამ შრომის შეფასებაზე. მაგალითად, არის თუ არა „უაღრესად ძვირფასი“ მარქსისტული ნაშრომი რ. ჰილფერდინგის ბროშურა: „ბემ-ბავერკი, როგორც მარქსის კრიტიკოსი“?

მარქსისტულ „ლიტერატურულ მემკვიდრეობას“ დოლიძისებური ბარბაროსობით აღარ ვეკცევი და არც მოვეკცევი. დე, მკითხველმა სთქვას თავისი სიტყვა, გაგვასამართლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმალავს მკითხველს ამხ. დოლიძე ჩემს შენიშვნას, რომელიც „ცნობიერების“ მე-5-6 №-რის მე-176 გვერდზე თეთრზე შავათაა დაბეჭდილი:

> ჰილფერდინგი აღნიშნავს, რომ აქციონერულ საზოგადოების ეკონომიკის გაგებაში მე მარქსზე უფრო შორს მივდივარო“ (Op. cit., გვ. 111). ჩვენ აქ არ გამოვუდგებით იმის გარკვევას, თუ რამდენად „შორს წავიდა“ რ. ჰილფერდინგი ამ საკითხში მარქსთან შედარებით. ავღნიშნავთ მხოლოდ, რომ ისეთი რადიკალური და გაბედული დასკვნები, რომლებსაც მარქსი იძლევა სააქციონერო კაპიტალის ანალიზის თუმცა გაკვრითი ანალიზის დროს, ჩვენ ვერ გვხვდება „ფინანსიურ კაპიტალში“.

მაშასადამე, სად არის აქ „ას პროცენტით“ სისწორე? სიტყვა „საკმაოთ“ ჩემს ოპონენტს „ასი პროცენტი“ ჰგონია. საინტერესოა, რამდენი „პროცენტიანია“ ლენინის სიტყვები—„უაღრესად ძვირფასი“. მიუხედავათ ამისა, ლენინი მაინც ხაზს უსვამს ჰილფერდინგის შეცდომას ფულის საკითხში, ოპორტუნიზმის მარქსიზმთან შეგუების მიდრეკილებაში. მე ვიხმარე სიტყვა „საკმაოთ“. მიუხედავათ ამისა, თვით სააქციო კაპიტალის გაგებაშიაც ავღნიშნე რ. ჰილფერდინგის „გაუბედავი დასკვნა“ მარქსთან, მაშასადამე—რევოლიუციონურ მარქსიზმთან შედარებით.

ამონაწერი კიდევ: „მნათობის“ მე-7 №-შიაც ვსწერ: „რ. ჰილფერდენგი ფინანსიური კაპიტალის განსაზღვრაში აღუნიშვნელად სტოვებს მონოპოლიზაციის მთავარ მომენტს. ეს შემთხვევითი არ არის ჰილფერდინგისთვის“ (გვ. 189).

ვიმეორებ, სად არის აქ „ას პროცენტიან სისწორეზე“ ლაპარაკი? სად არის აქ „გიმნაზიელის შიში“ ჰილფერდინგისადმი?

ჩემი მოკამათე იუპიტერისაგან უნდა იყვეს დასჯილი. თორემ ის ადვილათ გაიგებდა ლამაზათ და კოხტათ დაბეჭდილს, სიტყვების ამოკითხვით აზრსაც ამოიკითხავდა. თვითონ კრთის აზრის სწორათ გაგებისა და სწორათ გადმოცემის სიძნელის წინაშე. ეს საკუთარი შიში „გიმნაზიელის“ შიში ჰგონია. С больной головы да на здоровую!

აიღეთ ასეთი განცხადება: „გრ. მუშიშვილი... ყოველივე საკითხის გაშუქების დროს რ. ჰილფერდინგს და ლენინს ერთ ტაფაზე ათავსებს“, „ჩქმალავს და აფუჩეჩებს ყოველგვარ განსხვავებას ჰილფერდინგს... და ვ. ლენინს შორის მონოპოლისტური კაპიტალიზმის გაგების საკითხებში“.

ვაყენებ კითხვას: საიდან გამოიყვანა ავტორმა ასეთი ყოვლად შეუსაბამო დასკვნა? რათ არ ასახელებს თუ გინდ ერთ ადგილს, სადაც ლენინი და ჰილფერდინგი „ერთ ტაფაზეა მოთავსებული“? „ერთი ტაფა“ არის იქ, სადაც ლენინი ფიქრობს, ჰილფერდინგის ესა თუ ის დებულება „უაღრესად ძვირფასია“, სწორია. სრული მეტაფიზიკა, სრული უგუნურობა იქნება იმის მტკიცება, ვითომც ლენინი უარყოფს „ფინანსიურ კაპიტალის“ მრავალ სწორ დებულებას და არ იზიარებს არაფერს. მაშინ ხომ არ იტყოდა ლენინი, „უაღრესად ძვირფასი“ ნაშრომია ეს ნაწერიო. ჩვენ ვიცით, რა არის ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომაში ძვირფასი“ რა—არა. ჩემი ოპონენტი კი ხელაღებულ უარყოფს რ. ჰილფერდინგის „ფინანსიურ კაპიტალს“. „ფინანსიური კაპიტალის“ ასე ბითუმათ უარყოფა ჩემს მოკამათეს საერთაშორისო ოპორტუნიზმის წუმპეში აგდებს. განა მენშევიკური ოპორტუნიზმი, თანამედროვე რეფორმიზმი არ უარყოფს „ფინანსიურ კაპიტალის“ მრავალ საყურადღებო დებულებას, რადიკალურ დასკვნებს? განა ლენინი არ იცავდა „ფინანსიურ კაპიტალს“... კაუცკისაგან? აქ მარჯვენა ფეხით სდგას ამბ. დოლიძე ოპორტუნიზმის ნიადაგზე. სულ ერთია, მისმა „თავმა“ იცის თუ არა ეს ამბავი. აქ მისი „თავი“ კი არა, ფეხია გადამჭრელი.

ჩემი კრიტიკოსის თეორიული გამბედაობა გაცილებით შორს მიდის. მას მიზნათ დაუსახავს ჩემი... მეორე ინტერნაციონალის მიმდევრობაც „დაამტკიცოს“! რა საბუთით? ვიქონიოთ მოთმინება და ვოვუსმინოთ ჩვენს „მიუდგომელ“ ავტორს (მართლწერა და სტილი დაცულია):

> აქვე საჭიროა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ გრ. მუშიშვილი ერთ კრინტსაც არ სძრავს მის შესახებ, თუ როგორია მეორე ინტერნაციონალის შეხედულება მონოპოლისტურ კაპიტალიზმზე, თუ როგორია რ. ჰილფერდინგის და კ. კაუცკის დღევანდელი ოპორტუნისტული ფიზიონომია.

პირდაპირ საკვირველია: ნუ თუ იმდენად გულუბრყვილოა ჩემი კრიტიკოსი, რომ ლიტერატურული მუშაობის სრულებით ელემენტარული, უბრალო პირობაც არ იცის, არ იცნობს საკითხის გარკვევის წესს? წაიკითხოს ჩემი წერილების სათაური და დაინახავს, რომ ჩემი მსჯელობის საგანი, პირველ ორ წერილის ფარგლებში, სრულებით არ არის მეორე ინტერნაციონალის, ჰილფერდინგ-კაუცკის „დღევანდელი ოპორტუნიზმის ფიზიონომიის“ ახსნა-გაშუქება. არ ვარ ილია ჭავჭავაძის გლახა ჭრიაშვილი. ეს საპატიო ეპიტეტი ჩემს „კრიტიკოსს“ ეკუთვნის უდაოო და მას აღარ შეეცილები. რასაკვირველია, ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ თავის დროზე, თავის ადგილას. Всякой овощи свое время. ამაზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია.

მაგრამ მეორე საკითხია, განა ეს მნიშვნელოვანი, უაღრესად აქტუალური საკითხების გარკვევა არ შედის „მონოპოლისტურ კაპიტალიზმის“ გაშუქებაში? ცხადზე უცხადესია, შედის აუცილებლად, ყოველ ეჭვს გარეშე. მაშ რათ არ ვარკვევ წერილში, არ „ვძრავ კრინტს“? უბრალო მოსაზრებით: ჩემი წერილები დასაწყისია მონოპოლისტურ კაპიტალიზმის კვლევა-ძიების, და არა მთლიანი სახე. საკვირველია, რათ ვერ წაიკითხა ჩემმა გულმოდგინე და მეტად კეთილსინდისიერმა „კრიტიკოსმა“ წერილის უკანასკნელი სტრიქონები:

> ჩვენ შეგნებულად აუხვიეთ გვერდი მეტად მნიშვნელოვან პრობლემას—ტეხნიკურ პროგრესისა და სამრეწველო ფინანსიურ კრიზისების საკითხს მონოპოლისტურ კაპიტალიზმის სისტემაში. მაგრამ ამ პრობლემას თავის დროზე და თავის ადგილას დავუბრუნდებით.

ამის წაკითხვა და გაგება მაინც და მაინც ძნელი არ იყო ჩემი მოკამათისათვის, თუ ექნებოდა ამის სურვილი. აქ თეორზე შავათაა ნათქვამი, მრავალ საკითხს „შეგნებულად ავუხვიეთ გვერდი“ და მათ „თავის დროზე და თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილას დავუბრუნდებით". აქვე შევნიშნავ, ულტრა-იმპერიალიზმის თეორია სპეციალური ანალიზის საგანია და მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მონოპოლისტური კაპიტალიზმის საერთო პრობლემებში. სწორეთ ასე მაქვს მუშაობის გეგმაც წარმოდგენილი.

მაგრამ ჩემი მოკამათისათვის ეს სულ ერთია. მას არ აინტერესებს პრობლემების თეორიულ-სისტემატიური განხილვა. ის ვაკაცურათ ზის ყოვლის ამტან მუნჯ ქალალდზე და „პითიასავით" გაიძახის უაზრო სიტყვებს: „გრ. მუშიშვილი ერთ კრინტსაც არ სძრავს... რ. ჰილფერდინგის და კარლ კაუცკის დღევანდელი ოპორტუნისტულ ფიზიონომიაზე" და

> განგებ სდუმს მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტულ შეხედულებებზე მონოპოლისტური კაპიტალიზმის გაგების საკითხში... ამ სიჩუმის მიზეზს ჩვენ ქვემოთ დავინახავთ.

დავიმახსოვროთ, არ დაგვავიწყდეს: ჩვენმა ოპონენტმა პროფესორმა ეს დაპირება უნდა გაანაღდოს!! მზის დაბნელებისათვის დონკიხოტური ბრძოლა გამოაცხადა. ვნახოთ, რამდენად გამოვა ამ ბრძოლიდან გამარჯვებული...

II

ჩემი მოკამათის პირველი „განმანადგურებელი" დებულება მარტივია და ადვილად გასაგები. აქ ავტორი ციტატების ამოგლეჯისა და ამ ციტატების აზრთა საერთო წყობიდან მოწყვეტის საკვირველ ოსტატობას იჩენს. ეს ადვილად გასაგებია: კაცი, რომელიც უძლურია აზრი გაიგოს, ყოველთვის სცდილობს სიტყვები მაიხც ღეჭოს. მაგრამ ვნახოთ, რამდენად აღწევს ჩემი უებარი თანამოკალმე მიზანს ასეთ, ყოველგვარ ღირსებას მოკლებულ საშუალებით.

აი ეს მარტივი დებულება:

„წარმოების განსაზოგადოების პროცესი მიმდინარეობს არა იდილიის სახით, როგორც ეს გრ. მუშიშვილს წარმოუდგენია, არამედ ვაების, განადგურების და მოსპობის სახით". კიდევ: „საქმეც ისაა, რომ კაპიტალისტური მეურნეობის ანტაგონისტური განვითარება ისე ტრაფარეტულათ არ მიმდინარეობს, როგორც ეს გრ. მუშიშვილს წარმოუდგენია. კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ ხდება კაპიტალის უბრალო განსაზოგადოება. აქ კაპიტალის განსაზოგადოებასთან ერთად ადგილი აქვს კაპიტალისტების დიდი ნაწილის ექსპროპრიაციას. არა უბრალო უსისხლო (!) განსაზოგადოება კაპიტალის, არამედ განსაზოგადოება კერძო მწარმოებლების დიდი რაოდენობისა პოპულიარიზაციის (კორექტურაა ალბათ. გ. მ.) ნიადაგზე,—აი როგორია კაპიტალის განსაზოგადოების შინაარსი", ცხადია, ვინც ასე არ ფიქრობს, ის იდეალისტია და არა მატერიალისტი.

ახლა ვიკითხოთ, აქვს თუ არა ამხ. დოლიძეს ასეთი ბრალდების „ნივთიერი საბუთი"? მართალია, ჩემი მედგარი კრიტიკოსის მტკიცება, ვითომც მე კაპიტალის ცენტრალიზაცია-კონცენტრაციის და განსაზოგადოების პროცესი „იდილიის" სახით, „ტრაფარეტულად" მაქვს წარმოდგენილი? განა უარვყოფ ინდივიდუალურ კაპიტალის ბრძოლას არსებისათვის? ჩემი მოკამათე გადაჭრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიპასუხებს: დიახ, მართალია, ასე აქვს გრ. მუშიშვილს ყველაფერი ეს წარმოდგენილიო. ასე არწმუნებს ჩემი კრიტიკოსი „ეკონომისტის“ მკითხველებს. აშკარაა, ადამიანს, რომელსაც საკუთარი კეთილსინდისიერი მსჯელობისა და ლოგიკურ აზროვნების არაფერი სჯერა, მას არ ძალუძს არც მკითხველის შებრალება.

კაპიტალის მონოპოლიზაციის მთლიან პროცესს ერთობ რთული ხასიათი აქვს. ეს სირთულე ჰგულისხმობს მრავალ მომენტს, რომელთა გათვალისწინება არც ისე ადვილია. ამ „სიმრავლეში“ არის უმთავრესი ზოლი, მთავარი ხაზი, ასე ვთქვათ, nervus rerum (ნივთების ძარღვი). ეს მთავარი, გადამწყვეტი, ძირითადი პირობა არის კერძო, ინდივიდუალური კაპიტალების ცენტრალიზაცია. ეს არის მონოპოლიზაციის საფუძველი. ასე ამბობს ლენინი, ამას ვიმეორებ მე. აქ შემიძლია მრავალი ციტატის მოყვანა ჩემი წერილიდან. მაგრამ რაკი ამაზე არაფერს „მსჯელობს“ ჩემი ოპონენტი, მეც ვკმაყოფილდები დებულების უბრალო კონსტატაციით. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, ამ დებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მონოპოლისტური კაპიტალიზმის გაგებისათვის. თუ ჩემი მოკამათე აქ სდუმს, ეს როდი ნიშნავს თვით საკითხის აქტუალობის მოდუნებასაც.

როგორ სწარმოებს კაპიტალის ცენტრალიზაცია, კაპიტალის განსაზოგადოების პროცესი: „უსისხლოთ“ თუ „სისხლის“ ღვრით (ჩემი კრიტიკოსის თერმინოლოგიით!)? ორიოდე ამონაწერი მხოლოდ.

> კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესი ვითარდება თავგრუდამხვევი სიჩქარით („მნათობი“, № 5-6, გვ. 170. აი „იდილია“!!).
>
> კაპიტალისტური მეტოქეობა იწვევს წვრილ წარმოებათა განადგურებას, ულონო კაპიტალის დანგრევას და ამ ნანგრევებზე უზარმაზარ კაპიტალისტურ წარმოების აშენებას. კაპიტალისტური კონკურენცია გზას უკაფავს კაპიტალის კონცენტრაციას—კაპიტალისტური წარმოების მსხვილ სამეურნეო ერთეულებში ჩამოყალიბებას (გვ. 169).

კიდევ:

> კაპიტალიზმის განვითარება როდი ჩერდება მარტო წვრილი მწარმოებელის ექსპროპრიაციაზე. მოვლენათა მსვლელობა ულმობელი ხდება თვით ექსპროპრიატორებისათვის. ერთი კაპიტალისტი ებრძვის მეორეს. ამ ბრძოლის მამოძრავებელია კაპიტალისტური კონკურენციის კანონი. ამ კანონმა არ იცის არც შებრალება, არც შეჩერება, მით უმეტეს—უკანდახევა. მისი შედეგია მრავალ კაპიტალისტის განადგურება, გაღატაკება [1]) (გვ. 169).

ვფიქრობ, საკმარისია, საკითხი ნათლადაა გაშუქებული. გაგებაა მხოლოდ საჭირო.

---

[1]) ინტერესისათვის. შეადარეთ ჩემი უკანასკნელი წინადადება: „მისი შედეგია მრავალ კაპიტალისტის განადგურება, გაღატაკება“—დოლიძის წინადადებას: „კაპიტალის ცენტრალიზაცია იწვევს კერძო მწარმოებლების ექსპროპრიაციას, გაღატაკებას და განადგურებას“! როგორც ხედავთ, კრიტიკოსი მპარავს თერმინებს და გიაძახის: ჩემს ენაზე ეს ნიშნავს „სისხლის“ ღვრას, ხოლო მისი ავტორის—გრ. მუშიშვილის ხელში—„იდილიას“, „ტრაფარეტსო“. ნეტავი მთელი წერილი გადმოეწერა ამხ. დოლიძეს, თუ კი ისეთი თილისმაა მისი „ოქროპირი“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავყვეთ ქვევით.

ჩვენ დავინახეთ, რომ კაპიტალის განსაზოგადოების პროცესი არ სწარმოებს „იდილიის“ სახით. ეს პროცესი არ სწარმოებს არც „ტრაფარეტულად“, როგორც—მე კი არა!—ჩემს ოპონენტს წარმოუდგენია. კაპიტალის განზოგადოების მთლიან პროცესს აქვს ორი მხარე, ორგვარი ხერხი, მეთოდი. ეს პროცესი უაღრესად დიალექტიურია. აქ განვითარება სწარმოებს არა ლარივით სწორი ხაზით, არა „ტრაფარეტით“. აქ ადგილი აქვს მოვლენათა დიალექტიურ სირთულეს, რომელიც გვევლინება დიალექტიურ განვითარების სახით. რაში მდგომარეობს მთლიან პროცესის ეს ორი მხარე? ამ კითხვაზე ასეთ პასუხს ვიძლევი, როცა, მაგ., ვარკვევ საბანკო კაპიტალის განსაზოგადოების პროცესს:

> საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაცია სწარმოებს სამრეწველო კაპიტალის ცენტრალიზაციის პარალელურათ... მხოლოდ მსხვილ, გაერთიანებულ საბანკო კაპიტალს შეუძლია კაპიტალისტურ მონოპოლიების სათანადო კრედიტებით უზრუნველყოფა და, მაშასადამე, მოგების სათანადო ნორმის მიღწევა (№ 7, გვ. 172).

მაშასადამე, საბანკო კაპიტალის აქციონერულ ფორმაში ჩამოყალიბების მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ სამრეწველო კაპიტალის ცენტრალიზაცია საჭიროებს მსხვილ კრედიტებს, რის დაკმაყოფილება არ შეუძლია ინდივიდუალურ საბანკო კაპიტალს. ეს არის პროცესის ერთი მხარე. შემდეგ:

> მეორე მხრივ, თვით ინდივიდუალურ ბანკებს შორის ვითარდება კაპიტალისტური კონკურენცია. საბანკო კონკურენცია ჰგულისხმობს წვრილი ბანკების გაკოტრებას და მსხვილი ერთეულების შექმნას. ამით ფართო გზა ეხსნება საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაციას (იქვე, ხაზი ძველია).

აქციონერული კაპიტალის განვითარების პროცესი ამ ორი პოლიუსის ერთიანობაა. პირველ პოლიუსზე (შეგვიძლია მეორით დავიწყოთ) კაპიტალის განსაზოგადოება ხდება, ასე ვსთქვათ, შედარებით „დაწყნარებულ ძარღვებით“. „გარეგანი ფაქტორი“—წარმოების გაფართოება-გაღრმავება აიძულებს წვრილ საბანკო ერთეულებს გაერთიანდეს აქციონერულ ფორმაში. წინააღმდეგ შემთხვევაში კარზე სდგას მოგების ნორმის საშიშროება მეორე პოლიუსზე, მეორე მიზეზით (მეორე—არა მნიშვნელობით): კაპიტალისტური კონკურენცია ინდივიდუალურ კაპიტალებს შორის, წვრილი კაპიტალის „გაკოტრება და მსხვილი ერთეულების შექმნა“.

მაშასადამე, კაპიტალის განზოგადოების პროცესი როდი ემყარება მხოლოდ ერთ მხარეს. აქ როდია „ტრაფარეტი“. აქ ძალდატანებითი და „ნებაყოფლობითი“ ელემენტი გადახლართულია ერთმანეთზე. პირველი ელემენტია, როგორც ამბობს მარქსი, „ძალდატანებითი წესი“, მეორე-„უფრო რბილი წესი“. აი სწორეთ ეს „უფრო რბილი წესი“ გვხვდება აქციონერულ საზოგადოებათა დაარსების დროს. მოუსმინოთ მარქსს (ვსარგებლობ სტეპანოვის თარგმანით):

> Централизация довершает дело накопления, давая возможность промышленным капиталистам расширять масштаб своих операций. Будет

ეროვნული ბიბლიოთეკა

ли этот последний результат следствием накопления, или централизации совершается ли централизация насильственным способом присоединения, при чем известные капиталы становятся центром столь непреодолимого тяготения для других, что разрушают их индивидуальное сцепление и потом притягивают к себе разрозненные куски, или же слияние массы уже образовавшихся или находящихся в процессе образования капиталов пригекает более гладким способом, посредством образования акционерных обществ,—экономическое действие во всех этих случаях остается одно и то же. Рост размеров промышленных предприятий повсюду служит исходным пунктом для более широкой организации совместного труда многих, для более широкого развития его материальных движущих сил, т. е. для прогрессивного превращения разрозненных и рутинных процессов производства в общественно-комбинированные и научно-направляемые процесы производства [1]).

ასე სწერს მარქსი, როცა არკვევს „კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონს“. მართალია, ადვილი არაა ამ ამონაწერის გაგება, განსაკუთრებით იმისათვის, ვინც შეჩვეულია მარქსის ზერელე კითხვას. „საზოგადოებრივ-კომბინატიური“ წარმოების პროცესი სწარმოებს ორგვარი „წესით“. ერთია „ცენტრალიზაცია შეერთების ძალდატანებითი წესით“ და მეორე—ინდივიდუალურ კაპიტალების „შეერთება“, რომელიც მიმდინარეობს“ შედარებით „უფრო რბილი წესით“ [2])—„აქციონერულ საზოგადოებათა დაარსებით“. ვაცხადებ გადაჭრით: მარქსის ეს აზრი სავსებით დაცულია ჩემს წერილში.

ჩემი მოკამათე იბნევა ორ ნაძვს შორის. მაა არ აქვს ნათლად, კიდევ მეტი, ოდნავ საკმაოთ მაინც კაპიტალის „აქციონერიზაციის“ პროცესი წარმოადგენილი. მან არ იცის მონოპოლიზაციის „მექანიკა“ და მისი „ორგანიკა“. ამ შემთხვევაშიაც ღალატობს მას თეორიული ცოდნა. ეს რომ ასეა, ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ ჩვენს მოკამათის მსჯელობაში ვერ ვპოულობთ თეორიული ანალიზის ნასახსაც კი. მას გაუგონია, კონკურენცია იწვევს ინდივიდუალურ კაპიტალის განადგურებას. ეს განადგურება, კაპიტალის ცენტრალიზაცია ხდება „არა უბრალო, უსისხლო“ წესით, არამედ ყველგან და ყოველთვის „სისხლით“, არა უბრალოთ“.

„ყურმოკრული და გაგონილით“ მეცნიერების „ტაძარში“ აღარ „სწირავენ“. ჩემმა ოპონენტმა უნდა იცოდეს ეს...

მარქსის მოშველიების შემდეგ უკვე ადვილია პრობლემის გარკვევის გაგრძელება. საკუთარ უმეცრობაშიაც დაურწმუნებელი ჩემი კრიტიკოსი მე მარწმუნებს ჩემს „უმეცრებაში“. აქ საკითხი ეხება იმას, თუ როგორ მიდის ინდივიდუალური კაპიტალი აქციონერული საზოგადოებისაკენ. მიდის თუ არა ეს კაპიტალი შედარებით „უფრო რბილი წესით“, როგორც ამბობს მარქსი, თუ აქ აუცილებელია „სისხლი“, როგორც ჩვენი თეორიული მოაზროვნე გვარ-

[1]) Маркс. Капитал, ტ. I, გვ. 499. ხაზი ჩემია.

[2]) ქართულ ლიტერატურაში: ამხ. გ. დევდარიანი სწერს, აქციონერული საზოგადოების დაარსება ხდება შეთანხმებითო. წიგნს ვასახელებ ქვევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმუნებს. ამხ. დოლიძეს მოყავს ჩემი ციტატა კუდმოგლეჯით და შემდეგ საკუთარი სითამამით გაკვირვებული წარა-მარა გაიძახის:

„გამოდის, რომ კერძო კაპიტალისტური მეურნეობები თვითონ ყოფილან დაინტერესებული წარმოების განსაზოგადოებაში; გამოდის, რომ სააქციო საზოგადოებისაკენ ლტოლვა უსაზღვროა, ე. ი. გამოდის, რომ ნ. ბუხარინის თქმის არ იყოს, ერთი გიგანტიური, კოლექტიური კაპიტალისტური მეურნეობა დაიპყრობს „ნაციონალურ“ ბაზარს და, ამრიგად, მოისპობა კაპიტალისტების შიგნით ქაოსობა“ (სტილი დაცულია).

ესე იგი გამოდის; რომ ჩემმა კრიტიკოსმა ხარი კუდით დაიჭირა: „აქ გრ. მუშიშვილის თეორია (თეორია! გ. მ.) რეალობასთან რაღაც (რაღაც! გ. მ.) კონფლიქტში იმყოფება“. ასეთია ჩემი მოკამათის ჭექა-ქუხილი. ვნახოთ, როგორც ჰქუხს ისე სწვიმს თუ არა.

ჯერ „გავაცოცხლოთ“, აღვადგინოთ ჩემი ციტატა. ვსწერ:

> განსაზოგადოებიდ გზაზე კაპიტალს აყენებს ორგვარი ძირითადი მიზეზი: წარმოების გაფართოებული ხასიათი და მოგების ნორმის გადიდების სურვილი. ასეთია ორი უმთავრესი მოტივი, რომელიც კოლექტიურ კაპიტალისტს ამოძრავებს. პირველი, ასე ვსთქვათ, გარეგნულია, მეორე — შინაგანი, იმანენტური. მიზეზობრივობის ჯაჭვში ორივე ეს მომენტი იცვლის ადგილს—ხან ერთი გვევლინება მთავარ როლში, ხან—მეორე. წარმოების გაფართოება ჰგულისხმობს მოგების, ხედმეტი ღირებულების საერთო რაოდენობის ზრდას, ხოლო ეს ზრდა მოითხოვს თვით წარმოების გაფართოებასაც. ამიტომაც არის, ინდივიდუალური კაპიტალი როდი გაურბის განსაზოგადოებას, რომ გაიქცეს, წაიქცევა კიდეც (№ 5-6, გვ. 176).

დასკვნა:

> ამ რიგად, კაპიტალისტური წარმოების გიგანტიური ზრდა—ერთის მხრივ, და დამატებითი მოგების მიღება—მეორეს მხრივ, ასეთია კაპიტალის განსაზოგადოების მამოძრავებელი მთლიანი ძალის ორი მხარე (იქვე).

მკითხველი ხედავს, კაპიტალის განსაზოგადოების—და აქ ლაპარაკია სახელდობრ სააქციო კაპიტალზე—პროცესი გაშუქებულია დიალექტიურად. აქ ერთიანობაა ორგვარი მომენტის: „პირველი, ასე ვსთქვათ, გარეგნულია“—ესე იგი ობიექტიური. ესაა წარმოების გაფართოება, ცენტრალიზაცია. ეს არაა „კეთილ სურვილებზე“ დამოკიდებული. „მეორე—შინაგანი“, მაგრამ ამავე დროს უალრესად რეალური: მოგების ნორმის გადიდება. დაამტკიცოს ჩემმა მოკამათემ, ეს დებულება „ცრუ-მარქსისტულია“. სიტყვების რახა-რუხი აქ ვერ უშველის საქმეს. საჭიროა მოვლენის თეორიული ანალიზი და ამ მოვლენაში ჩაქსოვილ წინააღმდეგობათა დიალექტიური ერთიანობის შემეცნება.

რა არის კაპიტალის არსებობის საფუძველი, რაში მდგომარეობს კაპიტალისტური წარმოების მამოძრავებელი მოტივი, კაპიტალის მიზანი? კ. მარქსი ამ საკითხს ამომწურავი სიცხადით აშუქებს, ის მეცნიერულად არკვევს „სუბიექტიურ“ მომენტს, რომელიც გადამჭრელ როლს თამაშობს კაპიტალისტურ წარმოების განვითარების პროცესში. მარქსი სწერს: „კაპიტალისტი არ სცხოვრობს დღიდან დღემდე. მისი მამოძრავებელი მოტივია მისი კაპიტალის ღირებულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლებელი გადიდება" [1]). „ღირებულების გადიდება როგორც მიზანი, განმსაზღვრელი პროცესის,—როგორც მამოძრავებელი მოტივი" [2]). აი ესაა „კაპიტალიზმის საფუძველი" [3]). მარქსი ძალიან ხშირათ უბრუნდება ამ პრობლემას. არაოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს—ამბობს ის,—რომ ზედმეტი ღირებულების (მაშასადამე, მოგების გ. მ.) წარმოება... შეადგენს კაპიტალისტური წარმოების უშუალო მიზანს და განმსაზღვრელ მოტივს" [4]). სხვანაირად: „კაპიტალისტური წარმოების მიზანია კაპიტალის ღირებულების გადიდება, ე. ი. ზედმეტი შრომის მითვისება, ზედმეტი ღირებულების, მოგების წარმოება" [5]).

მაშასადამე, კაპიტალისტური წარმოების, „კაპიტალიზმის საფუძველს" ზედმეტი ღირებულება, კაპიტალისტური მოგება შეადგენს. განდევნეთ ეს ელემენტები კაპიტალისტურ მეურნეობიდან და ამით თქვენ განდევნით თვით კაპიტალისტსაც. მოგება, მისი გადიდება—აი რა შეიცავს კაპიტალისტური განვითარების ძირითად პირობას. კაპიტალის მონოპოლიზაციის პროცესში ამ პირობას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. ამიტომაც ვამბობ ასე ხაზგასმით კაპიტალის განსაზოგადოების მამოძრავებელი „მთლიანი ძალის ორ მხარეზე". ასეთია, ჩემის აზრით, პრობლემის შინაბუნების საფუძვლიანი გარკვევა.

კაპიტალისტური მონოპოლია უზრუნველყოფს როგორც მოგების დიდ ნორმას, ისე ამ ნორმის ზრდასაც. მონოპოლია კაპიტალის „მამოძრავებელი მოტივის" განხორციელებაა—განსაზღვრული ხნით მაინც. ეს ის გზაა, რომელიც—როგორც შენიშნავს მარქსი—„იძლევა შესაძლებლობას... მიღებულ იქნას გადამეტებული მოგება" [6]). აქ ჩვენ გვაქვს დამატებითი მოგება, როგორც მონოპოლიის—ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით—შედეგი" [7]). საკმარისია თუ გინდ მონოპოლიური ფასების შესწავლა ამ დებულებაში აბსოლუტურათ დარწმუნებისათვის.

ამიტომაც ვამტკიცებდი და ვამტკიცებ ახლაც „კაპიტალზე" მტკიცედ დაყრდნობით: „განსაზოგადოების გზაზე კაპიტალს აყენებს ორგვარი ძირითადი მიზეზი: წარმოების გაფართოებული ხასიათი და მოგების ნორმის გადიდების სურვილი". კეთილ ინებოს ჩემმა ოპონენტმა პროფესორმა და დაამტკიცოს წინააღმდეგი.

მაგრამ საკითხის ღრმა ანალიზს ჩემი კრიტიკოსი ჯიქურ მოქმედებას ანაცვლებს. სადაც ენა არ სჭრის, იქ ხმალი შველისო, ამბობდენ ძველად. ამ გზას ადგას ჩემი კრიტიკოსიც: მას სურს საკითხის სიძნელე მკერდით დასძლიოს. და აი ამ მთლიან აზრიდან ის იღებს მხოლოდ ერთ ფრაზას: „ინდივიდუალური კაპიტალი როდი გაურბის განსაზოგადოებას". სინიდისიც არ ეყო, რომ დაემა-

---

[1]) Капитал, ტ. II, გვ. 324.
[2]) ibid, გვ. 57, აგრეთვე 97.
[3]) ibid. გვ. 72.
[4]) Капитал. ტ. III. ნაწ. I, გვ. 183.
[5]) ibid, გვ. 190.
[6]) Капитал, ტ III, ნაწ. I, გვ. 121.
[7]) ibid. გვ. 147.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებია უკანასკნელი ოთხი სიტყვა მაინც. „რომ გაიქცეს, წაიქცევა კიდეც“. მარა ეგ ხომ არ იქნებოდა მისთვის ხელსაყრელი!

ნიშნავს თუ არა ეს ამოგლეჯილი და კუდწაგლეჯილი ფრაზა, ვითომც კერძო კაპიტალი მხოლოდ თავისი სურვილით, ან როგორც ამბობს დოლიძე, „თვითონ მიილტვის სააქციო საზოგადოებაში“? სხვანაირად: ჰნიშნავს თუ არა ეს იძულებითი ხასიათის მომენტის მოხსნას? ჩემი წერილი რომ გულდასმით წაეკითხა ჩემს ოპონენტს, მიპასუხებდა—არაო. მაგრამ დაწერილს წაკითხვა უნდა, წაკითხულს გაგება. მე კი ორივე ამ პირობაში მეპარება ეჭვი, როცა ამხ. დოლიძესთან მაქვს საქმე. თვალი თუ ღალატობს, ყური მაინც დამიგდოს ჩემმა მოკამათემ:

> რა იწვევს კაპიტალის ამ მოძრაობას, რა გზით ერთიანდება ინდივიდუალური, წვრილი სამეურნეო ერთეულები? ამ მოძრაობის ნიადაგია კანონშეწონილი ეკონომიური მოვლენა. ეს არის კაპიტალისტური კონკურენცია. წვრილი კაპიტალი ვერ ეძლებს მსხვილის მეტოქეობას, იძულებულია ხელი აიღოს დამოუკიდებელ არსებობაზე და შედარებით მსხვილ კაპიტალს შეუერთდეს (№ 5-6, გვ. 171).

აქედან აშკარაა, ინდივიდუალური კაპიტალი თვითონ როდი „მიილტვის“ გაერთიანებისაკენ. ის „იძულებულია ხელი აიღოს დამოუკიდებელ არსებობაზე“. „რომ გაიქცეს—წაიქცევა კიდეც“. ამის ეკონომიური მიზეზები თავისთავად ცხადია. აშკარაა, გაერთიანებით

> კერძო კაპიტალის დამოუკიდებელი პიროვნება ირღვევა, იკარგება. „პიროვნების როლი“ შესრულებულად ითვლება. აქ ილახება კერძო კაპიტალის თავმოყვარეობა. მისი ინდივიდუალობა. (იქვე, გვ. 175).

ამის შემდეგ გამოდის დოლიძე და ჩემივე სიტყვებით მებრძვის, ნუ თუ არ უნდა კერძო კაპიტალს „დამოუკიდებლობა... თავისი ინდივიდუალური არსებობის შენარჩუნება“-ო. შრომის სკოლის მოწაფეც კი მიხვდება, რომ ასეთი „ინდივიდუალობა“ „უნდა“ კერძო კაპიტალს, მაგრამ კაპიტალისტურ წყობილებაში „სურვილები“ როდი ბატონობს.

ვსწერდი და ვიმეორებ ახლაც: კაპიტალის განსაზოგადოების პროცესში ინდივიდუალური კაპიტალი „იძულებულია ხელი აიღოს დამოუკიდებელ არსებობაზე“. ეს კაპიტალი „იძულებით“ იღებს ხელს ამ „დამოუკიდებელ არსებობაზე“ ორგვარი მიზეზით: მოგების გადიდების „სურვილით“ და უკვე აქციონერულად გაერთიანებულ კაპიტალის კონკურენციით. პირველი არ იწვევს ლაშქრობას ჩემი მოკამათის მხრივ, მაგრამ მისაყვედურებს, სად არის მეორე, „გამახადგურებელი და ამაწიოკებელი ზომების მიღება“ [1]). მონოპოლიის მიერ ინდივიდუალურ კაპიტალის წინააღმდეგო. შემდეგ ამტვრევს ღია კარებს—მოყავს გლეხკორთა პოლიტწრისათვისაც კი კარგათ ცნობილი ფაქტები „იმ გაშმაგებულ ბრძოლისა, რომელიც სწარმოებს კაპიტალისტებს (უნდა ეთქვა—„კოლექტიურ კაპიტალისტებს“ გ. მ.) და „გარეშეებს“ (ე. ი. საწარმონი, რომლებიც არ შესულან კარტელში) შორის“. ცხადია, ღია კარებს არ დაუწ-

[1]) სხვათა შორის, უსაბუთოდ უნდა შევნიშნო: ჩემი კრიტიკოსის თერმინოლოგია სრულებით არაა თეორიულ ეკონომიის ლექსიკონის გამოსახატველი. აქ უბრალო საკვლევის-გაზეთო სტილსა და ენასთან, სიტყვებსა და თერმინებთან გვაქვს საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყებდა მტვრევას დოლიძე და ჩემს წინააღმდეგ მიმართულ საყვედურს საკუთარ „პერსონაში“ მოუნახავდა ადგილს, რომ წაეკითხა ჩემს წერილში თეთრზე შავათ დაბეჭდილი:

> წარმოების გაფართოების ადვილად შესაძლებლობასთან ერთად ტრესტს საშუალება აქვს დაუნდობლად შეებრძოლოს ინდივიდუალურ გაერთიანებათა გარეშე მდგარ სამეურნეო ერთეულებს, ე. წ. აუტსაიდერებს (იქვე, გვ. 189).

კაპიტალისტური ტრესტი „დაუნდობლად ებრძვის“ აუტსაიდერებს. ეს დებულება უაღრესად სწორია. აქ საყვედური და წუწუნი სრულებით უადგილოა. მხოლოდ შეიძლებოდა ამ სწორი დებულების გაფართოება, განვითარება. აი ასე რომ ეთქვა ჩემს მოკამათეს, მადლობას ვეტყოდი [1]), მაგრამ ასე თქმა მისთვის ძნელია—„ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“! მეორე მხრივ, ასეთ კრიტიკას უნდა სერიოზული თეორიული ერუდიცია და ლიტერატურული ეთიკა.

> თავისთავად ცხადია რომ კაპიტალი მიილტვის დიდი მოგების მქონე წარმოების სფეროში. მაგრამ ასევე ცხადია ისიც, რომ კაპიტალის ცენტრალიზაცია იწვევს კერძო მწარმოებლების ექსპროპრიაციას, გაღატაკებას და განადგურებას. რამდენათაც საქციოთ გამოყენება კაპიტალისა დიდ მოგებას პირდება ინდივიდუალურ კაპიტალისტს, იმდენად ეს კარტელები (თავს ვერ ვიკავებ: საიდან ჩამოვარდა „ეს კარტელები“ წინადადებაში? გ. მ.) შთანთქმით ემუქრებიან ამ მწარმოებლებს. პირველი მიზეზის მეოხებით კაპიტალისტები მიილტვიან გაერთიანებებში, ხოლო მეორე გვარი მიზეზები შიშის ერუანტელს გვრის კერძო მწარმოებლებს და აიძულებს მათ ხიზლით უცქირონ კაპიტალისტურ გაერთიანებას (ხაზი ჩემია).

დავაკვირდეთ ამ ამონაწერს. მართალია, ძნელია მისი გაგება „ტეხნიკურ“ მიზეზით, მაგრამ აქ მოჩმახული, ცხადია, შეუგნებელად წამოსროლილი დებულება კარებიდან რომ გააგდო, ფანჯრიდან შემოსკუპდება. ჩემი მოკამათე ამტკიცებს, რომ „კაპიტალისტები მიილტვიან გაერთიანებებში“. ეს არის ამ საკმაოთ ვრცელი და სრულათ მოყვანილ ციტატის აზრი. გეთანხმებით, აქ ყველაფერია ერთად დომხალივით არეული, მაგრამ ამ სიდომხლეში არა ნაკლებათ დომხალი აზრია გატარებული. „კაპიტალი მიილტვის დიდი მოგების მქონე წარმოების სფეროში“ (თუ სფეროსკენ, სულ ერთია). ეს „დიდი მოგების მქონე წარმოება“ არის სწორეთ „კოლექტიური კაპიტალისტის“ წარმოება—აქციონერული წარმოება. ამ „მიზეზის მეოხებით“ ინდივიდუალური „კაპიტალისტები მიილტვიან გაერთიანებებში“. აქ ჩვენი ავტორის აზრი სრულებით ნათელია. აი რატომ უწოდებს თურმე ის თავის წერილის მეორე ქვესათაურს—„ინდივიდუალური კაპიტალის „ლტოლვის“ თეორია“ („ლტოლვა“ რათაა ბრჭყალებში, ეს სიტყვა ხომ საკუთარია?).

მაგრამ, ნუ იტყვით, ეს „ლტოლვა გაერთიანებებში“, ეს ყველასათვის გასაგები ეკონომიური მიზეზი—ზედმეტი ღირებულების რაც შეიძლება მეტი-

[1]) ამავე დროს აქვე „მოვახსენებდი“, რომ „აუტსაიდერებსა“ და მონოპოლიებს შორის ბრძოლა არ შედის ამ წერილის ფარგალში და ამ ბრძოლას ვარკვევ ე. წ. dumping-ის პრობლემასთან დაკავშირებით მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაოდენობით მითვისება როდი ყოფილა გადაწყვეტილი. მარქსიზმ-ლენინიზმ-ლიბერალისტები მიილტვიან გაერთიანებაში", მაგრამ ამ გაერთიანებათა კარებს აწერია, რასაც ესწერდი და მოვიყვანე ზეგით: „კერძო კაპიტალის დამოუკიდებელი პიროვნება იჩრდილება, იკარგება. „პიროვნების როლი" შესრულებულათ ითვლება. აქ ილახება კერძო კაპიტალის თავმოყვარეობა, მისი ინდივიდუალობა". ანდა, ჩემი მოკამათის ენაზე: გაერთიანება „შიშის ჟრუანტელს გვრის (ჰო, ჰო, ჰო, ჰო!! გ.მ.) კერძო მწარმოებლებს და აიძულებს მათ ზიზღით უცქირონ (ჰა, ჰა, ჰა, ჰა!! გ. მ.) კაპიტალისტურ გაერთიანებებს". და აი აქ დაპირდაპირებულია ორი „მიზეზი": კაპიტალისტების „ლტოლვა გაერთიანებებში" ზედმეტი ღირებულების—კაპიტალისტური წარმოების ამ მამოძრავებელი მოტივის—რაც შეიძლება უფრო მეტი რაოდენობით მითვისების, მოგების ნორმის გადიდების ნიადაგზე და... „შიშის ჟრუანტელი"; „ზიზღით ცქერა" და მრავალი მსგავსი იდეალისტურ-მისტიური, ფსიხოლოგიური უეძური. რომელია გადამჭრელი, რეალური მიზეზი, პირველი თუ მეორე? აშკარაა, პ ი რ ვ ე ლ ი. ცხადია, როცა საქმე „ოქროს წვიმას" შეეხება, კაპიტალს არაფრის არც ეშინია და არც რცხვენია. ის ჩემს ოპონენტზე უფრო გამბედავიცაა და უსირცხვილოც. ზიზღი, შიში, ჟრუანტელი არაფერს არ „გვრის კერძო მწარმოებლებს"—კაპიტალისტებს, როცა საქმე მ ო გ ე ბ ა ს ეხება. დაეთანხმება თუ არა ამ დებულებას ამხ. დოლიძე, სულ ერთია, დებულება ამით არაფერს იზარალებს.

მაშასადამე, რა შეაჩერებს, რა შეაფერხებს „კაპიტალისტების ლტოლვას გაერთიანებებში?" ამ კითხვაზე დოლიძის სრულებით ულოდიკო მსჯელობიდან სრულებით ლოდიკური დასკვნა უპასუხებს: რასაკვირველია, არაფერი! „მატერია" ბატონობს „იდეაზე", რეალური ინტერესი მისტიურ „ჟრუანტელზე", მოგების გადიდების მოტივი—ყოველგვარ „ზიზღით ცქერაზე". ამიტომაც 45° დაქანებული გზით სწრაფათ დაეშვა ჩემი მოკამათე ყოვლად მიუღებელ, ანტიმარქსისტულ, და მეავე ოპორტუნისტულ დებულებამდე:

„კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ი მ ი ი ლ ტ ვ ი ა ნ გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ ებ ში"

ასეთი მეავე იდეალისტური აბდა-უბდისა და არგუმენტაციის შემდეგ კიდევ შესწევს ძალ-ღონე (ეს ყოფილა მითიური სამსონი!) ჩემს შეუპოვარ „კრიტიკოსს" განაცხადოს: „ის გზა, რომელზედაც ის სდგას, იდეალისტურია და არა მატერიალისტური"-ო. ამაზეა ნათქვამი, ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალიო. მართალია, თავისი მე მითხრა ჩემმა კრიტიკოსმა, მაგრამ ძალიან საეჭვოა, მომიკლა კი გული! კატეგორიულად ვიმიჯნები ჩემი „ეკონომისტის", დოლიძის „ლტოლვის თეორიისაგან". ეს მისი აღმოჩენაა, მისი გენიალური შემოქმედების ნაყოფი. „ფილოსოფიის სიღატაკეში" მარქსი სწერს: „საერთოდ, არ არის არაფერი გაუგონარი ეკონომიურ მეცნიერების არც ერთ აღმოჩენაში" [1]). მარქსის ეს მოსაზრება გაამტყუნა ჯერ თვით მარქსმა—„კაპიტალი"-ს გამოსვლით, ხოლო მას შემდეგ ჩემმა ამაღლებიდან სახელ-დიდება მოხვეჭილმა მოკამათემ თავისი ახალი აღმოჩენით ეკონომიურ მეცნიერებაში—ლტოლვის თეორიით.

---

[1]) К. Маркс. Нищета философии. стр. 54.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკვირვებული მკითხველი უსათუოდ შეამჩნევს ეკონომიურ ლიტერატურას. ამას დაებადება აზრი: მონოპოლისტური გაერთიანება ადიდებს მოგებას, შიშისა და ჟრუანტელის არ ეშინია კაპიტალისტს, როცა საქმე მოგების ნორმას ეხება. მაშ რათ არ არის სწორი ჩვენი პროფესორის ლტოლვის თეორია, რათ არ „მიილტვიან კაპიტალისტები გაერთიანებებში“?

პრობლემის სწორათ დაყენებაა ეს. აქ მოცემულია მოვლენის დიალექტიური წინააღმდეგობა. მოვლენის ფორმა და არსი დაპირდაპირებულია ერთმანეთთან. ეკონომისტის ამოცანაა სწორათ ახსნას და განმარტოს ეს „დაპირდაპირებულთა ერთიანობა“. ამაშია მეცნიერული ძიების ხერხემალიც. გენიალურათ შენიშნავს მარქსი: „საგანთა მოვლენის ფორმა და არსი რომ უშუალოდ ეთანაბრებოდეს ერთმანეთს, ყოველგვარი მეცნიერებაც ზედმეტი გახდებოდა“ [1]). მოვლენის ფორმა და არსი ხშირათ არ ხდება (не совпадают) ერთიმეორეს. ადამიანის გონება იკვლევს ამ „წინააღმდეგობას“. ამაშია მეცნიერული კვლევის სიმძიმე. ეს—საზოგადოთ. კერძოთ, ასეთივე მოვლენა გვაქვს ზევით დაყენებულ საკითხის სახით. აქ მოვლენის ფორმა—კაპიტალისტების გაშმაგებული ბრძოლა ინდივიდუალობის შენარჩუნებისათვის—და არსი—მოგების ნორმის გადიდება მონოპოლიზაციის გზით—არაა ჰარმონიულად შეზავებული. აქ დაპირისპირებაა და წინააღმდეგობაც. ვაძლევ წინადადებას ჩემს მოკამათეს აგვიხსნას ეს მოვლენა „ლტოლვის თეორიის“ თვალსაზრისით.

ჩემი პროფესორი ვერ ერკვევა ელემენტარულ ეკონომიურ პრობლემებში, მას არ შესწევს თეორიული აზროვნების ძალ-ღონე, მუხანათურათ ღალატობს კრიტიკის უნარი. ამიტომაც იქ, სადაც პირდება მკითხველს თეთრი სპილოს გამოყვანას, თეთრი თაგვი გამოყავს.

რთული ეკონომიური კათეგორიების კვლევა-ძიება ლულა-ქაბაბის ღეჭვა როდია. აქ საჭიროა მეტი ცოდნა და ნაკლები გამბედაობა, და არა პირიქით. მართალია смелость города берет—ამბობს რუსული ანდაზა, მაგრამ არა ყოველგვარ გამბედაობით შეიძლება ყოველგვარ ქალაქის აღება!!

გავეცნოთ ახლა ჩემი მოკამათის კრიტიკულ გამოსვლის კრიტიკულ მდგომარეობას უფრო მნიშვნელოვან, ძირითად საკითხებში.

III

როგორ სდგას თავისუფალი კაპიტალისტური კონკურენციის საკითხი მონოპოლისტურ კაპიტალიზმის პირობებში?

აი ცენტრალური პრობლემა, სადაც სცდილობს ჩემი მოკამათე მოიხვეჭოს გენიალური „აღმოჩენის“ უკვდავი სახელი. აქ ჩვენს შორის სრული დაპირისპირებაა: მე გამოვდივარ ლენინურ დებულებიდან და ვამტკიცებ, თავისუფალი კონკურენცია „იხსნება“ კაპიტალიზმის მონოპოლისტურ საფეხურზე. ჩემი ოპონენტი კი ემყარება ძველ კაუცკიანურ შეხედულებას.

უნდა აღვნიშნო კი ჩემი მოკამათის „უპირატესობა“: ვინც არაა ამ პრობლემას გაცნობილი, ვისაც არ შეუსწავლია ლენინის თეორია, ლენინის თეორიუ-

[1]) Капитал, ტ. III, ნაწ. II, გვ. 289.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი შეხედულებანი იმპერიალიზმზე, მონოპოლისტურ კაპიტალიზმზე, და ამავე დროს ნაკლებათაა თავისუფალი კაპიტალისტური კონკურენციისა და საერთოდ მონოპოლისტური, არა თავისუფალი კონკურენციის საკითხებით დაინტერესებული, ცხადია, ამხ. დოლიძეს დაუკრავს კვერს. მეორე მხრივ, ვინც იცნობს ლენინის „იმპერიალიზმის თეორიას“, ჩემი კრიტიკოსის ღრმა პრინციპიალურ შეცდომას და ამ შეცდომის ლენინიზმთან შეუთავსებლობას აშკარათ დაინახავს.

ამ თავითვე ვაცხადებ, ჩემი მოკამათე, ამ „უპირატესობის“ მიუხედავათ, მაინც ვერ შესძლებს თავის უცოდინარობის, უმეცრების სამსხვერპლოზე მიიტანოს მონოპოლისტური კაპიტალიზმის სწორი, ლენინური გაგება. მას აქ ვერ უშველის ვერც ჩემი ციტატების დამახინჯება, ვერც მისთვის ჩვეულებრივი გამბედაობა, ვერც „უჯოხოთ გავლის“ იმედი.

ბრუნო იასენსკის თავის ცნობილ რომანში:—Я жгу Париж—გამოყავს მეტად თავისებური ადამიანი—რაბინი ელეაზარ ბენ-ცვი. ამ ყოვლად მორწმუნე ადამიანს ასეთი ზნე სჭირს: თვალები მუდამ ზეცისკენ აქვს მიპყრობილი, იქ ეძებს მხოლოდ იმ „საგნებს“, რომლებსაც ვერ პოულობს მიწაზე და ამ ოცნებაში, მოჩვენებაში ხედავს ბედნიერებას. ბევრს სჯერა ეს და ფიქრობს, ელიაზარ ბენ-ცვი მართლაც ხედავს ამ საგნებს.

ჩემ მოკამათესაც ახასიათებს თავისებური ზნე; მთელი მისი „მოხერხება“, „უნარი“, ინტერესი მიმართულია მოჩვენებითი „საგნისკენ“, მას ელანდება ჩემი... ბუხარინელობა, მემარჯვენეობა. ოპორტუნიტობა. არ ვიცი, ვინმეს სჯერა ეს და ფიქრობს, დავ. დოლიძე მართლაც ხედავს ამ „საგნებს“ თუ არა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ დოლიძე, ალბათ, დარწმუნებულია ამაში. ის სწერს (სტილი და „მართლწერა“ ხელუხლებელია):

> ამხ. ლენინს სოციალ-დემოკრატიის თეორეტიკოსებთან და დღევანდელ მემარჯვენეებთან (იგულისხმება გრ. მუშიშვილიც) განსხვავებით, თავისი თეორია სინამდვილიდან გამოკყავდა... „ტყვილა ცდილობენ მემარჯვენეები, ტყვილა ცდილობს მეშიშვილიც გაანაღდონ მრუდე, მავნე შეხედულებანი მარქსისტულ-ლენინურ შეხედულებათა“. „გრ. მუშიშვილი იარაღდება მემარჯვენეების მძიმე არტილერიით“, „წინააღმდეგობაში იმყოფება მარქსიზმთან-ლენინიზმთათ.

მაგრამ ამით როდი კმაყოფილდება ჩემი დაუნდობელი კალმოსანი. კიდევ მეტი, მას სურს დაამტკიცოს, რომ „ის... სცდილობს“ „გაანაღდოს მრუდე, მავნე“ ოპორტუნიზმი ლენინიზმ-მარქსიზმთან და, წარმოიდგინეთ, მას რევიზიონისტის სახელის მოპოების სურვილი იტაცებს“.

ამხ. დ. დოლიძე ურტყამს მუშტებს დოლზე და ეს გულშემზარავი ხმაური ბეთხოვენის სიმფონია ჰგონია! ის აცხადებს ტკბილ ემოციონალურ განცდებით გატაცებული:

> ის, ერთი მხრივ, ცდილობს გაანაღდოს ცრუ მარქსისტული შეხედულება ას პროცენტიან მარქსისტულ შეხედულებათ და მეორე მხრივ, დაამახინჯოს მარქსისტულ-ლენინური შეხედულება და მიანიჭოს მას ცრუ მარქსისტული შინაარსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა მოვიყვანოთ ის „საბუთები“, რომლებითაც ჩემი [illegible] „ამტკიცებს“ თავის დებულების „მეცნიერულობას“ მის „ას პროცენტიან“ სისწორეს.

აი ეს ადგილები ჩემი წერილებიდან (მომყავს იმ სახით, როგორც ისურვა ჩემმა მოკამათემ):

> რა არის უმთავრესად დამახასიათებელი მონოპოლისტური კაპიტალიზმის? ესაა კაპიტალისტური თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი კ ო ნ კ უ რ ე ნ ც ი ი ს შეზღუდვა ან სრული ლიკვიდაციის მისწრაფება. კაპიტალისტური მონოპოლიები ამ მისწრაფების განხორციელებაა რეალურათ“ (აქვე მიღის ლენინის ციტატა, მაგრამ ეს არ მოყავს „კრიტიკოსს“ გასაგები მიზეზით!).

შემდეგ:

> და მართლაც აქ ძველი მდგომარეობა ძირიანათ შეცვლილია. თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი კ ო ნ კ უ რ ე ნ ც ი ა (თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი კ ო ნ კ უ რ ე ნ ც ი ა—დ ა ი მ ა ხ ს ო ვ რ ე თ ! ეს. გ. მ.). ჩამოდის სცენიდან და მის ადგილს იპერს მონოპოლია (რასაკვირველია, „კრიტიკოსი“ აქ შენიშნავს—„მონოპოლია და არა მონოპოლიები“, როცა თვითონ შავათ მიწერია „იპერს მონოპოლია“!!), აი რა არის მონოპოლისტური კაპიტალიზმის უმთავრესი „დამახასიათებელი ნიშანი „ძველი თავისუფალი კონკურენციის ბაზ“ მეტად არ ანათებს...

კიდევ:

> კარტელი ანაწილებს (აქ ჩვენი კრიტიკოსი ენას „მისწორებს“—„ანაწილებს რა“—რეზოლიუციის ენაზე მთარგმნის გ. მ.) ამ სფეროს, ადგენს მის „რაციონიზაციას“—ყველას მიუჩენს თავის ადგილს და ამ საშუალებით თავიდან იშორებს (დოლიძე იწერს—„იშორებენ“! ეგ ოხერი, ნუთუ სწორათ გ ა დ მ ო წ ე რ ა ც გაუჭირდა? გ. მ.) ანარქიულ კონკურენციის ბრძოლებს. ფასების საკითხში, აგრეთვე ბაზრისათვის ბრძოლაში კაპიტალისტური კონკურენციის (იგულისხმება—თავისუფალი გ. მ.) კანონი „ხმარებიდან გამოდის“. ის კარგავს თავის ძველ (ძველს—დაიმახსოვრეთ!) გავლენას. მხოლოდ მწარე მოგონება რჩება ამ გავლენის (დოლიძე—„გავლენისა“—საეკლესიო სტილზე! რა ლბედურებაა. გადმოწერაც გაუჭირდა? გ. მ.). მაშასადამე, სამეურნეო დამოუკიდებელი ერთეულები კ ა რ ტ ე ლ ს შ ი გაერთიანებით აღწევენ უდიდეს მიზანს—თავიდან იშორიებენ კაპიტალისტური მეტოქეობის გამანადგურებელ ლახვარს.

და, ბოლოს, ერთი ამონაწერი კიდევ, რომელიც აშკარა, წარმოუდგენელი დ ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ი თ მოყავს ჩემს ულმობელ „პროფესორს“:

> მონოპოლია სრული დიამეტრალური წინააღმოეგობაა კაპიტალისტური კონკურენციის. ამ კონკურენციამ მოამზადა ნიადაგი წარმოების ცენტრალიზაციის, ხოლო ამ უკანასკნელმა წარმოშვა მონოპოლია, რომელიც „სცვლის თავისუფალ კონკურენციას“ („сменяет свободу конкуренции“). აქ ჩვენს წინაშე იშლება მოვლენის დიალექტიური განვითარება: კაპიტალისტური კონკურენცია—თეზა—გადადის კაპიტალისტურ მონოპოლიაში—ანტითეზაში.

ასეა დაუმახინჯებლად ჩემი ციტატა. მაგრამ ამ სახით ის სახეირო არ არის დოლიძისათვის. პროფესორიც ახდენს „ოპერაციას“ არა ანატომიური დანით, ჩვეულებრივი ნაჯახით. სიტყვებს—„სცვლის თავისუფალ კონკურენციას“ არ სვამს ბრჭყალებში, მაწერს მე (რასაკვირველია, ვლებულობ ათასი პროცენტით!) და შესაფერი რუსული ფრაზა: сменяет свободу конкуренции—ა რ მ ო ყ ა ვ ს ს რ უ ლ ე ბ ი თ. არც მრავალწერტილია აქ დასმული. რატომ? ეს სიტყვები ლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინს ეკუთვნის. ცხადია, ლენინის მოშველიება ხელს — მოუტანს ჩემს დაუნდობელ კალმოსანს. ასე უმალავს მკითხველს ამხ. დოლიძე ლენინის აზრს და მე მისაყვედურებს ლენინის დამახინჯების „ცდას". ეს დავიმახსოვროთ, თუმცა პირადათ არ ვაძლევ ასეთ საქციელს მნიშვნელობას. ეს ბუნებრივია ჩემი ოპონენტის ყალიბის ლიტერატორისათვის.

ერთი თავმოჭრილი ამონაწერი მოყავს კიდევ ამხ. დოლიძეს. არ შემიძლია მისი დატოვება, ეს უაღრესად საჭირო და საგულისხმო დებულებაა.

> ბანკების მონოპოლისტურ გაერთიანების საფეხურზე თავისუფალი კონკურენციის კანონი ჰკარგავს თავის მოვლენას და ძველ მნიშვნელობას. თავისუფალი კონკურენციის განდევნა მეურნეობის ყველა დარგიდან—აი რაში მდგომარეობს მონოპოლისტური კაპიტალიზმის რეალური ტენდენცია [1]) პირველ წინადადებებში ხაზი ჩემია, უკანასკნელი ხაზგასმა—დოლიძისაა. მადლობა ხაზგასმისათვის!.

თავის მხრივ, ამ თავმოჭრილ ციტატას დავუბრუნებ თავს (თორემ, მაოქსის ირონიულ შენიშვნის არ იყოს, მაჰმადი როდი შეუშვებს სამოთხეში, ეტყვის: „სად არის თავი შენი"-ო). აი ეს „თავიც":

> საბანკო საქმის მონოპოლიის ახსნა-განმარტებაში არ უნდა დაგვავიწყდეს აგრეთვე საბანკო კაპიტალების კონკურენციის როლიც. კაპიტალისტური კონკურენცია თავისუფლად მოქმედობს ცალკე საბანკო ერთეულებს შორის. კონკურენცია გხას უკაფავს საბანკო კაპიტალის კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას. კონკურენტულ ბრძოლაში წვრილი საბანკო ერთეული ისევე იღუპება, როგორც წვრილი საწარმოო წამოწყება. საბანკო საქმის მონოპოლია „ხსნის" [2]) ან და შესამჩნევად ზღუდავს თავისუფალ კონკურენციას და ამით გაერთიანებულ საბანკო კაპიტალს საშუალებას აძლევს მოგების ზედარებით მაღალი ნორმა შეინარჩუნოს („მნათობი", № 7, გვ. 182).

რეზიუმე. მონოპოლისტური კაპიტალიზმის დამახასიათებელია, ჩემი წერილების მიხედვით:

— „თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვა ანდა სრული ლიკვიდაციის მისწრაფება";

— „თავისუფალი კონკურენცია ჩამოდის სცენიდან და მის ადგილს იპყრობს მონოპოლია";

— ის „ჰკარგავს თავის ძველ გავლენას",—„ძველ მნიშვნელობას";

— „მონოპოლია სრული დიამეტრალური წინააღმდეგობაა კაპიტალისტური კონკურენციის".

— „თავისუფალი კონკურენციის განდევნა მეურნეობის ყველა დარგიდან—აი რაში მდგომარეობს მონოპოლისტური კაპიტალიზმის რეალური ტენდენცია.

— „საბანკო საქმის მონოპოლია „ხსნის", ან და შესამჩნევად ზღუდავს კონკურენციას".

---

[1]) „ტენდენცია" კანონი კი არაა, ეს განვითარების* მიდრეკილებაა. ამ ტერმინს ვხმარობ მარქსის გაგებით. მაგ., მარქსის აზრით, მოგების ნორმის დაცემა ტენდენციაა და არა კანონი. ამ ორ ცნებას შორის საკმაოთ დიდი განსხვავებაა. ამიტომაც ხმარობს მარქსი ტერმინს: მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის კანონი. იხ. „ტენდენციაზე": Капитал, ტ. III, ნაწ. I, გვ. 115, 127 etc.

[2]) ბრჭყალებშია, რადგან ლენინისაა: снимает.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი თეზისები გასაგებია.

რასაკვირველია, ეკონომიის პროფესორი ჩემი ოპონენტი ყველა ამ დებულებას კატეგორიულად უარყოფს. ის აცხადებს, ყველაფერი ეს ცრუ-მარქსიზმია, ლენინიზმის შეგნებული რევიზია. მართალია, თვითონ არ აყენებს საკუთარ დებულებებს, არ ამხელს საკუთარ აზრს, არაფერს არ ამტკიცებს, მხოლოდ დეკრეტულათ უარყოფს. აქ უარყოფითი მეთოდია გამოყენებული. მაშასადამე, ჩვენი სახელოვანი მოკამათე სდგას საწინააღმდეგო თვალსაზრისზე. უნდა შეაბრუნოთ ჩემი დებულებები, დოლიძის „აზრი“ თუ გსურთ გაიგოთ. დასკვნაც ლოგიკურია: ამხ. დოლიძის „მარქსისტულ-ლენინური“ შეხედულებით მონოპოლისტური კაპიტალიზმი არ ხასიათდება თავისუფალ კაპიტალისტური კონკურენციის „მოხსნით“ (ლენინი), ამ კონკურენციის „შეზღუდვით“, მისი განდევნის ტენდენციით „მეურნეობის ყველა დარგიდან“.

აქ ჩვენს შორის დიამეტრალური წინააღმდეგობაა. ორში ერთი: ან მე ვარ მართალი, ან—ჩემი ოპონენტი. საკითხის გამორკვევა ადვილია—მივმართოთ ლენინს, მარქსს, ენგელსს.

რაში მდგომარეობს თანამედროვე იმპერიალიზმის, მონოპოლისტური კაპიტალიზმის დამახასიათებელი თვისება, ნიშანდობლივი ხასიათი, მისი differencia specifica? ლენინი უპასუხებს:

> Основной особенностью новейшего капитализма является господство монополистических союзов крупнейших предпринимателей [1]).
>
> Экономически основное в этом процессе есть смена капиталистической свободной конкуренции капиталистическими монополиями [2]).
>
> Свободная конкуренция есть основное свойство капитализма и товарного производства вообще; монополия есть прямая противоположность свободной конкуренции [3]).
>
> Конкуренция превращается в монополию. Получается гигантский процесс обобществления производства. В частности обобществляется и процесс технических изобретений и усовершенствований. Это уже не то, что старая свободная конкуренция [4]).
>
> „... Старый капитализм свободной конкуренции... отколит в прошлое [5]).
>
> Экономический империализм—или эпоха финансового капитала, —дело не в словах-есть высшая ступень развития капитализма, —имено такая ,когда производство стало настолько крупным и крупнейшим, что свободу конкуренции сменяет монополия. В этом экономическая сущность империализма.[6])

[1]) Н. Ленин. сбор. соч., т. XIII, გვ. 300. ხაზი ჩემია.
[2]) ibid. გვ. 305.
[3]) ibid.
[4]) ibid. გვ. 253.
[5]) ibid. გვ. 265.
[6]) ibid. გვ. 353 ხაზგასმა ლენინისაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაუცკისთან კამათში, კაუცკის „თავისუფალ კონკურენციის“ წინააღმდეგ ლენინი გადაჭრით აცხადებს:

> ... чем быстрее идет развитие торговли и капитализма, тем сильнее концентрация производства и капитала, рождающая монополию. И монополии уже родились—именно из свободной конкуренции. Если даже монополии стали теперь замедлять развитие, все-таки это не довод за свободную конкуренцию, которая невозможна после того, как она родила монополию [1]).

კიდევ მოვიყვანო ციტატები ლენინიდან? ბელურაზე ხარბაზნით როდი ნადირობენ! ჩემს ოპონენტთან გამოუდეგარია მაინც დიალექტიკა: რაოდენობა (ციტატების) აქ არ გადადის თვისებაში. კაცი, რომელიც ვერ გაიგებს ერთ სრულიათ მარტივ დებულებას, მარტივ ციტატას, ვერ გაიგებს—მით უმეტეს—მრავალ ციტატას. ლენინის ამ აზრების, ნაწერების გაგებისათვის, მარქსის შენიშვნის არ იყოს, „არ არის, საჭირო იყო ინდოელი, რათა თაყვანი სცე ძროხა „საბალს“, არც—იუპიტერი, რათა გადაიქცე ხარათ“. აქ საჭიროა მხოლოდ გულმოდგინეთ კითხვა და წაკითხულის სწორათ გაგება.

რეზიუმე. ლენინის ამ სიტყვებით, მონოპოლისტური კაპიტალიზმის დამახასიათებელია:

—„მონოპოლისტურ კავშირების ბატონობა“;
—„კაპიტალისტურ თავისუფალ კონკურენციის შეცვლა კაპიტალისტურ მონოპოლიებით“;
—„კონკურენციის თავისუფლებას სცვლის მონოპოლია“;
—„კონკურენცია გადადის მონოპოლიაში“;
—„მონოპოლია არის თავისუფალ კონკურენციის პირდაპირი წინააღმდეგობა“;
—„თავისუფალი კონკურენცია... შეუძლებელია მას შემდეგ, რაც მან წარმოშვა მონოპოლია“.

ასეთია „მემარჯვენე“ ლენინის დებულებები. ვსვამ კითხვას: რით „ვამახინჯებ“ მე ლენინს, რით განსხვავდება ჩემი „რეზიუმე“ ლენინის „რეზიუმესაგან“? ამის პასუხი მკითხველისათვის მიმინდვია. ჩემს მოკამათეს კი არ ვახვევ ამ კითხვაზე პასუხს: კაცი, რომელიც ლენინის თქმით—рассуждает аляповато, ცხადია, ვერ გაერკვევა თეორიულ აზროვნების „მაღალ მატერიებში“.

მაშასადამე, თავისუფალი კაპიტალისტური კონკურენციის პრობლემა, მონოპოლისტურ კაპიტალიზმის პირობებში, ჩემს წერილში გადაჭრილია ლენინურ თვალსაზრისით სავსებით და მთლიანად.

ასეთია ჩემი „ლენინიზმის შეგნებული რევიზია“—„ცრუ ლენინიზმი“.

მისამართი შეეშალა ამბ. დოლიძეს, მას უნდა ეთქვა, გრ. მუშიშვილი „ლენინთან წინააღმდეგობაში“ კი არ „იმყოფება“, ის „უსირცხვილოდ“ „იწერს“ ლენინსო. აი ეს იქნებოდა „აბსოლიუტური ჭეშმარიტება“. მე ვიწერ ლენინს,

---

[1]) ibid. გვ. 325. ხაზი ჩემია.

ეროვნული

ვიწერ თითქმის სიტყვა-სიტყვით. თითოეული ჩემი დებულება [illegible] დაკავშირებული ლენინის აზრებთან.

ახლა ვნახოთ, რაში მდგომარეობს ჩემი „ცრუ-მარქსიზმი". რას ამბობენ მარქსი და ენგელსი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე?

როგორც ვიცით, კ. მარქსმა ჩვენ მოგვცა ბურჟუაზიულ, სახელდობრ—ვულგარულ „პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკა". ეს არის წარმოების კაპიტალისტური წესის მეცნიერული კრიტიკა, რომელიც ემყარება კაპიტალიზმის განვითარების სამრეწველო, ე. წ. კლასიკურ პერიოდს. მაგრამ ამ პერიოდის კრიტიკამ ამავე დროს მოგვცა „კაპიტალიზმის განვითარების უახლესი ეტაპის", უკანასკნელი პერიოდის მახვილი კრიტიკული იარაღიც. კაპიტალიზმის კლასიკური პერიოდის დამახასიათებელი ეკონომიური მოვლენა იყო თავისუფალი კაპიტალისტური კონკურენცია. მარქსი იკვლევს ამ კონკურენციის ბუნებას და მის როლს კაპიტალისტურ მეურნეობაში. კონკურენცია, მარქსის აზრით, „წარმოადგენს წარმოების კაპიტალისტური წესის ბაზისს და სასიცოცხლო ატმოსფერას" [1]. სამრეწველო კაპიტალიზმის პირობებში ეს კონკურენცია არის „თავისუფალი კონკურენცია" [2]. აქ კონკურენცია არ არის ხელოვნური თუ ბუნებრივი არტახებით შეზღუდული. კონკურენცია კაპიტალიზმის „სასიცოცხლო ატმოსფერაა"—კაპიტალისტური წარმოება შეუძლებელია ამ „ბაზისის" გარეშე. მას ისეთი მნიშვნელობა აქვს, როგორც კაპიტალიზმის „მამოძრავებელ მოტივს"—ზედმეტ ღირებულების წარმოებას, მოგებას. კონკურენციის მოსპობა ნიშნავს მეურნეობის კაპიტალისტური წესის მოსპობას. კონკურენცია უდიდესი „რეგულიატორია" კაპიტალისტურ საზოგადოებაში: მისი საშუალებით ხდება ღირებულების კანონის—საბოლოო ანგარიშით—მოქმედება საქონლის ბრუნვის სფეროში, ის არის წარმოების ერთი დარგიდან კაპიტალის მეორე დარგში გადასვლის მთავარი ბერკეტი—კაპიტალების მოძრაობის ძარღვი. კონკურენცია უწყობს ხელს საწარმოო ძალების განვითარებას. რაც შეეხება კაპიტალების ცენტრალიზაციას კონკურენციის ნიადაგზე, ეს კითხვა თავისთავად ცხადია.

თავისუფალი კაპიტალისტური კონკურენცია—ესაა დამოუკიდებელ კაპიტალების, კერძო კაპიტალისტური წამოწყებების შეუზღუდველი ბრძოლა ერთმანეთს შორის. აქ „ადამიანი ადამიანისათვის მხეცია". ბრძოლა სწარმოებს საქონელის შედარებით დაბალ ფასებზე გაყიდვის საფუძველზე. ვინც ვერ შესძლებს ფასის „ეკონომიას", გაკოტრდება კიდეც. ამ „ეკონომიისთვის" კი საჭიროა საქონლის ღირებულების „ეკონომია". ეს კი ნიშნავს შრომის წარმოებითი ძალის გადიდებას, წარმოების მატერიალური პირობების გაუმჯობესებას და, ცხადია, დაჭირავებული შრომის ექსპლოატაციის გაძლიერებას—შეფარდებითი და აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების გაფართოებულ წარმოებას. ყველას არ შეუძლია ამ პირობის შესრულება, ეს—„მუჭა ხალხის" ხვედრია. აქედან—წვრილი კაპიტალის დაღუპვა—კაპიტალისტურ ორაუგლების მიერ თევზების ყლაპვა, როგორც ამბობს მარქსი.

[1]) Капитал, ტ III, ნაწ. I, გვ. 73.

[2]) Маркс. Нищета философии, გვ. 128.

თავისუფალი კაპიტალისტური კონკურენციის კერათ სწორედ სამოვნველო კაპიტალიზმი ითვლება, XX საუკუნის დასაწყისიდან იწყება კაპიტალიზმის განვითარებაში „უახლესი ეტაპი", „უახლესი ფაზისი". ეს არის ფინანსიური კაპიტალის, იმპერიალიზმის,—მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდი. კაპიტალისტური მონოპოლიების წარმოშობა-განვითარებამ წარმოშვა კონკურენციის ახალი ფორმა, თავისუფალი კონკურენცია, ასე ვსთქვათ, მონოპოლისტური კონკურენციით იცვლება. კონკურენცია მაინც ძალაში დარჩა.

თანამედროვე კაპიტალისტური მონოპოლია ციდან არ ჩამოვარდნილა, მისი ფესვები ძველი კაპიტალიზმიდან იწყება. კ. მარქსი საკმაო ყურადღებით იკვლევდა კაპიტალიზმის მონოპოლისტურ ყლორტებს, ის კარგათ ხედავდა „მონოპოლიას, რომელიც, როგორც ცნობილია, ყველას თვალწინ იმორჩილებს წარმოების იარაღთა სფეროს"[1]). მარქსიც იკვლევს „მონოპოლიისა და კონკურენციის" პრობლემას, რასაკვირველია, იმდროინდელ ფაქტიურ მასალის მიხედვით.

ჩვენ ეკონომიის პროფესორს მოუკრავს ყური მარქსის ერთ წერილისთვის. წერილი მიწერილია ანენკოვისადმი და შეიცავს პრუდონის „სილატაკის ფილოსოფიის" სახელდახელო რეცენზიას. ერთი ადგილი ამ წერილიდან დიდი ბაქი-ბუქით მოყავს ჩემს ოპონენტს და ამით ფიქრობს ჩემს „განადგურებას". მარქსიდანაც ციტატა მოყავს კუდმოგლეჯით. მარქსი ამბობს, რომ ეკონომიურ სინამდვილეში ვხედავთ არა მარტო კონკურენციას და მონოპოლიას, აგრეთვე მათ სინთეზსაც, რომელიც წარმოადგენს მოძრაობას და არა ფორმულასო. აქ მარქსი აყენებს დებულებას: კონკურენცია წარმოშობს მონოპოლიას, ხოლო მონოპოლია—კონკურენციას. ორივე "სჯამს ერთმანეთს". მარქსი ასკვნის: ამ რიგათ, სცვლით რა საფუძველს, რაზედაც დამყარებულია თანამედროვე ეკონომიური ურთიერთობა, სპობთ რა წარმოების თანამედროვე წესს, თქვენ სპობთ არა მარტო კონკურენციას, მონოპოლიას და მათ ანტოგონიზმს, აგრეთვე სპობთ მათ სინთეზსაც, რომელიც წარმოადგენს კონკურენციისა და მონოპოლიის რეალურ წინასწორობას". აი ესაა მარქსიდან ამოგლეჯილ ციტატის კუდი, რომელსაც ვერ გაიგებს მრავალი პროფესორის თავი. არც ჩემმა მოკამათემ ინება თავის შეწუხება. ამავე დროს ამ „კუდს" აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

კონკურენცია წარმოშობს მონოპოლიას, მონოპოლია წარმოშობს კონკურენციას - ამას ვიმეორებ ჩემს წერილებში. აქ ახალი მომენტია სინთეზის პრობლემა. ახლა ეიკითხოთ, რით ამახინჯებს გრ. მუშიშვილი სინამდვილეს", „რატომ ამგვარ წინააღმდეგობაში იმყოფება ის მარქსიზმთან-ლენინიზმთან"? უფრო გასაგებათ, რაშია ეს „წინააღმდეგობა"? ამ კითხვაზე პასუხს მივილებთ, თუ გავარკვევთ, რა ესმის მარქსს კონკურენციისა და მონოპოლიის სინთეზის ცნებაში. სინთეზი, როგორც დავინახეთ, მარქსის სიტყვით „წარმოადგენს კონკურენციისა და მონოპოლიის რეალურ წინასწორობას", როგორ უნდა გაეიგოთ

[1]) Нищета философии, გვ. 72.

ეს სიტყვები? დოლიძის ყოველად ავტორიტეტული შეხედულებით სინთეზი ნიშნავს ამ ორი ეკონომიური კათეგორიის „გათანაბრებას". [illegible] „ეს ეთი გ ა თ ა ნ ა ბ რ ე ბ ა", „ერთგვარი გათანაბრება" და სხვა. აშკარაა ეს გაუგებრობაა და მეტი არაფერი. პროფესორს არ ესმის დიალექტიკის ელემენტარული დებულებაც კი. მატერიალისტურმა დიალექტიკამ არ იცის წინააღმდეგობათა გ ა თ ა ნ ა ბ რ ე ბ ა, მან იცის დაპირდაპირებულთა ე რ თ ი ა ნ ო ბ ა. „გათანაბრების" თეორია ამხ. დოლიძის კიდევ ერთი ახალი „აღმოჩენაა", გენიალურზე უგენიალურესი. როგორც ხედავთ, ამხ. დოლიძეს ეკონომიაში კი არა, ფილოსოფიაშიც შეაქვს თავისი წვლილი. ეტყობა, დიალექტიკა „საფუძვლიანად" შეუსწავლია მას", ისე „საფუძვლიანად", როგორც თვით ეკონომია. ცხადია, ამ „საფუძვლით"—გათანაბრების თეორიით—შეუძლებელი იყო მარქსის დიალექტიური ფორმულის გაგება. ვერც ჩემმა მოკამათემ გაიგო ვერაფერი. ძან მხოლოდ თუთიყუშივით გაიზეპირა „სინთეზი", მაგრამ არ იცის, რას ნიშნავს ის. კიდევ მეტი, ეს სინთეზი კონკურენციისა და მონოპოლიის გათანაბრებათ, მექანიკურ შეკოწიწებათ წარმოუდგენია და ამით თვითონვე ნათელყოფს, თუ რანაირ „წინააღმდეგობაში იმყოფება მარქსიზმთან-ლენინიზმთან".

აღნიშნულ წერილში მარქსი ამბობს, სინთეზი ორივე ცნების „რეალურ წონასწორობას" წარმოადგენსო. ეს „რეალური წონასწორობა" არც დოლიძისებური მექანიკური გათანაბრებაა, არც—მენშევიკური „წონასწორობის თეორია". ამ დებულების გაგება მხოლოდ დიალექტიური თვალსაზრისით შეიძლება, დაპირდაპირებულთა ერთიანობის პრინციპით. განა სინთეზი, „რეალური წონასწორობა" ნიშნავს, ვითომც კონკურენციასა და მონოპოლიას შორის მოხდა „შეთანხმება", მათ შორის ჩამოვარდა ზავი, დოლიძის ჩიქორთულზე—მოხდა მათი „ასეთი გათანაბრება"? სრულებით არა. მარქსის ამ დებულებას არაფერი აქვს საერთო არც „წონასწორობის თეორიასთან", არც—მექანიკურ „გათანაბრებასთან". როგორ ხსნის მარქსი ამ დებულებას?

ამხ. დოლიძეს მარქსის ნაწერები რომ გულდასმით წაეკითხა, „წააწყდებოდა" მაინც მარქსის განმარტებას. ანენკოვისადმი მიწერილ წერილში გამოთქმულ აზრს მარქსი ანვითარებს პრუდონის „სილატაკის ფილოსოფიის" კრიტიკაში. მარქსი უბრუნდება „სინთეზის" საკითხს, იმეორებს თავის დებულებას და სწერს:

> პრაქტიკულ ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ არა მარტო კონკურენციას, მონოპოლიას და მათ ანტაგონიზმს, აგრეთვე მათ სინთეზსაც, რომელიც წარმოადგენს არა ფორმულას, არამედ მოძრაობას. მონოპოლია იწვევს კონკურენციას კონკურენცია იწვევს მონოპოლიას. მონოპოლისტები ეტოკვებიან (конкурируют) ერთმანეთს, შეტოკვნი ხდებიან მონოპოლიწტებათ... ს ი ნ თ ე ზ ი ნ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ს ი მ ა ში, რ ო მ მ ო ნ ო პ ო ლ ი ა ს შ ე უ ძ ლ ი ა ა რ ს ებ ობ ა მ ხ ო ლ ო დ გ ა ნ ე უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი კ ო ნ კ უ რ ე ნ ც ი ი ს ს ა შ უ ა ლ ებ ი თ[1]).

ამ დებულების აზრი გასაგებია. კაპიტალისტურ საზოგადოებაში „ჩვენ ვხედავთ" კაპიტალისტურ კონკურენციას, ვხედავთ კაპიტალისტურ მონოპოლიას. ორივე ეს ეკონომიური მოვლენა არსებობს „პრაქტიკულ ცხოვრებაში" არა

[1]) Нищета Философии, გვ. 141. ხაზი ჩემია.

„გათანაბრების“ მიხედვით. ორივე ებრძვის ერთმანეთს, არსებობს მორის „ანტაგონიზმი“. სინთეზი წარმოადგენს ამ ორი „დიამეტრალურად მოწინააღმდეგე ძალის“ ერთიანობას ანტაგონისტურ ფორმაში. ესაა „განუწყვეტელი კონკურენცია“, რომლის გარეშე არ შეუძლია არსებობა მონოპოლიას.

ცხადია, ყველაფერი ეს გაუგებარია ჩემი ოპონენტისათვის. საჭიროა პრობლემის იმნაირი გამარტივება, როგორც მარტივია ჩემი მოკამათის აზროვნება.

მარქსი განაგრძობს:

> თანამედროვე მონოპოლია არ არის უბრალო ანტითეზა, პირიქით, ის წარმოადგენს ნამდვილ სინთეზს. თეზა: ფეოდალური მონოპოლია, რომელიც წინ უსწრებს კონკურენციას. ანტითეზა: კონკურენცია. სინთეზი: თანამედროვე მონოპოლია, რომელიც წარმოადგენს ფეოდალური მონოპოლიის უარყოფას და ჰგულისხმობს კონკურენციის ბატონობას. და ამავე დროს, რჩება რა მონოპოლიათ, უარყოფს კონკურენციას. ამ რიგათ, თანამედროვე ბურჟუაზიული მონოპოლია არის სინთეტიური, უარყოფის უარყოფა და დაპირდაპირებულთა ერთიანობა[1]).

როგორც ვხედავთ, კონკურენციისა და მონოპოლიის სინთეზის პრობლემას მარქსი სწყვეტს დიალექტიური „დაპირდაპირებულთა ერთიანობის“ პრინციპის საფუძველზე. აქ ლაპარაკიც არ არის დოლიძისებურ „გათანაბრებაზე„. ამიტომ ვამბობ მიუდგომლად: დოლიძის თვალსაზრისი ანტიდიალექტიურია, ანტიმარქსისტული, აქ ასპროცენტიანი ფსევდო-მარქსიზმია მოცემული. გასაკვირიც არაა: ადამიანი, რომელიც ორ ნაძვს შორის იბნება, უგზო-უკვლოთ დაიკარგება თეორიულ აზროვნების ულრან ტყეშიც. ჩემი პროფესორიც დაიკარგა ამ „ტყეში.“

მარქსი ლაპარაკობს მონოპოლიაზე არა თანამედროვე გაგებით, ცხადია. განა თანამედროვე კაპიტალისტური მონოპოლისტური გაერთიანება და ის მონოპოლია, რომელიც ანტითეზაა ფეოდალური მონოპოლიის ერთი და იგივეა? მათ შორის საკმაოთ დიდი განსხვავებაა. მიუხედავათ ამისა, მარქსის გენიალურმა შორსმჭვრეტელობამ ადვილათ შესძლო მონოპოლიის პრობლემის სწორათ გათვალისწინება.

უდიდესი მეცნიერული გამჭრიახობით იკვლევს მარქსი თითოეულ ცვლილებას, რომელიც ხდება კაპიტალიზმის განვითარების პროცესში. ასეთი ცვლილება იყო სამოციან წლებში—როცა "კაპიტალი" დაიწერა—აქციონერული კაპიტალის წარმოშობა და შედარებით ნელი განვითარება. მარქსი უდიდესი ყურადღებით მოეპყრო ამ „ცვლილებას“, მაგრამ სამწუხაროთ, ვერ მოასწრო კაპიტალის „აქციონერიზაციის“ კვლევა-ძიების დასრულება. „კაპიტალის“ მესამე ტომში მაინც მოგვცა მარქსმა ამ ახალი პროცესის გენიალური გაშუქება.

აქციონერული კაპიტალის შესახებ მარქსი სწერს: „ეს—კაპიტალის, როგორც კერძო საკუთრების, გაუქმებაა თვით წარმოების კაპიტალისტური წესის

[1]) i b i d. გვ. 140. ხაზი ჩემია.

ფარგლებში“ [1]). სხვანაირად: „ეს — წარმოების კაპიტალისტური წესის გაუქმებაა თვით წარმოების კაპიტალისტური წესის ფარგლებში და ამიტომ თვით შრომა-პობი წინააღმდეგობაც, რომელიც prima facie წარმოების ახალ ფორმაზე უბრალო გადასვლის პუნქტს წარმოადგენს“ [2]).

კაპიტალიზმის განვითარების ამ საფეხურზედაც კი, მარქსის აზრით, მრავალი ეკონომიური კათეგორია ახალ ნიადაგზე ისმება. „წარმოდგენები, რომელთაც რაიმე აზრი ქონდა კაპიტალისტურ წარმოების უფრო დაბალ საფეხურებზე, აქ სრულიათ უშინაარსოთ გვევლინება [3]). ეკონომიური მეცნიერული აზრი არაა „ფორმულა“, გაყინული დოგმა, ის „მოძრაობაა“; დიალექტიკა; აი ამ „მოძრაობის“ საუკეთესო ნიმუში ჩვენ მოგვცა, ფრ. ენგელსმა მარქსის ზოგიერთი დებულების ინტერპრეტაციის სახით. კერძოთ, ეს ინტერპრეტაცია შეეხება კონკურენციისა და მონოპოლიის პრობლემას მონოპოლისტური კაპიტალიზმის განთიადზე. ენგელსი სწორეთ ისე აყენებდა თავისუფალ კაპიტალისტურ კონკურენციის საკითხს, როგორც აყენება ლენინი. ენგელსი სწერს:

> მას შემდეგ, რაც მარქსმა დასწერა ეს სტრიქონები (სააქციო საზოგადოების შესახებ გ. მ.), წარმოიშვა, როგორც ვიცით, სანრეწველო წარმოების ახალი ფორმები, რომლებიც წარმოადგენს სააქციო საზოგადოების მეორე და მესამე საფეხურს“... ამ საფეხურზე „ერთი სიტყვით, ძველათ განთქმული თავისუფალი კონკურენცია მიადგა აღსასრულს და თვითონაც უნდა აღიაროს თავისი აშკარა სკანდალური გაკოტრება [4]).

ამ დებულების საილუსტრაციოთ ენგელს მოჰყავს ინგლისური ტრესტის — United Alkali Trsnt-ის მაგალითი და ასკვნის: „ამ გზით ამ დარგში (რომელსაც ტრესტი აერთიანებს. გ. მ.) ინგლისში კონკურენცია შეცვლილია მონოპოლიით და სრულიათ დამაკმაყოფილებლად მზადდება მთელი საზოგადოების, ნაციის მიერ მომავალ ექსპროპრიაციის ნიადაგი“ [5]).

მაშასადამე, რაც შეამჩნია და რასაც ხაზი გაუსვა ენგელსმა სააქციო კაპიტალის განვითარების „მეორე და მესამე საფეხურზე“, ესაა თავისუფალ კონკურენციის „აშკარა სკანდალური გაკოტრება“, ანდა როგორც ლენინი ამბობს, მისი „ბოხსნა“.

მიუდგომელი მკითხველი უსათუოდ დაასკვნის, რომ გრ. მუშიშვილი სრულებით არ იმყოფება „აშკარა წინააღმდეგობაში მარქსიზმთან-ლენიზმთან“. ამ

---

[1]) Капитал, ტ. III, ნაწ. I, გვ. 340.

[2]) idib. გვ. 341.

[3]) ibid. გვ. 342.

[4]) ibid. გვ. 341. ენგელსის შენიშვნა (ტექსტში). ინტერესისათვის—ხაზგასმული სიტყვები რუსულად:

Словом, издревние преславленная свобода конкуренции пришла к концу и должна сама признаться в своем явном банкротстве.

ან კიდევ: „კონკურენცია შინაურ ბაზარზე უკან იხევს კარტელებისა და ტრესტების წინაშე“ (იხ. Капитал, ტ. III. ნაწ. II. გვ. 23, ენგელსის შენიშვნა).

[5]) ibid.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგობაში იმყოფება ჩემი ოპონენტი, იმყოფება ობიექტურად, თუ არ ვიტყვით—სუბიექტიურადაც.

მაგრამ ნიშნავს თუ არა თავისუფალი კონკურენციის „სკანდალური გაკოტრება“ საერთოდ კაპიტალისტური კონკურენციის „მოხსნას“ კაპიტალისტურ მეურნეობაში, ნიშნავს თუ არა ეს წარმოების ანარქიულ სისტემის მოსპობას? სრულებითაც არა, ათასჯერაც არა. აი ეს ვერ გაუგია ჩემს მოკამათეს. მარქსის დებულება, რომელიც შეიცავს კაპიტალისტური წარმოების ანარქიული ხასიათის მტკიცებას, ძალაში რჩება, კიდევ მეტი—პოულობს უფრო მაგარ დასაბუთებას კაპიტალიზმის განვითარების „უახლეს ფაზისშიაც“. აი მარქსის დებულება; „თვით კაპიტალისტებს შორის... გაბატონებულია სრული ანარქია, რომლის ფარგლებში წარმოების საზოგადოებრივი კავშირი ხორციელდება მხოლოდ როგორც ბუნების ძლიერი კანონი, რომელიც იმორჩილებს ინდივიდუალურ თვითნებობას [1]). ამიტომაც შენიშნავს ენგელსი, მაგ., კარტელის შესახებ: „კარტელები ისახავს მიზნათ წვრილ კაპიტალისტების მსხვილი კაპიტალისტების მიერ გადაყლაპვას უფრო ჩქარად, ვინემ ეს იყო წინეთ“. კარტელები უფრო აძლიერებს ანარქიას კაპიტალისტურ მეურნეობაში [2]).

რაში მდგომარეობს თავისუფალი კონკურენციის „მოხსნა“ და მონოპოლისტური კონკურენციის—კელავ ვხმარობ ამ თერმინს—განვითარება, ამას დავინახავთ. აქ კი დასკვნა გავაკეთოთ: ყველა ჩემი დებულება მტკიცეთ ემყარება მარქს-ენგელს-ლენინის ფუნდამენტალურ დებულებებს, ჩემი დებულებები მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაზრისით წმინდაა როგორც კრისტალი. მოიკრიფოს ვაჟკაცური გამბედაობა—არა დონკიხოტური—ჩემმა მედგარმა მოკამათემ და დაამტკიცოს—და არა დააკანონოს დეკრეტულათ—დაასაბუთოს წინააღმდეგი.

მართალია, ჩვენ გავეცანით მარქსის, ენგელსის და ლენინის შეხედულებებს კონკურენციისა და მონოპოლიის საკითხზე. მაგრამ ვინ იცის, შეიძლება ეს შეხედულებები დღეს უკვე დრო-მოჭმულია, უარყოფილი. ყველაფერი იცვლება, ყველაფერი მიმდინარეობს. შეიძლება უკვე მოძველდა ლენინის კონცეპცია, მოძველდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც—როგორც თვითონ აცხადებს რიხრიხით—ჩვენს პროფესორს ამ საკითხზე „ქონდა ლაპარაკი კომუნისტის 915 ნომერში“ (ვისთვის რათაა საინტერესო, თორემ ამ „ნომერსაც“ გავუსინჯავდი კბილს!).

ვნახოთ.

წერილის დასაწყისში ავღნიშნე, ამხ. ბუხარინთან დისკუსიამ დიდძალი ახალი ლიტერატურა წარმოშვა მეთქი, გვერდს ვუხვევ ამ ლიტერატურას. შევჩერდები მხოლოდ ერთ ფაქტზე. გასული წლის შემოდგომაზე კომუნისტურმა

---

[1]) Капитал. ტ. III. ნაწ. II, გვ. 341.

ან კიდევ: „ყოველგვარი ფიქრი შეერთებულ, გაბედულ და შორსმჭვრეტელურ კონტროლის შესახებ წარმოებაზე... ყოველივის დარჩება პლატონიურ სურვილათ“, რადგან ეს კანტროლი „საერთოდ და მთლიანად სრულებით შეუთავსებელია კაპიტალისტური წარმოების კანონებთან“ (Капитал, ტ. III, ნაწ. I, გვ. 81)

[2]) Капитал, ტ. III, ნაწ. II, გვ. 81 ენგელსის შენიშვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკადემიამ მოაწყო დისპუტი ჩვენთვის საინტერესო პრობლემებზე—მეოცეული ფოხსენება წაიკითხა ამხ. ვ ა რ გ ა მ. მოხსენება და კამათი ცალკე წიგნათ დაიბეჭდა. რას ამბობს ამხ. ვარგა თავისუფალ კაპიტალისტურ კონკურენციის პრობლემაზე? მომყავს მისი დებულება სიტყვა-სიტყვით:

> Эра свободной конкуренции миновала—этот факт является одним из основных элементов ленинского определения империализма [1]).

თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი კ ო ნ კ უ რ ე ნ ც ი ი ს ე პ ო ქ ა მ გ ა ნ ვ ლ ო—ასეთია „ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი“ მონოპოლისტური კაპიტალიზმის ლენინური გაგების. უკუაგდეთ ეს ელემენტი, უარყავით ეს დებულება, როგორც ამას სჩადის ჩემი გულმოდგინე და დაუღალავი და ამით თქვენ უკუაგდებთ მარქს-ენგელსს, სანაგვეში გადაუძახებთ ლენინის „იმპერიალიზმს“, ხელს აიღებთ მთელ ისტორიულ პერიოდზე. სხვანაირად, მშვიდობიანათ ჩაეშვებით მენშევიზმისა და ოპორტუნიზმის წუმპეში.

რას ნიშნავს „თავისუფალი კონკურენციის შეცვლა მონოპოლიით“ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თვალსაზრისით? ესაა, ამბობს ლენინი,—замена демократии вообще олигархией [2]). ვ ი ნ ც ი ც ა ვ ს თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი კ ო ნ კ უ რ ე ნ ც ი ი ს თ ე ო რ ი ა ს, ი ს სდგას პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ნ ი ა დ ა გ ზ ე. ის ვერ ხედავს „ოლიგარხიას“, მუშა ექსპლოატატორების ბატონობას, მათ დიქტატურას. მ ო ნ ო პ ო ლ ი ა ე კ ო ნ ო მ ი კ ა ში მ ო ნ ო პ ო ლ ი ა ა პ ო ლ ი ტ ი კ ა ში. აი მენშევიზმის ფაშიზმათ გადაქცევის ეკონომიური საფუძველი. თავისუფალი კონკურენცია ეკონომიკაში „თავისუფალი“ დემოკრატიაა პოლიტიკაში. „დემოკრატიის“ ხანა ჩაბარდა ისტორიას ძველ კაპიტალიზმთან ერთად. ახლა მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდია. ლაპარაკიც ზედმეტია დემოკრატიაზე, მოქმედების (პოლიტიკაში, ეკონომიკაში) თავისუფალ ასპარეზზე. „თავისუფალი კაპიტალისტური კონკურენციის მზე ჩაესვენა“—ჩაესვენა პოლიტიკური დემოკრატიის მზეც. ვინც უარყოფს თავისუფალი კონკურენციის პრობლემის ლენინურ გაგებას, ის, როგორც ამბობს ლენინი:

> „об'ективно тащит назад, от монополистического капитализма к немонополитическому, является реформистским обманом [3]).

---

[1]) Организованный капитализм, М. 1929. გვ. 6. კომაკადემიის გამოცემა.

[2]) Н. Ленин. Op. cit.გვ. 355.

[3]) ibid. გვ. 325.

ინტერესისათვის. გეგონებათ, ამ. დოლიძის ჯინაზე გამოუცია საბჭოთა რუსეთის საბელგამს ბროშურა: М. Иоэльсон. Организованный капитализм. М. 1930. აი აქ, ამ ბროშურაში, მე-96-ე გვერდზე მას შეუძლია წაიკითხოს—თუმცა გაგებაა საქმე—სრულებით უდაო დებულება:

Отрицать коренное различие между эпохой монополистического капитализма и эпохой домонополитической.—это значит лить воду на мельницу б у р ж у а з н ы х э к о н о м и с т о в, к а т о р ы е в б о л ь ш е н с т в е с л у ч а е в и ы т а ю т с я д о к а з а т ь, ч т о к о н к у р е н ц и я т е п е р ь о с т а л а с ь т а к о й ж е и л и п о ч т и т а к о й ж е к а к о й б ы л а р а н ь ш е... (ხაზი ჩემია).

ეს ბროშურა მემარჯვენეობის წინააღმდეგაა მიმართული და არა მის დასაცავად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი mutatis mutandis დაეშვა პროფესორი დოლიძე ბუნებრივ ოპორტუნიზმის სავანეში. აი როგორ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩააყენა ჩემი პროფესორი მისმა „არა მკითხე" კრიტიკულმა გამოსვლამ! დოლიძის ეს შეცდომა, რომელიც მან დაუშვა თავისუფალი კონკურენციისა და მონოპოლიის საკითხის გაგებაში, ხელაღებით უარყოფს ლენინის თეორიას, „წინააღმდეგობაში იმყოფება მარქსიზმთან—ლენინიზმთან", ანდა კიდევ მისივე ენაზე—ლენინიზმთან „რაღაც კონფლიქტში იმყოფება". ეს არის ლენინის იმპერიალიზმის თეორიის „ძირითადი ელემენტის" უარყოფა, ამ თეორიის რევიზია.

* * *

რ. ჰილფერდინგი თავის „ფინანსიურ კაპიტალში" ასაბუთებს თავისუფალი კაპიტალისტური კონკურენციის „მოხსნას" („снятие") „კაპიტალიზმის განვითარების უახლეს ფაზისში". ლენინიც ამტკიცებს ამ დებულებას თავის „იმპერიალიზმში". თავისთავათ ცხადია, ბუხარინიც იზიარებს ამ აზრს.

როგორც დავინახეთ, ვარგაც იცავს ამ აზრს დღეს და სრულიად სამართლიანად მიაჩნია ის იმპერიალიზმის თეორიის ლენინურ გაგების ერთ-ერთ ძირითად ელემენტად. ასეთია ამ კონკრეტულ პრობლემის მდგომარეობა.

ჩემმა კრიტიკოსმა არ იცის, მსგავსებასთან ერთად რაშია რადიკალური განსხვავება, შეურიგებელი წინააღმდეგობა ჰილფერდინგს, ლენინსა და ბუხარინს შორის მონოპოლისტურ კაპიტალიზმის გაგებაში. ის ვერ ხედავს მსგავსებას და, ცხადია, უამისოთ ძნელია განსხვავების დანახვაც,—პირდაპირ შეუძლებელიც. მსგავსება-განსხვავების დიალექტიური გაგება აუცილებელია ყოველივე მნიშვნელოვან პრობლემის გაშუქებაში. ვიმეორებ, ჩვენი თეორეტიკოსი ვერ ხედავს „მსგავსებას" ამ პირებს შორის. აქაც მას მუხანათურათ ღალატობს კრიტიკული უნარი და ამიტომაც ყოველგვარი რიცხვი ხუთზე მეტი „ბევრი" ჰგონია. ის ფიქრობს, ცნობილი „ფინანსიური კაპიტალის" ავტორ ჰილფერდინგის განსაზღვრულ სწორ დებულების დასახელება ლენინის დებულებასთან ერთად ლენინის „შებილწვაა" და „ცრუ-მარქსიზმი", ამიტომ ჩემი მოკამათე პუბლიცისტი პოეტურ ალმაფრენაში, როგორც ამბობენ—licentia poetica-ში ვარდება და „გრძნობიერათ", „სახეებით" „ასურათხატებს".

> ხშირათ მწერალს მიაქანეს სხვადასხვაგვარი ტალღა და სხვადასხვაგვარი სიძლიერისა და მიმართულების ქარიშხალი ერეკება მის ხომალდს, თვით ამგვარი მწერლის ნაწერი წააგავს იმ ზღაპრულ ნოეს კიდობანს, რომელშიაც უხვათ მოიპოებოდა წმინდა და უწმიდური ცხოველები, ეს მოვლენა მით უფრო საგრძნობი და აშკარა იქნება, რაც უფრო სხვადასხვაგვარია იმ მოაზროვნეების მიმართულება, რომელთაც ავტორი ეყრდნობა.

— Друг мой, Аркадий Николаевич, не говори так красиво!—ასე მიმართავს მატერიალისტი ბაზაროვი იდეალისტ კირსანოვს ტურგენევის ცნობილ ნაწარმოებში Отцы и дети. და მეც მაგონდება მატერიალისტი ბაზაროვის სამართლიანი სიტყვები.

ცხადია, უნდა განუმარტო ჩემს არკადი ნიკოლაევიჩს „მსგავსებასთან“ ერთად რაშია ძირითადი „გარჩევა“ „სხვადასხვაგვარი“ „მოაზროვნეების მიმართულებაში“, ამით მიეცემა საშუალება გაარჩიოს „წმინდა და უწმინდური ცხოველები“ საკუთარი აბდა-უბდის „კიდობანში“.

კითხვა ისმება: რაშია აზრთა წინააღმდეგობა ლენინიზმსა, საერთაშორისო რეფორმიზმსა და ჩვენებურ მემარჯვენეებს, მაგ. ბუხარინს შორის? აი ახლა უნდა მოვიყვანო ჩემი წ ე რ ი ლ ი დ ა ნ ერთი ციტატა, რომელსაც ენერგიული ხაზგასმით, დიდი პათოსით აღნიშნავს ჩემი „კალმოსანი“. აი ეს ადგილიც:

> წარმოების ანარქიული სისტემა შედარებით მწყობრ ორგანიზაციულ წესით იცვლება. სამეურნეო ერთეულებს შორის ჩინური კედლები ინგრევა, ერთი „ხელმძღვანელი“ (უკანასკნელი სიტყვა ბრჭყალებში არ მოყავს ჩემს ყოვლად სინდისიერ კრიტიკოსს, რადგან ბრჭყალებს არ აქვს მნიშვნელობა მისთვის. გ. მ.) ცენტრი იქმნება კაპიტალისტური მონოპოლიის სახით.

აი აქ იწყება გზა-ჯვარედინი, ესაა გ ა მ ო ს ა ვ ა ლ ი წერტილი. ეს დებულება—და სხვა ანალოგიურიც—ლებულობს სამგვარ „მასშტაბს“ და აქედან ყალიბდება ს ა მ ი მიმართულებაც.

პ ი რ ვ ე ლ ი. „ერთი „ხელმძღვანელი“ ცენტრი იქმნება“ წარმოების გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ სფეროში, სადაც, როგორც ამბობს ლენინი, „ბატონობს მონოპოლისტური კავშირი“. ეს ეხება თ ვ ი თ მონოპოლისტურ ორგანიზაციას. თავისუფალი კონკურენცია „იხსნება“, რადგან გაერთიანებით „სამეურნეო ერთეულებს შორის ჩინური კედლები ინგრევა“. მაგრამ ს ა ვ ს ე ბ ი თ ძ ა ლ ა შ ი რ ჩ ე ბ ა კ ო ნ კ ო ურ ე ნ ც ი ა ს ა ე რ თ ო დ. ეს კონკურენცია სწარმოებს ახლა უფრო ღრმად და უფრო მწარეთ. კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობაც უფრო იზრდება.

მ ე ო რ ე. „ერთი „ხელმძღვანელი“ ცენტრი იქმნება“ მთელი ნაციონალური“ სახელმწიფოს მასშტაბით. მონოპოლია იპყრობს მთელ „ნაციონალურ ბაზარს“, კონკურენცია იდევნება არა მარტო წარმოების განსაზღვრულ სფეროდან, სადაც „ბატონობს მონოპოლისტური კავშირები“. ეს კონკურენცია იხსნება მთელი „სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტურ“ (ნ. ბუხარინის თერმინია) მასშტაბით. კაპიტალიზმი მოწყობილია ორგანიზაციულად შიგ „სამშობლოში“. კონკურენცია და ბრძოლა სწარმოებს გარეთ—„უცხოეთში“—მსოფლიო ბაზარზე.

მ ე ს ა მ ე. ყველაფერი ის, რაც შეიცავს პირველ და მეორე დებულებას, ხდება მ ს ო ფ ლ ი ო მ ა ს შ ტ ა ბ ი თ. პირველი დებულება აქ აყვანილია n+m ხარისხში, ხოლო მეორე—n ხარისხში, სრულიად გასაგები მიზეზით: პირველის მასშტაბია ცალკე „გაბატონებული“ მონოპოლია, მეორის—მთელი კაპიტალისტური სახელმწიფო—„ნაციონალური“ ბაზარი, ხოლო მესამის—მთელი „მსოფლიო ბაზარი“, შედეგიც ნათელია: ულ ტ რ ა ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი.

მომზადებული მკითხველი ადვილად მიხვდება: პირველი დებულება ლ ე ნ ი ნ უ რ ი ა, მეორე—ბ უ ხ ა რ ი ნ ე ლ ი, მესამე კ ა უ ც კ ი ა ნ ე ლ ი. უკანასკნელი დებულება ამ ჟამად არ მაინტერესებს, ამის დამცველი ჩვენში არავინ მეგულება. ამიტომ „ძალაში რჩება“ პირველი ორი დებულება. აქვე უნდა შევნიშნო

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რომ ანალოგიურ სქემას იძლევა ამხ. ვარგაც.

ბუხარინულ-კაუცკიანური დებულებები შეიცავს ორგანიზაციულად მოწესრიგებულ კაპიტალიზმის ბურჟუაზიულ თეორიას. ამ თეორიის შინაგანი ბუნება მდგომარეობს კაპიტალიზმის გადარჩენაში პროლეტარულ რევოლიუციისგან. მარქსმა მეცნიერულად დაასაბუთა ამ რევოლიუციის საფუძველი—კონფლიქტი საწარმოო ძალთა განვითარებისა და არსებულ საწარმოო ურთიერთობის შორის. საწარმოო იარაღებზე კაპიტალისტური კერძო საკუთრება ვერ ეგუება საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას. აქ ხდება კონფლიქტი ახალ შინაარსსა და ძველ ფორმას შორის. ეს კონფლიქტი გამოსავალს პოულობს პროლეტარულ რევოლიუციაში.

და აი ბურჟუაზიული მეცნიერება სცდილობს თავის ლაბორატორიაში დაამზადოს წამალი, რომელიც მოსპობს ისტორიულ განვითარების ამ აუცილებელ პროცესს. თუ საწარმოო ძალთა განვითარების ინტერესი გადაჭრით მოითხოვს კაპიტალისტურ კერძო საკუთრების გაუქმებას, მაშ საჭიროა ამ მოთხოვნილებასთან რეფორმისტული შეგუება—კაპიტალისტურ საზოგადოებრივ, კოლექტიურ საკუთრებაზე გადასვლა და კაპიტალისტური მეურნეობის „საერთო ძალით" მოწესრიგება.

ეს არის მენშევიზმისა და ბურჟუაზიულ ეკონომისტების უნაყოფო უტოპია. რატომ? იმიტომ, რომ კერძო კაპიტალისტურ საკუთრებიდან კოლექტიურ კაპიტალისტურ საკუთრებაზე გადასვლა არ არის თვისებრივი პროცესი. ეს არის მოვლენის გარეგანი სახის, ფორმის გამოცვლა. შინაარსი კი ხელუხლებელი რჩება: წარმოების საზოგადოებრივი და მითვისების ინდივიდუალური ხასიათი ოდნავაც არ იცვლება. ეს კი ძირითადი საფუძველია, რომელსაც ემყარება კაპიტალისტური წარმოების კრიზისი, ანარქია, სოციალურ ძალთა სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება. წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი და კაპიტალისტური მითვისება ვერ თავსდება ერთ ქერქში, და ეს ქერქი სქდება კიდეც.

აი რათ გაკოტრდა ორგანიზაციულად მოწყობილი კაპიტალიზმის თეორია.

ჩემს საკვირველ მოკამათეს, ცხადია, საკვირველებათ მოეჩვენება ყოველივე ეს. მას წარმოდგენაც არ აქვს, რაში მდგომარეობს ამ ბურჟუაზიულ-მენშევიკური კონცეპციის თეორიული საფუძველი, თეორიული ძარღვი. ასეთი დასკვნა გამომყავს სრულებით ობიექტიურად.

გავყვეთ საკითხს კვალდაკვალ.

ლენინის აზრით, თავისუფალი კონკურენცია „იხსნება", მაგრამ არა საერთოდ. კონკურენცია მაინც ბატონობს კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სახელმწიფოში და მთელ მსოფლიოში. კონკურენცია კი ქმნის ანარქიას. მე ვაცხადებ გადაჭრით: ჩემი დებულება სავსებით ემყარება ლენინის აზრს და მას არაფერი აქვს საერთო ამხ. ბუხარინის თეორიასთან.

ისპობა თუ არა კონკურენცია საერთოდ მონოპოლისტურ კაპიტალიზმის პერიოდში? როგორია ამ კითხვაზე ჩემი პასუხი? ჩემი „კრიტიკოსის“ აზრით, ჩემი აზრი თურმე ასეთია:

> გრ. მუშიშვილს წარმოუდგენია, რომ რაკი მწარმოებლების გაერთიანებამ მიიღო კარტელის სახე, მორჩა და გათავდა ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი მეტოქეობა, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი კონკურენცია, ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ბრძოლა კაპიტალისტებს შორის. მორთა ერთგვარი გათანაბრება, მოისპო თანამედროვე მდგომარეობის სიძნელეები, ე. ი. შეიქმნა იმნაირი პირობები განვითარებისა, რომელზედაც ოცნებობენ ბურჟუაზიული ეკონომისტები (ხაზი ჩემია გ. მ.).

ამის შემდეგ მოყვანილია—ღია კარების დასამტვრევად!—ციტატა ლენინიდან, რომელიც მე მომყავს ჩემს წერილში („მნათობი“ № 5-6, გვ. 192). უმალავს მკითხველს ამ უბრალო ფაქტს, ქმნის შთაბეჭდილებას, ვითომც მე უ ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო თ დავსტოვე ლენინის ეს აზრი. აი ეს ციტატა: „გენიალურათ ახასიათებს ლენინი კონკურენციის პრობლემას მონოპოლისტურ კაპიტალიზმში. მოკლეთ, შეკუმშულად, მაგრამ ამომწურავად შენიშნავს ლენინი: „მონოპოლიები, რომლებიც ალმოცენდებიან თავისუფალ კონკურენციიდან, არ უკუაგდებენ მას, არამედ არსებობენ მასზე და მის გვერდით, და ამით ქმნიან მთელ რიგ განსაკუთრებით მწვავე და მსხვილ წინააღმდეგობას, შეხლა-შემოხლას, კონფლიქტებს“. ეს ამონაწერი ჩემ მიერ მოყვანილია ხ ა ზ გ ა ს მ ი თ.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, საინტერესოა ამ შემთხვევაში არა ის, რას ამბობს ლენინი. „უფრო“ საინტერესო გახდა, თუ რას ვამბობ მე, სწორია თუ არა ჩემი „Аркадий Николаевич-ის ზემოთმოყვანილი მტკიცება. მაშ მოვიყვანოთ ის შესაფერი ადგილები, რომლებსაც ჩემი ყოვლად მიუდგომელი მოკამათე ასე ყოვლად გულმოდგინეთ უმალავს მკითხველს, შეიძლება—თავის თავსაც კი.

თავისუფალი კაპიტალისტური კონკურენციის პრობლემის გაშუქების შემდეგ ლოგიკური თანმიმდევნობით გადავდიეარ საერთოდ კონკურენციის საკითხზე და სრულიად გასაგებათ, გარკვევით, არა ორაზროვნულათ ვსწერ შავი ციცეროთი სახელგამის საკმაოთ თეთრ ქაღალდზე:

> საკითხი ისე არ უნდა გავიგოთ, ვითომც ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი (ყოველგვარი!) მეტოქეობა ისპობა კაპიტალიზმის განვითარების მონოპოლისტურ ეტაპზე. კონკურენცია ისპობა ან „იმალება“ კაპიტალისტურ მონოპოლიებში, მაგრამ კ ო ნ კ ურ ე ნ ც ი ა მ ა ი ნ ც გ ა ნ ა გ რ ძ ო ბ ს ს ი ც ო ც ხ ლ ე ს კაპიტალისტურ გაერთიანებათა გარეშე. ახლა კონკურენციის ბუნება—კარიდან გაგდებული—ფანჯრიდან ამოყოფს თავს. მაგრამ ე ს ფ ა ნ ჯ ა რ ა კ ა რ ზ ე უ ფ რ ო მ ა ღ ა ლ ი დ ა გ ა ნ ი ე რ ი გ ვ ე ვ ლ ი ნ ე ბ ა. კაპიტალისტური კონკურენციის ფერხელში ებმება ცალკე მონოპოლია—სწარმოებს ბრძოლა თვით მონოპოლიებს შორის. ცხადია, ე ს ბ რ ძ ო ლ ა რ ო გ ო ი ა კ ა რ ლ ი ბ ე ბ ი ს ბ რ ძ ო ლ ა. აქ გოლიათების სამკვდრო-სასიცოცხლო შებრძოლებაა. კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ურ ი კ ო ნ კ ურ ე ნ ც ი ი ს მ ა შ ტ ა ბ ი „შ ე მ ც ი ო ი ო ა“, „შ ე ი ბ ლ ე ბ ა“, მ ა გ რ ა მ ა ა ბ ა ბ ე ბ ა ბ ე ბ ა ბ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

> მონოპოლისტური კაპიტალიზმი პარტიებსა და ხელიმპერიალისტური სისტემა როდია. შინაგანი წინააღმდეგობა აქ უაღრესობას აღწევს, ამ წინააღმდეგობის დამახასიათებელი ერთ-ერთი მომენტი სწორედ ეს „მაღალ საფეხურზე“ ასეული კაპიტალისტური კონკურენციაა. მეტოქეობის მოედანზე გიგანტიური სამეურნეო ერთეულებია გამოსული. ამკარაა, ამ მოედანზე მსხვერპლიც გაცილებით მეტია, ვინემ ამას აქამდე ქონდა ადგილი (გვ. 192).

უნდა მიეყარო ცერცვი კედელს, უნდა ვკითხო ჩემს ყოვლად გამანადგურებელ პროფესორს: ესაა ის „იმნაირი პირობები“, რომელზედაც ოცნებობენ ბურჟუაზიული ეკონომისტები“? ესაა „ორგანიზაციულად მოწყობილი“ მონოპოლისტური კაპიტალიზმი? განა ამ სტრიქონებს ჩემი ყოვლად გულჩახვეული კრიტიკოსი არ მოაწერს ხელს? (თუ კი დავთანხმდები!) მაშ საიდან მოჩმახა ჩემმა ურა ოპონენტმა ასეთი სისულელე: „გათავდა ყოველგვარი მეტოქეობა, ყოველგვარი კონკურენცია, ყოველგვარი ქიშპობა“ მონოპოლისტურ კაპიტალიზმში [1]). ეს ჩემი ოპონენტის „რჩეული თხზულებაა“, ამიერიდან უკვდავი თავისი გენიალური უმეცრობით.

მაგრამ აქ ახლა საინტერესოა საკითხის მეორე მხარე, მართალია, მე ვამტკიცებ კონკურენციის ფაქტს მონოპოლისტურ კაპიტალიზმში, კიდევ მეტი—ამ კონკურენციის უფრო მწვავე და ღრმა ხასიათს ვამტკიცებ, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმის „მოედანზე მსხვერპლიც გაცილებით მეტია, ვინემ ამას აქამდე ქონდა ადგილი“. მართალია ისიც, ეს დიამეტრალურათ ეწინააღმდეგება ჩემი სახელდახელო ოპონენტის სრულ უპასუხისმგებლო განცხადებას, ვითომც მე „სრული უპასუხისმგებლობით ვუარყოფ კონკურენციის არსებობას მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს“. ამავე დროს ვამბობ, კონკურენტული ბრძოლა მონოპოლიებს შორის არსებობს „კაპიტალისტურ გაერთიანებათა გარეშე“. განა მავიწყდება ის შინაგანი მეტოქეობა, ინტერესთა წინააღმდეგობა, რომელიც შით მონოპოლიაში არსებობს?

ცია“. სახელგამი, 1927. აი რას ამოიკითხავს ის აქ: „იმის გამო, რომ მსხვილმა კაპიტალმა საკონკურენციო ბრძოლაში გაიმარჯვა და დაიკავა აღებულ მრეწველობაში განსაკუთრებული ადგილი, ის შეუდგაამ თავისუფალი კონკურენციის მოსპობას, რომლიდანაც თითონ წარმოიშვა. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ კონკურენცია საერთოდ ისპობა. არა, ის კვლავ სწარმოებს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ ბრძოლის მონაწილენი არიან მრეწველობის გიგანტები, ვინაიდან საშიროების ქვეშ ვეებერთელა კაპიტალები მოექცა“ (გვ. ნ. ბახი ჩემია, გ. მ.).

[1]) უფრო გვიანაც ვიმეორებ თანამედროვე კაპიტალიზმის შინაგან კრიზისს და წინააღმდეგობას:

„მოკლეთ, თანამედროვე კაპიტალიზმი ღრმა შინაგან კრიზისს განიცდის, მწვავე შინაგან წინააღმდეგობაში იმყოფება, უცდის ძალას, რომელიც ბებიის როლს შეასრულებს—წეამსუბუქებს ახალ საზოგადოების მშობიარობის ტკივილებს“.

იხ. გრ. მეშიშვილი. „კლასთა ბრძოლა და პროლეტარიატის დიქტატურა“. სახელგამი, 1929—გვ. 21.

აი ამ საკითხებზედაც უნდა გავსცე პასუხი ჩემს მოკამათეს — გაბაძახის გაზეპირებულ ფრაზას: „პირიქით, კ ა რ ტ ე ლ ი თვით წინააღმდეგობა-შეცილია“, მას „ხშირათ აფეთქებს შინაგანი უთანხმოება“-ო.

ჩემი თავგამოდებული ოპონენტი, ეკონომიის პროფესორი ე რ თ მ ა ნ ე თ შ ი ურევს კ ა რ ტ ე ლ ს, ს ი ნ დ ი კ ა ტ ს, ტ რ ე ს ტ ს. ის ვერ არჩევს ამ მონოპოლისტურ ორგანიზაციებს. მთელი გვერდებია ჩემს წერილებში ამ მსგავსება-გარჩევისადმი მიძღვნილი. ამ კათეგორიების ეკონომიური შინაბუნება, მონოპოლისტურ ფორმათა შინაწყობა უნდა გვქონდეს ნათლად წარმოდგენილი, თუ გვსურს ლაპარაკი კონკურენციაზე მონოპოლიების შიგნით, მათ წიაღში. ისევე, როგორც განსხვავებაა ამ ორგანიზაციებს შორის ეკონომიურ სტრუქტურულ თვალსაზრისით, სწორეთ ასეთივე განსხვავებაა აქ შინაგანი კონკურენციის ხ ა რ ი ს ხ შ ი ა ც. მაგალითად, კაპიტალისტური ტ რ ე ს ტ ი. ეს არის „მონოპოლისტური ფუზია“ (ჰილფერდინგი). „ტრესტი კაპიტალისტური მონოპოლიის უ მ ა ღ ლ ე ს ი ფორმაა“—ვსწერ მე (№ 5-6, გვ. 187). შემდეგ ვარკვევ ამ „ფუზიის“ ეკონომიკას. აქ განმეორება ზედმეტად მიმაჩნია (იხ. გვ. 186—188). ავღნიშნავ მხოლოდ: „მონოპოლისტური ფუზიის“ ფორმა ტრესტის სახით ჰგულისხმობს ამ „ფუზიაში“ გაერთიანებულ საწარმოო და საოპერაციო ორგანიზაციების ს რ უ ლ გათქვეფას, ორგანიულ შეერთებას, „слияние“-ს, როგორც ამბობს ლენინი. ცხადია, აქ შინაგანი კონკურენცია „იხსნება“. მე ვსწერ:

> სრულებით სხვა მდგომარეობაა კაპიტალისტურ მონოპოლიის უმაღლეს ფორმაში. ამ შემთხვევაში კონკურენცია (შინაგანი,—იგულისხმება გ. მ.) სრულებით იდევნება და იცვლება მონოპოლიით. ჩვენ ვამბობთ ტრესტების შესახებ. ტრესტი მონოპოლისტური ფუზიაა და აქ მთელი თავისი სიგრძე-სიგანითაა მოცემული სრული მონოპოლიის ატრიბუტები...

მაშასადამე, მონოპოლისტურ გაერთიანების „უმაღლეს ფორმაში“ შინაგანი კონკურენცია „იხსნება“ და ვითარდება „გარეგანი“ კონკურენცია—მეტოქეობა აუტსაიდერებსა და მონოპოლიებს შორის.

— ოჰო, ოჰო წამოიძახებს ჩემი კრიტიკოსი, შინაგანი მეტოქეობა იხსნება?? მაგრამ დავუგდოთ ყური ამხ. ვარგას, რას ამბობს ის:

> В тех случаях, когда образование монополий уже достигло степени полнейшего слияния, эта внутренняя конкуренция отпадает... [1]).

გასაგებია, მგონი.

მაგრამ რა მდგომარეობაა იქ, სადაც არ არის „კაპიტალისტური მონოპოლიის უმაღლესი ფორმა“? კერძოთ, ჩემს ოპონენტს აინტერესებს კ ა რ ტ ე ლ ი (ალბათ, მას მხოლოდ ეს გაუგონია). საკმაოთ ვარკვევ კარტელების შინაგან წინააღმდეგობას, გეგონებათ, ვითომდა წ ი ნ დ ა წ ი ნ მქონია ასეთი ორიგინალური „კალმოსანის“ გამოლაშქრება გათვალისწინებული. ვსწერ:

[1]) Организованный капитализм, გვ. 7, ბაბი ჩემია.

არც ჩემს ამონაწერებიდან, არც ამხ. ვარგას ციტატიდან სრულებით არ გამომდინარეობს ის აზრი, ვითომც თვით ტრესტში გაერთიანებულ კაპიტალისტებს შორის არ იყოს ი ნ ტ ე რ ე ს თ ა სხვადასხვაობა. მაგრამ აქ უადგილოა ამაზე ლაპარაკი. მსჯელობის საგანია კაპიტალისტური კონკურენცია და არა დივიდენდის განაწილება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

> შეიძლება ითქვას, რომ კონკურენცია (შინაგანი. გ. მ.) ბოლომდე-ნება ყველა კაპიტალისტურ მონოპოლიაში? რასაკვირველია, ამის თქმა ძნელია (მხოლოდ ჩემი მოკამათესათვისაა ადვილი! გ. მ.). ორგანიზაციული გაერთიანების ხარისხი სხვადასხვაა მონოპოლისტურ კავშირებში. მაშასადამე, სხვადასხვაა თვით კონკურენციაც მონოპოლიით შეცვლის სიძლიერეც თვითეულ ცალკე შემთხვევაში. მაგალითად, კარტელი. აქ კონკურენცია ისე როდია მონოპოლიით შეცვლილი, როგორც სატრესტო გაერთიანებაში. ჰილფერდინგი სიმართლეს აღნიშნავს, როცა ამბობს, რომ კარტელებსა და სინდიკატებში კონკურენცია „სწყდება, ანდა უკეთ რომ ვსთქვათ, ფარულ ხასიათს ღებულობს". ეს დებულება მტკიცდება კარტელის მაგალითით... კარტელი მხოლოდ ბოჭავს, ზღუდავს კაპიტალისტურ კონკურენციას. ეს უკანასკნელი „ფარულ ხასიათს ღებულობს", მაგრამ მაინც როდი გამოდის ისტორიულ არქივში შენახულ ეკონომიურ კათეგორიათ (გვ. 190-191).

ან კიდევ:

> კონკურენცია კაპიტალის დაბანდების სფეროებისათვის ბრძოლაში ხელუფებლათ რჩება. აქედან იწყება ახალი ხელჩართული ბრძოლების ასპარეზი. კარტელი და სინდიკატი ვერ წარმოადგენს კაპიტალისტური კონკურენციის ღრმა სამარეს. კონკურენცია იზღუდება, მაგრამ სავსებით არ ისპობა (ibidem. იხ. კიდევ: გვ. 186—7).

აი ასე სდგას კონკურენციის საკითხი კარტელებსა და სინდიკატებში. კეთილ ინებოს ჩემმა თავზე ხელ-აღებულმა მოკამათემ და დაარღვიოს, გააბათილოს ეს ლენინური დებულებები.

ამ რიგათ, თანამედროვე კაპიტალიზმის „უახლეს ეტაპზე" კონკურენტული ბრძოლა სწარმოებს სამი მიმართულებით: a) ბრძოლა ინდივიდუალურ კაპიტალებს შორის; b) ბრძოლა მონოპოლისტურ გაერთიანებათა და ინდივიდუალურ (აუტსაიდერი) კაპიტალს შორის და c) ბრძოლა მონოპოლისტურ კავშირებს შორის [1]). ამას მიუმატეთ აგრეთვე შინაგანი წინააღმდეგობა თვით მონოპოლიებში.

გულზე ხელი დაიკრიფეთ და მითხარით, რა აქვს საერთო ამ ლენინურ შეხედულებებსა და იმ „ბრალდებებს", რომელსაც ყოვლად მებრძოლი ჩვენი პუბლიცისტი" ბიყენებს? რა არის აქ საერთო ამხ. ბუხარინის თეორიასთან? ამხ. ბუხარინი სწერს:

> **Что означает государственный капитализм с точки зрения конкуренции? Он означает замирание конкуренции внутри капиталистической страны и величайшее обострение конкуренции между капиталистическими странами [2]).**

---

[1]) ამხ. ვარგასაზრით: „ჩვენ უნდა გავარჩიოთ ერთმანეთში კონკურენციის ორი სახე—კონკურენცია... არამონოპოლისტურ და მონოპოლისტურ ელემენტებს შორის—ერთის მხრივ, და—კონკურენცია თვით მონოპოლისტურ ორგანიზაციებს შორის—მეორე მხრივ". Op-cit., გვ. 6.

[2]) Правда, 26—V, 1929.

ან კიდევ:

Проблемы рынка, цен, конкуренции, кризисов становятся все более проблемами мирового хозяйства, заменяясь внутри „страны“ проблемой организации... [1])

კიდევ ერთხელ მივაყრი ცერცვს კედელს, კიდევ ერთხელ შევეკითხები ჩემს მოკამათეს:

— რა აქვს ჩემს წერილებს ამ აზრებთან საერთო???

არა, ჩემი მოკამათე მხოლოდ იმისთვისაა დაბადებული, რათა მოჩვენებითი „საგნები“ ეძიოს პოლიტიკურ ცის კაბადონზე. კიდევ არ დარწმუნდება ჩვენი პროფესორი თავის ლაყბობის აბსოლუტურ უსუსურობაში, გამოაცხადებს „ომს“? დე, ხმალამოღებულმა სდიოს ჩემს ჩრდილს. „პროფესორია“ და ბუნება!

მარქსი ამბობს ერთ-ერთ ეკონომისტზე „კაპიტალში“: „ამგვარ სოფისტიკას შეუძლია პროტაგორაზე უკეთესად მოგვაჩვენოს თეთრი შავათ და შავი თეთრათ“-ო. ჩემი „ეკონომისტის“ სოფისტიკამ ვერ გაამართლა ეს სიტყვები, უბრალო მიზეზით—როდი აქვს „ფერების“ გარჩევის უნარი. ამიტომაც არც კი იცის, левая-правая где сторона!

მისი Herzenstoss-ი კარგად მესმის, გულის ტკივილი—გასაგებია...

*
* *

ახლა კითხვა ეხება მარქსისტულ ლიტერატურაში მილიონჯერ გარკვეულ და უდაოდ მიჩნეულ ჭეშმარიტებას. ვამბობ თვით წარმოების პროცესის ორგანიზაციაზე კერძო კაპიტალისტურ საწარმოსა და „კოლექტიურ კაპიტალისტის“ [2]) ფარგლებში. ავიღოთ, მაგალითად, ფორდის ქარხნები. განა შეიძლება ითქვას, აქ ძალი პატრონს ველარ სცნობს, წარმოების სრული ანარქიაა ტეხნიკურ-ორგანიზაციული თვალსაზრისით? ვფიქრობ, არა. ფორდს საკუთარი ტეხნიკური უნივერსიტეტი აქვს გახსნილი. მარტო ეს ფაქტი ბევრზე მეტყველებს. ანდა კაპიტალისტური მონოპოლია—ტრესტი. განა კაპიტალისტური „რაციონალიზაცია“ წარმოების ამ ფარგლებში ოცნებაა, მოჩვენება? მაშ რას ებრძვის მოწინავე პროლეტარიატი? განა კუსტარულია თანამედროვე მონოპოლისტური ინდუსტრია? რობინზონის კუნძულზე ხომ არ იმყოფება ჩემი ფანტასტიური კალმოსანი. მისი „პოზიცია“ აშკარა ოპორტუნისტულია ამ საკითხშიაც: ის ანიარალებს მკითხველს მონოპოლისტური კაპიტალიზმის საშიშროების წინაშე, ველარ აფასებს (не доценивает) იმპერიალიზმის სტადიას კაპიტალიზმის განვითარებაში.

---

[1]) ibidem, 30—VI, 1929. ანალოგიური აზრები გამოსთქვა ამბ. ბუხარინმა ხუთი წლის წინეთაც. იხ. Н. Бухарин. Империализм и накопление капитала, გვ. 83, 84 და განსაკუთრებით—გვ. 131.

[2]) ჩემს წერილებში ხშირათაა ეს თერმინი ნახმარი. ჩემი ორიგინალობა ნუ ჰგონია პროფესორს. ამ თერმინს ხმარობს ლენინი (Империализм etc.). ეს თერმინი იხმარა ფრ. ენგელსმა (Анти-Дюринг, გვ. 253). ხოლო ყველაზე ადრე ანალოგიურ თერმინს ვხვდებით „კაპიტალში“. აქ მარქსი ხმარობს თერმინს: კოლექტიური მუშა (Капитал, ტ. I, გვ. 241, 263 etc. აგრეთვე: ტ. III, ნაწ. I, გვ. 46, 48 etc.) კოლექტიური კაპიტალისტი (Капитал, ტ. II, გვ. 287, 314 etc.). ასეთია ამ თერმინის გენეალოგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარკვევ განვითარებულ კაპიტალისტურ მონოპოლიას წარმოებაში ნაგანი ორგანიზაციის თვალსაზრისით და ეხმარობ თერმინს: „მწყობრი ორგანიზაციული წესი". ჩემმა „მეცნიერმა" აქ ყური მოჰკრა სიტყვა „ორგანიზაციას" და გულამოსკვნით დაიღრიალა: გრ. მუშიშვილი ორგანიზაციულად მოწესრიგებულ კაპიტალიზმის ბუხარინულ თეორიას იცავსო. როგორც ხედავთ, სიტყვა „ორგანიზაცია" „შიშის ჟრუანტელს გვრის" ჩემს—სხვა შემთხვევაში ძალზე გამბედავ—პროფესორს, ეს მას ბუხარინულ თეორიას აგონებს. Слышит звон, да не знает откуда он.

კ. მარქსი კაპიტალისტურ წარმოებას უწოდებს „წარმოებას, ორგანიზაციულად მოწესრიგებულს ფართო მაშტაბით"[1]). დააკვირდით: „ორგანიზაციულად მოწესრიგებული ფართო მაშტაბით". მარქსი ხმარობს ამ თერმინს, მაგრამ განა „ორგანიზაციულად მოწესრიგებულ კაპიტალიზმის" თეორიის თვალსაზრისით? აშკარაა, სრულებითაც არა. ჩვენ უკვე ვიცით მარქსის აზრი კაპიტალისტური წარმოების ანარქიაზე, მეურნეობის დეზორგანიზაციულ სისტემაზე. ამ თერმინს ხმარობს მარქსი თვით წარმოების პროცესის თვალსაზრისით. ხარი და ხარაბუზა ერთი და იგივე არ არის, მიუხედავათ იმისა, რომ ეს სიტყვები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. თერმინი, რომელსაც მარქსი ხმარობს და მე ვიყენებ, სავსებით არ ეხება ორგანიზაციულად მოწესრიგებულ კაპიტალიზმის თეორიას.

ასეთია „ცრუ-მარქსისტის", „მემარჯვენე ოპორტუნისტი"... კ. მარქსის ენა. ამავე ენაზე ლაპარაკობს მეორე „ცრუ-მარქსისტი" ენგელსიც. „წარმოების ორგანიზაცია"—ასეთია მისი თერმინი[2]). ენგელსი უფრო „გვაოცებს": წარმოიდგინეთ, თვით „კონკურენციას... შეაქვს საზოგადოებრივ წარმოებაში ერთად ერთი, არსებულ პირობებში შესაძლებელი ორგანიზაცია და წეს-რიგი"[3]). ვუსვამ ხაზს—ორგანიზაცია და წეს-რიგი! მაგრამ განა ამ სიტყვებს რამე აქვს საერთო ბუხარინულ თეორიასთან? ცხადია, არავითარი. მაშასადამე, საქმე ასოებში კი არაა, აზრშია, შინაარსში. აზრი კი ასოების იქით იმალება ყოველთვის.

ჩემს საარაკო მოკამათეს ჰგონია, მონოპოლისტური კაპიტალიზმი „კაპიტალიზმის განვითარების უახლესი ეტაპი", „უახლესი ფაზა" არის წინაკაპიტალისტური გლეხური მეურნეობა, მარქსის ენაზე—„გლეხურ ოჯახის პატრიარქალური მრეწველობა"[4]) სადაც გაბატონებულია „წარმოების წინაქრისტიანული წესი"[5]) და ჰქრის „პატრიარქალობის სიო"[6]). თანამედროვე კაპიტალიზმის

[1]) Капитал, ტ. III, ნაწ. I, გვ. 68. აგრეთვე: ტ. I. გვ. 499. შეადარეთ: Нищета философии გვ. 128.

[2]) Ф. Энгельс. Анти-Дюринг. გვ. 248—251. აქ ლაპარაკია „წარმოების ორგანიზაციაზე" მოცემულ საწარმოო ერთეულში და „წარმოების ანარქიაზე" მთელ კაპიტალისტურ სახოგადოებაში. აი ესაა ურყევი დებულება, რომელსაც ვემყარები.

[3]) ფ. ენგელსის წინასიტყვა „ფილოსოფიის სიღატაკე"-ში.

[4]) Капитал ტ. I. გვ. 37.

[5]) ibid. გვ. 176.

[6]) ibid. გვ. 178.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი „ღრმა-მარქსისტული“ გაგება და „ანალიზი“ დოლიძისა—დამილოცნია.

ამის შემდეგ რა ფასი აქვს ჩემი მღელვარე ოპონენტის მტკიცებას:

> გრ. მუშიშვილი იარაღდება მემარჯვენეების (იგულისხმეთ—მარქს-ენგელსი-ლენინი! გ. მ.) „ძძიმე არტილერიით“ და გაიძახის, რომ კაპიტალიზმი იმყოფება მოწესრიგებულ პერიოდში, რომ ირაციონალური კაპიტალიზმი (უფ, უფ! გ. მ.) ღებულობს რაციონალურ (უფ!) სახეს.

ზორს ვუველი ამ უაზრობას—ახლოს ვინ მიეკარება მას. ვიმეორებ დებულებას: „წარმოების ორგანიზაცია“ (მარქსი, ენგელსი) და ისიც „შედარებით“ ძველი „წარმოების ანარქიულ სისტემასთან“ იქ, სადაც „ბატონობს მონოპოლისტური კავშირი“ (ლენინი), წარმოების დეზორგანიზაცია და სრული ანარქია კაპიტალისტურ საზოგადოებაში მთლიანად. მონოპოლიის „ზევით და მის გვერდით“ [1]) გამეფებულია უფრო მწარე ანარქია და კონკურენცია, რომელზედაც დაბეჯითებით ვწერ წერილებში და ზევითაც ვილაპარაკე ხმა-მაღლა. ეს ანარქია, კონკურენცია, წარმოების დეზორგანიზაცია, უგეგმობა გ ა მ ე ფ ე ბ უ ლ ი ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ურ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა შ ი, ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო შ ი, მ ს ო ფ ლ ი ო შ ი. ამიტომაც არის ყოვლად უნიადაგო რ. ჰილფერდინგის დებულება, ვითომც კაპიტალისტური საზოგადოება წარმოების გეგმიან და ორგანიზაციულ წესს ეყრდნობა და ეს წესი გამეფებულია მთელი „ბურჟუაზიული კაცობრიობის“ მაშტაბით. აი რაშია ამხ. ბუხარინის ოპორტუნისტული შეცდომაც. მემარჯვენე ოპორტუნიზმს არ სწამს ლენინური დებულება: თავისუფალი კონკურენცია „მოიხსნა“ მონოპოლიის „წიაღში“, მაგრამ ეს კონკურენცია უფრო მეტი სიძლიერით მოქმედობს ამ მონოპოლიის „ზევით“, მის „გვერდით“, მასთან ერთად. ასეთია თანამედროვე ოპორტუნიზმის თეორიული ფესვი, მისი ბაზა, საფუძველი.

ვგრძნობ, ჩემი მკითხველი გაოცებულია. ნუ თუ შეიძლება „მოწინააღმდეგის“ აზრის ასე მწარეთ, ასე ბარბაროსულათ დამახინჯება? განა ქონდა ამხ. დოლიძეს მტკიცების უფლება: „უარყოფს ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ანტაგონიზმს ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ქიშპობას და ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ კონკურენციას მონოპოლისტური კაპიტალიზმის დროს“, ან და „ამხ. გ. მ უ შ ი შ ვ ი ლ ი დ ი ა მ ე ტ რ ა ლ უ რ ა დ ს უ ლ სხვა შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ი ს ა ა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ზ ე“ (დიამეტრალური შეხედულება რაღა უბედურებაა? მაგრამ ლენინის არ იყოს, спорить о словах, конечно, не умно) და კიდეც მრავალი მსგავსი მარგალიტი. ცხადია ამის მორალური და „მატერიალური უფლება“ როდი ქონდა მას. სინიდისის ნატამალი მაინც შერჩენია მას, როცა ამბობს:

> თ ქ ვ ი ა მ ი ს ა, რ ო მ გ რ. მ უ შ ი შ ვ ი ლ ი უ ა რ ყ ო ფ ს კ ო ნ კ ურ ე ნ ც ი ი ს ს ი ძ ლ ი ე რ ე ს მ ო ნ ო პ ო ლ ი ს ტ ურ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს დ რ ო ს (მოუსმინეთ, მოუსმინეთ! გ. მ.)... ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა.

მაშ რათ ამბობდა ჩემი მოკამათე სწორეთ ამას? რათ დასჭირდა მას ამდენი ჭ ო რ ი, ც ი ლ ი ს წ ა მ ე ბ ა, მ კ ი თ ხ ვ ე ლ ი ს მ ო ტ ყ უ ე ბ ა? რათ ურტყამდა

[1]) ლენინი: Над нею и рядом с ней (ტ. XIII, გვ. 305); ენგელსი: На ряду с ней и над ней (Анти-Дюринг, გვ. 251).

ამხ. დოლიძე მუშტებს დოლზე და под боем барабана აყენებდა ქვეყანას: კორიანტელს, აყრუებდა ქვეყანას, არწმუნებდა ყველას: გრ. მუშიშვილი „ბოლშევიკურ-ბურჟუაზიულ ბლოკში“ „ბურჟუაზიულ-ბოლშევიკურ“ ბლოკში, ანუ

ყველას ნიერ საკნაოდ შეთვისებულ ლენინის დებულებების გაგებულებად ცხადია, არა, თუმცა არ ვიტყვი, ეს გარემოება უსარგებლო იყოს ჩემი ყოველად გულმოდგინე მოკამათისათვის.

პირდაპირ გაკვირვებული ვარ და ეს გაკვირვება ყოველგვარ საზღვარს სცილდება, როცა ვხედავ ადამიანს, რომელიც სხვისი აზრის არ გაგების, მისი დამახინჯების წარმოუდგენელ სურვილს, უკიდურეს ტენდენციურობას იჩენს. აქ ტენდენციურობა უმაღლეს წერტილს აღწევს. არ ვამბობ, ამ ტენდენციურობას მარტო წინასწარი განზრახვა ედოს საარჩულად. არ ვამბობ რადგან ეს ტენდენციურობა მარტო ასეთი „ბოროტი განზრახვით" როდი შეიძლება აიხსნას. ძალიან ხშირად ამ ტენდენციურობის, დამახინჯებისადმი მიდრეკილების „გარანტიაა" საკითხის უცოდინარობა. ასეთ შემთხვევაში კრიტიკოსი ვერ ერკვევა განსახილველ საკითხებში, დაკარგული აქვს სახელმძღვანელო ძაფი და პრობლემის სირთულის ლაბირინტში დახეტიალობს. რომელ პირობასთან მაქვს საქმე, პირველთან თუ მეორესთან, საქმისათვის ეს სულ ერთია. აქ „არჩევანი" ზედმეტია: ჩემი აზრით, ჭეშმარიტება ორივეს დიალექტიურ სინთეზს შეიცავს. აქ „ბოროტი განზრახვაცაა" და უვიცობაც.

ასე რომ არ იყოს, როგორ შეეძლო ჩემს ცხარე მოკამათეს ჩემი წერილიდან ასეთი დასკვნა გამოეყვანა: „მონოპოლიების ბანკებიდან წარმოშობა", ეს შემთხვევით ამოღებული ფრაზა როდია—მთელი სათაურია. მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, რომ ამ სათაურს ქვეშ სულ რამოდენიმე სტრიქონია, და ისიც ნახევარზე მეტი—ჩემი სამუშაო ძალის ექსპლოატაციაა. ჩემი ციტატებითაა „გაჭედილი". 30 გვერდის სიგრძიდან მას მხოლოდ ორი პაწია ციტატა მოყავს და „მანიავებს" კიდეც... საღამოს გრილი ნიავით. აი ეს ადგილები:

> შეიძლება ითქვას (ჩემი კალმოსანი თავის ყაიდაზე მთარგმნის: „ითქვას რომ გ. მ.), საბანკო კაპიტალი თითქმის გადამჭრელ როლს თამაშობს კაპიტალისტურ მონოპოლიების წარმოშობასა და განვითარებაში კაპიტალიზმის მონოპოლისტურ საფეხურზე საბანკო კაპიტალის დანიშნულება სრულებით ახალ სახეს ღებულობს. საბანკო კაპიტალმა გადაუხვია თავის პირდაპირ, უშუალო მოვალეობას და კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაში სავსებით ახალი როლი მიითვისა.

მეორე:

> ბანკები მონოპოლისტურ გაერთიანებათა ინიციატორათ და—თუ შეიძლება ასე ითქვას—მესაპეთ გვეელინება.

საკითხის ადვილად გაგებისათვის აღვნიშნავ, რომ პირველ ამონაწერს „წაწყვეტილი" აქვს თავი. აი ესეც: მონოპოლიზაციის დროს, ვსწერ მე,—„უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე გარეგანი ფაქტორი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მონოპოლისტურ კაპიტალიზმის განვითარების საქმეში. ეს არის საბანკო კაპიტალი".

ვინც ოდნავ მაინც იცნობს საბანკო კაპიტალის „ახალი როლის" ლენინურ თეორიას, აქვე მოსჭრის საკითხს, შემაჩერებს და იტყვის: აქ სადაო რაა, ეს ხომ უდაო დებულებაა! მაგრამ ჩემს მხურვალე მოკამათეს

ვინლა შეაჩერებს. Чем дальше в лес, тем больше дров. რაც „ბირეულ“ ამხ. დოლიძე თეორიისაკენ, მით უფრო იხლართება ის. მას აუცილებლად, ყოველ პირობის გარეშე, bis auf Messer სჭირდება ჩემი „ცრუ მარქსისტობის“ დამტკიცება. თუ გინდ თვითონაც შეეწიროს ამ სახიფათო ბრძოლას.

ჩემი პირველი ციტატის ბოლოს მომყავს ლენინის მოკლე, ლაკონიური აზრი: „მონოპოლიები ბანკებიდან წარმოიშვა. მორცხვ საშუამავლო წამოწყებიდან ბანკები ფინანსიურ კაპიტალისტებათ გადაიქცა“ [1]) და ვასკვნი, ლენინის ეს დებულება „მონოპოლიები ბანკებიდან წარმოიშვა“—შეუძლებელია გავიგოთ ბანკების ახალი როლის გათვალისწინების გარეშე მეთქი.

ახლა მოვუსმინოთ, როგორ ოქროპირობს ჩემი კრიტიკოსი ყველა ზემოთ მოყვანილ დებულებების დასახელების შემდეგ:

> ყოველად შეუძლებლად მიგვაჩნია დავეთანხმოთ გრ. მუშიშვილს კითხვის ამგვარათ დაყენებაში. არავის მარქსისტულ ლიტერატურაში ჯერ-ჯერობით არ განუხრახავს იმის მტკიცება, რომ მონოპოლიები „ბანკებიდან წარმოიშვა“, ანდა საბანკო კაპიტალი გადამწყვეტ როლს თამაშობს კაპიტალისტური მონოპოლიების განვითარებასა და წარმოშობაში.

მერე მიდის მტკიცება, „მარტო საბანკო კაპიტალი“ როდია „წარმომშობი მიზეზი“, ესე იგი იმის „მტკიცება“, რასაც მ ე ვ ა ს ა ბ უ თ ე ბ მ თ ე ლ წ ე რ ი ლ შ ი და რომელსაც ახლავე დავინახავთ. მოვიყვან ჯერ ჩემი განწირულ ოპონენტის „კომენტარიებს“, რასაკვირველია, სტილისა და „მართლწერის“ სრული დაცვით (საწყალი ქართული, როგორაა ჯვარზე გაკრული!!):

> გრ. მუშიშვილი ბუნდოვანებაში გადაეჩეხა, მიტომ რომ მან არასინდისიერად გაისარჯა ლენინის აზრის მოყვანის დროს, ლენინს არც ერთ თხზულებაში, არც ერთ სიტყვაში არ უთქვამს მოჭრით, რომ „მონოპოლიები ბანკებიდან წარმოიშვაო“. ლენინი მონოპოლიების წარმომშობ მიზეზათ სრულიად არ მიიჩნევდა მარტო საბანკო კაპიტალს.

ამის შემდეგ მოყვანილია ლენინის აზრი იმაზე, თუ რა პირობები უწყობს ხელს მონოპოლიების წარმოშობას, ბანკების გარდა.

რ ა შ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ს „ ბ ა ნ კ ე ბ ი ს ა ხ ა ლ ი რ ო ლ ი“? ა მ კ ი თ ხ ვ ა ზ ე ს დ უ მ ს ჩ ე მ ი მ ო კ ა მ ა თ ე. ის ვერ ხედავს ამ „ახალ როლს“. ამაში ყოვლად შ ე უ ძ ლ ებ ლ ა დ მ ი ა ჩ ნ ი ა დ ა მ ე თ ა ნ ხ მ ო ს. ასეთი მისი შეცდომა ლოლიკურად გამომდინარეობს წინა შეცდომიდან—მონოპოლისტური კაპიტალიზმის შინაბუნების არალენინურად გაგებიდან. ეს ერთი.

მეორე: აქვს თუ არა საბანკო კაპიტალს „უ დ ი დ ე ს ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა მ ო ნ ო პ ო ლ ი ს ტ უ რ ი კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ს ა ქ მ ე შ ი“? სხვანაირად: აქვს თუ არა საბანკო მონოპოლიას „თ ი თ ქ მ ი ს გ ა დ ა მ ჭ რ ე ლ ი“ მნიშვნელობა მონოპოლიზაციის პროცესში? ამაშიაც „ყოვლად შეუძლებლად მიაჩნია“ ჩემს ოპონენტს დამეთანხმოს. რატომ, ორივე ეს დებულება ხომ ლ ე ნ ი ნ ი ს ა ა და არა გრ. მუშიშვილის? განა არ იცის ჩემმა მოკამათემ, რომ მისი პოზიცია ფ ი ნ-ე ნ ო ტ ა ე ვ ს კ ი ს ა [2]) და მრავალ ბურჟუაზიულ ეკონომისტის

[1]) Ленин. ტ. XIII, გვ. 332.

[2]) იხ. მისი **Финансовый капитал и производительный. М. Изд. НКФ РСФСР.** ამ ავტორის ყალბ მოსაზრებებს ვარკვევ წერილში („მნათობი“ № 7).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოზიციაა ლენინის წინააღმდეგ „გამაგრებული“? ჩემი წერილის ასასრულ საკმაოთაა ფინ-ენოტაევსკის ყალბი შეხედულება გაშუქებული. ნუ თუ ეს მაინც არ წაიკითხა ამხ. დოლიძემ.

ჩვენ კი დავიმახსოვროთ: დოლიძე უშვებს მორიგ სერიოზულ შეცდომას, ის გვერდს უხვევს ბანკების „ახალ როლს“, მათი ახალი როლის მნიშვნელობას კაპიტალისტურ მონოპოლიების განვითარებისა და წარმოშობის საქმეში. ეს არის ლენინიზმის მახინჯი რევიზია, მისი „ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის“ უკუგდება („ერთ-ერთი“ ვსწერ და ბოლოსდაბოლოს ამ „ერთ-ერთიდან“ საკმაო რიცხვი გამოდის). ამხ. დოლიძე ბურჟუაზიულ ეკონომისტების პოზიციას „ამაგრებს“ თავისი აშკარა ბუნდოვანებით. თვითონ „ბუნდოვანებაში გადაეჩეხა“ და გადაჩეხილი ჰგონია ის, ვინც დარბის მშველელ კიბით და ბაწრით ოპორტუნიზმის „ორმოსაგან“ მის ამოსაყვანათ.

დავიმახსოვროთ დოლიძის ეს შეცდომაც.

საკითხი „მოჭრითაა“ დაყენებული: ჩემი ჭკუამახვილი მოკამათის აზრით, მე ვიცავ „მარქსისტულ ლიტერატურაში“ გაუგონარ—მართლაც გაუგონარ—დებულებას, ვითომც მონოპოლიები „მარტო საბანკო კაპიტალის“ შედეგია, „მარტო“ საბანკო კაპიტალიდან წარმოიშვა. მოკლეთ: „მონოპოლიების ბანკებიდან წარმოშობა“.

აბსურდი, უგუნურობა, უმეცრება, ლიტერატურული კრიმინალიზმი, მკითხველისა და ჟურნალის რედაქციის აბუჩათ აგდება, ამავე დროს საკუთარი კრიტიკული უნარის სრული სიღატაკე—აი რას ამტკიცებს ჩემი ოპონენტის ეს მორიგი სიყალბე. განა სადმე, ოდესმე ვსთქვი, კაპიტალისტური მონოპოლიები მხოლოდ ბანკებიდან წარმოიშვა, ანდა საბანკო კაპიტალია მთავარი, საწარმოო—მეორე ხარისხოვანი, როგორც ფიქრობს ხოლმე ბურჟუაზიული ეკონომისტების საკმაო ნაწილი?

ფაქტების ენაზე ვილაპარაკოთ. რამდენიმე ამონაწერი მხოლოდ. უკომენტარიოთ. ვსწერ:

> საწარმოო კაპიტალის ცენტრალიზაცია იწვევს საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაციას („მნათობი, № 7, გვ. 172. ხაზგასმა ძველია).
>
> კაპიტალისტური სამეურნეო გიგანტიური ტრესტი აუცილებლად აყენებს საბანკო ტრესტების ორგანიზაციის საჭიროებას. საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაციის პროცესიც ისევე ვითარდება და ღრმავდება, როგორც ვითარდება და ღრმავდება წარმოების ცენტრალიზაცია. ასეთია სამრეწველო და საბანკო კაპიტალს შორის არსებულ მიზეზობრივი დამოკიდებულება (გვ. 175).

რა არის ეს, განა ესაა ჩემი მოკამათის დებულების—„მონოპოლიების ბანკებიდან წარმოშობა“-ს დასაბუთება? ეს ხომ დიამეტრალურათ ეწინააღმდეგება დოლიძის მოსაზრებას? ეს ხომ სრული გაბითურებაა ჩემი მოკამათის აზრის, ვითომც მონოპოლიები მხოლოდ ბანკებიდან წარმოიშვა?! როგორც ხედავთ, პირიქით, აქ საბანკო მონოპოლია წარმოიშობა საწარმოო მონოპო-

ლიით, არ ვლაპარაკობ ჩემი მოკამათესათვით ცირკულიარულ ფანატიკურ დებულებებს არ ვაკანონებ დეკრეტულათ, ყოველივე ახალ აზრს ვასაბუთებ, ვარ-კვევ- და აი ჟურნალის მთელი 6-7 გვერდის მანძილზე ვასაბუთებ ზევით წამოყენებულ ლენინურ დებულებებს.

სამრეწველო მონოპოლიამ წამოაყენა საბანკო მონოპოლიის აუცილებლობა. მიზეზმა მოგვცა შედეგი. მაგრამ განვითარება აქ როდი გაიყინა! ახლა „შედეგი"—მოხოპოლისტური საბანკო კაპიტალი თავის მხრივ თვითონ ახდენს გავლენას სამრეწველო კაპიტალის მონოპოლიზაციაზე. ასეთია ეკონომიურ მოვლენათა დიალექტიური განვითარება. მეც ვაყენებ დებულებას:

> კაპიტალისტურ მეურნეობის ევოლიუციის განსაზღვრულ საფეხურზე მონოპოლისტურ გაერთიანებათა აღმოცენების საქმეში საბანკო კაპიტალიც მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება. წარმოების ცენტრალიზაციამ წარმოშვა საბანკო საქმის ცენტრალიზაცია. კაპიტალისტური სამრეწველო მონოპოლია უსათუოდ ჰგულისხმობს საბანკო კაპიტალის მონოპოლიას. მაგრამ ამავე დროს საბანკო კაპიტალის მონოპოლიაც გზას უკაფავს კაპიტალისტურ სამეურნეო მონოპოლიას. საბანკო საქმის ცენტრალიზაცია იწვევს თვით სამეურნეო ერთეულების ცენტრალიზაციასაც. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მოვლენის დიალექტიურ განვითარებასთან; მიზეზი და შედეგი იცვლიან როლებს, იცვლიან ადგილს. საბანკო კაპიტალის განვითარება შედეგია სამრეწველო კაპიტალის განვითარების. ახლა მდგომარეობა იცვლება—თვით მრეწველობის განვითარება აუცილებლად დამოკიდებულია საბანკო კაპიტალის განვითარებაზე. (გვ. 179).

ვაყენებ ამ დებულებას და იქვე ვამბობ: „დავასაბუთოთ ეს დებულება". შემდეგ მიდის ამ პროცესის განხილვა, ფაქტებით გაშუქება, დასაბუთება. „დეკრეტული", მკვახე განცხადებები არ გვხვდება აქ. საბანკო კაპიტალის მონოპოლიზაციის საფეხურზე იცვლება საბანკო კაპიტალის ძველი როლი, იცვლება მისი ძველი დანიშნულება. აი რაზეა ლაპარაკი.

რა არის აქ „ცრუ-მარქსისტული", რევიზიონისტული, „მარქსისტულ ლიტერატურაში ჯერჯეროობით" გაუგონარი?

ახლა ვნახოთ, სწორია თუ არა ჩემი დებულება: თანამედროვე საბანკო კაპიტალი მონოპოლიზაციის საერთო პროცესში „თითქმის გადამჭრელ როლს თამაშობს", შეიცვალა ბანკის ძველი დანიშნულება და ამ დანიშნულებამ მიიღო სხვა სახე, ახალი დანიშნულება. ლენინის ტერმინოლოგიით, გვაქვს თუ არა საბანკო კაპიტალის „ახალი როლი". მოკლეთ: როგორია საბანკო კაპიტალის როლი საწარმოო კაპიტალების ცენტრალიზაცია-კონცენტრაციის, მონოპოლიზაციის სფეროში.

დავიწყოთ მარქსით.

რა არის ბანკი? მარქსი უპასუხებს: „ბანკი წარმოადგენს ფულადი კაპიტალის ცენტრალიზაციას", „ის გვევლინება ფულადი კაპიტალის საერთო გამგებლად", ბანკი—„სამრეწველო კაპიტალისტების მოლარეა" [1]). ასე განმარტავს მარქსი საბანკო ორგანიზაციის ძველ როლს, მის პირვანდელ „ბუნებრივ" დანიშნულებას.

---

[1]) Капитал, ტ. III, ნაწ. I, გვ. 314.

ლენინი იმეორებს მარქსის სიტყვებს—ბანკი კაპიტალისტური ორგანიზაციაა—და ასკვნის, ეს იყო ძველათ, სამრეწველო კაპიტალიზმის აყვავების პერიოდში, ახლა კი საბანკო კაპიტალმა „ახალი როლი“ მიითვისაო. ბანკი იყო უბრალო საკრედიტო ინსტიტუტი, „შემნახველი სალარო“. ამ „როლს“ იქით არ სცილდებოდა მისი დანიშნულება. სულ სხვა მდგომარეობაა დღეს. საბანკო კაპიტალი მოგვევლინა მძლავრ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ძალათ, რომელიც „თითქმის გადამჭრელ როლს თამაშობს“ თანამედროვე კაპიტალისტურ მონოპოლიების განვითარების საქმეში.

მარქსის გენიალურმა შორსმჭვრეტელობამ გაითვალისწინა საბანკო კაპიტალის ახალი პერსპექტივა. მარქსი იკვლევს საკრედიტო საქმეს—თუმცა გაკვრით[1]) და გზა-და-გზა მეტად ძვირფას დებულებებს აყენებს. მარქსი სწერს ჯერ კიდევ უბრალო კრედიტზე: „კრედიტი ხელს უწყობს კაპიტალის კონცენტრაციას, აჩქარებს და აღრმავებს მას“[2]). „ჩვენ დავინახეთ ზევით, თუ როგორ ქმნის საკრედიტო საქმე ასოციაციურ კაპიტალს“[3]). კიდევ მეტი: საკრედიტო სისტემა შეადგენს „კაპიტალისტურ კერძო საწარმოთა კაპიტალისტურ აქციონერულ საზოგადოებათ თანდათანობრივი გარდაქცევის მთავარ საფუძველს“[4]). ამას ამტკიცებს მარქსი, როცა იკვლევს „საკრედიტო სისტემის განვითარებას... უმთავრესად სამრეწველო კაპიტალთან დამოკიდებულების თვალსაზრისით“[5]).

მაშასადამე, მარქსის აზრით, საკრედიტო სისტემის, სხვანაირად—საბანკო კაპიტალის „სამრეწველო კაპიტალთან დამოკიდებულებაში“ ჩვენ ვხედავთ გარკვეულ ეკონომიურ მოვლენას—საკრედიტო სისტემის „თითქმის გადამჭრელ როლს“ „ასოციაციურ კაპიტალის“, „კონცენტრაციის დაჩქარების და გაღრმავების“ თვალსაზრისით. ეს სისტემა შეადგენს კაპიტალის „აქციონერიზაციის“—„მთავარ საფუძველს“. მარქსი მეცნიერულათ ასაბუთებს საკრედიტო სისტემის ამ როლს.

მარქსი როდი სვამს აქ წერტილს. ის იკვლევს ბანკისა და მრეწველობის ურთიერთობის პრობლემას. მარქსის დასკვნებთან, თერმინებთან შედარებით ჩემი სიტყვები—„თითქმის გადამჭრელი როლი“, ისე გვეჩვენება, როგორც პროფესორი დოლიძე დოქტორ მარქსის წინაშე. ჩემმა „მაგარმა“ თერმინმა დალეწა ამხ. დოლიძის ნაზი ძარღვები. მარქსი კი თავისი ლითონისებური ხმით „სოველ ადგილსაც“ არ სტოვებს ჩემს ოპონენტისაგან. მარქსი ამბობს: „ბანკი და კრედიტი ერთ და იმავე დროს გვევლინება ერთ-ერთ ყველაზე უძლიერეს საშუალებათ, რომელსაც გამოყავს კაპიტალისტური წარმოება საკუთარ ფარგლებიდან და ხდება ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ კერათ კრიზისებისა და სპეკულია-

---

[1]) მარქსი შენიშნავს, კრედიტის დაწვრილებითი ანალიზი არ შედის ჩემს გეგმაშიო, იხ. Капитал, ტ. III, ნაწ. I, გვ. 312.

[2]) Капитал, ტ. II გვ. 160. აგრეთვე გვ. 226. ხაზი ჩემია.

[3]) ibid. გვ. 4.

[4]) Капитал, ტ. III, ნაწ. I, გვ. 343. ხაზი ჩემია.

[5]) ibid.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციის“ [1]). კიდევ მეტი; „საკრედიტო სის[illegible] რომელსაც აქვს [illegible]ტრალური პუნქტი ე. წ. ნაციონალურ ბანკებში... წარმოადგენს გიგანტიურ ცენტრალიზაციას და აძლევს პარაზიტების ამ კლასს (ბანკირებს, გ. მ.) ზღაპრულ ძალას არამცთუ პერიოდულად ანადგუროს სამრეწველო კაპიტალისტები, არამედ აგრეთვე ძალიან სახიფათო სახით ჩაერიოს ნამდვილ წარმოებაში“ [2]).

ლ. ჰილფერდინგმა სახელი გაითქვა იმ გარემოებით, რომ მან ყველაზე ადრე გამოიკვლია სამრეწველო და საბანკო კაპიტალის „შეხრდა“ ერთმანეთში. ამ ახალ ეკონომიურ მოვლენას, კაპიტალიზმის განვითარების ამ „ახალ ფაზას“ მან უწოდა ფინანსიური კაპიტალი. ძალიან მიკვირს, რათ ავიწყდებათ ეკონომისტებს ის გენიალური მოსაზრებები, რომლებიც მარქსმა გარკვევით გამოსთქვა და ამით მთელი თანამედროვე მონოპოლისტური კაპიტალიზმი საკმაო სიცხადით მოხაზა. მარქსი ამ ამონაწერებში ხომ მთელი ნახევარი საუკუნით ადრე ლაპარაკობს საბანკო კაპიტალის „ახალ როლზე“, მის „გიგანტიურ ცენტრალიზაციაზე“, „ზღაპრულ ძალაზე“, „უძლიერეს საშუალებაზე“, მოკლეთ — ლაპარაკობს ვითომდა დღევანდელ მონოპოლისტურ ბანკზე, რომელსაც არ უჭირს „პერიოდულათ ანადგუროს სამრეწველო კაპიტალისტები“, კიდევ მეტი, „ძალიან სახიფათო სახით ჩაერიოს ნამდვილ წარმოებაში“. ასეთი ბანკი ხომ არ არის ძველი ბანკი, „სამრეწველო კაპიტალისტების მოლარე“. პირიქით. ის „პერიოდულად ანადგურებს“ მათ.

დასასრულ, მარქსი გვაძლევს ჩვენთვის საინტერესო საკითხის დაკუმშულ ფორმულას:

> ...კაპიტალისტური წარმოების გაფართოებასთან დაკავშირებით ფართოვდება თითოეული იმდენიდენალური წარმოება, ხოლო ამასთან ერთად იზრდება აგრეთვე დასაბანდ კაპიტალის მინიმალური რაოდენობა. ამიტომ ეს გარემოება ემატება სხვა გარემოებათა რიგს, რომელთა მიხედვით სამრეწველო კაპიტალისტის ფუნქცია უფრო და უფრო ხდება მსხვილი, კერძო თუ ასოციაციურათ შეკავშირებულ ფულად კაპიტალისტების მონოპოლიათ... [3])

ამიტომ არაფერია გასაკვირი იმ უბრალო ეკონომიურ მოვლენაში, რომელიც ჰგულისხმობს საბანკო კაპიტალის არა მარტო „თითქმის გადამწყვეტ როლს“ წარმოების ცენტრალიზაცია-მონოპოლიზაციის სფეროში, არამედ ჰგულისხმობს უფრო მეტსაც: ბანკი, კრედიტი:

> Становится новым и страшным орудием в конкурентной борбе и в конце концов превращается в колосальный социальный механизм для централизации капиталов [4]).

საშინელი იარაღი, ცენტრალიზაციის კოლოსალური სოციალური მექანიზმი—ასე ახასიათებს მარქსი ჯერ კიდევ სამრეწველო კაპიტალიზმის პერიოდის ბანკსა და მის დანიშნულებას. ვფიქრობ, განმარტება ამ შემთხვევაში მაინც უადგილოა.

---

[1]) Капитал, ტ. I, გვ. 498.
[2]) ibid. გვ. 118. ხაზი ჩემია.
[3]) idid. გვ. 68. ხაზი ჩემია.
[4]) Капитал, ტ. II, გვ. 62, ხაზი ჩემია.

როგორია ლენინის შეხედულება? ლენინი ასაბუთებს საბანკო კაპიტალის „ახალ როლს“ კაპიტალიზმის იმპერიალისტურ საფეხურზე. ლენინის აზრი მარქსის დებულებათა უშუალო განვითარებაა. ლენინი ასე განმარტავს თანამედროვე ბანკის ახალ როლს:

> По мере развития банкового дела и концентрации его в немногих учреждениях, банки превращаются из скромной роли посредников во властных монополистов, распоряжающихся почти всем денежным капиталом всей совокупности капиталистов и мелких хозяев, а также большею частью средств производства и источников сырья в данной стране и в целом ряде стран [1]).

შემიძლია მთელი გვერდები გადმოვიწერო ლენინიდან ამ თემაზე. წერილებშიაც ბლომათ მაქვს ლენინის ციტატები გამოყენებული. ამიტომ ვკმაყოფილდები მხოლოდ აქ ამონაწერით.

ამ რიგად, მარქსმა გენიალურათ გაითვალისწინა კრედიტის, საკრედიტო ორგანიზაციის—კაპიტალისტური ბანკის „ახალი როლი“ კაპიტალიზმის განვითარების მსვლელობაში. სანამ მიაღწია ამ როლმა—ვხედავთ ლენინის ციტატაში. ლენინი ლოღიკურათ ანვითარებს მარქსის დებულებებს. არა მარტო შინაგანი ლოღიკა, აქ თერმინებიც კი გვხვდება ერთნაირი; скромная роль посредников—ეს ძველი როლი საბანკო კაპიტალის, ლენინის თქმით: скромный пособник накопления— მარქსის ენაზე. და აი ეს скромность გადადის თავის წინააღმდეგობაში. ლენინის აზრით, საბანკო კაპიტალი „იქცევა ძლევამოსილ მონოპოლისტად“, რომელიც განაგებს არა მარტო მთელ ფულად საშუალებებს, აგრეთვე „საწარმოო საშუალებათა და ნედლეულის წყაროების დიდ ნაწილს მოცემულ ქვეყანასა და მთელ რიგ ქვეყნებში“. ლენინი ქვევით აღიშნავს იმ კავშირს, რომელიც ასეთ მონოპოლისტურ ბანკსა და სამრეწველო მონოპოლიებს შორის არსებობს, აგრეთვე იმ „ოლიგარხიას“, რომელიც სუფევს აქ. აიღეთ თუ გნებავთ „პერსონალური უნია“, ანდა „პირადი უნია“, როგორც ამბობს ლენინი. ყველგან ვხედავთ საბანკო კაპიტალის „ახალ როლს“, მის თითქმის გადამწყვეტ მნიშვნელობას კაპიტალისტურ მონოპოლიების განვითარებაში.

მარქსი ჯერ კიდევ უბრალო კრედიტზე ამბობს, ის „იქცევა კაპიტალის ცენტრალიზაციის კოლოსალურ სოციალურ მექანიზმათო“. აქ აშკარათ სჩანს ბანკების „ახალი როლი“, როგორც კაკალი ხელის გულზე. მართალია, მარქსი არ ლაპარაკობს მონოპოლისტურ საბანკო კაპიტალზე. მთელი ნახევარი საუკუნით ადრე შეუძლებელი იყო ამის თქმა. მაშინ კაპიტალიზმის განვითარების შედარებით დაბალი დონე არ იძლეოდა ამის საშუალებას. მაგრამ გენიალურათ კი გაითვალისწინა მარქსმა კაპიტალიზმის განვითარების ტენდენცია, კერძოთ—საბანკო კაპიტალის როლი, როგორც, ცენტრალიზაციის კოლოსალური სოციალური მექანიზმი“.

მაშასადამე, როგორც მარქსის, ისე ლენინის აზრი აშკარაა და გარკვეული ჩვენთვის. ჩემი ყოვლად შეუწყნარებელი კრიტიკოსი გამოდის და უკბილო

[1]) Ленин, op. cit. გვ. 258.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაბერივით მეჩურჩულება: არავის მარქსისტულ ლიტერატურაში ... ბით არ განუზრახავს იმის მტკიცება, რომ საბანკო კაპიტალი თითქმის გადამწყვეტ როლს თამაშობს კაპიტალისტური მონოპოლიების წარმოშობასა და განვითარებაშიო. დიახ, არავის განუზრახავს, გარდა... მარქსისა და ლენინის!

მაგრამ როგორ სდგას ურთიერთ ზეგავლენის საკითხი? ვამტკიცებ, რომ საბანკო და სამრეწველო კაპიტალი მუდმივ ურთიერთ ზეგავლენას განიცდის: ერთის ზრდა მოასწავებს მეორის ზრდას, და პირიქით. ვწერდი: „კაპიტალისტური სამრეწველო მონოპოლია უსათუოდ ჰგულისხმობს საბანკო კაპიტალის მონოპოლიას. მაგრამ ამავე დროს საბანკო კაპიტალის მონოპოლიაც გზას უკაფავს კაპიტალისტურ სამეურნეო მონოპოლიას". ამ დიალექტიურ დებულებას ვასაბუთებ წერილებში. ხომ არ ვიმყოფები „სინამდვილესთან რაღაც კონფლიქტში"? ინებეთ. მარქსი სწერს: „აქ ადგილი აქვს ურთიერთ ზეგავლენას. წარმოების პროცესის განვითარება აფართოებს კრედიტს (წაიკითხეთ—საბანკო კაპიტალი. გ. მ.), ხოლო კრედიტს მივყევართ სამრეწველო და სავაჭრო ოპერაციების გაფართოებისაკენ" [1]).

ასე სწერს „ცრუ-მარქსისტი" კ. მარქსი.

აქ ჩვენს წინაშე მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა იჭრება. საბანკო კაპიტალის გავლენა სამრეწველო კაპიტალის ცენტრალიზაციაზე, მის განვითარებაზე—ერთის მხრივ და—საბანკო და სამრეწველო კაპიტალის ურთიერთი ზეგავლენა—მეორე მხრივ ხომ არ მოასწავებს ეს ერთი მოვლენის ორი მხარე თვით სამრეწველო კაპიტალის გადამჭრელი როლის მიფუჩეჩებას კაპიტალისტურ მეურნეობაში? ასეთი „მიფუჩეჩების" აშკარა ცდა და ფარული ტენდენცია არის ეკონომიურ აზროვნებაში. მარქსი მრავალ ადგილას ეხება ამ საკითხს და გამოსთქვამს მტკიცე შეხედულებას... მარქსი ამტკიცებს:

> სამრეწველო კაპიტალი არის კაპიტალის არსებობის ერთად ერთი სახე.. სამრეწველო კაპიტალით განისაზღვრება წარმოების კაპიტალისტური ხასიათი.. კაპიტალის დანარჩენ სახეს... უჭირავს არა მარტო დაქვემდებარებული ადგილი სამრეწველო კაპიტალის მიმართ და განიცდის მასთან შეფარდებულ ცვლილებას თავის ფუნქციათა მექანიზმში, კიდევ მეტი. ვითარდება მხოლოდ სამრეწველო კაპიტალის საფუძველზე, მაშასადამე, სცოცხლობს და კვდება, სდგას და ეცემა ამ საფუძველთან ერთად... [2]).

დასკვნა ერთია: სამრეწველო კაპიტალი „საფუძველია", კაპიტალის დანარჩენი სახე: საბანკო, სავაჭრო etc.—„ზედნაშენი". ვიკითხოთ: ვიმყოფები თუ არა ამ საკითხში მარქსიზმთან „რაღაც კონფლიქტში"? პირიქით, გადაჭრით ვიცავ წერილებში მარქსის ამ დებულებას, არ ვეთანხმები მრავალ ეკონომისტს მათ ყალბ თვალსაზრისში, ვარკვევ საბანკო და სამრეწველო კაპიტალის მონოპოლიზაციის პროცესს და ვსწერ თეთრზე შავათ „რაღაც კონფლიქტში". დაბრმავებულთა დასანახავადაც კი:

> აქ ერთი სოციალური (უმჯობესია—ეკონომიური) მოვლენა იწვევს მეორე მოვლენის განვითარებას, და პირიქით. ცხადია, პირველი „ფაქტორი" და საფუძველი უსათუოდ სამრეწველო ცენტრალიზაციაა, კაპიტალისტური მონოპოლიების განვითარება, მაგრამ ზედნაშენი, რაკი წარმოიშვა, ახდენს უკუფენითი რეა-

[1]) Капитал, ტ. II, გვ. 16.

[2]) ibid, გვ. 22. აგრეთვე გვ. 42, 183.

ლურ გავლენას სამეურნეო მონოპოლიზაციის შემდგომ [illegible] „ზედნაშენი“ არის ბანკი და მისი აპალი“ დანიშნულება [illegible] 181. ხაზი ძველია).

მაშასადამე, ჩემი დებულება აბსოლუტურად ემყარება მარქსის დებულებას. ვამბობდი და ვიმეორებ: სამრეწველო მონოპოლია „საფუძველია“, ხოლო საბანკო—„ზედნაშენი“. მოიკრიფოს დრაკონული გამბედაობა ჩემმა მოკამათემ და დაამტკიცოს წინააღმდეგი, ანდა დაამტკიცოს, რომ ჩემი ნაწერი ჩემი არ არის! ლერმონტოვს ჩვენს პროფესორზე ხომ არ უთქვამს პესიმისტურად:

Скажи, мне, ветка полестины,
Где ты росла, где ты цвела?

ვერც ერთი „ნომერი“ ვერ გაუვიდა ამხ. დოლიძეს. საით გაიქცა, იქით წაიქცა. შემწვარ ყინულს პირდება მკითხველს, ვერ ასრულებს ამ დაპირებას.

ფაქტი კი უდაოა: თანამედროვე საბანკო კაპიტალის „ახალი როლის“ საკითხში ჩემი მოკამათე პროფესორი დოლიძე სდგას აშკარა არალენინურ, არამარქსისტულ შეხედულების ნიადაგზე. მას წარმოდგენაც არა აქვს საბანკო კაპიტალზე, მის განვითარების პროცესზე, საბანკო და სამრეწველო მონოპოლიის ბუნებაზე. ამ საკითხშიაც ჩვენი პროფესორი ლენინის შეუგნებელი რევიზიონისტია. მე თუ „შეგნებული“ რევიზიონისტი ვარ, „შეგნებული“ ბუხარინელი (ეს კი, ალბათ, არც დოლიძეს სჯერა ნამდვილად), ჩემი პირქუში ოპონენტი ლენინის შეუგუებელი რევიზიონისტია.

რათ მოუვიდა ეს ამხ. დოლიძეს? ამის მიზეზი ამ შემთხვევაშიც „ობიექტიურია“: თეორიული მოუმზადებლობა და—გამბედაობა, რომელიც პირდაპირ პროპორციულია ამ მოუმზადებლობა-უვიცობის.

* *

დავასრულე.

რა? წამოიძახებს გაკვირვებული მკითხველი. სად არის ყინულზე დაჯღაბნილი დაპირება, რომლითაც გულზე მუშტის ცემით, იმუქრებოდა ჩვენი შეუბრალებელი კრიტიკოსი. მართლაც სად არის ეს დაპირება: გ. მუშიშვილი... განგებ სდუმს მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტულ შეხედულებებზე მონოპოლისტური კაპიტალიზმის გაგების საკითხში“ და „ამის... მიზეზს ქვევით დავინახავთ“-ო.

ვიმეორებ, სად არის ეს დაპირება, სად „დავინახეთ“ „სიჩუმის მიზეზი“? არსად: არც ქვევით, არც ზევით, არც წინ, არც უკან, ჩემო მკითხველო. ეს დოლიძის უხეში პროვოკაციაა ქვენა გრძნობებით ნაკარნახევი. ეს ქინძისთავის ჩქმეტის პოლიტიკაა და მეტი არაფერი.

„მუშაობის“ ამგვარი მეთოდით შეუძლებელია მეცნიერების მწვერვალზე ასვლა. „მეცნიერებისკენ არ მივყეევართ ფართო სამხედრო გზას სწერდა მარქსი,—და მხოლოდ იმას შეუძლია მიაღწიოს მის ნათელ მწვერვალს, ვისაც არ ეშინია შრომის და მიფორთხავს ამ მწვერვალისკენ მომავალ კლდოვან ბილიკზე“.

თვითეულ ჩვენთაგანს უნდა ახსოვდეს მარქსის ეს გენიალური სიტყვები...

ილ. ფანცხავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარქსისტული სამართლებრივი აზროვნების განვითარება

თანამედროვე საზოგადოებრივ პირობებში, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ინდივიდუალისტური იდეოლოგიისა, პირველ ადგილს იჭერს მუშათა კლასის მსოფლმხედველობა— მეცნიერული სოციალიზმი. მეცნიერული სოციალიზმი განვითარდა კაპიტალისტური წესწყობილების კრიზისის ნიადაგზე და ბურჟუაზიული იდეოლოგიის ღრმა კრიტიკის საფუძველზე. ამიტომ მის შემადგენლობაში თითქოს სხვადასხვაგვარი ელემენტები შედიან: გერმანული იდეალისტური ფილოსოფია, საფრანგეთის სოციალური ისტორია და ინგლისის ნაციონალური ეკონომიკა. მეცნიერული სოციალიზმი კაცობრიობას თავიდანვე მოევლინა როგორც დასრულებული მსოფლმხედველობა. მარქსმა თავისი კონცეპციის Credo მოგვცა „Zur kritic der Politichen Ökonomie"-ს შესანიშნავ წინასიტყვაობაში „ადამიანთა არა შემეცნება განსაზღვრავს მათი ყოფნის ფორმებს, არამედ, პირიქით, საზოგადოებრივი ყოფნა განსაზღვრავს მათი შემეცნების ფორმებს.

„თავისი საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრაში ადამიანები ერთმანეთთან იჭერენ გარკვეულ და აუცილებელ, მათი ნებისყოფისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას, საწარმოო ურთიერთობას, რომელიც შეეფერება მატერიალურ საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ სიფეხურს. ამ საწარმოო ურთიერთობათა ჯამი შეადგენს საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას, რეალურ საფუძველს, რომელზედაც შენდება სამართლებრივი და პოლიტიკური ცხოვრება და რომელსაც შეეფერება საზოგადოებრივი შემეცნების განსაზღვრული ფორმაც" (გვ. X). მარქსი გამოეყო ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიის მემარცხენე ჯგუფს. საჭირო შეიქნა ძირითადი გარდატეხა ჰეგელის ფილოსოფიისა, რომელიც მარქსმა მოახდინა, იმისათვის, რომ ჰეგელის ფილოსოფია გადაქცეულიყო მატერიალისტურ დიალექტიკად, რომელიც ამასთან ერთად წარმოადგენს ჰეგელის ფილოსოფიის ჯანსაღი ფუძის ყველაზე უფრო ბუნებრივ და ლოღიკურ განვითარებას და რაც საესებით გამოსახავს ჰეგელის დიალექტიკის რევოლიუციონურ როლს.

სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ მარქსი ამბობს: „...სამართლებრივი ურთიერთობა, თანაბრად სახელმწიფოს ფორმებისა, არ შეიძლება გავიგოთ თავისთავად არც ე. წ. ადამიანის სულის საზოგადოებრივი განვითარებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი, უფრო ჩქარა, იმარხება არსებობის მატერიალურ პირობებში, ადამიანთა შეჯამებასაც ჰეგელი, მე-XVIII საუკუნის ფრანგებისა და ინგლისელების მსგავსად, „სამოქალაქო საზოგადოებას“ უწოდებდა; ხოლო ამ საზოგადოების ანატომია პოლიტიკურ ეკონომიაში უნდა ვეძიოთ“ (გვ. X). მაშასადამე, მატერიალისტური თვალსაზრისით საზოგადოებრივი განვითარების პირობები განისაზღვრება არსებობის ნივთებრივი პირობებით და საწარმოო ძალთა განვითარებით. საწარმოო ძალთა ისტორიული განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე აუცილებელი ხდება გვაროვნული ყოფა-ცხოვრების დამსხვრევა, რომლის ნანგრევებზედაც წარმოიშვება პოლიტიკური საზოგადოება სოციალური დიფერენციაციით, კლასიური ანტაგონიზმით, კერძო საკუთრების ინსტიტუტებით და სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების ატრიბუტებით. ამ დღიდან „კაცობრიობის ისტორია წარმოადგენს კლასთა ბრძოლის ისტორიას“. თვით სახელმწიფო, პოლიტიკური ხელისუფლება, სამართალი შექმნილია კლასიური ბრძოლის პირობებში და ყოველთვის არსებობს კლასიურ ინტერესებთან შეკავშირებით, ვინაიდან საზოგადოებრივობა არ არის სოციალური ნეტარებისა და გარანტიის განხორციელება, წინააღმდეგ, იგი წარმოადგენს მუდმივი და განუწყვეტელი, აშკარა ან ფარული კლასიური ბრძოლის ასპარეზს. ამრიგად, ეკონომიკა წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრეს ფაქტორს და მისი ანალიზი ერთად-ერთი სწორი საშუალებაა საზოგადოებრივ მოვლენათა განმარტებისათვის. რაკი მარქსმა შეიცნო ეკონომიკის არსება და მისი მნიშვნელობა სოციალური განვითარებისათვის, იგი შეუდგა პოლიტიკურ ეკონომიის შესწავლას, რომელიც მას მიაჩნდა მეცნიერებად სოციალური სტრუქტურის შესახებ, რასაც ძირითადი ადგილი ეჭირა სოციალურ-მეცნიერებათა შორის კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში. სამართლებრივი მოვლენები, როგორც ეს ზემოდ აღვნიშნეთ, წარმოადგენენ ეკონომიურ ურთიერთობათა გამოსახულებას. სოციალური ფაქტორების მეცნიერულად განმარტებისათვის მარქსმა წამოაყენა ისტორიული და დიალექტიური მატერიალიზმის ახალი მეთოდოლოგია. რასაკვირველია, ჩვენ აქ მექანისტების მსგავსად არ მივაფუჩეჩებთ ჰეგელის ფილოსოფიური კონცეპციის ძირითად მნიშვნელობას მარქს-ენგელსის და ლენინის სისტემისათვის და კარგად ვიცით, რომ ეს უკანასკნელნი მატერიალისტური დიალექტიკის მათ მიერ აგებულ შენობას მჭიდროდ უკავშირებდენ ჰეგელის ფილოსოფიას. მაგრამ, ჩვენ აქ ხაზს ვუსვამთ მეთოდის იმ რადიკალურ რეფორმას, რომელიც მოახდინეს მარქსიზმის მამამთავრება იმისათვის, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ჰეგელის ფილოსოფიიდან მატერიალისტურ დიალექტიკაზე გადასვლა. „ჩემი დიალექტიკური მეთოდი,—ამბობს მარქსი,— არა მარტო განსხვავდება ჰეგელის მეთოდისაგან, არამედ წარმოადგენს მის პირდაპირ წინააღმდეგობას. ჰეგელისათვის აზროვნების პროცესი, რომელსაც იგი იდეის სახელწოდებით დამოუკიდებელ სუბიექტადაც კი აქცევს, არის სინამდვილის დემიურგი (შემომქმედი), რომელიც მხოლოდ მის გარეგნულ გამოსახულებას წარმოადგენს. ჩემთვის კი, პირიქით, იდეალური არის სხვა არაფერი, თუ არ ადამიანის თავში გარდაქმნილი და გადამუშავებული მატერიალური რამ... ჰეგელს დიალექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკა ყირამალა ჰყავს დაყენებული. საჭიროა იგი ფეხზე დავაყენოთ, ან ეს ნიშნავს გამოვაშკარავოთ რაციონალური ფუძე მისტიურ გარსში გახვეული" (კაპიტალი ტ. I, მეორე გამოცემის შესავალი გვ. III—IV). „მე საერთოდ ვსცდილობ ჰეგელი მატერიალისტურად წავიკითხო. ჰეგელი ყირამალა დაყენებული მატერიალიზმია... მე უმთავრესად ვაშორებ მას ღვთაებას, აბსოლუტს, წმინდა იდეას და სხვ."—ამბობს ლენინი („Под знаменем марксизма"). მაგრამ თანამედროვე მექანისტები, რომელთაც გულუბრყვილობამდე არ ესმით ჰეგელის კონცეპცია, სათანადოდ ვერ აფასებს მარქსისა და ლენინის ზემომოყვანილ სიტყვებს და ბრძოლას უცხადებენ მარქსიზმში ჰეგელის ელემენტებს, ე. ი. ფაქტიურად დიალექტიურ მატერიალიზმს ებრძვიან. იწყებენ რა ჰეგელის უარყოფით, ისინი ლოგიკური აუცილებლობით რევოლიუციონური მსოფლმხედველობის უარყოფამდე მიდიან. ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენთვის ნათელი გახდება ჰეგელის დიალექტიკის როლი მარქსიზმისათვის და მისი მნიშვნელობა მეცნიერული სოციალიზმის თეორიის შემუშავებისათვის. „მაგრამ არ იციან,—ამბობს დებორინი,—რომ ჰეგელის სოციალისტური ფილოსოფია (და მისი მოძღვრება საზოგადოებისა და ისტორიული პროცესის შესახებ) აგრეთვე გახდა მარქსისათვის გამოსავალი წერტილი ისტორიის მატერიალისტური გაგების საფუძვლების ჩამოყალიბებისათვის და საზოგადოებისა და სახელმწიფოს შესახებ სპეციფიური მოძღვრების შემუშავებისათვის" („Философия и Марксизм" გვ. 220). ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიის" კრიტიკის დროს „მარქსმა თავისი კრიტიკის ობიექტად გაიხადა ცნებათა გარეშე სამყაროს სინამდვილედ გადაქცევა. მან სოციალური ფილოსოფიის საკუთარი თეორია შეიმუშავა და სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა „გერმანიის სახელმწიფოებრივ-სამართლებლივი ფილოსოფია". მაგრამ ჰეგელის მოძღვრებას საზოგადოების და სახელმწიფოს შესახებ უნაყოფოდ არ ჩაუვლია მარქსისათვის, თუმცა იგი თავის დასკვნებში არაფერში არ ეთანხმება ჰეგელს. ჩვენ არ შეგვიძლია დაწვრილებით შევჩერდეთ ამ საკითხებზე, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია მას ზოგადათ შევეხოთ, რამდენადაც ამას ჩვენი თემა მოითხოვს.

უდიდესი დიალექტიკოსი თავისი სოციალური ფილოსოფიის შემუშავების დროს (მოძღვრებაში სახელმწიფოსა, საზოგადოებისა და სამართლის შესახებ) ხელმძღვანელობდა იმ პრინციპით, რომ დიალექტიკა ახასიათებს „ბუნებრივი და სულიერი სამყაროს ყველა სფეროებსა და ფორმებს" (ჰეგელი, ენციკლოპედია, გვ. 136). იგი ამავე რევოლიუციონურ მეთოდს მიმართავდა საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლის დროს, მაგრამ მისი ფილოსოფიური კონცეპციის ამ სფეროში აშკარად გამოსჭვივის წინააღმდეგობა მის რევოლიუციონურ მეთოდსა და ჰეგელის მოძღვრების სისტემას შორის, რომელიც არაპირდაპირ პრუსიის ნახევრად ფეოდალურ მონარქიასაც კი გაამართლებდა. მაგრამ, მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ჰეგელის მეთოდოლოგია, რომლის საშუალებითაც იგი უკეთებს ანალიზს სოციალურ მოვლენებს, მეტად რევოლიუციონურია და ენგელსის სიტყვებით რომ ვსთქვათ—რეალისტურიც, მარქსი იხილავს რა ჰეგელის თეორიას სახელმწიფოსა და სამოქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქო საზოგადოების შორის ურთიერთობათა შესახებ, სავსებით საწინააღმდეგო დასკვნამდე მიდის. მისთვის სახელმწიფო წარმოადგენს მეორად და არა პირველად ფენომენს და გამომდინარეობს სამოქალაქო საზოგადოებიდან და არა პირიქით. „...არც სახელმწიფოა ზნეობრივი იდეის სინამდვილე, გონების სახე და სინამდვილე,—როგორც ამას ამტკიცებს ჰეგელი,—სახელმწიფო არის საზოგადოების ნაყოფი მისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე. სახელმწიფო არის იმის აღიარება, რომ ეს საზოგადოება დაიბნა თავისთავთან გადაუჭრელ წინააღმდეგობებში, დაირღვა სხვადასხვა შეურიგებელ, საწინააღმდეგო ნაწილებად, რომლისგანაც თავის დაღწევა მას აღარ ძალუძდა. ხოლო იმისათვის, რომ ამ წინააღმდეგობებს და კლასებს, სხვადასხვა ხასიათის ეკონომიური ინტერესებით აღჭურვილებს, არ დაეჭამათ ერთი მეორე და თვით საზოგადოებაც ამ უნაყოფო ბრძოლაში, საჭირო გახდა ისეთი ძალა, რომელიც, როგორც სჩანს, საზოგადოებაზე მაღლა იდგომებოდა. ძალა, რომელიც შეასუსტებდა ამ შეჯახებას, ჩააყენებდა მას „წესრიგის“ ფარგლებში, ძალა, წარმოშობილი საზოგადოებიდან, მაგრამ რომელიც თავისთავს ამ საზოგადოებაზე მაღლა აყენებდა და კიდევ უფრო მეტად მისგან იმიჯნებოდა, არის სახელმწიფო (ენგელსი, „წარმოშობა ოჯახისა, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოსი“ გვ. 72). ამრიგად, მარქსისა და ენგელსის მიერ დაძლეულ იქნა და „ფეხზე დაყენებული“ ჰეგელის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ. მარქსმა უარჰყო სახელმწიფოს ცნება, როგორც მიზნისა თავის თავში, როგორც ყველა მიზანთა უმაღლესი მიზნისა. ჰეგელის მიხედვით სახელმწიფოს ზნეობრივი იდეის განხორციელება, ვინაიდან მისი მიზანია გონებისა და ნებისყოფის შეერთება: „სახელმწიფოში ყოველივე მიმართულია საერთოს გაერთიანებისაკენ და კერძოდ—კერძოსისაც“ (ჰეგელი, „Философия права“, გვ. 317). სახელმწიფო არის „სამყარო, შექმნილი სულით თავისივე თავისთვის“ და მას სურს, რომ იყოს გონიერების გამოსახულება“. ამრიგად, ჰეგელის მიხედვით სახელმწიფო გამართლებას ჰპოულობს თავის თავში.

შემდეგ ჰეგელი ეხება რუსოს კონცეპციას და მის ღირსებათ მიაჩნია ის გარემოება, რომ მან პირველმა აღიარა ნებისყოფა სახელმწიფოს პრინციპად. ჰეგელი აქ არ არის სავსებით მართალი, ვინაიდან რუსოს მიერ წამოყენებული იდეები ცნობილი იყვნენ მანამდისაც; მაგრამ რუსოს თავისებურება იმ განსაკუთრებულ ენტუზიაზმში მდგომარეობს, რომლითაც მან გამოსთქვა თავისი აზრები და შექმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ის ყოფილიყოს პირველი მოციქული და მახარობელი სოციალური სამართლიანობისა და ნეტარებისა. ისტორიულად კი ეს იყო მხოლოდ გამოძახილი იმ შინაგანი პროცესისა, რომელსაც მაშინ საფრანგეთის საზოგადოება განიცდიდა და რომელიც ბურჟუაზიულ რევოლიუციათა საშინელი ქარ-ცეცხლით დასრულდა. რუსოსათვის სახელმწიფო წარმოადგენს თავისუფალი ნებისყოფით აღჭურვილ ინდივიდების მარტოოდენ ინტელექტუალურ ქმნილებას; საერთო ნებისყოფის შექმნის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს შეთანხმება საერთო ინტერესებისა და საგნების საქმეში. ინტერესთა ჰარმონია შესაძლებლად ჰქმნის თვით სამოქალაქო საზოგადოებას, სო-

ციალურობას, ივივე არის საერთო ნებისყოფის არსებობის საფუძველი—ეს საერთო ნებისყოფა გამოდის ყველასაგან და ეხება ყველას, რასაც შედეგად-არის შეთანხმებაც. სინამდვილეში კი, როგორც ვიცით, ადგილი აქვს ადამიანთა ინტერესებისა და შეხედულებათა სხვადასხვაობას. ეს წინააღმდეგობანი რუსომ მექანიკურად მოსპო უბრალო შეერთებითა და პლიუსისა და მინუსის ურთიერთმოსპობით, რომლის შედეგადაც თითქოს ჩვენ საერთო ნებისყოფა მივიღეთ. აბსოლუტურ ერთსულოვნებას რუსო არ მოითხოვს, მას აკმაყოფილებს ერთსულოვნება მხოლოდ ძირითადი სოციალური ხელშეკრულებისათვის, ხოლო დანარჩენი სოციალური საკითხების გადაჭრის დროს, იგი უმრავლესობის პრინციპს ემყარება. რუსოსათვის ძირითად საკითხს წარმოადგენს ამ უმრავლესობის პრინციპის შეთავსება ინდივიდის თავისუფლების მოთხოვნილებასთან. რუსო ამ საკითხს მეტად მოხერხებულად სჭრის. საერთო ნებისყოფა წარმოადგენს კერძო ნებისყოფის მუდმივსა და უცვლელ კომპონენტს და თვითეულ მათგანში შედის. ამიტომ ბუნებრივია, რომ ეს საერთო ნებისყოფა უფრო სწორად იქნება გაგებული უმრავლესობის მიერ.

ასე სწყდება რუსოს კონცეფციაში საკითხი საერთო ნებისყოფის შესახებ; ეს უკანასკნელი ყველასათვის სამართლიანია და ყოველთვის კანონიერი; უმეტეს შემთხვევაში იგი თვით არის კანონი. ამრიგად გადასჭრა რუსომ ანტი-თეზა თავისუფლებისა და აუცილებლობისა როგორც პოლიტიკურ-უფლებრივი, ისე მორალური თვალსაზრისით. რუსოს შეხედულება მარქსისტული თვალსაზრისით პირდაპირ ბავშვურია. საზოგადოებრივი ჰარმონიის იდეა სრულებით ვერ უთავსდება მარქსიზმისა, კლასიური ბრძოლისა და ანტაგონიზმის პრინციპებს. ჩვენთვის სრულებით მიუღებელია ის, რომ კანონი იყოს სამართლიანობის ნორმა და რომ იგი მუდამ წარმოადგენდეს იმას, რაც მორალურად გამართლების ღირსია. კანონის ნორმა მოკლებულია ყოველგვარ დამოუკიდებელ იდეას და მისი მნიშვნელობა გამოაშკარავდება ხოლმე კლასიური ბრძოლის ამათუიმ ეფექტში. ხალხის უზენაესობა წმინდა ფეტიშია. საერთო ნებისყოფის ბატონობა, ეს არის საფრანგეთის სახელმწიფოში არსებულ სხვადასხვა ცენზების დაცინვა. მარქსიზმისათვის სამართალი არასდროს არ წარმოადგენდა სამართლიანობის ნორმას. მიუღებელია აგრეთვე რუსოს შეხედულობა ხალხსა და სახელმწიფოზე. რუსოს აზრით ხალხი თავისუფალ ინდივიდთა მექანიკური აგრეგატია. სახელმწიფო ჰქმნის ინდივიდებს. ნამდვილად კი ხალხი და სახელმწიფო ბევრად უფრო ღრმა ელემენტებს წარმოადგენენ. სავსებით შემცდარია ის მოსაზრება, რომ სახელმწიფო და საზოგადოება შექმნილია ინდივიდების მიერ; შემცდარია ისიც, რომ, მაგალითად, ინდივიდის ფიზიკური განვითარების პროცესი მისი პირადი საქმე იყოს.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ რუსოს სისტემა და მეთოდოლოგია მისი საერთო ნებისყოფით ჩვენთვის მიუღებელია. იგი არ სცილდება ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის საზღვრებს, რომლისთვისაც დამახასიათებელია კლასიური ბრძოლის მიფუჩეჩება, სოციალური მომენტების გვერდის ახვევა და განუსაზღვრელი თაყვანისცემა ფეტიშისა, რომლისთვისაც მზად არის მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო მსხვერპლად მიიტანოს. თავისი გამარჯვების შემდეგ ბურჟუაზიას არც კი სურდა ეფიქრნა სოციალური კონფლიქტებისა და კლასიური ბრძოლის შესახებ და ბუნებრივია, რომ ბურჟუაზიული მეცნიერება საკუთარ თავს ერდს უვლის სოციალურ მომენტს და მხოლოდ ფორმალურ განყენებულ სქემას წარმოადგენს.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენთვის ნათელია, რომ ჰეგელს არ შეეძლო მიეღო რუსოს მოძღვრება საერთო ნებისყოფის შესახებ. რუსოს პრინციპები საესებით ეწინააღმდეგებოდენ ჰეგელის კონცეპციას, რომლის რევოლიუციონური მეთოდოლოგიაც თავისი რეალობითა და სიცოცხლე-უნარიანობით ვერ ურიგდებოდა ბურჟუაზიული კლასის გადამლაშებულ და ვულგარულ იდეოლოგიას. რუსოს მოძღვრების საბედისწერო და საშინელ მოვლენად ჰეგელს მიაჩნდა ის გარემოება, რომ რუსოსთვის საერთო ნებისყოფა ინდივიდუალურ ნებისყოფათა კონცენტრაციას წარმოადგენდა და იგი საზოგადოებრივი ხელშეკრულების წარმოშობის ერთად-ერთი საშუალება იყო. „ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ,—ამბობს ჰეგელი,—ამ აბსტრაქციებმა ჩვენთვის ცნობილი კაცობრიობის ისტორიაში პირველად გამოიწვიეს უჩვეულო წამოწყება, ცდა მოესპოთ ყოველი არსებული და თავიდან დაეწყოთ, აზროვნებიდან გამომდინარეებს, ნამდვილი დიდი სახელმწიფოს შექმნა და მის საფუძვლად დაედვათ მოჩვენებითი გონიერული. ვინაიდან ისინი იდეას მოკლებულ აბსტრაქციებს წარმოადგენდენ, ეს ცდა მათ რაღაც საშინელ და საოცარ მოვლენად გადააქციეს“ (იხ. „Философия права“ გვ. 207).

ჰეგელს, ამასთან ერთად, არ შეეძლო დასთანხმებოდა „საფრანგეთის განმანათლებლებს“, რომელთათვისაც აზროვნება წარმოადგენდა ყოფნის სახის შემცველ ფაქტორს და რომელთათვისაც ყოფნის ბუნებრივი მსვლელობა უკანა რიგში იყო დაყენებული. ჰეგელი აკრიტიკებდა აგრეთვე იმათაც, რომელნიც არ მიდიოდენ თავისუფლებისა და აუცილებლობის შორის აბსტრაქტულ წინააღმდეგობაზე შორს. „თავისუფლება და აუცილებლობა,—ამბობს ჰეგელი,—როგორც განყენებული განსაზღვრანი, გამოხატავენ საგნების ერთ დასრულებულ განსაზღვრას. ორივე ეს განსაზღვრა ერთი-მეორეს სპობს, განყენებულია და არა ჭეშმარიტი. თავისუფლება ვითარდება შინაგანი აუცილებლობის კანონით“ (იხ. „Логика“, გვ. 35). ქვევით ჩვენ ვკითხულობთ: „აუცილებლობა ჯერ კიდევ არ შეადგენს თავისუფლებას, მაგრამ თავისუფლება გულისხმობს აუცილებლობას და შეიცავს მას, როგორც ერთ-ერთ თავის მომენტს“ („Логика“, გვ. 158). ამრიგად, ჰეგელის აზრით, ადამიანმა უმაღლესი თავისუფლების მიღწევისათვის უნდა შეიცნოს იგი, რაც განისაზღვრება ყოფნის აუცილებლობით, ხოლო ყოფნის აუცილებლობა აბსოლუტური იდეით განისაზღვრება. მაშასადამე, ჰეგელის მიხედვით, ადამიანის თავისუფლება განისაზღვრება ისტორიული განვითარების შეცნობით და ბუნების კანონებით. თუ შევცვლით ჰეგელის აბსოლუტურ იდეას, რომელიც მისთვის ისტორიული განვითარებისა და ბუნების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს, ცხოვრების მატერიალური პირობებით და საზოგადოებრივი ურთიერთობის ეკონომიკით, ე. ი. თუ ჰეგელს გადავთარგმნით დიალექტიური მატერიალიზმის ენაზე, მაშინ უნდა ვაღიაროთ, „რომ ჰეგელი იყო პირ-

ველი, რომელმაც სისწორით განსაზღვრა ურთიერთობა თავისუფლებასა და აუცილებლობას შორის" (იხ. ენგელსის „ანტი-დიურინგი" გვ. 131). „... ნებისყოფის თავისუფლება წარმოადგენს სხვას არას, თუ არ ადამიანის უნარიანობას მიიღოს გადაწყვეტილება საქმის ცოდნით... მაშასადამე, თავისუფლება მდგომარეობს თავის თავსა და გარეშე ბუნებაზე ბატონობაში, იმ ბატონობაში, რომელიც ემყარება ბუნებრივი აუცილებლობის შეგნებას; სწორედ ამიტომ იგი აუცილებლად წარმოადგენს ისტორიული განვითარების ნაყოფს... კულტურის თვითეული პროგრესი—იყო ნაბიჯი წინ თავისუფლებისაკენ" (იქვე, გვ. 132). ჩვენ საჭიროდ დავინახეთ რამდენიმე სიტყვა გვეთქვა თავისუფლებასა და აუცილებლობას შორის ურთიერთობაზე, იმიტომ, რომ ჰეგელის მოძღვრებაში თავისუფლება უკავშირდება სამართალს და უფლებრივ ურთიერთობაში ჰეგელი ხედავს ადამიანის განსაზღვრული ნებისყოფის გამოხატულების ერთად-ერთ შესაძლებლობას. „... სამართალის საგანია ადამიანი, ვინაიდან მხოლოდ ადამიანია თავისუფალი არსება" (Ведение в философию", გვ. 44). ნივთი არ შეიძლება იყოს სამართლის საგანი იმიტომ, რომ ნივთი არ არის გონიერი ან თავისუფალი, ხოლო „უფლებრივი ურთიერთობა მოითხოვს გონიერებას". ნივთი წარმოადგენს ნებისყოფის ობიექტს, ნებისყოფა ეუფლება მას და ამის შემდეგ იგი გადაიქცევა კერძო საკუთრებად. ჰეგელის აზრით ვალდებულება შეეფარდება სამართალს და ყოველი „ის, რაც შეიძლება მოითხოვო უფლებით, არის ვალდებულება" (die Schuldigkeit. იხ. „Вед. в философию". გვ. 61). სამართალი იყოფა ფორმად და შინაარსად. ფორმას წარმოადგენს დადებითი, ქმედითი უფლება, ხოლო სამართლის შინაარსს წარმოადგენს გონიერი სინამდვილე, ე. ი. უფლებრივი სინამდვილე. ჰეგელის აზრით ქმედობა, რომელიც ხღუდავს მეორე პირის თავისუფლებას, ეწინააღმდეგება სამართალს, ვინაიდან სამართალი არის თავისუფლების ნამდვილი ყოფნა. უნდა ვსცნოთ მეორე პირის თავისუფალი ნებისყოფა და პატივი ვსცეთ მის უფლებებს, „ერთი ინდივიდის უფლების დარღვევით ირღვევა ყველა სხვისი უფლება". ადამიანის თავისუფალი ნებისყოფა საგნობრივად გამოიხატება მას შემდეგ, რაც ადამიანი შეეჯახება ნივთს, რომელიც ნებისყოფით დაუფლების შემდეგ გადაიქცევა კერძო საკუთრებად; ამის შემდეგ ნებისყოფა ხდება „ნამდვილ ნებისყოფად" და იქმნება საკუთრების სამართლებრივი განსაზღვრა.

ჰეგელის აზრით ამით აიხსნება კავშირი საკუთრებასა და ადამიანს შორის, ხოლო „პიროვნება ხდება ნამდვილ პიროვნებად მხოლოდ მაშინ, როცა მას უპირისპირდება მეორე ადამიანი, როცა მათ შორის იწყება ურთიერთობა და ისინი ერთმანეთს სცნობენ" (იხ. „Философия духа", გვ. 490). ჰეგელის ყველა ეს მოსაზრება გამომდინარეობს იმ დებულებიდან, რომ „კერძო შეიცავს საერთოს, რაც შეადგენს მის სუბსტანციას; გვარი არის უცვლელი თავის სახეობაში; სახეობა განსხვავდება არა საერთოსაგან, არამედ ერთი-მეორისაგან. კერძოს აქვს მეორე კერძოსთან, რომელსაც იგი ეკუთვნის, ერთიდაიგივე საერთო. ამავე დროს მათი განსხვავება, მთელთან მათი თანაბრობის გამო, როგორც ასეთის საერთოა; იგი არის მთლიანობა. მაშასადამე, კერძო არა მარტო შეიცავს თავის

თავში საერთოს, არამედ ამ უკანასკნელსაც გამოხატავს თავისებურ-ლობის მეშვეობით. ამით იგი ჰქმნის თავისგან იმ სფეროს, [illegible] ამოსწუროს კერძომ" (იხ. ჰეგელი- „Наука логики", ნაწ. II. გვ. 23). ჰეგელი ადამიანსა და საკუთრებას შორის ურთიერთობის საკითხის გამორკვევის დროს საფუძვლად იღებს რა პიროვნების ნებისყოფას, აუცილებლობით მიდის მეორე არსებითი ნებისყოფის აღიარებამდე. ჰეგელის შეცდომა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ იგი საზოგადოებრივი ურთიერთობის ნაცვლად საფუძვლად ერთეულ ნებისყოფას ღებულობს. მარქსი აღიარებდა ჰეგელის მეთოდოლოგიის მთელ რევოლიუციონერობას, მაგრამ კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა მის სიატემას და ააშკარავებდა მის სპეკულიატურ აგებულობას. აკრიტიკებს რა კერძო საკუთრების გენეზისის ჰეგელის განმარტებას, მარქსი ამბობს, რომ არ შეიძლება ამ განმარტებაზე უფრო კომიკური რამ იყოსო. „ადამიანმა, როგორც პიროვნებამ, უნდა გახადოს ნამდვილად თავისი ნებისყოფა, როგორც გარეგანი ბუნების სული, და ამიტომ უნდა დაეუფლოს ამ ბუნებას, როგორც კერძო საკუთრებას. თუ ასეთია განხაზღვრა ადამიანის „პიროვნებისა", როგორც პიროვნებისა, უნდა დავასკვნათ, რომ თვითეული ადამიანი უნდა გახდეს მიწათმფლობელი, რომ განახორციელოს თავისი პიროვნება" (იხ. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II, გვ. 155). შემდეგ მარქსი აკრიტიკებს კერძო საკუთრების ჰეგელისებურ განმარტებას, როგორც ყველა ნივთების მიკუთვნების აბსოლუტური უფლების პროდუქტს და არა როგორც განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობის პროდუქტს. „ყოველ შემთხვევაში ცხადია, —ამბობს მარქსი, რომ ცალკეულ პიროვნებას მარტოოდენ თავისი „ნებისყოფით" არ შეუძლია განახორციელოს თავისი საკუთრება მიწაზე, რაკი მას უპირისპირდება მეორე ნებისყოფა, რომელსაც აგრეთვე სურს განხორციელდეს ამავე მიწის ნაკვეთზე. აქ საჭიროა სულ სხვა რამ, ვინემ უბრალო კეთილი ნებისყოფა. შემდეგ პირდაპირ შეუძლებელია გამოვარკვიოთ იქ, სადაც იგი გულისხმობს პიროვნებას, როგორც საკუთარი ნებისყოფის საზღვარს, ხორციელდება თუ არა ამ ნებისყოფის ყოფნა მთელს სახელმწიფოში, თუ შეიძლება საჭიროა რამდენიმე ქვეყანა, რომ მათი მითვისებით „მანიფესტით გამოცხადებულ იქნას ნივთების მიმართ ჩემი ნებისყოფის სიდიადე". აქ ჰეგელი პირდაპირ ჩიხში ემწყვდევა" (იქვე). ჰეგელის აზრით ფლობის აქტს აქვს სრულებით ცალკეული ხასიათი; ადამიანს შეუძლია დაეუფლოს მხოლოდ იმ საგნებს, რომელთაც იგი უშუალოდ იპყრობს ან ფარავს თავისი სხეულით; მაგრამ ალბად მოიპოვებიან ისეთი გარეგანი ნივთები, რომელთა უშუალო დაპყრობა ადამიანს არ შეუძლია. მაშასადამე, რაც არ უნდა დაიპყროს ადამიანმა, მაინც ყოველთვის აღმოჩნდება ისეთი სხვა ნივთი, რომელიც უერთდება ადამიანის მფლობელობის საგნებს, „მაგრამ ამ სხვა ნივთებს აუცილებლად უერთდება კიდევ სხვა და ამრიგად ისპობა ყოველგვარი საშუალება იმისა, რომ განვსაზღვროთ—რა რაოდენობით ჩემი ნებისყოფა, სულის სახით უნდა გამოისახოს მიწაში". შემდეგ მარქსს მოჰყავს ჰეგელის ციტატა: „თუ მე ვფლობ რასმე, გონება მაშინვე გადალახავს ამ ფაქტის საზღვარს და აკეთებს შემდეგ დასკვნას, რომ არა თუ მარტო ჩემ უშუალო მფლობელობაში მყოფი, არამედ

ყველაფერი მასთან დაკავშირებული,—ჩემია. აქ თავისი დადგენილება ყველა მიიღოს დადებითმა სამართალმა, ეინაიდან ცნებიდან მეტი რაშის გამოყვანა არ შეიძლება" („Philosophie des Rechts", გამოც. 1840 წ. გვ. 91). ამ ციტატის შესახებ მარქსი ამბობს, რომ „ეს მეტად გულუბრყვილო აღიარებაა „ცნების" მხრით; იგი იმავე დროს მიგვითითებს, რომ ცნებას, რომელიც უკვე დასაწყისშივე აბსოლუტურად აცხადებს სავსებით განსაზღვრულსა და ბურჟუაზიული საზოგადოების დამახასიათებელ იურიდიულ წარმოდგენას მიწის საკუთრებაზე, საერთოდ არაფერი არ ესმის მიწაზე ამ საკუთრების უფლების ნამდვილი წარმოშობის შესახებ. ამასთან ერთად, აქ აღიარებულია, რომ საზოგადოებრივი, ე. ი. ეკონომიური განვითარების მოთხოვნილების შეცვლასთან ერთად „დადებითი სამართალს" შეუძლია და კიდევაც უნდა შესცვალოს თავისი დადგენილების შეცვლა" (კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 156). მარქსმა აღმოაჩინა კაცობრიობის ისტორიის განვითარების კანონები და აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და უფლებრივი ურთიერთობანი არ შეიძლება გამოვიყვანოთ და განვმარტოთ ადამიანთა წარმოდგენით, პირიქით, ეს უკანასკნელი წარმოიშვება ისტორიის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე და შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ სათანადო ეპოქის ცხოვრების მატერიალურ პირობათა შესწავლის შემდეგ. მაშასადამე, სამართალი ყოველთვის წარმოადგენს მხოლოდ ეკონომიურ ურთიერთობათა გამოხატულებას. უფლებრივი ურთიერთობანი არ შეიძლება გაგებულ იქნენ თავისთავისგან, არამედ ისინი წარმოადგენენ ეკონომიურ ურთიერთობათა მხოლოდ ფორმას. სამართალი არის „ფორმალური გაშუამავლება" საწარმოო ურთიერთობისა, რაც საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას შეადგენს. ჰეგელის მსგავსად, მარქსი ხედავს სამართალში ფორმასა და შინაარსს და შეგნებული აქვს მათი შინაგანი თანაბრობა. რაც შეეხება „საკუთრების ურთიერთობას, იგი წარმოადგენს სამართლებრივ ფორმას, რაც გამოსახავს იმ საწარმოო ურთიერთობას, რომელიც მყარდება ადამიანთა შორის დამოუკიდებლად მათი ნებისყოფისა. ამ საწარმოო ურთიერთობას მოსდევს ის, რომ კავშირი საზოგადოების ცალკე წევრთა შორის გამოისახება მხოლოდ ნივთების საშუალებით. ამრიგად, საქონელი იქცევა ადამიანთა შორის ეკონომიური კავშირის იარაღად და საზოგადოდ ამ კავშირის გამოხატულების ერთად-ერთ ფორმად. სასაქონლო ფეტიშიზმის თეორია ჰპოულობს რამდენადმე თავის გამოსახულებას ჰეგელის მოძღვრებაში იმის შესახებ, რომ ადამიანები ნახულობენ თავის კავშირს ნივთებში. „შრომა, რომელიც საცვლო ღირებულებას ჰქმნის, ხასიათდება კიდევ იმით, რომ პიროვნებათა საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოგვიდგება შებრუნებულად, როგორც ნივთთა საზოგადოებრივი ურთიერობა. რამდენადაც ერთი სამომხმარებლო ღირებულება შეეფარდება მეორეს, როგორც საცვლო ღირებულება, მხოლოდ ამდენად სხვადასხვა პირთა შრომაც ღებულობს ერთმანეთის მიმართ მთლიანი, საყოველთაო შრომის ხასიათს, თუ მაშასადამე ჭეშმარიტია ის დებულება, რომ საცვლო ღირებულება არის პირთა ურთიერთობა, მაშინ ეს ურთიერთობა დაფარულია ნივთებრივი გარსით" (მარქსი, პოლ. ეკ. კრიტიკა, გვ. 9). პირთა მატერიალური ურთიერთობა გამოიხატება „ნების-

ყოფით ურთიერთობებში", იგი წარმოადგენს ეკონომიური ...ბისა. ნებისყოფით ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენს ეკონომიური ურთიერთობა, ხოლო ნებისყოფითი ურთიერთობა მარქსს, ჰეგელის კონცეპციის თანახმად, ესმის როგორც უფლებრივი ურთიერთობა. „რათა ამათუიმ ნივთებს შეეძლოთ ერთმანეთთან შეფარდება როგორც საქონლებს, საქონლის მფლობელნი უნდა შეეფარდონ ეოთმანეთს როგორც პირნი, რომელთა ნებისყოფაც ბატონობს ნივთებში; ..... ეს იურიდიული ურთიერთობა, რომლის ფორმასაც წარმოადგენს ხელშეკრულება, სულ ერთია, გამოთქმულია იგი კანონიერად თუ არა,—არის ნებისყოფითი ურთიერთობა, რომელშიაც გამოიხატება ეკონომიური ურთიერთობა" (კაპიტალი, ტ. 1, გვ. 53).

„თავის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანები იჭერენ ერთმანეთთან განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისყოფისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას,—საწარმოო ურთიერთობას, რომელიც შეეფერება მატერიალურ საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს" (კრ. პოლ. ეკ., გვ. X). საწარმოო ძალთა განვითარებისაგან დამოკიდებულია კლასების ურთიერთობის ხასიათი და ამით აიხსნება, რომ ერთი შეჯახებით არ სწყდება კლასთა ურთიერთობის ბედიღბალი. ჩვენ აქ გვაქვს განვითარების გრძელი პროცესი, სანამ საწარმოო ძალთა მდგომარეობა არ ჩავარდება წინააღმდეგობაში არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან, რომლის წიაღშიაც ისინი მანამდე ვითარდებოდენ. აქ იწყება კრიზისი, კონფლიქტი, რომლის გადასაწყვეტადაც ისტორიას ჯერჯერობით მოეპოება მხოლოდ ერთი საშუალება ძალდატანებისა და რევოლიუციის სახით. ამრიგად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთმანეთს სცვლიან—ევოლიუცია და რევოლიუცია.

მარქსისტული მსოფლმხედველობის თვალსაზრისით რევოლიუცია წარმოადგენს აუცილებელ ელემენტს კლასიური საზოგადოების პოლიტიკური ბედიღბალისათვის, სანამ საწარმოო ძალთა განვითარება ჰპოულობს თავის გამოსახატავად მხოლოდ ერთ ანტაგონისტურ ფორმას. „საზოგადოების ისტორია წარმოადგენს კლასთა ბრძოლის ისტორიას", მაგრამ ეს მექანიკურად კი არ უნდა გაეგოთ, თითქოს დღეს იარაღ-ასხმული პროლეტარიატი და ბურჟუაზია ხიან ბანაკებში, კრემლსა, ლონდონის სიტსა და ინდოეთის დაბლობებში და მხოლოდ ბუნებრივი ძალები,—ბურუსი და სიბნელე უშლის მათ ხელს, თორემ დაიწყებოდა შეიარაღებული, გააფთრებული ომი. ეს ფრიად გულუბრყვილო შეხედულებაა, თუმცა ისტორია შორს არ ყოფილა ასეთ მოვლენათაგან, განსაკუთრებით პოლიტიკური კრიზისების დროს. ბურჟუაზიული მეცნიერება სიამოვნებით აღნიშნავს, რომ კლასთა ბრძოლა იყო გადამწყვეტი ფაქტორი საფრანგეთის სოციალური ისტორიისა რევოლიუციამდე, რომ ბურჟუაზიული სამოქალაქო ომით შეიქმნა საფრანგეთის ნაციონალური კულტურა (გიზო, ტიერი და სხვ.), მაგრამ ბურჟუაზიის გაბატონების შემდეგ საზოგადოება გასაოცრად გამოიცვალა და გამეფდა სოციალური ნეტარება და სოლიდარობა. მაგრამ ბურჟუაზიულ იურისტთა და ისტორიკოსთა ასეთი შეხედულება გამოწვეულია მათივე კლასიური ინტერესებითა და ცნებათა კლასიური აპერცეპციით. კლასიური საზოგადოე-

ბის გავლენა იმდენად ძლიერია ცალკე პიროვნებათა შემეცნებაში, რომ აზროვნების ისეთი გიგანტებიც კი, როგორიც არისტოტელე და პლატონი იყვნენ, საწარმოო ძალთა მაშინდელ განვითარებასთან შეფარდებით ამართლებდენ და სცნობდენ მონობის აუცილებლობას. თანამედროვე ბურჟუაზია უკვე აღიარებს, რომ სახელმწიფო სინამდვილეში არ წარმოადგენს სოციალური ჰარმონიის განსხვავებას, რომ სახელმწიფო, როგორც კატეგორია „Sollen" სავსებით სულ სხვა რამ არის.

ერთი სიტყვით, აღიარებულია სახელმწიფოს ბუნების ორმაგობა. სახელმწიფო თავისი უფლებებით და სახელმწიფო საქმით. სახელმწიფო უფლების მხრით წარმოადგენს იმას, როგორიც იგი უნდა იყოს ნორმების მიხედვით. ეს უკვე იურიდიული მსოფლიოა და მის დამახასიათებელ მასალას წარმოადგენენ იურიდიული ნორმები—კონსტიტუციები, დეკლარაციები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სახელმწიფოს პრაქტიკული საქმიანობა და ცხოვრება, არაა სოციალური სინამდვილე. ამ შემთხვევაში ერთად-ერთ საშუალებას სახელმწიფოს შესასწავლად წარმოადგენს წმინდა იურიდიული მეთოდი. რასაკვირველია, ეს ფორმალისტური, სპეციფიურ-იურიდიული მეთოდოლოგია ანთავისუფლებს თანამედროვე ბურჟუაზიულ იურისპრუდენციას მრავალ უსიამოვნებისა და უხერხულობისაგან, ვინაიდან აქ შესაძლებელი ხდება სამართლისა და სახელმწიფოს სოციალურ კლასიური ბუნების მიფუჩეჩება. ნორმატივისტებს იურიდიული ნორმები მიაჩნიათ „ნივთად თავისთავად" და ეს მაშინ, როდესაც ჩვენ ვიცით, რომ სამართლებრივი ნორმები და სახელმწიფოებრივი ფორმები არ წარმოადგენენ თავის თავად ისეთ ცნებებს, რომელთა გაგებაც შესაძლებელი იყოს თავისთავად. ისინი ყოველთვის წარმოადგენენ საწარმოო ურთიერთობათა განსაზღვრულ ფორმებს, მხოლოდ ამ საწარმოო ურთიერთობა შთაუნერგა მათ სასიცოცხლო ენერგია. ჯერ კიდევ რომის სამართალს სამართლის სუბიექტად მიაჩნდა ადამიანი, ასეთივეა ბურჟუაზიული და საბჭოთა სამართლის თვალსაზრისი. მაგრამ სინამდვილეში ამ ორ სისტემას შორის მეტად დიდი განსხვავებაა და ეს აიხსნება არა ნორმების განსაკუთრებული თვისებებით, არამედ სოციალური ცვლილებებით, სოციალური განვითარების დინამიზმით. ამიტომ ჩვენ ვლაპარაკობთ მონათმფლობელთა, ფეოდალური, ბურჟუაზიული, პროლეტარული და სხვა საზოგადოების შესახებ. რაც არ უნდა დამოუკიდებელი ხასიათი ჰქონდეს იდეურ ფორმას, მისი ადგილი ყოველთვის განისაზღვრება საზოგადოებრივ-საწარმოო ძალთა განვითარების სისტემით. რომის სამართლის უდიდესი სისტემა არ მოსპობილა, მაგრამ საჭირო შეიქნა რამდენიმე საუკუნის ისტორია, რომ ევროპას შესძლებოდა მისი შეთვისება და თავისებურად გარდაქმნა. გარდა ამისა, რომის სამართალი შეცვლილ პირობებში სავსებით თავისებურად მოქმედებდა. ჰომეროსის ეპოქა, რასაკვირველია, აიხსნება საწარმოო ძალთა პრიმიტიულობით და საფრანგეთის ცნობილი დეკლარაცია სავსებით გაუგებარი იქნებოდა ანტიურ საზოგადოებისათვის. მაშასადამე, სამართალი არის ისტორიული კატეგორია ისევე, როგორც სახელმწიფო და მათი ცვალებადობის მიზეზები მარხია საწარმოო ძალთა ტრანსფორმაციაში და არა განყენებულ აბსტრაქციებში.

მარქსისტული თვალსაზრისით სახელმწიფოსა და სამართლის განხილვა ერთსა და იმავე სფეროს საგანს შეადგენს. მათ შორის არ არის ისეთი ჭიმ-პრომისული დამოკიდებულება, როგორიც ეს ელინეკს წარმოუდგენია, რომლის აზრით სამართალი არის სახელმწიფოს თვითშეზღუდვა.

სოციალურ კოსმოსში რომ მარტო კლასთა ბრძოლა არსებობდეს, ისეთი მდგომარეობა შეიქმნებოდა, რომელსაც გობბსი გვისურათებს პირველყოფილი, ნატურალისტური საზოგადოებისათვის. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრება არ წარმოადგენს კატაკლიზმებს, სოციალურ კატასტროფათა პერმანენტულ მდგომარეობას, იგი აგრეთვე არ წარმოადგენს ასპარეზს კლასების შორის მუდმივი სამოქალაქო ომისათვის, იგი შედარებით „დამშვიდებული საზოგადოებაა", რომლის წიაღშიც მოძრაობს და მდინარებს კლასიური ბრძოლის დინამიზმი. სწორედ ამიტომ შესაძლებელი ხდება საზოგადოებრივი წესწყობილების საერთო საფუძვლების შემუშავება. ამ უკანასკნელ მისიას ასრულებს ის კლასი, რომლის ბედიღბალიც დაკავშირებულია საწარმოო ძალთა განვითარების აღმომავალ პროცესებთან. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ სახელმწიფო ხელისუფლება და სამართალი წარმოადგენენ ერთი მეორის შემავსებელ მოვლენებს, ვინაიდან მშვიდობიან ურთიერთობაში, სახელმწიფო ყოველთვის ითვისებს სამართლებრივი შემოქმედების ფორმებს. ამრიგად სახელმწიფო და სამართალი არ ითქვიფებიან უკვალოდ ერთმანეთში, პირიქით, ისინი ავსებენ ერთი მეორეს, როგორც სოციალური ორგანიზაციის ფესვგადგმული ელემენტები. ამით აიხსნება ისიც, რომ მარქსისტულ ლიტერატურაში დღევანდლამდე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახელმწიფოს კლასიურობის მომენტებს. სახელმწიფო ხელისუფლება თავის მოქმედებაში ყოველთვის ითვისებს სამართლებრივ ფორმებს და გარდა იმ სოციალური ორგანიზაციისა, რომელიც მათ საერთო საფუძველს წარმოადგენს, არც სახელმწიფოსა და არც სამართალს არ აქვთ რაიმე დამოუკიდებელი თვითმყოფადი სუბსტანციონალობა ან ღირებულება. სახელმწიფო ხელისუფლება წარმოადგენს გაბატონებული კლასის რეალურ ძალას იძულების სათანადო მატერიალური საშუალებებით. ამრიგად, სახელმწიფო არ წარმოადგენს რაიმე იდეოლოგიურ პრინციპს, პირიქით, იგი ყოველთვის არის ძალთა რეალური სისტემა სწორედ იმ კლასისა, რომელსაც თავისი განვითარების პროცესში ხელთ აქვს იძულების რესურსები. სახელმწიფო არ წარმოადგენს ისეთ ორგანიზაციას, რომელშიც ერთი მეორეში ითქვიფებიან ყველა მანამდე არსებული სოციალური ფორმები; პირიქით, სახელმწიფო და საზოგადოება არსებობენ ერთად და განსხვავდებიან როგორც თავისი ფარგლებით, ისე ადამიანთა მასში მონაწილეობის სხვადასხვაობით. სახელმწიფო ორგანიზაციის წევრობა არ გულისხმობს აუცილებლად რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობას. ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივობის ეპოქაში საზოგადოების ზოგიერთი წევრები ეკუთვნიან კაპიტალისტური ფორმაციის წარმოებას, ზოგიერთნი კი — ნატურალურ-პატრიარქალურ მეურნეობას. საზოგადოება არის უფრო ღრმა სოციალური ფენომენი, ჩვენ მასში მონაწილეობას ვიღებთ დიდი ემოციებით, ვინემ სახელმწიფო ცხოვრებაში. არსებობენ საზოგადოებანი სახელმწიფო ხელისუფლების გარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შე: პირველყოფილი კომუნიზმი, და მომავალი სოციალისტური საზოგადოება. სახელმწიფო არ წარმოადგენს დაწერილს კონსტიტუციას და ნორმებს, პირიქით, იგი არის იძულების ორგანიზაციული წყობილება, რომელიც გამომდინარეობს საწარმოო ძალთა განვითარების სისტემიდან და რომელიც ყოველთვის შეეფერება მის რეჟიმსა და დინამიკას.

ბურჟუაზიული მეცნიერება სხვა გზით მიდის. ეს ვაუბატონი დიდი თაყვანისმცემელია, უპირველესად ყოვლისა, ადამიანის გონებისა და ამასთან ერთად მეტად შეყვარებულია სოციალურ ჰარმონიაში. მისთვის კლასიური ბრძოლის იდეა მიუტევებელი შეცოდებაა; მისი „ფაქიზი გემოვნება" ვერ იტანს მატერიალისტური მსოფლმხედველობის ელემენტებს. ბურჟუაზიული მეცნიერება გამოკვლევის ყველა სფეროში მიმართავს აბსტრაქტულ (ფორმალურ) მეთოდს; ეს უკიდურესობა თითქმის ყველაზე უფრო რელიეფურად აშკარავდება თანამედროვე ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში. დღეს, როდესაც ფსიქოლოგიაც კი მუშაობს ემპირიული მეთოდებით, სამართლის მეთოდოლოგიას იგივე მეტაფიზიკური ხასიათი შერჩა. ბურჟუაზიული მეცნიერებისათვის სახელმწიფოს კონსტრუქციის საფუძველს წარმოადგენს სამართლებრივი ორგანიზაცია. მრავალი თეორია ებრძოდა ერთმანეთს სახელმწიფოს განმარტებისათვის, დაწყებული ნომინალური ფიქტივისტებიდან და გათავებული ორგანიზმის თეორიის, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ორგანიზმის თეორიის ყოველგვარი ვარიანტებით. მიუხედავად ამ პრინციპიალური განსხვავებისა სახელმწიფო სამართლის დარგში, თითქმის ყველა ბურჟუაზიული იურისტი იზიარებდა შეხედულებას სახელმწიფოზე, როგორც უფლებისა და ვალდებულების ცენტრზე, მაშინ როდესაც სხვები მას უკავშირებდენ განსაზღვრულ რეალურ არსებას. ამავე დროს ზოგიერთები (მაგალითად, შერშენევიჩი) უარყოფდენ სახელმწიფოს სამართლებრივი განსაზღვრის შესაძლებლობას. მათთვის ეს შეუძლებელია, ვინაიდან სამართლებრივი ცნებანი და მოტივები ქმნიან თვით სახელმწიფოს და ამიტომ სახელმწიფო წარმოადგენს უფრო უმაღლეს ლოგიურ ცნებას, ვინემ სამართალი და შეუძლებელია სამართლებრივი ნორმების განზოგადოებით თვით სახელმწიფოს განსაზღვრა. ზოგიერთი ბურჟუაზიული იურისტი უარყოფს სამართლისა და სახელმწიფოს დუალიზმს, და ათანაბრებს სახელმწიფოსა და მის წესწყობილებას, ზოგიერთები კი მათ განასხვავებენ ერთმანეთისაგან. იურისტების საფრანგეთის სკოლას სახელმწიფო მიაჩნია ერის იურიდიულ გამოხატულებათ. დიუგის აზრით სახელმწიფო ფაქტიურად წარმოადგენს ჭარბი ძალების ბატონობას. მისგან განსხვავებით და დამოუკიდებლად არსებობს, ეგრედ წოდებული, ობიექტიური სამართალი, რომელიც ემყარება სოციალური სამართლიანობის და სოლიდარობის იდეას და რომელშიაც არ არის ხელისუფლების არც ერთი ელემენტი. დიუგის შეხედულება მეტად შორს არის ჭეშმარიტებისაგან. მისი კონცეპციით სამართალსა და სახელმწიფო ხელისუფლების შორის უძირო უფსკრულია, მაშინ, როდესაც დიუგის მეთოდოლოგია ობიექტიურად უშუალოდ დაკავშირებულია მათი დამოკიდებულების ფარულ აღიარებასთან.

გერმანიის მეცნიერებაში სამართლის შესახებ ჩვენ ვხვდებით სახელმწიფოსა და სამართლის ერთმა იურიდიულ ანალიზს. ელინეკისათვის სახელმწიფო წარმოადგენს მხოლოდ ლოგიურ აბსტრაქტულ კატეგორიას და არა რეალობას. ბუნების მოვლენანი სხვადასხვაგვარად წარმოისახებიან ადამიანის შიმეცნებაში. იურისტსაც აქვს თავისი განსაკუთრებული სამყარო, სადაც არსებობენ „ნივთები ჩვენთვის" და არა ნივთები თავისთავად. სახელმწიფო არის არა ობიექტიური, არამედ მხოლოდ სუბიექტიური ერთიანობა, როგორც პოლკი და სხვ. ჩვენს აზროვნებაში განსაზღვრულ ერთიანობით ვკრეფთ იმას, რაც სინამდვილეში არის მხოლოდ მრავალრიცხოვანება, ჩვენ სხვადასხვა ელემენტებიდან ვქმნით თეოლოგიურ ერთიანობას; შეკრების ეს მომენტი წარმოადგენს მხოლოდ ჩვენი გონების ფუნქციას. ეს შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ იურიდიული მოვლენანი პრინციპიალურად განსხვავდებიან ბუნების მოვლენებისაგან: მაგ., მინისტრი მომაკვდავია, როგორც ადამიანი, მაგრამ უკვდავია, როგორც ხელისუფლების ორგანო. პიროვნების ნებისყოფა არის ფიზიკური პირის ნებისყოფა, მაგრამ იგი შეიძლება ითვლებოდეს მრავალ ადამიანთა ერთიან ნებისყოფად. იურიდიული ნებისყოფა შეიძლება არსებობდეს მაშინაც, როდესაც ფიზიკური ნებისყოფა უკვე მკვდარია (ანდერძის დატოვება). იურიდიულ სამყაროში მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა, ისპობა, თითქოს იგი არასდროს არ ყოფილიყოს. ამიტომ რეალობისა და სამართლის სამყარო სავსებით სხვადასხვანაირნი არიან. ელინეკისათვის სახელმწიფო არ არის არც ბიოლოგიური ორგანიზაცია, არც ფიქცია, იგი მხოლოდ იურიდიულ აბსტრაქციას წარმოადგენს. სახელმწიფოში ადამიანები გაერთიანებულნი არიან მუდმივი კავშირით. სახელმწიფო თავისთავად არ წარმოადგენს სუბსტანციას, ასეთები მასში მხოლოდ ადამიანებია. ელინეკისათვის სამართლის ცნებანი — მხოლოდ არსებული ნორმების აბსტრაქციებია და ამ ცნებათა მიზანია აღნიშნული ნორმების აღსნა-განმარტება. ამიტომ სამართლის ცნებებით ირკვევიან არა რეალური ურთიერთობანი, არამედ ნორმები. სახელმწიფო არ არის ჩვენს გარშემო არსებული რეალობა.

ჩვენ ასე ხანგრძლივად შევჩერდით ელინეკის თეორიაზე იმიტომ, რომ ჰანს კელზენი მეთოდოლოგიურად უახლოვდება მას. ყველა ზემომოყვანილ განსაზღვრაში, ცენტრში ყოველთვის იურიდიული მომენტი სდგას. თვით ელინეკის მაგალითზე აშკარა რეალობით გამოსჭვივის იმ ბრძოლის სიმწვავე, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფოს სოციოლოგიური და იურიდიული გამოკვლევით. თვითონ ელინეკმა მწვავედ განიცადა ეს ბრძოლა. ბურჟუაზიულ სახელმწიფოთ მცოდნეობაში ფორმალურ მიმართულებას სამართლის მეცნიერული დისციპლინა მიაჩნია მხოლოდ ნორმატიულ მეცნიერებათ, რომელსაც საქმე აქვს ჯერარსთან და არა ყოფადთან. იურიდიული მეცნიერების სპეციფიურობა ირკვევა მისი დოგმატიური მეთოდის თავისებურებაში. ამ მეთოდის მიხედვითი სამართალი შესწავლილი უნდა იქნეს არა გენეზისის თვალსაზრისით, არამედ თელეოლოგიის თვალსაზრისით და იურისპრუდენციამ უნდა შეისწავლოს სამართლის ლოგიური სტრუქტურა ან, როგორც ამას ბურჟუაზიული იურისტი პალინკო ამბობს, სოციალური ცხოვრების სამართლებრივი, დონტოლოგიური ფორმები.

მასალას დოგმატიური შემეცნებისათვის წარმოადგენს [illegible] სამართალი და მისი ნორმები. დოგმატიური მიმართულება იურისპრუდენციაში ისე შორს წავიდა, რომ, მაგ., ზოგიერთმა ფრანგმა იურისტმა დაახლოებით შემდეგი განაცხადა: ჩვენ არ ვიცნობთ სამართალს, ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ნაპოლეონის კოდექსს. მაგრამ განა საკმარისია სამართლის მეცნიერებისათვის, ან თუ გნებავთ იმავე დოგმატიური მიმართულებისათვის ის მასალა და დასკვნები, რაც მიღებული იქნება მარტოოდენ დოგმატიური მეთოდით?

თვით ლაბანდი, გერმანიის ბურჟუაზიული პუბლიცისტიკის ეს უდიდესი ავტორიტეტი, აცხადებს, რომ სამართლის მეცნიერების დაყვანა სამართლის დოგმატიკამდე შეუძლებელია. თვით ელინეკიც იძულებულია აღიაროს ეს ფარულად, როდესაც მას თავის წიგნში, სახელმწიფოს იურიდიულად შესწავლის წინ, მოჰყავს მისი სოციოლოგიური დახასიათება.

ვინაიდან იურიდიული სამყარო სავსებით რეალურია, მეთოდოლოგიურად დაუშვებული იქნებოდა არაიურიდიული მეთოდები გადაგვეტანა სამართლის მეცნიერებაში.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, თვით ელინეკის ცნობით, მხოლოდ წინასწარ მოვლენებისა და სოციალურ ურთიერთობათა შესწავლა იხსნის იურისტს უნაყოფო სქოლასტიკისაგან. ამ იძულებით შენიშვნას არ შეაქვს წინააღმდეგობა ელინეკის კონსტრუქციაში: მან წმინდა მექანიკურად დაუკავშირა სახელმწიფოს სოციოლოგიური რეალური შესწავლა მის იურიდიულ შემეცნებას. აქ ჩვენ ვხედავთ იურიდიულ ნორმებს სამყარო Sollen-ისას, და არა ფაქტიურ ნორმებს სოციალურ ურთიერთობას, რომელთა გამოხატულებასაც წარმოადგენს, ეს Sollen-ი. სრულებით გაუგებარია როგორ უნდა შეუთავსდეს სახელმწიფოს სოციალური შესწავლა მის იურიდიულ შემეცნებას, მაშინ, როდესაც სახელმწიფოს ობიექტიური არსებობა უარყოფილია და განიხილება მხოლოდ როგორც ჩვენი გონების ლოგიური ფუნქცია. ეს არის მთავარი მეთოდოლოგიური წინააღმდეგობა ელინეკის თეორიაში. ბურჟუაზიული მეცნიერება ხშირად თვითონ აღიარებს დოგმატიურ მეთოდის ცალმხრივობასა და დაუსრულებლობას, მაგრამ მას მაინც არ შეუძლია მარქსის იმ შეხედულების შეთვისება, რომ „სამართლებრივი ურთიერთობანი, თანაბრად სახელმწიფოს ფორმებისა, არ შეიძლება გაგებულ იქნენ თავის თავისაგან". ბურჟუაზიულ იურისპრუდენციას აქვს ყველაფერი, გარდა სამართლის სოციალური გაგებისა. ნუთუ სამართლის ნორმები წარმოადგენენ ისეთ რაღაც დასრულებულს, რომ შეიძლება ისინი მივიჩნიოთ „საგნებად თავის თავად". როდესაც ბურჟუაზია იკვლევს ძველ ისტორიულ ეპოქებს, მას არ ეშინია სამართლის სოციოლოგიურად ახსნა-განმარტებისა. რომის სამართალი ჩვენთვის სავსებით გაუგებარი იქნებოდა, რომ არ გვცოდნოდა მისი სოციალური წარმოშობა და განვითარება. გარეშე ამისა მას მხოლოდ ლიტერატურულ-ფილოლოგიური მნიშვნელობა ექნებოდა და იგი ძლიერ დაშორებული იქნებოდა თანამედროვე უფლებრივ მოქმედებათაგან. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ჩვენთვის სავსებით გაუგებარი იქნებოდა ის ბრძოლა, რომელიც გაიმართა გერმანულ იურისპრუდენციაში რომანისტებსა და გერმანისტებს შორის. თვით ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარემოება, რომ იურისპრუდენციაში ხან ბატონობს დოგმატიკური მიმართულება და ხან კიდევ ფართო სოციოლოგიური, დამოკიდებულია ისტორიულ-კულტურულ პირობებზე. საფრანგეთის რევოლიუციის გარიჟრაჟზე სახელმწიფოსა და სამართლის შეცნობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ღრმა ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ თვალსაზრისს; აქ იყო ეპოქალური კონფლიქტი, მაგრამ რევოლიუციის შემდეგ, როდესაც დამყარდა „გონების სამეფო", გამარჯვებული ბურჟუაზიის კრიტიკული დამოკიდებულება, ცხადია, შეიცვალა. სინამდვილეში არსებულის კრიტიკის ნაცვლად, მას მხოლოდ ხსნიდენ და მარტავდენ. რაც შეეხება ჩვენი პროლეტარული რევოლიუციის პერიოდს, ჩვენში, პირველ ხანებში, სამართლებრივ ცნებათა შემუშავება სწარმოებდა რევოლიუციონური გრძნობით; იმავე პერიოდისათვის დამახასიათებელია კრიტიკა და პრინციპიალური უარყოფა ძველისა, მაგრამ შემდეგ როდესაც დამყარდა საბჭოთა წესწყობილება, მხოლოდ მარქსისტულ-რევოლიუციონური ინტუიცია სამართლისა და სახელმწიფოსი საკმარისი არ აღმოჩნდა და საჭირო გახდა სოციალისტური უფლებრივი შეგნებისა, კლასიური სასამართლოსა და სხვათა გამოჩენა, ერთი სიტყვით, სოციალისტური საბჭოთა იურისპრუდენციის ჩამოყალიბება. ამ საკითხს ჩვენ დეტალურად შევეხებით (იხ. შემდეგი თავი).

მატერიალიზმი სათანადოთ აფასებს ფორმალურ მეთოდს ლოგიკაში, ესთეტიკაში და სამართალში. მაგრამ მარქსიზმი კატეგორიულად უარყოფს ფორმალიზმის კანონიერებას იმ მომენტიდან, როდესაც ეს უკანასკნელი სცდილობს დააწესოს სამართალში მისი სრული დამოუკიდებლობა და ჩამოაშოროს სამართალი სოციალურ-კლასიურ საფუძველს. მარქსი ამბობს: „იდეოლოგიური ფორმები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ, თავის არსებაში ჩაკეტილ ფორმებს". შეუძლებელია ინდივიდის დახასიათების მოცემა, თუ მხედველობაში ვიქონიებთ მხოლოდ იმას, თუ რას ფიქრობს იგი თავის თავზე, სწორედ ისევე, როგორც შეუძლებელია განსაზღვრული ეპოქის შეფასება იმ თერმინების მეშვეობით, რომელნიც მიმართულნი იქნებიან მის შემეცნებისაკენ. პირიქით, ამათუიმ ეპოქის მდგომარეობა და ცნებანი შეიძლება განვმარტოთ და ავხსნათ მხოლოდ სისტემათა განვითარებით და საწარმოო ძალთა კონფლიკტებით. საშუალო საუკუნეებში გაბატონებული იყო სამართლის დოქტრინის ღვთაებრივი წარმოშობის თეორია; და ეხლაც ბევრი აღიარებს სამართლის განყენებულ, მეთოსოციოლოგიურ და მეტაფიზიკურ არსებობას. სამართალი რომ იყოს მხოლოდ ლოგიური და არა ისტორიულ-სოციოლოგიური კატეგორია, მაშინ ისეთი დისციპლინის არსებობა, როგორიც არის სამართლის შედარებით ისტორია, ყოველგვარ აზრს იქნებოდა მოკლებული. ამ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა აგრეთვე იმის ახსნა, თუ რომის სამართლის რეცეპცია რატომ მოხდა ევროპაში სწორედ განსაზღვრულ სოციალურ-კულტურულ პირობებში. ის გარემოება, რომ ევროპის მხატვრულმა აზროვნებამ შექმნა 1001 ღამის ნოველა, რომლის საფუძველიც ეგვიპტე, ინდოეთი ან სპარსეთია, იმის დამამტკიცებელია, რომ იდეოლოგიური ფორმები დამოკიდებულნი არიან განსაზღვრულ სოციალურ პირობებზე, საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ სისტემაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში ზოგიერთ ნორმატივისტებს ფორმალური მეთოდი უკიდურესობამდე მიჰყავთ. ავსტრიის ფორმალური სკოლის წარმომადგენელი მოქ. კელზენმა იურიდიული მეთოდოლოგიის საკითხებს სპეციალური შრომა უძღვნა.

კელზენის თეორიის გამოსავალ წერტილს წარმოადგენს ლოგიური ანტითეზა ყოფადისა და ჯერარსის და შინაარსისა და ფორმის კატეგორიისა. კელზენის აზრით ამ კატეგორიებს შორის ღრმა უფსკრულია. ამ დუალისტურ კონცეპციაში კელზენი ვერ ნახულობს ვერავითარ ლოგიურ შესაძლებლობას „მე"-ს გასაერთიანებლად გარემომცველ წრესთან, სულისას სხეულთან, ფორმისას შინაარსთან (და ყველაფერი ეს ხდება იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორი თერმინებით გამოიხატება ეს მუდმივი ორმაგობა). ამ ანტითეზაზე დაყრდნობით კელზენი ასაბუთებს განსხვავებას აღწერილობითსა და ნორმატიულ დისციპლინებს შორის. აღწერილობითი დისციპლინები სწავლობენ ყოფადი რეალური სამყაროს კაუზიალურ ურთიერთობათა თვალსაზრისით; ნორმატიული დისციპლინის ობიექტს კი წარმოადგენს ჯერარსის სამყარო და სათანადო უფლებრივი ნორმები, იურიდიული ცნებები გამომუშავდებიან არა რეალურ-სოციალური სამყაროს გამოკვლევით, რომელიც ყოველთვის ექვემდებრება აუცილებლობის კანონებს, არამედ სამართლის ფორმალური წარმოების ანალიზით. იურისპრუდენციისათვის მისაღებია მხოლოდ ნორმატიული თვალსაზრისი, რომლის ობიექტიც თავისუფალია გარდუვალ კანონზომიერებისაგან. იურისპრუდენციის ნორმატიულობა გაგებულ უნდა იქნას არა როგორც ნებისყოფის ფუნქცია, არამედ როგორც აზროვნების ფუნქცია. კელზენის აზრით, იურისპრუდენცია ნორმატიულია არა იმიტომ, რომ საჭირო ნორმები მუშავდება იმპერატიული ხელისუფლების მიერ, არამედ იმიტომ, რომ იუდისპრუდენცია განსაკუთრებული ფორმაა მოვლენათა შემეცნებისა და გამოკვლევისა; ის იკვლევს ნორმებს და არა აუცილებლობის სამყაროს, სადაც ბუნების მოვლენები კაუზიალური პრინციპით აიხსნება. ნორმატიული თვალსაზრისი და მეთოდი—ზუსტი ნიშნებია იურიდიული შემეცნების სპეციფიურობისა და დამოუკიდებლობის, რომელმაც ამ უკანასკნელ ხანებში თითქოს დაჭარგა თავისი განმასხვავებული ნიშნები და დაუახლოვდა სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიას. ასეთია კელზენის მეთოდოლოგიური სისტემა. სახელმწიფოს განსაზღვრის დროს კელზენისათვის გადამწყვეტ როლს ასრულებს იურიდიული მომენტი; სახელმწიფოსა და სამართალს იგი აღიარებს ერთიდაიმავე მოვლენის ორ მხარედ. შემდეგში კელზენმა უკვე გადაჭრით წამოაყენა თეზისი სახელმწიფოსა და სამართლის სრული იგივეობის შესახებ. მისი აზრით სახელმწიფო არის სისტემა სამართლებრივი ნორმებისა, ჰიპოტეტიური მსჯელობა სახელმწიფო ნებისყოფისა საკუთარ მოქმედებათა შესახებ და ზოგიერთ შემთხვევაში თავის ქვეშევრდომთა მოქმედებათა შესახებაც. იურიდიული თვალსაზრით სახელმწიფო არ არის უზენაესი ავტორიტეტი და ბედიღლის გადამწყვეტი. სახელმწიფოსა და ქვეშევრდომებს შორის არ არსებობს სუბორდინაციული დამოკიდებულება, როგორც ეს გამომდინარეობს სამრთლებრივი იმპერატივის თეორიიდან. ამას გარდა კელზენისათვის სამართ-

ლის ნორმებიც არ წარმოადგენენ იმპერატიულ ნიშნებს. სახელმწიფო — იურიდიულად წარმოადგენს სამართლის სიუბექტს და რამდენადაც იგი სამართლებრივი მხრით უთანაბრდება სხვა სუბიექტებს, ამიტომ ის არც არის უფლებრივ ურთიერთობათა და უფლება მოსილობის მატარებელი. კელზენი არ უარჰყოფსვ რომ სოციალური სინამდვილე ხასიათდება როგორც უფლებრივი ურთიერთობა, მაგრამ ეს ხომ რეალური სამყაროა, არსებულის კატეგორია და ამ მომენტის შეტანა იურიდიულ შემეცნებაში იქნებოდა დაუშვებელი ჩარევა იურიდიული ობიექტის—სახელმწიფო ჯერარსის სამყაროს სფეროში. რეალური სინამდვილე შეიძლება იყოს ჯერარსის სამყაროს შინაარსი, მაგრამ ჯერარსის კატეგორია, როგორც ლოგიური ფორმალური კატეგორია, მაინც საკუთარ სხვა რამ არის, მაშინაც კი, როცა ნორმის შინაარსს წარმოადგენს ნორმის განსაზღვრული პსიქოლოგიური პროცესი, როცა შეგვიძლია გავაკეთოთ ის, რაც ჩვენ გვსურს. სინამდვილე ამ შემთხვევაში იურიდიული ფორმალისტიკისათვის არის უფლებრივი ურთიერთობა, როგორც მოვლენა ფაქტიური (რეალური) სამყაროსი.

კელზენის მიხედვით სახელმწიფო არის სისტემა სამართლებრივი ნორმებისა, რომელნიც განსაზღვრავენ ადამიანის მიერ ადამიანის იძულების დროსა და პირობებს. იძულების ფაქტი და სინამდვილე არ წარმოადგენენ სახელმწიფოს ბუნებას. სახელმწიფო და სამართალი ნორმატიული რიგის ერთი მცნებაა: აქედან გამომდინარეობს მათი დუალიზმის უარჰყოფა. სახელმწიფო არის არა რეალობა, არამედ იდეალური, ნორმატიული წესი ადამიანთა მოქმედებისა. სავალდებულო ხასიათი სამართლებრივი რიგისა შეადგენს სახელმწიფოს შინაგან აზრს, მაგრამ ამ სავალდებულო რეჟიმიდან გამომდინარე იძულება და ურთიერთობა ფაქტიური ხასიათისა მაინც, კელზენის მიხედვით, არ წარმოადგენენ სახელმწიფოს იურიდიული ბუნების ძირითად ნიშანს. სამართლებრივ წესრიგში მჟღავნდება ნებისყოფა სახელმწიფოსი, როგორც სამართლის სუბიექტისა. სახელმწიფოებრივი ნებისყოფა,—ეს არის სახელმწიფოს მსჯელობა საკუთარ მოქმედებათა და ვალდებულებათა შესახებ. ის დებულება, რომ სახელმწიფოებრივი ნებისყოფის სამართლებრივი პროდუქტი არის მხოლოდ მხატვრული გამოხატულება იმისა რომ სახელმწიფოებრივი ნებისყოფა წარმოადგენს განსაზღვრულ კონსტრუქციას, მისაღებია სახელმწიფოებრივი ძალაუფლების განსაზღვრულ მოქმედებათა იურიდიული გამოყენების მიზნით. სახელმწიფო მხოლოდ სამართლის მატარებელია, რადგან სამართალი გამოხატავს სახელმწიფოებრივ ნებისყოფას ნორმატიული, და არა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ამიტომ კანონმდებლობაც სოციალური ფუნქციაა და არა სახელმწიფოებრივი და კანონმდებელი ორგანოც საზოგადოების ორგანოა და არა სახელმწიფოსი. სახელმწიფოსათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ არსებულ კანონს. კელზენის პრაქტიკული დასკვნები ასეთია: იურიდიული სამყარო წმინდა არს. ადამიანებად ამ სამყაროში მხოლოდ იურისტები ითვლებიან. აქ სახელმწიფოს არა აქვს თვისება imperium და მოქალაქეებთან დამყარებულია ურთიერთობანი კოორდინაციისა და არა სუბორდინაციის. კელზენი პრინციპიალურად უარჰყოფს განსხვავებას საჯარო კერძო სამართალს შორის. თუმცა, თვით კელზენის განცხადებით,

სახელმწიფოს სოციალური ბუნება სხვაგვარია, მაგრამ მაინც ეგრ. რჩება იურისტის შემეცნების გარეშე. ისეთი წესი სახელმწიფოს უმნიშვნელო თეორიისა, როგორიც არის კელზენის სახელმწიფოს თეორია, იურისპრუდენციას ჯერ არ უნახავს. კელზენის სისტემა საესებით უარჰყოფს სახელმწიფოსა და სამართლის სოციალურ კლასიურ ხასიათს, თუმცა იმავე კელზენის სიტყვებით, ეს უკანასკნელნი თავისი შინაარსით წარმოადგენენ სოციალური სინამდვილის ანასახს მისი კონფლიქტებით. სახელმწიფო არის მხოლოდ ფორმა საზოგადოებრივობისა, უკანასკნელი კი—ამ ფორმის სუბსტანცია. კანონმდებლობა წარმოადგენს რაღაც ხელშესახებს, საიდანაც სოციალური ნაკადი განუწყვეტლივ გადადის სახელმწიფოს ორგანიზმში, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების ელემენტები იქცევიან სამართლისა და სახელმწიფოს მკვიდრ ნორმებად. მორალური, რელიგიური, სამეურნეო ინტერესები ხდებიან სამართლებრივი ნორმების შინაარსად. როგორც უკვე აღნიშნეთ, აქ უჩვეულო ცხოველმყოფელობით არის წარმოდგენილი შინაგანი დინამიკა, რაც ახასიათებს საზოგადოებრივი ცხოვრებას.

მარქსისტული მსოფლმხედველობისათვის საესებით მიუღებელია მეთოდოლოგიურ პრინციპთა თავისებურება და სახელმწიფოს კელზენისებური კონსტრუქცია, სადაც ყველაფერია, გარდა სიმართლისა და სინამდვილისა. თვით კელზენის აღიარებით, ყოფადისა და ჯერარსის კატეგორიის ანტითეზას აქვს მხოლოდ ფორმალურ-ლოგიური ხასიათი და ამ კატეგორიათა პრინციპიალური წინააღმდეგობა სრულებით არ სუსტდება იმ გარემოებით, რომ მატერიალური სოციალურ-ფსიხოლოგიური თვალსაზრისით არსებობს განსაზღვრული ურთიერთ მოქმედება ყოფადსა და ჯერარს შორის, მათი ევენტუალური შეთავსება. თუ ეს ასეა, მაშინ როგორღაა ყოფადისა და ჯერარსის ანტითეზის მეთოდოლოგიური ღირებულება. ამ შემთხვევაში იურიდიული კვლევის სიმძიმის ცენტრი გადატანილ უნდა იქნას ყოფადისა და ჯერარსის დაპირისპირების ნიადაგზე და არა მათ შორის ლოგიური კავშირის ძიებაზე. შემდეგ თუნდაც მივიღოთ უდავოდ ფორმალური მეთოდის მნიშვნელობა სამართლის დოგმატიკისათვის, მაინც არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ სამართლის მეცნიერული თეორია არ არის მხოლოდ დოგმატიკა. კელზენისათვის მთელი იურისპრუდენცია მხოლოდ დოგმატიკაა. მისთვის იურიდიული თვალსაზრისით სახელმწიფო იმნაირივე სუბიექტია სამართლისა, როგორც ყოველი მოქალაქე და ეს ყოველგვარი imperium-ის გარეშე, მაშინ, როდესაც ფაქტიურად ეს მხოლოდ კლასიური იძულებაა, სამართლებრივი ურთიერთობა და სხვ. ეს არის კელზენის კონცეპციის ერთ-ერთი წინააღმდეგობათაგანი, რაც გამომდინარეობს მეთოდოლოგიური პრინციპების მცდარობისაგან. კელზენი რომ მართალი ყოფილიყო, მაშინ იურისპრუდენციაში საესებით ზედმეტი იქნებოდა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ცნება, რადგან მას იურიდიულ სამყაროში არავითარი სპეციფიური მომენტი არ შეაქვს. მიუხედავად თავისი სპეციფიური ამოცანებისა, კელზენი ხშირად ეხება არა იურიდიულ საკითხებსაც. ასეთ საკითხს მისთვის წარმოადგენს საკითხი სამართლის წარმოშობის შესახებ. როგორც საკითხები ყოფადის გენეზისისა და მოსპობის შესახებ სდგანან ჩვენი ნორმალური შემეცნების გარეშე, სწორედ ასევე სამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლის წარმოშობის ისტორიაც წარმოადგენს საკითხს, რომელიც იურიდიული კვლევა-ძიების იქითა მხარეს მდებარეობს. მიუხედავათ ამისა, კელზენი მაინც იკვლევს ამ საკითხებს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოება ჰქმნის სამართალს, ხოლო თვით სახელმწიფო და სამართალი საზოგადოებრივობის ფორმებს წარმოადგენენ. სახელმწიფო არის არა შემქმნელი, არამედ მხოლოდ მემკვიდრე სამართლისა. კელზენის მიხედვით სახელმწიფოებრივი ხელისუფლება არსებობს არა როგორც ფსიხოლოგიური ფენომენი, არამედ როგორც ლოგიური ფორმალური კონსტრუქცია სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ მოქმედების გამოყენების მიზნით. მაგრამ ამ შემთხვევაში სავსებით ისპობა პოლიტიკური ხელისუფლებისა და ნებისყოფის განხორციელების აუცილებლობა. ამნაირად, კელზენმა დაიწყო თავისი მსჯელობა სპეციფიური იურიდიული მეთოდის დაწესებით და დაამთავრა უდიდესი პოლიტიკური, იურიდიული პრობლემის—სახელმწიფოებრივი ნებისყოფისა და ხელისუფლების პრობლემის მოსპობით. კელზენმა ჩამოაცილა რა სამართალი მის სოციალურ შინაარსს, მოგვცა მეტად დამახინჯებული წარმოდგენა სინამდვილის შესახებ. ყველაფერ ამას ანარქიზმის სუნი უდის ჩვენს ეპოქაში, პროლეტარული რევოლიუციის ხანაში, როცა თვით ცხოვრებამ გვაჩვენა, რომ სამართალი და სახელმწიფო მოწოდებულნი არიან განახორციელონ არა აბსტრაქტიული ნორმატიული იდეები, არამედ ისინი წარმოადგენენ ეკონომიურ ურთიერთობათა ანარეკლს და რომ სამართალი არის საზოგადოებრივი ურთიერთობა, ხოლო სახელმწიფო წარმოადგენს ერთი კლასის მიერ მეორეზე ბატონობისა და მისი დამორჩილების ორგანიზაციულ საშუალებას.

ყველა ამის შემდეგ ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ როგორ მიიყვანა კელზენმა აბსურდამდე ნეოკანტიანური მეთოდოლოგია თავისი უსიცოცხლო კანონშეზომილობით და როგორ იმღერა მან გედის უკანასკნელი სიმღერა ბურჟუაზიული იურისპრუდენციისა, რომელშიაც გაბატონებული იყო ბართლომეს ღამის საშინელი აჩრდილი. ეს აჩრდილი შეამჩნია თვით ნორმატიული თვალსაზრისის წინამორბედმა „საფრანგეთის (ბურჟუაზიული) რევოლიუციის ფილოსოფოსმა“—ემანუილ კანტმა, რომელმაც წარმოსთქვა შესანიშნავი აფორიზმი: „იურისტები ჯერ კიდევ ეძებენ საკუთარი შეძეცნების სამართლის განსაზღვრას“.

ვათავებთ რა ამ თავს, ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ თანამედროვე კაცობრიობა ისტორიული აუცილებლობით მიექანება კაპიტალიზმის დამხობისაკენ და ახალი საზოგადოებრივი წესწყობილების დამყარებისაკენ. როგორც მარქსი ამბობს: „ბურჟუაზიული საწარმოო ურთიერთობანი წარმოადგენენ საზოგადოებრივი პროცესის უკანასკნელ ანტაგონისტურ ფორმას..... ამ საზოგადოებრივი ფორმაციით მთავრდება ამიტომ ადამიანთა საზოგადოების წინამორბედი ისტორია“, რის შემდეგაც კაცობრიობა, როგორც ენგელსი ამბობს, „აუცილებლობის სამეფოდან გადადის თავისუფლების სამყაროში“.

დასასრული შემდეგ ნომერში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

ა. შანიძე—ქართული გრამატიკა, 1 მორფოლოგია. ტ. ს. უ-ნის გამოცემა, ტფილისს—1930 წ. გვ. VIII+214. 23×16 სანტ. ფასი 2—50.

1. პროფ. ა. შანიძე თავის ზემოთ დასახელებულ შრომას ცდათ თვლის (გვ. VII,3) და გამოდის იმ დროიდან, რომელზედაც ახალი სალიტერატურო ქართული დგას. საჭიროების და მიხედვით კილოებს უთმობს ადგილს, რაც მნიშვნელოვანია: რადგანაც სალიტერატურო ენა შოკლებულია იმ სიმდიდრეს, რომელიც სასაუბრო ენას გააჩნია, თუმცა ასეთ გზას სათანადო მეთოდური ნაკლიც ახლავს.

ფონეტიკური მოვლენებისა და სახელთა ბრუნებისათვის ნაკლები ადგილის დათმობასა და მის მაგიერ ზმნების ვრცლად განხილვას გამართლებაც მოეპოვება, რადგან ქართული ენის სწორედ ზმნებია ჯადოსნური სახელით ცნობილი, თორემ სახელთა ბრუნება მარტივია.

წიგნი უმთავრესად წარმოადგენს ფორმალ გრამატიკას. ავტორი გამოდის ფორმებიდან და არ ივიწყებს ამ ნიადაგზე აღმოცენებულს კერძო შემთხვევებსაც კი. გრამატიკულ კატეგორიებათ ცნობილობს სიტყვებს, რომლებსაც საპირისპირო ფორმები გააჩნია. მთელ წიგნში საპირისპირო ფორმების გამძაფრებელი ძებნაა და განხილულ სიტყვებს თითქმის ყველგან მონახული აქვსთ იგი. საპირისპირო ნიშნად მიღებული აქვს: სიტყვის ბგერითი და მნიშვნელობითი მხარე—(გვ. 135,24). აქედან ველარ თავსდება ფორმალურ თვალსაზრისზე, სცილდება მას და ლოგიციზმში ეჩეხება. მაგ: ზმნის განსაზღვრისას და პირობითი კილოს გამოყოფის დროს, რომელსაც საკუთარი ფორმა არ გააჩნია (§ 120, გვ. 128, 129).

წმინდა მორფოლოგიურ თვალსაზრისზე, რომ ვერ დგას იმიტომაა რომ ერთი და იგივე სიტყვა ავტორისათვის: ხან სახელია, ხან ზედსართავი სახელი, ხან მიმღეობა, ხან ზმნა და სხვადიახ იმიტომ, რომ დაყოფა არ არის წმინდა მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით.

ფორმალი გრამატიკა ყოველი ენის თავისებურებებიდან გამომდინარეობს. ამ თავისებურებას პროფ. ა. შანიძე ყველგან ეძებს და ამხელს. სახელის განმარტება უდგება ამ თვალსაზრისს, რადგან სახელს მხოლოდ ბრუნვის კატეგორიით ზომავს. ამიტომ დაყოფას სახელებისა: არსებით, ზედსართავ, რიცხვით და სხვებად არ სჭირდებოდა. ეს ტრაფარეტულ სასკოლო გრამატიკის საქმე იყო, მაგრამ ვერ აუარდა გვერდი, როგორც ტრადიციულად დაფუძნებულ კატეგორიებს.

„მოქმედების აღმნიშვნელ სახელს ზმნა ეწოდება“: ამ ძველ სასკოლო გრამატიკის განმარტებას ემყარება, ავტორის მიერ წარმოდგენილი ზმნის განმარტება. რა კი სახელსაც ახასიათებს მოქმედების ან მდგომარეობის აღნიშვნა და საპირისპირო ფორმებს იძლევა ზმნაა პროფ. ა. შანიძისათვის და თავისუფალი ადგილი დაუთმო უპირო-მზნების სახელწოდებით თავის წიგნში. პირიელი-ზმნის ჩვეულებრივი გაგება აქვს. ამიტომ ზმნა უფრო ფართო ცნებაა მისთვის და ზმნათ მიაჩნია ყველა ის სიტყვა, რომელსაც ერთ-ერთი ზმნური ნიშანი შეიძლება გააჩდეს. ასეთი ნიშნებია: რიცხვი, პირი, ქცევა, გვარი, დრო, კილო, ასპექტი და გზა. რაკი ესენი პირიელი ზმნის ნიშნებია გამოსავალი მაინც პირიელი ზმნაა.

უდავოა მთელი წიგნის სიგრძეზე, უმთავრესად ფორმალ თვალსაზრისს იცავს ავტორი, მაგრამ მისგან გადახრებიც აქვს. რამდენადაც ფორმას შინაარსს უკავშირებს, სიტყვის საპირისპირო ნიშნად ბგერობრივ და შინაარსობრივ განსხვავებულებას აცხადებს იმდენად მნიშვნელოვანია წიგნი. დღეს ფორმისა და შინაარსის დაყოფის საკითხი ალარც უნდა დაისვას; მაგრამ ასეთ

მთლიანობას წიგნში ძალიან მცირე ადგილი აქვს დათმობილი.

ქართული ენის შესახებ ფორმალი გრამატიკის შედგენის პირველი ცდა ეკუთვნის ი. ნიკოლაიშვილს; [1]) მეორე ეს გახლავთ მაგრამ ხსენებული თვალსაზრისით, როგორც პირველი ისე მეორე მარცვით დამთავრდა. რომც ყოველივე დაძლეული იყოს და სარეცენზიო წიგნი, ნამდვილ ფორმალ გრამატიკას წარმოადგენდეს მაშინაც რამდენად მისაღები იქნებოდა ის?' —„ფორმალი გრამატიკა არის ენის კვლევა ძიება, ისეთ კონკრეტ მასალაზე, როგორიც არის სასაუბრო და ცოცხალი სალიტერატურო ენა[2]) (ხაზი ჩვენია, ი. მ.) თითქმის საერთო აზრია ფორმალისტებისა. ეს კი ვერ დააკმაყოფილებს თანამედროვე ლინგვისტიკას. სასაუბრო და ცოცხალ სალიტერატურო ენას გარდა სხვაც ბევრი აქვს გვერდ აუვლელი. კონკრეტი მასალა ამოგლეჯილი. ერთი პერიოდის ენა სტატიურ მდგომარეობაში ვერ განიხილება. ენა იცვლება წარმოების, სოციალ ეკონომიური პირობების ცვლასთან ერთად დ ამიტომ იგი უნდა განიხილებოდეს თავის დინამიურობაში. აქ ფორმალიზმი, ეცვლელი სახის დოგმათ მიღება და მასზე მთელი ენის აღწერა მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია.

ფორმალიზმი სხვაგანაც იყო შეგრილი. ის ხელოვნებაშიაც შეიჭრა და ამაყად იცქირებოდა. იდეალიზმის დეკანანსთან ერთად იგი დაეკანა და დღეს მისი ანარეკლილაა დარჩენილი. რუსეთში ფორმალიზმის ლიტერატურაში დამცველი შკლოვსი იყო. მის დიდ წარმომადგენლათ ითვლებოდა. მანვე ოფიციალურად უარჰყო იგი „Литературная газета"-ში და მარქსის მატერიალისტური დიალექტიკა მიიღო. აქ ფორმალიზმი თვით დაღეპამდე მივიდა. მას ენათმეცნიერებაშიც იგივე ბედი ეწვია თითქმის. პირველ ხანებში აკად. ნ. მარრი იყო მით შებორკვილი. მოიშორა მან იგი და დღეს მარქსისტული ენათმეცნიერების მთავარი წარმომადგენელია. ასევე [illegible] ნ. [illegible] ინ[3]). მას იცნობდნენ [illegible] ევროპულ ენათმეცნიერს, ფონეტისტ-მორფოლოგისტს. მანვე მიატოვა იგი და მიჰყვა აკად. ნ. მარრს. ფორმალიზმის მოძველებასა და სისუსტეს ამტკიცებს აგრეთვე 1929 წელს მოსკოვს გამოსული გრამატიკა პ. ა. დუდელისა, გამოცემული ი. მ. სვერდლოვის სახელობის კომ. უ-ნის, რომელიც მიღებულია უმაღლეს სასწავლებლებში სახელძღვანელოდ და რომლის შემდეგაც სდუმსთ ფორმალისტები. მაშასადამე ენობრივი მოვლენები მატერიალისტურ-დიალექტური მეთოდით უნდა იქნეს განხილული. სარეცენზიო წიგნი კი, როგორც ფორმული გრამატიკა მეთოდოლოგიურად გაუმართლებელია. დროებით დავივიწყოთ ყოველივე ეს და წიგნი ბოლომდე განვიხილოთ იმ თვალსაზრისით რომლითაც ისაა დაწერილი.

2. შესავალ ნაწილში მოთავსებულია თანამედროვე ქართულის ზოგადი ფონეტიკური მიმოხილვა. როგორც ავტორი აღნიშნავს (გვ. 1) ენის მორფოლოგიური აგებულების გასარკვევათ გასათვალისწინებელია ფონეტიკური მოვლენები. ფორმალურ თვალსაზრისით ენის მორფოლოგიურ შესწავლას, უნდა უსწრებდეს ფონეტიკური შესწავლა და სინტაქსიურს მორფოლოგიური. [4]) გრამატიკა უნდა შეიცავდეს მორფოლოგიასა და ფონეტიკას, მაგრამ რამდენადაც თანამედროვე ქართულის ფონეტიკა არ არის ჩამოყალიბებული იმდენად მიზან შეწონილია მისი აქ შემოტანა. რამდენადაც გრამატიკის კომპეტენციაში ფონეტიკა არ შემოდის, იმდენად ავტორმა, ეს

[1]) მისი „ქართული ენის გრამატიკა", ტფილ. 1927 წლის გამოც.

[2]) ი. სიხარულიძე. „ქართული გრამატიკის სწავლების საკითხი ჩვენს სკოლებში" იხ. ჟურნ. „ახალ სკოლისაკენ" № 1—2 1928 წ. გვ. 97.

[3]) ნ. ჟურნ. „Научное слово"-ს №№ 1, 2: 1930 წ. მოთავსებული პროფ. ს. ნ. დერჟავინის წერილები „Яфетическая теория Акад. Н. К. Марра".

[4]) ენათმეცნიერების ამ და სხვა დარგების შესახებ, თუ რომელი რას აკეთებს ყურადღებას იხ. დოკ. ვ. თოფურიას წერილები „მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში" ჟურნ. „ახალ სკოლისაკენ" ის № 11—12, 1929 წ. ტფილის. გვ. 92 (710)—100 (718) ამავე ჟურნალის სერია „კულტურული აღმშენებლობა" № 7—8, 1930 წ. ტფილის. გვ. 742—751;

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მის წიგნს შესავლად წარუმძღვარა, ზოგადათ შეეხო მას და გვარიანადაა წარმოდგენილი.

თანამედროვე ქართულის ფონეტიკას ერთად სისტემაში მოყვანილს უკეთესად ვერსად ნახავთ დღეს-დღეობით [1]. ქართულ ბგერათა თანრიგის წარმოდგენის შემდეგ განხილულია ბგერათა წარმოთქმის ფიზიოლოგიური პირობები. მოცემულია თითოეული ბგერის ფიზიოლოგიური აღწერილობა. მის აკუსტიკურ მხარეს ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი. ეს თავად ნაკლებ გამორკვეული ნაწილია ქართული ენის ფონეტიკისა. ზოგიერთ ბგერის აღწერილობისას ზედმიწევნილობა ვერაა დაცული, მაგრამ ეს ზოგად მიმოხილვას არც მოეთხოვება. ნაჩვენებია ტაბულა: მკვეთრობის, შეწვინაობის და მყღერობის მიხედვით გამადასებისა (გვ. 6) წარმოდგენილია ანბანები დღეს სამწერლობო ქართულში აღარ ხმარებული, მაგრამ ზოგჯერ ცოცხალ მეღყველებაში ჯერ კიდევ დაცული. მნიშ ნელოვანია გარჩევა ღია და დახურული მარცვლებისა (გვ. 9), რასთანაც სამწუხაროთ არაფერია თქმული მახვილის შესახებ ქართულში. შემდეგ ნაჩვენებია ფონეტიკური მოვლენები მაგალითებით (გვ. 9—17) ზოგადათ შეიძლება ითქვას აქაც წესიერებაა დაცული.

მეორე ნაწილი სახელების განხილვას შეიცავს ქართულის ბრუნვები თავიანთ ნიშნებითვეა წარმოდგენილი (თუმცა არა სრულად. ამის შესახებ ქვემოდ) და მნიშვნელოვანია ბრუნვათა დალაგება ფუძის კვეცადობის პრინციპზე აგებული. (პრინციპი ბოლომდე ვერაა გატარებული-ამის შესახებაც ქვემოდ). მნიშვნელოვანია ისიც, რომ წ ო დ ე ბ ი თ ი [2] ბრუნვაა დაცული.

[1]. არ ეეშვებთ მხედველობიდან ქართულისათვის გაწეულ ფონეტიკურ კვლევა-ძიებას აკად. ნ. მ ა რ რ ი ს, პროფ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს. პროფ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს და სხვების მიერ. ისინი უმთავრესად ცალკეულ საკითხებს შეეხენ აბალი ქართულისათვის,

[2]. წ ო დ ე ბ ი თ ი ბრუნვა უკანასკნელ ხანს ამომგდეს ბრუნვათა რიგიდან. ყითარცა თავის საკუთარ მორფოლოგიურ ნიშნის ბქონეს ადგილი, არსად დაურჩა. აქ კი თავის ადგილი აქვს მიჩენილი. ეს ბრუნვა მართალია სუსტია, მაგრამ არ შეიძლება იგი ამოღებულ იყვეს ბრუნვათა რიგიდან, ყოველ შემთხვევაში დღევანდელი მისი მდგომარეობის მიხედვით. ბევრგან არ იყო არც ძველს ქართულში. ბევრგან (ო) დასუსტდა,

წინა გრამატიკებში სუფლის [illegible] არსებული ი>ᲐᲐ ყველგან სახ. ბრუნვის ნიშნად იყო გაგებული. აქ კი გარკვეულია ის ოდის არის ბრუნვის ნიშანი და როდის ფუძისეული. იქვე ნაჩვენებია მათი ურთიერთისაგან გარჩევისათვის ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო პრინციპი. ფუძისეული და ფორმანტი—ი, სახელის ბოლოკიდურად მომავალი გარჩეულია და ტრადიციულ-ტრაფარეტულ აზრის ინერციისაგან გამოკვეთილი [3]. (იხ. § 32, გვ. 29; § 35 გვ, 32, 33 და შემდეგ. ბრუნვათა სხვა ნიშნების შესახებ ქვემოთ).

კარგადაა ნაჩვენები მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ფორმატები, სისტემაში მოყვანით (§ 25, გვ. 29). გამოყოფილია ორგვარი წარმოება: ა ხ ა ლ ი და ძ ვ ე ლ ი. ახლისათვის —ები, რომელიც ყველა ბრუნვებში ცვება და ძველისათვის ინ—სახელობისა და წოდებითში და თ—დანარჩენ ბრუნვებში, რომ გვაქვს მოქნედებითისა და ვნებითის გამოკლებით [4].

ვ-მდე დავიდა და ზოგან დაიკარგა კიდეც. მათ ადგილზე სახ. ან მოთხ. ბრუნვა გამოდის. სინტაქსური ძალაც გაუნელდა, მაგრამ რამდენადაც მრავლობითი რიცხვის ბრუნვებში და მბოლოობითის თანხმოვან ფუძიანების უმრავლესობაში და ხმოვნიანების ნაწილში დაცული გვაქვს, იმდენად დასატოვებელია. აქ უფრო შორს არის წასული ლათინური ენა· წოდებითი (Uocativus) I კლასის სახელების (a კლასი) ერთნაირია სახ. და წოდ. როგორო მხოლოობითის ისე მრავლობითისა. ასევე მეორე (O კლასი)—un-ზე დაბოლოვებული სახელები (საშვალ. სქ.) განსხვავებულია მბოლოთ მხ. რიცხვ. მამრ. სქესის —us,—er—is-ზე დაბოლოვებულნი.

მრავლობითი რიცხვის აქაც ერთნაირია ორივ. მესამე, მეოთხე და მეხუთეში სულ ერთნაირია სახელ. და წოდებ. ორივე რიცხვის, მაგრამ არ ამოუგდიათ ბრუნვათა რიგიდან.

[3]. ამ მოვლენის გარკვევა 22 გვერდზე, ბრუნვის ნიშნების ჩვენებასთან აჯობებდა. ის სხვადასხვა ადგილზეა და ნიშნიდან დაშორებით, რის გამოც ადვილად შეიძლება გამოეპაროს მკითხველს. დანარჩენ ბრუნვების შესახებ ქვემოთ.

[4]. მრავლობით რიცხვთა ამ მაწარმოებლების ამ გვარიეე გარჩევა კიდევ უფრო ვრცლად ძვ. ქართულის მიმართ აკად. ნ. მ ა რ რ ს აქვს **„Грамматика древнелитературного Грузинского языка. Ленинград—1925 წ. § 51 გვ. 34—§ 59, გვ. 39 მდე.**

სმყურადღებოა წიგნში მოცემული გარჩევა ხმოვან-ბოლოკიდურიან სახელთა შეკვეცილობისა და შეუკვეცელობის, მრავლობითსა და მხოლობითს რიცხვში. ახალ-მრავლობითი წარმოებით ორივე თანხმოვანთა ჯგუფში გადადიან, მაგრამ ერთი მათგანი (ე-ნიანი) არ იკვეცება და მეორე (ა-ნიანი) იკვეცება. ამის და კვალობაზე პირველი მრავლობით რიცხვში შეუკუმშავთა ჯგუფში გადადის; მეორე კი შეკუმშულთაში. მათი ამ გვარი გარჩევა ახალია და მნიშვნელოვანი (§ 33, გვ. 30, 25).

განსაკუთრებულათ მდგომი სახელები ცალკეა გამოყოფილი და ნაჩვენებია მათი თავისებურება ზოგიერთ ბრუნვაში (§ 36, გვ. 34) იქვე ნაჩვენებია—**ანა** და **არა**-ზე დათავებულ სამ და მეტ მარცვლოვნიან სახელთა თავისებურება ფუძის შეკუმშვისას. მასვე მიჰყვება დანარჩენ თავისებურების მქონე სახელთა ცალკე განხილვა. უსათუოთ მნიშვნელოვანია პირთა სახელების წარმოდგენილი შეფასება. დღემდე არსებულ ქართულს გრამატიკებში მიღებული იყო პირთა სახელები, როგორც სრული მორფოლოგიური ნიშნის მქონენი. ამის გამო არეული იყო მათი ბრუნვებაც. მათში რიცხვის ნიშნებსაც ხედავდნენ და **მე** მხოლობითისაგან ნაწარმოებათ მიაჩნდათ, **ჩვენ** მრავლობითად გაგებული სიტყვა. ასევე **შენ** და **თქვენ**-ის შესახებ. ავტორი უჩვენებს, რომ ესენი სხვადასხვა ძირიდან ნაწარმოები სიტყვებია და არ წარმოადგენენ საპირისპირო ფორმებს. **მე, შენ, ჩვენ, თქვენ** ფორმის მხრივ მხოლობითი რიცხვია. მათ არ აქვთ მრავლობითის ნიშანი და გრამატიკულად მრავლობითები ვერ იქნებიან (§ 37, გვ. 36—39). არ გამოჰპარვია **შენ, თქვენ** სახელების უნარო ფორმები. მას მოჰყვება მათი ბრუნვების ჩვენებაც (§ 44, გვ. 53). ნაჩვენებია ურთიერთობაც პირველ სახელების მითითებით სახელებთან ან (ცალკეც § 38 გვ. 39—41) და კითხვითი სახელები ბრუნვებითურთ (§ 39 გვ. 41—43) ნათლად არის წარმოდგენილი ნაწილაკ (**ვე, მე, ლა, ცა**), დართული სახელები და მათი ძველი და ახალი ტიპის წარმოებანი ბრუნვებითვე რასაც თითქმის დღემდე გვერდს უვლიდნენ სირთულის გამო[1].

[1]. ზოგადათ გარჩეულია სილ. ხუნდაძის მიერაც. იხ. მისი „ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“ ქუთაისი—1927 წ. გვ. 12.

მშვენივრადაა განხილული ... წარმოება. მაწარმოებელი ელემენტები თითქმის სრულად არის ნაჩვენები. დღემდე მხოლოთ თითო-ოროლას შესახებ არსებობდა გამოკვლევები ცალკე წერილებში, ნაჩვენებია სუფიქსების ორგვარობა მათი ფუნქციის მიხედვით. სუფიქსები ერთ ფუნქციისანი და ორისანი და სხვა (§ 49, გვ. 50—55) საგულისხმოა პირიელ ნიშნების შეხვედრის შესახებ დასმული საკითხი. აქ ძველი სათქმელი უნდა ყოფილიყო ესა და ეს ნიშანი შეხვედრის გამო დაიკარგაო და ამიტომაც სათანადო სიფრთხილით არის განხილული. უჩვენებს კი სად იყო ისინი მოსალოდნელი (იხ. § 70 გვ. 90; § 83 გვ. 97 - 99). არ არის დაციწყებული არც მრავლობითობის—თ დართვით მე-III პირის სუბიექტიური ნიშნის—ს დაკარგვის შემთხვევები (§ 78 გვ. 91 და წინ § 14 გვ. 14). კარგადაა იქვე წარმოდგენილი ბ ი ა ნ ი ფ ო რ მ ე ბ ი (§ 80 გვ. 93) და პ ი რ თ ა კ ო მ ბ ი ნ ა ც ი ე ბ ი. სუბიექტიურ-ობიექტიური პირების ორივე რიცხვის მიხედვით მოცემული 28 სხვადასხვა კომბინაცია ერთ-ერთ დროში სათანადო ცხრილით (გვ. 96).

აქვე იყო სასურველი ცხრილიდან ერთ-ერთი მაგალითი, (196 გვერდზე, 3-მე ცხრილი) რომელსაც ყველა კომბინაციები ეხერხება. წინ მოყვანილის 18-ტს არ აღემატება.

ნათლად არის განხილული ქ ც ე ვ ა (გვ. 104—113). 1926 წელს ქ ც ე ვ ა თ ა შესახებ პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე ს სპეციალური გამოკვლევა აქვს გამოქვეყნებული („ტ ფ ი ლ. უ—ნ ი ს „მ ო ა მ ბ ე“ VI,) მასში მცირეოდენი შესწორებაა შეტანილი. იქ ხუთი ქცევა იყო ნაჩვენები. აქ სამია დატოვებული. ს ა თ ა ნ ა ო და ს ა ზ ე დ ა ო ქ ც ე ვ ე ბ ი გამოტოვებულია, რადგან თავის საკუთარი ფორმები არ გააჩნდა[2]. ს ა თ ა ნ ა ო ქ ც ე ვ ა მთლოდ ფორმა ცვალებით მიილებოდა. რამდენადაც ქ ც ე ვ ა ს ი ტ ყ ვ ა-ც ვ ლ ი თ ი და არა ფორმაცვალებითი კატეგორიაა, იმდენად ეს ქ ც ე ვ ა უნდა ამოღებულიყო და ასეც მოხდა. მის შესახებ წინა გამოკვლევაშიც მერყეობდა ავტორი. მისი გამორიცხვის აუცილებლობის შესახებ წერდა დოც. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა[2].

[2]. პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე ს სათანადო შენიშვნა აქვს თავის წიგნია, დ ა მ ა ტ ე ბ ა-შ ე ს წ ო რ ე ბ ა ნ ში (გვ. 213). მისი თავაზიანად აღნიშვნისათვის მადლობა გვეთქმის ავტორისადმი.

კარგადაა განხილული ზმნის დროები. გარჩეულია ნამყოს ჯგუფი, თხრობითი კილოს 5 სხვადასხვა სახით. მნიშვნელოვანია მათი ნახულისა და უნახავის ჯგუფად დაყოფა (გვ. 123—124), რაიც ახალია, ზმნის ყველა კათეგორიების გზის განხილვასთან ერთად. ტერმინი გზა ძველ სასკოლო გრამატიკებშიც გვხვდება. მაგ.: მ. ჯანაშვილის „ქართ. გრამატიკის“ 55 გვერდზე ა. ორისტისა და ნამყო-უწყვეტელის ან ხოლმეობითის მნიშვნელობით. აქ კი გზა გვიჩვენებს მოქმედების ჩადენის სახეს. მაგ.: მოჰკლა და მოაკვლევინა, ესენი არც სემასიურად არის ერთი და იგივე (მოქმედების თვალსაზრისით) და არც შედგენილობის (ბგერობრივის) მხრივ. მისი საშუალებით მოქმედების ჩადენის მიხედვით უშუალოთ და შუალობით შესრულებულად ჯგუფდება ზმნები (იხ. § 124 გვ. 132—135). მათი განსხვავებულათ წარმოდგენა მნიშვნელოვანია და „გზა“ ტერმინი უდგება მას. ზმნის ამ გვარი დაფასების გადმოსაცემათ შესაფერისია და აგრეთვე შეიძლება პირდაპირ ითარგმნოს კიდეც. ასეთი რამ ზოგიერთ სხვა ენებსაც ახასიათებს რაიც გარჩეული არა აქვსთ.

გარჩეულია წიგნში თემა და ფუძე (გვ. 138) და ახალია აქ თემაზე დართული ხასიათის გამოყოფა. (§§ 141—148 და 149) იშვე ნაჩვენებია ენებით ფუძესთან მათი იშვიათობა და ა-ნის ი-ნით შენაცვლება. მნიშვნელოვანია ტერმინის ინვერსიის შემოღება, როგორც ადგილზე მოხმარებულის (გვ. 154). წიგნს არც ის ჩაეთვლება ნაკლად, რომ არ არის დატვირთული პარადიგმებით. მართალია ბევრს წიგნის შესწავლას გაუადვილებდა, მაგრამ წიგნს დაამძიმებდა და მას დღეს არც ლინგვისტიკური აზროვნება ამართლებს.

3. წიგნის ნაჩვენებ მრავალ დადებით მხარესთან ერთად აუცილებელია შეეხოთ მის ნაკლოვანებებსაც.

პროფ. ა. შანიძე სიამოვნებით ივონებს ქართული ენისადმი ევროპაში აღძრულ ინტერესს (გვ. VIII) და ისენიებს პრივატ-დოცენტ G. Deeters-ს, ქართული ზმნის შესახებ დაწერილ წიგნის ავტორს. სამწუხაროა, რომ იქ არსად ისენიება ამ ინტერესის აღმძვრელის და ქართული ენისადმი ყველაზე [illegible] მცოდნე მეცნიერი აკად. ნ. მარრი.

ავტორის მიერ უფორმო სიტყვების უგულველყოფა, უმართებულია; უმართებულია, რადგან არსაიდან მოველით დღეს, რომ იგი განხილული იქნება. მართალია სინტაქსური ძალისანი, არიან მაგრამ მორფოლოგიაში მათი განხილვა უფრო კარგი იყო. ფორმიანი სიტყვები როგორც მორფოლოგიის უშუალო საგანი განხილულია და ნაჩვენებია ბრუნვების მხოლოდ ძირითადი ნიშნები. სახ. ბრუნვის ნიშანი არის—ი, რამდენჯერმე მეორდება წიგნში. ამას წინედაც ასე გამოჰყოფდენ. კვლავ მისი უცვლელად განმეორება შეცდომაა. ხმოვან ფუძიან სახელებს იგი არ გააჩნია. ჰქონდათ ჲ-ს თუ სხვა გზით დაჰკარგეს. არც მრავალ თანხმოვან ფუძიან საკუთარ სახელებს აქვსთ. რომ არ აქვსთ ავღნიშნოთ უნდა, რადგან ნიშანი მისთვის უნიშნობაა. ავღნიშნოთ 0 (ნოლით). აგრეთვე—ჲ არის შესაძლებელი დაეუმატოთ იმდენად, რამდენადაც სალიტერატურო ქართული კილოებით ცხოვრობს და კილოებს იგი გააჩნია და ამდენად ცოცხალ ქართულშიაც გვხვდება. მაშ სახ. ბრუნვის ნიშანი იქნება—ი>ჲ>0; იგი შეიძლება ითქვას წოდებითი ბრუნვის შესახებაც. ნაჩვენებია ძირითადში ო, როცა გვაქვს მისი დავიწროებული სახე—ვ და აგრეთვე სახელები, რომლებსაც იგი არ გააჩნია. მაშასადამე წოდ. ბრუნვის ნიშნად უნდა ვუჩვენოთ—ო>ვ>0;

მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად ნაჩვენებია—მა. დღეს თითქმის ყველა ხმოვანზე დაბოლოვებული სახელები—მ-ს გვიჩვენებენ მოთხ. ბრუნვის ნიშნად, ამდენად—მა-ს პარალელურად—მ უნდა ყოფილიყო ნაჩვენები და ისიც, რომ—მა, ნანის მეორადია და—მ, მა-საგან მიღებული, ე. ი. ნიშნად უნდა ეჩვენებინა—მა>მ<მან; [1].

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად ნაჩვენებია—ის, როცა ხშირად ბოლო უკვეცელ ხმოვან ფუძიან სახელებში—ს-ი გვაქვს წარმოდგენილი. აქ მნიშვნელოვანია ავტორის მიერ ნათეს. ბრუნვის ნიშნის—ის, სი-საგან გარჩევა [2] (გვ. 33,30).—სი

[2]. იხ. არნ. ჩიქობავა: „რა თავისებურებები ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? II“. ჟურნ. „ახალ სკოლისაკენ“ № 9—10, 1929 წ. გვ. 62 შენიშ. მეორე.

[1]. ასევე აქვს ხმარებული მ. ჯანაშვილსაც (მისი „ქართ. გრამატ.“ გვ. 16) და ხმარობს დოც. ა. ჩიქობავა, (იხ. მისი წერილი ჟურნ. „კულტურული აღმშენებლობის“ გვ. 730, 25-ზე, № 7—8, 1930 წლის);

[2]. წინა ქართულს გრამატიკებში „შოთასი“ და „შოთას“ ორივე ნათესაობით ბრუნვად იყო გაგებული. მაგ. ს. ხუნდაძე წერს:

ნათ. ბრუნვის ფორმად ვერ ჩაითვლება, თუმცა ნათეს. ბრუნვისაგანაა ალებული მისი ფუძე და ი-ნი დაერთვის,—ის-(ა)-ს პარალელურად—ს(ა)-ც უნდა ყოფილიყო ნაჩვენები.

მოქმ. ბრ. ნიშნად ნაჩვენები აქვს—ით და შემდეგ ცალკე შენიშვნაში—თი-ც მოქმედებითად არის გამოცხადებული მაგალითებით: იგივეთი, იმავეთი და სხვა (§ 40 გვ. 43. 44); თუ თი-ც მოქმ. ბრუნვის ნიშანი იყო—ით-ს პარალელურად ისიც უნდა ეჩვენებინა ნიშნად, რომ მოქმ. ბრუნვად მიაჩნია 32 გვერდის, როგორც პირველ სტრიქონებიდან ისე შენიშვნებიდან ჩანს გარკვევით (მაგალითებით: შოთათი. პეტრეთი და სხვ.) მაშასადამე აქ ძველი გაგებაა დატოვებული იმ გაგებით, რომ—ი შემდეგ დართულად მიაჩნია—თი-ზე. დოც. ვ. თოფურია ეხება ამ ბრუნვის საკითხსაც ზემოთ ნათ. ბრუნვის შესახებ დასახელებულ წერილში.—ი, მასაც დანართად მიაჩნია, რაც მართებულია. „თუ გვსდება დაბოლოება სი ან—თი, ჩვენ ვამბობთ:—სი და თი იშლება—ს-ი, თ-ი, პირველი—ს ნათ. ბრუნვის ნიშანია. ხოლო—ი სახელობითისა. ხოლო—თ მოქმ. ბრ. გამომხატველია.—ი კი სახ. ბრუნვის მაჩვენებელი არ არის. (ხსენებული წერილის გვ. 55₈ (473) ე. ი. ი დართული—ით-ზე არც მას მიაჩნია სახელობითად. ჩვენ ვამბობთ: შოთათი, პეტრეთი, რაღათი და სხვა მისთანანი, მოქმ. ბრუნვად გამოვაცხადოთ უმართებულოა. იგი უფრო მოქმედებითი ბრუნვისაგან ნაწარმოები სახელობითია (შოთათ-ი, პეტრეთ-ი და სხვა), ოღონდ დამთავრებული არ არის მისი გასახელობითების პროცესი. რაღათის მოქმ. ფორმა (ეგეთ resp. რელეთ>რელეთ) ან თუ გინდ მაღლათის მაღლაით ვაყას თქმაში:

„მთანი მაღლაით დასცქერდნენ
ღრმა ფიქრით შაბურულიყვნენ

აქ ისევე მოქმედებითია, როგორც ნათ. შოთაის-ში „შოთაის[1] სულის ლხენამა“ ვაყას—აკაკის საიუბილეოდ) ან კიდევ ფორმა დაგვნათოის-ში (ვაყასვე):

„მთვარე ჯერ კიდევ არსად სჩანს,
არ დაგვნათოის თავზედა“ ან კიდევ მაღლაით-ის შეკვეცილი მოქმ. ფორმა მაღლით

„რად არ ასწავლის „სიმაღლეს“
ამაყად მაღლით ცქერასა?“ (ვაყასვე).

რაც შეეხება—თი მაშასადამე არ იქნება იგივე მოქმედებითი, რაიც—ით-თ გვაქვს მოცემული. მაგალ: საღამოთი:

„ამ ადგილს ბულბული უმღერს
საღამოთი და დილითა“ (ვაყასვე)

რომელიმე ბრუნვაში დასმული სახელის სახ. ბრუნვის ფუძეთ გამოყენების შემთხვევები სხვაც გვაქვს ქართულში გარდა ნათესაობითისა. მაგ. ბრუნვის „წვად“ და მისგან ნაწარმოები სახ. წვადი სიტყვა „წვა“-საგან, და სხვა მისთანანი: ხარშვადი, დრეკადი, ლპობადი, გრძნობადი, რომლებიც ჩვეულებრივ იბრუნვებიან. მოქმედებითიდანაც ხომ გვაქვს ასეთივე შემთხვევები. მაგ. სახ. შემთხვევა, მოქმ. შემთხვევით, სახ. შემთხვევითი; სახ. გრძნობა, მოქმ. გრძნობით და მისგან სახ. გრძნობითი. მაშასადამე—თი-ზე დაბოლოებული სახელები, როგორც ეს პროფ. ა. შანიძეს და დღევანდლამდე სხვებსაც ჰქონიათ მოქმ. ბრუნვის არ არიან. ისინი ვერ იყენებენ იმ ნაწილაკებსაც, რომლებიც მოქმ. ბრუნვას ეხერხება. ის სახელობითია, ოღონდ ჯერ მათი მთლიანად გასახელობითების პროცესი არ არის დასრულებული. ის რაც მოქმ. ბრუნვის ნიშნებად ვსცანით იქნება—ით(ა)>თ (ა) და ეს ორივე უნდა ყოფილიყო ნაჩვენები.

დამატებითი გრუნვათა ნიშნების შესახებ რაც აქ ვსთქვით ნაწილობრივ მოცემული აქვს ავტორს ცალკე შენიშვნებში (§§ 32, 34-ში და სხვებში), მაგრამ არც ამ შენიშვნაში მოცემული არის იქ ნაჩვენები სადაც უნდა იყოს ეს, § 24, 22

„მხოლოობითი რიცხვის ნათ. ბრუნვას ორნაირი დაბოლოება აქვს:—ის და—სი (მისი „ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“. ქუთაისი 1927 წ. გვ. 8, 25. ან მისივე „ქართულის გრამატიკა“ გვ. 9). ასეთივეა ნიკოლაიშვილის გაგებაც (ი. ნიკოლაიშვილი „ქართ. ენ. გრამ.“ 86—87). პროფ. ა. შანიძის დაგვარი გაგება აქვს წამოყენებული დოც. ვ. თოფურიას (იხ. მისი წერილი „ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებანი“ ჟურნ. „ახალ სკოლისაკენ“ № 7—8, 1920 წ. გვ. 50—55) რომელმაც წერილობით უფრო ადრე გამოაქვეყნა ეს. პროფ. ა. შანიძეც წინადაც ამ აზრს იცავდა თავის საუნივერსიტეტო კურსშიც.

[1]. გვაგონდება აქედან ნაწარმოები სახელობითი, ამავე გრამატიკის ავტორის ლექსიდან: „იმედს მაინც არ ვჰკარგავდით,—სული გვახლდა შოთაისი“.

გვერდზე წარმოდგენილ ბრუნვის ნიშნებს დამატებით ნაჩვენები ბრუნვათა ნიშნები უნდა შეუერთდეს და პირველ შეხედვისთანავე უნდა ჩნდეს სრულად, როგორც ბრუნვათა ძირითადი ნიშნები ისე მათი სხვადასხვა სახე. ვურეენოთ აქვე ხშირად დანართ—ა ელემენტითვე.

ბრუნვები.	ნაჩვენები აქვს ბრუნვის ნიშნები:	უნდა იყოს [1]
1. სახელობითი	—ი	—ი>ø,—0
2. წოდებითი	—ო	—ო>ø, —0.
3. მოთხრობითი	—მა	—მა>მ(<მან)
4. მიცემითი	—ს	—ს(ა)>(0)
5. ნათესაობითი	—ის	—ის(ა)>ს(ა)
6. მოქმედებითი	—ით	—ით>(ა)თ(ა
7. ვნებითი	—(ა)დ	—ად(ა)>დ(ა

პირველშივე ამგვარი სისრულით ჩვენების შემდეგ შესაძლებელია მეორადი ნიშნების შესახებ ცალკე მსჯელობაც, როგორც პროფ. ა. შანიძე შვრება ამას, რადგან თავიდანვე გვაქვს გათვალისწინებული ძირითადი და მისი მეორადი ნიშნები. პროფ. ა. შანიძის მიერ თავში ბრუნვის ნიშნების ჩვენებისას წარმოდგენილი სქემა უსრულოა, რადგან იგი არ გვხვდება მხოლოდ იმ სახით ყველგან და მის გვერდით ჩვენს მიერ მიწერილი ნიშნები იჩენენ თავს.

როგორც წინ ვსთქვით მოცემულია ახალი ბრუნვათა დალაგება, აგებული მხოლობითი რიცხვის ფუძის კუმშვიდობის [2] პრინციპზე; ასევე თავვე დალაგება აქვს [illegible] ბილსაც თავის ხსენებულ [illegible] განსხვავდება წოდებითი ბრუნვის გამოტოვებით. ავტორი შენიშნავს წიგნის ბოლოში „ვსარგებლობდი პროფ. ა. შანიძის ზეპირი ლექციებითო; აქედან ნათელია ეს დალაგება პროფ. ა. შანიძეს ეკუთვნის. ახალია ასეთი დალაგება, მაგრამ რამდენადაც პრინციპი ბოლომდე ვერაა გატარებული, იმდენად დასრულებულად ვერ ჩაითვლება. ბრუნვათა რიგის შეცვლის აუცილებლობის შესახებ ქართულში დოც. ა. ჩიქობავა წერდა [3], რომლის მიერაც წარმოდგენილ, ბრუნვათა დალაგებას საფუძველათ პროფ. ა. შანიძის ბრუნვათა დალაგების პრინციპი უძევს, ოღონ იგი ბოლომდეა მიყვანილი. ასეთი დალაგება სწორია. ეს პრინციპი იმდენად მნიშვნელოვანია ქართულისათვის, რომ სახელები იყოფიან კლასებათ, ბრუნვის ნიშანთა მიერ სხვადასხვაგვარი მოპყრობით ფუძისადმი. ამ ორის დალაგებას შორის განსხვავება შემდეგშია. დოც. ა. ჩიქობავა არ ხმარობს წოდებითს და ვნებითი გადასმულია მიცემითსა და ნათესაობითს შორის, რითაც ხერხდება კუმშვად ფუძეების ერთად თავმოყრა და აგრეთვე თავს იყრის ერთად ბოლო-კიდურ ხმოვან-კუმშვადები. ე. ი. ხსენებულ ერთი ბრუნვის ადგილის გადანაცვლებით ხერხდება ფუძე-კუმშვადი და ბოლოკიდურ ხმოვან-კუმშვადი სახელების ერთად თავმოყრა მეორის დალაგების სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ ბოლო-უკვეცელთა კლასი ბოლოკვეცილთაგან, მარტოოდენ ამ ორ ბრუნვაში განსხვავდებიან.

პროფ. ა. შანიძე ფუძეში მომხდარ ცვლილებებს ატანს ყურადღებას. დოც. ა. ჩიქობავა კი უმატებს ბოლო-კიდურ ხმოვნის კვეცილობას. ხმოვან-ბოლოკიდერი ხმოვნიანთა კლასში რაკი ფუძისეულია, ფუძე შეკუმშულ ბრუნვათა უდაბლესი რიცხვი ორი ყოფილა და მეორეს დალაგებით ორივე ბოლოში ექცევა. ამდენად განსხვავება ხმოვან-ფუძიანებში მხოლობითის მხო-

[1]. მიც. ბრუნვის ნიშნის—ს(ა)-ს გვერდით 0 (ნოლს) იმიტომ ვსვამთ, რომ იგი იკარგება ხშირად მრავლობით რიცხვში, მრავლობითის ნარ-თანიანი წარმოების დროს. აგრეთვე—ს-ზე დაბოლოებულ სახელებში. ასეთ შემთხვევაში, როცა ბრუნვის ნიშნის მგზავს ხმით ბოლოვდება სახელი დანარჩენი ნიშნებიც იკვეცება მაგ.: სამი მოთხ. სამმა>სამა, მაგრამ მათი იშვიათობის გამო ცხრილში ვერ შევა.

[2] ფუძის კუმშვიდობასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას—ფუძე უკუმშველ კალასში შეტანილია მაგალითი „ლურჯა“ (§ 29 გვ. 26) ებ-იან მრავლობითის ქვეშ ფორმით „ლ ურ ჯ ა ე ბ ი“ და ბრუნვებში დაცულია უკუმშველად რაიც მხოლოთ წარმოდგენით შეიძლება (თეორიულად) ანალოგიით უკუმშველ სახელების; ყრუ-ყრუების, ბრუ-ბრუების ცრუ-ცრუების და სხვების. ისე კი შეკუმშვით იხმარება „ლ უ რ ჯ ე ბ ი“ ისევე როგორც: და—დები, ძმა-ძმები, მამამები და სხვა. ებიან მრავლობითში—ა-ზე დაბოლოვებულმა სახელებმა, იშვიათად, რომ უკუმშველნი დარჩნენ. მაგალითი გამოუსადეგარია.

[3]. იხ. მისი წერილი „რ ა ტ ო მ ა რ ი ს ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ბ რ უ ნ ვ ა თ ა რ ი გ ი ს შ ე ც ვ ლ ა ქ ა რ თ უ ლ შ ი?“ ჟურნ. „ა ხ ა ლ ს კ ო ლ ი ს ა კ ე ნ“ № 3' 1928 წ. გვ. 29 (161)—39 (171);

ლოდ ორს ბრუნვაშია და ერთი მეორეს მომდევნო ადგილი უნდა ეჭიროს, რაც უკანასკნელში ასეც არის. ვნახოთ მაგალითზე:

I-ელის დალაგებით.

1. სახელობითი როკოტანა.
2. წოდებითი როკოტანავ.
3. მოთხრობითი როკოტანამ (ა);
4. მიცემითი როკოტანას(ა);
5. ნათესაობითი რ ო კ ო ტ (ა) ნ ი ს (ა);
6. მოქმედებითი რ ო კ ო ტ (ა) ნ ი თ (ა);
7. ვნებითი რ ო კ ო ტ (ა) ნ ა დ (ა);

II-რეს დალაგებით [1].

1 სახელობითი როკოტანა;
2. მოთხრობითი როკოტანამ(ა);
3. მიცემითი როკოტანას(ა);
4. ვნებითი რ ო კ ო ტ (ა) ნ ა დ (ა);
5. ნათესაობითი რ ო კ ო ტ (ა) ნ ი ს (ა);
6. მოქმედებითი რ ო კ ო ტ (ა) ნ ი თ (ა).

როგორც ვხედავთ მეორე ეფრო სწორია და ამდენად არც გვერდ ასავლელი იყო ასეთი დალაგება.

სახელების დაყოფა, როგორც წინ ვთქვით: არსობით, საკუთარ, ზედსართავ და სხვათ ფორმალურ გრამატიკისათვის არც იყო საჭირო. ზედსართავ სახელების ცალკე გამოყოფა იმიტომ რომ შესიტყვებაში არსობითი სახელები ბრუნვის ნიშნებს უფრო სრულად წარმოგვიდგენს ვიდრე ზედსართავები—უმართებულოა. (ამის მიხედვით, რომ გამოჰყო სჩანს § 26 გვ. 24-ზე და ზედსართავებისათვის სპეციალურ 49 გვერდზე) იგი ფორმალურად არაფლით განსხვავდება არსობითისაგან. მათში გარდაუვალი ზღვარი არ არსებობს, ერთი და იგივე სახელი შეიძლება არსობითადაც ვიხმაროთ და ზედსართავადაც" (ამბობს თავად § 26 გვ. 24,36). თუ გავითვალისწინებთ შესიტყვებაში ფონეტიკურ ნიადაგზე მომხდარ ცელილებანს მათი გაერთიანებისათვის კიდევ მეტი საფუძველი გვექნება,

[1]. ასეთსავე დალაგებას ხმარობს დოც. ვ. თ ო ფ ო ო ი ა. ოლონდ ვნებით-ს, მიმართულებით-ს უწოდებს. ძველი ქართულის შესახებ გამოკვლევაში დოც. ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ც მიმართულებითს ხმარობს. ასევე ი. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი ც, რასაც ნაწილობრივ გამართლებაც მოეპოვება.

მაგ.; „ვიყიდი ერთ ულელ ხარს" „ერთ ულელ" ავტორისათვის ზედსართავებია, რადგან მათ არა აქვთ ბრუნვის ნიშნები. „სახელთა ფლექსიის საჭიროება ნაკლებია და შეიძლება მოიკვეთოს ნაწილობრივ ან სავსებითაც კი" (გვ. 24,25). რომ ვსთქვათ ცალკე „ვიყიდი ერთს" ან „ვიყიდი ულელს" აქ არსობითებია. რაღა დაეშავა ამავე სიტყვებმა სხვაგვარ წესიტყვებაში?! ამ თვალსაზრისით კომპოზიტ სიტყვების პირველი ნაწილი ან ნაწილები ყველა ზედსართავები გამოვა. რაც შეეხება იმ ზედსართავებს, რომლებიც ბრუნვის ნიშნებს ვერ იჩენენ, ვერც მათ დაეთმობა ცალკე კლასი. შესიტყვებაში სინტაქსი გაარჩევს მათ. ფორმალურად არსობითისაგან არაფრით განსხვავდება. უნიშნობის გამო შეგვიძლია ვუწოდოთ რ წ ფ ე ლ ო ბ ი თ ბრუნვაში დასმული გინდ სხვა სახელი.

რაც შეეხება სახელებს: ეს, ეგ, ის, (იგი) თავისი მეორე ფორმებით ეს-ამ, ეგ-მაგ, ის-(იგი) „ჩვენებით სახელები" რაღა [ზედსართავებია?! დარჩება ჩვეულებრივ სახელებში. რომელ ბრუნვას მოითხოვს მასთან სახელები, (რასაც ავტორი მიუთითებს § 42a გვ. 51,6) სინტაქსისათვის უნდა გადაიდვას.

ფორმალ ნიადაგზე მდგომისათვის საქმე მარტივადაა; ერთი მხრივ სახელები ფორმიანი (ბრუნვადი) და უფორმო, მეორეს მხრივ ზმნები (უღვლილებადი). მეტადრე ზედსართავების გამოყოფა ხომ ფორმა ცვალების თვალსაზრისით არ არის, გამოყოფილია შინაარსის თვალსაზრისით. მას ფორმა კვეცილობას ამოფარება ვერ დაიცავს. სახელთა იმ გვარი დაყოფა, რომელიც ძველ სასკოლო გრამატიკებში იყო და ახლა პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე იმეორებს, როგორც წინ ვთქვით წმინდა მორფოლოგიური თვალსაზრისით რომ არ არის იქიდანაც ჩანს, რომ ერთი და იგივე სიტყვა ხან არსობითია, ხან ზედსართავი და ხან კიდევ სხვაა.

პირთა სახელების განხილვა გამოყოფილია და მიქცეული აქვს ყურადღება „ჩ ვ ე ნ" სიტყვას ალებულია მნიშვნელობით და უდრის მე მიმატებული ვიღაც ან რაღაცო (§ 37 გვ. 36,10); გავიწყებულია, რომ სიტყვა „ჩვენ" მნიშვნელობით უდრის მე-ს, ან კიდევ ჩ ვ ე ნ ი ჩ ე მ-ს. „მოწიწებით" საუბრის დროს მე-ს ნაცვლად ჩ ვ ე ნ და ჩ ე მ ი ს ნაცვლად ჩ ვ ე ნ ი—ამბობს პირველი პირი, მაგ.: „ჩვენ ვფიქრობთ" აქ ბშირად „მე" უდრის „ჩვენ"-ს. აგრეთვე წიგნებში, რომ სწერენ „ხაზი ჩ ვ ე ნ ი ა" უდრის „ხაზი ჩ ე მ ი ა"-ს.

სიტყვა წარმოების განხილვის დროს ვერ არის ნაჩვენები, რომ სუფიქსების სიტყვაზე დართვა ფუძეში ხშირად ცვლილებას ახდენს, ფუძისეულ ხმოვანს ამოაგდებს სოლმე, რაიც გავრცელებული მოვლენაა. მაგ.: სუფიქსს ურ-ის დართვით მ ხ ა ტ ვ ა რ ი იქნება (ძხატავრული> მხატრული (* მხატვარული) ხანჯალი, ხანჯლური, ან სხვით: თამარა თამრიკო და სხვა რამდენიც გნებავთ. ე. ი. სუფიქსების ფუძისადმი მოპყრობაზე ყურადღების მოქცევა საჭირო იყო, რაიც წიგნში არ არის.

—ე ულ სუფიქსის შესახებ ნათქვამია: აღნიშნავს ჯიშს და წარმოშობასო (§ 50 გვ. 50) უნდა დაემატოს, რომ იგივე თვისებაჩაც აღნიშნავს ხშირათ. მაგ.: ღირსეული, ბადარეული და სხვა. სრულიათ გამორჩენილია ტოპონიმიკაში გავრცელებული სუფიქსი—ათ. მაგ.: ჩოჩხათი, ბურნათი, გვაბრათი (სოფლებია გურიაში), თეკლათი და სხვა. რა წარმოშობისაა ეს სხვა საქმეა გავრცელებულია კი.

წიგნის მე-III ნაწილი იწყება ზმნებით. იქ წარმოდგენილი ზმნის განსაზღვრება არაა განსაზღვრება. ავტორი წერს: „ზ მ ნ ა ა რ ი ს ფ ო რ მ ა ც ვ ა ლ ებ ა დ ი სიტ ყ ვ ა, რ ო მ ელ-ს ა ც შ ე ი ძ ლ ებ ა შ ე მ დ ე გ ი კ ა ტ ე გ ო რ ი-ებ ი ჰ ქ ო ნ დ ეს: რ ი ც ხ ვ ი, პ ი რ ი, ქ ც ე ვ ა, გ ვ ა რ ი, დ რ ო, კ ი ლ ო, ა ს პ ე ქ ტ ი დ ა გ ზ ა. ა მ ა თ გ ა ნ ქ ც ე ვ ა დ ა კ ი ლ ო ი ს ე თ ზ მ ნ ა ს ა ქ ვ ს, რ ო მ ელ ს ა ც პ ი რ ი ც ა ქ ვ ს. დ ა-ნ ა რ ჩ ე ნ ი კ ა ტ ე გ ო რ ი ებ ი კ ი (რ ი ც ხ ვ ი გ ვ ა რ ი, დ რ ო, ა ს პ ე ქ ტ ი დ ა გ ზ ა) შ ე ი ძ-ლ ებ ა პ ი რ ვ ე ლ ზ მ ნ ა ს ა ც მ ო ე პ ო ვ ებ ო-დ ეს დ ა უ პ ი რ ო ს ა ც“. (§ 58 გვ. 71,[11]; ბაზი ჩვენია. ი. მ.). როგორც ჰხედავთ კონკრეტიულს არაფერს წარმოადგენს. ზმნის ნიშნად პირველ ადგილზე დასკუპებულია „რ ი ც ხ ვ ი“ მართალია პირველ და უპირო ზმნას ორივეს გააჩნია, მაგრამ ზმნის სახელისაგან გამოსაყოფ ნიშნად არ გამოდგება, რადგან იგი სახელსაც გააჩნია (კაცი, კაცები) ეს ავტორსაც მოეხსენება, მაგრამ მაინც პირველ ადგილზეა დასკუპებული. მეორეც და არის ისეთი ზმნები, რომლებსაც მრავალობითი რიცხვი არ აქვსთ (წვიმს, თოვს, იდრის, ელვრება). მაშასადამე სხვაობის ნიშნად სახელსა და ზმნას შორის რ ი ც ხ ვ ი ს დასმა შეუძლებელია. მოცემული განმარტება ასეთია, რომ ვინმემ სთქვას რა არის კაცი? და უპასუხონ—არსება, რომელსაც აქვს: ყური, თვალი. ცხვირი აზროვნება და სხვა. ზმნას განსაზღვრავენ შ ლ ა ი ხ ე რ ი დ ა ნ მოყოლებული სწორედ პირის მიხედვით, მაგრამ რადგან პროფ. ა. შ ა ნ ი-ძ ი ს ა თ ვ ი ს პირი არ არის ზმნის განსაზღვრისათვის მთავარი და სხვა ზმნური ნიშნების მიხედვით (რომლებიც შინაარსეულ ნიუანსების გამო შედიან) გამოიყო პ ი რ ი ე ლ ი და ე პ ი-რ ო ზ მ ნ ე ბ ი. „პირიელი ზმნის მიმოხვრა უ ღ ვ ლ ი-ლ ებ ა ს წარმოადგენს, უპიროსი კი ბ რ უ ნ ე-ბ ა ს“ (იქვე) ე. ი. უპირო ზმნა სახელიც არის და ზმნაც. ამიტომ ს ა ხ ე ლ ზ მ ნ ა[1] ეწოდება, „რიდგან ერთი ნიშნის მიხედვით იგი ს ა ხ ე ლ ი ა, მაგრამ სხვა ნიშნის მიხედვით ზმნა“ (§ 58 გვ. 71,[10]) აქ კვალი წაზლილია სახელსა და ზმნას შორის. „ყოველი სიტყვა, რომელიც იუღვლის ზმნაა. მაგრამ ზმნა უფრო ფართო ცნებაა ვიდრე უღვლილებადი სიტყვა: ყოველი ზმნა როდი იუღვლის, იგი შეიძლება იბრუნებოდეს კიდეც (§ 22 გვ. 20) ამის მიხედვით მ ი მ ღ ო ბ ა ნ ი, რომელიც ცალკე ვნახეთ გამოყოფილი სახელი და ზმნაა. ეირითადში, რომელს ეკუთვნის?! წიგნში ეს არ სჩანს. საერთოდ ს ა ხ ე ლ ზ მ ნ ა ავტორს გარკვეულ ადგილზე არ აქვს მოთავსებული. მათი გამოყოფა მორფოლოგიური ნიშნის მიხედვით არ ხდება. ჩვენ არ ვხედავთ გარდაუვალ კვალს სახელსა და ზმნას შორის. ყოველი ზმნისაგან ს ა ხ ე ლ ი ს მიღება შეიძლება და თითქმის უმრავლეს სახელებისაგან ზ მ ნ ი ს, მაგრამ საზღვარი მაინც არის რაღაც მათ შორის და ეს უნდა დაიდოს. ამ გადასვლის დროს ხდება სიტყვის ახლად წარმოება, მორფოლოგიური ნიშნები ან ეძატება ან აკლდება და შინაარსეულ კავშირთან ეს გათვალისწინებული უნდა იქნეს.

---

[1]. ს ა ხ ე ლ - ზ მ ნ ა (ბასდარი, ინფინიტივი) ქართულში ახალი არ არის, ჩვენში ხმარობდა მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი (მისი „ქართ. გრამატ.“ გვ. 73) ი. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი („ქართ. ენ. გრამ.“ გვ. 29) და სხვები თითქმის ამავე გაგებით. ისინი ს ა ხ ე ლ - ზ მ ნ ა ს მოქმედების აღნიშვნის მიხედვით უცქერდენ, აქ კი ზმნური ნიშნით და საპირისპირო ფორმით. საკითხი იქაც შინაარსით წყდებოდა და აქაც. დოც. ვ. თ ო ფ ო ვ ი ა ნ ,ი. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ს საბართლიანად დაუწერა—„შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს სახელიც იყოს და ზმნაც“. (იგულისხმება—ს ა ხ ე ლ - ზ მ ნ ა) იგი მხოლოდ სახელია“. (იხ. ჟურნალი „ახალ სკოლისაკენ“ № 3, 1928 წ. გვ. 191,[22]).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელ-ზმნას ორ გვარს ანსხვავებს ავტორი: საწყისსა და მიმღეობას (§ 172 გვ. 184), როგორც წინ ვთქვით მიმღეობა იგივე სახელია (თუმცა წარმოებით განსხვავდება სახელისაგან) სახელზმნის ამის მიხედვით დაყოფა უსაფუძველოა.

საკითხი უპირო ზმნების შესახებ საერთოდ სადავოა. მისი გამოყოფა უადგილო არ იყოს შეიძლება, მაგრამ მეტი დასაბუთება სჭირია. ავტორის სასარგებლოდ შეიძლება დავემატოთ, რომ სახელზმნები იგუებენ პრევერბებს ე. ი. იმას რასაც პირიელ ზმნებისაგან გამოვყოფდით ზმნის-წინის სახელწოდებით. ეს ნათელია „მიმღეობად" წოდებულ სახელებში და თითქმის ამავე ფუნქციისანი არიან. (ბაგ.: სახ. ყველა-საგან ზმნის-წინით და-ყვლული, მოყველული, წა-ყვლული და სხვა.) „არსებით" სახელათ წოდებული მოკლებულია ამ უნარს, მაგრამ არც ეს კმარა. ფონს ვერც მით გავალთ, რომ ვთქვათ სახელზმნას სინტაქსური ძალა აქვს და სახელს ისევე შეიწყობს, როგორც პირიანი ზმნები. ავტორის მაგალითი (184 შენიშ.) ხანჯლით დაეჭერი, ხანჯლით დაჭრილმა, ხანჯლით დასაჭრელმა. მართალია აქ ხანჯლით არ იცვლება და ყველას ერთგვარად შეეწყო მაგრამ, რატომ აეცილებლათ წინადადებაში მოცემულ სიტყვებთან უბადა ვიგულისხმოთ იგი შეწყობილად, როცა აზრი დაუსრულებელია?! პირველში დასრულებულია აზრი. აქ უდავოა ხანჯლით შეწყობილია დავეერისთან, მაგრამ შემდეგ მაგალითებში ჩნდება კითხვა „ხანჯლით დაჭრილმ." რა ჰქნა? და როცა პასუხი გაიცემა მაგალითად „ამოიკვნესა" აი ეს პირიანი ზმნა იწყობს მას. მაშასადამე საჭიროა ამხრივაც ანვარიშის გაწევა ასეთ უსრულ წინადადებაში სიტყვის ფორმის განპილვის დროს.

პირიანი ზმნები კარგადაა განხილული. პირიელ ნიშნების შესახებ ჩამოყალიბებული წარმოდგენა ამ წიგნის ავტორის მიერაა გამომუშავებული წიგნით: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში" (ტფილისი 1920 წ.) სადაც განხილულია არა მარტო S_2-სა და O_3-ის [1] საკითხი არამედ ზმნის ყველა პირები. ეს ნაშრომი, პირებისა S-ად და O-ად აკად. ნ. მარრს ეკუთვნის, მაგრამ პროფ. ა. შანიძემ უფრო ზედმიწევნილობით განსაზღვრა სპეციალურად განხილვის გამო და გაარჩია ზმნის O ნიშნების ორგვაროობა, მასთან ზმნის გარდამავლობის დაკავშირებით და ეს გარდამავლობა განსაზღვრა, ოღონდ რამდენადაც ეს ამ წიგნის გამოსვლამდე მოხდა, იმდენად ამ წიგნის დამსახურებას არ მიეწერება. აქ ახალია გარჩევა გარეგანი და შინაგანი ობიექტისა, დამყარებული ზმნაში ნიშნის გაჩენაზე. აგრეთვე გარჩეულია პირდაპირი და ირიბი მიმართების სახეები O_3-მის შესახებ მიმართება ცალმაგი და ორმაგი. თუმცა O_2-მე უმთავრესად ირიბ მიმართებაშია მუდამ. მცირე შენიშვნები ამ ნაწილის შესახებაც აუცილებელია.

წიგნში ნაჩვენებია, რომ S_1 ნიშანი არის ვ და მის შესახებ შენიშნავს, როდის იკარგება იგი (§ 73 გვ. 83 შნშ.) გამორჩენილია რომ S_1 ნიშანი ვ, იკარგება ო-ნით დაწყებულ სიტყვის წინაც. მეტადრე, როცა ორ ხმოვანში ექცევა და მეორე ხმოვანი ო-ნია (ავო, ევო, უვო, ივო კომპლექსებში) და აგრეთვე სხვა პირის ნიშნებთან შეეფედრისასაც. წინა გვერდებზე ნაჩვენებია სუფიქსების ბგერინაცვლები, რომლებიც სათანადო ცხრილში (გვ. 192) არ არის ნაჩვენები, რის გამოც უკანასკნელს უსრული სახე ეძლევა. S, ხშირად იკარგება. რომ უნდა ყოფილიყო და არ გვაქვს O (ნოლით) აღვნიშნავთ: S_1 ნიშნებიიქნება: ვ II O. S_2-ს ნიშნებათ ნაჩვენებია: ჰ, -, ,ს: აქაც იკარგება ხშირად ეს ნიშნები (უმთავრესად ბმოვანებისა და ნაკლებ სპირანტების წინ) და ალბათ ეს აღნიშნულია ,—, (ხაწით), ოღონდ იქ არ არის მოცემული ს-ანის ბგერი-ნაცვალი შ-ნი. ავტორმა იცის S_3-ის ძირითადი ნიშანი. არის ჰ, მაგრამ იგი გარკვეულ შემთხვევებში იცვლება ს-თ და შ-თ (§ 74), მაგრამ უკანასკნელიც იკარგება ხშირად შიშინა ბგერების წინ. ამიტომ ცხრილში, სისრულისათვის შ-ც უნდა შესულიყო და გვექნებოდა S_3-ს ნიშნებათ ჰ, ს, შ, O_1)[2]

[1]. აქედან მოყოლებული ამ წერილში „სუბიექტურ პრეფიქს" აღნიშნავდით S (ს)-ით და ციფრით მივუწერთ პირის რიცხვობას. ასევე ობიექტურს O (ო)-თი, პირის რიცხვობის ციფრითვე აღნიშვნით.

[2]. ჰ-ს დაკარგვაზე, რომ ვსაუბრობთ და ნიშანთა რიგში O-ს (ნოლს) ბოლოში ვაქცევთ, არავინ იფიქროს, რომ თითქოს იგი (ჰ) აუცილებლად ს>შ-ს გზით დაკარგულად წარმოგვიდგებოდეს. არა, პირდაპირ ჰ—ც იკარგება ხმოვნების წინ, მაგრამ ვგულისხმობთ O-ს, რომ ბოლოში ვაქცევთ ჰ-ს ბგერი-ნაცვლებიც იკარგება ხშირად და ნაგულისხმები იქნება O-ში.

ესევე გვეთქმის O_3-ს შესახებაც, რადგანაც ფორმალურად აქაც იგივე ნიშნები გვაქვს და იმავე ცვალებადობას განიცდის. ე. ი. O_3-ს ნიშნები სრულად წარმოდგენილი, იქნებოდა: Ხ, Ნ, Ш, O.

ახლა თუ გადმოვსცემთ ᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲤ. Ა. Ш ᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲡᲐᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲗ დავიმახავთ, სისრულისათვის, როგორ უნდა ყოფილიყო გადმოვსცემთ მხოლოდ შევსებულ რიგების ორივე სქემას.

არის წარმოდგენილი:

A. სუბიექტური პირები

მხოლ. რ.	მრავლ. რ.
1. Ნ _____	Ნ _____
2. Ხ, —, Ш _____	Ხ, —, Ш _____

უნდა იყოს:

1. Ნ, O _____	Ნ, O _____
2. Ხ, Ш, Ш, O _____	Ხ, Ш, Ш, O _____

B. ობიექტური პირები

არის წარმოდგენილი:

	მხოლ. რ.	მრავლ. რ.
Ნ	_____	_____ (პირდაპირი მიმართება)
	Ხ, —, Ш _____	Ხ, —, Ш _____ (ირიბი მიმართება)

უნდა იყოს:

Ნ	_____	_____ (პირდაპირი მიმართება)
	Ხ, Ш, Ш, O _____	Ხ, Ш, Ш, O _____ (ირიბი მიმართება)

დამაკმაყოფილებელი ვერაა დროთა განმარტებანი. დროები განირჩევა მიხედვით იმისა საუბრის მომენტი უსწრებს ზმულობას, თუ ზმულობა საუბრის მომენტს. რამდენად უსწრებს მნიშვნელობა არა აქვს, ამბობს ავტორი და განმარტებას იძლევა: „ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲛᲔᲓ, ᲗᲐᲜᲐᲓᲠᲝᲕᲣᲚᲝᲑᲐᲐ ᲖᲛᲣᲚᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲗ ᲐᲬᲛᲧᲝᲗ ᲓᲠᲝ ᲐᲠᲘᲡᲝ; ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲐᲐ ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ ᲯᲔᲠ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲛᲔ ᲖᲛᲣᲚᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲧᲝᲤᲐᲓᲘ ᲐᲠᲘᲡ; ᲗᲝᲚᲛ ᲠᲝᲪᲐ ᲯᲔᲠ ᲖᲛᲣᲚᲝᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲛᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲜᲐᲛᲧᲝᲗ ᲓᲠᲝ ᲐᲠᲘᲡ“. (ᲗᲐᲮᲘ ᲩᲕᲔᲜᲘᲐ Ი. Ш.) ეს კონკრეტული განმარტება არ არის, ოღონდ შეიძლება მით მკითხველი გაერკვეს დროთა რაობაში. ჩართულია ახალი ტერმინი „ᲖᲛᲣᲚᲝᲑᲐ“, რომელიც აუცილებლობას არ წარმოადგენდა, ისე კი შეიძლება დარჩეს. ᲖᲛᲣᲚᲝᲑᲘᲡ შესახებ 129 გვერდზე მოთავსებული შენიშვნა 121 გვერდზე უნდა იყოს: ᲖᲛᲣᲚᲝᲑᲐᲪ აქედანვეა ნახსენები, დროთა ცალკე განხილვის დროს ხათქვამია: „მყოფადი გარეგნული ფორმით იგივე აწმყოა, მაგრამ შესრულებული სახის“ (§ 107 გვ. 122_{35}) შესრულებულია, რომ ამბობს, ამ შესრულებაში თუ ზმულობა იგულისხმება და კორექტურული შეცდომა არაა, რა თქმა უნდა მცდარია. საწინააღმდეგო მისივე წინა განმარტების (საუბრის მომენტს უსწრებს ზმულობა), თუ ვიტყვით შესრულებულს ფორმის მხრივ (ამას, რომ გულისხმობს სჩანს 204 გვერდის შენიშვნიდან), დასაშვებია რადგან აწმყოსაგან მყოფადი უმთავრესად ზმნის წანის დართვით იწარმოება, ისიც იმდენად რამდენად ზმნის წანი ფორმალურად შესრულებულ სახეს

ეროვნული

აძლევს. ახლაც პირობით თორემ საერთოდ ვერ ვიტყვით, რადგან უზმნის-წინო ზმნა ხშირად მყოფადს გამოხატავს და ზმნის-წინიანი აწმყოს. მაგ.: უსაზღვრო საშუალო ზმნები, რომელსაც რამდენი ზმნის-წინიც არ უნდა დაერთოს მაინც აწმყო რჩება და უზმნის-წინოდ რაც კი იხმარებიან.

დროთა მეორე ჯგუფში დატოვებულია ნამყო-ბოლმყოობითი (ანუ ნამყო-ჩვეულებითი) (გვ. 123; 151, 152); ან კიდევ ჰაბიტუალისის, პერმანსივის სახელით ცნობილი დრო, როგორც ავტორი შენიშნავს (§ 112 გვ. 123) ეს დრო ახალ სალიტერატურო ქართულს ალარ გააჩნია. მისათვის მაგალითებს სამწერლობო ენაში ვერ ვხვდებით და არ იყო საჭირო ხელოვნურად შექმნილ ფორმებით ცხრილის გაბერვა, მაგალითები: წერა-წერის, კვეთა-კვეთის, კეთება-აკეთის, ტყდომა-ტყდის და სხვა (ცხრილი 5, გვ. 199 და 200); ერთი მწერლის მიერ ხმარებული ერთი გადაბრუნდის ანალოგიით ბოლმებითის შეტანა არ იყო საჭირო, არც S_2 წართქმით კილოს მიხედვით ბრძანებითი კილოს შეტანა. დროთა სახელწოდებანის შესახებ შეიძლება ითქვას: ტერმინი ნამყო-წყვეტილი შეიძლება დარჩეს რადგან პირველში გვაქვს ნამყო-უწყვეტელი, მაგრამ აჯობებდა ნამყო-ძირითადი, როგორც ამას დოც. ა. ჩიქობავა სწერს: „ტერმინი ნამყო ძირითადი აორისტისათვის გამართლებულია მორფოლოგიურადაც, რამდენადაც იგი საფუძველია მეორე ჯგუფის დრო-კილოთათვის, და სინტაქსიურადაც, რაკი გარდამავლობა-გირდაუვალობის საკითხი მის გარეშე ვერ გადაწყდება“ [1].

[1]. არნ. ჩიქობავა „მარტივ წინადადების პრობლემა ქართულში, 1. ეკვემდებარე-დამატების საკითხი ძველს ქართულში“ ტფილისი—1928 წ. გვ. 182 შნშ. 2.

1930 წლის ივლისი,
ბიდისთავი.

როგორც ზემოდ ვნახეთ ავტორი გრამატიკულ კატეგორიებად თვლის მხოლოთ იმ სიტყვებს, რომლებსაც საპირისპირო ფორმები მოეპოვება, მაგრამ დარწმუნდა ალბად გზა და გზა, რომ მისი მოლიანად გვერდის ავლა არ შეიძლება და აქვს განხილული ასეთებიც (მაგ. მე, შენ და ასეთი სიტყვები) თავისთავად კი—გრამატიკის საგანს შეადგენს სიტყვები, რომლებსაც საპირისპირო ფორმები მოეპოვება, რომ ამბობს ავტორი—სადავოა. მესამე გვერდზე გაკეთებული შენიშვნა აქ უადგილოა. § 15 ან § 24-ს ბოლოში უნდა ყოფილიყო, რადგან სან. ბრუნვის ჩვენებაც აქედან იწყება; რაც შეეხება შეთანხმებისათვის მოყვანას, რომ როცა ვსწერთ **o**-ნს, იგულისხმება **o** ნიშნით გამოხატული ბგერა და **ს**-ანის დროს **ხ**, არც საჭირო იყო, რადგან ვისაც ქართული წერა-კითხვა გაეგება იცის თუ, რომელ ბგერას რომელი მოხაზულობა შეესაბამება. მეტადრე რომ სხვა დამწერლობებთან შედარებეთ ქართული დამწერლობა იდეალურია. თითეულ ცალკე გამოთქმას, ცალკე ბგერას, თითქმის თავის საკუთარი ნიშანი აქვს.

წიგნს ნაკლათ უნდა ჩაეთვალოს ისიც, რომ ვერსად ნახავთ შიგ საკითხის ირგვლივ არსებულ სხვადასხვა მოსაზრებების და ლიტერატურის მითითებებს. მითითებული აქვს მხოლოდ ორი მისივე გამოკვლევა და ერთიც დოც. ა. ჩიქობავას წერილი დამატება-შესწორებანში, სარეცენზიო წიგნით საქმე გვაქვს თანამედროვე. სალიტერატურო, ცოცხალ-სამეტყველო სამწერლობო ენასთან. თითეული საკითხის ირგვლივ მრავალი მოსაზრება შეიძლება გამოითქვას და ზოგიც უკეთ დასაბუთდეს. სხვადა-სხვა აზრების ჩვენებითა და არსებული ლიტერატურის მითითებით წიგნი მოიგებდა. ნაკლებ დოგმატურობა დაემჩნევოდა.

იოს. ბართ—ძე მეგრელიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1930 წელ. ჟურ. „მნათობში“ დაბეჭდილი მასალები

მხატვრული ლიტერატურა

1. **აბაშელი ა.**: „ქალი სარკეში“ (რომანი) № 2—3, № 4, № 5—6, № 7.
2. **ადამია ა.**: „მე და მოხუცი ბაქოში“ № 10.
3. **ბობოხიძე კალე**: [1]) „შავი ქალაქი“ (ლექსი) № 2—3; [2]) „ელექტრო-მატარებელი“ № 5—6; [3]) „მუშათა უბანში“ № 7.
4. **გაბესკირია ვ.**: [1]) „თესვა“ (ლექსი) № 2—3; [2]) „თეთრი იალქნები“ (მოთხრობა) № 5—6; [3]) „მინდვრად“ № 7.
5. **გაფრინდაშვილი ვ.**: „დამკვრელი სტრიქონები“ (ლექსი) № 11—12.
6. **გვეტაძე რაჟდ.**: „ჭიაკოკონა“ (რომანი) 4, №№ 5—6, № 7, № 8—9, № 10, № 11—12.
7. **გორგაძე ვ.**: „წითელარმიელი, მუშა წერაქვით“ № 5—6.
8. **ზალკა მათე**: „Purgatorium“ (მოთხრობა) № 1.
9. **ზომლეთელი ნ.**: [1]) „გაზაფხული სოფლად“ № 2—3; [2]) „აჯაბო“ (მოთხრ.) № 2—3, № 5—6; [3]) „მონაწილენი“ № 5—6.
10. **ზორინი**: „თეთრი ქალაქი“ № 5—6.
11. **კირსანოვი**: “ტურკსიბი“ (თარგმანი) № 5—6.
12. **ლიბედინსკი**: „გმირის დაბადება“ № 7, № 8—9, № 10.
13. **ლისაშვილი ი.**: „მშრომელთა დღესასწაული სოფლად“ № 7.
14. **მაიაკოვსკი**: „დამკვრელ ბრიგადების მარში“ № 4.
15. **მეტრეველი ლ.**: „სასჯელზედ უარესი“ № 8—9.
16. **ნაროუშვილი ფრ.**: [1]) „კორღანი“ № 4; [2]) „ჭალადიდი“ № 10.
17. **რემარკ ერიხ მარია**: „დასავლეთის ფრონტი უცვლელია“ № 1, № 2—3, № 4.
18. **პოლუმორდვინოვი ელ.**: „მთვარისა“
19. **პეტროხიანი**: „მე ბოლშევიკი ვარ“ № 5—6.
20. **ტაბიძე გალაქტიონ**: [1]) „პაციფიზმი“ № 1; [2]) „რევოლიუციონურ საქართველოს“ (პოემა) № 8—9, № 10, № 11—12.
21. **ხაყვარელიძე პავ. მ.**: [1]) „დაფანტული ფურცლები“ № 1, № 2—3; [2]) „ეკლიან გზაზე“ № 10, № 11—12.
22. **სულიაშვილი დ.**: „ზორეული“ № 2—3, № 4, № 5—6, № 7.
23. **ქუთათელი ალ.**: „განთიადის წინ“ № 7, № 8—9, № 10, № 11—12.
24. **თალაკვაძე ს.**: „ეპიზოდი ცხრაას ხუთი წლიდან“ № 2—3.
25. **შირვან ზადე**: „ვიგემოთ მშვიდობით“ № 1.
26. **ცეცხლაძე გრ.**: „აბეზარ მოკალმეებს“ № 7.
27. **ჟურული ვ.**: „დამკვრელთა სიმღერა“ № 10.

28. **ყულაევი სოზრ.:** „რკინის დევი“ (თარგ. ოსურიდან) № 5—6.
29. **შენგელაია დემნა:** „ბათა ქექია“ № 10, № 11—12.
30. **ჯავახიშვილი მიხ.:** „არსენა მარაბდელი“ № 11—12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა, მეცნიერება, პუბლიცისტიკა

1. **ამაღლობელი სერგო:** „პროლეტ. სტილის პრობლემა“ № 10.
2. **ბერიტაშვილი ივ.:** „ქცევათ მეცნიერება და ფსიქოლოგია“ № 2—3.
3. **ბორელი თომაზ:** „გლეხური პოეზია“ № 8—9.
4. **ბუაჩიძე ბენიტო:** „ქართული მხატვრული მწერლობა 1929 წ.“ № 1.
5. **გვაზავა დ.:** „წვრილი წარმოების თეორია და კოლექტივიზაცია“ № 4, № 5—6, № 7.
6. **გოგიბერიძე მოსე:** „კაპიტალის“ ქართულად გამოსვლის გამო“ № 5—6.
7. **გორდელაძე კ.:** „ორგანიული მიმართულ. სოციოლოგიაში“ № 7, № 8—9.
8. **კერჟენცევი:** „ლიტერ. პოლიტიკის ზოგიერთი საკითხები“ № 10.
9. **მელიქსედბეგი ლ.:** „ვაჰან ტერიანი“ № 1.
10. **მუშიშვილი გრ.:** „მონოპლ. კაპიტალიზმის ლენინ. თეორიისათვის“ № 11—12
11. **მეგრელიძე ი.:** „აკადემიკოსი ნ. მარის შესახებ“ № 4.
12. **რადიანი შ.:** „რევოლიუციის პოეტი“ № 4.
13. **სოსელია:** [1]) „კაუტსკი სახელმწ. წარმოშობის მარქსისტული თეორიის შესახებ“ № 1; [2]) ქართველთ ტომთა სახელმწიფოს წარმოშ. შესახებ“ № 5—6.
14. **ფანცხავა ილ.:** „სამართლის მარქსისტ. თეორია“ № 11—12.
15. **ხუნდაძე ს.:** [1]) „გიორგი წერეთელი“ № 1; [2]) „აკაკი წერეთელი“ № 2—3, № 4; [3]) „მასალები ქართული აზრ. ისტორიისათვის“ № 8—9; [4]) „მასალები ეგნატე ნინოშვილის ბიოგრ. შესახებ“ № 10.
16. **ტაბიძე ტიც.:** „დავით კლდიაშვილი“ № 7.
17. **ჭეიშვილი ალ.:** „ბრიგადელის დღიური“ № 7.

ბიბლიოგრაფია

1. **გ. ნატროშვილი:** მათე ზალკას—მარადიული ზავი, № 5—6.
2. **გრ. გ—ძე:** ა. ჩხენკელის—ბიოლოგია, № 7.
3. **ი. მეგრელიძე:** აკ. შანიძის—ქართული გრამატიკა, № 8—9.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. **მოსე გოგიბერიძე:** „ვალია ბახტაძის ხსოვნას“ 5

მხატვრული ლიტერატურა

2. **ვალერიან გაფრინდაშვილი:** „დამკვრელი სტრიქონები“ 13
3. **მიხ. ჯავახიშვილი:** „არსენა მარაბდელი“ 17
4. **დემნა შენგელაია:** „ბათა ქექია“ 48
5. **გალაქტიონ ტაბიძე:** „რევოლიუციონერ საქართველოს“ 78
6. **პავლე საყვარელიძე:** „ეკლიან გზაზე“ 91
7. **რაუდენ გვეტაძე:** „ჭიაკოკონა“ 126
8. **ალ. ქუთათელი:** „განთიადის წინ“ 150

კრიტიკა, მეცნიერება, პუბლიცისტიკა

9. **გრ. მუშიშვილი:** „მონოპოლისტური კაპიტალიზმის ლენინური თეორიის დასაცავად“ 183
10. **ილ. ფანცხავა:** „მარქსისტული სამართლებრივი აზროვნების განვითარება“ 231

ბიბლიოგრაფია

11. **იოსებ მეგრელიძე:** ა. შანიძე—„ქართული გრამატიკა“ 251